მარკეტინგული და მედია
კომუნიკაციების ინსტიტუტი

ალექსანდრე ჩიკვაიძე, პამლეტ ჭიპაშვილი

თბილისი
2008

UDC (უაკ) 327.479.22
ჩ-592

ქართველი დაინტერესებული მკითხველი განებივრებული არ გახლავთ დიპლომატიის შესახებ ლიტერატურით. არადა, განსაკუთრებით ახალგაზრდობაში მ'სარდი ინტერესის ფონზე, აშკარაა ამ დარგში თეორიული თუ პრაქტიკული ნორმების, სახელმძღვანელოების, ცნობარებისა თუ ლექსიკონების დეფიციტი.

თუკი არსებობს გარკვეული რაოდენობა დიპლომატიისადმი მიძღვნილი წიგნებისა, მათი უმეტესობა უცხოური ავტორების თარგმანია.

წინამდებარე წიგნი დიპლომატიის კვლევის ერთ-ერთი პირველი და სერიოზული ქართული ცდაა. ავტორები არიან ცნობილი ქართველი დიპლომატები—ალექსანდრე ჩიკვაიძე და ჰამლეტ ჭიპაშვილი.

ვინაიდან წიგნი ერთმანეთის პარალელურად პრაქტიკული დიპლომატიისა და თეორიული კვლევის სინთეზია, იგი დააინტერესებს როგორც სტუდენტებსა და სპეციალისტებს, ასევე მკითხველთა ფართო საზოგადოებასაც.

რედაქტორი: გულბაათ რცხილაძე

ISBN 978-9941-0-0499-5

© ნანა ამირანაშვილი
© ალექსანდრე ჩიკვაიძე
©ჰამლეტ ჭიპაშვილი

წიგნი აიწყო, დაკაბადონდა და დაიბეჭდა "საგამომცემლო-სარეკლამო კომპანია საუნჯის" – მიერ "მარკეტინგული და მედიაკომუნიკაციების ინსტიტუტის"
დაკვეთით ტელ:347366,451650



ვენის კონვენცია დიპლომატიურ ურთიერთობათა შესახებ

სახელმწიფოები, რომლებიც წარმოადგენენ ვენის კონვენციის მხარეებს

აღნიშნავენ რა, რომ მსოფლიოს ყველა ხალხი უძველესი ხანიდან ცნობს დიპლომატიურ სააგენტოთა სტატუსს,

მხედველობაში იღებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მიზნებსა და პრინციპებს სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის, საერთაშორისო მნიშვნელობისა და უსაფრთხოების დაცვის და სახელმწიფოთა შორის მეგობრულ ურთიერთობათა განვითარების შესახებ,

დარწმუნებულნი არიან, რომ საერთაშორისო კონვენციის დადება დიპლომატიურ ურთიერთობათა, პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შესახებ, ხელს შეუწყობს სახელმწიფოთა შორის მეგობრულ ურთიერთობათა განვითარების შესახებ,

დარწმუნებულნი არიან, რომ საერთაშორისო კონვენციის დადება დიპლომატიურ ურთიერთობათა, პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შესახებ, ხელს შეუწყობს სახელმწიფოთა შორის მეგობრულ ურთიერთობათა განვითარებას, მათი სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების განსხვავების მიუხედავად,

გაცნობიერებული აქვთ რა, რომ ასეთი პრივილეგიები და იმუნიტეტები ენიჭებათ არა ცალკეულ პირთა სარგებლობისათვის, არამედ დიპლომატიურ წარმომადგენლობათა, როგორც სახელმწიფო ორგანოთა ფუნქციების, ეფექტური განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით,

ადასტურებენ რა, რომ ჩვეულებრივი საერთაშორისო სამართლის ნორმები განაგრძობდნენ იმ საკითხების რეგულირებას, რომლებსაც უშუალოდ არ ითვალისწინებს ეს კონვენცია,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მ უ ხ ლ ი ! .

ამ კონვენციაში ქვემოთ მოყვანილ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

a) „წარმომადგენლობის მეთაური“ არის პირი, რომელსაც დამკრედიტებელი სახელმწიფოს მიერ დაკისრებული აქვს იმოქმედოს ამ მდგომარეობაში:

b) „დიპლომატიური წარმომადგენლობის თანამშრომლები“ არიან წარმომადგენლობის მეთაური და წარმომადგენლობის პერსონალის წევრები;

c) „წარმომადგენლობის პერსონალის წევრები“ არიან წარმომადგენლობის დიპლომატიური პერსონალის, ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალისა და მომსახურე პერსონალის წევრები;

d) „დიპლომატიური პერსონალის წევრები“ არიან წარმომადგენლობის პერსონალის ის წევრები, რომლებსაც აქვთ დიპლომატიური რანგი;

e) „დიპლომატიური აგენტი“ არის წარმომადგენლობის მეთაური ან წარმომადგენლობის დიპლომატიური პერსონალის წევრი;

f) „ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის წევრები“ არიან წარმომადგენლობის პერსონალის წევრები, რომლებიც ახორციელებენ წარმომადგენლობის ადმინისტრაციულ-ტექნიკურ მომსახურეობას;

g) „მომსახურე პერსონალის წევრები“ არიან წარმომადგენლობის პერსონალის წევრები, რომლებიც ასრულებენ წარმომადგენლობის მომსახურების მოვალეობას;

h) „კერძო შინამოსამსახურე“ არის პირი, რომელიც ასრულებს შინამოსამსახურის მოვალეობას წარმომადგენლობის თანამშრომელთან და არ წარმოადგენს დამკრედიტებელი სახელმწიფოს მომსახურეს;

j) „წარმომადგენლობის სადგომი“ ნიშნავს შენობებს ან შენობების ნაწილს, რომლებსაც იყენებენ წარმომადგენლობის მიზნებისათვის (წარმომადგენლობის მეთაურის რეზიდენციის ჩათვლით), ვისაც არ უნდა ჰქონდეს საკუთრების უფლება მათზე, ამ შენობის ან შენობის ნაწილის მომსახურე მიწის ნაკვეთის ჩათვლით.

მ უ ხ ლ ი 2.

სახელმწიფოთა შორის დიპლომატიურ ურთიერთობათა დამყარება და მუდმივი დიპლომატიური წარმომადგენლობის დაარსება ხორციელდება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

მ უ ხ ლ ი 3.

1. დიპლომატიური წარმომადგენლობის ფუნქციებში შედის:

a) წარმოადგინოს დამკრედიტებელი სახელმწიფო სახელმწიფოში, სადაც იმყოფება;

b) საერთაშორისო სამართლის დაშვებულ ფარგლებში დაიცვას დამკრედიტებელი სახელმწიფოსა და მის მოქალაქეთა ინტერესები სახელმწიფოში, სადაც იმყოფება;

c) აწარმოოს მოლაპარაკება იმ სახელმწიფოს მთავრობასთან, სადაც იმყოფება;

d) ყველა კანონიერი საშუალებით გაარკვიოს ვითარება და მოვლენები სახელმწიფოში, სადაც იმყოფება და აცნობოს ისინი დამკრედიტებელი სახელმწიფოს მთავრობას;

e) ხელი შეუწყოს მეგობრულ ურთიერთობებს დამკრედიტებელ სახელმწიფოსა და იმ სახელმწიფოს შორის, სადაც იმყოფება, ეკონომიკის, კულტურისა და მეცნიერების დარგში მათი ურთიერთობების განვითარებას.

2. ამ კონვენციის არც ერთი დებულება არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც დაბრკოლება დიპლომატიური წარმომადგენლობის მიერ საკონსულო ფუნქციების შესრულებისას.

მ უ ხ ლ ი 4.

1. დამკრედიტებელი სახელმწიფო უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ სახელმწიფომ, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, გასცა აგრემანი იმ პირზე, რომლის, როგორც წარმომადგენლობის მეთაურის, აკრედიტებაც განზრახული აქვს ამ სახელმწიფოში;

2. სახელმწიფო, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, არ არის ვალდებული აცნობოს დამკრედიტებელ სახელმწიფოს აგრემანზე უარის მოტივები.

მ უ ხ ლ ი 5.

1. დამკრედიტებელ სახელმწიფოს შეუძლია (სათანადო წესით აცნობებს რა შესაბამის ქვეყანას, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება) დააკრედიტოს წარმომადგენლობის მეთაური ან ვითარების მიხედვით დანიშნოს დიპლომატიური პერსონალის ნებისმიერი წევრი ერთ ან რამდენიმე სხვა ქვეყანაში, თუ ნებისმიერ ქვეყანას, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, პროტესტი არ განუცხადებია.

2. თუ დამკრედიტებელი სახელმწიფო წარმომადგენლობის მეთაურს აკრედიტებს ერთ ან რამდენიმე სხვა სახელმწიფოში, მას შეუძლია დაარსოს დიპლომატიური წარმომადგენლობები ყოველ სახელმწიფოში, სადაც წარმომადგენლობის მეთაურს მუდმივი ადგილსამყოფელი არა აქვს და რომლებსაც საქმეთა დროებითი რწმუნებულები უხელმძღვანელებენ.

3. წარმომადგენლობის მეთაურს ან დიპლომატიური პერსონალის ნებისმიერ წევრს შეუძლია იმოქმედოს ნებისმიერ საერთაშორისო ორგანიზაციაში, როგორც დამკრედიტებელი სახელმწიფოს წარმომადგენელმა.

მ უ ხ ლ ი 6.

ორ ან რამდენიმე სახელმწიფოს შეუძლია დააკრედიტოს ერთი და იგივე პირი, როგორც წარმომადგენლობის მეთაური სხვა სახელმწიფოში, თუ ეს სახელმწიფო ამის წინააღმდეგი არ იქნება.

მ უ ხ ლ ი 7.

დამკრედიტებელ სახელმწიფოს შეუძლია თავისუფლად დანიშნოს წარმომადგენლობის პერსონალის წევრები მე-5, მე-8, მე-9 და მე-11 მუხლებში გათვალისწინებული გამონაკლისებით; რაც შეეხება სამხედრო საზღვაო და საავიაციო ატაშეებს, სახელმწიფოს, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება შეუძლია წინადადება მისცეს დამკრედიტებელ სახელმწიფოს წინასწარ შეატყობინოს მათი სახელები დადებითი აზრის გამოსათქმელად.

მ უ ხ ლ ი 8.

1. წარმომადგენლების დიპლომატიური პერსონალის წევრები, როგორც წესი, დამკრედიტებელი სახელმწიფოს მოქალაქეები უნდა იყვნენ.

2. დიპლომატიური პერსონალის წარმომადგენლები არ შეიძლება ინიშნებოდნენ იმ სახელმწიფოს მოქალაქეთაგან, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, ამ სახელმწიფოს თანხმობის გარეშე, თანაც ეს თანხმობა შეიძლება ნებისმიერ დროს იქნეს ანულირებული.

3. სახელმწიფოს, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, ასევე შეუძლია შენიშვნის სახით დაიტოვოს იგივე უფლება მესამე სახელმწიფოს მოქალაქეთა მიმართ, რომლებიც იმავდროულად დამკრედიტებელი სახელმწიფოს მოქალაქეებს არ წარმოადგენენ.

მ უ ხ ლ ი 9.

1. სახელმწიფოს, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, შეუძლია ნებისმიერ დროს აცნობოს დამკრედიტებელ სახელმწიფოს, რომ წარმომადგენლობის მეთაური ან დიპლომატიური პერსონალის რომელიმე წევრთაგანი არის persona non grata, არადა წარმომადგენლობის პერსონალის სხვა ნებისმიერი წევრი მისთვის მიუღებელია. იგი ვალდებული არ არის დაასაბუთოს ეს გადაწყვეტილება. ასეთ შემთხვევაში დამკრედიტებელმა სახელმწიფომ შესაბამისად უნდა გაიწვიოს ეს პირი ან შეწყვიტოს მისი ფუნქციები წარმომადგენლობაში. ესა თუ ის პირი შეიძლება გამოცხადებულ იქნეს persona non grata-d ან მიუღებლად, მის ჩასვლამდე იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე სადაც წარმომადგენლობა იმყოფება.

2. თუ დამკრედიტებელი სახელმწიფო უარს იტყვის შეასრულოს ან რაციონალურ ვადაში არ შეასრულებს თავის მოვალეობებს, რომლებსაც ითვალისწინებს ამ მუხლის 1 პუნქტი, სახელმწიფოს, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, შეუძლია უარი თქვას ცნოს ეს პირი წარმომადგენლობის თანამშრომლად.

მ უ ხ ლ ი 10.

1. იმ სახელმწიფოს საგარეო ურთიერთობათა სამინისტროს ან სხვა სამინისტროს, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება და რომლის მიმართაც არსებობს მოლაპარაკება უნდა ეცნობოს:

a) წარმომადგენლობის დანიშვნა, მათი ჩასვლა, ან ქვეყნის საბოლოოდ დატოვება, ან წარმომადგენლობაში მათი ფუნქციების შეწყვეტა;

b) იმ პირის ჩასვლა ან ქვეყნის საბოლოოდ დატოვება, რომელიც წარმომადგენლობის თანამშრომლის ოჯახის წევრს წარმოადგენს და შესაბამის შემთხვევაში ისიც, რომ ესა თუ ის პირი ხდება ან აღარ არის წარმომადგენლობის ოჯახის წევრი;

c) იმ კერძო შინამოსამსახურეთა ჩასვლა ან მათ მიერ ქვეყნის საბოლოოდ დატოვება, რომლებიც ამ პუნქტის „ა" ქვეპუნქტში მოხსენიებულ პირებს ემსახურებიან და შესაბამის შემთხვევაში მათ მიერ ასეთ პირებთან სამსახურის დატოვება;

d) იმ პირთა დაქირავება ან დათხოვნა, რომლებიც ცხოვრობენ სახელმწიფოში, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, როგორც წარმომადგენლობის თანამშრომლები ან შინამოსამსახურენი, რომელთაც პრივილეგიებისა და იმუნიტეტების უფლება აქვთ.

2. შეძლებისდაგვარად, ასევე წინასწარ უნდა იქნას შეტყობინებული ჩასვლა და ქვეყნის საბოლოოდ დატოვება.

მ უ ხ ლ ი 11.

იმ შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს კონკრეტული შეთანხმება წარმომადგენლობის პერსონალის რიცხობრიობის შესახებ, სახელმწიფოს, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება აქ არსებული მდგომარეობისა და პირობების, აგრეთვე ამ წარმომადგენლობის მოთხოვნილებების გათვალისწინებით შეუძლია შეთავაზება წინადადებისა, რომ წარმომადგენლობის პერსონალის რიცხობრიობა შენარჩუნებულ იქნეს ფარგლებში. რომლებიც მას რაციონალურად და ნორმალურად მიაჩნია.

2. სახელმწიფოს, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, შეუძლია აგრეთვე იმავე მიზეზით და დისკრიმინაციის გარეშე უარი თქვას რომელიმე გარკვეული კატეგორიის თანამდებობის მიღებაზე.

მ უ ხ ლ ი 12.

დამკრედიტებელ სახელმწიფოს არ შეუძლია იმ სახელმწიფოს წინასწარი, კონკრეტულად გამოხატული თანხმობის გარეშე სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, გახსნას კანცელარიები, რომლებიც დიპლომატიური წარმომადგენლობის ნაწილს შეადგენენ, სხვა დასახლებულ პუნქტებში, გარდა იმ პუნქტებისაც, სადაც თვით წარმომადგენლობა არსებობს.

მ უ ხ ლ ი 13.

1. ითვლება, რომ წარმომადგენლობის მეთაური თავისი ფუნქციების შესრულება სახელმწიფოში, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება შეუდგა ამ სახელმწიფოში არსებული პრაქტიკის მიხედვით, რომელიც ერთგვაროვნად უნდა გამოიყენებოდეს, ან თავისი რწმუნებულების სიგელების გადაცემის მომენტიდან, ან თავისი ჩამოსვლის შეტყობინებისა და რწმუნებულების სიგელების დამოწმებული ასლების გადაცემის შემდეგ საგარეო ურთიერთობათა სამინისტროსთვის ან სხვა სამინისტროსთვის, რომელთა შესახებაც არსებობს მოლაპარაკება.

2. რწმუნებულების სიგელების ან მათი დამოწმებული ასლების გადაცემის თანამიმდევრობა განისაზღვრება წარმომადგენლობის მეთაურის ჩასვლის თარიღით და საათით.

მ უ ხ ლ ი 14.

1. წარმომადგენლობათა მეთაურები იყოფიან:

a) სახელმწიფოს მეთაურები ან აკრედიტებული ელჩებისა და ნუნციების და სხვა ექვივალენტური რანგის წარმომადგენლობის მეთაურთა კლასად;

b) სახელმწიფოს მეთაურებთან აკრედიტებული დესპანებისა და ინტერნუნციების კლასად;

c) საგარეო საქმეთა მინისტრებთან აკრდიტებულ საქმეთა რწმუნებულების კლასად.

2. წარმომადგენლობის მეთაურთა შორის არ უნდა იყოს არავითარი განსხვავება მათი ამა თუ იმ კლასისადმი კუთვნილების მიხედვით, გარდა უფროს-უმცროსობისა და ეტიკეტისა.

მ უ ხ ლ ი 15.

წარმომადგენლობის კლასი, რომელსაც წარმომადგენლობათა მეთაურები უნდა ეკუთვნოდნენ, განისაზღვრება სახელმწიფოთა შორის შეთანხმებით.

მ უ ხ ლ ი 16.

1. შესაბამისი კლასის წარმომადგენლობათა მეთაურების უფროს-უმცროსობა განისაზღვრება იმ თარიღით და საათით, როდესაც ისინი მე-13 მუხლის თანახმად შეუდგნენ თავიანთ ფუნქციების შესრულებას.

2. ცვლილებები წარმომადგენლობის მეთაურთა რწმუნებულების სიგელებში, რომელთაც კლასის შეცვლა არ მოსდევს, არ მოქმედებს მათ უფროს-უმცროსობაზე.

3. ეს მუხლი არ ეხება იმ ქვეყანაში მიღებულ პრაქტიკას, სადაც წარმომადგენლობა არსებობს, ვატიკანის წარმომადგენლობას უფროსობასთან დაკავშირებით.

მ უ ხ ლ ი 17.

წარმომადგენლობის დიპლომატიური პერსონალის წევრთა უფროს-უმცროსობა წარმომადგენლობის მეთაურის მიერ ეცნობება. საგარეო საქმეთა სამინისტროს, ან სხვა სამინისტროს, რომლის შესახებაც შეთანხმება არსებობს.

მ უ ხ ლ ი 18.

სახელმწიფოში წარმომადგენლობათა მეთაურების მიღებისას დაცული უნდა იყოს ყოველი კლასის მიმართ დადგენილი რიგი.

მ უ ხ ლ ი 19.

1. თუ წარმომადგენლობის მეთაურის პოსტი ვაკანტურია ან წარმომადგენლობის მეთაურს არ შეუძლია თავისი ფუნქციების შესრულება, წარმომადგენლობის მეთაურის მოვალეობის დროებითი შემსრულებელი არის საქმეთა დროებითი რწმუნებული. საქმეთა დროებითი რწმუნებულის გვარი შეთანხმებისამებრ წარმომადგენლობის მეთაურის მიერ ან, თუ მას ამის გაკეთება არ შეუძლია, დამკრედიტებელი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ეცნობება იმ სახელმწიფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ან სხვა სამინისტროს, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება.

2. იმ შემთხვევაში, როდესაც წარმომადგენლობის არც ერთი დიპლომატიური თანამშრომელი არ იმყოფება სახელმწიფოში, სადაც წარმომადგენლობა არსებობს, ამ სახელმწიფოს თანხმობით შეიძლება დამკრედიტებელი სახელმწიფოს მიერ წარმომადგენლობის მიმდინარე ადმინისტრაციულ საქმეებზე პასუხისმგებლად დანიშნულ იქნეს ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის წევრი.

მ უ ხ ლ ი 20.

წარმომადგენლობას და მის მეთაურს უფლება აქვს ისარგებლონ დამკრედიტებელი სახელმწიფოს დროშითა და ემბლემით წარმომადგენლობის შენობებზე, წარმომადგენლობის მეთაურის რეზიდენციისა და მისი გადაადგილების საშუალებათა ჩათვლით.

მ უ ხ ლ ი 21.

1. სახელმწიფო, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, ან უნდა დაეხმაროს სახელმწიფოს მისი წარმომადგენლობისათვის აუცილებელი შენობების შეძენაში თავის ტერიტორიაზე საკუთარი კანონების შესაბამისად, ან დაეხმაროს რაიმე სხვა გზით მიიღოს შენობები.

2. აუცილებლობის შემთხვევაში იგი უნდა დაეხმაროს აგრეთვე წარმომადგენლობებს, რათა მიიღონ სადგომები მათი თანამშრომლებისათვის.

მ უ ხ ლ ი 22.

1. წარმომადგენლობათა შენობები ხელშეუხებელია. იმ სახელმწიფოს მეთაურებს, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, არ შეუძლია იქ შესვლა წარმომადგენლობის ნებართვის გარეშე.

2. სახელმწიფოს, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, სპეციალური მოვალეობა აკისრია ყველა საჭირო ზომა მიიღოს წარმომადგენლობის შენობის დაცვისათვის ყოველგვარი შეჭრისგან და ზიანის მიყენებისგან და წარმომადგენლობის სიმშვიდის დარღვევის ან მისი ღირსების შეურაცხყოფის თავიდან აცილების მიზნით.

3. წარმომადგენლობის ავეჯზე, შენობებზე, მათში არსებულ ქონებაზე და აგრეთვე წარმომადგენლობის გადაადგილების საშუალებებზე ვრცელდება ჩხრეკის, რეკვიზიციის, დაპატიმრებისა და აღმასრულებელ მოქმედებათა იმუნიტეტი.

მ უ ხ ლ ი 23.

1. აკრედიტებული სახელმწიფო და წარმომადგენლობის მეთაური თავისუფლდება ყველა სახელმწიფო, რაიონული და მუნიციპალური გადასახადისაგან, მოსაკრებლისგან და ბაჟისაგან წარმომადგენლობის საკუთარ და დაქირავებულ შენობებთან დაკავშირებით, გარდა ისეთი გადასახადებისა, მოსაკრებლებისა და ბაჟისა, რომელიც კონკრეტული სახის მომსახურების საფასურს წარმოადგენენ.

2. ფისკალური ამოღება, რომელზეც ამ მუხლშია ლაპარაკი, არ ეხება იმ გადასახადებს, მოსაკრებლებსა და ბაჟებს, რომლებიც ეკისრებათ დამკრედიტებელ სახელმწიფოსთან ან წარმომადგენლობის მეთაურთან კონტრაქტების დამდებ პირებს იმ სახელმწიფოს კანონების თანახმად, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება.

მ უ ხ ლ ი 24.

წარმომადგენლობის არქივი და დოკუმენტები ხელშეუხებელია მათი ადგილსამყოფლის მიუხედავად.

მ უ ხ ლ ი 25.

სახელმწიფომ, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, ყოველგვარი საშუალება უნდა მისცეს წარმომადგენლობას თავისი ფუნქციების შესრულებისათვის.

მ უ ხ ლ ი 26.

სახელმწიფო, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, უნდა უზრუნველყოფდეს წარმომადგენლობის ყველა თანამშრომლისთვის გადაადგილების თავისუფლებას თავის ტერიტორიაზე, რამდენადაც ეს არ ეწინააღმდეგება კანონებსა და წესებს ზონების შესახებ, რომლებშიც სახელმწიფო უშიშროების მიზნით აკრძალულია ან რეგულარულია შესვლა.

მ უ ხ ლ ი 27.

1. სახელმწიფო, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, ნებას უნდა რთავდეს და იცავდეს წარმომადგენლობის მიერ ოფიციალური მიზნებით დამყარებულ ყოველგვარ საქმიან ურთიერთობებს. დამკრედიტებელ სახელმწიფოსთან ან მის სხვა წარმომადგენლობებსა და საკონსულოებთან ურთიერთობისას, სადაც არ უნდა იმყოფებოდნენ ისინი, წარმომადგენლობას შეუძლია ისარგებლოს ყველა შესაფერისი საშუალებით, დიპლომატიური კურიერებისა და კოდირებული თუ დაშიფრული დეპეშის ჩათვლით. მიუხედავად ამისა, წარმომადგენლობას შეუძლია დადგას რადიოგადამცემი და ექსპლუატაცია გაუწიოს მას მხოლოდ იმ სახელმწიფოს ნებართვით, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება.

2. წარმომადგენლობის ოფიციალური კორესპონდენცია ხელშეუხებელია, ოფიციალურ კორესპონდენციაში იგულისხმება მთელი კორესპონდენცია, რომელიც ეხება წარმომადგენლობასა და მის ფუნქციებს.

3. დიპლომატიური ფოსტის გახსნა და დაკავება არ შეიძლება.

4. ყველა ადგილს, სადაც დიპლომატიური ფოსტა ინახება, უნდა ჰქონდეს თვალსაჩინო გარეგნული ნიშნები, რომლებიც მიუთითებენ მათ ხასიათზე. ისინი მხოლოდ

დიპლომატიურ დოკუმენტებსა და ოფიციალური სარგებლობისათვის გამიზნულ საგნებს უნდა შეიცავდნენ.

5. დიპლომატიური კურიერი, რომელიც უზრუნველყოფილი უნდა იყოს ოფიციალური დოკუმენტებით მისი სტატუსისა და დიპლომატიური ფოსტის შემადგენელი ადგილების რაოდენობის მითითებით, თავისი მოვალეობის შესრულებისას სარგებლობს იმ სახელმწიფოს დაცვით, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება. იგი სარგებლობს პირადი ხელშეუხებლობით და არ შეიძლება ამა თუ იმ ფორმით მისი დაპატიმრება ან დაკავება.

6. დამკრედიტებელ სახელმწიფოს ან წარმომადგენლობას შეუძლია დანიშნოს დიპლომატიური კურიერები ad hoc, ასეთ შემთხვევებში ასევე გამოიყენება ამ მუხლის მე-5 პუნქტის დებულებები იმ გამონაკლისით, რომ მასში მოხსენიებული იმუნიტეტები წყდება იმ მომენტში, როდესაც ასეთი კურიერი დანიშნულებისამებრ მიიტანს ჩაბარებულ დიპლომატიურ ფოსტას.

7. დიპლომატიური ფოსტა შეიძლება ჩაბარდეს სამოქალაქო თვითმფრინავის ეკიპაჟს, რომელიც მიფრინავს აეროპორტისაკენ, სადაც ჩასვლა ნებადართულია. მეთაურს უნდა ჰქონდეს ოფიციალური დოკუმენტი იმ ადგილთა რაოდენობის მითითებით, რომლებიც ფოსტას შეადგენენ, მაგრამ იგი არ ითვლება დიპლომატიურ კურიერად. წარმომადგენლობას შეუძლია გააგზავნოს თავისი ერთ-ერთი თანამშრომელი, რათა უშუალოდ და დაუბრკოლებლად მიიღოს დიპლომატიური ფოსტა თვითმფრინავის მეთაურისაგან.

მ უ ხ ლ ი 28.

ფულადი გასამრჯელოები და მოსაკრებლები, რომლებსაც წარმომადგენლობა თავის ოფიციალურ მოვალეობათა შესრულებისას იღებს, თავისუფლდება ყველა გადასახადისაგან, მოსაკრებლისა და საბაჟოსაგან.

მ უ ხ ლ ი 29.

დიპლომატიური აგენტის პიროვნება ხელშეუხებელია. იგი არ ექვემდებარება დაპატიმრებას ან დაკავებას ნებისმიერი ფორმით. სახელმწიფო, სადაც წარმომადგენლობა იმ-

ყოფება, ვალდებულია საჭირო პატივისცემით ეპყრობოდეს მას და ყველა შესაბამისი ზომა მიიღოს, რათა თავიდან იქნას აცილებული მისი პიროვნების, თავისუფლებისა და ღირსების რაიმე ხელყოფა.

მ უ ხ ლ ი 30.

1. დიპლომატიური აგენტის კერძო რეზიდენცია ისევე ხელშეუხებელი და დაცულია, როგორც წარმომადგენლობის შენობა.

2. მისი ქაღალდები, კორესპონდენცია და ქონება, 31-ე მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნული გამონაკლისებით, თანაბრად ხელშეუხებელია.

მ უ ხ ლ ი 31.

1. დიპლომატიური აგენტი სარგებლობს იმუნიტეტით იმ სახელმწიფოს სისხლის სამართლის იურისდიქციისაგან, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, იგი სარგებლობს აგრეთვე იმუნიტეტით სამოქალაქო და ადმინისტრაციული იურისდიქციისაგან, გარდა:

a) ქონებრივი სარჩელებისა, რომლებიც შეეხება იმ სახელმწიფოს კერძო უძრავ ქონებას, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, თუ იგი არ ფლობს მათ დამკრედიტებელი სახელმწიფოს სახელით წარმომადგენლობის მიზნებისათვის;

b) მემკვიდრეობასთან დაკავშირებული სარჩელებისა, რომელთა მიმართაც დიპლომატიური აგენტი გამოდის ანდერძის შემსრულებლად, სამემკვიდრეო ქონების ზედამხედველად, მემკვიდრედ, როგორც კერძო პირი და არა დამკრედიტებელი სახელმწიფოს წარმომადგენელი.

c) სარჩელებისა, რომლებიც ეხება ნებისმიერ პროფესიულ თუ კომერციულ საქმიანობას, რომელსაც დიპლომატიური აგენტი ახორციელებს თავის ოფიციალურ ფუნქციათა გარდა სახელმწიფოში, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება;

2. დიპლომატიური აგენტი ვალდებული არ არის ჩვენება მისცეს, როგორც მოწმემ.

3. არავითარი აღმასრულებელი ღონისძიებები არ გამოიყენება დიპლომატიური აგენტის მიმართ, იმ შემთხვევების

გარდა, რომლებსაც ითვალისწინებს ამ მუხლის "a" "b" და "c" პუნქტები და მხოლოდ იმ პირობით, რომ შესაბამისი ღონისძიებები შეიძლება გატარდეს მისი პიროვნებისა და რეზიდენციის ხელშეუხებლობის დაურღვევლად.

4. დიპლომატიური აგენტის იმუნიტეტი იმ სახელმწიფოს იურისდიქციისაგან, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, არ ათავისუფლებს მას დამკრედიტებელი სახელმწიფოს იურისდიქციისაგან.

მ უ ხ ლ ი 32.

1. დამკრედიტებელ სახელმწიფოს შეუძლია უარი თქვას იურისდიქციისაგან დიპლომატიური აგენტებისა და იმ პირების იმუნიტეტზე, რომლებიც სარგებლობენ იმუნიტეტით 37-ე მუხლის თანახმად.

2. უარი ყოველთვის გარკვევით უნდა იყოს გამოხატული.

3. საქმის აღძვრა დიპლომატიური აგენტის მიერ ან იმ პირის მიერ, ვინც 37-ე მუხლის თანახმად სარგებლობს იმუნიტეტით იურისდიქციისაგან, უფლებას ართმევს მას მიუთითოს იმუნიტეტზე ძირითად სარჩელთან უშუალოდ დაკავშირებული შემხვედრი სარჩელების მიმართ.

4. უარი იმუნიტეტზე იურისდიქციისაგან სამოქალაქო ან ადმინისტრაციულ საქმესთან დაკავშირებით არ ნიშნავს უარს იმუნიტეტზე გადაწყვეტილების შესრულებასთან დაკავშირებით, რისთვისაც საჭიროა განსაკუთრებული უარი.

მ უ ხ ლ ი 33.

1. ამ მუხლის მე-3 პუნქტის დებულებების დაცვისას, სოციალური უზრუნველყოფის შესახებ იმ სახელმწიფოში მოქმედი დადგენილებები, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება არ ვრცელდება დიპლომატიურ აგენტზე იმ მომსახურეობასთან დაკავშირებით, რომელსაც ის უწევს დამკრედიტებელ სახელმწიფოს.

2. ამ მუხლის I პუნქტში გათვალისწინებული დებულება, ვრცელდება აგრეთვე შინამოსამსახურეებზე, რომლებიც მსახურობენ მხოლოდ დიპლომატიურ აგენტებთან იმ პირობით, რომ

a) ისინი არ წარმოადგენენ იმ სახელმწიფოს მოქალაქეებს, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება ან მუდმივად არ ცხოვრობენ იქ;

b) მათზე არ ვრცელდება დადგენილებები სოციალური უზრუნველყოფის შესახებ, რომლებიც დამკრედიტებელ სახელმწიფოში მოქმედებს.

3. დიპლომატიური აგენტი, რომელიც დაიქირავებს პირებს, რომლებზეც ამ მუხლის მე-2 პუნქტის დებულება არ ვრცელდება, უნდა ასრულებდეს სამუშაოს მიმცემზე სოციალური უზრუნველყოფის შესახებ იმ სახელმწიფოში მოქმედი დადგენილებებით დაკისრებულ მოვალეობებს, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება.

4. ამ მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებში გათვალისწინებული დებულებები არ ეწინააღმდეგება იმ სახელმწიფოს სოციალური უზრუნველყოფის სისტემაში ნებაყოფლობით მონაწილეობას, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება იმ პირობით, თუ ასეთი მონაწილეობა დაშვებულია ამ სახელმწიფოს მიერ.

ამ მუხლის დებულებები არ ეხება ადრე დადებულ ორმხრივ ან მრავალმხრივ შეთანხმებებს სოციალური უზრუნველყოფის შესახებ და არ ეწინააღმდეგება ასეთ შეთანხმებათა დადებას მომავალში.

მ უ ხ ლ ი 34.

დიპლომატიური აგენტი თავისუფლდება ყველა სახელმწიფო, რაიონული და მუნიციპალური გადასახადისაგან, მოსაკრებლისა და ბაჟისაგან, გარდა:

a) ირიბი გადასახადებისა, რომლებიც ჩვეულებრივ შედის საქონლის ან მომსახურეობის საფასურში;

b) იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე მდებარე კერძო უძრავ ქონებაზე დაწესებული მოსაკრებლებისა და გადასახადებისა, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, თუ იგი არ ფლობს მათ დამკრედიტებელი სახელმწიფოს სახელით წარმომადგენლობის მიზნებისათვის.

c) სამემკვიდრეო გადასახადისა და სამემკვიდრეო ბაჟისა, რომელსაც იღებს სახელმწიფო, სადაც წარმომადგენ-

ლობა იმყოფება, გამონაკლისებით, რომლებიც გათვალისწინებულია 39-ე მუხლის მე-4 პუნქტში;

d) კერძო შემოსავალზე დაწესებული მოსაკრებლებისა და გადასახადებისა, რომელთა წყაროც მდებარეობს სახელმწიფოში, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, და ამ სახელმწიფოში არსებულ კომერციულ დაწესებულებებში კაპიტალდაბანდებებზე დაწესებული გადასახადებისა;

e) მოსაკრებლებისა, რომლებიც გადაიხდება კონკრეტული სახის მომსახურეობათა გამო;

f) უძრავ ქონებასთან დაკავშირებული სარეგისტრაციო, სასამართლო და სარეესტრო ბაჟებისა, საიპოთეკო და საგერბო მოსაკრებლებისა, იმ გამონაკლისებით, რომლებსაც 23-ე მუხლი ითვალისწინებს.

მ უ ხ ლ ი 35.

სახელმწიფო, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, ვალდებულია გაათავისუფლოს დიპლომატიური აგენტები ყველა შრომითი და სახელმწიფო ბეგარისაგან, მათი ხასიათისდა მიუხედავად, აგრეთვე ისეთი სამხედრო ბეგარისაგან, როგორიც არის რეკვიზიცია, კონტრიბუცია და ჯარის ჩაყენება.

მ უ ხ ლ ი 36.

1. სახელმწიფო, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, მის მიერ მიღებული კანონებისა და წესების შესაბამისად, შეზიდვის ნებას რთავს და ათავისუფლებს ყველა სახის ბაჟის, გადასახადისა და მათთან დაკავშირებული მოსაკრებლებისაგან, გარდა სასაწყობო მოსაკრებლებისა, გადაზიდვაზე და სხვა ამგვარ მომსახურებაზე დაწესებული მოსაკრებლებისა;

a) საგნებს, რომელიც გათვალისწინებულია წარმომადგენლობის ოფიციალური სარგებლობისათვის;

b) საგნებს, რომელიც გათვალისწინებულია დიპლომატიური აგენტის ან მასთან ერთად მცხოვრები მისი ოჯახის წევრის პირადი სარგებლობისათვის, მათი მოწყობისათვის საჭირო ნივთების ჩათვლით.

2. დიპლომატიური აგენტის პირადი ბარგი თავისუფლდება გასინჯვისაგან, თუ არ არსებობს სერიოზული საფუძველი იმისა, რომ იგი შეიცავს ნივთებს, რომლებზეც არ ვრცელდება ამ მუხლის პირველ პუნქტში მოხსენებული გამონაკლისები. ამ საგნებს, რომელთა შეზიდვა ან გამოზიდვა კანონით აკრძალულია ან რეგულირდება საკარანტინო წესებით სახელმწიფოს მიერ, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება. ასეთი გასინჯვა უნდა ხდებოდეს მხოლოდ დიპლომატიური აგენტის ან მისი უფლებამოსილი რწმუნებულის თანდასწრებით.

მ უ ხ ლ ი 37.

1. დიპლომატიური აგენტის ოჯახის წევრები, რომლებიც მასთან ერთად ცხოვრობენ, სარგებლობენ 29-36 მუხლებში აღნიშნული პრივილეგიებით და იმუნიტეტებით, თუ ისინი არ წარმოადგენენ იმ სახელმწიფოს მოქალაქეებს, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება.

2. წარმომადგენლობის ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის წევრები და მათი ოჯახის წევრები, რომლებიც მათთან ერთად ცხოვრობენ, სარგებლობენ 29-35 მუხლებში აღნიშნული პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით, თუ ისინი არ წარმოადგენენ იმ სახელმწიფოს მოქალაქეებს, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება ან მუდმივად არ ცხოვრობენ იქ, იმ გამონაკლისით, რომ იმუნიტეტი ამ სახელმწიფოს სამოქალაქო და ადმინისტრაციული იურისდიქციის მიმართ, რომელიც მითითებულია 32-ე მუხლის პირველ პუნქტში, არ ვრცელდება მათ მიერ არასამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებისას ჩადენილ მოქმედებაზე. ისინი სარგებლობენ აგრეთვე 36-ე მუხლის პირველ პუნქტში მითითებული პრივილეგიებით მოწყობისათვის აუცილებელ საგნებთან დაკავშირებით.

3. წარმომადგენლობის მომსახურე პერსონალის წევრები, რომლებიც არ არიან იმ სახელმწიფოს მოქალაქენი, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება ან იქ მუდმივად არ ცხოვრობენ, სარგებლობენ იმუნიტეტით თავიანთ მოვალეობების შესრულებისას და თავისუფლდებიან გადასახადებისაგან, მოსაკრებლებისა და ბაჟებისაგან სამსახურებრივი მოვალეობისათვის მიღებულ გასამრჯელოზე. მათზე ვრცელდება აგრეთვე 33-ე მუხლში აღნიშნული შეღავათები.

4. წარმომადგენლობის თანამშრომელთა შინამოსამსახურენი, თუ ისინი არ წარმოადგენენ იმ სახელმწიფოს მოქალაქეებს, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება ანდა მუდმივად არ ცხოვრობენ იქ, თავისუფლდებიან გადასახადებისაგან, მოსაკრებლებისა და ბაჟებისაგან თავიანთი სამუშაოს შესრულებისათვის მიღებულ გასამრჯელოზე. სხვა მხრივ ისინი სარგებლობენ პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს დაშვებულია სახელმწიფოს მიერ, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება; მაგრამ სახელმწიფომ, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, უნდა განახორციელოს თავისი იურისდიქცია იმ პირების მიმართ ისე, რომ შესაბამისად არ ჩაერიოს წარმომადგენლობის ფუნქციების განხორციელებაში.

მ უ ხ ლ ი 38.

1. დამატებითი პრივილეგიებისა და იმუნიტეტების გარდა, რომლებიც შეიძლება მიანიჭოს სახელმწიფომ, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, ამ სახელმწიფოს მოქალაქეობის მქონე ან იქ მუდმივად მცხოვრებ დიპლომატიურ აგენტს, იგი სარგებლობს იურისდიქციის მიმართ იმუნიტეტით და ხელშეუხებლობით მხოლოდ თავისი სამსახურებრივი ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებული ოფიციალური მოქმედებების შესრულებისას.

2. წარმომადგენლობის სხვა წევრები და შინა მოსამსახურენი, რომლებიც იმ სახელმწიფოს მოქალაქეები არიან, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება ან მუდმივად ცხოვრობენ იქ, სარგებლობენ პრივილეგიებით და იმუნიტეტებით მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ამას უშვებს სახელმწიფო, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება; მაგრამ ამ სახელმწიფომ უნდა განახორციელოს იურისდიქცია ასეთი პირების მიმართ ისე, რომ დაუშვებელი წესით არ ჩაერიოს წარმომადგენლობის ფუნქციების განხორციელებაში.

მ უ ხ ლ ი 39.

1. ყოველი პირი, რომელსაც პრივილეგიებისა და იმუნიტეტების უფლება აქვს, სარგებლობს ამით იმ მომენტიდან, როდესაც იგი თავისი პოსტის დაკავების მიზნით შედის სა-

ხელმწიფო ტერიტორიაზე, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება ან თუ იგი არის უკვე ამ ტერიტორიაზე, იმ მომენტიდან, როდესაც მისი დანიშვნა ეცნობება საგარეო საქმეთა სამინისტროს ან სხვა სამინისტროს, რომლის შესახებაც შეთანხმება არსებობს.

2. თუ მთავრდება იმ პირის ფუნქციები, რომელიც პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით სარგებლობს, ეს პრივილეგიები და იმუნიტეტები ნორმალურად წყდება იმ მომენტში, როდესაც იგი ტოვებს ქვეყანას ან ამისათვის საჭირო რაციონალური ვადის გასვლის შემდეგ, მაგრამ განაგრძობენ არსებობას შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაშიც კი. თუ ასეთი პირი, როგორც წარმომადგენლობის თანამშრომელი განაგრძობს თავისი ფუნქციების შესრულებას, იმუნიტეტი განაგრძობს არსებობას მის მოქმედებათა მიმართ.

3. თანამშრომლის სიკვდილის შემთხვევაში მისი ოჯახის წევრები განაგრძობენ სარგებლობას პრივილეგიებით და იმუნიტეტებით, რომლის უფლებებიც აქვთ, რაციონალური ვადის გასვლამდე, რომელიც საჭიროა ამ ქვეყნის დასატოვებლად, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება.

4. წარმომადგენლობის თანამშრომლის სიკვდილის შემთხვევაში, რომელიც არ იყო იმ სახელმწიფოს მოქალაქე, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება ან არ ცხოვრობდა იქ მუდმივად, ანდა მისი ოჯახის წევრის სიკვდილის შემთხვევაში, რომელიც მასთან ერთად ცხოვრობდა, სახელმწიფომ სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, უნდა დართოს ნება გარდაცვლილის მოძრავი ქონების გატანაზე, იმ ქონების გარდა, რომელიც შეძენილი იყო ამ ქვეყანაში და რომლის გატანაც აკრძალულია მისი სიკვდილის დროისთვის. სამემკვიდრეო გადასახადი და ბაჟი მემკვიდრეობის მიღებაზე არ გადაიხდება მოძრავ ქონებაზე, რომლის არსებობაც სახელმწიფოში, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება განპირობებულია მხოლოდ და მხოლოდ გარდაცვლილის, როგორც წარმომადგენლობის თანამშრომლის ან წარმომადგენლის ოჯახის წევრის ამ სახელმწიფოში ყოფნით.

მ უ ხ ლ ი 40.

1. თუ დიპლომატიური აგენტი გაივლის მესამე სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რომელმაც მას ვიზა მისცა, თუკი ასეთი საჭიროა, ან იმყოფება ამ ტერიტორიაზე თავისი პოსტის დასაკავებლად მგზავრობისას ან დაბრუნებისას ამ პოსტზე ან თავის ქვეყანაში, ეს მესამე სახელმწიფო უზრუნველყოფს მის ხელშეუხებლობას და სხვა ისეთ იმუნიტეტებს, რომლებიც შესაძლოა საჭირო გახდეს მის გასამგზავრებლად ან დასაბრუნებლად. ეს ეხება აგრეთვე მისი ოჯახის ნებისმიერ წევრს, რომელიც სარგებლობს ყველა პრივილეგიითა და იმუნიტეტით და თან ახლავს დიპლომატიურ აგენტს ან მიემგზავრება ცალკე, რათა შეუერთდეს მას ან დაბრუნდეს თავის ქვეყანაში.

2. იმ პირობებში, რომლებიც მითითებულია ამ მუხლის პირველ პუნქტში, მესამე სახელმწიფო არ უნდა აბრკოლებდეს წარმომადგენლობათა ადმინისტრაციულ-ტექნიკური და მომსახურე პერსონალისა და მათი ოჯახის წევრების მგზავრობას.

3. მესამე სახელმწიფო ოფიციალური კორესპონდენციებისა და სხვა ოფიციალური ცნობების ტრანზიტით გადატანისას, კოდირებული და დაშიფრული დეპეშების ჩათვლით უნდა უზრუნველყოფდეს მას იმავე თავისუფლებითა და დაცვით, რითაც სახელმწიფო სადაც წარმომადგენლობა იმყოფება.

4. მესამე სახელმწიფოს მოვალეობანი, რომლებიც გათვალისწინებულია ამ მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებში, ვრცელდება აგრეთვე ამ პუნქტებში მოხსენიებულ იმ პირებზე და ოფიციალურ ცნობებსა და დიპლომატიურ ფოსტაზე, რომელთა ყოფნა მესამე სახელმწიფოს ტერიტორიაზე გამოწვეულია ფორს-მაჟორული[1] ვითარებით.

მ უ ხ ლ ი 41.

1. ყველა პირი, რომელიც სარგებლობს პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით, ვალდებულია ამ პრივილეგიებისა და

---

[1] force majeure (ფრანგ.) — საგანგებო მდგომარეობა, შემთხვევა, რაც არ შეიძლება გათვალისწინებული ყოფილიყო ან თავიდან აცილებულიყო რაიმე ღონისძიებით.

იმუნიტეტების ზიანის მიუყენებლად პატივს სცემდეს იმ სახელმწიფოს კანონებსა და დადგენილებებს, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება. ისინი ვალდებულნი არიან აგრეთვე არ ჩაერიონ ამ სახელმწიფოს საშინაო საქმეებში.

2. ყველა ოფიციალურ საქმეს, რომელსაც დამკრედიტებელი სახელმწიფო ანდობს წარმომადგენლობას, იგი აწარმოებს იმ სახელმწიფოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება ან ამ სამინისტროს მეშვეობით, ან სხვა სამინისტროსთან, რომლის შესახებაც შეთანხმება არსებობს, ან სხვა სამინისტროს მეშვეობით.

3. წარმომადგენლობის შენობები არ უნდა გამოიყენებოდეს წარმომადგენლობის იმ ფუნქციებთან შეუთავსებელი მიზნებისათვის, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კონვენციით ან ზოგადი საერთაშორისო სამართლის სხვა ნორმებით ან რაიმე სპეციალური შეთანხმებით, რომლებიც მოქმედებენ დამკრედიტებელ სახელმწიფოსა და იმ სახელმწიფოს შორის, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება.

მ უ ხ ლ ი 42.

დიპლომატიური აგენტი არ უნდა ეწეოდეს სახელმწიფოში, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, პროფესიულ ან კომერციულ საქმიანობას პირადი გამორჩენის მიზნით.

მ უ ხ ლ ი 43.

დიპლომატიური აგენტის ფუნქციები წყდება:

a) მას შემდეგ, რაც დამკრედიტებელი სახელმწიფო აცნობებს სახელმწიფოს, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, რომ დიპლომატიური აგენტის ფუნქციები შეწყვეტილია;

b) მას შემდეგ, რაც დამკრედიტებელი სახელმწიფო აცნობებს სახელმწიფოს, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, რომ მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად იგი უარს ამბობს ცნოს დიპლომატიური აგენტი წარმომადგენლობის თანამშრომლად.

მ უ ხ ლ ი 44.

სახელმწიფომ, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაშიც კი საჭირო დახ-

მარება უნდა აღმოუჩინოს პირებს, რომლებიც პრივილეგიებით და იმუნიტეტებით სარგებლობენ, არ არიან ამ სახელმწიფოს მოქალაქეები და ასეთი პირების ოჯახის წევრებს მოქალაქეობის მიუხედავად, რაც შეიძლება სწრაფი გამგზავრების მიზნით. საჭიროების შემთხვევაში მათ განკარგულებაში უნდა გადასცეს გადასაზიდი საშუალებები მათთვის და მათი ქონებისათვის.

მ უ ხ ლ ი 45.

ორ სახელმწიფოს შორის დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტის შემთხვევაში წარმომადგენლობის დროებით ან საბოლოოდ გაწვევისას:

a) სახელმწიფო, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, პატივს უნდა სცემდეს და იცავდეს წარმომადგენლობის შენობებს მისი ქონებითა და არქივებით, შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაშიც კი;

b) დამკრედიტებელ სახელმწიფოს შეუძლია თავისი შენობების დაცვა (ქონებისა და არქივების ჩათვლით) ანდოს მესამე სახელმწიფოს, რომელიც მისაღებია სახელმწიფოსათვის, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება;

c) დამკრედიტებელ სახელმწიფოს შეუძლია თავისი ინტერესებისა და საკუთარ მოქალაქეთა ინტერესების დაცვა ანდოს მესამე სახელმწიფოს, რომელიც მისაღებია სახელმწიფოსათვის, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება.

მ უ ხ ლ ი 46.

დამკრედიტებელ სახელმწიფოს შეუძლია მესამე სახელმწიფოს თხოვნით, რომელიც წარდგენილი არ არის სახელმწიფოში, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, და ამ უკანასკნელის წინასწარი თანხმობით, თავის თავზე აიღოს ამ მესამე სახელმწიფოსა და მის მოქალაქეთა ინტერესების დროებითი დაცვა.

მ უ ხ ლ ი 47.

1. ამ კონვენციის დებულებათა გამოყენებისას სახელმწიფომ, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, არ უნდა გააატაროს დისკრიმინაცია სახელმწიფოთა შორის.

2. დისკრიმინაციად არ ჩაითვლება:

a) თუ სახელმწიფო, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, ამ კონვენციის რომელიმე დებულებას იყენებს შემზღუდველად იმის გამო, რომ ეს დებულება შემზღუდველად არის გამოყენებული მისი წარმომადგენლობის მიმართ დამკრედიტებელ სახელმწიფოში;

b) თუ სახელმწიფოს ჩვეულებათა ან სახელმწიფოთა შორის შეთანხმების თანახმად ისინი ერთმანეთს უფრო კეთილსასურველ რეჟიმს შესთავაზებენ, ვიდრე ამ კონვენციის დებულებები მოითხოვს.

მ უ ხ ლ ი 48.

ეს კონვენცია ხელმოსაწერად ღიაა გაეროიანებული ერების ორგანიზაციის წევრ ყველა სახელმწიფოსათვის ან სპეციალიზებული დაწესებულებისათვის, სახელმწიფოსათვის, რომლებიც საერთაშორისო სასამართლოს სტატუსის წევრები არიან, აგრეთვე სხვა ნებისმიერ სახელმწიფოსათვის, რომელთაც გაერთიანებული ერების ორგანიზაცია იწვევს გახდნენ კონვენციის მონაწილენი: 1961 წლის 31 ოქტომბრამდე ავსტრიის საგარეო საქმეთა ფედერალურ სამინისტროში, ხოლო შემდეგ 1962 წლის 31 მარტამდე, -გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ცენტრალურ დაწესებულებებში ნიუ-იორკში.

მ უ ხ ლ ი 49.

ეს კონვენცია შეიძლება რატიფიცირებული იქნეს. სარატიფიკაციო სიგელები შესანახად ბარდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

მ უ ხ ლ ი 50.

ამ კონვენციას შეიძლება შეუერთდეს ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც განეკუთვნება 48-ე მუხლში ჩამოთვლილ ერთ-ერთ კატეგორიას. აქტები შეერთების შესახებ შესანახად ბარდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

მ უ ხ ლ ი 51.

1. ეს კონვენცია ძალაში შედის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისათვის ოცდამეორე სარატიფიკაციო სიგელის ან შეერთების შესახებ აქტის გადაცემის ოცდამეათე დღეს.

2. ყოველი სახელმწიფოს მიმართ, რომელიც კონვენციის რატიფიკაციას ახდენს ან უერთდება მას ოცდამეორე სარატიფიკაციო სიგელის ან შეერთების შესახებ სიგელის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მდივნისათვის შესანახად გადაცემის შემდეგ, კონვენცია ძალაში შედის ამ სახელმწიფოს მიერ თავისი სარატიფიკაციო სიგელის ან შეერთების შესახებ აქტის შესანახად გადაცემის ოცდამეათე დღეს.

მ უ ხ ლ ი 52.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი აცნობებს ყველა სახელმწიფოს, რომელიც 48-ე მუხლში ჩამოთვლილი ოთხი კატეგორიიდან ერთ-ერთს განეკუთვნება:

a) ამ კონვენციისა და სარატიფიკაციო სიგელების ან შეერთების შესახებ აქტების ხელმოწერის შესახებ 48-ე, 49-ე და 50-ე მუხლების შესაბამისად.

b) ამ კონვენციის ძალაში შესვლის შესახებ 51-ე მუხლის შესაბამისად.

მ უ ხ ლ ი 53.

ამ კონვენციის დედანი, რომლის ტექსტები რუსულ, ინგლისურ, ესპანურ, ჩინურ და ფრანგულ ენებზე თანაბრად ავთენტურია, ბარდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, რომელიც მის დამოწმებულ ასლებს უგზავნის ყველა სახელმწიფოს, რომლის კატეგორიაც 48-ე მუხლში ჩამოთვლილი ოთხი კატეგორიიდან ერთერთს განეკუთვნება, რის დასამტკიცებლადაც ქვემორე ხელის მომწერებმა, რომელნიც შესაბამისი წესით არიან უფლებამოსილნი, ხელი მოაწერეს ამ კონვენციას.

შესრულებულია ვენაში ათას ცხრაას სამოცდაერთი წლის თვრამეტ აპრილს.

(პირველი დიპლომატები ანგელოზები იყვნენ.

აგვარებდნენ ურთიერთობებს ღმერთებსა და ადამიანებს, ცასა და დედამიწას შორის.

ბუნებრივია, ეს მითია და არა მეცნიერულად დასაბუთებული მოსაზრება. სიმბოლური და მრავლისმთქმელი მითი.

დიპლომატია, როგორც საქმე, ადამიანებსა და სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების მოწესრიგების ხელოვნება, უხსოვარი დროიდან არსებობს.

არსებობს მას შემდეგ, რაც გაჩნდა კაცობრიობა.

პროფესიონალური დიპლომატია ცივილიზაციასთან ერთად მუდმივად ვითარდება, იხვეწება.

იძენს ახალ ფორმებს:

იყენებს ახალ საშუალებებს.

პასუხობს ახალ გამოწვევებს.

რეაგირებს ახალ სიტუაციებზე.)

საუკუნეების განმავლობაში სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების, მსოფლიო წესრიგის, გეოპოლიტიკური ინტერესების ცვლილებების პარალელურად დიპლომატიაც ახალ დატვირთვას იძენდა. მუდმივი და თვისებრივი განახლების პროცესში იყო დიპლომატთა პროფესიონალური არსენალიც.

ასეა დღესაც.

ის, რაც გუშინ და გუშინწინ დიპლომატიური საქმიანობისათვის აუცილებელი გახლდათ, დღეს პირობითობად იქცა და შეიძლება ატავიზმად, ბანალობად გამოიყურებოდეს, უკუშედეგს იძლეოდეს. რა თქმა უნდა, ეს არ ეხება დიპლომატიის, როგორც პროფესიონალური პროცესის მთავარ, საბაზისო, ფუნდამენტურ კონსტრუქციებს, ძირითად და უცვლელ პრინციპებს, მზიდ კედლებს. ეს პრინციპები მუდმივია და სწორედ ამ მუდმივობის დღეევანდელობასთან ეფექტურ და ბუნებრივ მისადაგებაშია 21-ე საუკუნის პროფესიული დიპლომატიის წარმატების საფუძველი. წარმატებული და შედეგიანი დიპლომატიის გარეშე კი არ არსებობდა მშვიდობა და ნორმალური სახელმწიფოთაშორისი ეკონომი-

კური თუ პოლიტიკური ურთიერთობების არანაირი შანსი არცერთ საუკუნეში, კაცობრიობის განვითარების არცერთ ეტაპზე.

(საზოგადოდ გავრცელებულია საფუძველს მოკლებული, დილეტანტური თვალსაზრისი თითქოს დიპლომატია გულისხმობდა და გულისხმობს ლამაზად შეფუთული და დამაჯერებლად მიწოდებული სიცრუის ხელოვნებას. არაფერი არ დგას თავისი არსით სინამდვილისაგან ისე შორს, როგორც ეს მოარული გამოთქმა.) ის, ვინც ოდნავ მაინც იცნობს მსოფლიოს პოლიტიკურ ისტორიას, სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებს, გნებავთ ომებისა და მშვიდობის, ქვეყნებისა და ხალხების დაპყრობებისა და განთავისუფლების ანალებს ალბათ დაგვეთანხმება, რომ პროფესიული დიპლომატიური საქმიანობა სწორედ საპირისპიროს გულისხმობს. სიმართლე, პატიოსნება, პარტნიორების ინტერესების გათვალისწინება ყოველთვის გახლდათ დიპლომატიურ ასპარეზზე წარმატების საწინდარი. ამას სრულიად მარტივი, ადამიანური ლოგიკა უდევს საფუძვლად. გასაოცარია იმდენად წააგავს ურთიერთობები დიდ პოლიტიკაში და სახელმწიფოებს შორის სრულიად უბრალო, ადამიანურ ურთიერთობებს. დიდ პოლიტიკასაც ადამიანები ქმნიან და აქაც ისევე მოქმედებს ადამიანური ინსტინქტები, როგორც ჩვენს ირგვლივ ყოველდღიურ ცხოვრებასა და საქმიანობაში, ჩვენს ურთიერთობებში. დიდ პოლიტიკაშიც ისევე ფასობს სიმართლე, პატიოსნება, ანგარიშგაწევა, ზრდილობა, რეალური ინტერესი, როგორც ყოფით ადამიანურ ურთიერთობებში. დიდ პოლიტიკაშიც ისევე განიხილება სიცრუე, ფლიდობა, უწესობა, არარეალური ინტერესი, სიტყვის გატეხა, როგორც უბრალო ადამიანურ კონტაქტებში. სახელმწიფოებს შორის კონტაქტებსა და ურთიერთობებს სწორედ დიპლომატები ახორციელებენ და შესაბამისად სწორედ ქვეყნისა და სახელმწიფოს სახელით მოლაპარაკე პოლიტიკურ ოფიცერს მოეთხოვება ზედმიწევნითი სიმართლე, პატიოსნება, ნათქვამი სიტყვის შესრულება და საკუთარი და პარტნიორის ღირსებისა და ინტერესის დაცვა. სხვა შემთხვევაში მყისიერად, უმალ იკარგება ავტორიტეტი. არა ცალკეული დიპლომატის, არამედ მთლიანად ქვეყნის, რაც

დაუშვებელია და უმძიმესი სამსახურეობრივი დანაშაულის ტოლფასი გახლავთ.

მეოცე საუკუნის მიწურულს, მას შემდეგ რაც საქართველომ დამოუკიდებლობა კვლავ მოიპოვა, მიმდინარეობს საერთაშორისო არენაზე ქართული ეროვნული და სახელმწიფოებრივი ხელახალი თვითდამკვიდრების უაქტიურესი პროცესი.

უაღრესად საინტერესო.

ფრიად რთული.

მსოფლიო მოწყობა და წესრიგი, გეოპოლიტიკა და გეოსტრატეგია, დიდ და პატარა სახელმწიფოთა ინტერესები, კალეიდოსკოპური სისწრაფით განიცდის რევიზიას, იცვლება თვისებრივად, ყალიბდება ხარისხობრივად. ყოველ ახალ წელიწადს საერთაშორისო ურთიერთობებში ახალი გლობალური და რეგიონალური გამოწვევები, ახლებური ამოცანები მოაქვს. მიმდინარეობს დიდ სახელმწიფოთა ინტერესების ხელახალი დაბალანსება. მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან ორმხრივის პარალელურად სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს მრავალმხრივი დიპლომატია. უამრავი პრინციპული, რთული, წინააღმდეგობრივი პრობლემა თანხმდება დედაქალაქებში და წყდება საერთაშორისო ორგანიზაციებში. ის, რაც ორმოცდაათი და გნებავთ ოცი წლის წინ ორ სახელმწიფოს შორის მოლაპარაკებით შეიძლება მოგვარებულიყო, დღეს ფაქტობრივად მთელი კონტინენტის ფარგლებში შეთანხმებას საჭიროებს. საოცრად გაიზარდა საერთაშორისო პოლიტიკის ტემპი, მოვლენათა დინამიკა, პრობლემების სირთულე.

ამ მღელვარე მსოფლიოში ჩვენს სამშობლოს თავისი კონკრეტული ამოცანები აქვს გადასაჭრელი.

პოლიტიკური და ეკონომიკური.

საჭიროა საკუთარი, ღირსეული ადგილის დაკავება 21-ე საუკუნის მსოფლიო და რეგიონალურ სისტემაში. საქართველო მთელს ცივილიზებულ მსოფლიოსთან ერთად ეფექტურად და ადექვატურად უნდა პასუხობდეს თანამედროვე გამოწვევებს. სასწრაფოდაა მოსაგვარებელი გარედან ინსპირირებული და სახელმწიფოს შიგნით არსებული კონფლიქტები და პრობლემის გადაჭრის შემდეგ ყოფილი კონფლიქ-

ტური რეგიონების სახელმწიფოში ინტეგრირება. პოლიტიკურად და ეკონომიკურად. ურთულესი ამოცანაა გლობალიზაციის ეპოქის მსოფლიო ეკონომიკური ინფრასტრუქტურისათვის საკუთარი ინტერესების მისადაგება (იზოლირებულად კაცობრიობის ისტორიაში არცერთი სახელმწიფო არ განვითარებულა და ურთიერთსასარგებლო თანაქმედების, თანამშრომლობის პრინციპი უბრალოდ გადამწყვეტია დღევანდელ სიტუაციებში) და თანაც გარემომცველი მსოფლიოსა თუ რეგიონის რეალური ინტერესების გათვალისწინებით.

ყველა ამ მიზნის მიღწევა სახელმწიფოსათვის სახელმწიფოსვე შიგნით რესურსების კონსოლიდაციას, პერსპექტივაში აზროვნების ხელშეწყობას, სახელმწიფო ინსტიტუტების უაღრესად ეფექტურ ძალისხმევას მოითხოვს. თანამედროვე მსოფლიოში სახელმწიფო (მიუხედავად იმისა დიდია თუ პატარა ესა თუ ის ქვეყანა) როული, მრავალწახნაგოვანი მექანიზმია. მუდმივად განვითარებადი. (ასევე მუდმივად განვითარებადია ყველა დროისა და ყველა სახელმწიფოს ეფექტური იარაღიც – პროფესიონალური დიპლომატია.

მარტივი პროფესია არ არსებობს.

როულია დიპლომატიაც.)

დიპლომატია ერთსა და იმავე დროს მოითხოვს ქრესტომათიული პროფესიული კანონების უცილობელ მორჩილებას და საჭირო შემთხვევაში შემოქმედებითი, ჩარჩოებიდან გასული აზროვნების აუცილებლობას. ისევე როგორც ყველა პროფესიას, დიპლომატიასაც აქვს თავისი საიდუმლოებები, დაუწერელი კანონები, რისი ცოდნაც აუცილებელია. იშვიათია მეორე სხვა პროფესია იმდენად დაფუძნებული პიროვნულ თვისებებზე, შინაგან პატიოსნებაზე, ბუნებრივ ინტელექტზე, კრიტიკულ მომენტებში სწორი გადაწყვეტილებების მიღების უნარზე, როგორც დიპლომატია.

(დღევანდელ მსოფლიოში ძალიან გაიზარდა პროფესიონალი დიპლომატისათვის აუცილებელი მოთხოვნები. დღეს დიპლომატის საქმიანობა სწრაფ და კონკრეტულ შედეგზეა ორიენტირებული. წარმოიდგინეთ თუნდაც კონკრეტული, ყოველდღიური რუტინა. მარტო დოკუმენტის უამრავი სახეობა არსებობს – ვერბალური ნოტა, პირადი ნოტა, ნახევრად ოფიციალური წერილი, დიპლომატიური ჩანაწერი, მე-

მორანდუმი, შიდა სამინისტროს განცხადება, საინფორმაციო ცნობა, პოლიტიკური წერილი, პოლიტიკური დეპეშა და ვინ მოთვლის კიდევ რამდენი. ცალკე თემაა დიპლომატიური საუბრების ძირითადი კატეგორიები და ფორმები, პარტნიორის მოსმენის, მთავარისა და მეორეხარისხოვნის გამიჯვნის ტექნიკა და უნარი იმ დროს, როდესაც თითქოსდა მეორეხარისხოვანშია სწორედ მთავარი. პირველი საუბრის სრულიად საგანგებო სპეციფიკა და სხვა.

ამ წიგნის დაწერა შემთხვევით არ გადაგვიწყვეტია.

შევეცადეთ თავი მოგვეყარა მრავალი წლის განმავლობაში აქტიური დიპლომატიური საქმიანობის დროს დაგროვილი გამოცდილებისათვის.

შესაბამისად ეს წიგნი განკუთვნილია მათთვის, ვისაც მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი სამშობლოს ემსახუროს ისე, როგორც ეს ეკადრება 21-ე საუკუნეს, ანუ პროფესიონალურად, მაღალ დონეზე. დღეს, ისე როგორც არასდროს გახლავთ პროფესიონალიზმი და საქმის რეალურად ცოდნა აუცილებელი.

ისე როგორც არასდროს.

საქართველოს დღევანდელობა და მითუმეტეს მომავალი პატრიოტიზმის პარალელურად პროფესიონალიზმს მოითხოვს.

მოითხოვს კატეგორიულად.

ამ წიგნს აქვს მოკრძალებული, მაგრამ სრულიად კონკრეტული მიზანი. დაინტერესებული მკითხველი და განსაკუთრებით კი ახალგაზრდები, ვინც უკვე გადაწყვიტა, ან ახლა ფიქრობს დაუკავშიროს თუ არა თავისი ცხოვრება ადამიანური საქმიანობის უაღრესად რთულ და პრესტიჟულ ასპარეზს დიპლომატია რომ ეწოდება სახელად, ჩაახედოს სიღრმეში, დიპლომატიური საამქროს სამზარეულოში, აზიაროს სპეციფიკას, მიაწოდოს მკაფიო ინფორმაცია.

რამდენად შევძელით ამ მიზნის მიღწევა, მკითხველის და მხოლოდ მკითხველის გადასაწყვეტია.

შესავალი

დამოუკიდებელი და სუვერენული საქართველოს ახალი ცხოვრება საერთაშორისო, სუბიექტად აღიარების შემდეგ იწყება. 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს უზენაესმა საბჭომ მიიღო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი, რომელმაც ქვეყანაში ჩატარებულ რეფერენდუმთან ერთად გამოხატა საქართველოს მოსახლეობის მრავალსაუკუნოვანი ოცნება დამოუკიდებლად ცხოვრების თაობაზე, თუმცა აღნიშნულს ფაქტობრივი დამოუკიდებლობა არ მოჰყოლია. იმავე წლის დეკემბერში საბჭოთა კავშირის პირველმა და უკანასკნელმა პრეზიდენტმა მიხეილ გორბაჩოვმა, ტელევიზიით გამოსვლის დროს, გამოაცხადა საბჭოთა კავშირის დაშლა, რითაც ისტორიას ჩაბარდა მსოფლიოს ყველა დროის უდიდესი იმპერია.

მას შემდეგ საკმაო დრო გავიდა, მაგრამ საქართველოში შექმნილმა პოლიტიკურმა ვითარებამ, საყოველთაო სახალხო არჩევნების გზით არჩეული საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტის ძალისმიერმა დამხობამ, სამოქალაქო ომმა, შემდგომი პერიოდის პოლიტიკურმა რყევებმა და ისევ, არჩეული პრეზიდენტისა და პარლამენტის ძალისმიერმა გაძევებამ, უარყოფითი გავლენა იქონია ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი დიპლომატიური სამსახურის ისეთ ორგანოდ გადაქცევაზე, რომელიც შეძლებდა ნებისმიერი გამოწვევისათვის ჯეროვანი პასუხის გაცემას.

პოლიტიკური ვითარების სისტემატურ ცვლასთან ერთად, იცვლებოდა საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობაც, რაც თავისთავად ნეგატიურად აისახებოდა ისედაც სუსტი, შექმნის პროცესში მყოფი ორგანოს ჩამოყალიბებასა და დახვეწაზე. სამინისტროს ყოველი ახალი ხელმძღვანელი, მხოლოდ სურვილიდან და არა დიპლომატიის საყოველთაოდ აღიარებული ნორმებიდან გამომდინარე, უმოწყალოდ ცვლიდა სამინისტროს შემადგენლობას, დიპლომატიურ კადრებს.

დიპლომატიისათვის მიუღებელი საკადრო პოლიტიკა, გამოცდილი დიპლომატიური კადრების ახლით და გამოუცდელით ჩანაცვლება, დღესაც გრძელდება. 1992 წლიდან

დაწყებული, არამარტო დიპლომატიური კადრები შეიცვალა, არამედ სამინისტროს სტრუქტურაც. 1994-1995 წლებში, საზღვარგარეთის ქვეყნების მდიდარ გამოცდილებაზე დაყრდნობით შექმნილი სტრუქტურა, მოგვიანებით, სუბიექტური მოსაზრებიდან გამომდინარე, რამდენჯერმე შეიცვალა, რამაც სერიოზული დაღი დაასვა სამინისტროს განვითარების საქმეს.

ცივი თუ ცხელი პოლიტიკური დინებების მიუხედავად, ძნელად, მაგრამ მაინც, საქართველოს დიპლომატიური სამსახური გარკვეულ გამოცდილებას იძენს. ვითარება გაცილებით უკეთესი იქნებოდა, ქვეყნის ხელმძღვანელობის მხრიდან, რომ ყოფილიყო გააზრებული მიდგომა, რაც არსებულ ფუნდამენტზე დააშენებდა ახალ დიპლომატიურ სამსახურს.

დიპლომატიური კადრების აღზრდას მრავალი წელი სჭირდება. დიპლომატია ვერ იტანს ახალ-ახალი გამოუცდელი კადრების მოზღვავებას, მათ მიერ გამოცდილი კადრების ჩანაცვლებას. სხვა სამინისტროებისგან განსხვავებით, საგარეო საქმეთა სამინისტრო გამორჩეული ორგანოა, ამიტომაც სხვაზე მეტად განიცდის საკადრო რყევებს.

2004 წელს, ხელისუფლების ცვლას მოჰყვა სახელმწიფო დაწესებულებებში, სამინისტროებსა და უწყებებში ერთობ მიუღებელი საკადრო ცვლილებები. დარტყმა განიცადა საგარეო უწყებამაც, მისმა საზღვარგარეთის დაწესებულებებმა.

საბიუჯეტო ორგანიზაციებში, მათ შორის საგარეო საქმეთა სამინისტროში ჩატარებულმა რეორგანიზაციამ სერიოზულად შეაფერხა ქვეყნის განვითარება.

ხანმოკლე, სუსტ ტრადიციებზე დაფუძნებული საქართველოს დიპლომატიური სამსახური ერთობ მოკრძალებულად ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას, რაც ქვეყნის პირველ პირთა მიერ დიპლომატიური ცოდნის დაჩემებით არის გამოწვეული. ყოველივე აღნიშნულმა საგარეო უწყებას მხოლოდ მეორეხარისხოვანი ორგანოს ფუნქცია არგუნა, რომლის მხრიდან დახმარება ხშირად არც არის საჭირო. საგარეო საქმეთა სამინისტროსადმი ზერელე დამოკიდებულება იმაშიც გამოიხატება, რომ იგი დიდ პოლი-

ტიკას ჩამოშორებული პოლიტიკოსების თავშესაფრად არის ქცეული. სამწუხაროდ, დიპლომატიაში ჩაუხედავ ყოფილ პოლიტიკოსთა ელჩად კურთხევა ჩვეულებრივი მოვლენა გახდა, რაც დაკნინებული უწყების კიდევ უფრო დაკნინებას იწვევს.

დიპლომატია რომ გამორჩეული დარგია და მის მიმართ პატივისცემით დამოკიდებულება ჩვეულებრივი ამბავია, ამას მტკიცება არ ესაჭიროება. საზღვარგარეთ დიპლომატიისადმი სერიოზული ყურადღებაა მიპყრობილი. მისგან კვალიფიციურ რეკომენდაციებს, ანალიტიკურ მასალებს, ინფორმაციებს ელიან, გარდა ამისა, იმ ამოცანების შესრულებას, რასაც ქვეყნებს შორის ურთიერთობების ჩამოყალიბება, დაძაბულობის განმუხტვა, მტრის მოყვრად გადაქცევა და სხვა მნიშვნელოვანი საქმიანობის განხორციელება ჰქვია.

როგორც ბერძენი ორატორი დემოსთენე აღნიშნავს, დიპლომატებს არ ჰყავთ საბრძოლო გემები, ძლიერი ქვეითი ჯარი, არც ციხე-სიმაგრეები გააჩნიათ, მათი იარაღი არის სიტყვა. და მართლაც, არაჩვეულებრივი მნიშვნელობა ენიჭება დიპლომატიურ ენას – როგორც ზეპირს, ისე წერითს – დიპლომატიური კომუნიკაციების ფორმებს. დიპლომატიას ხშირად განიხილავენ მოლაპარაკებათა გზით ქვეყნებს შორის ურთერთობათა ჩამოყალიბების ინსტრუმენტად, რომელიც ეწინააღმდეგება ძალის გამოყენებას, ომის წარმოებას, ომის პროპაგანდას, უკანონო ქმედებას და სხვა ნეგატიურ მოვლენას.

დიპლომატიას ახორციელებენ ოფიციალური პირები, რომელთაც დიპლომატიური მუშაკები, დიპლომატები, ან, დიპლომატიურ ენაზე, დიპლომატიური აგენტები ჰქვიათ (ცნობისათვის, დიპლომატიური აგენტი არ იგივდება დაზვერვის მუშაკთან, ჯაშუშთან).

დიპლომატიის მნიშვნელობა და საქმიანობა

სიტყვა "დიპლომატიამ" პოლიტიკურ ტერმინოლოგიაში მე-16-18 - საუკუნეებიდან დაიმკვიდრა ადგილი, მას შემდეგ, რაც მან პერმანენტული სახე შეიძინა. მარტივი განმარტე-

ბით, "დიპლომატია" არის პროფესიული საქმიანობა სახელმწიფო ინტერესების გამოხატვისა და დაცვისათვის.

დიპლომატის პროფესიული საქმიანობა მიზნად ისახავს მასპინძელი ანუ ადგილსამყოფელი ქვეყნის შესახებ ინფორმაციის მოპოვებას; მასპინძელი ქვეყნის პოლიტიკური ვითარების შესწავლას, გაანალიზებას, შეფასებას და საკუთარი ქვეყნის საგარეო უწყებისათვის მიწოდებას; მასპინძელ ქვეყანაში გასაჭირში მყოფი საკუთარი ქვეყნის მოქალაქეთათვის დახმარების აღმოჩენას, მათი ინტერესების დაცვას; საერთაშორისო მოლაპარაკებების წარმოებას.

თანამედროვე ორმხრივი და მრავალმხრივი დიპლომატიის ძირითადი ფუნქციები შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს: წარმომადგენლობა და მოლაპარაკება, რაც ითვალისწინებს სახელმწიფო ინტერესების წარდგენას, მხარეთა შორის უთანხმოების განვითარების თავიდან აცილების მიზნით მოლაპარაკებათა წარმართვას, მასპინძელ ქვეყანასთან პოლიტიკური, ეკონომიკური, სხვა კავშირების დამყარებას და გაფართოებას, საკუთარი ქვეყნის ფასეულობებისა და ინტერესების გაცნობას მასპინძელი ქვეყნის პოლიტიკური და საზოგადოებრივი წრეებისათვის, უბრალო მოქალაქეებისათვის; აღნიშნულის მისაღწევად, მასპინძელი ქვეყნის მედიის და კერძო ინსტიტუტების გამოყენებას, ადგილობრივ არასამთავრობო სექტორთან ურთიერთობების ჩამოყალიბებას.

დიპლომატიის ფუნქცია საერთაშორისო სისტემათა წესებით, ნორმებით და პროცედურებით განისაზღვრება. დიპლომატია ხელს უწყობს საერთაშორისო სამართლის მოქმედებას, მონიტორინგის პროცესს, რაც საერთო ჯამში შედის საერთაშორისო ცხოვრების ინტერესში. დიპლომატიური მისია არა მარტო წარმდგენი სახელმწიფოს ინტერესების გამომხატველია, არამედ ქვეყნებს შორის კომუნიკაციების დამყარება – გაფართოებისათვის საჭირო და აუცილებელი ღია კარი.

თანამედროვე დიპლომატია ისეთ საერთაშორისო ინსტიტუტად არის მიჩნეული, რომელიც უზრუნველყოფს საყოველთაოდ აღიარებული ნორმების, პროტოკოლის და პრაქტიკული ქმედების მეშვეობით, სუვერენულ ქვეყნებს

შორის არსებულ აზრთა სხვადასხვაობის შეჯერებას, დაძაბულობის განელებას, პოზიციების დაახლოებას. დიპლომატია ის ინსტრუმენტია, რომლის დახმარებით სახელმწიფოები ახორციელებენ თავიანთ ინტერესებს. მისი დახმარებით მოქმედება ეფუძნება საერთაშორისო კანონებს და წესებს. დიპლომატიის უმნიშვნელოვანესი თვისება — მოქნილობაა.

დიპლომატია საგარეო პოლიტიკის აღმასრულებელი იარაღია. ტერიტორიული იურისდიქციიდან და სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, დიპლომატია სხვადასხვა საშუალებებით, მექანიზმებითა და სამოქალაქო ტექნიკის გამოყენებით იცავს სახელმწიფოს.

დიპლომატიის წარმოშობის მოკლე ისტორია

დიპლომატია, როგორც პოლიტიკური ქმედება და სტრატეგია, ისეთივე ძველია, როგორც პოლიტიკა. ემისარი ანუ ელჩი ჰუმანური საზოგადოების მიერ გამოგონილი უძველესი პოლიტიკური ფუნქციაა.

დიპლომატია სათავეს იღებს სპარსეთის, ჩინეთის, ინდოეთის და სხვა იმპერიების წიაღიდან. დიპლომატია გრძელდება და ვითარდება კლასიკური ბერძნული სახელმწიფოების პერიოდში, როდესაც ისინი შეეცადნენ ერთმანეთთან ურთიერთობის ჰარმონიულად წარმართვას. იტალიის ქალაქ-სახელმწიფოების არსებობის დროს გაჩნდა აუცილებლობა, რომ ქალაქ-სახელმწიფოების მმართველებთან არსებული მრჩეველთა ინსტიტუტები გადაქცეულიყო ერთმანეთთან ურთიერთობის მთავარ ინსტრუმენტად.

თანამედროვე პირობებში, როდესაც დიპლომატიაში ფართოდ გამოიყენება ახალი ტექნოლოგიები, ის იმ ხელოვნებად და მეცნიერებად რჩება, რომელიც მტკიცედ ეფუძნება პირადი კონტაქტების აუცილებლობის მცნებას.

დიპლომატიამ უდიდესი და მანამდე არნახული მნიშვნელობა შეიძინა შუა საუკუნეების ევროპაში. რენესანსის დროინდელ იტალიის ქალაქ-სახელმწიფოების ურთიერთობებში დიპლომატია უმთავრეს საშუალებად ითვლებოდა.

დიპლომატიის არსი ღრმად უკავშირდება მე-15 საუკუნის იტალიის ქალაქ-სახელმწიფოებს. სწორედ იქ ჩამოყალიბდა მუდმივი დიპლომატიური წარმომადგენლობის (მისიის) კონცეფცია. რენესანსის დროს დაფუძნდა სისტემური, პროფესიონალური დიპლომატიური სამსახური, რომლის მიზანი იყო ინფორმაციის მოპოვება, პოლიტიკური ცხოვრების და პოლიტიკური მიმდინარეობის დადგენა-შესწავლა საკუთარი სამხედრო-პოლიტიკური ინტერესების დაცვის და კომერციულ-სავაჭრო საქმიანობის წარმართვისათვის.

ევროპაში ოცდაათწლიანი ომის დამთავრებამ (1618-1648), სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების გამოჩენამ ახალი პერსპექტივები შექმნა ქვეყნებს შორის ორგანიზებული, თანამიმდევრული, მუდმივი ურთიერთობების სისტემის ჩამოყალიბებისათვის, ოფიციალურად აკრედიტებული აგენტებით, მუდმივი საელჩოებით, იმუნიტეტის დამცავი წესით.

სიტყვა დიპლომატია (ინგლისურად: Diplomacy) სათავეს იღებს ბერძნული "Diploun"-dan, რომელიც ორად მოკეცილ ქაღალდს ნიშნავს. მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში სიტყვა "დიპლომატიის" მნიშვნელობა გაფართოვდა და მან საარქივო საქმიანობის შესრულების გამომხატველ ფუნქციასთან ერთად ქვეყნებს შორის ურთიერთობის ამსახველი ფუნქციაც შეიძინა.

The Oxford English dictionary – ოქსფორდის ინგლისური ლექსიკონი სიტყვა "დიპლომატიას" იმ მნიშვნელობით, როგორც დღეს არის, 1796 წელს აფიქსირებს.

დიპლომატიის ოქროს ხანა მე-18 საუკუნეში იწყება და მომდევნო საუკუნეებში გრძელდება. 1814-1815 წლებში, ნაპოლეონის ომების დასრულებისას ვენაში გამართულმა კონგრესმა ჩამოაყალიბა დიპლომატიის მუდმივი სისტემა. ვენის კონგრესმა საბოლოოდ დაამტკიცა ქვეყნებს შორის ურთიერთობათა წარმოებაში დიპლომატიის აუცილებლობა.

წესები, რომლებმაც შექმნეს ერთიანი და თანამიმდევრული სისტემა, თანდათანობით ვითარდებოდა მე-15 საუკუნიდან დაწყებული დღემდე. დიპლომატიური კორპუსის ცნება – diplomatique corps მე-18-ე – საუკუნეში გაჩნდა. ვენის კონგრესის წყალობით ისეთი რეალიები ჩამოყალიბდა, რომელთაც გარკვეული პერიოდის მანძილზე გზა გაუხსნეს

ქვეყნებს შორის თანაფარდობის დოქტრინის პოლიტიკურ პრაქტიკაში განხორციელებას.

თანდათანობით ვითარდებოდა დიპლომატია და დიპლომატიური პროფესია ევროპაში. არისტოკრატიამ წარმატებით მოახერხა მისი გამოყენება საიდუმლო მოლაპარაკებათა საქმეში, დახვეწილი ცერემონიალებისა და პროტოკოლის ჩამოყალიბებაში. კოსმოპოლიტურმა ელიტამ შექმნა ევროპის დიპლომატიური კორპუსი, რომელიც ეფუძნებოდა საერთო-არისტოკრატიულ კულტურას, საერთო ენას – ფრანგულს. ფრანგულმა ენამ ჩაანაცვლა რომის იმპერიის და მისი მემკვიდრის, წმინდა რომის იმპერიის დიპლომატიური ენა – ლათინური. ევროპაში ლათინური ენის დომინანტობის დაკარგვა მე-13 საუკუნის ბოლოდან იწყება. მხოლოდ იტალიაში გაძლო მან მე-15 საუკუნემდე. მე-16 საუკუნიდან დაწყებული, ფრანგული ფართოდ იკიდებს ფეხს ევროპულ დიპლომატიაში.

პირველმა მსოფლიო ომმა და აშშ-ს პრეზიდენტის ვუდრო ვილსონის მიდგომამ მსოფლიო საკითხებისადმი, ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობის დაწყებამ და ანტიიმპერიალიზმის პირველმა ტალღამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია დიპლომატიაზე. დიპლომატიური კორპუსის არისტოკრატიულმა, ზედაპირულმა ბრწყინვალებამ გაფერმკრთალება იწყო. პრეზიდენტი ვილსონი დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ ქვეყნებს შორის ხელშეკრულება საზოგადოებისაგან საიდუმლოდ კი არ უნდა გაფორმებულიყო, არამედ ყველა დეტალი საზოგადოებისათვის ცნობილი უნდა ყოფილიყო. პრეზიდენტი ვილსონი დიპლომატიისაგან გამჭვირვალობას მოითხოვდა. ახალმა დიპლომატიამ, ღია მოლაპარაკებებმა და ხალხისათვის ანგარიშის ჩაბარებამ, დიპლომატიას პრობლემები გაუჩინა. დიდი ხნის განმავლობაში ელიტურმა ანკლავმა, დიპლომატიურმა კორპუსმა, გზა გაუხნა მერიტოკრატიას (ინგლისურად: meritocracy).

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. დიპლომატია საგრძნობლად შეიცვალა. ცვლილებები გამოიწვია სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებში აღმოცენებულმა სირთულეებმა.

თანამედროვე ტექნოლოგიის, კომუნიკაციების განვითარებამ, მიმოსვლის და მგზავრობის საშუალებათა წინსვლამ განაპირობა საერთო დიპლომატიურ ფერხულ'ში მრავალი ახალი სახელმწიფოს ინტეგრაცია – საკუთარი წეს-ჩვეულებებით, თვისებებით, ტრადიციებით, დიპლომატიისადმი პირადი დამოკიდებულებითა და შეხედულებით, განსხვავებული ხედვით და თვალსაზრისით.

[დიპლომატიის ევოლუციური განვითარების საქმეში მრავალი ფაქტორის დასახელება შეიძლება, მაგრამ მთავარი მაინც არის შემდეგი: ორმხრივი გარიგება-მოლაპარაკებიდან აქცენტის გადატანა მრავალმხრივობაზე, ელჩის ფუნქციისა და როლის შემცირება გადაწყვეტილების მიღებაზე, პერსონალური დიპლომატიის განვითარება, მოლაპარაკებათა პროცესში ექსპერტებისა და სპეციალისტების ფართო გამოყენება, საგარეო საკითხებში იმ ორგანოების ჩართვა, რომლებიც საკუთარი პროფილიდან გამომდინარე შორს არიან დიპლომატიისაგან, მასობრივი საინფორმაციო საშუალებების, არასამთავრობო სექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციების როლის ამაღლება.]

თანამედროვე დიპლომატიის საზღვრების გაფართოება-- გადიდებამ, მისი დღის წესრიგის გაზრდამ გამოიწვია დიპლომატიის მიმართ მოჭარბებული ყურადღება, თუმცა ამას დიდი გავლენა არ მოუხდენია დიპლომატიის ფუნქციებზე.

დიპლომატიაში დღეს მეტი აქცენტი კეთდება კომერციულ და ეკონომიკურ საკითხებზე, ვიდრე ტრადიციულ პოლიტიკურ-დიპლომატიურზე, მაგრამ მიუხედავად ამისა, დიპლომატიის ძირეული ფუნქციები ისეთად რჩება, როგორიც იყო ყოველთვის.

ახალი დიპლომატიის დასაწყისი

დიპლომატიას ხშირად განიხილავენ, როგორც ქვეყნებს შორის დამოკიდებულებათა დამფუძნებელ და საქმის ორგანიზებულად კეთების ხელოვნებას. დროის მოთხოვნებიდან გამომდინარე, იცვლებოდა დიპლომატიაც. დედამიწაზე სახელმწიფოთა რაოდენობის გაზრდასთან ერთად, გაიზარდა

პრობლემათა რაოდენობაც. თავისთავად გაჩნდა სიროულეთა გადაჭრის აუცილებლობა. ფრანგული დიპლომატიური სისტემა, რომელიც შენელებული გამოდგა ახალ პრობლემათა სწრაფად მოწესრიგების საქმეში, ახლით შეიცვალა. რეზიდენტი ელჩების და სპეციალური ელჩების მეშვეობით, ქვეყნებს შორის პრობლემების დაჩქარებული მოგვარება შეუძლებელი გახდა. ადრეული დიპლომატიის ნაკლოვანებებმა თავი იჩინეს კრიზისული პერიოდების დროს. ამის კარგი მაგალითია ვესტფალიის კონგრესი (1642-1648), რომელმაც წერტილი დაუსვა ოცდაათწლიან ომს და გზა გაუხსნა ახალი სახელმწიფოთაშორისო სისტემის ჩამოყალიბებას. კონგრესის მიერ აღიარებული მრავალმხრივი დიპლომატია წარმატებული გამოდგა მე-19 საუკუნეში. ამ მხრივ აღსანიშნავია ვენის (1814-1815) კონგრესი და შემდეგი პერიოდი, როდესაც შეიქმნა პირველი საერთაშორისო საჯარო კავშირები. ჰააგის კონფერენციამ (1899-1907) დააკანონა საკამათო საკითხების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტა.

დასაწყისში მრავალმხრივი დიპლომატიის მოქმედებაშიც შეიმჩნეოდა ნაკლოვანებები, მაგალითად – პირველი მსოფლიო ომის წინა პერიოდი სისტემატური საერთაშორისო კონფერენციებით აღინიშნა, რომელთა უმრავლესობა სწრაფად, ფაცი-ფუცით იყო ორგანიზებული, მაგრამ ომის შემდეგ თვალნათელი გახდა მრავალმხრივი დიპლომატიის უპირატესობა, რასაც 1919 წელს ერთა ლიგის შექმნაც მოჰყვა.

სახელმწიფოთა ერთმანეთზე დამოკიდებულების ზრდამ გაზარდა საერთაშორისო თავშეყრის აუცილებლობა და აქედან გამომდინარე, კონფერენციების სიხშირე. ერთა ლიგის შექმნამ მიანიშნა მსოფლიოს, რომ ძველი დიპლომატია ახლით შეიცვალა.

ერთა ლიგის საქმის გამგრძელებელი – გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და მისი შვილობილი ორგანიზაციები პერმანენტულად მართავენ მსოფლიო დიპლომატიურ კონფერენციებს. გახშირებულმა მრავალმხრივმა კონფერენციებმა დაჩრდილეს ორმხრივი (bilateral) დიპლომატია. მიუხედავად იმისა, რომ მრავალმხრივი (multilateral) დიპლომატიური კონფერენციებიდან უმეტესობა ტექნიკური ხასიათი-

საა, ის მაინც რჩება დიპლომატიური აქტივობის ცენტრად. თუმცა, ორმხრივ დიპლომატიას არ დაუკარგავს თავისი არსებითი მნიშვნელობა. სწორედ ამიტომ დიპლომატიურ პრაქტიკაში აქტიური კავშირები არსებობს დიპლომატიურ მისიასა და საგარეო საქმეთა სამინისტროს შორის.

ვენის 1961, 1963, 1969 წლების კონფერენციებმა მოახდინეს დიპლომატიური ურთიერთობების კოდიფიცირება. საკონსულო საქმის წარმოების და სახელშეკრულებო ნორმების ერთად შეკვრამ დააახლოვა ძველი და თანამედროვე დიპლომატია. ახალი დიპლომატიური წესები საყოველთაოდ იქნა აღიარებული.

[დიპლომატიამ გარკვეული ზარალი განიცადა მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში იდეოლოგიური თავდასხმების შედეგად. 1917 წელს ბოლშევიკურმა რუსეთმა შეუტია დიპლომატიას, შემდეგ, 1949-1970 წლებში, ჩინეთმა. ვუდრო ვილსონის ამერიკამ არაერთხელ გამოხატა დიპლომატიის მიმართ გულისწყრომა, ხოლო გასული საუკუნის 50-იან 60-იან წლებში ანტიკოლონიური რევოლუციების შედეგად წარმოშობილმა ახალმა ქვეყნებმა მრავალჯერ გამოხატეს თავიანთი უკმაყოფილება დიპლომატიის მიმართ.]

დღესაც გამოითქმის უკმაყოფილება საერთაშორისო დიპლომატიის მიმართ. ავტორებად სხვადასხვა ქვეყნის ფუნდამენტალისტური რეჟიმებია, მაგრამ მიუხედავად მათი კრიტიკული განწყობისა, ისინი ერთ დიპლომატიურ სისტემაში, ერთ დიპლომატიურ ოჯახში არიან ჩართული. სხვა ალტერნატივა არ არსებობს.

მსოფლიოს საერთაშორისო სისტემის სწრაფი ცვლა ბუნებრივად ბადებს კითხვას — როგორი მომავალი აქვს დიპლომატიას?

ახალი ქვეყნების გაჩენა, მათი რაოდენობის ზრდა, ძალთა თანაფარდობის გადანაწილება და დაქუცმაცება უნებლიედ ბადებს კითხვას — დიპლომატიური დიალოგი კაკაფონიაში ხომ არ გადაიზრდება? გლობალური განვითარების ნაყოფი - მრავალმხრივი დიპლომატია და სამიტები ამცირებს ინდივიდუალური დიპლომატიის მნიშვნელობას. სხვაგვარი ხდება თვით დიპლომატის დამოკიდებულება საკუთარი საქმისადმი. თანამედროვე ვითარებაში დიპლომა-

ტის სახლი არის ყველგან და იმავე დროს – არსად. ზოგი იმასაც აცხადებს, რომ განვითარებული კომუნიკაციების პირობებში, სულაც არ არის საჭირო დიპლომატიური ინსტიტუტი. გვერდზე გადავდოთ დიპლომატიის საწინააღმდეგოდ გამოთქმული მოსაზრებები, მათ შორის ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგისა და სახელმწიფო მოღვაწის ზბიგნევ ბუჟზინსკისა, რომ ახალ მსოფლიოში დიპლომატიამ ამოწურა თავისი შესაძლებლობები, და ობიექტურად შევავლოთ თვალი 21-ე საუკუნის დიპლომატიას. ერთი შეხედვითაც ნათელია დიპლომატიის შეუცვლელობა საერთაშორისო სისტემაში. სრული პასუხისმგებლობით შეიძლება ითქვას, რომ ის ვითარდება. მსოფლიო მასშტაბებით იზრდება დიპლომატიური მისიების რიცხვი.

დიპლომატიური კადრების მომზადების შესახებ

დიპლომატს, გარდა ბუნებრივი ნიჭისა, თეორიულ-პრაქტიკული ცოდნაც ესაჭიროება. დიპლომატიური განათლების გარეშე ჭირს დიპლომატიური საქმიანობის განხორციელება. დიპლომატისათვის საჭირო და აუცილებელი ცოდნის მიღება სპეციალურ დიპლომატიურ სასწავლებლებში ხდება. ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში დიპლომატიური სასწავლებლები არ არსებობდა. დიპლომატიური სასწავლებლები – საერთაშორისო ურთიერთობათა მოსკოვის სახელმწიფო ინსტიტუტი და დიპლომატიური აკადემია მოსკოვში იყო. დიპლომატიური აკადემია ყოველწლიურად იწვევდა მოკავშირე რესპუბლიკების საგარეო უწყებების თანამშრომლებს სწავლისათვის. მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტი და დიპლომატიური აკადემია არაერთ ქართველს აქვს დამთავრებული.

დიპლომატიური კადრების მომზადების საქმეში დიპლომატიურ სასწავლებელს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ამის შესახებაც აღნიშნავს მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტის პროფესორი ანდრანიკ მიგრანიანი: "ახალი რუსეთისათვის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის შენარჩუნება მნიშვნელო-

ეანი იყო არა მარტო საგანმანათლებლო თვალსაზრისით, არამედ, როგორც ისეთი ეროვნული საგანძურის, რომელსაც უნიკალური ადგილი უკავია მსოფლიოში – დიდი თეატრი, ერმიტაჟი, ჰოკეი".

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, საქართველოს გარდა, შეიქმნა დიპლომატიური სასწავლებლები. საქართველოს ხელისუფალთა მხრიდან დიპლომატიური განათლებისადმი არასერიოზული დამოკიდებულება ნეგატიურად აისახება დიპლომატიურ სამსახურზე. საერთაშორისო ურთიერთობის პროფილის მატარებელი კერძო სასწავლებლები, ვერ პასუხობენ იმ მოთხოვნებს, რაც აუცილებელია დიპლომატიური კადრების მომზადებისათვის.

დიპლომატიური განათლების საკითხი სახელმწიფოებრივი საქმეა. მხოლოდ სახელმწიფოს და არა კერძო სექტორს ევალება ქვეყნისათვის ისეთი საპასუხისმგებლო ორგანოს კადრებით მომარაგება, როგორიც საგარეო საქმეთა სამინისტრო და მისი საზღვარგარეთის დაწესებულებებია. დამოუკიდებელი ქვეყნისათვის საგარეო საქმეთა სამინისტრო ისეთივე სიმბოლოა, როგორც დროშა, გერბი, ჰიმნი, ამიტომაც ის განსაკუთრებულ ზრუნვას და ყურადღებას საჭიროებს.

წინამდებარე ნაშრომში მოკლედ არის მიმოხილული დიპლომატიის წარმოშობის როლი და მნიშვნელობა, ყურადღებაა გამახვილებული იმ აუცილებელ მომენტებზე, რაც დამახასიათებელია დიპლომატიისა და დიპლომატისათვის, ხაზგასმით არის აღნიშნული ზოგადი ქცევის წესებსა და პროტოკოლზე, რომელთა ცოდნა არამარტო დიპლომატიაში მომუშავე ადამიანის, არამედ ნებისმიერი დარგის მოხელისათვის არის საჭირო.

დიპლომატიური საქმიანობის საჭირო ცოდნისა და თვისებების თაობაზე

თანამედროვე პირობებში პრაქტიკოს დიპლომატს არამარტო მასპინძელი ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს-

თან საკომუნიკაციო ფორმის ცოდნა ესაჭიროება, არამედ ადგილსამყოფელი სახელმწიფოს სხვა ორგანოებთან ურთიერთობის ენის ცოდნაც. დიპლომატი, განსაკუთრებით საზღვარგარეთ მომუშავე, მზად უნდა იყოს ისეთი საკითხებისა და პრობლემების მოგვარებისათვის, რასაც მისი წინამორბედის (ისტორიული თვალსაზრისით) კარიერაში ადგილი არ ჰქონია.]

სახელმწიფოთაშორისი მზარდი ურთიერთობიდან, მრავალფეროვანი საერთაშორისო კონფერენციებიდან, ორმხრივი და მრავალმხრივი კავშირებიდან გამომდინარე, დიპლომატიური მოხელის ფუნქციებმა საგრძნობი ცვლილებები განიცადა. დიპლომატის მოვალეობა მარტო ის არ არის, რომ ჯეროვნად წარმოაჩინოს საკუთარი ქვეყანა მასპინძელ ქვეყანაში, ან ადგილსამყოფელი ქვეყნის შესახებ პოლიტიკური, ეკონომიკური, თუ სხვა სახის ინფორმაცია მიაწოდოს საკუთარ ქვეყანას, არამედ მან მონაწილეობა უნდა მიიღოს კომერციულ-ეკონომიკური საკითხების მოგვარებაში, დაესწროს სხვადასხვა სახის კონფერენციებს, მასპინძლობა გაუწიოს ვიზიტად მყოფ საკუთარი ქვეყნის ოფიციალურ პირებს, მოამზადოს სავაჭრო, კულტურის, მეცნიერების, სამხედრო, პოლიტიკური და სხვა დარგების დელეგაციების ვიზიტები წარმდგენ ქვეყანაში მასპინძელი ქვეყნიდან და პირიქით.

დიპლომატიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საკომუნიკაციო ენას, შესაბამისი სიტყვების შერჩევას. დიპლომატიური ენა მტკიცედ უნდა იყოს მოქცეული დიპლომატიური პროტოკოლის ჩარჩოში. ტერმინოლოგიის შერჩევის დროს მხედველობაში უნდა იქნას მიღებული საკითხისადმი ფრთხილი და გონივრული მიდგომა. კომუნიკაციის დროს დიპლომატი დარწმუნებული უნდა იყოს იმაში, რომ მის მიერ შერჩეული ტექსტი ზუსტად ასახავს საკუთარი ქვეყნის პოზიციას. მასში მეორე მხარის შეურაცხყოფის ელემენტი არ უნდა ფიგურირებდეს. დიპლომატიური ტექსტის შედგენის დროს ყურადღება უნდა მიექცეს უმნიშვნელო დეტალებსაც. ტექსტში არ უნდა იყოს აბრევიატურები. გათვალისწინებული უნდა იყოს ქაღალდის ფორმატი და ხარისხი. დოკუმენტი საქმიანად უნდა იყოს შედგენილი და

არ უნდა ტოვებდეს ზერელე შთაბეჭდილებას. დიპლომატიური დოკუმენტი ყოველთვის იყო და არის დიპლომატიის ეფექტიანი იარაღი.

დიპლომატია, რომელმაც გაუძლო ჟამთა სვლას, გადაიქცა მსოფლიოს მომწესრიგებელ ინსტრუმენტად, რაც ავალდებულებს დიპლომატს ჩაწვდეს ისეთ სპეციფიურ დარგებს, როგორებიცაა ვაჭრობა, განიარაღება, იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემები, ტელეკომუნიკაციებთან დაკავშირებული თემები, ქონების უფლების საერთაშორისო ნორმები, სამშენებლო მოლაპარაკებათა საკითხები და სხვა. თანამედროვე დიპლომატიაში არა მარტო პროფესიონალი დიპლომატის ჩართვაა აუცილებელი, არამედ იმ სამინისტროს თანამშრომლების, რომლებიც თავიანთი პროფილიდან გამომდინარე, შორს არიან საგარეო ურთიერთობებიდან. დიპლომატიაში ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა დარგის ექსპერტთა და სპეციალისტთა გამოცდილებაც.

დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, ბევრი ვარაუდობს, რომ დიპლომატიის მომავალი არის სავაჭრო (trade diplomacy) დიპლომატია. ვინ იცის, შესაძლოა ეს ასეც იყოს, ვინაიდან ვაჭრობის განვითარება და მისთვის ხელის შეწყობა ისტორიულად დიპლომატიის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო. ზოგიერთთა მოსაზრება, რომ დიპლომატიის მიერ სავაჭრო ფუნქციების შესრულება სიახლეა, არ შეესაბამება სინამდვილეს. ვენეციის დიპლომატიური სამსახური ძირითადად კომერციული ხასიათის იყო. გარდა ამისა, წარსული დროის მაგალითები გვამცნობს, რომ მუდმივი დიპლომატიური წარმომადგენლობის დაფუძნების აუცილებლობა არა მარტო პოლიტიკური და სამხედრო თვალსაზრისით იყო გამოწვეული, არამედ ეკონომიკურითაც. სავაჭრო საკითხების მიმართ არისტოკრატიის ქედმაღლურმა დამოკიდებულებამ გამოიწვია ამ საკითხების საკონსულო სამსახურებისათვის გადაცემა. ცნობისათვის, შუა საუკუნეებში კონსულების შერჩევა დაბალი საზოგადოებრივი ფენიდან ხდებოდა. შესაბამისად, მათდამი ინტერესიც განსხვავებული იყო კლასიკური დიპლომატიისაგან.

თანამედროვე დიპლომატია მოწოდებულია იმისათვის, რომ ყველა გზა და ხერხი გამოიყენოს საერთაშორისო

კონფლიქტის აღსაკვეთად. დიპლომატიის როლი ნულს უტოლდება, როდესაც სახელმწიფოები პირდაპირ გადადიან ძალის გამოყენებაზე. მხოლოდ დიპლომატიას ძალუძს საერთაშორისო დაპირისპირების მოსაწესრიგებლად ათასი გზის შეთავაზება. დიპლომატიის უძლურება ძალას აძლევს გასაქანს.

სახელმწიფოს განკარგულებაში არსებული დიპლომატიასა და სამხედრო საქმეს ექსპერტები ერთმანეთისაგან აცალკევებენ. ისინი ცდილობენ, საკითხი ბუნდოვნად დატოვონ. თუმცა, ზოგიერთთა მტკიცებით, ზურგგაუმაგრებელ დიპლომატიას ძნელად შეუძლია პრობლემათა გადაწყვეტა.

დიპლომატიური პრაქტიკა და ქცევა

ელჩი

საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი არის დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელი. ის უნდა იყოს სანდო, დასაყრდენი თავისი კოლეგებისათვის. ელჩს, როგორც ლიდერს უნარი უნდა ჰქონდეს გამოავლინოს საკუთარი დადებითი თვისებები. მან უნდა იცოდეს, როგორ გამოიყენოს საკუთარი ენერგია და ნიჭი. მას ასევე შესწავლილი უნდა ჰქონდეს საკუთარი სუსტი მხარეები. ის უნდა იყოს ოპტიმისტი და გონებაში უნდა ჰქონდეს ჩაბეჭდილი, რომ პრობლემები და სირთულეები დაიძლევა. იყო ლიდერი, ნიშნავს, გქონდეს ოპტიმიზმი. ნამდვილი ლიდერის მიერ დაშვებული შეცდომა არის სხვაგვარად მოქმედების შესაძლებლობა, გზა შეცდომის გამოსწორებისა და პროგრესისაკენ. ლიდერობის ხელოვნების სხვისგან კოპირება შეუძლებელია. ლიდერობა სწავლის და გამოცდილების შედეგია.

ადგილსამყოფელი ქვეყნის მხრიდან ელჩად დანიშვნაზე თანხმობის, აგრემანის (Agreement) მიღების შემდეგ, ახალი ელჩი იღებს "აღმატებულების" (Excellency) სახელწოდებას. ელჩმა ეს სახელწოდება მტკიცედ უნდა გაითავისოს. მისი მოშორება პირადი წარუმატებლობის ტოლფასია.

მასპინძელ ქვეყანაში გამგზავრებამდე, ახალმა ელჩმა შეხვედრა უნდა გამართოს საკუთარ ქვეყანაში აკრედიტებულ, მომავალი მასპინძელი ქვეყნის ელჩთან. შეხვედრის დროს მასპინძელი ქვეყნის ელჩი ახალ ელჩს გააცნობს საკუთარი ქვეყნის წეს-ჩვეულებებს, მიაწვდის ინფორმაციას ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ჩაცმა-დახურვა, კლიმატური პირობები, საზოგადოებასთან ურთიერთობა და სხვა.

ადგილსამყოფელ ქვეყანაში გამგზავრებამდე ახალმა ელჩმა შეხვედრები უნდა გამართოს საკუთარი ქვეყნის იმ სახელმწიფო დაწესებულებების ხელმძღვანელებთან, ვისაც საქმიანი კავშირები აქვს ადგილსამყოფელ ქვეყანასთან, სადაც მიემგზავრება ელჩი. შეხვედრები ელჩს აძლევს შესაძლებლობას, გაეცნოს საკუთარი და მასპინძელი ქვეყნის ურთიერთობებს როგორც პოლიტიკის, ეკონომიკის, ისე სხვა დარგებში.

ახალმა ელჩმა საფუძვლიანი შეხვედრები უნდა გამართოს საკუთარი ქვეყნის უმაღლესი ორგანოს პოლიტიკურ ხელმძღვანელობასთან, აგრეთვე საკუთარი საგარეო საქმეთა სამინისტროს დეპარტამენტების უფროსებთან. განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდოს საკონსულო დეპარტამენტში შეხვედრას და იმ საკითხებს, რომლებიც დეპარტამენტს აქვს ადგილსამყოფელ ქვეყანასთან.

სამშობლოდან გამგზავრებამდე ელჩს საუბარი აქვს საგარეო საქმეთა მინისტრთან და მინისტრის მოადგილეებთან. ადგილსამყოფელი ქვეყნისა და საკუთარი ქვეყნის ურთიერთობიდან გამომდინარე, ელჩი, შესაძლებელია, სასაუბროდ და შესაბამისი ინსტრუქციის მისაცემად მიიწვიოს ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ან მეთაურმა. მაგალითად, საქართველოში გამომგზავრებამდე რუსეთის ელჩი მიიღო რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა და ტელეკამერების თანდასწრებით შესაბამისი ინსტრუქციებიც მისცა მას.

ადგილსამყოფელ ქვეყანაში გამგზავრებამდე რამდენიმე დღით ადრე, საელჩომ შეტყობინება უნდა გაუგზავნოს მასპინძელი ქვეყნის საგარეო უწყების პროტოკოლის სამსახურს, ახალი ელჩის ქვეყანაში ჩასვლის დღის, დროისა და ტრანსპორტის მინიშნებით. იმ შემთხვევაში, თუ ადგილსამყოფელ ქვეყანაში არ არის საელჩო, მაშინ წარმდგენი ქვეყ-

ნის საგარეო უწყებამ უნდა შეატყობინოს ამის შესახებ ადგილსამყოფელი ქვეყნის საგარეო უწყებას. იმ შემთხვევაში, თუ ადგილსამყოფელ ქვეყანაში არ არის ელჩის რეზიდენცია, მაშინ საელჩოს უნდა მიეცეს მითითება სასტუმროში ადგილის დასაჯავშნად.

ელჩის ჩასვლა მასპინძელ ქვეყანაში

თეითმფრინავიდან ტრაპზე ჩასვლის დროს ელჩი წინ უნდა მიუძღოდეს მეუღლეს. ცხელი ამინდის მიუხედავად მას უნდა ეცვას კოსტიუმი და ეკეთოს ჰალსტუხი. საელჩოს თანამშრომლები, აგრეთვე მასპინძელი ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს პროტოკოლის სამსახურის ხელმძღვანელი ელჩს ტრაპთან ხვდებიან. საელჩოს საქმეთა დროებითი რწმუნებული ელჩს უნდა წაუძღვეს VIP ოთახისაკენ, სადაც ელჩს გააცნობენ საელჩოს თანამშრომლებსა და სამინისტროს პროტოკოლის ხელმძღვანელს. საელჩოს ადმინისტრაციული სამსახურის მუშაკი აწესრიგებს ტექნიკურ საკითხებს სასაზღვრო სამსახურთან და ელჩის ბარგთან დაკავშირებით. VIP ოთახში ელჩი ესაუბრება პროტოკოლის სამსახურის ხელმძღვანელს საერთო თემებზე, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ბედნიერია სტუმართმოყვარე ქვეყანაში ჩასვლით, რომ მისი დიდი ხნის ოცნება იყო ემუშავა აქ.

ელჩი ვერ შეუდგება თავის საქმიანობას, ვიდრე ქვეყნის მეთაურს არ გადასცემს რწმუნებათა სიგელს. მანამდე საელჩოს საქმეთა დროებითი რწმუნებული გააგრძელებს ელჩის მოვალეობის შესრულებას.

საელჩოს საქმეთა დროებითი რწმუნებული წინასწარ ათანხმებს მასპინძელი ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან რწმუნებათა სიგელის და ძველი ელჩის გაწვევის ასლების მინისტრისათვის გადაცემის თარიღს.

მინისტრთან აუდიენციის შემდეგ, ახალი ელჩი არაოფიციალური ვიზიტით მიდის მასპინძელ ქვეყანაში აკრედიტებული ქვეყნების დიპლომატიური მისიების დუაიენთან. მი-

ნისტრი და დუაიენი (უხუცესი ელჩი) საპასუხო ვიზიტით არ მიდიან ელჩთან.

ადგილსამყოფელი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი და პროტოკოლის სამსახურის ხელმძღვანელი ორგანიზებას უკეთებენ ელჩის მიერ სახელმწიფოს მეთაურისათვის რწმუნებათა სიგელის გადაცემის მომზადებას. პროტოკოლის სამსახურის უფროსი ატყობინებს ელჩს ქვეყნის მეთაურთან არსებული ცერემონიალის შესახებ, საელჩოს რამდენი დიპლომატი შეიძლება ახლდეს ელჩს ცერემონიალის დროს. რა ხანგრძლივობის სიტყვა უნდა წარმოთქვას ელჩმა ქვეყნის მეთაურთან, როგორ უნდა იყოს ის ჩაცმული, შეუძლია თუ არა კოსტიუმზე, მიღებული ორდენების გაკეთება და სხვა.

რწმუნებათა სიგელის გადაცემის შემდეგ, ელჩი ატყობინებს თავის უცხოელ კოლეგებს აღნიშნულის თაობაზე და იწყებს მათთან შეხვედრებს დიპლომატიური სიის უფროს-უმცროსობიდან გამომდინარე.

დიდ სახელმწიფოებში, სადაც მრავალი ქვეყნის საელჩოა აკრედიტებული, აუცილებელი არ არის ყველა ქვეყნის ელჩთან ვიზიტი. შერჩევა შესაძლებელია საკუთარი სურვილიდან ან გეოგრაფიული, ეთნიკური თუ პოლიტიკური მოსაზრებიდან გამომდინარე. ვიზიტის დროს, დილის საათებში გამასპინძლება ხდება ჩაით და ყავით, ხოლო შუადღეს ალკოჰოლური სასმელითაც.

ელჩის ძირითადი ფუნქციები

ელჩის ძირითადი ფუნქციებია: საელჩოს მუშაობის ჰარმონიული წარმართვა, წარმდგენი მხარისათვის მასპინძელი ქვეყნის შესახებ ობიექტური ინფორმაციის მიწოდება, საკუთარი ქვეყნის ინტერესების დაცვა, საკუთარი ქვეყნის საეჭვო ინტერესების გაფართოება, საკუთარი ქვეყნის შესახებ ადგილსამყოფელი ქვეყნის საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდება. გარდა ამისა, საელჩოს თანამშრომლებთან რეგულარული შეხვედრების გამართვა, შეხვედრის დროს ინფორმაციის გაცვლა, სამოქმედო გეგმის დასახვა, ფორმალური და არაფორმალური შეხვედრების გამართვა

მასპინძელი ქვეყნის ოფიციალურ თუ არაოფიციალურ პირებთან, მათი გართობა და კეთილმეგობრული დამოკიდებულების გამოვლინება, მათთვის საჩუქრებისა და ყვავილების გაგზავნა, რაც საჭიროა გულითადი ატმოსფეროს შესაქმნელად. ადგილობრივ ოფიციალურ მიღებებსა და ღონისძიებებზე დასწრება, მათ შორის მასპინძელი ქვეყნის პრეზიდენტის მიერ სხვა ქვეყნის მეთაურის აეროპორტში შეხვედრაში მონაწილეობის მიღება, კოლეგა დიპლომატებთან შეხვედრების გამართვა, მათი მიწვევა საელჩოში ლანჩზე, სადილზე, ვახშამზე და სხვა ღონისძიებებზე, სხვა ქვეყნის ეროვნული დღესასწაულების აღსანიშნავ მიღებაზე დასწრება მასპინძელ ქვეყანაში აკრედიტებულ საელჩოებში.

საელჩოს თანამშრომლებში ჯეროვანი პატივისცემის მოპოვებისათვის ელჩს მართებს მუყაითი შრომა და პუნქტუალობა. ელჩმა თანამშრომელთა შრომა, მათზე დაკისრებული მოვალეობების შესრულება საქებარი სიტყვებით უნდა აღნიშნოს. მან ყოველ დილით ან კვირაში ორჯერ უნდა გამართოს კრება მისიის დიპლომატებთან. კრებას ტექნიკური პერსონალი არ ესწრება. კრების მიზანია ყველა დიპლომატის მიერ მასპინძელ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდება. მასპინძელ ქვეყანასთან ორმხრივი ურთიერთობების მიმდინარეობის და მათი შემდგომი განვითარების პერსპექტივებზე მსჯელობა, საკუთარი საგარეო უწყებიდან მიღებული მითითებების, ინსტრუქციების შესრულების მიმოხილვა, ადგილსამყოფელი სახელმწიფოს პრესაში გამოქვეყნებული მასალების განხილვა, დიპლომატებისათვის მიცემული დავალებების შესრულების მიმოხილვა, ადგილობრივი პოლიტიკოსების მიერ გამოთქმული მოსაზრებების, განცხადებების, მოხსენებების, გამოსვლების განხილვა-გაანალიზება, დიპკორპუსთან დაკავშირებული შემთხვევების, ინციდენტების, მოვლენების განხილვა, მათდამი ადგილობრივი ხელისუფლების დამოკიდებულების გაანალიზება.

ელჩი უნდა ეცადოს არ გამოამჟღავნოს პიროვნული სისუსტეები. მან თანამშრომლებს უნდა აგრძნობინოს საკუთარი თავდაჯერება და სიმტკიცე.

ელჩი არ უნდა დაემუქროს საელჩოს თანამშრომელს, არ უნდა დააშინოს ის. მან აქამდე არ უნდა მიიყვანოს საქმე. ელჩმა თავი უნდა აარიდოს საელჩოს თანამშრომლებთან მოჭარბებულ ფამილარობას. მან მტკიცედ უნდა დაიცვას დისციპლინა. იმავდროულად ის უნდა იყოს სამართლიანი, ზრდილობიანი, გამგები. მან უნდა გამოიყენოს თანამშრომელთა წასახალისებელი სხვადასხვა ფორმები.

ელჩმა ყველა თანამშრომელს უნდა აგრძნობინოს, რომ ის ენდობა მას, რომ ისინი თავაზიანები და დამხმარენი იქნებიან საელჩოში მიმსვლელთა მიმართ. ელჩმა, საელჩოში მიმსვლელთა ყურადღებიანი მოპყრობისათვის, უნდა გააფრთხილოს ის სამსახურები, რომლებსაც უშუალოდ ეხებათ მოქალაქეთა მიღება, მათ შორის საკონსულო სამსახური.

✓ ელჩმა უნდა დაარწმუნოს საელჩოს თანამშრომლები, რომ მის მიერ შექმნილი დოკუმენტი სრულიად შეესაბამება საკუთარი ქვეყნის კანონებსა და წესებს, მიუხედავად იმისა იზიარებს თუ არა პირადად ამას. ✓საელჩოში გამართული კრების დასაწყისში ელჩმა მოკლე შესავალი უნდა გააკეთოს. ელჩი არ უნდა ჩაერთოს სხვის გამოსვლაში, მან არ უნდა გააწყვეტინოს სიტყვა გამომსვლელს. ამის გაკეთება მხოლოდ მაშინ იქნება აუცილებელი, როდესაც კრება ავის მომასწავებელ დისკუსიაში იზრდება. დიპლომატი უნდა შეეცადოს არაფრის თქმის ხელოვნების დაუფლებას. არაფრისმთქმელი განცხადება დიპლომატს გამოიყვანს გამოუვალი მდგომარეობიდან.

წარმატებული ელჩის აუცილებელი თვისებები

ცნობილი ინგლისელი დიპლომატის ნიკოლსონის აზრით წარმატებულ ელჩს შვიდი აუცილებელი თვისება უნდა ჰქონდეს: 1. მოთმინება, 2. მოკრძალება 3. ლოიალობა, 4. სიმშვიდე 5. სამართლიანობა, 6. სიზუსტე, 7. კარგი ხასიათი.

ელჩის საცხოვრებელი რეზიდენციის წესები

ელჩის სახლი (ბინა) უნდა შეიცავდეს, როგორც საცხოვრებელს, ისე მისაღებს. საცხოვრებელს უნდა ჰქონდეს 2 საძინებელი და 2 სააბაზანო. სახლს უნდა ჰქონდეს ეზო და ბაღი, სპეციალური სათავსი დაცვისა და დამხმარე პერსონალისათვის. სახლი უნდა მდებარეობდეს დედაქალაქის პრესტიჟულ რაიონში. იმ შემთხვევაში, როდესაც საელჩო და ელჩის საცხოვრებელი რეზიდენცია ერთ ეზოშია, მათ ცალკე შესასვლელი უნდა ჰქონდეთ. თვით საელჩოსაც 2 შესასვლელი უნდა ჰქონდეს. საელჩოს ის სამსახურები, მათ შორის საკონსულო, სადაც ხშირია ადგილობრივი მოქალაქეების ვიზიტი, ცალკე შესასვლელით უნდა სარგებლობდნენ.

მისიის დიპლომატის მოქმედება სამუშაოდ გამგზავრებამდე

სამუშაოდ გამგზავრებამდე დიპლომატმა წერილი უნდა გაუგზავნოს მისიის ხელმძღვანელს, სადაც უნდა გამოხატოს საკუთარი კმაყოფილება იმის გამო, რომ მას წილად ხვდა იმუშაოს ამ კონკრეტული ელჩის ხელმძღვანელობით. გარდა ამისა, დიპლომატმა მზადყოფნა უნდა გამოხატოს ყველა დავალების შესრულებაზე. დიპლომატმა წერილით უნდა მიმართოს იმ კოლეგას, რომელიც მან უნდა შეცვალოს და სთხოვოს დახმარება საქმეში გარკვევისათვის. მან ასევე წერილობით უნდა მიმართოს საელჩოს ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელს ქვეყანაში ჩასვლის და დროის მინიშნებით და სთხოვოს დახმარება სასტუმროში ნომრის დაჯავშნაში ან ბინის (სახლის) დაქირავებაში. დიპლომატმა გამგზავრებამდე უნდა შეიძინოს სუვენირები, რომლებიც გამოადგება მასპინძელ ქვეყანაში მუშაობის დროს.

დიპლომატიური მისიის წევრების მთავარი ფუნქციებია:
1. ინფორმაციის მიღება, 2. საკუთარი საგარეო საქმეთა სამინისტროსათვის მოკლე შეტყობინებების, მოხსენებებისა და ინფორმაციების გაგზავნა, 3. მოლაპარაკებების წარმოება, 4. პირადი მეგობრული ურთიერთობის ჩამოყალიბება, 5. სავაჭრო კავშირებისათვის ხელის შეწყობა, 6. საკუთარი ქვეყნის მოქალაქეებისათვის დახმარების გაწევა, 7. მასპინძელი ქვეყნის ჟურნალ-გაზეთების სისტემატური მიმოხილვა.

უსაფრთხოების დაცვა

საელჩოს შენობა და ელჩის რეზიდენცია ღამით განათებული და კარგად დაცული უნდა იყოს. საელჩოს კორესპოდენცია საელჩოში შესვლისთანავე გულდასმით უნდა შემოწმდეს. საელჩოს გასანადგურებელი დოკუმენტაცია სპეციალური საფქვავი აპარატით უნდა განადგურდეს.

საელჩოს ოთახი, საიდანაც ხდება დაშიფრული ინფორმაციის გაგზავნა სამშობლოში, რკინის კარით უნდა იყოს გამოყოფილი. არამეგობრულ მასპინძელ ქვეყანაში ყველა ტელეფონი ისმინება. მოსასმენი აპარატები შეიძლება დამონტაჟებული იყოს საელჩოში. საიდუმლო საუბარი საელჩოს სპეციალურ დაცულ ოთახში უნდა გაიმართოს. ამ ოთახს ხშირად უწოდებენ ოთახს ოთახში. საუბრის დროს ტალღური მოსასმენი სისტემის გამოყენების ეფექტიანობის შემცირებისათვის შესაძლებელია დაბალ ხმაზე რადიო მიმღების ჩართვა.

სახელმწიფოებში, სადაც წარმდგენი მხარე იჯარით იღებს საელჩოს შენობას და ელჩის რეზიდენციას, არ არის გამორიცხული, რომ შენობები, მასპინძელი ქვეყნის სპეცსამსახურების მიერ წინასწარ, იჯარით გაცემამდე, აღიჭურვოს მოსასმენი აპარატებით. შენობაში განთავსებისთანავე სპეციალისტების მიერ უნდა განხორციელდეს შემოწმება.

დიპლომატიური კავშირები

თანამედროვე დიპლომატიურ პრაქტიკაში, დიპლომატიურ მისიათა ერთმანეთთან კომუნიკაციისათვის სხვადასხვა ხერხი და მეთოდი გამოიყენება. კომუნიკაციებს დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ხდება პოზიციების შეჯერება, ინფორმაციის გაცვლა, საკუთარი ქვეყნის პოლიტიკის განმარტება, მასპინძელ ქვეყანაში განვითარებულ მოვლენასთან დაკავშირებით პროტესტის გამოხატვა, კოლექტიური ქმედების გამოვლინება და სხვა მრავალი. მასპინძელ ქვეყანაში არსებული დიპლომატიური მისიების კონტაქტები ხელს უწყობს ქვეყნებს შორის ურთიერთობების განვითარებას.

სახელმწიფოთა შორის ურთიერთობაში

წერილობით კომუნიკაციებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. წერილობითი კავშირები ყველაზე გავრცელებული ფორმაა დიპლომატიაში. სახელმწიფო მეთაურებს შორის წერილების გაცვლა პერსონალური დიპლომატიის უმნიშვნელოვანეს ელემენტად ითვლება. სახელმწიფოთა ურთიერთობის უნიკალური მაგალითია მეორე მსოფლიო ომის დროს 3 სახელმწიფოს მეთაურის სტალინის, რუზველტისა და ჩერჩილის ერთმანეთისადმი გაგზავნილი წერილები. წერილობითი კომუნიკაციის ფორმას ხშირად მიმართავენ საგარეო საქმეთა მინისტრები. მიუხედავად ამისა ტექნიკური პროგრესი კომუნიკაციების უხვ შესაძლებლობებს იძლევა. კომუნიკაციის ირიბ საშუალებად ითვლება სახელმწიფო მეთაურთა სიტყვით გამოსვლები, განცხადებები, დეკლარაციები, კომუნიკეები, პრეს-კონფერენციები, სატელევიზიო ინტერვიუები, ტელე-კონფერენციები. პირდაპირი კომუნიკაციის ერთ-ერთი გზაა სატელეფონო ცხელი ხაზი.

უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხები

ბევრ ქვეყანაში არსებობს სპეცსამსახურები, რომლებიც ჯაშუშობის გზით მოიპოვებენ სხვადასხვა სახის ინფორმა-

ციას, დოკუმენტაციას, პოლიტიკურ და სამხედრო საიდუმლოებებს. მისიის უშიშროების განსამტკიცებლად საჭიროა შემდეგი ღონისძიებების გატარება: შენობის ფასადზე სატელევიზიო კამერების დამონტაჟება, რაც საელჩოში მომსვლელის დანახვის და საელჩოს მიღმა არსებული ვითარების შემოწმების შესაძლებლობას იძლევა.

საელჩოს უნდა ჰქონდეს სიგნალიზაცია, რომელიც აღკვეთს საელჩოში უცხო პირის ან ქურდის შესვლას.

ადგილობრივი ხელისუფლების თანხმობის შემდეგ საელჩოს მაღალი ღობე უნდა შემოეკვლოს, მაგრამ გათვალისწინებული უნდა იყოს შემოგარენის არქიტექტურული იერსახე. ამ მხრივ, მანკიერ მაგალითად შეიძლება თბილისში აშშ-ს ძველი საელჩო ჩაითვალოს, რომელიც მდებარეობდა ათონელის ქუჩაზე. ტერორისტული თავდასხმის თავიდან აცილების მიზნით, თბილისის მერიასთან შეთანხმების შემდეგ, ამერიკელებმა ჯერ ათონელის ქუჩა მაღალი კედლით, ორ ნაწილად გაყვეს, ხოლო შემდეგ, მთლიანად გადაკეტეს, რითაც გააუარესეს ქალაქის სატრანსპორტო მიმოსვლა. ამერიკელთა მიერ დიღომში ახალი საელჩოს აშენების შემდეგ, ძველ შენობაში ერთ-ერთი ამერიკული ორგანიზაცია განთავსდა, რომელსაც სტატუსიდან გამომდინარე, სულაც არ ეკუთვნის შენობის წინ აშენებული რკინა-ბეტონის კედელი ან ქუჩის გადაკეტვა, მაგრამ სამწუხაროდ, ვითარება უცვლელია.

მასპინძელ სახელმწიფოში სტუმარი ქვეყნის საელჩოს შენობის დაქირავებას მომავალი საელჩოს ადმინისტრაციული სამსახურის თანამშრომლები აწარმოებენ კერძო მფლობელებთან ხელშეკრულების გაფორმების გზით. ამ ოპერაციაში მონაწილეობას არ ღებულობს მასპინძელი სახელმწიფოს საგარეო უწყება ან ადგილობრივი ხელისუფლება. ზოგიერთ სამინისტროსთან არსებობს დიპლომატიური კორპუსის მომსახურების სამსახური, რომელსაც შეუძლია რეკომენდაცია მისცეს სტუმარი ქვეყნის საელჩოს და მიანიშნოს იმ კერძო სახლების შესახებ, რომლებიც ქირავდება. გარკვეულ შემთხვევაში მასპინძელ და სტუმარ ქვეყნებს შორის ფორმდება შეთანხმება, რომლის მიხედვით მასპინძელი მხარე სტუმარს გადასცემს საელჩოსთვის შესაბამის

შენობას, რის სანაცვლოდ იგივე ფართს მიიღებს სტუმრის ქვეყანაში თავისი საელჩოსათვის. ადგილი აქვს აგრეთვე საელჩოს შენობის ასაშენებლად მიწის ნაკვეთის ყიდვას ან გამოყოფას. მიწის ნაკვეთის გამოყოფის შემთხვევაში სტუმარი ქვეყანა, თავის მხრივ, საკუთარ დედაქალაქში გამოუყოფს მიწის ნაკვეთს მასპინძელ ქვეყანას.

საელჩოს კუთვნილი ავტომანქანები საელჩოს ეზოში უნდა იდგნენ. ისინი საელჩოს კარისკაცის ყურადღების ქვეშ არიან. ქალაქის პროფილაქტიკაში ელჩის ავტომანქანის შეკეთების შემდეგ, ის გულდასმით უნდა შემოწმდეს, მოხდეს სასინჯი გარბენა, გაისინჯოს მოსასმენ აპარატებთან მიმართებაში.

ელჩის დაცვის მუშაკები შეიარაღებული უნდა იყვნენ გაზის პისტოლეტებით და არა ცეცხლსასროლი იარაღით. გაზის პისტოლეტი 15 წუთის მანძილზე პარალიზებას ახდენს თავდამსხმელზე. ასეთი იარაღი სატარებლად ადვილია.

საელჩოს შესასვლელი კარი შიგნიდან უნდა იკეტებოდეს. საელჩოს პოლიტიკური სამსახურები გამოყოფილი უნდა იყოს არაპოლიტიკურისაგან (საკონსულო, კულტურის, პრესის, კომერციული და სხვა) ისინი სხვა შენობაში უნდა იყოს განთავსებული, ცხადია თუ არის ამის საშუალება, თუ არა, მათ ცალკე შესასვლელი უნდა ჰქონდეთ.

ყველა სტუმარი, გარდა ელჩის პირადი სტუმრისა, უნდა იქნას მიღებული საელჩოს პირველ სართულზე ამ საქმისათვის გამოყოფილ სპეციალურ ოთახში. დიპლომატთა სამუშაო ოთახებში შესვლა არ უნდა შეეძლოს საელჩოში მიმსვლელს.

საკუთარ ქვეყანასთან კომუნიკაციების ოთახი ტელექსით, კომპიუტერული სისტემით ან სხვა საკომუნიკაციო საშუალებებით დაცული უნდა იყოს. ოთახში უცხო პირთა შესვლა არ არის რეკომენდებული.

დიპლომატია დიქტატორული რეჟიმების ქვეყნებში

დიქტატორული რეჟიმების ქვეყნებში სტუმარი სახელმწიფოების მისიები და დიპლომატები, როგორც წესი, კარგად არიან დაცული, ვინაიდან ისინი გამუდმებით იმყოფებიან ზედამხედველობის ქვეშ.

ასეთ დროს საელჩოში შეჭრას, დროშის ან ავტომანქანის დაწვას, შენობის წინ დემონსტრაციის გამართვას, არასდროს ექნება ადგილი, თუ ეს არ ესაჭიროება ხელისუფლებას.

ასეთ ქვეყანაში სამუშაოდ ჩასული ახალი დიპლომატი ადგილობრივი უშიშროების სამსახურის პერმანენტული დაკვირვების ობიექტია. მისი საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილი მოსასმენი აპარატით შეიძლება იყოს აღჭურვილი. ქალაქში გადაადგილების დროს მას მალულად დაჰყვებიან უშიშროების სამსახურის თანამშრომლები.

საელჩოს თანამშრომლები ყოველდღიურად ატყობინებენ საკუთარი საელჩოს უშიშროების სამსახურის მუშაკებს სატელეფონო ზარების, საუბრებისა და სხვა შემთხვევების შესახებ.

მუშაობის დროს დიპლომატმა განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობისას.

მასპინძელ ქვეყანაში დიპლომატი შეიძლება უბედური შემთხვევის ან აფეთქების მსხვერპლი გახდეს თუ მისი ქვეყანა, მასპინძელი ქვეყნის დიპლომატს, არასასურველ პირად გამოაცხადებს (პერსონა ნონ გრატა)

ვენის კონვენციის მოთხოვნების მიუხედავად, დიქტატორულ ქვეყანაში დიპლომატს შეიძლება ნება არ დართონ ქვეყნის რომელიმე კუთხეში გამგზავრებაზე. ამ შემთხვევაში საჭირო იქნება ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან თანხმობის მიღება. ასეთ ქვეყნებში შეზღუდვები არსებობს ადგილობრივი მოქალაქეების საელჩოში მისვლასთან დაკავშირებითაც.

დიქტატორული რეჟიმის კარგი დამოკიდებულება სტუმრის ქვეყანასთან იმაში გამოიხატება, რომ სტუმრის მიერ გამართულ ღონისძიებებს, მათ შორის წვეულებას ეროვ-

ნულ დღესასწაულებთან დაკავშირებით, მასპინძელი ქვეყნის ოფიციალური პირები დაესწრებიან.

დიქტატორულ ქვეყნებში ოფიციალური პირი სალაპარაკოდ მარტო არ ხვდება დიპლომატს. საუბარში მესამე პირიც მონაწილეობს. ოფიციალური პირის პასუხები, დიპლომატის შეკითხვაზე, არის ისეთი, როგორიც მისი ქვეყნის ოფიციალური განცხადებები, ან კითხვა უპასუხოდ რჩება. ასეთ ქვეყნებში უცხოელი დიპლომატები ადგილობრივ ოფიციალურ პირებს ხვდებიან აეროპორტში, წვეულებებზე, დასაფლავებაზე, ფესტივალებზე, სახელმწიფოს მეთაურის სიტყვით გამოსვლის დროს და სხვა.

დიქტატორული რეჟიმის ქვეყნებში საზღვარგარეთის საელჩოების დიპლომატებს შორის ინფორმაციის გაცვლას დიდი მნიშვნელობა აქვს.

საელჩოს გახსნისათვის საჭირო ტექნიკური საკითხები

თუ ქვეყნებს შორის დიპლომატიური ურთიერთობა პირველად მყარდება, მასპინძელ ქვეყანაში, ელჩის ჩასვლამდე იგზავნება დიპლომატთა და ტექნიკურ მუშაკთა ჯგუფი. აღნიშნული ჯგუფის მიზანია საელჩოსა და ელჩის რეზიდენციისათვის – შესაფერისი შენობის გამოძებნა, დაქირავება ან შესყიდვა. დიპლომატთა შორის რანგით უფროსი აღჭურვილია მასპინძელი ქვეყნის საგარეო უწყების ხელმძღვანელისათვის გადასაცემი წერილით, სადაც გამოთქმულია თხოვნა ეს დიპლომატი ელჩის ჩასვლამდე მიიღოს, როგორც საელჩოს საქმეთა დროებითი რწმუნებული.

ჯგუფს ინტენსიური კავშირები აქვს მასპინძელ საგარეო საქმეთა სამინისტროსთან, ეცნობა იმ დოკუმენტებს, რომლითაც რეგლამენტირებულია დიპლომატთა პრივილეგიები მასპინძელ ქვეყანაში, მასპინძელი ქვეყნის საბაჟო წესებს, იღებს კონსულტაციებს მისთვის საინტერესო საკითხებზე, საგარეო უწყების რეკომენდაციით ან თავისი გადაწყვეტილებით არჩევს საელჩოს და ელჩის რეზიდენციის შენობებს, ხელშეკრულებას აფორმებს შენობების მეპატრონეებთან, უსრუნველყოფს შენობების საკომუნიკაციო საშუა-

ლებებით აღჭურვას და სხვა. საორგანიზაციო ჯგუფი ატყობინებს ელჩს სამუშაოს დასრულების შესახებ.

ადგილსამყოფელ ქვეყანაში ელჩის ჩასვლის და რწმუნებათა სიგელის გადაცემის შემდეგ ოფიციალურად იმართება საელჩოს გახსნის ცერემონიალი. ცერემონიალის შესახებ ნოტით ეცნობება მასპინძელი ქვეყნის საგარეო უწყებას და ქვეყანაში აკრედიტებულ სხვა ქვეყნების საელჩოებს. ნოტაში აღნიშნულია საელჩოს მისამართი, საელჩოს თანამშრომლების ტელეფონის ნომრები, მუშაობის დღეები და საათები.

1992 წლის აპრილში ქალაქ თბილისის სასტუმრო "მეტეხში", სადაც დროებით ბინა დაიდო აშშ-ს საელჩომ, გაიმართა ოფიციალური ცერემონიალი აშშ-ს დროშის აღმართვით და ორი ქვეყნის ჰიმნების შესრულებით. ცერემონიალს ესწრებოდნენ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები.

ანალოგიური ცერემონიალი ტარდება საელჩოს შენობის შეცვლისას.

საელჩოების სასტუმროში განთავსების პრაქტიკა ახალი არ არის. ასეთი პრაქტიკა საქართველოზეც ვრცელდება, მაგალითად, დიდი ბრიტანეთის საელჩო დღიდან გახსნისა, სასტუმროშია განთავსებული. ასეთი ვითარებაა სხვა ქვეყნების საელჩოებთან დაკავშირებით. გერმანიის საელჩო მიმდინარე რემონტიდან გამომდინარე, დროებით განთავსებულია სასტუმროში. სხვა ქვეყნების საელჩოები ან კერძო პირების სახლებში, იჯარით არიან განთავსებული ან მასპინძელი ქვეყნის მიერ კუთვნილ შენობაში.

ელჩისა და სხვა დიპლომატების მიმართ მიმართვების შესახებ

ელჩს მიმართავენ სიტყვით "თქვენო აღმატებულებავ" (Excellency). აშშ-ა და ევროპის ქვეყნებში მიმართვისათვის გამოიყენება სიტყვა "ბატონო ელჩო" (Mr. Ambassador). ელჩის მეუღლეს მიმართავენ სიტყვით "ქალბატონო ელჩო" (Madame Ambassador) ან უბრალოდ "ქალბატონო" (Madame).

ოთახში ელჩის შესვლის დროს ფეხზე დგებიან. ანალოგიურად იქცევიან მისი მეუღლის მიმართ. ოთახში ან დარბაზში შესვლისას ელჩი მეუღლესთან ერთად წინ მიუძღვის თანამშრომლებს. იგივე პროცედურაა ოთახის ან დარბაზის დატოვებისას.

ავტომანქანით მოძრაობის დროს დიპლომატის ავტომანქანამ ელჩის ავტომანქანას არ უნდა გაუსწროს.

საელჩოს თანამშრომელმა არასდროს არ უნდა უთხრას უარი ელჩს თხოვნაზე, შეხვედრაზე დასწრებასთან დაკავშირებით ან სხვა დავალებებთან მიმართებაში. დიპლომატს უნდა ახსოვდეს, რომ საზღვარგარეთ მისიის ინტერესების დაცვისათვის არის მივლინებული და არა საკუთარი ინტერესებისათვის.

მიღების, წვეულების ან რაიმე ღონისძიების დროს, რომელშიც ელჩიც იღებს მონაწილეობას და მასთან სხვა არავინ არის, დიპლომატი უნდა მივიდეს ელჩთან და დარჩეს, ვიდრე ის არ დატოვებს მიღებას. დიპლომატი არ უნდა შეეცადოს თავის ისე მოჩვენებას, თითქოს ვერ დაინახა ელჩი.

დიპლომატმა არ უნდა მიიღოს მონაწილეობა იმ ქვეყნის საელჩოს მიერ გამართულ ღონისძიებაში, რომელთანაც მის ქვეყანას არ აქვს დიპლომატიური ურთიერთობა.

ელჩის მიერ მოწყობილ ყველა ღონისძიებაზე დიპლომატი ათი წუთით ადრე უნდა მივიდეს და ჰკითხოს მას, ხომ არ აქვს რაიმე დავალება ან ინსტრუქცია. ის უნდა დაეხმაროს სტუმრებს, თავი იგრძნონ თავისუფლად.

საელჩოს მაღალი რანგის დიპლომატები ხედებიან და აცილებენ ელჩის სტუმრებს. დიპლომატი მზად უნდა იყოს იმისათვის, რომ საჭირო შემთხვევაში შეავსოს ცარიელი ადგილი მაგიდასთან.

საელჩოს თანამშრომელს უნდა ახსოვდეს, რომ ელჩთან ურთიერთობა მხოლოდ სამუშაო საათებით არ არის შემოფარგლული. დიპლომატს ელჩთან კარგი ურთიერთობა უნდა ჰქონდეს, როგორც საელჩოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. დიპლომატმა უნდა დაიცვას მოსაწვევი ბარათის მოთხოვნა ჩაცმულობასთან დაკავშირებით.

სამუშო საათების დროს მამაკაცებს ჰალსტუხი უნდა ეკეთოთ.

საელჩოში მუშაობის დაწყებისთანავე დიპლომატი ტელეფონით უნდა დაუკავშირდეს სხვა საელჩოების, მისი რანგის დიპლომატებს და მასპინძელი ქვეყნის ოფიციალურ პირებს.

დიპლომატმა წვეულებაზე არ უნდა წაიყვანოს ცოლშვილი, თუ ამის შესახებ არ არის აღნიშნული მოსაწვევ ბარათში.

დიპლომატის ქცევის შესახებ

დიპლომატი აღჭურვილია მაღალი სტატუსით, იმუნიტეტით და პრივილეგიებით. მისი ცხოვრების სტილი მაღალი საზოგადოების ცხოვრების სტილს შეეფერება, ამიტომაც საუკეთესო სასტუმროებს, ავტომანქანებს, სიგარეტებს ხშირად არქმევენ დიპლომატის, კონსულის ან ამბასადორის სახელს.

დიპლომატი არ უნდა ჩაერთოს საბაჟო გადასახადისაგან განთავისუფლებული ნივთებით (ღვინო, სხვა სპირტიანი სასმელები, თამბაქო, პარფიუმერია, ანტიკვარული ნივთები, ნოხები, ავტომანქანა) ვაჭრობაში ან სავალუტო მაქინაციებში, წინააღმდეგ შემთხვევაში დეპორტაცია არ აცდება.

დიპლომატი სამსახურში არ უნდა მივიდეს კოსტიუმისა და ჰალსტუხის გარეშე, თუ ქვეყანაში არსებული ცხელი კლიმატიდან გამომდინარე სხვა ტანსაცმლის ჩაცმა არ არის რეკომენდებული. ტანსაცმელს დიპლომატიაში გარკვეული ყურადღება ენიჭება. ჯინსებით, სანდლებით ან მაისურით სამსახურში მისვლა მიუღებელია.

ქცევები და მანერები ქმნიან დიპლომატის სახეს. ჯენტლმენური ქცევა მრავალმხრივია. დიპლომატს უნდა ჰქონდეს თბილი, გულითადი სახის გამომეტყველება, დახვეწილი მანერები, ისეთი, რაც სხვებისათვის იოლად მისაღები იქნება. მასში არ უნდა შეინიშნებოდეს ხელოვნურობა, არტისტიზმი, მოჩვენებითობა.

როგორც აღინიშნა, დიპლომატისათვის ჩაცმას დიდი მნიშვნელობა აქვს. კარგი ტანსაცმელი სულაც არ ნიშნავს მდიდრულს, ძვირად ღირებულს. ტანსაცმელი კარგად უნდა

იყოს მორგებული. მასში დიპლომატი თავს უხერხულად არ უნდა გრძნობდეს. როგორც წესი, ზამთრის განმავლობაში დიპლომატი მუქ ტანსაცმელში, ხოლო სხვა დროს ღია ფერებშია გამოწყობილი. დიპლომატი ნაკლებად ატარებს სხვადასხვა ფერის შარვალსა და პიჯაკს, ან მუქი ფერის კოსტიუმზე ღია ფერის ფეხსაცმელებს. მუქი შინდისფერი ან სხვა ფერის ფეხსაცმელი მხოლოდ ღია ფერის კოსტიუმის დროს გამოიყენება. აქვე უნდა აღინიშნოს ფეხსაცმლის ზონრის შესახებ. ზოგს მიაჩნია, რომ ფეხსაცმლის ზონარი წინდებში უნდა იყოს ჩატანებული, რაც მიუღებელია დიპლომატისათვის. დიპლომატისათვის ასევე მიუღებელია დაბალხარისხიანი, სინთეტიკური ჰალსტუხის ტარება. ჰალსტუხი უნდა იყოს მაღალხარისხიანი, ფერები თავშეკავებული. ჭყეტელა ფერებიანი ჰალსტუხი დიპლომატისთვის შეუფერებელია. დიპლომატისათვის ასევე შეუფერებელია სხვადასხვა სახის სამკაულების ან აქსესუარების ტარება.

დიპლომატმა მონაწილეობა არ უნდა მიიღოს კერძო პირის მიწვევაში, რომელიც დაკავშირებულია კერძო საწარმოს გახსნასთან.

შეზღუდვები, რომლებიც დიპლომატმა უნდა იცოდეს

ადგილსამყოფელ ქვეყანაში მუშაობის დროს დიპლომატს არ უნდა შეექმნას მოჭარბებული წარმოდგენა საკუთარი პოლიტიკური როლის მნიშვნელობაზე. მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ სამშობლოში მყოფი მოხელეები საკმაოდ კომპეტენტურები არიან და მათ შეუძლიათ დაადგინონ რა არის ცუდი თუ კარგი.

დიპლომატმა არასდროს არ უნდა მიიღოს უეცარი პოლიტიკური ან ფინანსური გადაწყვეტილება, ვიდრე არ მიიღებს ინსტრუქციებს სამსახურიდან.

მან თავი უნდა შეიკავოს პრეს-კონფერენციაში მონაწილეობისაგან ან ინტერვიუს მიცემისაგან, ვიდრე ამის შესახებ თანხმობა არ ექნება ხელმძღვანელობისაგან. საკუთარი ქვეყნის შესახებ აუდიტორიის წინაშე ლექციით ან სიტყვით გამოსვლა მან წინასწარ უნდა შეათანხმოს ელჩთან.

ადგილსამყოფელი ქვეყნის ხელმძღვანელობასთან შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტებს საერთო ფრაზებით უნდა გასცეს პასუხები.

დიპლომატი რეპორტიორი არ არის, ის პოლიტიკური ანალიტიკოსია, როდესაც საკითხი პირდაპირ თუ ირიბად ეხება მისი ქვეყნის პოლიტიკას.

დიპლომატს კარგად უნდა ახსოვდეს, რომ მისი ზემოქმედება ადგილსამყოფელ ქვეყანაზე კრახით დასრულდება თუ ადგილობრივი ხელისუფლება ჩათვლის ასეთ ქმედებას მიუღებლად. სამწუხაროდ დიდი სახელმწიფოების ელჩები განვითარებად ქვეყნებში არცოუ იშვიათად ისე იქცევიან, თითქოს ქვეყნის მმართველები იყვნენ. ასეთი ქცევა დიდ გულისწყრომას იწვევს მასპინძელ ქვეყანაში, რაც ხშირად დიდი ქვეყნის ელჩის სახელმწიფოსთან, მასპინძელი ქვეყნის ურთიერთობის გაუარესების საბაბი ხდება.

ადგილსამყოფელი ქვეყნის შესწავლის აუცილებლობა

დიპლომატმა ადგილსამყოფელ ქვეყანაში გამგზავრებამდე უნდა წაიკითხოს მომავალი მასპინძელი სახელმწიფოს ისტორია, გაეცნოს მის თანამედროვე ცხოვრებას, პოლიტიკას, კულტურას, შეისწავლოს მისი წეს-ჩვეულებები, გეოგრაფია, ბუნებრივი რესურსები, ქვეყნის პრობლემები, მისი დამოკიდებულება მეზობელი ქვეყნების მიმართ და სხვა.

ყველა სახელმწიფოში პიროვნულ კავშირებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ქვეყანაში ყოფნის დროს დიპლომატი ახლოს უნდა გაეცნოს პოლიტიკურ ვითარებას, ეკონომიკურ საკითხებს, სოციალურ ყოფას, პოლიტიკურ ძალთა პოზიციებს, მათ იდეოლოგიას, არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობას.

მას უნდა ახსოვდეს, რომ ბევრ განვითარებად ქვეყანაში ეკონომიკური მონაცემები გადაჭარბებულია და არ ასახავს რეალურ ვითარებას.

განვითარებადი ქვეყნების ნაწილი, სადაც დიდძალი თანხები იხარჯება სამხედრო მშენებლობაზე, სოციალური თვალსაზრისით, ერთობ ჩამორჩენილ შთაბეჭდილებას ტოვებს.

მაღალგანვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყნებში იგრძნობა სამრეწველო ლიდერთა გავლენა, როგორც ქვეყნის საშინაო ისე საგარეო პოლიტიკაზე, მაგრამ კონკურენცია, უმუშევრობა, ახალი ბაზრების მოთხოვნები გავლენით სარგებლობს ინდუსტრიულ ლიდერებზე. დიპლომატთა საყურადღებოდ – სამრეწველო ლიდერებთან კავშირების ქონა აუცილებელია.

დიპლომატმა კარგად უნდა შეისწავლოს ადგილობრივი ბაზარი და გამოარკვიოს რის დეფიციტი იგრძნობა. ის უნდა შეეცადოს საკუთარი ქვეყნის საქონლით ადგილსამყოფელი ბაზრის დეფიციტის შევსებას.

ადგილსამყოფელ ქვეყანაში მუშაობის დროს დიპლომატმა შეძლებისდაგვარად უნდა შეისწავლოს ადგილობრივი ენა.

დიპლომატის მოვალეობა

დიპლომატის მოვალეობაა იგრძნოს, გაიგოს, შეაფასოს მასპინძელ ქვეყანაში არსებული ვითარება, ფაქტები, მდგომარეობა.

მან უნდა შექმნას მის მიმართ დამაჯერებლობის, ნდობის და პატივისცემის ატმოსფერო.

სიღრმისეულად გააანალიზოს მოვლენები.

დიპლომატს უნდა ჰქონდეს ფაქტების დამახსოვრების, ზეპირი და წერითი ასახვის უნარი.

დიპლომატს უნდა შეეძლოს უცხო, უცნობი კულტურის აღქმა და გაგება.

მას უნდა ჰქონდეს დათანხმებისა და დარწმუნების უნარი.

განჭვრეტის უნარი.

ჰუმანური მოტივაციის გაგების უნარი.

დიპლომატს უნდა ჰქონდეს მართვის უნარი.

მას უნდა შეეძლოს ლიდერობის გამოვლინება და იცოდეს კოორდინაციის ხელოვნება.

მას უნდა შეეძლოს, როგორც დიდი, ისე მცირე დაწესებულების მუშაობის ორგანიზება.

დიპლომატს, მიზნის მიღწევისათვის უნდა შეეძლოს ძალთა განსაზღვრა, გეგმებისა და მიმართულებების დადგენა.

მას უნდა ჰქონდეს უნარი, დახმარებისათვის იმათაც მიმართოს, ვინც დიპლომატისადმი კრიტიკულად არის განწყობილი.

დიპლომატს უნდა ჰქონდეს სხვადასხვა მოსაზრებების აწონ-დაწონის უნარი. იმ შემთხვევაში, თუ მას აკლია გამოცდილება, სხვისი აზრის გათვალისწინება უნდა შეეძლოს.

როგორ უნდა შეინარჩუნოს საელჩოს თანამშრომელმა კარგი — ურთიერთდამოკიდებულება მისიაში?

დიპლომატმა თავი უნდა აარიდოს ელჩის ან მისი მეუღლის შესახებ არსებული ჭორების გამეორებას ან გავრცელებას. ჭორის მთქმელი დარწმუნებულია, რომ დიპლომატი შეასრულებს ბინძურ საქმეს და გაიმეორებს ჭორს, ელჩის და მისი მეუღლის სახელის დისკრედიტაციისათვის. ადრე თუ გვიან, ელჩი სწორედ იმ პირებისაგან შეიტყობს, ვინც დიპლომატს გაანდო "საიდუმლო", რომ დიპლომატი ცდილობდა ელჩისათვის ჩირქის მოცხებას.

დიპლომატმა ნაკლებად უნდა იწუწუნოს, როდესაც დამატებით ახალ საქმეს აძლევენ. თუ დიპლომატი თვლის, რომ სამუშაოთი გადატვირთულია, მან უნდა სთხოვოს უფროსს, დავალების შესრულების ვადის გადაწევა ან ახალი დავალების სხვისთვის მიცემა.

ჭკვიანი დიპლომატი, რომელსაც მოთმინების უნარი აქვს, ყველა შემთხვევაში მიიღებს ახალ დავალებას, ვინაიდან ეს არის პირველი ნაბიჯი უფროსის ნდობის მოპოვებისათვის, დიპლომატის მიმართ ელჩის მხრიდან დამოკიდებულების გაზრდისათვის, საელჩოში მეტი ავტორიტეტის შექმნისათვის.

დიპლომატი ფრთხილი უნდა იყოს შეფასებათა დროს. განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინოს საფინანსო დოკუმენტებზე ხელის მოწერის წინ.

დიპლომატი უნდა შეეცადოს დადებითად ილაპარაკოს კოლეგების მიმართ.

თუ დიპლომატი დაინახავს, რომ ელჩი მარტოობაშია, მან უნდა დააფასოს ის და როდესაც ელჩი ნაკლებად დატვირთული იქნება, შევიდეს მასთან. ელჩი უკმაყოფილო არ დარჩება დიპლომატის ხუმრობით ან ახალი ამბის მოყოლით. დიპლომატმა საკუთარი მხარდაჭერა უნდა გამოხატოს ელჩის საქმიანობის მიმართ. დიპლომატს არ უნდა მოერიდოს მის მიერ გაწეული სამუშაოს, მიღწევების ან ძალისხმევის ჯეროვანი წარმოჩინების.

დიპლომატმა თავი უნდა აარიდოს ექსტრავაგანტურობას ან სიძუნწეს. ის უნდა შეეცადოს, იყოს კეთილი.

დიპლომატმა საერთო დისკუსიაში მონაწილეობის მიღებამდე წინასწარ უნდა მოამზადოს საკითხებზე პასუხები და დასკვნები. მან ყურადღებით უნდა მოუსმინოს გამომსვლელს და შესაბამისი დასკვნები გააკეთოს თავისი გამოსვლის დროს.

კომპრომისული წინადადების შეთავაზების წინ დიპლომატმა უნდა აღნიშნოს კონფლიქტის უარყოფითი ასპექტები, შემდეგ კი გამოთქვას ორივე მხარისთვის სასარგებლო თავისი მოსაზრება და წინადადებები.

განსხვავება დიპლომატიურ მოხსენებასა და პრესაში გამოქვეყნებულ მასალას შორის

შეიძლება ითქვას, რომ გაზეთები „ნიუ იორკ ტაიმსი“, “ვაშინგტონ პოსტი“, “მონდი“, “ფრანკფურტერ ალგემაინე ცაიტუნგი“, სხვა რესპექტაბელური გამოცემები ისეთივე კარგ და კვალიფიციურ წყაროდ ითვლება, როგორც დიპლომატიური გამოცემები, მაგრამ მიუხედავად ამისა, დიპლომატიური მოხსენება მნიშვნელოვნად განსხვავდება საგაზეთო პუბლიკაციისაგან. იგი შეიცავს დიპლომატის პერსონალურ ინტერპრეტაციას და შეხედულებებს, ოფიციალურ

და საზოგადოებაში არსებულ აზრთა სხვადასხვაობას, ადგილობრივი საგარეო უწყების მოხელეთა მოსაზრებას, საკითხისადმი ოპოზიციური პარტიების დამოკიდებულებას, სხვა დიპლომატიურ მისიათა კომენტარებს. დიპლომატის მოხსენებაში არ არის სენსაცია, რაც დამახასიათებელია გაზეთებისათვის.

დიპლომატიური მოხსენება შეფასებას აძლევს ახალ ამბებს, ინციდენტს თუ კრიზისულ ვითარებას, რომლებიც ასახვას პოულობს მასპინძელი ქვეყნის პოლიტიკაზე.

დიპლომატი სთავაზობს საკუთარ ქვეყანას, თუ რა პოზიცია დაიკავოს ან ხერხი გამოიყენოს მასპინძელ ქვეყანასთან მიმართებაში. რეკომენდაცია უნდა შეიცავდეს არსებულ და სამომავლო ორმხრივ და მრავალმხრივ ურთიერთობის საკითხებს.

დიპლომატიური წვეულების შესახებ

დიპლომატიაში მასპინძლობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან მასპინძლობის დროს ხდება მოწვეული სტუმრების არა მარტო სხვადასხვა კერძებით გამასპინძლება, არამედ საკუთარი კულტურისა და ხელოვნების გაცნობაც. ამ მხრივ წვეულების გამართვას დიდი მნიშვნელობა აქვს. წვეულების დროს ჩნდება ახალი შესაძლებლობა გაცნობის, დაახლოების და რაც დიპლომატისათვის მნიშვნელოვანია, ახალი ინფორმაციის მიღების. დიპლომატი მონაწილეობას უნდა ღებულობდეს ადგილობრივ სოციალურ ღონისძიებებში, რაც მის მიმართ პოზიტიურად განაწყობს მასპინძელი ქვეყნის ხელისუფლებას. დიპლომატს უნდა ახსოვდეს, რომ ფულის დასაზოგად არ არის მივლინებული საზღვარგარეთ.

დიპლომატმა არ უნდა გააცდინოს ოფიციალური მიღება, ვინაიდან მიღებაზე დასწრება მეგობრობისა და კეთილი დამოკიდებულების გამოხატვაა.

აღნიშნული ფუნქციების შესრულების დროს დიპლომატმა შემდეგი წესები უნდა დაიცვას:

მასპინძლობის დროს ის უნდა შეეცადოს ნაცნობ-მეგობრების წრის გაფართოებას.

თუ მას სურს საელჩოს წვეულებაზე დაპატიჟოს მასპინძელი ქვეყნის მოქალაქე, მან ამის შესახებ წინასწარ უნდა მოახსენოს ელჩს.

მან წვეულებაზე უნდა მოიწვიოს სხვა საელჩოებიდან ახალგაცნობილი ან ძველი კოლეგები, საკუთარი რანგიდან გამომდინარე, აგრეთვე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები. დიპლომატმა, მასზე მაღალი რანგის მქონე დიპლომატს, მოსაწვევი ბარათი, წინასწარი შეთანხმების შემდეგ უნდა გაუგზავნოს.

დიპლომატმა თავი უნდა აარიდოს პროტოკოლური წვეულების (ლანჩი, სადილი, ვახშამი) გამართვას, ვიდრე კარგად არ გაიწაფება ამ საქმეში. მაგიდასთან სხდომით წვეულება საჭიროებს რანგების მიხედვით სტუმარ-მასპინძლის ჰარმონიულ განთავსებას. ამისათვის საჭიროა სტუმრების რანგისა და საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი მდგომარეობის კარგად შესწავლა. უნებლიე შეცდომას სტუმრის განაწყენება შეიძლება მოჰყვეს. წვეულების დროს მაგიდაზე იდება სტუმარ-მასპინძლის გვარებიანი ბარათები, რომლებიც აიოლებს მაგიდასთან სხდომის პროტოკოლს. ბუფეტის, ან ა ლა ფურშეტის მოწყობა აადვილებს დიპლომატის ამოცანებს და ხსნის პროტოკოლიდან გამომდინარე უხერხულობას, ქმნის მიღებისათვის საჭირო არაფორმალურ, თავისუფალ ატმოსფეროს. მიღების დროს მუსიკა, ცეკვა, სხვადასხვა სახის თამაშები ან კინოფილმის ჩვენება ხელს უწყობს მიღების წარმატებას.

ოფიციალური მიღების დროს მასპინძელი არჩევს ტანსაცმლის ფორმას – სმოკინგს ან ფრაკს (black tie or white tie).

მოსაწვევი ბარათი მოწვეულებს 10 დღით ადრე ეგზავნებათ. მოწვეულმა სტუმარმა ტელეფონით მადლობა უნდა გადაუხადოს მასპინძელს და უთხრას, დაესწრება თუ არა წვეულებას. მაგიდასთან ადგილები განსაზღვრულია და არდასწრება უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენებს მასპინძელს. დიდი წვეულების დროს გარდა იმისა, რომ სასადილო მაგიდაზე მოწვეულთა გვარებიანი ბარათები ლაგდება, სასა-

დიდო დარბაზის წინა ოთახში (დარბაზში) კეთდება სასადილო მაგიდის მაკეტი, სტუმართა გვარებით, რაც ეხმარება მოწვეულებს თავიანთი ადგილის მიგნებაში.

მაგიდასთან საპატიო ადგილად ითვლება მასპინძლიდან პირველი ადგილი მარჯვნივ. როდესაც სტუმარი მეუღლით არის, მთავარი მასპინძლის მარჯვენა ადგილს იკავებს სტუმრის მეუღლე, ხოლო მთავარი მასპინძლის მეუღლის მარჯვენა მხარეს, მთავარი სტუმარი. დანარჩენი სტუმრები პროტოკოლის მიხედვით, რანგებიდან გამომდინარე იკავებენ თავიანთ ადგილებს.

საპატიო სტუმარი მასპინძელს წვეულებაზე მისვლამდე უგზავნის ყვავილების თაიგულს.

სუფრასთან ყოფნის დროს დიპლომატი უნდა ესაუბრებოდეს მის მარჯვნივ და მარცხნივ მყოფ ადამიანებს. მაგიდასთან მოშორებით მსხდომთან საუბარი მიუღებელია.

მოწვეულმა არ უნდა გამოხატოს უკმაყოფილება კერძების მიმართ. თუ მას არ სურს ღვინის დალევა ან ბოკალის შევსება, უნდა ანიშნოს ოფიციანტს ამის შესახებ.

მაგიდასთან სიგარეტის მოწევა არ არის რეკომენდებული.

სუფრას პირველი ტოვებს მასპინძელი, შემდეგ საპატიო სტუმარი. მათზე ადრე სუფრის დატოვება არ არის რეკომენდებული.

მიღების დასაწყისში მასპინძელს მოწვეულებთან შეხვედრისას ხელში არც ბოკალი და არც სიგარეტი არ უნდა ეჭიროს.

საელჩოში გამართული მიღების დროს, საელჩოს თანამშრომლები ცალკე არ უნდა იდგნენ და ერთმანეთში არ უნდა საუბრობდნენ. ისინი მასპინძლობას უნდა უწევდნენ სტუმრებს, უნდა ართობდნენ მათ.

მიღების დროს ყურადღება უნდა მიექცეს ყველა სტუმარს. წვეულებაზე წასვლისას ზუსტად უნდა გაითვალოს წვეულებამდე მისასვლელი დრო. წვეულებაზე ადრე მისვლა რეკომენდებული არ არის, ვინაიდან მასპინძელმა, რომელიც წვეულების მზადებაშია გართული, ძალაუნებურად ყურადღება უნდა მიაქციოს ადრე მისულ სტუმარს. თუ მა-

ინც ადრე მისვლა მოუხდა სტუმარს, უმჯობესია ქუჩაში დაცდა და სახლში, მოსაწვევ ბარათში აღნიშნულ დროს შესვლა. მიუღებელია წვეულებაზე დაგვიანებაც. დიპლომატიაში ხუთი-ათი წუთის დაგვიანება მისაღებია, მეტის – მიუღებელია. წვეულების დროს სტუმარი მზად უნდა იყოს ფეხზე დგომისათვის თუ მიღება ა ლა ფურშეტის მსგავსია და ლაპარაკისათვისაც. ამ შემთხვევაში მარტო ამინდის შესახებ საუბარი საკმარისი არ არის.

შეხვედრები და საუბრები

დიპლომატისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს შეხვედრებისა და საუბრების კვალიფიციურად წარმართვას. დიპლომატს გამომუშავებული უნდა ჰქონდეს მოსმენის კულტურა. დიპლომატმა ბევრი არ უნდა ილაპარაკოს. მან ბევრი უნდა მოისმინოს. დიპლომატი ფრთხილად უნდა იყოს იმათ მიმართ, ვინც დაბეჯითებით ცდილობს მის გაცნობას ან მასთან კავშირების დამყარებას.

დიპლომატი უნდა შეეცადოს, მიესადაგოს მასპინძელი ქვეყნის წეს-ჩვეულებებს. ის არ უნდა გაღიზიანდეს ყველაფერზე, რაც მას აბსურდად ეჩვენება. დიპლომატმა მედიდურობა უნდა მოიშოროს, როდესაც მას საქმე აქვს ადგილობრივი კომპეტენტური ორგანოების წარმომადგენლებთან. ასეთი დამოკიდებულება აღიზიანებთ მათ, რაც ცუდად აისახება დიპლომატის ქვეყანაზე. დიპლომატის ვალია, შექმნას საკუთარი ქვეყნისადმი მაქსიმალურად დადებითი განწყობა. დიპლომატმა თავი უნდა აარიდოს მასპინძელი ქვეყნის მკვეთრ კრიტიკას. დიპლომატმა არ უნდა იცრუოს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთან, ვინაიდან ამან შეიძლება ნდობა შეურყიოს დიპლომატს და ეჭვქვეშ დააყენოს მისი შემდგომი ეფექტიანი მუშაობა. დიპლომატმა თავიდან უნდა აირიდოს არასახარბიელო ზეპირი და წერითი კომენტარები, როდესაც მასპინძელი ქვეყანა საერთაშორისო კრიტიკის ქარცეცხლშია მოქცეული.

დიპლომატს კარგად უნდა ჰქონდეს გავარჯიშებული დამახსოვრების უნარი. მას უნდა შეეძლოს საუბრის დამახსოვრება, გარდა ამისა, საუბრის ჩაწერა.

შეხვედრაზე გამგზავრებამდე დიპლომატი უნდა შეეცადოს იმის დადგენას, რასთან დაკავშირებით სურს საუბარი მეორე მხარეს.

დიპლომატმა უნდა მოახერხოს მასპინძელი ქვეყნის ენის იმ დონეზე შესწავლა, რომ გაიგოს რაზეა საუბარი.

დიპლომატმა მეგობრული კავშირები უნდა დაამყაროს იმათთან, ვისაც შეუძლია გარკვეული დახმარების გაწევა დიპლომატის მისიის წარმატებულ მუშაობაში.

დიპლომატმა უნდა განსაზღვროს საკუთარი დამოკიდებულება პირთან, ვისთანაც მას ხშირად აქვს საქმე.

დიპლომატის მიზანია დისკუსიაში მონაწილეს შეაგნებინოს მისი პოზიციის სიმცდარე. ამ დროს დიპლომატი არ უნდა იყოს დამცინავი, მან აუგად არ უნდა მოიხსენიოს მოწინააღმდეგის პოზიცია.

უმნიშვნელო საკითხთან დაკავშირებით დიპლომატმა არ უნდა ატეხოს ორომტრიალი, არ უნდა შექმნას შეუდრეკელი ადამიანის სახე, პირიქით, მან შემრიგებლური მიდგომა უნდა გამოავლინოს და თავი დაზოგოს უფრო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღწევისათვის. მას კარგად უნდა ახსოვდეს, რომ დადებითი შედეგის მიღწევა იოლად არ ხდება.

დიპლომატმა თვალის ხამხამითაც არ უნდა გათქვას საკუთარი თავი, რომ მისი პოზიცია განსხვავებულია საკუთარი ქვეყნის პოზიციისაგან.

დიპლომატი უნდა იყოს გაწონასწორებული. ის არ უნდა აჰყვეს იმპულსებს, ფსევდო-პატრიოტობას.

საინფორმაციო სამსახური

დიპლომატი, პროფესიიდან გამომდინარე, თავს იკავებს თეთრზე თქვას თეთრი, შავზე — შავი. მას უჭირს გამოიყენოს ტერმინი "პროპაგანდა", რაც თავისი არსით ნიშნავს ინფორმაციას, რომელიც ცოტა სიმართლეს ეურდნობა. დიპ-

ლომატის მიდგომა ასეთია – პრესის აქტიურობა საინფორმაციო მომსახურებისათვის. თუმცა აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ საინფორმაციო მომსახურება საგარეო პოლიტიკის საუკეთესო იარაღია და მის გარეშე ვერც ერთი უცხოური მისია ვერ იარსებებს.

დიპლომატიური მისიისათვის – პროპაგანდა, რომელიც გულისხმობს საკუთარი შეხედულებების "გაყიდვას", შემდეგ ასპექტებს გულისხმობს:

1. დიპლომატის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას, მისი პოლიტიკის, კულტურის, სხვადასხვა დარგის მიღწევების, ცხოვრების წესის, სახელმწიფო მოხელეების, ბიზნესმენების, საზოგადო მოღვაწეთა და მეცნიერთა შესახებ ფართო საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდებას. გარდა ამისა, ადგილსამყოფელ ქვეყანაში საკუთარი ქვეყნის პოლიტიკოსთა გამოსვლებიდან, მოხსენებებიდან, სიტყვებიდან და ა.შ. ამონარიდების გავრცელებას. 2. ყოველკვირეული ბიულეტენის გამოცემას, რომელშიც ასახული უნდა იყოს წარმდგენი ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარება, მიღწევები სხვადასხვა დარგებში. 3. გამოფენების მოწყობას. ორმხრივი გაცვლის საფუძველზე საკუთარ ქვეყანაში საზოგადო მოღვაწეთა, მეცნიერთა, სპორტსმენთა, მსახიობთა, ჟურნალისტთა მიწვევას. მათი ვიზიტის ფართოდ გაშუქებას პრესაში. 4. საკუთარი ენისა და კულტურის შესწავლისათვის ხელის შეწყობას და ამ საქმის განხორციელებისათვის ადგილობრივი ხელმძღვანელობის დაყოლიებას სკოლების გახსნისათვის. საკუთარი ქვეყნის მასწავლებლების მოწვევას, ბიბლიოთეკის გახსნას, განათლებისა და კულტურის გაცვლის პროგრამების შექმნას. 5. საკუთარ ქვეყანაში მასპინძელი ქვეყნის ელიტის მიწვევას. მიწვეულთა შორის ყველა ფენის წარმომადგენლის ჩართვას. მსგავსი ვიზიტები ხელს შეუწყობს დიპლომატიური მისიის შესაძლებლობების გაფართოებას და მასპინძელთა მხრიდან გარკვეული სიმპათიების გაჩენას.

აღნიშნული პროექტის განხორციელებისათვის დიპლომატს კარგი ურთიერთობა უნდა ჰქონდეს დამყარებული საკუთარი ქვეყნის საგარეო უწყებასთან, სხვა სამინისტროებთან. 6. ადგილობრივი ხელისუფლებისა და არასამთავრობო

ორგანიზაციებისათვის საკუთარი ქვეყნის შესახებ ფილმების, ახალი ამბების, სატელევიზიო ვიდეო მასალის ჩვენებას.

დიპლომატიაში ნაკლებად მისაღებია ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთების სუბსიდირება წარმდგენი ქვეყნის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების მიზნით, თუმცა ამას არცოუ იშვიათად აქვს ადგილი, ოღონდ ფარულად.

ზემოთმოყვანილი დიპლომატიური პროპაგანდის მაგალითები ხელს უწყობს მასპინძელ სახელმწიფოში, წარმდგენი ქვეყნის შესახებ, სასურველი ინფორმაციის გავრცელებას. დიპლომატს უნდა ახსოვდეს, რომ მხოლოდ მუხლმოუხრელი, ენერგიული, თანმიმდევრული, მიზანდასახული საქმიანობით, დაჟინებული გამეორებით, მიიღწევა დასახული მიზანი და არა ეპიზოდური, ზერელე ქმედებით.

საჩუქრების მნიშვნელობა

დიპლომატიაში ფართოდ არის მიღებული საჩუქრის გადაცემა. საჩუქარი არ უნდა იყოს ძალზე ძვირადღირებული, მას სუვენირის სახე უნდა ჰქონდეს. საჩუქარი ხშირად პირადი ურთიერთობის ამსახველია. საჩუქარში არ იგულისხმება ფული, მასში პატივისცემა და ყურადღება იგულისხმება. საჩუქარი ქრთამი არ არის.

საჩუქრის შერჩევა დამოკიდებულია ვითარებაზე, პირად ურთიერთობაზე, სიახლოვეზე, ადგილსამყოფელი ქვეყნის წეს-ჩვეულებებზე. დიპლომატიაში მიღებულია სტუმრად წასვლამდე მასპინძლისათვის ყვავილების თაიგულის გაგზავნა. თაიგულში ყვავილთა კენტი რაოდენობა უნდა იყოს. საჩუქრად გამოდგება ტკბილეული, საკუთარი ქვეყნის სუვენირები, კულტურასა და ინტელექტთან დაკავშირებული ნივთები. მაგალითად, ჩარჩოში ჩასმული ნახატი, მაღალი ხარისხის ეროი ბოთლი ვისკი ან ღვინო, საათი, ვერცხლის ნაკეთობა, გარდა ამისა, კარგ რესტორანში სადილზე მიპატიჟება, თეატრში მიწვევა.

ზოგ ქვეყანაში დიპლომატს აკრძალული აქვს საჩუქრის მიღება.

საჩუქარი პირადად გადაიცემა და არა ვინმეს თანდასწრებით. სხვების თანდასწრებით საჩუქრის გადაცემა მაშინ არის რეკომენდებული, როდესაც საჩუქარი ყველასათვის არის. საჩუქრის გადასაცემად ისეთი დრო უნდა შეირჩეს, რომ უხერხულ მდგომარეობაში არ აღმოჩნდეს საჩუქრის გადამცემი და მასპინძელმა უყოყმანოდ მიიღოს ის. საჩუქრის გადაცემისათვის უმჯობესია არასამუშაო ვითარება.

იმუნიტეტი და მისი მნიშვნელობა

იმუნიტეტი გულისხმობს საელჩოს დიპლომატების დაცვას ყოველგვარი შემთხვევისაგან.

დიპლომატი დაცულია მასპინძელი ქვეყნის სისხლის და სამოქალაქო სამართლისაგან. იმუნიტეტი დიპლომატის ადგილსამყოფელ ქვეყანაში ჩასვლისთანავე შედის ძალაში და მანამ გრძელდება, ვიდრე დიპლომატი მასპინძელი ქვეყნიდან არ გაემგზავრება. იმუნიტეტი დიპლომატს მაშინაც იცავს, როდესაც ის პერსონა ნონ გრატად არის გამოცხადებული, ვიდრე ის არ დატოვებს ქვეყანას.

დიპლომატიური იმუნიტეტი სრულად ვრცელდება საელჩოს დიპლომატიურ პერსონალზე და მათი ოჯახის წევრებზე. ვენის კონვენციის მიხედვით, დიპლომატიური მისიის თანამშრომლები სამ კატეგორიად იყოფა:

ა) დიპლომატიურ აგენტებად – ელჩი და საელჩოს დიპლომატიური პერსონალი ანუ პირები, რომლებსაც აქვთ დიპლომატიური რანგები და იკავებენ დიპლომატიურ თანამდებობას; ბ) ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალი – მათზე იმუნიტეტი სრულად არ ვრცელდება. გ) მომსახურე პერსონალი: დამლაგებლები, მძღოლები, მეეზოვეები. მათზე იმუნიტეტი მხოლოდ სამუშაოს შესრულების დროს ვრცელდება.

იმუნიტეტი არ ეხება მასპინძელი სახელმწიფოს მოქალაქეებს, რომლებიც მუშაობენ საელჩოში, ასრულებენ რა ტექნიკურ საქმეს.

საქართველოში აკრედიტებული საზღვარგარეთის ქვეყნების მისიები ტექნიკური საქმიანობის შესასრულებლად

ადგილობრივ მოქალაქეებს იყენებენ. ტექნიკური პერსონალი დიპლომატიურ საქმიანობაში არ იღებს მონაწილეობას. ის ასრულებს დიპლომატთა დავალებას. უცხოური მისიებისათვის ადგილობრივი ტექნიკური პერსონალის გამოყენება გაცილებით იაფი ჯდება, ვიდრე მძღოლების, დამლაგებლების, მეეზოვეებისა და სხვათა სამშობლოდან ჩამოყვანა. მაგალითად: თბილისში არსებული აშშ-ს საელჩოს პერსონალის შემადგენლობიდან, რომელიც 500 თანამშრომელს ითვლის, 400 ადგილობრივი მოსახლეა, ხოლო 100 აშშ-ს დიპლომატი.

დიპლომატიური იმუნიტეტი არა მარტო დიპლომატს იცავს, არამედ მისი ოჯახის წევრებს, საელჩოს შენობას, ელჩის რეზიდენციას, არქივს, ავტომანქანას.

დიპლომატიური ურთიერთობის უდიდესი მონაპოვარია დიპლომატიური იმუნიტეტი. 1949 წელს, გაეროს საერთაშორისო სამართლის კომისიამ, ყურადღება მიაქცია დიპლომატიური ურთიერთობისა და იმუნიტეტის საკითხებს. მრავალი წელი დასჭირდა ამ საკითხის შესწავლა-დამუშავებას, ვიდრე ის ასახვას პოვებდა ვენის 1961 წლის კონვენციაში. ამ დოკუმენტის 22-ე მუხლში აღნიშნულია: „სახელმწიფოს, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, განსაკუთრებული მოვალეობა აკისრია, ყველა საჭირო ზომა მიიღოს წარმომადგენლობის შენობის დაცვისათვის, მასში ყოველგვარი შეჭრისა ან მისთვის ზიანის მიყენების, წარმომადგენლობის სიმშვიდის დარღვევის ან მისი ღირსების შეურაცხყოფის თავიდან აცილების მიზნით“.

იმუნიტეტი და პრივილეგიები დიპლომატს თავისი დიპლომატიური ფუნქციების განსახორციელებლად ენიჭება. იმუნიტეტი საკუთრივ დიპლომატს ენიჭება და არ შეიძლება შეთანხმებით ის სხვას გადაეცეს.

ადგილსამყოფელი ქვეყნის საგარეო უწყება აკრედიტებულ დიპლომატს და მისი ოჯახის წევრებს აძლევს დიპლომატიურ ბარათს, სადაც აღნიშნულია, რომ მისი მფლობელი ყველა პრივილეგიით და იმუნიტეტით სარგებლობს. დიპლომატიური ბარათის გაცემა ხდება იმ დიპლომატიური პასპორტის საფუძველზე, რომელიც ეძლევა დიპლომატს თავის ქვეყანაში.

(დიპლომატიური იმუნიტეტის ძირითადი არსი, დიპლომატის ხელშეუხებლობაა. დიპლომატი არ შეიძლება დაკავებულ ან დაპატიმრებულ იქნას. თუ უცხოელი დიპლომატი, დიპლომატიური საქმიანობის დამთავრების შემდეგ სამუშაოდ რჩება მასპინძელ ქვეყანაში არადიპლომატიურ სამსახურში, მას ავტომატურად ეკარგება დიპლომატიური იმუნიტეტი.) ამ შემთხვევაში მასზე ვრცელდება მასპინძელი ქვეყნის იურისდიქცია. დიპლომატზე თავდასხმა იხილება, როგორც სერიოზული ინციდენტი, რასაც ორი ქვეყნის ურთიერთობის დაძაბვა ან გაუარესება შეიძლება მოჰყვეს.)

დიპლომატიურ იმუნიტეტს ექვემდებარება დიპლომატისა და მისი ოჯახის წევრების დოკუმენტები, ტვირთი, სატრანსპორტო საშუალებანი. დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელს, დიპლომატიურ თანამშრომლებს, საელჩოს ტექნიკურ პერსონალს, ავტოინსპექცია გასცემს ავტომანქანების სპეციალურ ნომრებს.

დიპლომატიური ხელშეუხებლობით სარგებლობს დიპლომატიური ფოსტა, დაშიფრული მიმოწერა. ხელშეუხებელია დიპლომატიურ წარმომადგენლობაზე და ელჩის რეზიდენციაზე აღმართული დროშა და გერბი.

(დიპლომატიური იმუნიტეტი ათავისუფლებს დიპლომატს სისხლის სამართლის პასუხისგებისაგან, თუ ის ქვეყანა, რომელმაც მიავლინა დიპლომატი, ნებაყოფლობით არ უარყოფს დიპლომატის იმუნიტეტს.) მსგავს უარყოფას ადგილი ჰქონდა საქართველოს ახალ ისტორიაში, რამაც გაოცება გამოიწვია საერთაშორისო დიპლომატიურ წრეებში. გასული საუკუნის 90-იან წლებში აშშ-ში საქართველოს საელჩოს დიპლომატმა, ნასვამ მდგომარეობაში ავტომანქანა დააჯახა ადგილობრივ მოსახლეს, რომელიც გარდაიცვალა. ნაცვლად იმისა, რომ დიპლომატი უმალ გამოეწვიათ ამერიკიდან და საქართველოში გაესამართლებინათ, მას საქართველოს პრეზიდენტმა მოუხსნა დიპლომატიური იმუნიტეტი. დიპლომატი გაასამართლეს აშშ-ში და რამდენიმე წლით პატიმრობა მიუსაჯეს. ის სასჯელს იხდიდა ამერიკულ ციხეში. ამ ფაქტმა საკმაოდ შებღალა ქართული დიპლომატიის იმიჯი, ვინაიდან ის განპირობებული იყო საქართველოს ხელისუფლების ბანალური მლიქვნელობით აშშ-ის წინაშე.

დიპლომატი შეიძლება გამოცხადდეს არასასურველ პირად, პერსონა ნონ გრატად და გაძევებულ იქნას ქვეყნიდან. დანაშაულის ჩადენისათვის დიპლომატი პასუხს საკუთარი ქვეყნის კანონმდებლობით აგებს.

დიპლომატიური იმუნიტეტი ათავისუფლებს დიპლომატს საბაჟო გადასახადისაგან, ტვირთის საბაჟო შემოწმებისაგან.

ვენის კონვენცია დიპლომატს უკრძალავს, მასპინძელ ქვეყანაში, გამორჩენის მიზნით, კომერციული საქმიანობის წარმოებას, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც დიპლომატი არღვევს ამ კანონს, შეაქვს რა მასპინძელ ქვეყანაში გასაყიდად ვალუტა, დეფიციტური საქონელი, ქვეყნიდან გააქვს ხელოვნების ნიმუშები.

პირადი ხელშეუხებლობა არის იმის გარანტია, რომ დიპლომატს არ დააკავებენ და არ დააპატიმრებენ. ვენის კონვენცია ხელშეუხებლობას ავრცელებს იმ შემთხვევაშიც, როდესაც დიპლომატი მესამე ქვეყანაშია.

თუ დიპლომატიურ წარმომადგენლობაზე ხდება თავდასხმა ან ქვეყნის დროშის შეურაცხყოფა, მასპინძელმა ქვეყანამ ბოდიში უნდა მოიხადოს საელჩოს წინაშე და აანაზღაუროს ზარალი.

შენობის ხელშეუხებლობა

მასპინძელი ქვეყნის ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკებს უფლება არა აქვთ შევიდნენ საელჩოს შენობაში ელჩის თანხმობის გარეშე.

დიპლომატიური არქივი ისეთივე ხელშეუხებლობით სარგებლობს, როგორც საელჩოს შენობა. არქივი იმ შემთხვევაშიც ხელშეუხებელია, როდესაც გაწყვეტილია ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობა. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც საომარი მდგომარეობაა, მასპინძელი ქვეყანა ვალდებულია დაიცვას მტრის ყოფილი საელჩოს შენობა და დოკუმენტები.

დიპლომატიური იმუნიტეტით სარგებლობენ სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურები, მთავრობის წევრები, როდესაც ისინი იმყოფებიან უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე. იმუ-

ნიტეტით სარგებლობენ საერთაშორისო ორგანიზაციების თანამშრომლები.

თავშესაფრის ძიება

დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელშეუხებლობა იმიტომაა საჭირო, რომ ელჩს და საელჩოს თანამშრომლებს, მასპინძელ ქვეყანაში სრულფასოვანი მუშაობის საშუალება ჰქონდეთ. მისიის ფუნქციაში არ შედის დამნაშავისათვის თავშესაფრის მიცემა. თუ ამას აქვს ადგილი, მაშინ მასპინძელი ქვეყნის საგარეო უწყებამ, დამნაშავის გადაცემის თხოვნით, უნდა მიმართოს საელჩოს. მას აგრეთვე შეუძლია თხოვნით მიმართოს საელჩოს ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს. დიპლომატიურ პრაქტიკაში ადგილი აქვს ფაქტებს, როდესაც პოლიტიკური დევნილები თავს აფარებენ საელჩოს, რათა გადარჩნენ რეპრესიებისაგან.

თავშესაფრის მოთხოვნა

დიპლომატიური თავშესაფარი ნიშნავს ადგილობრივი ქვეყნის მოქალაქისათვის საელჩოში თავშესაფრის მიცემას, როდესაც ის იდევნება პოლიტიკური თვალსაზრისით და მისი სიცოცხლე საფრთხეშია. საელჩოს მიერ ამ უფლების გამოყენება იწვევს დაძაბულობას ადგილობრივ ხელისუფლებასთან. ეს საკითხი შეთანხმებული უნდა იყოს საკუთარ ხელისუფლებასთან, ვინაიდან ასეთ ქმედებას შეიძლება მოჰყვეს დიპლომატიური ურთიერთობის გაუარესება ან ელჩის არასასურველ პირად გამოცხადება. თავშესაფარი არ ეძლევა კრიმინალებს ან პირებს, რომლებსაც მისჯილი აქვთ სასამართლოს მიერ.

დამხმარე პერსონალის სამსახურში აყვანის შესახებ

როგორც წესი, დიპლომატიური მისია სამსახურში იყვანს ადგილობრივი მოსახლეობიდან მძღოლებს, ტელეფო-

ნის ოპერატორებს, თარჯიმნებს, მბეჭდავებს, დამლაგებლებს, შინამოსამსახურეებს, სხვა ტექნიკურ მუშაკებს, რაც ფინანსური საკითხით არის განპირობებული. დაქირავებული მუშაკები ნაკლებ ხელფასს იღებენ, ვიდრე სამშობლოდან ჩამოყვანილი პერსონალი. გარდა ამისა, გაცილებით იოლია მათი სამსახურიდან გათავისუფლება.

საქართველოსნაირ პატარა, მსოფლიოში ნაკლებად გავრცელებულ ენაზე მოლაპარაკე ქვეყნებში ადგილობრივი პერსონალის დაქირავებას დამატებითი საფუძველი აქვს: უცხოელი დიპლომატებისთვის დროის მოკლე პერიოდში ქართული ენის შესწავლა სრულყოფილად რთულია, შესაბამისად, უცხო ენის და, ბუნებრივია, ქართული ენის მცოდნე ადგილობრივი კადრი მათ უადვილებს საქართველოს შესახებ ინფორმაციების მოპოვებას, საქართველოს ხელისუფლებასთან, არასამთავრობო სექტორთან, პარტიებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობას.

დიპლომატიური კომუნიკაციები

თანამედროვე დიპლომატიური პრაქტიკა ითვალისწინებს კომუნიკაციების სხვადასხვა გზებსა და მეთოდებს არა მარტო სახელმწიფოთა მეთაურებს, არამედ დიპლომატიურ მისიათა, საგარეო უწყებათა შორის. ისინი აცხადებენ საკუთარი პოზიციების შესახებ, განმარტებას აკეთებენ საკუთარ პოლიტიკასთან დაკავშირებით, ცდილობენ მხარდაჭერა მოიპოვონ სხვა სახელმწიფოების მხრიდან და ა.შ.

წერილობითი კომუნიკაციები ქვეყნებს შორის ურთიერთობაში ყველაზე გავრცელებული დიპლომატიური ფორმაა. პირადი დიპლომატიის შესანიშნავი ნიმუშია მიმოწერა სახელმწიფოს ან მთავრობათა მეთაურებს, საგარეო საქმეთა მინისტრებს შორის.

დიპლომატიური კრიზისის დროს მხარეები ხშირად მიმართავენ ხშირი კომუნიკაციების გზებს. დიპლომატიაში წერილობითი კომუნიკაციის რამდენიმე ფორმა არსებობს. წერილობითი კომუნიკაციის ფორმა ფართოდ გამოიყენება

საელჩოსა და საგარეო უწყებას შორის. ამ შემთხვევაში შემდეგი ფორმებია მიღებული:

1. ნოტები (ოფიციალური ნოტები, კოლექტიური ნოტები, საპროტესტო ნოტები და სხვა)
2. წერილები
3. მემორანდუმი
4. Aide-Memoire
5. Bouts de papier

საერთაშორისო დიპლომატიური პრაქტიკა არ იძლევა იმის რეცეპტს, რა დროს რა ფორმა შეიძლება იქნას გამოყენებული, ვინაიდან საერთაშორისო დონეზე ზუსტად არ არის განსაზღვრული, რა შემთხვევაში შეიძლება გამოყენებულ იქნას ესა თუ ის ფორმა.

ნოტა ეწოდება დოკუმენტს, რომელიც ძირითადად გამოიყენება მისიასა და საგარეო უწყებას შორის. ნოტა გამოიყენება ყველა საკითხის, მათ შორის ტექნიკურის, გამოსახატავად. მიუხედავად საკითხების მრავალფეროვნებისა, რომელმაც ასახვა შეიძლება პოვოს ნოტაში, ის ითვლება დიპლომატიური ურთიერთობის ყველაზე ოფიციალურ საშუალებად.

არსებობს დიპლომატიური ნოტის შედგენისა და წარდგენის რამდენიმე ფორმა, თუმცა აქაც არ არის საყოველთაოდ მიღებული წესი.

ნოტა მესამე პირში იწერება, იწყება და თავდება კომპლიმენტებით. არის გამონაკლისიც – საპროტესტო ნოტა, რომელიც თავს არიდებს კომპლიმენტებს.

მესამე პირში დაწერილ ნოტას, ვერბალურ ნოტასაც უწოდებენ (Note verbale). ის ასახავს ზეპირი კომუნიკაციის ან საუბრის არსს და აძლევს მას ოფიციალური დოკუმენტის სახეს.

ნოტა იბეჭდება ქაღალდზე, რომელსაც აქვს საგარეო უწყების ან მისიის აღმნიშვნელი ნიშნები. მას ხელს აწერს ან ინიციალებს უკეთებს მისიის ხელმძღვანელი. დღე და რიცხვი ტექსტის ბოლოს კეთდება. ნოტას აქვს დასმული ბეჭედი.

დიპლომატიაში ხშირად გამოიყენება ტერმინი, რომ ნოტა არის მიუღებელი, რაც იმას არ გულისხმობს, რომ ად-

რესატმა ნოტა არ ან ვერ მიიღო, უბრალოდ, ნოტაში დაფიქსირებული მოსაზრება არის მიუღებელი.

კოლექტიური ნოტა

კოლექტიური ნოტა კეთდება იმ შემთხვევაში, როდესაც რამდენიმე ქვეყნის წარმომადგენელი მიმართავს სხვა ქვეყნის მთავრობას ან საერთაშორისო ორგანიზაციას. ასეთ დროს ნოტა გამოხატავს მჭიდრო თანამშრომლობას იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც ადგენენ მას. კოლექტიური ნოტის ტექსტი არის ერთი, თუმცა ყველა მხარეს შეუძლია მისი გაგზავნა ადრესატისათვის. ცალ-ცალკე გაგზავნილი ნოტა მაინც კოლექტიურად ითვლება.

კოლექტიურ ნოტებსა და წერილებს შეიძლება ჰქონდეს იდენტური (idenical) ან similar (მსგავსი) ნოტების ფორმა. identical ნოტის შინაარსი იგივეა, ხოლო სიტყვები განსხვავებული. სახელმწიფოები კონსულტაციების შედეგად თანხმდებიან იდენტურ, მსგავს ან განსხვავებულ ტერმინოლოგიაზე, თუმცა შინაარსი არ უნდა შეიცვალოს.

საპროტესტო ნოტა

დიპლომატიაში ხშირად ხდება, როდესაც ქვეყნების ჯგუფი სხვა ქვეყნის მიმართ ან ერთი ქვეყანა მეორის მიმართ გამოხატავს პროტესტს. პროტესტის გამოხატვა შესაძლებელია სიტყვიერად, საგარეო საქმეთა სამინისტროში ელჩის მიწვევით. პროტესტის გამოხატვა შესაძლებელია საგარეო უწყების მიმართ მისიის ან მისიების ხელმძღვანელების მხრიდან. გარდა ზეპირი პროტესტისა, კეთდება წერილობითი პროტესტი ანუ საპროტესტო ნოტა. საპროტესტო ნოტაში მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული პროტესტის გამომწვევი გარემოებები, რათა ნოტის პოლიტიკურ-სამართლებრივმა მხარემ მეორე ქვეყანას კრიტიკის საფუძველი არ მისცეს. ნოტაში დაფიქსირებული პოზიცია სხვების (სახელმწიფოების) მხრიდან მხარდაჭერის საბაბი უნდა გახ-

დეს. საპროტესტოდ შეიძლება რამდენიმე მიზეზის გამოყენება, მაგალითად: ქვეყანაში არსებული მძიმე პოლიტიკური ვითარება და მისი გაგრძელების მიზანშეუწონლობა, საკუთარი ინტერესების დაცვა, მცდარი პოზიციის დაგმობა და სხვა.

ზოგ შემთხვევაში საპროტესტო ნოტა გადაიცემა გაეროს მეშვეობით. ასეთ დროს მხარეებს მხედველობაში აქვთ პროტესტისათვის ფართო რეზონანსის მინიჭება ან საკითხის განხილვა უშიშროების საბჭოს სხდომაზე.

წერილები

ნოტის მსგავსი წერილები უმთავრესად გარკვეულ შემთხვევაში გამოიყენება. ერთი ქვეყნის მეთაური მეორე ქვეყნის ხელმძღვანელს მიმართავს მთავრობის შეცვლის შემდეგ ან მაშინ, როდესაც ორ ქვეყანას შორის "გაყინული" ურთიერთობა უკეთესობისაკენ იცვლება. პირადი წერილების გაცვლა მიღებულია მთავრობის ხელმძღვანელთა და საგარეო საქმეთა მინისტრებს შორისაც. პირადი წერილის გადაცემა შესაძლებელია საკუთარი ელჩის მეშვეობით. თუ ქვეყანას სურს გაზარდოს პირადი წერილის მნიშვნელობა, მაშინ წერილის გადასაცემად სპეციალური ემისარიც შეიძლება გააგზავნოს. პირად წერილს თან ახლავს ნოტა. პირად წერილში ფართოდ არის განმარტებული ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის კურსი, არის წინადადება საერთო პოზიციების შესამუშავებლად. პირად წერილებს იყენებენ კონფლიქტების, ორ ქვეყანას შორის ხელშეკრულების და შეთანხმების მიღწევის, საკუთარი პოზიციების დაფიქსირების დროსაც.

დიპლომატიური მისიების წერილები უფრო მეტად პიროვნული ხასიათის მატარებელია, ვიდრე ნოტები. მისიის წერილი იბეჭდება ბლანკზე და აქვს შესავალი, მისალმება, რომელსაც მოჰყვება ტექსტი. დასასრულს, ხელის მოწერის შემდეგ, არის დედაქალაქის დასახელება და თარიღი.

მემორანდუმი

მემორანდუმი არის საუბრის მიმოხილვა. ის დეტალურად ასახავს ფაქტებს, მათზე დაყრდნობილ არგუმენტებს. მემორანდუმი ნოტის მსგავსია, მაგრამ სტილისტურად უფრო თავისუფალია. ის არ იწყება და არ მთავრდება თავაზიანობის ფორმით. არც ხელის მოწერაა საჭირო, ვინაიდან ის იგზავნება შეხვედრის დამთავრებისთანავე, მოკლე ნოტასთან ერთად. მემორანდუმით შესაძლებელია პროგრამის ან წინადადების გაცნობა. მემორანდუმი შეიძლება შეიცავდეს პოლიტიკურ განცხადებას, გაფრთხილებას, პროტესტს. მემორანდუმის გამოყენება ხდება აგრეთვე კამათის შემთხვევაში საკუთარი მოთხოვნის დასაფიქსირებლად ან ვითარების გასარკვევად. მემორანდუმში შეიძლება ჩამოყალიბებულ იქნას ერთი ქვეყნის მიერ მეორის მიმართ განსაკუთრებული პოლიტიკური კურსი.

ორ ქვეყანას შორის ხელშეკრულების მომზადების პროცესის დროს, მემორანდუმით შეიძლება გამოიხატოს პოზიცია ამა თუ იმ პუნქტთან ან თავთან დაკავშირებით.

Aide-mémoire

შეიძლება გამოყენებულ იქნას ფართო, მრავალფეროვან კონტექსტში. ის ჰგავს მემორანდუმს, მაგრამ შედარებით ნაკლებად ფორმალურია. თავისი არსით ის შეიცავს ახალ წინადადებას, როგორიცაა ვიზიტი, კონფერენცია, საკაჭრო ან სხვა სახის გამოფენის ორგანიზების წინადადება, პოლიტიკის ახსნა-განმარტება, ახალი ინფორმაციის მიწოდება იმ დისკუსიის საფუძველზე, რომელსაც უკვე ჰქონდა ადგილი. დოკუმენტს ხელი არ ეწერება და არც ბეჭედი ესმება, თარიღი ტექსტის ბოლოს აღინიშნება.

Bouts de papier

არის კომუნიკაციის არაოფიციალური ფორმა. ის არის პირადი ზეპირი საუბრის დანართი, რომელიც შეიძლება და-

ტოვებულ იქნას საუბრის ბოლოს, რათა თავიდან იქნას აცილებული გაუგებრობის წარმოშობის შესაძლებლობა. ის ასახავს შეხვედრის დროს საუბრის საკითხებს. პრაქტიკაში მიღებულია, რომ შეხვედრის ან დიალოგის დაწყების წინ დიპლომატმა ფურცელზე ამობეჭდოს საუბარის მსვლელობისას ყურადღების გასამახვილებელი და საკუთარი თავის შესახსენებელი წინადადებები. საუბრის შემდეგ მას შეუძლია ეს ქაღალდი გადასცეს მეორე მხარეს იმის დასამტკიცებლად, რომ მის წინადადებებში საეჭვო არაფერია. ამ შემთხვევაში, დატოვებული ქაღალდი დახმარებას გაუწევს მეორე მხარეს. აღნიშნული ფორმა მაშინ არის სასარგებლო, როდესაც საუბარში მონაწილე მხარეები სრულყოფილად არ ფლობენ ენას, რომელზეც საუბრობენ. ეს ფორმა ურთიერთპატივისცემის გამომხატველია და ამავე დროს სასარგებლო.

მოლაპარაკება

დიპლომატიის ერთ-ერთი უმთავრესი ასპექტი არის მოლაპარაკება.

მოლაპარაკებაში მონაწილეებს სურთ, რომ ის დადებითი შედეგით დასრულდეს. კარგი მოლაპარაკება, კარგი შედეგის მომტანია. რა არის კარგი შედეგის დამახასიათებელი?

- ის უნდა იყოს ყველა ალტერნატიულ შედეგზე უკეთესი, რისი მიღწევაც არის შესაძლებელი.
- მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეთა ინტერესები ისე უნდა იქნას დაკმაყოფილებული, რომ ერთმა მიიღოს დადებითი, ხოლო მეორემ თავისთვის მისაღები შედეგი.
- გადაწყვეტილება უნდა იყოს არეტო-ოპტიმალ ანუ ისეთი, რომელიც გამორიცხავს ერთი მხარის უკეთეს შედეგს.
- გადაწყვეტილება ლეგიტიმურობას უნდა ეფუძნებოდეს და არც ერთი მხარე მოტყუებული არ უნდა დარჩეს.
- ის მიღწეული უნდა იქნას მხარეთა შორის ეფექტიანი კომუნიკაციების შედეგად.

- ის უნდა ეფუძნებოდეს ნაყოფიერ მოლაპარაკებას.

- მას უნდა შეეძლოს არსებობა და უნდა ეფუძნებოდეს ურთიერთობათა შედეგად წარმოქმნილ ნდობის ფაქტორს. მან უნდა გააუმჯობესოს ორ ქვეყანას შორის კავშირები.

მოლაპარაკების მონაწილეები წინასწარ ვერ წყვეტენ თუ რომელი გზა – მკაცრი, რბილი, თუ შუალედური აირჩიონ. თითოეულს აქვს უხერხული მხარეები. რბილი მიდგომა, მეორე მხარემ, შეიძლება თავის სასარგებლოდ გამოიყენოს. მკაცრმა პოზიციამ კი შეიძლება მოლაპარაკება ჩიხში შეიყვანოს. მკაცრი ან რბილი მოლაპარაკება შემდეგ შედეგს იძლევა:

- ალტერნატივის გამორიცხვას.

- მეორე მხარესთან კარგი ურთიერთობის სურვილი გადავა მოლაპარაკების მოსვენებით წარმატებაში, რაც შექმნის დადებითი შედეგის იმიტაციას და დააზიანებს მეორე მხარესთან კონსტრუქციული ურთიერთობის ჩამოყალიბებას.

- პოზიციები და არა ინტერესები უნდა დომინირებდნენ მოლაპარაკების მსვლელობის დროს.

წარმატებული მოლაპარაკებისათვის მთავარია:

- მოლაპარაკების დაწყებამდე იმის გაგება, რას მოიმოქმედებს მოწინააღმდეგე მოლაპარაკების ჩაშლის შემთხვევაში.

- როგორც საკუთარი, ისე მოწინააღმდეგის პოზიციების და ინტერესებისათვის ანალიზის გაკეთება.

- ორივე მხარისათვის სასარგებლო არჩევანის შემუშავება.

- წინადადებათა შეფასების ობიექტური კრიტერიუმის შემუშავება.

- მეორე მხარის მოსმენის ხელოვნების დაუფლება.

- ურთიერთობებში ნდობის ფაქტორის შექმნა. გადაწყვეტილების მიღებამდე მეორე მხარისათვის ამის შესახებ შეტყობინება.

- სიფრთხილის დაცვა დაპირებების მიცემის დროს.

- ნებისმიერ ვითარებაში თავის დაჯერებულად წარმოჩენა.

- დროის ფაქტორისათვის ყურადღების მიქცევა, ვინაიდან მისდამი დამოკიდებულება სხვადასხვანაირია ხალხთა კულტურიდან გამომდინარე.

- მოლაპარაკებაზე გარკვეულ გავლენას ახდენს დროის ფაქტორი და მოლაპარაკების სისწრაფე.

- მომლაპარაკებელი მზად უნდა იყოს ნებისმიერ მეორე მხარესთან, თუნდაც ტერორისტთან მოლაპარაკებისათვის, თუკი ეს ქვეყნის ინტერესით აუცილებელია. მსგავს შემთხვევებში დიპლომატიურ პრაქტიკაში ხშირია ფარული მოლაპარაკებები, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველა აღიარებს – ფარული, ანუ ე.წ. "კაბინეტური" დიპლომატია წარსულს ჩაბარდა. ასეთი მოლაპარაკების ნეგატიურად დამთავრების შემთხვევაში, ის მაინც გახდება ცნობილი რა ინტერესი აქეს ან როგორ იქცევა მოწინააღმდეგე.

- ყველა მოლაპარაკებიდან, მათ შორის ერთი შეხედვით, უშედეგოსაგან, რაღაცის სწავლა შეიძლება.

- მოლაპარაკების უარყოფითად დამთავრება კატასტროფად არ უნდა იქნას აღქმული. მას სხვაგვარი მიდგომა ანუ საკუთარი თავის ხელში აყვანა ესაჭიროება, წარუმატებლობის მტვერივით ჩამოფერთხვა და ყველაფერის ახლიდან დაწყება.

სიფრთხილის დირექტივები იმათთვის, ვინც უცხოეთში აწარმოებს მოლაპარაკებას

- დისკუსიები უნდა გაიმართოს ღია ადგილებში და დახურულ ოთახებში.

- დელეგაციათა მეთაურებს შორის კონფიდენციალური საუბრები უნდა გაიმართოს საცხოვრებლიდან (სასტუმროდან) გაუსვლელად.

- მასპინძლის მიერ შემოთავაზებული სეიფის ნდობა სარისკოა, ვინაიდან მას, სარეზერვო გასაღები შეიძლება ჰქონდეს.

-კონფიდენციალური დოკუმენტები სეიფში უნდა ინახებოდეს. სეიფს 2 კაცი უნდა ყარაულობდეს. ძილის დროს სეიფი მათი საწოლების შუა უნდა იყოს მოთავსებული.

- ზოგი ქვეყნის ლიდერი დარწმუნებულია, რომ საერთაშორისო ურთიერთობა იდეოლოგიურ კონფლიქტს ეფუძნება და საბოლოოდ ვექტორი მის მხარეს გადმოიხრება. ასეთ ლიდერებს ნაკლებად სჯერათ კომპრომისების ან შეთანხმებული გადაწყვეტილებების. ისინი დარწმუნებული არიან თავიანთ წარმატებაში. იდეოლოგიურად მოტივირებულ ქვეყნებში უფრო მეტად სიტყვების სჯერათ, ვიდრე დოკუმენტის სულისკვეთების.

ოფიციალური მოლაპარაკების მსვლელობისას დელეგაციის მეთაურის თანაშემწემ უნდა ჩაიწეროს მოლაპარაკების მნიშვნელოვანი მომენტები. სარისკოა მარტო საკუთარ მეხსიერებაზე დაყრდნობა. დელეგაციის მეთაურმა თავი უნდა აარიდოს დეტალებსა და ტექნიკურ საკითხებში ჩარევას.

მოლაპარაკება არ უნდა ეფუძნებოდეს აზარტულ რისკებს. მოლაპარაკება გათვლილი რისკების ხელოვნებაა, რომელიც ეფუძნება გამოთვლილ სარგებელს და დანაკარგებს. მოლაპარაკება არ უნდა უკავშირდებოდეს რაიმე გრძნობის გამოვლინებას, ქედმაღლობას, მოუთმენლობას ან გაღიზიანებას.

წარმატებულმა მომლაპარაკებელმა თავიდან უნდა აირიდოს შემდეგი:

- შეთანხმების მისაღწევად ფიქსირებული დროის ფაქტორი.
- მეორე მხარის შეუცვლელი პრინციპების, პოზიციების უგულებელყოფა.
- კუთხეში მომწყვდეულის შეგრძნება და ის, რომ წნეხის ქვეშ იმყოფება და იძულებულია, მიიღოს მეორე მხარის წინადადება.
- დეეიზი – ყველაფერი შეიძლება იყოს საკამათო, კითხვებს აჩენს და არყევს მოლაპარაკების არსს.
- მხარე გამოსვლების დროს დარწმუნებული უნდა იყოს საკუთარ პრინციპებში. მან თავი უნდა აარიდოს მეო-

რეხარისხოვან საკითხებს, რომელიც პირდაპირ წარმატებას ვერ მოიტანს. მხარემ არ უნდა მისცეს მეორეს იმის შესაძლებლობა, რომ ყურადღება გადაიტანოს მცირე, ნაკლებმნიშვნელოვან დეტალზე, რაც დროის დიდ ნაწილს გაფლანგავს.

- მხარეს უნდა ჰქონდეს შეგრძნება, რომ ვითარებას აკონტროლებს. მან არ უნდა მისცეს მეორე მხარეს საშუალება ზეგავლენა იქონიოს, დააშინოს, დააშანტაჟოს. მხარემ ისე უნდა დაიწყოს მოლაპარაკება, რომ ის ყიდის თავის პოზიციას და ნაკლები სურვილი აქვს შეისყიდოს მოწინააღმდეგის პოზიცია. მხარემ ისეთი შთაბეჭდილება უნდა შექმენას, რომ თითქოს სხვები მზად არიან მისი წინადადების ყიდვისათვის. მხარემ უნდა გამოხატოს უკმაყოფილება მეორე მხარის წინადადებასთან დაკავშირებით. ხაზგასმით აღნიშნოს შეთავაზებული წინადადებების ნაკლოვანებებზე, გამოაელინოს ინდიფერენტულობა წარდგენილის მიმართ. აღნიშნოს, რომ ეს უმნიშვნელოა ძირითად მოთხოვნებთან შედარებით.

- მოლაპარაკება გულისხმობს დელეგაციის წევრებს შორის როლების წინასწარ განაწილებას, უკეთესი შედეგის მისაღწევად. დელეგაციის მეთაურთან შეთანხმების გარეშე, დელეგაციის არც ერთმა წევრმა არ უნდა დააყენოს წინადადება.

- მოლაპარაკების ყველა საფეხურზე, მოსალაპარაკებელ დარბაზში შესვლამდე, მისაღებ საკითხთან დაკავშირებით, დელეგაციის წევრთა შორის უნდა გაიმართოს საუბარი.

- მხარემ გულდასმით უნდა განიხილოს და შეაფასოს მეორე მხარის წინადადებები და სურვილები, რითაც მეორე მხარეს მისცემს მაგალითს მოიქცეს ანალოგიურად.

- მხარე კარგად უნდა გაერკვეს ყველა დასმულ პუნქტში.

- მოთმინებით და თავდაჯერებით მიჰყვეს საკუთარ გეგმას.

- იმისათვის, რომ დაარწმუნოს მოწინააღმდეგე საჭიროა ისეთი ვითარების შექმნა, რასაც იოლად აღიქვამს მი-

სი გონება. მოიყვანოს ისეთი მაგალითები, რაც ახლოა ოპონენტის კულტურასთან და პრობლემებთან.

- დაასახელოს ისეთი მაგალითი, რომელზეც ძნელია უარყოფითი პასუხის გაცემა.

- გამოიცნოს და ჩამოაყალიბოს მოწინააღმდეგის ფარული, ზუსტი მიზანი შედეგის მისაღწევად.

- მოიქცეს და იმოქმედოს ციივი გონებით, ყოველგვარი გაღიზიანების ან ნერვული დაძაბულობის გარეშე. იყოს ყურადღებით, მაგრამ არა ეჭვით. ნუ დაანახებს მოწინააღმდეგეს, რომ თავიდან ბოლომდე ჩაფლულია პროცესში. ასეთი რამ გააძნელებს მიზნის მიღწევას, ვინაიდან ოპონენტი შეეცდება ხელი შეუშალოს ამაში. ციივი გონებით მიდგომა იძლევა რწმენას, ხელს უწყობს დამაჯერებლობას.

მოლაპარაკების თემის დეტალური ცოდნა გარკვეულ პატივისცემას უქმნის მეორე მხარეს. ავტორიტეტული დასკვნისათვის აუცილებელია ექსპერტების შეფასება. გახსოვდეთ, რომ კომპეტენტური, პროფესიონალი ტექნიკურ-იურიდიულ პირთა დახმარება აუცილებელია. საჭიროების შემთხვევაში მოიწვიეთ საქმის მცოდნე ექსპერტები, მეცნიერები. დელეგაციის შემადგენლობაში უნდა შედიოდნენ სპეციალისტები.

- თუ ისეთ ვითარებაში აღმოჩნდით, რომ თემა თქვენთვის უცნობია ნუ მიიღებთ უცოდინარის გამომეტყველებას, პირიქით, როგორც საქმის მცოდნე, ისე ჩაერთეთ საუბარში საერთო ფრაზებით და დაელოდეთ მომენტს, ვიდრე თვით საუბრიდან არ მიიღებთ სასურველ ინფორმაციას. არის მეორე გზაც – განაცხადეთ, რომ ვერ გაიგეთ საქმის ვითარება და გესაჭიროებათ ახსნა-განმარტება. თუ წინადადება პირდაპირ არ უკავშირდება საკითხის განხილვის უმალ დასრულებას, შეეცადეთ ის გადაიტანოთ მეორე სხდომისათვის.

- გააფრთხილეთ თქვენი დელეგაციის წევრები, ნუ დაპირდებიან მეორე მხარეს თქვენთვის გადმოსაცემი წინადადების ან კომპრომისის მიღებას, ვინაიდან ეს შეიძლება მეორე მხარის მიერ გამოყენებულ იქნას (ტესტ-ბალლონ) იმის გასარკვევად, თუ რა დოზით შეგიძლიათ მისი მიღება.

- გადაიტანეთ მეორე მხარის ყურადღება მეორეხარისხოვან თემაზე. გადაღალეთ მოწინააღმდეგე უმნიშვნელო დეტალებზე კამათით და "ვაჭრობით". იმავდროულად შეეცადეთ მოიპოვოთ მისი თანხმობა მთავარი საკითხის მრავალ პუნქტზე. კარგად გამოიყენეთ მეორე მხარის დაღლილობა და დაძაბულობა.

- მიამიტურად დასვით რამდენიმე შეკითხვა, მიუხედავად იმისა, რომ თქვენ იცით მასზე პასუხი. პასუხის მიღებისას ნუ გამოხატავთ აღფრთოვანებას ან თანხმობას. სთხოვეთ მეორე მხარეს უფრო დაწვრილებითი პასუხი, რათა ღრმად ჩაწვდეთ მის არსს. საყვედური გამოთქვით ტექნიკურ პირობებზე და აღნიშნეთ, რომ გამართულად არ იცით მეორე მხარის ენა.

- თავი აარიდეთ ისეთ ულტიმატუმებს, როგორებიცაა ან ეს ან არაფერი, ან მიიღეთ ან უარყავით. არც ერთი მომლაპარაკებელი არ მიიღებს ასეთ წინადადებას. ისეთი ვითარება შექმენით, თითქოს მიდიხართ თანხმობაზე, თუმცა ეს მხოლოდ წვრილმანი, უმნიშვნელო საკითხები უნდა იყოს. თანხმობა, თუნდაც წვრილმან საკითხებზე, დააკმაყოფილებს მეორე მხარის პატივმოყვარეობას. "დაშაქრული" ულტიმატუმი, შეიძლება ითქვას, მოლაპარაკების ბოლოს.

- მეორე მხარეს შეუქმენით შეგრძნება, რომ თქვენ ისწრაფით მხოლოდ წარმატებული შედეგისათვის.

- თავიდანვე თავი აარიდეთ ჩიხური ვითარების წარმოქმნას ან შედეგის მიღების გაჭიანურებას. იყავით მომთმენი, ნუ ელოდებით სწრაფ შედეგს. ყურადღება გაამახვილეთ საკითხის მთლიან გადაწყვეტაზე.

- გამოავლინეთ სიმტკიცე და თავაზიანობა, შეეცადეთ არ გამოხატოთ ცუდი განწყობა იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს გიძნელდებათ.

- დაამყარეთ პირადი ურთიერთობები, შექმენით პატივისცემის ატმოსფერო და გულწრფელი კავშირი. იყავით მოთმინებით, გახსნილი, ფხიზელი. სადაც საჭიროა, იყავით პირდაპირი, მეგობრული, შეძლებისდაგვარად მხიარული.

- მოლაპარაკების დასასრულს განაცხადეთ, რომ თქვენ მიაღწიეთ მაქსიმუმს, რასაც თქვენი მანდატი ითვალისწინებდა, რომ შედეგით თქვენი მთავრობა კმაყოფილი იქნება,

რომ თქვენ აფასებთ მოწინააღმდეგის პოზიციას, რომ თქვენ სთხოვთ მას დახმარებას საკითხის სრულ მოგვარებაში. თუ ამან შედეგი არ გამოიღო, შეეცადეთ განსხვავებული სიტყვებით, თქვენი პოზიციის წარმოჩენას, ნაკლებმნიშვნელოვანი დათმობით, მაგრამ არასდროს წახვიდეთ დათმობაზე მთავარ საკითხებში.

- გახსოვდეთ რომ მეორე მხარეს კონკრეტული შედეგის მიღების სურვილი ამოძრავებს, რისთვისაც მზად არის ხანგრძლივი მოლაპარაკებისათვის. ნუ აჩქარდებით გადაწყვეტილების მიღების დროს. "ივაჭრეთ" ბოლომდე.

- აპელირება გააკეთეთ მეორე მხარის "გულწრფელ" სურვილზე ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით. თავი მოაჩვენეთ ისე, თითქოს მოლაპარაკების წარუმატებლობა (ჩაშლა) მოწინააღმდეგის მტრების მიერ გამოყენებულ იქნება მასზე ზეწოლისათვის. მოიყვანეთ კომპრომატების ისეთი მაგალითები, რომლებიც მიესადაგება საკითხს. ან მოიყვანეთ თქვენი პირადი მაგალითი მოწინააღმდეგის დასარწმუნებლად.

- გახსოვდეთ, რომ მოლაპარაკების წარმატების მოპოვების მნიშვნელოვანი ელემენტი მოლაპარაკების დაუინებულ ქმედებასა და სიმტკიცეშია.

მოლაპარაკება დანიშნულ დღეს იწყება და ხშირად გაურკვეველია დასრულების ვადა. ჭკვიანმა მომლაპარაკებელმა უნდა შეეცადოს იმის გაგება, თუ როდის მიიჩნევს მისი მოწინააღმდეგე მოლაპარაკების დასრულებას. ძირითადი შეთანხმებები და კომპრომისები მიღწეული იქნება მოლაპარაკების დასრულების წინა დღეს, დელეგაციის გამგზავრებამდე. ამ შემთხვევაში დელეგაციაზე მოქმედებს – გამგზავრების ფაქტორი.

მოწინააღმდეგის მიერ მოლაპარაკების დასრულების შერჩეული დღის დადგენა შესაძლებელი იქნება, თუ მოწინააღმდეგეს გასამგზავრებელი ბილეთების დაჯავშნის საქმეში დახმარებას აღუთქვამთ.

მოლაპარაკებაში წარმატების მიღწევა მაშინაა შესაძლებელი, როდესაც მიჯაჭვული არ ხართ გამგზავრების დათქმულ დღეზე.

- მოლაპარაკების მსვლელობის დროს ნუ გამოაჩენთ თქვენს პრიორიტეტებს ან ინტერესებს. წინასწარ გაეცანით ყველა შესაძლო ინფორმაციას, რომელიც უკავშირდება თქვენი მოწინააღმდეგის მიზნებს, მოთხოვნებს, თვისებებს. თქვენთვის საჭირო ინფორმაციის მიღებისათვის ნაკლები ილაპარაკეთ და მეტი მოისმინეთ, მეტი შეეკითხეთ და ნაკლები უპასუხეთ. შეეცადეთ რეალური ინფორმაციის მიღებას იმათგან, ვინც კავშირშია თქვენს მოწინააღმდეგესთან, არ აქვს მნიშვნელობა, ისინი მეორე მხარის მტრები არიან თუ მოყვრები.

- თუ თქვენ გსურთ, რომ მეორე მხარემ მიიღოს თქვენი ახალი კონცეფცია ან წინადადება, გააცანით ის მოლაპარაკებათა მიმდინარეობის დროს შესვენებაზე. შეეცადეთ მისი გონება მოამზადოთ ამ თემაზე სადისკუსიოდ და მისაღებად. ნუ შეიშმუშნებით უარყოფითი პასუხის მიღების დროს. აუჩქარებელი, დამარწმუნებელი საუბარი უეჭველად მიიპყრობს მეორე მხარის ყურადღებას. ახალი წინადადების გაცნობის დროს, შეეცადეთ ამოიცნოთ მეორე მხარის დამოკიდებულება თქვენი წინადადების მიმართ, თუნდაც სახის გამომეტყველებით.

- მტრულ ატმოსფეროში მოლაპარაკების დროს, შეეცადეთ წარმოაჩინოთ მებრძოლი ხასიათი და განწყობა, რომ მიიღოთ მეტი და დათმოთ ნაკლები. გახსოვდეთ, რომ პირველ შეთავაზებას მოჰყვება შემდეგი. დიპლომატიური თამაშის დროს ადგილი არ აქვს აღებ-მიცემობას. ან მოიგებ ან წააგებ. ეს არის განუწყვეტელი გრძნობა გამარჯვებისათვის, სადაც წესები და პრინციპები არ ითვლება. გამარჯვება ყოველი მიზეზის გარეშე.

- წარმატებული მოლაპარაკებისას ორივე მხარე რაღაცის მოგებით არის კმაყოფილი. ეს არ მიიღწევა უნდობლობის ან შიშის ატმოსფეროში. მოლაპარაკების დაწყებამდე საჭიროა ორმხრივი ნდობის შექმნა და ერთმანეთის წინადადებებისადმი ყურადღების გამოვლინება, აგრეთვე პატივისცემის გამოხატვა და მოწინააღმდეგის წახალისება, სამო-

მავლო გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო თანამშრომლობისათვის.

- კარგი იქნება, მოწინააღმდეგე მხარის დელეგაციის წევრთა შესწავლა და იმის დადგენა, თუ ვინ იღებს საბოლოო გადაწყვეტილების შემუშავებისას აქტიურ მონაწილეობას. დაადგინეთ, რამდენად შეძლებთ მათთან ისეთი ურთიერთობის ჩამოყალიბებას, რომ დაარწმუნოთ თქვენს შეხედულებებში. სრულიად შესაძლებელია, რომ მათ შეასრულონ არაპირდაპირი ლობისტობა თქვენს სასარგებლოდ. დაადგინეთ არის თუ არა დელეგაციაში ფარული ჯგუფი, რომელიც გავლენით სარგებლობს და უნარი შესწევს მენტალურ იზოლაციაში მოაქციოს გადაწყვეტილების შემმუშავებელი, თუკი ის (ჯგუფი) იგნორირებას გაუკეთებს მის რეკომენდაციებს, თქვენი მოთხოვნებიდან გამომდინარე.

- ოპოზიციური მოსაზრება მოლაპარაკების ბუნებრივი ხასიათია. ამან თქვენში არ უნდა გამოიწვიოს გაღიზიანება, პირიქით, მან უნდა გაავარჯიშოს თქვენი აზროვნება. მან არ უნდა გამოიწვიოს ვითარების პოლარიზება ან ჩიხში შესვლა. რთული მდგომარეობის გამოსასწორებლად არსებობს რამოდენიმე შესაძლებლობა:

- იმ პრობლემების გამოყოფა, რომლებიც იწვევს დაპირისპირებას.

- დაძაბულობის მოხსნის და ორმხრივი თანამშრომლობის მოწოდება.

- ნდობის დემონსტრირება და გულწრფელობის გამოვლინება.

- ოპოზიციური განწყობა დაუძლეველი იქნება თუ მას პირადული ხასიათი აქვს, მიმართულია არა საკითხის, არამედ პიროვნების წინააღმდეგ. პიროვნული ნეგატიური განწყობა იწვევს საზოგადო დაცინვას, გაუმიზნავ შეურცხყოფას, პიროვნების ღირსების შელახვას და საზოგადოებაში მიღებული პატივისცემის პრინციპების რღვევას. ასეთ შემთხვევაში უმჯობესია შეწყდეს მოლაპარაკება.

- ოპოზიციურობა მიმართულია ორიგინალური და შემოქმედებითი გადაწყვეტილებებისაკენ. უნდა გახსოვდეთ, რომ დღევანდელი ოპოზიციური მომლაპარაკებელი, მომავალში შეიძლება გახდეს თქვენი გულითადი მოკავშირე

ამიტომ დაძაბული მოლაპარაკებაც კი დაცლილი უნდა იყოს ყოველგვარი ემოციურობისაგან.

ყველა მოლაპარაკება, თუნდაც წარმატებული, ვერ დააკმაყოფილებს თქვენს მოლოდინს. ის ეფუძნება კომპრომისებსა და საშუალო მდგომარეობას.

"ულტიმატუმი დიპლომატიაში არის უკანასკნელი მოთხოვნა დათმობების დაწყების წინ" – წერს ამბროს ბირსი.

- სატელეფონო საუბრის დროს თავი აარიდეთ უმალ თანხმობას წინადადებაზე, რასაც მოწინააღმდეგე გთავაზობთ. ყურადღებით მოისმინეთ რას გთავაზობთ, მაგრამ უთხარით, რომ შეხვედრა გეწყებათ და სთხოვეთ მოგვიანებით დარეკვა. საუბრის შემდეგ შეისწავლეთ მოწინააღმდეგის წინადადებები, შეეცადეთ ამოიცნოთ მიზნები და მოამზადეთ პასუხები. ვიდრე დაგირეკავენ, თქვენს მაგიდაზე უნდა იყოს გამზადებული ფორმულირებები და საკითხები, რომლებზეც შეიძლება იყოს ლაპარაკი. სატელეფონო საუბრის დროს ჩაიწერეთ მეორე მხარის მოსაზრებები და ის რაზეც შეთანხმდით. დაადგინეთ ვინ უნდა შეასრულოს საუბარში წამოჭრილი საკითხები. თუ სატელეფონო საუბარი თქვენთვის საზიანო სახეს იღებს, ტაქტიანად შეეცადეთ მის შეწყვეტას. თუ მეორე მხარე დაბეჯითებით აგრძელებს საუბარს, უთხარით, რომ გადაუდებელი საქმე გაქვთ გასაკეთებელი და მოგვიანებით დაუკავშირდებით.

- ნუ გააგზავნით წერილობით "არაოფიციალურ" ან "მეგობრულ" დოკუმენტს მეორე მხარესთან, ვინაიდან გზავნილი ჩაითვლება პოტენციურ ვალდებულებად.

- უარი თქვით ნებისმიერ მოლაპარაკებაზე, რომელიც ჩანს, რომ არის "დემონსტრაციული" და შორს არის "ნამდვილისაგან". ასეთი "მოლაპარაკება" მიზნად ისახავს მხოლოდ ერთს – საზოგადოებაზე ზეგავლენის მოპოვებას და არა სერიოზულ შედეგს.

- ნუ ენდობით "ჯენტლმენურ შეთანხმებას" იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის შენს სასარგებლოდაა. გააგზავნეთ თქვენი დასტური იმ შეთანხმებაზე, რასაც ადგილი ჰქონდა შეხვედრის დროს ან სატელეფონო საუბრისას. წერილში,

დასაწყისიდანვე აღნიშნეთ შემდეგი: ჩვენი საუბრის დასტურად თემაზე... შევთანხმდით, რომ...

კონფერენციები

დიპლომატიაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება კონფერენციებს. კონფერენციები შეიძლება კლასიფიცირებულ იქნას მათი ხასიათისა და მათში მონაწილე დელეგაციათა მიხედვით. მაგალითად: ეროვნული, საერთაშორისო, ორმხრივი, მრავალმხრივი, საკონსულტაციო და სხვა, აგრეთვე განსახილველი თემის მიხედვით – სპეციალიზებული (თხოვნა, რეკომენდაცია, რეზოლუცია, განცხადება) ან მისი ხანგრძლივობის და რეგულარობის მიხედვით – მაგალითად, AD HOC – მისი პირდაპირი მნიშვნელობა არის – ამისთვის, ამ შემთხვევისთვის, განსაზღვრული მიზნისათვის. დიპლომატიაში არის ნორმა, რომელიც არეგულირებს სპეციალური მისიის, სპეციალური წარმომადგენლის საქმიანობას, რომელსაც დროებითი ხასიათი აქვს: ჩვეულებრივი, პლენარული, პერიოდული, წლიური, განსაკუთრებული, საგანგებო.

- კონფერენციასთან დაკავშირებით თავისი მოსაზრება აქვს საფრანგეთის ყოფილ დიპლომატსა და სახელმწიფო მოღვაწეს მორის კიუე დე მიურვილს: "დიპლომატიური კონფერენცია არის სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენელთა შეხვედრა, რომლებიც თანხმდებიან შემდეგი დიპლომატიური კონფერენციის თარიღზე". ფრანგი დიპლომატის სკეპტიკური გამონათქვამი არ არის შორს სინამდვილისაგან, მაგრამ მიუხედავად ამისა, კონფერენცია ხელს უწყობს ქვეყნების წარმომადგენლების შეხვედრებს, ახალი მოსაზრებების გაცვლას, მათ შეჯერებას.

- ოფიციალური დელეგაციის შემადგენლობა არ უნდა აჭარბებდეს ხუთს, თუმცა დელეგაციას შეიძლება ახლდეს შეუზღუდავი რაოდენობის ექსპერტები, მდივნები, თანაშემწეები.

- დელეგაციის ხელმძღვანელი აღჭურვილი უნდა იყოს საგანგებო უფლებებით.

- კონფერენციაში მონაწილე დელეგაციათა გარდა, მას შეიძლება ესწრებოდეს დელეგაცია დამკვირვებლის სტატუსით. ამ სახის დელეგაცია კენჭისყრაში ვერ მიიღებს მონაწილეობას, თუმცა შეიძლება დაშვებულ იქნას დისკუსიებზე.

- კონფერენციის დღის წესრიგით განსახილველი საკითხები წინასწარ ურიგდებათ კონფერენციის მონაწილეებს, რათა მათ ჰქონდეთ გაცნობის, შესწავლის და ლობირებისათვის საჭირო კავშირების გამოძებნის საშუალება. ყურადღება უნდა მიექცეს დღის წესრიგში შეტანილი საკითხების თანმიმდევრობას, ვინაიდან მას გარკვეული გავლენა შეიძლება ჰქონდეს კონფერენციის შედეგზე.

- აუცილებელია საპროცედურო საკითხების გულდასმით შესწავლა. განსაკუთრებით აუცილებლია თავმჯდომარის იურიდიული უფლებების გაცნობა, საპროცედურო საკითხების დადგენა – თუ რას ეხება კენჭისყრა, აქვს თუ არა დელეგაციას პასუხის გაცემის უფლება, ცალკეული პარაგრაფების კენჭისყრაზე დაყენების უფლება, იმის დადგენა თუ რომელია საპროცედურო საკითხი ან ჩვეულებრივი, რომელი საჭიროებს უბრალო უმრავლესობას და რომელი ორ მესამედს. ყოველივე აღნიშნულის დადგენა საჭიროა კენჭისყრის დროს მხარის დასაჭერად ან დასაბლოკად.

- ყოველი სხდომის შემდეგ, სხდომის ანგარიში უნდა დაურიგდეს სხდომის მონაწილეებს. ანგარიში ყურადღებით უნდა იქნას წაკითხული დელეგაციის წევრების მიერ, რათა გადამოწმებულ იქნას გამომსვლელთა სიტყვების სისწორე. დაშვებული შეცდომების შესახებ უმალ უნდა ეცნობოს სამდივნოს. იგივე უნდა გაკეთდეს მიღებულ რეზოლუციასთან დაკავშირებითაც.

- წინადადებები, რეზოლუციის პროექტები, შესწორებები შეიძლება მოთხოვნილ იქნას ნებისმიერი დელეგაციის მიერ, სხვა დელეგაციისათვის გაცნობის მიზნით. ეს აუცილებელია მისი მხრიდან დახმარების გაწევის მიზნით, თქვენი წინადადებების ლობირებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში მოულოდნელი არ უნდა იყოს წარუმატებლობა. ლობირების საჭიროება დგება, თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, კომიტეტების ხელმძღვანელთა არჩევნების

დროს. ნუ იყოყმანებთ და წინასწარ გააფრთხილეთ მეგობრები ან მეგობარი ჯგუფები, რომ თქვენ აპირებთ მათთვის მხარდაჭერას.

- რეზოლუციის პროექტის შედგენა, მასში შესაბამისი სიტყვებისა და წინადადებების შეტანა მოითხოვს სპეციალურ ცოდნას. აქედან გამომდინარე, დელეგაციის მეთაურმა სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს მისი განხილვის დროს, რათა არ ავნოს საკუთარი ქვეყნის ინტერესებს.

- დიპლომატი, რომელიც აკრედიტებულია ქვეყანაში, სადაც კონფერენცია მიმდინარეობს, ვალდებულია ჩააყენოს საკუთარი ქვეყნის დელეგაციის ხელმძღვანელი, მასპინძელი ქვეყნის იმ განწყობის თაობაზე, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს მასპინძელი ქვეყნის გადაწყვეტილებაზე რეზოლუციის პროექტის მიღების დროს.

- თუ თქვენ თავმჯდომარეობთ სხდომას და თქვენი ქვეყნის ინტერესი მოითხოვს კენჭისყრის გადადებას, ვინაიდან მისი მიღება სასარგებლო არ იქნება თქვენი ქვეყნისთვის, თქვენ შეგიძლიათ მოითხოვოთ საკითხის ქვეკომიტეტში განხილვა, დეტალების შეთანხმება-დაზუსტებისათვის, შეწყვიტოთ სხდომა იმ საბაბით, რომ სხდომის მონაწილენი დაიღალნენ.

ოფიციალური დელეგაციის შეხვედრისათვის მზადება

დელეგაციის ჩამოსვლამდე საელჩოს მუშაკმა უნდა გაუგზავნოს დელეგაციის ჩამოსვლის შეტყობინება ადგილობრივი საგარეო უწყების შესაბამის სამსახურს. შეტყობინებას თანდართული უნდა ჰქონდეს დელეგაციის ზუსტი სია, მათი გვარების, სახელების, თანამდებობების, რანგებისა და ტიტულების აღნიშვნით.

- დაადგინეთ ადგილობრივ ხელისუფლებასთან მისი დამოკიდებულება დელეგაციის შესაბამისი მიღების თაობაზე, ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორისო მოლაპარაკების ჩარჩოები, დელეგაციის დაბინავების ადგილი, მისთვის გამოყოფილი სატრანსპორტო საშუალებები და დელეგაციის სტუმრობის პროგრამის დეტალები. მასში გათვა-

ლისწინებული უნდა იყოს თავისუფალი დრო და შოპინგი, ვიზიტის დასასრულს, ერთობლივი კომუნიკეს, პრეს-კონფერენციის გამართვის თარიღის და ხანგრძლივობის შესახებ.

- დელეგაციის გამომგზავნ მხარესთან უნდა დაადგინოთ დელეგაციის ფინანსური შესაძლებლობების შესახებ, რათა გაითვალისწინოთ მოსალოდნელი ხარჯები.

- საელჩომ უნდა გამოყოს დიპლომატი, რანგის გათვალისწინებით, რომელიც მუდმივად იქნება დელეგაციასთან და დაესწრება შეხვედრებს.

- საელჩომ უნდა შეადგინოს მოკლე ნუსხა იმ კითხვებისა, რომლებიც დელეგაციის ხელმძღვანელმა უნდა დააყენოს მასპინძლებთან მოლაპარაკებათა დროს.

ხელშეკრულება

"შეთანხმება, ხელშეკრულება ისეთივეა, როგორც ვარდები და ახალგაზრდა გოგონები. ისინი ძლებენ იმდენ ხანს, რამდენ ხანსაც ძლებენ" – შარლ დე გოლი.

საერთაშორისო ვალდებულებებს სხვადასხვა სახელწოდება აქვთ: ხელშეკრულება, კონვენცია, ნოტების გაცვლა, გენერალური აქტი, მოდუს ვივენდი, პროტოკოლი (ოქმი). ისინი განსხვავდება ერთმანეთისაგან ფორმით და ვალდებულებით. ხელშეკრულება, კონვენცია, გენერალური აქტი, ასახავს მრავალმხრივ შეთანხმებას. პროტოკოლი – ნიშნავს საერთაშორისო შეთანხმებას, რომლითაც ადრე მიღებულ ხელშეკრულებებში შედის დამატება ან შესწორება. წერილების გაცვლა, არის სურვილების გამოხატვა ხელშეკრულებაში შესატანი დამატებების ან ცვლილებების თაობაზე. მას მომლაპარაკებლები ხელს არ აწერენ. ნოტების გაცვლა „An exchange of notes~ არის ხელშეკრულების მიღების არაფორმალური შეთანხმება.

ხელშეკრულება არის შედეგი იმ მიზნებისა, რომელმაც მხარეს უნდა მისცეს გარკვეული საერთაშორისო უპირატესობა ორმხრივ ან მრავალმხრივ დონეზე. ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს სახელმწიფო მეთაურების ან მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეების, საგარეო საქმეთა მინისტრების

დონეზე. ორივე შემთხვევაში ხელშეკრულებას საკალდებულო ხასიათი აქვს.

ხელშეკრულების მზადების პროცესი

ხელშეკრულების მზადების პროცესი 5 საფეხურისაგან შედგება: რწმუნებათა დადგენა, რაც ნიშნავს იმის გარკვევას თუ რა სახის რწმუნების მანდატს აძლევს დელეგაციის წარმდგენი მხარე მის წარმომადგენლებს - „სრულ უფლებას" (full powers) თუ არა.

დიპლომატიაში ხშირად მიმართავენ მოლაპარაკების შეჩერების ხერხს უკეთესი შედეგის მოსაპოვებლად. მოლაპარაკების შეჩერება, მეორე მხარესთან "საკაჭროდ" გამოიყენება და დამოკიდებულია ცოდნასა და მოთმინებაზე. მოლაპარაკების შეჩერება არცთუ იოლი საქმეა.

ხელშეკრულებაზე ხელს ქვეყნის პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი ან საგარეო საქმეთა მინისტრი აწერს, მაგრამ მათი ხელის მოწერამდე ტექსტის ყველა გვერდზე, დელეგაციის ხელმძღვანელის ხელმოწერა კეთდება. ხელმოწერით დასტურდება ტექსტის სინამდვილე.

თუ ხელშეკრულების ბოლოს აღნიშნულია "Signing ad referendum" – ეს იმას ნიშნავს, რომ ტექსტი საჭიროებს ხელისუფლების მხარდაჭერას.

"Signing subject to ratification" - ნიშნავს იმას, რომ ტექსტი საჭიროებს რატიფიკაციას ქვეყნის კომპეტენტური ორგანოების მიერ.

"Approval of a treaty" - ნიშნავს ხელშეკრულების მოწონებას საკანონმდებლო ორგანოს მიერ.

"Acceptance" -ნიშნავს გაეროში მუდმივი შენახვისათვის რატიფიცირებული დოკუმენტის წარდგენას.

"Adherence" - პრინციპებთან შეერთება, მიღებულ ხელშეკრულებასთან ქვეყნის შეერთება.

"Exchange of instruments of ratification" - რატიფიკაციის ინსტრუმენტის გაცვლა, რაც ნიშნავს ქვეყნის მიერ დეპოზიტარ (ქვეყანა სადაც ინახება ძირითადი დოკუმენტი) ქვეყანაში ან საერთაშორისო ორგანიზაციის სამდივნოში, მთავარ

დოკუმენტთან მიერთების ამსახველი დოკუმენტის და ხელმოწერილი ხელშეკრულების წარდგენას, რაც ადასტურებს ქვეყნის თანხმობას ხელშეკრულებასთან დაკავშირებით.

ხელშეკრულების გამოქვეყნება

ხელშეკრულების დეპოზიტება (the Deposit of treaties). გაეროს წესდების 102-ე პუნქტის მიხედვით ხელშეკრულება საჭიროებს დეპოზიტებას ანუ რეგისტრირებას გაეროს სამდივნოში.

„The validity of treaties" - ხელშეკრულების კანონიერება შეიძლება ეჭვქვეშ დადგეს თაღლითობის ნიადაგზე, ეროვნულ მენტალიტეტთან შეუთავსებლობის გამო, ვითარების შეცვლასთან დაკავშირებით, ტექსტის ხანდაზმულობის გამო, ხელმომწერი მხარის საერთაშორისო არენიდან წასვლის შედეგად, ომის დაწყების გამო და სხვა.

რატიფიკაცია

ხელშეკრულების რატიფიკაცია არის ქვეყნის უმაღლესი ორგანოს მიერ ქვეყნის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი საერთაშორისო ხელშეკრულების დამტკიცება. რატიფიკაციის შემდეგ საერთაშორისო ხელშეკრულება იძენს იურიდიულ ძალას და იქცევა ხელმომწერი მხარისათვის აუცილებელი შესრულების საგნად. საქართველოში რატიფიკაცია ხდება პარლამენტის მიერ. პარლამენტის მიერ ხელშეკრულების განხილვისა და კენჭისყრის შემდეგ ხდება სარატიფიკაციო დოკუმენტის სიგელის გაფორმება. თუ რატიფიკაციით ხდება მრავალმხრივი ხელშეკრულების დამტკიცება ან არსებულ მრავალმხრივ ხელშეკრულებასთან მიერთება სარატიფიკაციო სიგელი შესანახად დეპონირებისათვის გაიგზავნება ხელშეკრულების შემნახავ ქვეყანაში (დეპოზიტარი).

ხელშეკრულების დეპოზიტარი ქვეყანა აღნიშნულია ხელშეკრულებაში. ხშირ შემთხვევაში სარატიფიკაციო სიგელი იგზავნება გაეროში.

ორმხრივი დოკუმენტის რატიფიკაციის დროს ქვეყნები ერთმანეთში ცვლიან სარატიფიკაციო სიგელებს. იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულებას ხელი ეწერება ერთი ქვეყნის დედაქალაქში, მაშინ მეორე ქვეყნის დედაქალაქში ხდება სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა.

სარატიფიკაციო სიგელში აღინიშნება, რომ ხელშეკრულება განხილულია იმ ორგანოს მიერ, რომელმაც გაუკეთა რატიფიკაცია. მოყვანილია ხელშეკრულების ტექსტი. შემდეგ განცხადება იმის თაობაზე, რომ ქვეყანა მზადაა შეასრულოს ხელშეკრულების მოთხოვნები. სარატიფიკაციო სიგელს ეწერება ხელი და ესმება ბეჭედი.

მრავალმხრივი ხელშეკრულების რატიფიკაციის დროს მხარეს შეუძლია გამოთქვას საკუთარი მოსაზრება და გააკეთოს დათქმა ხელშეკრულების პუნქტებთან დაკავშირებით, რაც აღინიშნება სარატიფიკაციო სიგელში.

სახელმწიფოს შეუძლია უარი თქვას მისი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულების რატიფიკაციაზე. ამის მრავალი მაგალითი არსებობს. 1827 წელს არგენტინამ არ გაუკეთა რატიფიკაცია ბრაზილიასთან ხელმოწერილ ხელშეკრულებას. ლონდონის 1909 წლის დეკლარაციას საზღვაო ომის სამართლის შესახებ არც ერთმა ქვეყანამ არ გაუკეთა რატიფიკაცია. 1919 წლის ვერსალის სამშვიდობო ხელშეკრულებას, რომელსაც ხელს აწერდა აშშ-ს წარმომადგენელი არ იქნა რატიფიცირებული აშშ-ს სენატის მიერ და სხვა.

საერთაშორისო ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე, თუ ამის შესახებ აღნიშნულია ხელშეკრულებაში ან სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის ან სარატიფიკაციო სიგელის დეპოზიტარისათვის გადაცემის შემდეგ.

ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის ყველაზე გავრცელებული ფორმაა ხელშეკრულების ვადის გასვლა. ხშირად აქვს ადგილი ხელშეკრულების დენონსაციას. Denoncez ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს გაწყვეტას, ერთი მხარის

მიერ მეორისათვის შეტყობინებას, რომ წყვეტს მათ შორის დადებულ ხელშეკრულებას.

მრავალმხრივი ხელშეკრულების დენონსირების შემთხვევაში, ხელშეკრულებაში მონაწილე ერთი ან რამდენიმე ქვეყანა, რომელიც ახდენს დენონსაციას არ მოქმედებს დანარჩენ ხელმომწერ ქვეყნებზე, ანუ დანარჩენი ქვეყნებისათვის ხელშეკრულება ძალაში რჩება.

დიპლომატიურ პრაქტიკაში ცნობილია შემთხვევები ხელშეკრულების ცალმხრივად გაუქმების შესახებ, რაც დაკავშირებული იყო საერთაშორისო ურთიერთობის რადიკალურ ცვლასთან, მეორე მხარის პოლიტიკური არენიდან წასვლასთან, მაგალითად, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. საბაბად ხშირად იყენებენ ხელშეკრულების ხანდაზმულობასაც, თუმცა ეს საბაბი საკამათოა, მიღებულია რომ ხელშეკრულება სამარადისოა, თუ მასში არ არის მითითებული ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

ორმხრივი ხელშეკრულება შეიძლება დაირღვეს ომის შედეგად, მაგრამ შეიძლება აღდგეს ომის დამთავრების შემდეგ. მრავალმხრივი ხელშეკრულების მოქმედება შეიძლება შეჩერდეს ომის შემთხვევაში თუ მასში მონაწილე ყველა ქვეყანა ჩართულია ერთმანეთთან ომში. თუმცა თუ ხელშეკრულებაში აღნიშნულია, რომ მისი მოქმედება ძალაშია ომის დროსაც, ხელშეკრულების მოქმედება გრძელდება. მაგალითად, ორმხრივი ურთიერთობა საზღვრების შესახებ ომით არ ირღვევა, მხოლოდ მისი მოქმედების შეჩერება ხდება. საზღვრების შეცვლა ფორმდება ომის შეწყვეტის შემდეგ.

ხელშეკრულების მთავარი კომპონენტები

ხელშეკრულება სამი ნაწილისაგან შედგება: პრეამბულისაგან, რომელიც შეიცავს მხარეთა დასახელებას, მათ საგანგებო წარმომადგენელთა სახელებსა და გვარებს, აგრეთვე ხელშეკრულების თემას. შინაარსისაგან – რომელიც არის ხელშეკრულების ხერხემალი და ადმინისტრაციული პუნქტებისაგან – თარიღი, ხელმოწერის ადგილი და საგან-

გებო წარმომადგენლების გვარები, ძალაში შესვლის მეთოდი, ხელშეკრულების ხანგრძლივობა, ვადის გასვლის თარიღი, დოკუმენტის განახლების გზები, შესწორების ან გადახედვის შესაძლებლობები, საკამათო, განსხვავებული პოზიციების შეჯერების გზები, ხელშეკრულების ენები, უფლებამოსილი ენა (მშობლიურ ენაზე მოსაზრებათა სხვადასხვაგვარად აღქმის შემთხვევაში, მესამე ენას ეძლევა უპირატესობა). ასლების რაოდენობა, რატიფიცირებული ინსტრუმენტის (დოკუმენტის) დეპოზიტება და რეგისტრაცია.

საუბარი

"დიპლომატია არის ხელოვნება, ასი სიტყვით დამალოს ის, რისი თქმაც ერთი სიტყვითაც შეიძლებოდა" – სენტ ჯონ პირსის მოსაზრება ეხმიანება თანამედროვე დიპლომატიას.

დიპლომატიაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს საუბარს, საუბრის წარმართვის ხელოვნებას, საუბრის შედეგად კიდევ ერთი ადამიანისათვის თქვენი იდეების, სურვილების, პოლიტიკური მიზნების ისე გაცნობას, რომ მისი მხრიდან მხარდაჭერა თუ არა, თანაგრძნობა იგრძნოთ. დიპლომატმა თავის კოლეგას უნდა მიაწოდოს ნამდვილი, გაუყალბებელი ინფორმაცია. სწორედ ასეთი დამოკიდებულების დროს შეიქმნება ურთიერთნდობის ატმოსფერო, რომლის გარეშე დიპლომატიაში მოღვაწეობა წარმოუდგენელი იქნება. დიპლომატი ენდობა კოლეგას და კოლეგაც უნდა ენდობოდეს დიპლომატს, წინააღმდეგ შემთხვევაში გაჩენილი ეჭვი საუბრის წარუმატებლობის მომასწავებელი იქნება. საზოგადოებაში არსებობს მოსაზრება, რომ დიპლომატის ნათქვამის დაჯერება მიზანშეწონილი არ არის, ვინაიდან თვით დიპლომატია დაფუძნებულია ურთიერთის მოტყუებაზე. რა გაეწყობა, ეს მცდარი მოსაზრება სულაც არ გამოიყურება მცდარად, როდესაც წავიკითხავთ ცნობილი ინგლისელი დიპლომატის გ. უოტონის გამონათქვამს – დიპლომატი არის პატიოსანი ადამიანი, რომელსაც აგზავნიან საზღვარგარეთ, რათა იცრუოს საკუთარი ქვეყნის სასარგებლოდ.

ალბათ, ‘ეოტონის ნათქვამს არ ექნებოდა ასეთი ეღერადობა, რომ არა ნიკოლო მაკიაველის იდენტური მოსაზრება, რომ დიპლომატის უპირველესი დანიშნულება – ტყუილია. დიპლომატიასთან დაკავშირებით მაკიაველის მოსაზრებამ დიდი გავლენა იქონია მე-16, მე-19 საუკუნეების დიპლომატიაზე. იგივეს ამბობს ბირსიც: „დიპლომატია არის პატრიოტული ხელოვნება, საკუთარი სამშობლოს ინტერესებიდან გამომდინარე ითქვას ტყუილი“.

საუბრის დროს წარმატების საწინდარია პატიოსნება. დიპლომატს ბევრი ინფორმაციის, თუნდაც საიდუმლოს ცოდნა, არ აძლევს საშუალებას იყოს გულწრფელი, მაგრამ დიპლომატის პროფესია ისეთია, რომ მიუხედავად ამისა, მან ისე უნდა წარმართოს საუბარი, თითქოს არავითარი ინფორმაცია, ცხადია ნეგატიური, მას არ გააჩნია. დიპლომატმა არ უნდა იცრუოს. სიცრუის გამომჟღავნება ადვილად შეიძლება, რაც დიპლომატის რეპუტაციას სერიოზულად შეარყევს. მას აღარავინ დაუჯერებს, რითაც მის დიპლომატიურ კარიერას სერიოზული ‘ხიანი მიადგება. ფრანგი დიპლომატის ჟ. კამბონის სიტყვები: “დიპლომატის ყველაზე საჭირო დახასიათება - მორალური ავტორიტეტი“, მუდამ უნდა ახსოვდეს დიპლომატს.

ინგლისელ დიპლომატსა და სახელმწიფო მოღვაწეს ანტონი იდენს მიაჩნდა, რომ: “დიპლომატს უნდა ჰქონდეს უნარი ტაქტიანად თქვას, “არა“, ისე, რომ მთელმა მსოფლიომ დაიჯეროს, რომ თქვა “დიახ“.

ორიოდ სიტყვით “ტყუილთან“ ახლოს მდგომ “ეშმაკობაზე“. ‘ოგი ეშმაკობას გონების განსაკუთრებულ გამოვლინებად მიიჩნევს. თუ ამ კუთხით მივუდგებით დიპლომატიას, გამოდის, რომ ეშმაკობა აუცილებელია ყველა დიპლომატისათვის. კომუნიკაციების განვითარების პირობებში, დიპლომატის ეშმაკობას ისეთივე მოკლე ფეხები აქვს, როგორც ტყუილს.

დეზინფორმაცია. დიპლომატიაში არცთუ იშვიათად მიმართავენ დეზინფორმაციის ხერხს. ასეთ შემთხვევაში თუ დიპლომატი დარწმუნდა დეზინფორმაციის არსებობაში, მან უპირველესად უნდა დაადგინოს ვინ დგას დეზინფორმაციის უკან და რა მიზანს ემსახურება დეზინფორმაცია, იცის თუ

არა მეორე მხარემ, რომ ის ავრცელებს დეზინფორმაციას? ხშირად აქვს ადგილი იმას, რომ თვით დეზინფორმაციის გამავრცელებელმაც არ იცის, რომ ის ავრცელებს დეზინ-ფორმაციას. დიპლომატმა, ასეთ დროს, აზრი უნდა ჰკითხოს საელჩოს მაღალი რანგის დიპლომატს, ელჩს ან საელჩოში მომუშავე უშიშროების სამსახურის მუშაკს. იმისათვის, რომ სინამდვილე დადგინდეს, დიპლომატმა უნდა გააგრძელოს მეორე მხარესთან შეხვედრები. მან არ უნდა აგრძნობინოს მეორე მხარეს, რომ მიუხვდა ხრიკებს. უმჯობესია რამდენი-მე შეხვედრის ჩატარება და გადაწყვეტილების შემდეგ მი-ღება.

საუბრის, მოლაპარაკების დროს არანაკლები მნიშვნე-ლობა აქვს მოწინააღმდეგის ადგილას საკუთარი თავის წარმოდგენას. გამოცდილი დიპლომატი აუცილებლად და-ვამს ასეთ შეკითხვას - „მე რომ ვიყო მის ადგილას, რო-გორ ვიმოქმედებდი?“ დიპლომატისათვის აუცილებელია მე-ორე მხარის აზრის გაგება, მის სულიერ ცხოვრებაში ჩაწ-ვდომა. მოსაუბრეები უნდა შეეცადონ, პრობლემას შეხედონ ერთმანეთის თვალით. ოპონენტის ხედვის უგულებელყოფა ხელს შეუშლის დასახული მიზნის მიღწევას. მოლაპარაკე-ბის დროს ხელის შემშლელად ითვლება მეგობრობის ფაქ-ტორი. ასეთ დროს დიპლომატი კრიტიკულად არ აღიქვამს მეორე მხარის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას. დიპლომატი ამ შემთხვევაში შეიძლება დაეთანხმოს იმას, რაც თანხმო-ბას არ იმსახურებს. დიპლომატის მიერ ცენტრისათვის მი-წოდებული ინფორმაცია შორს იქნება ობიექტურობისაგან.

დიპლომატიური საქმიანობისათვის აუცილებელია საკუ-თარი თავის სხვის ტყავში წარმოდგენა. ეს თვისება კარგად აქვთ გათავისებული კომერსანტებს. ისინი გრძნობენ, რა სჭირდება მყიდველს, რა მოსწონს მას. სწორედ ასე უნდა იქცეოდეს დიპლომატიც.

საუბრის დროს დიპლომატი არ უნდა მოდუნდეს. მან უნდა აღიქვას საუბარი ისე, როგორც არის. დიპლომატიაში ხშირად ხდება, როდესაც მოლაპარაკების ერთი მხარე იგ-ნორირებას უკეთებს მეორე მხარის მიერ წამოყენებულ წი-ნადადებას, რაც ხელს არ უწყობს საუბრის პოზიტიურად წარმართვას.

დიპლომატმა საუბრის დროს თავი არ უნდა მოაჩვენოს თვითკმაყოფილად. ის ყურადღებით უნდა ისმენდეს ოპონენტის აზრს, აკვირდებოდეს მისი სახის გამომეტყველებას, საუბრის მანერას, ინტონაციას. დიპლომატი ფსიქოლოგიც უნდა იყოს, ინტერესდებოდეს მოსაუბრის ხასიათით, შეეცადოს გარკვეულ მოსაზრებაში გაუგოს მას, დაადგინოს არა თუ რას ლაპარაკობს ოპონენტი, არამედ ასე რატომ ლაპარაკობს. აშშ-ს პრეზიდენტი ვუდრო ვილსონი ამბობდა: „თუ თქვენ მოხვალთ მუშტებით, მეც მუშტებით დაგხვდებით, მაგრამ თუ თქვენ მოხვალთ წინადადებით – მოდით მოვილაპარაკოთ, მეც გაგებით შეგხვდებით და იმ შემთხვევაშიც კი, თუ ჩვენი მოსაზრებები ერთმანეთს არ დაემთხვევა, შევეცდები იმის გაგებას, რით არის ეს გამოწვეული და რაში გვაქვს განსხვავება. ასეთ დროს ჩვენ ორივე აღმოვაჩენთ, რომ განსხვავება არცთუ დიდია, ხოლო პუნქტები, რომლებიც გვაახლოვებს – გაცილებით მეტი. და თუ ჩვენ გვეყოფა მოთმინება და გვექნება სურვილი მოლაპარაკებისა, წარმატებას აუცილებლად მივაღწევთ“.

დიპლომატმა საუბრის დასაწყისიდანვე უნდა გამორიცხოს მოსაუბრის მიმართ არასასიამოვნო მოსაზრება. მან ნაკლები ყურადღება უნდა მიაქციოს ადრე გამართულ უსიამოვნო საუბარს. დიპლომატის განწყობილება არ უნდა შეცვალოს მის ოპონენტთან დაკავშირებით პრესაში გამოქვეყნებულმა ნეგატიურმა მასალამ ან ოპონენტის ქვეყნის კრიტიკამ საკუთარი ქვეყნის მიმართ. დიპლომატმა უნდა დაივიწყოს აგრესიულობა, გაღიზიანება. გ. ნიკოლსონი, ცნობილი ინგლისელი დიპლომატი, ამბობდა: “დიპლომატი საუბრის დროს კარგ ხასიათზე უნდა იყოს და თუ არ არის, მან არ უნდა გამოავლინოს ცუდი გუნება-განწყობილება“. საუბრის დასაწყისიდანვე დიპლომატმა პატივისცემა უნდა გამოხატოს მოსაუბრის მიმართ და კეთილგანწყობით წაიყვანოს საუბარი. თუ დიპლომატი არ ეთანხმება მოსაზრებას, რასაც მოსაუბრე გამოხატავს, მან უნდა აგრძნობინოს ამის შესახებ და ამასთანავე მისცეს უკან დახევის შესაძლებლობა. დიპლომატს პოლემიკაში ჩართვის გარეშე შეუძლია თავისი წინადადების წყნარად, დინჯად, შესაბამისი არგუმენტებით დამტკიცება.

დიპლომატიაში დიდი მნიშვნელობა აქვს მოსმენას. სამწუხაროდ ამ მხრივ, ზოგ შემთხვევაში, საკალალო მაგალითებს ვაწყდებით. არცთუ იშვიათად დიპლომატი ისეთი სახის გამომეტყველებას იღებს, თითქოს თავიდან-ფეხებამდე ჩაფლულია მოსაუბრის მოსმენაში, მაგრამ საწინააღმდეგოს აქვს ადგილი, რაც თავს იჩენს საუბრის შემდეგ, როდესაც ის ვერ იხსენებს მოსაუბრის ნათქვამს.

დიპლომატიაში იმასაც აქვს ადგილი, როდესაც მოსაუბრე სვამს შეკითხვას და უმალ თვით სცემს პასუხს, რაც მიუღებელია.

დიპლომატიაში ნაცადი მეთოდია მოსაუბრის ალაპარაკების ხერხის გამოყენება. ამისათვის დიპლომატი საუბარს იწყებს იმ თემაზე, რომელიც მოსაუბრისათვის ნაცნობია და მისი ინტერესის საგანია. დიპლომატმა საუბრის დასაწყისშივე უნდა გაიგოს რა ხასიათზეა მოსაუბრე. ამის შესახებ მოსაუბრე თვითონ არაფერს იტყვის, მაგრამ დიპლომატი უნდა მიხვდეს ამას. ხშირად ხდება, როდესაც დიპლომატმა არ იცის მოსაუბრის ენა. ამ შემთხვევაში საუბარი მიმდინარეობს თარჯიმნის დახმარებით. კარგი თარგმანი, წარმატებული საუბრის საწინდარია. საუბრის დაწყებამდე უნდა იზრუნოთ კვალიფიციური თარჯიმნის შერჩევისათვის. მხედველობაში უნდა მიიღოთ ისიც, რომ ენის ცოდნა სულაც არ ნიშნავს კარგ თარგმანს. თარჯიმნები პროფესიებისდა მიხედვით იყოფა. თარჯიმნების ნაწილი ფლობს პოლიტიკურ ტერმინოლოგიას, პოლიტიკურ ვითარებას. მათ ავტომატურად აქვთ განვითარებული, რომელი სიტყვა გამოიყენონ შესაბამის ვითარებაში. არიან თარჯიმნები, რომლებიც ეკონომიკაში მუშაობენ და მათი ეკონომიკური, თუნდაც ნაკლებად ღრმა, ვიდრე სპეციალისტის ცოდნა, გაცილებით მეტ პრიორიტეტს ანიჭებთ, ვიდრე პოლიტიკური ან სხვა დარგის თარჯიმნებს, როდესაც ისინი თარგმნიან ეკონომიკურ ტექსტს. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ თარგმნის დროს იკარგება მოსაუბრის საუბრის ტონალობა, ინტონაცია, წინადადების წყობის ხელოვნება. თარჯიმანი უბრალოდ თარგმნის. მისი უპირველესი მიზანია, მარტივი სიტყვებითა და წინადადებებით სწრაფად თარგმნოს მოსაუბრის ნათქვამი. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მნიშვნე-

ლოვანი საუბრების, მოლაპარაკებების დროს უმჯობესია თარჯიმნის გამოყენება, ვინაიდან მომლაპარაკებლის ენის ცოდნის დონე, რაც არ უნდა კვალიფიციური იყოს, არ ჩაითვლება პროფესიონალურად. დიპლომატი, პოლიტიკოსი, ბიზნესმენი საკუთარი საქმის პროფესიონალია, თარჯიმანი თავისი საქმის.

საუბრის დასაწყისში დიდი მნიშვნელობა აქვს მიმართვას. ზოგს ძალიან სიამოვნებს, როდესაც მის სახელს და გვარს, ტიტულს სრულად ასახელებენ. მაგალითად, აშშ-ს პრეზიდენტს ჯორჯ ვაშინგტონს მოსწონდა, როდესაც მას მიმართავდნენ - "თქვენო უბრწყინვალესობავ, აშშ-ის პრეზიდენტო". ინგლისის დედოფალს, საუბრის დასაწყისში, ეტიკეტის მიხედვით მიმართავენ – "თქვენო უდიდებულესობავ", ხოლო შემდეგ "მადამ", მაგრამ სამეფო კარზე დედოფლისადმი მიმართვა სიტყვებით - „მემ" ან "მადამ" არ ხდება. სტალინს არ უყვარდა, როდესაც მას სახელით და მამის სახელით მიმართავდნენ. მას სიამოვნებდა, როდესაც მიმართავდნენ - "ამხანაგო სტალინ". ყოფილ პრემიერებს, პრეზიდენტებს ან მინისტრებს მიმართავენ, როგორც ადრე და არ იყენებენ სიტყვას - „ექს". მინისტრის მოადგილეს მიმართავენ ასე - "ბატონო მინისტრო". ელჩებს, - "თქვენო აღმატებულებავ", გადამდგარ გენერალს - "ბატონო გენერალო". ელჩებისადმი მიმართვას - "თქვენო აღმატებულებავ" დიდი ხნის ისტორია აქვს. ვენის 1815 წლის კონგრესმა ეს მიმართვა საბოლოოდ დააფუძნა. დიდი შეცდომაა მოსაუბრის სახელის ან გვარის დამახინჯება. საუბრის დაწყებამდე, უნდა გადამოწმდეს მოსაუბრის სახელი. ასევე მიუღებელია მოსაწვევ ბარათზე სახელისა და გვარის დამახინჯება. მოსაწვევი ბარათების კონვერტებისა და თვით ბარათების შევსების დროს, როდესაც მოწვეულ პირთა სია საკმაოდ გრძელია, ყოველგვარი გადამოწმების გარეშე იწვევენ მამაკაცს ან ქალს მეუღლესთან ერთად მაშინ, როდესაც მათ მეუღლე არ ჰყავთ. მასპინძელმა, გულისყურით უნდა შეამოწმოს მოწვეულთა სია, რაც თავისთავად გამორიცხავს შეცდომას.

ხშირია, როდესაც მოსაუბრეს კომპლიმენტს ეუბნებიან. ამაში ცუდი არაფერია, მაგრამ გადაჭარბებული არაფერი ვარგა, ვინაიდან ის მლიქნელობაში გადადის. დიპლომატი-

აში დაშვებულია ზომიერი კომპლიმენტი, რომელიც ასახავს მოსაუბრის დადებით საქმიანობას და კარგ თვისებებს.

საუბრის დროს დადებითი მნიშვნელობა აქვს ღიმილს. ღიმილი კარგ ხასიათზე აყენებს მოსაუბრეს, ააღვილებს მასთან ურთიერთობას, ხელს უწყობს მას გახსნილი საუბრისათვის. ღიმილის გამცემი არ ღარიბდება ღიმილის გაცემით, თანაც კარგ ხასიათზე აყენებს მოსაუბრეს, მაგრამ აქაც ზომის დაცვაა საჭირო. ყოველი ფრაზის წარმოთქმის შემდეგ გაღიმება, გააღიზიანებს მოსაუბრეს და შეუქმნის მას მომღიმარისადმი არასერიოზულობის განწყობილებას.

დიპლომატს უნდა ახსოვდეს, რომ პირველ საუბარს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. პირველი საუბარი ერთმანეთზე ქმნის აზრს, რომელიც სამუდამოდ შეიძლება დარჩეს მეხსიერებაში. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ პირველი შეხვედრის ემოციურმა დატვირთვამ შეიძლება საუბარი ნაკლებ ეფექტიანად წაიყვანოს, ამიტომ მარტო ერთი საუბრით მოწინააღმდეგე მხარის საბოლოო შეფასება არ არის მართებული. სრულიად მოსალოდნელია, რომ მომდევნო საუბარი ნაყოფიერი გამოდგეს.

საუბრის დასაწყისში აუცილებელია საკუთარი თავისა და თანმხლები პირის მოსაუბრისათვის წარდგენა. თუ საუბარი უნდა გაიმართოს პირთან, რომელსაც იცნობთ, საკუთარი თავის წარდგენა საჭირო არ არის, მაგრამ თანმხლები პირის, აუცილებელია. თუ მოსაუბრე უცნობია, მაშინ უნდა მოხდეს არა მარტო თავის გაცნობა, არამედ მოკლე ბიოგრაფიული მონაცემების მიწოდებაც, საუბრის დროს საკუთარ ოჯახზე აქცენტის გაკეთება და ხშირი ხსენება მიუღებელია თუ მოპირდაპირე მხარე არ არის დაოჯახებული. არც ის არის მისაღები, რომ მრავალი ენის ცოდნით იყოყოჩოთ, როდესაც მოწინააღმდეგემ მხოლოდ ერთი ენა იცის.

ყოველ საუბარს მომზადება სჭირდება. თუ წინასწარ ცნობილია საუბრის თემა, დიპლომატმა უნდა მოიძიოს შესაბამისი მასალები, გაეცნოს მას. თვალი გადააველოს ადრე გამართული საუბრის შინაარს. გაეცნოს მოსაუბრის ავტობიოგრაფიულ მონაცემებს, წინასწარ უნდა განსაზღვროს, რა საკითხებმა შეიძლება დააინტერესოს ის, რომელ საკითხებში ერკვევა და რომელში არა. დიპლომატმა უნდა

იცოდეს, თუ რა ინფორმაციის მიღება სურს მოსაუბრისაგან, რა საკითხებშია საჭირო მოსაუბრის დარწმუნება.

დიპლომატიაში ხშირად გამოიყენება "კოქტეილ მოთელვა". საუბრის დაწყებამდე ხდება მოსაუბრის გამასპინძლება კოქტეილით, სხვა სასმელით, იგულისხმება გამაგრილებელი. ასეთი მოთელვის დროსაც იმართება საუბარი, მაგრამ საერთო თემებზე.

დიპლომატიაში დიდი მნიშვნელობა აქვს საუბრის ხანგრძლივობას. საერთოდ, საუბრის ხანგრძლივობა ერთ საათს არ აჭარბებს, მაგრამ როდესაც რამდენიმე საკითხი განიხილება, საუბარი შეიძლება გაგრძელდეს 2-3 საათი. საუბარი მიმართული უნდა იყოს პრობლემების განხილვისაკენ, თანამოსაუბრეთა პოზიციების დაახლოებისაკენ, რისთვისაც, არც თუ იშვიათად, გამოიყენება პაუზა ან განყენებულ, უფრო მსუბუქ თემაზე გადახვევაც. მსუბუქი საუბარი მოკლე უნდა იყოს და მან ხანგრძლივობით არ უნდა გადააჭარბოს მთავარ თემას. დიპლომატიაში იმასაც აქვს ადგილი, როდესაც საუბარში მონაწილე მხარე არ არის მომზადებული სასაუბროდ. მან არ იცის, რაზე ილაპარკოს. ის ლაპარაკობს ლაპარაკისათვის და არა საქმისათვის, ედება ღობე-ყორეს. ასეთ დიპლომატს ბევრი ნაცნობი ჰყავს, მაგრამ არ აქვს სერიოზული კავშირები. ასეთ დიპლომატს სერიოზულ საკითხებზე არავინ ეკონტაქტება. დიპლომატიაში ისინიც არიან, ვინც მხოლოდ პროტოკოლური ფუნქციით არიან შემოფარგლული. ისინი სისტემატურად ესწრებიან სხვადასხვა სახის წვეულებებს, საღამოებს, მაგრამ უფრო სერიოზული საქმის კეთებისათვის მზად არ არიან. მათი საუბრები არის ზერელე, უშინაარსო, ყოველგვარი შედეგის გარეშე. ამ კატეგორიის დიპლომატები უფრო ბზიკებს ჰგვანან ვიდრე ფუტკრებს, ვინაიდან მათი "შრომის" ნაყოფი უხილავია. ასეთი დიპლომატები თითქოს ყნოსვით აგნებენ ერთმანეთს, ქმნიან წრეს, რომელიც ფუქსავატურად ატარებს დროს.

დიპლომატმა, რომელიც საუბრისათვის ემზადება, ისიც კარგად უნდა იცოდეს, რომ თუ თვით სურს მეორე მხარისაგან ინფორმაციის მიღება, ანალოგიური სურვილი აქვს მეორე მხარესაც. დიპლომატმა კარგად უნდა დაიმახსოვ-

როს, რომ საუბრის მთავარი მიზანი არის ორმხრივი ინ-ფორმაციის მიღება. ამისათვის ორივე მხარემ, წინასწარ უნ-და მოიფიქროს, თუ რა სახის ინფორმაცია უნდა გაუღერ-დეს. საუბრის დასაწყისი იმ თემას უნდა შეეხოს, რაც მო-საუბრეებს აახლოებს და არ აშორებს. დიპლომატმა უნდა იცოდეს, რომ ზოგ მოსაუბრეს უჭირს კითხვებზე პასუხის გაცემა, ამიტომ დიპლომატმა უნდა აუხსნას მეორე მხარეს, თუ რატომ სურს მას პასუხების მოსმენა. მოსაუბრეებმა ისიც უნდა იცოდნენ, რომ საიდუმლო საკითხებზე პასუხი არ გაიცემა. დიპლომატმა უნდა იცოდეს კითხვის სწორად ჩამოყალიბება, ისე, რომ მოსაუბრისათვის გასაგები იყოს. დიპლომატმა, მოსაუბრეს შეკითხვა პირდაპირ არ უნდა მია-ხალოს, ვინაიდან ამან შეიძლება დააბნიოს მოწინააღმდეგე. უმჯობესია კითხვის დელიკატურად დასმა. თუ მოსაუბრე მზადაა გასცეს პასუხი, ის ამ შემთხვევაშიც გასცემს პა-სუხს. გოეთე ამბობდა - "გინდა ჭკვიანური პასუხი მიიღო, შეეკითხე ჭკვიანურად". დიპლომატმა პროვოკაციული კითხ-ვები არ უნდა დასვას. საუბრის მიზანია მოსაუბრის დარ-წმუნება საკუთარი ქვეყნის პოლიტიკის სისწორეში, ამიტო-მაც საჭიროა მყარი არგუმენტების ცოდნა, კონკრეტული, მათ შორის ისტორიული ფაქტების გამოყენებაც. დარწმუნე-ბა არ ნიშნავს გატეხვას. ინგლისის პრემიერ-მინისტრი ა. იდენი ამბობდა, რომ საუკეთესო დიპლომატად ითვლება ის, ვინც აღწევს რა თავის მიზნებს, მეორე მხარესაც კმაყო-ფილს ტოვებს. დამადასტურებელი ფაქტები უნდა იყოს ზუსტი და გადამოწმებული. თუ მოწინააღმდეგემ მათში ეჭ-ვი შეიტანა, მისი გადარწმუნება ძნელი იქნება. დიპლომა-ტის შეცდომაა, როდესაც საუბრის დასაწყისშივე იყენებს მის არსენალში მყოფ ყველა იარაღს. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში უნდა შეირჩეს შეტევისათვის საჭირო შეიარა-ღება. საუბრის დასაწყისში, შესაძლებელია მცირე კალიბ-რის იარაღის გამოყენება, ხოლო საუბრის ბოლოს – მძი-მის. დიპლომატმა არ უნდა გააკრიტიკოს მოწინააღმდეგის სუსტი პოზიციები. სრული შესაძლებელია, რომ ერთმა საუ-ბარმა მიზანს ვერ მიაღწიოს, რაც მეორე საუბრის გამარ-თვის აუცილებლობას მოითხოვს.

დიპლომატის ამოცანაა მოსაუბრის დარწმუნება, დაყოლიება და არა დამარცხება. ამერიკელი დიპლომატი ბ. ფრანკლინი ამბობდა: „თუ დიპლომატი კამათობს, მან შეიძლება მიაღწიოს წარმატებას, მაგრამ ასეთი წარმატება უაზრო იქნება, ვინაიდან ამით ვერასდროს მოახერხებს ის მოწინააღმდეგის თავის მიმართ განწყობას."

საუბარი არ უნდა გადაიზარდოს ცხარე კამათში. მას უნდა ჰქონდეს დისკუსიის სახე. საუბარში გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება მოწონების ხელოვნებას, რაც როულად შესასრულებელი, მაგრამ დიპლომატის იმიჯისა და წარმატებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორია. მოწონების ხელოვნების შემადგენელი ნაწილია ორატორული ნიჭი. მჭევრმეტყველება ნიშნავს იმას, ისე ისაუბრო, რომ გაიგოს საპირისპირო მხარემ, ინტერესით, ყურადღებით მოისმინოს ყოველი ნათქვამი სიტყვა. მოსაუბრემ უნდა იცოდეს აზრის მიწოდების ხელოვნება და ამას უნდა აკეთებდეს ყოველგვარი დაძაბვის გარეშე. ბი'ზნესმენს შეუძლია იკამათოს გააფთრებამდე, ივაჭროს გამარჯვებამდე, მაგრამ დიპლომატს არ შეუძლია ამ ხერხის გამოყენება. მისი დევიზია – არ იკამათო. დიპლომატმა მშვიდად, დამაჯერებლად უნდა დაამტკიცოს თავისი სისწორე. დიპლომატმა არ უნდა აკრიტიკოს ოპონენტი. მან არ უნდა ჩააყენოს ის თავდამცველის როლში. დიპლომატმა უნდა იცოდეს, რომ ნებისმიერი უტაქტობა გამოიწვევს მოსაუბრის მხრიდან უპატივცემულობას. დიპლომატს უნდა ახსოვდეს, რომ მოსაუბრესთან შემდგომშიც შეიძლება ჰქონდეს შეხვედრა.

როდესაც დიპლომატი ცხარობს, მას ებნევა აზრი, ვერ აწყობს წინადადებებს. მას უნდა ახსოვდეს, რომ ის წარმოადგენს ქვეყანას. დიპლომატს ანგარიშს უწევენ სწორედაც იმიტომ, რომ წარმოადგენს ქვეყანას. დიპლომატისაგან მიღებული შეურაცხყოფა აღიქმება იმ ქვეყნის მხრიდან შეურაცხყოფად, რომელსაც წარმოადგენს დიპლომატი.

დიპლომატს შეუძლია ოპონენტს გამოუცხადოს: "თქვენი აზრი საინტერესოა, მაგრამ სამწუხაროდ ვერ დაგეთანხმებით", ან "ვაფასებ თქვენს მოსაზრებას, მაგრამ ჩემს ხელისუფლებას სხვა შეფასება აქვს ამასთან დაკავშირებით".

დიპლომატი, რომელიც უმალ ეწინააღმდეგება ოპონენტს, ხელს კრავს მას საუბრისაგან. საუბრის დროს დიპლომატს უნდა ახსოვდეს, რომ დიპლომატები და პოლიტიკოსები სწრაფად არ იცვლიან ასრს. საუბრის დროს შესაძლოა მოსაუბრემ ვერ გაიგოს ნათქვამი, ამიტომ მიუღებელი არ არის გამეორების თხოვნა. ძველი ბერძნები ხელოვნებად მიიჩნევდნენ იმ საუბარს, როცა ორივე მხარე უგებდა ერთმანეთს.

საუბრის დროს ადგილი არ უნდა ჰქონდეს ოპონენტისათვის გამაღიზიანებელი განცხადების გაკეთებას, მაგალითად, მეორე მხარის ქვეყნის კრიტიკას. თუ ეს მაინც მოხდა,, ამ დროს ოპონენტი უნდა დაფიქრდეს და ისე გასცეს პასუხი. სულაც არ არის აუცილებელი, რომ პასუხი იყოს მკვეთრი. დიპლომატმა მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში შეიძლება გასცეს მკვეთრი პასუხი. ასეთ შემთხვევაშიც ის უნდა გამოიყურებოდეს მშვიდად. ისტორიაში არაერთხელ ჰქონია ადგილი დიპლომატის ან პოლიტიკოსის გააფთრებას, კონტროლის დაკარგვას, რითაც უშვებდნენ უხეშ შეცდომას. დიპლომატები საუბრის დასასრულს ხშირად მიმართავენ რეზიუმირებას, რომლის დროს მოკლედ იხილავენ განვლილი საუბრის შინაარსს.

ბერძნულმა სიტყვამ "პოლემიკამ" ღრმად გაიდგა ფესვი თანამედროვე ცხოვრებაში, მაგრამ მისი მნიშვნელობა ბევრმა არ იცის და კამათის სინონიმად მიიჩნევს. პოლემიკა "საბრძოლო კამათს" ანუ კამათის უფრო მძაფრ ფორმას აღნიშნავს და მისი ადგილი დიპლომატიაში ნაკლებად არის. ამბობენ, რომ ქირურგის საუკეთესო ოპერაციად, გაუკეთებელი ოპერაცია ითვლება. ძველი ჩინელი მოაზროვნე ლაო-ცზი კი აღნიშნავს, რომ კარგი მხედართმთავარი ბრძოლას შეტაკების გარეშე იგებს, ხოლო ქვეყნის ძლიერი მმართველი ისე მართავს ქვეყანას, რომ არავის არ ამცირებს. დიპლომატიაში ამის ანალოგია – უპოლემიკო მოლაპარაკებაა. დიპლომატი დიპლომატად უნდა დარჩეს და არა პოლემისტად, მაგრამ, თუ მიუხედავად ამისა, საუბარი მაინც გადაიზარდა პოლემიკაში, უმჯობესია იუმორის გამოყენებით ვითარების განმუხტვა, საუბრის დიპლომატიურ ჩარჩოებში გადაყვანა.

"დიპლომატია არის ბოქსის ორთაბრძოლა გლიასეს ხელთათმანებით, რომლის ბოლოს გონგის ხმა შეცვლილია შამპანურის ბოკლების გაწკარუნების ხმით" – წერდა საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი ჟორჟ პომპიდუ.

იუმორს დიდი მნიშვნელობა აქვს არამარტო დიპლომატიაში. ხუმრობა საჭიროა საუბრის გასახალისებლად, პაუზის გასაკეთებლად, მოსაუბრეთა დასაახლოებლად, საუბრისათვის გულწრფელობის მისანიჭებლად, მაგრამ ხუმრობა არ უნდა გადაიზარდოს ირონიაში. ასევე, მიუღებელია ღვარძლიანი იუმორი. დიპლომატის მხრიდან ხუმრობის დროსაც საჭიროა სიფრთხილე და მოსაუბრის მენტალიტეტის გათვალისწინება. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ ხუმრობას ბევრი ჯეროვნად ვერ აღიქვამს.

ბოლო დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება სატელეფონო საუბარს. სატელეფონო საუბარმა მტკიცედ დაიმკვიდრა ადგილი პოლიტიკასა და დიპლომატიაში. ხშირად სახელმწიფოს მეთაურები მიმართავენ კომუნიკაციის ამ შესაძლებლობას. აშშ-ს და რუსეთის პრეზიდენტებს შორის პერიოდულად იმართება სატელეფონო საუბრები ე.წ. "ცხელი ხაზის" მეშვეობით. ეს ხაზი დაცულია ყოველგვარი მოსმენისაგან და მისი სანდოობის ხარისხი ერთობ მაღალია. დიპლომატებს შორის მთელი რიგი საკითხების მოგვარება სატელეფონო საუბრითაც არის შესაძლებელი, თუმცა ამ შემთხვევაში დიპლომატს უნდა ახსოვდეს, რომ საიდუმლო თემებზე ლაპარაკი მიუღებელია, ხაზის ნაკლები სანდოობის გამო. საქართველოს სინამდვილეში, თუნდაც დიპლომატიაში, სატელეფონო საუბარს ნაკლებად სერიოზული დატვირთვა აქვს.

მოწინააღმდეგე მხარესთან სასაუბრო შეხვედრის ორგანიზება

დიპლომატიაში ყველაზე უფრო საპასუხისმგებლო საკითხია საკუთარი სახელმწიფოს დავალებით გამართული საუბარი. ამ შემთხვევაში ელჩი ითხოვს მასპინძელი ქვეყნის პირველ პირთან, მთავრობის მეთაურთან ან საგარეო საქმე-

თა მინისტრთან აუდიენციას. სახელმწიფოს მეთაურთან ელჩის საუბარი მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც სახელმწიფოს მეთაურს აქვს ამის სურვილი და იჩენს ინიციატივას, ან იმ შემთხვევაში, თუ ელჩს საკუთარი ქვეყნის პირველი პირის წერილის გადაცემა სურს მისთვის. მასპინძელი ქვეყნის ხელმძღვანელისათვის წერილის გადაცემას სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ წერილი იგზავნება არა ფოსტით, არამედ გადაიცემა ელჩის ხელით.

წერილის გადაცემის დროს ელჩი ელოდება პრეზიდენტის პასუხს წერილთან დაკავშირებით. სრული მოსალოდნელია, რომ პრეზიდენტსა და ელჩს შორის გაიმართოს დიალოგი წერილში არსებულ საკითხებთან მიმართებით. ამდენად ელჩი უნდა იცნობდეს წერილის შინაარსს. წინააღმდეგ შემთხვევაში ელჩი "ფოსტალიონის" როლში გამოდის, რაც აკნინებს დიპლომატს.

დიპლომატიაში, გარდა წერილის გადაცემისა, სიტყვიერი ანუ ზეპირი მიმართვის გადაცემაც არსებობს. ამ დავალებასაც ელჩი ასრულებს, გარდა ამისა შესაძლებელია ამ საქმისათვის ქვეყნის პირველმა პირმა სპეციალური წარმომადგენელიც კი გამოყოს. მას საგანგებო დავალებათა ელჩი ჰქვია. ზეპირი მიმართვის გადაცემის დროს უნდა მოხდეს ტექსტის ზუსტი გადაცემა. გამორიცხულია ყოველგვარი ინტერპრეტაცია ან დამატება. რაც შეეხება წერილის გადაცემას, ელჩმა კარგად უნდა წაიკითხოს ტექსტი, გაიაზროს მასში მოცემული საკითხები და მოემზადოს გადაცემის დროს გამართული საუბრისათვის. საუბრის დასაწყისში, წერილის გადაცემამდე, მიზანშეწონილია მასპინძლის ყურადღების გამახვილება წერილის მთავარ საკითხებზე, ვინაიდან სრულიად მოსალოდნელია, რომ მასპინძელმა თვალი გადაავლოს წერილს და თქვას, რომ შემდეგ გაეცნობა და შეატყობინებს პასუხს. იმ შემთხვევაში, როდესაც ელჩი წინასწარ განუმარტავს მასპინძელს წერილში ასახულ საკითხებს, გაიმართება მსჯელობა, წერილის განხილვა, რასაც შეიძლება მოჰყვეს სხვა საკითხებზეც საუბარი. ელჩის მიზანია, რომ მასპინძელი ქვეყნის პირველ პირთან საუბარი,

რომელიც იშვიათად იმაროება, მაქსიმალურად ეფექტიანად გამოიყენოს.

ელჩს სასაუბროდ თან ახლავს დიპლომატი, რომელმაც კარგად იცის ენა და ეხერხება თარგმნა, აგრეთვე დესპანი, რომელიც ჩაიწერს საუბარს. თანმხლები დიპლომატები საელჩოში დაბრუნებისთანავე აკეთებენ საუბრის ჩანაწერს და ცენტრში აგზავნიან დაშიფრულ დეპეშას.

დიპლომატიაში ადგილი აქვს იმასაც, როდესაც საკუთარი მთავრობა ელჩს ავალებს სახელმწიფოს მეთაურის წერილის გადაცემას ყოველგვარი კომენტარის გარეშე. ამ შემთხვევაში წერილის გადაცემას არ მოჰყვება საუბარი. ამას მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნება ადგილი თუ მასპინძელმა დაიჩემა წერილის შინაარსის განხილვა. ასეთ დროს ელჩმა უნდა გაიმეოროს ზუსტად ის, რაც წერილშია.

ქვეყნის პირველ პირთან, პრემიერ-მინისტრთან ან საგარეო საქმეთა მინისტრთან სტუმრობა, ელჩის პრეროგატივაა. მისი ავადმყოფობის შემთხვევაში - დესპანის.

ელჩის საუბარი ქვეყნის პირველ პირთან იშვიათად ხდება. ძირითადად, ელჩი საუბრობს მინისტრთან ან მინისტრის მოადგილესთან. საუბრის დროს, ელჩს შეიძლება გადაეცეს რაიმე დოკუმენტი ან ნოტა. ასეთ დროს, ელჩი საუბრის დასრულებამდე უნდა გაეცნოს ნოტას. თუ დოკუმენტი მიუღებელია მისთვის, მას შეუძლია არ წაიკითხოს დოკუმენტი. ან განაცხადოს, რომ პასუხს გასცემს გულდასმით გაცნობის შემდეგ. ნოტის დაბრუნება ხდება უკიდურეს შემთხვევაში, იმ დროს, როდესაც ტექსტში უხეშად არის მოხსენიებული ელჩის ქვეყანა ან მისი ხელმძღვანელი.

საუბრის დროს დიპლომატი არ უნდა უყურებდეს საათს. მას დროის შეგრძნება გამომუშავებული უნდა ჰქონდეს. მან არ უნდა გააწყვეტინოს სიტყვა მოსაუბრეს. მოსაუბრეს არ უნდა შეექმნას შთაბეჭდილება, რომ მასპინძელი მას აგდებს. სტუმარი თვით უნდა მიხვდეს წასვლის დროს.

საუბრის დროს მოსალოდნელია წამოიჭრას სრულიად ახალი, ელჩისათვის უცნობი საკითხი. დიპლომატმა ყურადღებით უნდა მოისმინოს და თუ პასუხია გასაცემი, საერთო ფრაზებით გასცეს პასუხი. თუ საკითხი სერიოზულია, მაშინ დიპლომატმა მოურიდებლად უნდა თქვას, რომ

მზად არ არის პასუხის გასაცემად, შეისწავლის საკითხს და მეორე შეხვედრის დროს იტყვის თავის მოსაზრებას.

დიპლომატიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია საუბრის ჩანაწერს. ცნობილი რუსი დიპლომატი გ. ჩიჩერინი წერდა: "ყველა საუბარი უცხოელ ელჩთან, დესპანთან, სხვასთან იმ წუთასვე უნდა იყოს დაწვრილებით ჩაწერილი და გაგზავნილი ხელმძღვანელებისათვის".

საუბრის ჩანაწერს აკეთებს ყველა დიპლომატი. თუ საუბრისას ელჩი მარტო იმყოფება, ის აკეთებს საუბრის ჩაწერას. ადამიანის შესაძლებლობა, ზუსტად დაიმახსოვროს ერთსაათიანი საუბრის ნიუანსები, შეზღუდულია. საუბრის დასაწყისს, ათ წუთს, მსმენელი კარგად აღიქვამს, მაგრამ შემდეგ ჭირს ყველაფრის დამახსოვრება. ამისათვისაა საჭირო საუბრის ჩაწერა. საუბრის ჩანაწერები კეთდება მესამე პირში. საუბრის ჩანაწერში ძირითად საკითხებზე უნდა იყოს გამახვილებული ყურადღება. ჩანაწერი, რეალობას უნდა შეესაბამებოდეს. საუბრის ჩანაწერი კეთდება წეესულების შემდეგაც.

საქმიანი დიალოგი და საუბარი ვერ იტანს მასში მონაწილეთა დიდ რაოდენობას. რაც უფრო ვიწრო წრე იღებს მონაწილეობას საუბარში, მით უფრო დიდი ეფექტის მოტანა შეუძლია მას. მძიმე საუბრის მიუხედავად, დიპლომატი უნდა შეეცადოს კარგი განწყობით დაასრულოს ის. მას უნდა ახსოვდეს, რომ ეს არ არის ბოლო საუბარი.

დიპლომატია და მასმედია

დიპლომატია გამორჩეული დარგია, რომელიც ტრადიციებიდან გამომდინარე უფრო დახურულ ორგანოდ ითვლებოდა და ნაწილობრივ დღესაც ასეა, მაგრამ გასული საუკუნის ბოლოდან დაწყებული ის ნელ-ნელა აღებს კარებს. დღევანდელი დიპლომატია უფრო გამჭვირვალეა, ვიდრე გუშინდელი. ხშირ ხასიათს იღებს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და საელჩოში გამართული ბრიფინგები და პრეს-კონფერენციები. მასმედიასთან კონტაქტები ორ მიზანს ემსახურება – ინფორმაციის გაცემას და მიღებას. ზოგიერთი

მიიჩნევს, რომ პროპაგანდა უფრო პოლიტიკის საქმეა, ვიდრე დიპლომატიის, მაგრამ დიპლომატიაში მას სხვა დატვირთვა აქვს. მისი მიზანია აიძულოს ადგილსამყოფელი ქვეყნის მთავრობა ყურადღება მიაქციოს საელჩოს განცხადებას და მიიღოს ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც წაადგება წარმდგენ ქვეყანას. თუ წინათ პროპაგანდა დიპლომატიის ანტიპოდი იყო, დღეს მოკავშირეა. ელჩები ნაკლებად არიდებენ თავს პრესასთან ურთიერთობას. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ თანამედროვეობა მოითხოვს უფრო ინტენსიურ კავშირებს. საქართველოში აკრედიტებული საელჩოებიდან პრესასთან ურთიერთობით მხოლოდ თითო-ოროლა თუ გამოირჩევა. ქართული მოსახლეობის განსაკუთრებული ინტერესი მიმართულია ძირითადად ორი ქვეყნის საელჩოსადმი აშშ-ს და რუსეთის. სამწუხაროდ, აღნიშნული საელჩოები იშვიათად აწყობენ პრეს-კონფერენციებს ან ბრიფინგებს იმ თემებზე, რაც აინტერესებს საქართველოს მოსახლეობას. საელჩოთა დიდი ნაწილი იმის შიშით, რომ არ დაუშვან შეცდომა, ხშირად მიმართავენ საკუთარ საგარეო უწყებას კითხვით – გამართონ თუ არა ბრიფინგი, პრეს-კონფერენცია. ცენტრიდან თანხმობის მიღებას საკმაო დრო სჭირდება, საკითხი კი კარგავს აქტუალობას.

ხშირად აქვს ადგილი ჟურნალისტის მიერ დიპლომატის ნათქვამის ან შეგნებულ, ან უნებლიე დამახინჯებას. ცხადია, ეს არასასიამოვნო ფაქტია, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჟურნალისტიკა არ არის მოკლებული სენსაციურობას. დიპლომატისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ინფორმაციის გადამოწმებას, გაზეთებში გამოქვეყნებამდე ტექსტის წაკითხვას. ამის გაკეთება არც თუ იოლი საქმეა, მაგრამ დიპლომატს ისეთი ურთიერთობა უნდა ჰქონდეს მას-მედიასთან, რომ შეძლოს გადამოწმება.

ჟურნალისტებს მჭიდრო კავშირები აქვთ პოლიტიკურ წრეებთან. თუ დიპლომატს კარგი კავშირები აქვს ჟურნალისტებთან, მათგან ინფორმაციის მიღებას წინ არაფერი დაუდგება. ინფორმაციის მიღებას ხელს უწყობს საგარეო უწყებაში, საელჩოში გამართული პრეს-ბარები, სხვადასხვა სახის მიღებები, რომლებიც ქმნის თავისუფალი ლაპარაკისა და უშუალობის ატმოსფეროს. გარდა ამისა, ელჩს შეუძ-

ლია ჟურნალისტების პერიოდული მიპატიჟება საელჩოში ფინჯან ჩაიზე. ასეთი შეხვედრის დროს ელჩი გამოთქვამს თავის მოსაზრებას ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. თავის მხრივ ჟურანალისტებიც აცნობენ ელჩს საკუთარ პოზიციას.

ჟურნალისტურ სამყაროსთან კონსტრუქციული თანამშრომლობის მიზნით, ზოგი საელჩო ჟურნალისტებისთვის აწყობს მოკლევადიან, გაცნობით მოგზაურობას საკუთარ ქვეყანაში. ასეთ დროს, ხარჯებს საკუთარ თავზე იღებს მიმწვევი მხარე ანუ საელჩო. პრაქტიკაშია მიღებული ჟურნალისტების მიწვევა სტაჟირებისათვის და სხვა. მსგავსი ღონისძიებები ხელს უწყობს ჟურნალისტურ წრეებთან ქვეყნის დაახლოებას. შესაძლებლობას იძლევა, რომ ნაკლები კრიტიკა იყოს ქვეყნის მიმართ და სხვა.

დიპლომატიაში გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ინფორმაციის მოპოვების საკითხს. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებულ ანალიტიკურ მასალებს. აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის და სხვა ქვეყნების სერიოზული და არა ყვითელი პრესა, სისტემატურად აქვეყნებს ანალიტიკურ მასალებს, რომლებშიც ცნობილი ჟურნალისტები საუბრობენ არა მარტო საკუთარი ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ვითარებაზე, არამედ მის ურთიერთობაზე სხვა ქვეყნებთან. მსგავსი ანალიტიკური მასალა, როგორც დიპლომატისთვის, ისე პოლიტიკოსისათვის ყურადსაღებია. ის კარგ სამსახურს უწევს დიპლომატს.

დიპლომატისათვის არანაკლები მნიშვნელობა აქვს ჟურნალ-გაზეთების და ტელეკომპანიების მეპატრონეებთან კავშირს. ელჩმა პერიოდულად უნდა მიიწვიოს ისინი საელჩოში ლანჩზე, სადილზე ან ვახშამზე. მსგავსი მიწვევები ინფორმაციის გაცვლის და კარგი ურთიერთობის ჩამოყალიბების შესაძლებლობას იძლევა.

საელჩოს, არა მარტო დედაქალაქის მას-მედიასთან უნდა ჰქონდეს კავშირი, არამედ ქვეყნის სხვა ქალაქებისა და რაიონების ჟურნალ-გაზეთებთან, ჟურნალისტებთან. ზოგჯერ, როდესაც საელჩო მასპინძელი ქვეყნის მასმედიის წარმომადგენლებს იწვევს სტაჟირებაზე, არც პროვინციის

ჟურნალისტებს ივიწყებს. ინგლისის საგარეო უწყება საზღვარგარეთ მომუშავე საკუთარ დიპლომატებს ავალდებულებს ხშირად იმოგზაურონ მასპინძელ ქვეყანაში, გაეცნონ რეგიონებს, დაამყარონ კონტაქტები ადგილობრივ მასმედიასთან.

ხშირად იბადება კითხვა, თუ როგორ უნდა იმოქმედოს საელჩომ მისთვის საინტერესო ინფორმაციის გავრცელების ან მიღებისათვის? ზოგი საელჩო მიზანს აღწევს ფულით, საჩუქრებით, თუმცა სერიოზული ჟურნალისტი არ უნდა დათანხმდეს ასეთს, ვინაიდან მას შეიძლება კარიერის დაკარგვა მოჰყვეს. დიპლომატმა უნდა იცოდეს, ვის მიაწოდოს ინფორმაცია, ვინ შეძლებს მის უკეთ გაშუქებას პრესაში.

მას-მედიასთან მუშაობის ხარისხი დამოკიდებულია იმ დიპლომატის საზრიანობაზე, რომელიც პრესასთან თანამშრომლობს. პრეს-ატაშე კარგად უნდა იყოს გათვითცნობიერებული მასპინძელი ქვეყნის მუშაობის სტილში. მას კარგი ურთიერთობა უნდა ჰქონდეს ჟურნალისტებთან. საელჩოში გამართულ ბრიფინგსა და პრეს-კონფერენციაზე უნდა მიიწვიოს მასმედიის მუშაკები – რაც მეტი, უკეთესი, ვინაიდან ბევრი ჟურნალისტი, ბევრ ინფორმაციას ნიშნავს.

საელჩოს პრეს-ატაშემ, ინსტრუქტაჟისათვის შეხვედრა უნდა გამართოს იმ ჟურნალისტებთან, რომლებიც ახლავს საკუთარი ქვეყნის სახელმწიფოს მეთაურს, მასპინძელ ქვეყანაში ვიზიტის დროს. პრეს-ატაშემ უნდა გააცნოს საკუთარი ქვეყნის ჟურნალისტებს ადგილსამყოფელი ქვეყნის ვითარება. ადგილსამყოფელი ქვეყნის საგარეო უწყების შესაბამის სამსახურში დროულად წარადგინოს სახელმწიფო მეთაურთა ერთობლივ პრეს-კონფერენციაზე დასასწრებად, თანმხლები ჟურნალისტების სია, სააკრედიტაციო ბარათის მიღებისათვის.

ჟურნალისტის მთავარი მიზანია ინფორმაციის გაყიდვა ანუ ისეთი სტატიის მომზადება, რომელიც უეჭველად მიიპყრობს მკითხველის ყურადღებას. მიზნის მიღწევისათვის ჟურნალისტი არ თაკილობს სენსაციურობასაც, ფაქტების დამახინჯებას და სხვა. ამ სენით ძირითადად ყვითელი პრესის ჟურნალისტები არიან დაავადებული. დიპლომატი უნდა ერიდოს ყვითელ პრესასთან კავშირებს. გარდა ამისა, ინ-

ტერეიუს მიცემის შემდეგ მან უნდა სთხოვოს ჟურნალისტს, რომ გამზადებული მასალა, დაბეჭდვამდე, გააცნოს მას. დიპლომატმა თავი უნდა აარიდოს ჟურნალისტისათვის ტელეფონით ინტერვიუს მიცემას. სატელეფონო ინტერვიუ არ არის დაზღვეული ტექნიკური ხარვეზებისაგან.

საქართველოს სინამდვილეში ადგილი აქვს მას-მედიის ერთობ უხეშ გამოხდომებს მეზობელი ქვეყნის - რუსეთის მიმართ. პრესაში ხშირადაა ამ ქვეყნის არა მარტო კრიტიკა, არამედ ლანძღვა-გინება, რაც ცუდის მეტს არაფერს ჰმატებს ქართულ მედიას. ცხადია, ასეთი დამოკიდებულება აღიზიანებს რუსეთის საელჩოს, ართულებს ქვეყნებს შორის ურთიერთობას. დაუმსახურებელი ლანძღვისა და აუგად მოხსენიების თავიდან ასაცილებლად უმჯობესია მას-მედიასთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობა, ყოველდღიური და თანმიმდევრული კავშირების ჩამოყალიბება.

დღეს, იშვიათობას არ წარმოადგენს სატელევიზიო ინტერვიუ, რომლის მიზანი არის დიპლომატის მხრიდან საკუთარი ქვეყნის ჯეროვნად წარდგენა, მასპინძელი ქვეყნის ტელემაყურებლისათვის. დიპლომატმა უარი არ უნდა თქვას ასეთ ინტერვიუზე, ვინაიდან ტელეჟურნალისტი ღია ეთერში განაცხადებს - მოვიწვიე და არ მოვიდაო. ტელეჟურნალისტის განცხადება არაერთ კითხვას გააჩენს მაყურებელში, რაც თავისთავად არა მარტო დიპლომატზე, არამედ მის ქვეყანაზეც ნეგატიურად იმოქმედებს.

დიპლომატი უნდა დათანხმდეს შემოთავაზებას და დაადგინოს შემდეგი საკითხები – რა თემაზე იქნება საუბარი, საუბარი იქნება პირდაპირ ეთერში თუ ჩაწერით, ვინ იქნება ეთერში დიპლომატთან ერთად, ის მარტო იქნება თუ არა, რა ხანგრძლივობის გადაცემა თუ ჩაწერა კეთდება, როდის გადაიცემა ეთერში. ინტერვიუს მიცემა გაცილებით მოსახერხებელია საელჩოში, სტუდიაში, ვიდრე ქუჩაში ან კაფე–ბარში.

ტელეინტერვიუ კარგი შესაძლებლობაა მასპინძელი ქვეყნის მოსახლეობისათვის საკუთარი ქვეყნის გაცნობის თვალსაზრისით. მსოფლიოში თითქმის 200 სახელმწიფოა და ბევრმა არც იცის მათი არსებობის შესახებ. ტელეინტერვიუ კი გაცნობის კარგ შანსს იძლევა. ტელეინტერვიუს

დროს დიპლომატი მშვიდად უნდა გამოიყურებოდეს. მან მაყურებელსე არ უნდა დატოვოს დაბნეულის, ქედმაღლის ან საქმეში ჩაუხედავი ადამიანის შთაბეჭდილება. დიპლომატმა უნდა იცოდეს ადგილსამყოფელი ქვეყნის ტელეკომპანიის მუშაობის სტილი, რაც საშუალებას მისცემს მას მომზადებული შეხვდეს ტელეწამყვანის შეკითხვებს. ხშირად ჟურნალისტი ცდილობს დააბნიოს დიპლომატი, გამოიყვანოს ის მწყობრიდან, ხელი ჰკრას დაუფიქრებელი განცხადებისაკენ, ჩააყენოს თავდამცველის პოზიციაში. დიპლომატმა საუბრის დასაწყისშივე ალღო უნდა აუღოს ვითარებას, თავისი გარეგნული სახით, ხმით, ხელების ზომიერი მოძრაობით, გარკვეული განწყობა უნდა შექმნას ტელემაყურებლებში. დიპლომატმა, დასაწყისიდანვე უნდა განსაზღვროს, თუ რისი თქმა შეუძლია და რისი არა, ვინაიდან დიპლომატი ქვეყანას წარმოადგენს და არა საკუთარ თავს. მის მიმართ მსმენელის უკეთ განწყობისათვის, დიპლომატმა, საუბრის დასაწყისშივე, უნდა გამოიყენოს სხარტი გამოთქმა. დიპლომატი უნდა შეეცადოს, რომ მისი საუბარი იყოს ლოგიკური და თანმიმდევრული, რაც იოლად აღიქმება მაყურებლის მიერ. ჟურნალისტის დასმულ კითხვებს დიპლომატი მოკლედ და გასაგებად უნდა პასუხობდეს. გრძელი პასუხები ღლის მსმენელს. თუ დიპლომატი აპირებს ინტერვიუს დროს გვარების დასახელებას, უმჯობესია, რომ მან თავიდანვე ჩაინიშნოს გვარები, რათა დამახინჯებით არ წარმოთქვას ისინი.

დიპლომატმა ყურადღება უნდა მიაქციოს სახის გამომეტყველებასაც. სახე არ უნდა ჰქონდეს მოჭარბებულად აღგზნებული ან ინდიფერენტული. ინტერვიუს დროს ის უნდა უყურებდეს მოსაუბრეს და არა კამერას.

გარეგნულ იერსახეს დიდი მნიშვნელობა აქვს. მაყურებელი პირველად გარეგნობას, ჩაცმულობას უყურებს. ტანსაცმელი არ უნდა იყოს დაჭმუჭვნილი. დიპლომატს არ უნდა ეკეთოს მუქი ფერის სათვალე. მას არც მოჭარბებული სამკაულები უნდა ჰქონდეს, განსაკუთრებით ქალებს. ქალებმა თავი უნდა შეიკავონ ექსტრავაგანტური თმის ვარცხნილობისაგან, ვინაიდან ვარცხნილობა მიიპყრობს მაყურებლის ყურადღებას და არა საუბარი.

დიპლომატთა ურთიერთობა მასპინძელი ქვეყნის პოლიტიკურ პარტიებთან

დიპლომატიაში მიღებული წესია მასპინძელი ქვეყნის პოლიტიკურ პარტიებთან ურთიერთობა. ეს ურთიერთობა გამოიხატება პერიოდულ შეხვედრა-საუბრებში, რომლებიც იმართება ან საელჩოში, ან პარტიის ოფისში. საუბარი იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ დიპლომატმა სხვა თვალით შეხედოს ადგილსამყოფელ ქვეყანაში არსებულ ვითარებას. ასეთი საუბრების დროს დიპლომატს აქვს შანსი, მიიღოს მეტი ინფორმაცია ქვეყნის შესახებ, განსაკუთრებით ოპოზიციური პარტიებისგან. დიპლომატებისა და პარტიების შეხვედრების ინტენსიურობა თვალშისაცემია ადგილსამყოფელ ქვეყანაში საპარლამენტო ან საპრეზიდენტო არჩევნების დროს. სტუმარი ქვეყნის დიპლომატი დაინტერესებულია გაიგოს პარტიების პოლიტიკური გეგმების, მიზნების, პერსპექტივების, დიპლომატის ქვეყანასთან დამოკიდებულების შესახებ.

საქართველოში, დიპლომატიურ კორპუსთან ურთიერთობაში დაინტერესებულია ქვეყნის პოლიტიკური პარტიები, განსაკუთრებით ოპოზიციური. მათი ინიციატივით ხშირად აქვს ადგილი დიპლომატებთან შეხვედრებსა და საუბრებს, რომლის დროს პოლიტიკური პარტია ცდილობს საელჩოს გააცნოს საკუთარი მოსაზრება ხელისუფლების მანკიერი პოზიციებისა და ქმედების თაობაზე.

დიპლომატიის ისტორიაში, დიპლომატთა კონტაქტს პოლიტიკურ პარტიებთან, არასოდეს გამოუწვევია გაკიცხვა ან ნეგატიური შეფასება. ვენის კონვენციაში პირდაპირ არის აღნიშნული, რომ დიპლომატის მოვალეობაა ყველა კანონიერი გზით და მეთოდით მოიპოვოს ადგილსამყოფელ ქვეყანაში არსებული ინფორმაცია და წარუდგინოს ის საკუთარ ქვეყანას. სამწუხაროდ, საქართველო ამ შემთხვევაშიც უნიკალურად გამოიყურება. 2007 წლის ნოემბრის ცნობილი მოვლენების შემდეგ, როდესაც ხელისუფლების საწინააღმდეგო მასობრივ გამოსვლებს ჰქონდა ადგილი, ხელისუფლებამ სახელმწიფო გადატრიალების მომზადების მცდელობაში დაადანაშაულა რუსეთის საელჩოს დიპლომატები და

საქართველოს ოპოზიციური პარტიები, რასაც მოჰყვა სამი რუსი დიპლომატის პერსონა ნონ გრატად გამოცხადება და საქართველოდან გაძევება. მათ ბრალად ედებოდათ პოლიტიკურ პარტიებთან შეხვედრები და ჯაშუშობა. საქართველოს ხელისუფლების არაკვალიფიციურმა, მცდარმა ნაბიჯმა კიდევ უფრო დაძაბა ისედაც დაძაბული საქართველო–რუსეთის დამოკიდებულება.

ისმის კითხვა, როგორ მოიპოვოს ინფორმაცია დიპლომატმა თუ მას კავშირები არ ექნება ოპოზიციურ პარტიებთან, ან მოსახლეობასთან? დემოკრატიულ სახელმწიფოში მსგავს კავშირებს ჩვეულებრივი სახე აქვს. იქ თავში არავის მოუვა ოპოზიციურ პარტიებთან ურთიერთობის შეზღუდვა. სამწუხაროდ, თანამედროვე საქართველო ის ქვეყანაა, სადაც ხელისუფლებას ებადება ავადმყოფური კითხვა უცხოური საელჩოების ჩვეულებრივ კონტაქტებთან დაკავშირებით ადგილობრივ პარტიებთან, რაც ვენის 1961 წლის კონვენციის დებულებების უცოდინრობას, ან უგულებელყოფას ნიშნავს. თუ ოპოზიციური პარტიები კანონიერად არსებობენ, არავითარ ბარიერს არ უნდა ჰქონდეს ადგილი მათთან დიპლომატების ურთიერთობის შემთხვევაში.

ოპოზიციურ პარტიებთან ურთიერთობისას დიპლომატს უნდა ახსოვდეს ინგლისელი დიპლომატის ე. სატოუს სიტყვები: "დიპლომატიურმა წარმომადგენელმა თავი უნდა შეიკავოს საშინაო საქმეებში ჩარევისაგან". დიპლომატმა უნდა მოისმინოს ოპოზიციური პარტიის აზრი, მაგრამ საჯაროდ არ უნდა გააკეთოს შეფასებები ან დასკვნები. დიპლომატს, ისიც უნდა ახსოვდეს, რომ საჭიროა დოზირებაც. მისი მთავარი ამოცანაა მთავრობასთან ურთიერთობა.

დიპლომატმა ისიც უნდა იცოდეს, რომ ხშირად ოპოზიცია დაუმსახურებლად აკრიტიკებს ხელისუფლებას. ფაქტებს, რომელსაც ოპოზიცია იშველიებს, სერიოზული გადამოწმება ესაჭიროება, რათა არ მოხდეს საკუთარი მთავრობისათვის მცდარი ინფორმაციის მიწოდება. დიპლომატი არ უნდა შეეცადოს გადასცეს ოპოზიციას კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც მისთვის, მასპინძელ ქვეყანაში გახდა ცნობილი და რაც მთავარია, მან არ უნდა გათქვას ინფორმაციის წყარო.

დიპლომატს ურთიერთობა უნდა ჰქონდეს პატარა პარტიებთანაც. შესაძლოა ისინი ვერ მოხვდნენ ხელისუფლებაში, მაგრამ სრულიად მოსალოდნელია, რომ მონაწილეობა მიიღონ კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბებაში. თუ რომელიმე პარტია აგებს არჩევნებს, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ დიპლომატმა მასთან უნდა შეწყვიტოს ურთიერთობა. პარტიასთან ურთიერთობა უწინდებურად უნდა გაგრძელდეს.

სისტემატური კამათის საგანია დიპლომატთა კავშირები ადგილსამყოფელი ქვეყნის ულტრა-ნაციონალისტურ პარტიებთან, აგრეთვე სეპარატისტულ ხელისუფლებასთან. ე.წ. "დამოუკიდებელ ქვეყნებთან" დიპლომატთა ურთიერთობა აღიზიანებს ცენტრალურ ხელისუფლებას, რომელიც ამას საშინაო საქმეებში ჩარევად მიიჩნევს. სეპარატისტებთან კავშირები დიპლომატისგან მოითხოვს წინდახედულობასა და რაც მთავარია, იმ ბალანსის დაცვას, რაც საჭიროა ცენტრალურ ხელისუფლებასთან ურთიერთობაში.

დიპლომატთა ურთიერთობა პარლამენტთან

დიპლომატიაში მნიშვნელოვანი ყურადღება აქვს დათმობილი დიპლომატთა ურთიერთობას ადგილსამყოფელი ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოსთან. ადგილსამყოფელ ქვეყანაში მუშაობის დაწყებისთანავე დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელი ეწვევა პარლამენტის თავმჯდომარეს, მოადგილეებს, კომიტეტების თავმჯდომარეებს. ეს ვიზიტები პროტოკოლურია და გამიზნულია ორი ქვეყნის კავშირების გაფართოებისათვის. საუბრების დროს, ძირითადი ყურადღება დათმობილი აქვს ორ ქვეყანას შორის საპარლამენტო კავშირების დაწყება-გაფართოებას, საპარლამენტო დელეგაციათა გაცვლას, საპარლამენტო გამოცდილების გაზიარებას და სხვა. პარლამენტარებთან ურთიერთობა დიპლომატს უღრმავებს ცოდნას მასპინძელი ქვეყნის შესახებ, უადვილებს რთული საკითხების გადაჭრას, კრიზისული ვითარებიდან თავის დაღწევას, აწვდის ინფორმაციას კანონშემოქმედებით მოღვაწეობაზე და სხვა. პარლა-

მენტთან ურთიერთობა არც თუ ისე იოლი საქმეა. ეს მხოლოდ იმ დიპლომატს ხელეწიფება, ვინც კარგად იცის თუნდაც საკუთარი ქვეყნის პარლამენტის მუშაობის საკითხები. სამწუხაროდ, დიპლომატთა საკმაო რაოდენობა არაჯეროვნად არის ჩახედული არა მარტო ადგილსამყოფელი ქვეყნის საპარლამენტო ცხოვრებაში, არამედ საკუთარი ქვეყნის საპარლამენტო ცხოვრებაშიც.

დიპლომატი ყურადღებით უნდა ადევნებდეს თვალს პარლამენტის მუშაობას. მას კონტროლზე უნდა ჰყავდეს აყვანილი აქტიური პარლამენტის წევრებისა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების საჯარო განცხადებები და გამოსვლები. დიპლომატმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს პარლამენტართა იმ გამოსვლებს, რომლებიც ეხება საგარეო პოლიტიკას.

საელჩომ პერიოდულად უნდა მოაწყოს შეხვედრები პარლამენტარებისათვის, რომლის დროს ელჩსა და მათ შორის გაიმართება აზრთა გაზიარება, ხშირად უნდა მიიწვიოს ისინი ლანჩზე, სადილზე, ან სხვა ღონისძიებაზე.

საელჩომ, ასევე ყურადღება უნდა გაამახვილოს საკუთარი ქვეყნის პარლამენტის დელეგაციის მასპინძელ ქვეყანაში ვიზიტის ორგანიზებაზე. ყოველმხრივ დაეხმაროს მასპინძელი ქვეყნის პარლამენტარებთან საუბრების გამართვის მოწყობაში. ქვეყანაში ჩასვლამდე, საელჩომ უნდა დაადგინოს საკუთარი ქვეყნის საპარლამენტო დელეგაციის პროფესიონალური შემადგენლობა და გაარკვიოს, სურს თუ არა რომელიმეს ადგილობრივ ოფიციალურ პირებთან შეხვედრა და დაეხმაროს მას ამის ორგანიზებაში.

საპარლამენტო დელეგაციებში ხშირად ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებიც არიან, რომლებიც დაუფარავად აკრიტიკებენ ხელისუფლებას. ასეთ დროს დიპლომატმა თავი უნდა აარიდოს პოლემიკას.

დიპლომატიის ურთიერთობა ბიზნესთან

დიპლომატიასა და ბიზნესს შორის დამოკიდებულება ყოველთვის გამოირჩეოდა დელიკატურობით. ზემოთ აღ-

ვნიშნეთ ვაჭრობისადმი დიპლომატიის ადრეული დამოკიდებულების შესახებ. ამდენად ამაზე აღარ გავამახვილებთ ყურადღებას. ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ თანამედროვე დიპლომატია ყურადღებით ეკიდება ბიზნესს და ცდილობს მასთან მჭიდრო კავშირების დამყარებას. ვაჭრობა, ბიზნესურთიერთობა, ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. თუ წინათ ქვეყნებს შორის ურთიერთობისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა სამხედრო ძალას, მის დემონსტრირებას, დღეს წინა პლანზე გამოდის ეკონომიკა, ეკონომიური სიძლიერე, ერთმანეთთან სავაჭრო კავშირების ჩამოყალიბება, ბიზნეს-ურთიერთობა.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრებამდე დიპლომატია ქედმაღლურად უყურებდა სავაჭრო კავშირებს, საზღვარგარეთის ქვეყნებში სავაჭრო წარმომადგენლობის არსებობას. საელჩოს დიპლომატები, რომლებიც სავაჭრო-ეკონომიკური საკითხებით იყვნენ დაკავებული, მეორეხარისხოვან დიპლომატებად ითვლებოდნენ. მას შემდეგ, რაც ევროპაში დაიწყო ინტეგრაციული პროცესები და შეიქმნა "საერთაშორისო-სავაჭრო დიპლომატია", დიპლომატიამ ინტენსიურად იწყო სავაჭრო-ეკონომიური ფუნქციების შესრულება. პროცესი უაღრესად რთულად მიმდინარეობდა, ვინაიდან გამოჩნდნენ დიპლომატები, რომლებიც კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ სავაჭრო ფუნქციების შესრულებას. მათი აზრით, დიპლომატთა საქმიანობა სახელმწიფო პოლიტიკის და ქვეყნის ინტერესების გამომხატველი უნდა ყოფილიყო და არა ვაჭრობის ფუნქციების შემსრულებელი. ბევრი დიპლომატი დღესაც მიიჩნევს, რომ ვაჭრობა, დიპლომატის საქმე არ არის. მიუხედავად ამისა, თანამედროვე ცხოვრებამ თავისი გაიტანა. დღეს, დიპლომატთა ერთ-ერთი, ზოგ შემთხვევაში უმთავრესი ამოცანაა სავაჭრო-ეკონომიური კავშირების ძიება და მათი გაფართოება. ამის მასტიმულირებელია სხვადასხვა სახის ეკონომიკური კონფერენციები, შეხვედრები და ღონისძიებები. დიპლომატიის, პოლიტიკის და ბიზნესის მჭიდრო თანამშრომლობას ხელს უწყობს ისეთი ფორუმი, როგორიც შვეიცარიის დავოსია. ყოველწლიური სამთრის შეხვედრა ეკონომიკურ-პოლიტიკურ-დიპლომატიური თანამშრომლობის გამოვლინებაა. ის პოპულარობით

სარგებლობს არა მარტო ბიზნესში, არამედ დიპლომატიაშიც. აქვე უნდა აღინიშნოს "დიდი რვიანის" ყოველწლიური სამიტებიც. დასაწყისში, ამა ქვეყნის ძლიერთა ეკონომიური შეხვედრა, ნელ-ნელა გადაიქცა არა მარტო ეკონომიური საკითხების განხილვის არენად, არამედ პოლიტიკურ-დიპლომატიურისაც.

თუ პრეზიდენტები, პრემიერ-მინისტრები, სავაჭრო-ეკონომიური საკითხებით არიან დაკავებული, დიპლომატებიც უნდა შეეგუონ ვითარებას და ისინიც უნდა ჩაერთონ ამ პროცესში, ვინაიდან სწორედ მათგან ელის ხელისუფლება რჩევებსა და რეკომენდაციებს სხვადსხვა ქვეყანასთან სავაჭრო-ეკონომიური კავშირების პერსპექტიულობასთან დაკავშირებით.

საზღვარგარეთის ქვეყნებში აკრედიტებული საელჩოების საშტატო განრიგში დღეს ჩვეულებრივად ითვლება დიპლომატი, რომელიც ხელმძღვანელობს საელჩოს ეკონომიკურ საკითხებს. ამ სფეროში მომუშავე დიპლომატის ამოცანაა საკუთარი ქვეყნის სავაჭრო ინტერესების დაკმაყოფილება, მასპინძელ ქვეყანაში ჩასული საკუთარი ქვეყნის ბიზნესმენებისათვის დახმარების გაწევა, მათთვის საინფორმაციო მასალების მომზადება, ადგილსამყოფელი ქვეყნის ბიზნეს და პოლიტიკურ წრეებთან დაკავშირება. სავაჭრო-ეკონომიკური განხრით მუშაობა საკმაო დროს მოითხოვს. გარდა დიდი სახელმწიფოების საელჩოებისა, სხვა ქვეყნებს უჭირთ თითო-ოროლა დიპლომატით ზღვა საქმის შესრულება. დიდი ქვეყნების საელჩოებში სავაჭრო-ეკონომიური საკითხებით მომუშავე დიპლომატთა რაოდენობა არც თუ მცირეა, მაგრამ მიუხედავად ამისა, დიპლომატიის დახმარებისათვის ქვეყანა სავაჭრო პალატას ხსნის. მაგალითად, დიპლომატთა განტვირთვისათვის გერმანიას, 30-ზე მეტ ქვეყანაში გახსნილი აქვს სავაჭრო პალატა. სხვა სახელმწიფოებმაც მიბაძეს გერმანიას და მათაც აქვთ სავაჭრო პალატები საზღვარგარეთის ქვეყნებში. აღნიშნულ სავაჭრო პალატებს მჭიდრო კავშირები აქვთ საკუთარი ქვეყნის საელჩოებთან. რაც შეეხება საელჩოებში სავაჭრო განხრით მომუშავე დიპლომატებს, მათ მიმართ ბიზნესი არც თუ იშვიათად უკმაყოფილებას გამოხატავს. ბიზნესმენებს არ აკ-

მაყოფილებთ დიპლომატების მიერ შედგენილი საინფორმაციო მასალები, ხარისხი. მათი აზრით, დოკუმენტები ნაკლებად კვალიფიციურია.

სავაჭრო-ეკონომიური კავშირების დამყარებისათვის დიპლომატს სათანადო გამოცდილება და განათლება ესაჭიროება. მასპინძელი ქვეყნის ბიზნესმენებთან ურთიერთობისას დიპლომატს ხელთ უნდა ჰქონდეს საკუთარი ქვეყნის მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ეკონომიკური განვითარების შესახებ ინფორმაცია. მან უნდა იცოდეს საკუთარ ქვეყანაში არსებული კომპანიების შესახებ, უნდათ თუ არა მათ, კავშირების ქონა იმ ქვეყნის ბიზნეს-წრეებთან, სადაც მუშაობს დიპლომატი.

დიპლომატისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ბიზნესმენთან გამართულ პირველ შეხვედრას. ამისათვის ის კარგად უნდა მოემზადოს, ჩამოაყალიბოს გეგმა, თუ რისი მიღწევა სურს. პირველმა საუბარმა ნდობის ატმოსფერო უნდა შექმნას. ბიზნესმენთან საუბარში სიტყვიერ განცხადებას ისეთივე ძალა აქვს, როგორც წერილობითს. "ჩემი სიტყვა – ჩემი ვალდებულებაა", ლონდონის ბირჟის გერბზე ასახული წარწერა კარგად უნდა ახსოვდეს, როგორც დიპლომატს, ისე ბიზნესმენს.

დიპლომატი აღჭურვილი უნდა იყოს საკუთარი ქვეყნის ბიზნეს-კატალოგით, ერთობლიეი საწარმოების ცნობარით, აგრეთვე, მასპინძელი ქვეყნის ანალოგიური მასალით.

დიპლომატმა კარგად უნდა იცოდეს, რომ საქმიან წრეებთან დიალოგი, საუბარი, მოლაპარაკება სპეციფიურია და ახლოს არის "ვაჭრობასთან". ინგლისელი დიპლომატი გ. ნიკოლსონი ამბობდა, რომ "ვაჭრობა პროცესია, რომლის მეშვეობით ორი ან მეტი მონაწილე აღწევს შეთანხმებას. მათ აქვთ განსაზღვრული მიზანი – სარგებლიანი ყიდვა-გაყიდვა, ე.ი. გარკვეული კომპრომისის მიღწევა. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს – კონტაქტს, რომლის დროს ერთი მხარის მოთხოვნა – მისაღები უნდა იყოს მეორე მხარისათვის".

ისე, როგორც დიპლომატიურ საკითხებს, სავაჭროსაც აქვს თავისი სპეციფიკა, რაც საიდუმლოებას უკავშირდება. სავაჭრო ურთიერთობების დროს მთავარია პარტნიორმა

ცოტა რამ იცოდეს იმ შიშის შესახებ, რასაც ერთი მხარე განიცდის მეორის მიმართ. მოლაპარაკების დროს პროფესიული საიდუმლოების შენახვა ჩვეულებრივი მოვლენაა. ეკონომიკური კავშირების დროს მნიშვნელოვანია დაყოვნების, მოთმინების ტაქტიკა. მოუთმენელი, იმპულსური, ცეტი პარტნიორი თავს ავლენს, როგორც ცუდი დიპლომატი და ბიზნესმენი.

ბიზნესმენთან დიპლომატის საუბარი არა მარტო ბიზნესის თვალსაზრისით არის საინტერესო. ბიზნესმენები დამოუკიდებელი პროფესიის ადამიანები არიან და თავისებურ შეფასებას აძლევენ საკუთარი მთავრობის პოლიტიკას. მათ შეუძლიათ გააკრიტიკონ მთავრობის კურსი. ბიზნესმენთა კრიტიკა უფრო საგნობრივია, ვიდრე ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების.

სხვაგვარი ვითარებაა მაშინაც, როდესაც ქვეყნებს შორის იძაბება პოლიტიკური ვითარება. ამ შემთხვევაში ბიზნესმენები უმალ არ იღებენ გადაწყვეტილებას. ისინი მოთმინებით ადევნებენ თვალს მოვლენებს, ფრთხილად წონიან ვითარებას.

ბიზნესმენები ხშირად მონაწილეობენ სახელმწიფოს პირველი პირის ოფიციალურ ვიზიტებში. ვიზიტების დროს დღის წესრიგში არა მარტო პოლიტიკურ-დიპლომატიური საკითხებია, არამედ სავაჭრო-ეკონომიკურიც. მაღალ დონეზე შეხვედრებისას მიღწეული შეთანხმება უფრო სწრაფად იწყებს ნაყოფის მოტანას, ვიდრე ცალკეული ბიზნეს-შეთანხმებები.

დიპლომატთა მეუღლეები

დიპლომატიაში ქალის როლი განსაკუთრებულია. იშვიათობას არ წარმოადგენს ქალი დიპლომატი, ქალი საგარეო საქმეთა მინისტრი. გარდა მაღალი დიპლომატიური თანამდებობისა, ქალები სხვა – ელჩის მეუღლის ამპლუაში, არანაკლებ დიპლომატიურ საქმიანობას ეწევიან. ამერიკელი დიპლომატი უ. მაკომბერი წერდა, რომ არც ერთ პროფესიაში ცოლის როლი ისეთი არ არის, როგორც დიპლომატია-

ში. ცოლები დიპლომატ ქმრებს სასარგებლო დახმარებას უწევენ. საელჩოში ყველაზე გავლენიანი ქალი ელჩის მეუღლეა.

ელჩის მეუღლეზე ბევრადაა დამოკიდებული საელჩოში გამართული წვეულებებისა და ღონისძიებების მომზადება, მათი გაფორმება. სტუმრებზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ელჩის მეუღლის კარგი მასპინძლობა, სტუმართმოყვარეობა, ერუდიცია, გარეგნული იერსახე, ჩაცმულობა და სხვა. ელჩის მეუღლის ქცევა, ერუდიცია, შეცდომები, სხვა თვისებები უმალ ხდება დიპლომატიური კორპუსის განსჯის საგანი. ელჩის მეუღლე უნდა იყოს ტაქტიანი, მან უნდა იცოდეს ადგილსამყოფელი ქვეყნის წეს-ჩვეულებები, გარკვეული უნდა იყოს პოლიტიკაში. ელჩის მეუღლის ფუნქციაა დაეხმაროს ქმარს კავშირების დამყარებაში. ამისათვის კი საჭიროა არა მარტო საკუთარი ქვეყნის ისტორიის, ხელოვნების, კულტურის ცოდნა, არამედ ადგილსამყოფელი ქვეყნის შესახებ გარკვეული ინფორმაციის ცოდნა. მან უნდა იცოდეს ენა.

ინგლისის ფორინ ოფისის განმარტებით დიპლომატთა მეუღლეები ყოველთვის უნდა გამოირჩეოდნენ ჩაცმულობით, კარგი ხასიათით, ტაქტიანობით. ყოველთვის მზად უნდა იყვნენ სტუმრის მისაღებად.

ელჩის მეუღლე აყალიბებს ურთიერთობებს სხვა ქვეყნების ელჩების მეუღლეებთან. ელჩისა და მისი მეუღლის უპირველესი ამოცანაა სტუმრების მასპინძლობის დროს, არც ერთი სტუმარი არ დატოვოს უყურადღებოდ. ყველასთან უნდა მივიდეს და ესაუბროს. ხანმოკლე საუბარი შესაძლებელია ა ლა ფურშეტის დროს, ან სადილისა და ვახშმის დაწყების წინ. დიპლომატსა და მის მეუღლეს უნდა ახსოვდეთ, რომ წვეულება, მათთვის არ არის წვეულება, არამედ სამუშაოა.

როდესაც ქმრები დიპლომატიურ-პოლიტიკური საქმიანობით არიან დაკავებულნი, მეუღლეები ერთმანეთს პატიჟებენ ჩაიზე, თამაშობენ ჩოგბურთს, ესწრებიან სხვადასხვა სახის კულტურულ ღონისძიებებს, სტუმრობენ დიპლომატთა ცოლების კლუბს და სხვა. დიპლომატთა ცოლები აქტიურად არიან ჩართული საქველმოქმედო ღონისძიებებში.

ისინი ადგილსამყოფელი ქვეყნის ხელმოკლე ოჯახებს, ავადმყოფ ბავშვებს, ლტოლვილებს ურიგებენ სხვადასხვა სახის დახმარებას, საჩუქრებს, ტანსაცმელს და სხვა. მსგავსი ქმედება ჯეროვნად ფასდება მასპინძელი ქვეყნის ხელისუფლების მიერ.

დიპლომატიაში იმასაც აქვს ადგილი, როდესაც დიპლომატთა მეუღლეები მოჭარბებული აქტიურობით ჩრდილავენ საკუთარ ქმრებს, რაც არც თუ სახარბიელო შთაბეჭდილებას ახდენს. დიპლომატის მეუღლეს უნდა ახსოვდეს, რომ აქტიურობაშიც გარკვეული დოზის დაცვაა საჭირო. დიპლომატის მეუღლე არ უნდა ერეოდეს საელჩოს მუშაობაში. მას უნდა ახსოვდეს, რომ ასეთი რამ აღიზიანებს საელჩოს თანამშრომლებს.

დიპლომატიაში გახშირდა ელჩისა და სხვა დიპლომატიური თანამშრომლების მეუღლეების საელჩოში დასაქმების მაგალითები. ძირითადად მეუღლეები ასრულებენ ტექნიკურ სამუშაოს. დიპლომატიაში არის შემთხვევები, როდესაც დიპლომატის მეუღლე მუშაობს ადგილსამყოფელი ქვეყნის სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

კავშირები კულტურის, მეცნიერების, განათლებისა და სხვა დარგებში

დიპლომატია დიდ ყურადღებას უთმობს აღნიშნულ დარგებთან კავშირებს. საგარეო უწყებაში არის სამსახური, რომელიც საელჩოში მომუშავე კულტურის ატაშეებთან ერთად, ხელს უწყობს ამ დარგების ურთიერთობას სხვა სახელმწიფოს შესაბამის სამსახურებთან. ამ დარგების მუშაკებთან ურთიერთობა შესანიშნავი წყაროა ქვეყნის ცხოვრებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღებისათვის, ადგილსამყოფელი სახელმწიფოს უკეთ გაგებისათვის. დიპლომატმა უნდა იცოდეს, რომ საზოგადოების ამ ფენასთან მასპინძელი ქვეყნის ხელისუფლების ურთიერთობა სხვაგვარია, გამორჩეულია. მას ხშირად უსმენენ და არც თუ იშვიათად იზიარებენ მის აზრს. დიპლომატის მოხერხებულობაზე ბევრია დამოკიდებული, თუ რამდენად განაწყობს ამ ფენას თა-

ვის და თავისი ქვეყნის სასარგებლოდ. ზოგიერთი ქვეყანა სპეციალურ სამსახურსაც ქმნის უცხოეთის სახელმწიფოებთან მჭიდრო კავშირების ჩამოსაყალიბებლად. მათ შორის აღნიშვნის ღირსია 1934 წელს დაარსებული ბრიტანეთის საბჭო, რომელიც მოქმედებს უცხოეთში და კავშირებს ამყარებს საზოგადოების სხვადასხვა ფენასთან. საბჭო აწყობს ინგლისური ენის შემსწავლელ კურსებს. სტაჟირების ან სწავლისათვის საკუთარ ქვეყანაში იწვევს ადგილსამყოფელი ქვეყნის მოსწავლეებს, სტუდენტებს, მასწავლებლებს და სხვა. ეხმარება საკუთარი ქვეყნის მეცნიერებს მასპინძელი ქვეყნის მეცნიერებთან კავშირის დამყარებაში.

არანაკლებ ყურადღებას უთმობს საფრანგეთი, გერმანია, აშშ განათლების, მეცნიერების, კულტურის დარგის მუშაკებთან საკუთარი ქვეყნის მსგავსი პროფილის ადამიანების კავშირების დამყარება-გაფართოებას. განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი ფრანგული და გერმანული ენების შესწავლის კურსებს. საფრანგეთის საელჩოს ინიციატივით საქართველოში მოქმედებს ფრანგული სკოლა. ასევე წარმატებით მუშაობს გერმანული გოეთეს ცენტრი.

დიპლომატიისთვის უცხო არ არის სხვადასხვა რელიგიურ კონფესიებთან ურთიერთობაც. სულ უფრო აქტიური ხდება მასპინძელი ქვეყნის არასამთავრობო ორგანიზაციებთან კავშირები. გარდა ამისა დიპლომატიას მჭიდრო ურთიერთობა აქვს მასპინძელ ქვეყანაში მცხოვრებ თანამემამულეებთან. საქართველოში ბოლო წლებში შექმნილმა მძიმე ეკონომიკურ-სოციალურმა პირობებმა აიძულეს საქართველოს მოსახლეობის არც თუ უმნიშვნელო ნაწილი, მიეტოვებინათ სამშობლო და სამუშაოს საძიებლად გადასახლებულიყვნენ რუსეთში, თურქეთში, საბერძნეთში, გერმანიაში და სხვა ქვეყნებში. საქართველოდან დროებით წასულები არალეგალურად ცხოვრობენ უცხოეთში. ამჟამად მათი დიდი ნაწილი თავს არიდებს საკუთარ საელჩოში ან საკონსულოში მისვლას და რეგისტრაციის გავლას. თავის არიდების საბაბი – არალეგალური ყოფნაა. მიუხედავად ამისა, საელჩო და საკონსულო უნდა ცდილობდეს მათთან კავშირების ქონას, მათი ინტერესების დაცვას და დახმარების გაწევას.

საზღვარგარეთ საკუთარი მოქალაქეების დასაქმების საკითხი ერთ-ერთი პრიორიტეტული უნდა იყოს, როგორც საგარეო უწყების, ისე სხვა სამინისტროებისთვისაც, რაც შესაძლებლობას მისცემს საქართველოს სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს, ერთი ან ორი წლით, ლეგალურად იმუშაონ იმ განვითარებულ ქვეყნებში, რომლებიც საჭიროებენ მუშახელს. საზღვარგარეთ სამუშაოდ მივლინების მასშტაბებითა და მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, რომელიც წლების განმავლობაში უზრუნველყოფდა მრავალ ქვეყანას იაფი მუშახელით.

გარდა ეკონომიკური მიგრანტებისა, საზღვარგარეთ ცხოვრობენ ის ქართველებიც, რომლებიც ბედის უკუღმართობით, ისტორიული პერიპეტიებიდან გამომდინარე არაერთი საუკუნე იმყოფებიან უცხოეთში. ამ კატეგორიას მიეკუთვნებიან ირანში, კერძოდ, ფერეიდანში, აგრეთვე თურქეთში მცხოვრები ქართველები. აღა მაჰმად ხანის დროს, საქართველოს მორიგი დალაშქვრის შემდეგ, ათეულ-ათასობით ქართველი გაუყენეს სპარსეთის გზას. ისინი ფერეიდანში ჩაასახლეს. ბევრი მათგანი დღესაც იქ ცხოვრობს. ზოგმა შეინარჩუნა ენა, წეს-ჩვეულებები, რაც შეეხება რელიგიას, მათ მუსლიმანობა მიიღეს. აჭარა ოსმალთა მმართველობის ქვეშ 1564 წელს მოექცა. დღეს თურქეთში მცხოვრები ქართველების უმეტესობა, საქართველოს საზღვართან ცხოვრობს. მათ ბევრი ნათესავი ჰყავთ აჭარაში. ირანსა და თურქეთში არსებული საქართველოს საელჩოები მჭიდრო კავშირში არიან აღნიშნულ ფენებთან. ხდება მიზნობრივი შეხვედრები, ისტორიულ სამშობლოში მოწვევა, კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების ორგანიზება და სხვა.

ადგილსამყოფელი ქვეყნის სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებთან დიპლომატის ურთიერთობას დიდი მნიშვნელობა აქვს. ურთიერთობა უნდა ატარებდეს საქმიან ხასიათს. მჭიდრო კავშირების დასამყარებლად არა მარტო საელჩოში მიწვევაა საკმარისი, არამედ პერიოდულად საჭიროა რესტორანში, თეატრში, კონცერტზე დაპატიჟება, რისთვისაც საელჩო დიპლომატს შესაბამის თანხებს უნდა უყოფდეს. დიპლომატიაში მიღებულია წარმომადგენლობითი

ხარჯები. დიპლომატს ხელზე ეძლევა თანხა, რომლის მიზნობრივი გამოყენება მის კეთილსინდისიერებაზეა დამოკიდებული. ასეთ დროს, საელჩოს ბუღალტერიას არ ბარდება რესტორანში გაწეული დანახარჯის ანგარიში.

საკონსულო სამსახური

დიპლომატიის უძველესი სახეობაა საკონსულო სამსახური. თუ ისტორიული კუთხით მივუდგებით დიპლომატიის განხილვას, დავინახავთ, რომ სწორედ საკონსულო საქმიანობა იყო დიპლომატიის ფუძე, დიპლომატიის დასაწყისი.

სახელმწიფოთა შორის დიპლომატიური კავშირების დამყარება გულისხმობს საკონსულო ურთიერთობების დამყარებასაც, მაგრამ დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტა არ გულისხმობს საკონსულო ურთიერთობების შეწყვეტას.

საკონსულოს გახსნისათვის საჭიროა ადგილსამყოფელი ქვეყნის თანხმობა, გარდა ამისა, შეთანხმება, თუ რომელ ქალაქში სურს საკონსულო სამსახურის გახსნა წარმდგენ ქვეყანას. ამასთანავე, განისაზღვრება საკონსულო მოქმედების ზონა, საკონსულოს სახეობა – რა სახის საკონსულოა ნავარაუდევი – გენერალური საკონსულო თუ საკონსულო, ვინ უხელმძღვანელებს მას – გენერალური კონსული, ვიცე-კონსული, კონსული თუ საპატიო კონსული. გარდა აღნიშნულისა, მასპინძელ ქვეყანასთან თავიდანვე ისაზღვრება მოსალოდნელი ცვლილებების შესაძლებლობის შესახებ.

საკონსულო საქმიანობის მოწესრიგების მიზნით, 1963 წელს, ვენაში, მიღებულ იქნა კონვენცია. ჩვენ არ შევუდგებით ვენის კონვენციის პუნქტების განხილვას. ყურადღებას გავამახვილებთ ზოგიერთ საკითხზე.

საკონსულო ურთიერთობების გაწყვეტის დროს საკონსულოს შენობა, ტერიტორია და არქივი მასპინძელი სახელმწიფოს მიერ უყოყმანოდ უნდა იყოს დაცული. გარკვეულ შემთხვევაში წარმდგენ სახელმწიფოს, მასპინძელთან შე-

თანხმებით, შეუძლია მესამე ქვეყანას სთხოვოს საკუთარი საკონსულო ინტერესების დაცვა.

საკონსულო ფუნქციების წარმატებით განხორციელებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საკონსულო მუშაკების პრივილეგიებს, იმუნიტეტს და სხვა საკითხებს, ცხადია აქ საუბარია იმაზე, როდესაც ისინი იმყოფებიან ხანგრძლივ მივლინებაში უცხოეთში. საკონსულო მუშაკების პრივილეგიები და იმუნიტეტი გარანტირებულია ვენის 1963 წლის საკონსულო კონვენციით, მაგრამ მიუხედავად ამისა, უფრო მეტი კონკრეტულობისათვის, ორი სახელმწიფო ერთმანეთთან დებს საკონსულო შეთანხმებას, ხელშეკრულებას.

მიმღები ქვეყნის მიერ წარმდგენი ქვეყნის საკონსულო სამსახურისათვის მიცემული შეღავათები ხელს უწყობს საკონსულოს ნორმალურ ფუნქციონირებას.

საკონსულოს შენობა, ეზო, მთლიანად ტერიტორია ხელშეუხებელია. შესვლა აღნიშნულ ტერიტორიაზე მასპინძელი ქვეყნის სამართალდამცავი ორგანოების ან სხვათა მხრიდან, საკონსულო სამსახურის ხელმძღვანელის თანხმობის გარეშე, შეუძლებელია.

მასპინძელი ქვეყანა ხშირ შემთხვევაში დახმარებას უწევს სტუმარ სახელმწიფოს საკონსულოს შენობის გამოძებნაში. გარდა ამისა საკონსულოს თანამშრომლების მიერ საცხოვრებლის დაქირავებაში. ადგილსამყოფელი ქვეყანა უზრუნველყოფს საკონსულოს თანამშრომლების უსაფრთხო ცხოვრებას. საკონსულოს თანამშრომლების საცხოვრებელი ხელშეუხებელია, ისევე, როგორც სატრანსპორტო საშუალება. საკონსულო არქივები და პირადი მიმოწერა დაცულია განადგურებისაგან. საკონსულოს მუშაკებს ადგილსამყოფელ ქვეყანაში აქვთ თავისუფალი გადაადგილების საშუალება, გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ საიდუმლო ზონები. მასპინძელ ქვეყანას შეუძლია მოითხოვოს საკონსულოს ფოსტის შემოწმება იმ შემთხვევაში თუ მას აქვს ინფორმაცია, რომ ფოსტა შეიცავს ადგილსამყოფელი ქვეყნის კანონით აკრძალულ ნივთს. იმ შემთხვევაში თუ საკონსულო წინააღმდეგია ტვირთის შემოწმების, ის გაუხსნელად დაუბრუნდება გამომგზავნს.

საკონსულოს აქვს უფლება, შენობაზე აღმართოს საკუთარი ქვეყნის დროშა, მიამაგროს გერბი. დროშა შეიძლება აღიმართოს კონსულის რეზიდენციაზეც და ასევე ავტომანქანაზე, როდესაც კონსული მგზავრობს სამსახურებრივი საქმიანობის შესასრულებლად.

საკონსულოს შენობა, ტერიტორია და კონსულის რეზიდენცია გათავისუფლებულია ადგილსამყოფელი ქვეყნის ყოველგვარი გადასახადისაგან, გარდა კომუნალურისა. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული შენობები იჯარით არის აღებული გადასახადს იხდის მეპატრონე, კომუნალურს კი საკონსულო. საკონსულო სამსახურის სპეციფიკიდან გამომდინარე, საკონსულო იღებს გადასახადს სხვადასხვა სახის საკონსულო მომსახურებისათვის, მათ შორის საკუთარ ქვეყანაში გასამგზავრებელი ვიზების გაცემისათვის. აღნიშნული საქმიანობისათვის საკონსულო გადასახადები არ ექვემდებარება ადგილსამყოფელი ქვეყნის გადასახადს, ბეგარას.

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, საკონსულო სამსახური დიპლომატიის გამორჩეული დარგია. საკონსულო დაწესებულების მუშაობა თავიდან ბოლომდე გამიზნულია საკუთარი ქვეყნის მოქალაქეების ინტერესების დაცვისათვის მასპინძელ ქვეყანაში, მათთვის სხვადასხვა სახის საკონსულო მომსახურების გაწევისათვის, ადგილსამყოფელი ქვეყნის მოქალაქეებისათვის საკუთარი ქვეყნის ვიზების გაცემაში ხელისშეწყობისათვის, მასპინძელ ქვეყანაში პოლიციის, სამართალდამცავი ორგანოების მიერ დაკავებული საკუთარი ქვეყნის მოქალაქისათვის სხვადასხვა სახის დახმარების აღმოჩენისათვის და სხვა. იმ შემთხვევაში, როდესაც საკონსულო სამსახური განთავსებულია საელჩოს შენობაში, მას ცალკე შესასვლელი აქვს და ის გამოცალკევებულია საელჩოს სხვა სამსახურებისაგან. საკონსულო დაწესებულებაში მიმსვლელთა ყოველდღიური რაოდენობა თავისთავად საჭიროებს განსაკუთრებულ რეგულირებას, რისთვისაც საკონსულოს ავტონომიურობა აუცილებლობას წარმოადგენს.

საკონსულო დაწესებულება იმითაც გამოირჩევა საელჩოსაგან, რომ ერთ ქვეყანაში შეიძლება იყოს ორი და მეტი საკონსულო, ხოლო საელჩო – ერთი. საკონსულო სამსახურების შექმნა ადგილსამყოფელი ქვეყნის სხვადასხვა ქალა-

ქებში, ძირითადად გამოწვეულია საკუთარი ქვეყნის მოქალაქეთა მჭიდრო დასახლებით, საპორტო ინტენსიური კავშირებით და სხვა ფაქტორებით.

საკუთარი მოქალაქის დაპატიმრების შემთხვევაში ადგილსამყოფელი ქვეყანა უსრულველყოფს წარმდგენი ქვეყნის საკონსულო მუშაკის მიერ პატიმრის შეუფერხებელ მონახულებას. პატიმარს უფლება აქვს მოითხოვოს კონსულთან დაკავშირება, უფრო მეტიც – ადგილსამყოფელი ქვეყანა ვალდებულია დაკავებულს განუმარტოს, რომ მას უფლება აქვს დაუკავშირდეს საკუთარ საკონსულოს. იმ შემთხვევაში, როდესაც კონსული ან საკონსულოს მუშაკი გაიგებს თავის საკონსულო ოლქში ანუ იმ ტერიტორიაზე, რომელზეც საკონსულოს მოქმედების არეალი ვრცელდება, საკუთარი მოქალაქის დაკავების ამბავს, უმალ უნდა დაუკავშირდეს ადგილობრივ ხელისუფლებას და გაარკვიოს დაკავების მიზეზი, კანონიერება და სხვა დეტალები.

ორიოდე სიტყვით საელჩოს გარეთ არსებული საკონსულო სამსახურების სამოქმედო ზონის შესახებ. საკონსულო სამსახური, რომელიც საელჩოში მოქმედებს და რომელიც საელჩოს სამსახურის შემადგენელი ნაწილია, თავის საქმიანობას ავრცელებს მასპინძელი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, ანუ ის იცავს საკუთარი ქვეყნის მოქალაქეთა ინტერესებს, როგორც მასპინძელი ქვეყნის დედაქალაქში, ისე ნებისმიერ სხვა ქალაქში ან კუთხეში, გამონაკლისს წარმოადგენს სხვა ქალაქში არსებული საკუთარი ქვეყნის საკონსულო დაწესებულების მოქმედების ზონა. ასეთ შემთხვევაში საკუთარი ქვეყნის მოქალაქის ინტერესს ის საკონსულო დაწესებულება იცავს, რომლის ტერიტორიაზეც დააკავეს საკუთარი ქვეყნის მოქალაქე. სხვა ქალაქში არსებული საკონსულო დაწესებულება არამარტო ქალაქს ფარავს, არამედ მის სიახლოვეს არსებულ ტერიტორიასაც. იმ შემთხვევაში, თუ ავტოსატრანსპორტო ავარიის შედეგად ან სხვა მიზეზით გარდაიცვალა საკონსულო დაწესებულების ქვეყნის მოქალაქე, ადგილობრივი ხელისუფლება ვალდებულია სასწრაფოდ შეატყობინოს ინციდენტის და მისი გამომწვევი მიზეზის შესახებ საკონსულო დაწესებულებას.

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს საკონსულო დაწესებულების მუშაკს აქვს უფლება მიმართოს ადგილობრივ კომპეტენტურ ორგანოებს, განსაკუთრებულ შემთხვევაში, ცენტრალურ ხელისუფლებას.

პრივილეგიებისა და იმუნიტეტის შესახებ

ვენის 1963 წლის საკონსულო კონვენციის მიხედვით საკონსულო დაწესებულების მუშაკებს გარანტირებული აქვთ პრივილეგიები და იმუნიტეტი, რომლებიც მათზე მხოლოდ მაშინ ვრცელდება, როდესაც ისინი იმყოფებიან ადგილსამყოფელ ქვეყანაში, ან სამსახურებრივ მივლინებაში არიან მესამე სახელმწიფოში. აღნიშნული პრივილეგიები და იმუნიტეტი ისეთივეა, როგორც დიპლომატების, თუმცა მისი საზღვრები არც ისეთი ფართოა, როგორც დიპლომატიური მისიის მუშაკების.

საკონსულო დაწესებულების შტატიანი ან დაქირავებული მუშაკი არ ექვემდებარება ადგილობრივი სასამართლო თუ ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას საკონსულო ფუნქციების განხორციელების დროს. იმუნიტეტის მოხსნა შეუძლია საკუთარ მთავრობას, თუ ის ამას ჩათვლის მისანშეწონილად.

თუ საკონსულოს მუშაკის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, ის უნდა წარდგეს კომპეტენტური ორგანოების წინაშე. მას შეიძლება მიესაჯოს კიდევაც, თუკი ჩათვლიან დამნაშავედ. მხოლოდ მძიმე დანაშაულის შემთხვევაში შეიძლება დაკავებული იქნას საკონსულოს მუშაკი. სხვა შემთხვევაში სასამართლოს გადაწყვეტილებამდე ის თავისუფალია.

საკონსულო დაწესებულების არც ერთი მუშაკი არ არის ვალდებული მისცეს მოწმის ჩვენება სამსახურთან დაკავშირებით ან გამოძიებას გადასცეს სამსახურებრივი კორესპონდენცია ან დოკუმენტები. გარკვეულ შემთხვევაში, საკონსულოს მუშაკი, როდესაც მას ეს პირდაპირ არ ეხება, მოწმის სახით შეიძლება მიწვეულ იქნას სასამართლოში. ხშირად, მსგავს შემთხვევაში, საკონსულოს მუშაკები აკმა-

ყოფილებენ ადგილობრივი სამართალდამცავი ორგანოების თხოვნას, მაგრამ თუ არ დააკმაყოფილეს, -მათზე არ განხორციელდება რაიმე იძულებითი ქმედება. აღნიშნული, არ ეხება საკონსულოს იმ დაქირავებულ მუშახელს, რომელიც ადგილობრივი მოქალაქეა.

სოციალური უზრუნველყოფის საკითხები

საკონსულო დაწესებულების მუშაკები, მათ შორის დაქირავებული ადგილობრივი მოქალაქეები და მათი ოჯახის წევრები, რომლებიც მასთან ერთად ცხოვრობენ, თავისუფლდებიან მასპინძელი ქვეყნის მოქმედი სოციალური უზრუნველყოფის მოთხოვნებისაგან, რომლებიც უკავშირდება მათ სამსახურეობრივ საქმიანობას. მიუხედავად ამისა, საკუთარი სურვილის მიხედვით, მათ შეუძლიათ ჩაერთონ ადგილობრივ სოცუზრუნველყოფის პროგრამებში.

საკონსულოს მუშაკები, მათ შორის დაქირავებულიც, და მათი ოჯახის წევრები, რომლებიც მათთან ერთად ცხოვრობენ, იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ ეწევიან კერძო საქმიანობას, რომლიდანაც მათ აქვთ შემოსავალი ადგილსამყოფელი ქვეყნის ტერიტორიაზე, გათავისუფლებულნი არიან სახელმწიფო და ადგილობრივი ყველა გადასახადისაგან, გარდა:

- ირიბი გადასახადისაგან, რომელიც შედის საქონლის ღირებულებასა და მომსახურებაში.
- მოსაკრებლისა და გადასახადისაგან კერძო საკუთრებისათვის ადგილსამყოფელი ქვეყნის ტერიტორიაზე (აქ არ იგულისხმება საკონსულო შენობა, ტერიტორია, კონსულის რეზიდენცია)
- გადასახადებისა და მოსაკრებლებისაგან, რომლებიც უკავშირდება მემკვიდრეობის საკითხებს.
- მოსაკრებლებისა და გადასახადებისაგან, რომლებიც უკავშირდება პირად შემოსავლებს, მათ შორის კაპიტალიდან, რომელიც შემოდის ადგილსამყოფელი ქვეყნიდან, აგრეთვე ადგილობრივ სავაჭრო-საფინანსო დაწესებულებებში ინვესტიციების გადასახადებისაგან.

- დამატებითი გადასახადებისაგან (კომუნალური)

საკონსულოს მომსახურე პერსონალი გათავისუფლებულია ხელფასზე მოსაკრებლისა და გადასახადისაგან.

საკონსულოს მუშაკები გათავისუფლებულნი არიან ყველა საბაჟო გადასახადისაგან. გადასახადისაგან თავისუფლდება – სამსახურებრივი სარგებლობის საგნები, აგრეთვე წარმდგენი ქვეყნის საკონსულო მუშაკებისა და მათი ოჯახის წევრების პირადი მოხმარების საგნები. (მისაღები რაოდენობით)

საპატიო საკონსულო დაწესებულებები

საპატიო კონსულები სარგებლობენ ზოგიერთი იმუნიტეტითა და პრივილეგიებით, რომლებითაც უსრუნველყოფილი არიან საკონსულო დაწესებულების შტატიანი თანამშრომლები, მათ შორის კონსულისათვის ყველა აუცილებელი პრივილეგიებითა და იმუნიტეტით საკონსულო ფუნქციების შესრულების დროს.

საპატიო კონსულს უფლება აქვს აღმართოს წარმდგენი ქვეყნის დროშა საპატიო საკონსულოს შენობაზე, საკუთარ რეზიდენციაზე, ავტომანქანაზე (სამსახურებრივი საქმის განხორციელების დროს) აგრეთვე, მიამაგროს გერბი საპატიო საკონსულო შენობას.

საპატიო საკონსულოს თანამშრომლებს უფლება აქვთ მასპინძელი ქვეყნის ტერიტორიაზე თავისუფალი გადაადგილების, გარდა აკრძალული ზონებისა.

საპატიო საკონსულოს მუშაკებს გარანტირებული აქვთ თავისუფალი ურთიერთობის უფლება.

საპატიო საკონსულოს უფლება აქვს ყოველგვარი ადგილობრივი გადასახადის გარეშე მიიღოს საკონსულო საქმიანობისათვის მოსაკრებლები ან საკონსულო გადასახადები.

საპატიო საკონსულო სხვა საკონსულოსაგან შედარებით ნაკლებად დაცულია მის შენობაში შეჭრისაგან.

საპატიო საკონსულო გათავისუფლებულია ყოველგვარი ადგილობრივი გადასახადისაგან, რაც უკავშირდება საპა-

ტიო საკონსულის უძრავ ქონებას, რომლის დამქირავებელი ან მეპატრონე არის საპატიო კონსულის წარმდგენი მხარე, გარდა კომუნალური გადასახადებისა.

საპატიო საკონსულოს არქივი, დოკუმენტები, ექვემდებარება ხელშეუხებლობას იმ შემთხვევაში, თუ ისინი ცალკეა სხვა დოკუმენტებისაგან და საპატიო კონსულის ან მისი თანამშრომლების პირადი მიმოწერისაგან.

საპატიო საკონსულო თავისუფლდება საბაჟო გადასახადისაგან იმ ნივთებზე, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება საპატიო საკონსულო საქმიანობას და გამოგზავნილია წარმდგენი ქვეყნიდან: დროშა, გერბი, ბეჭდვითი წარწერა, წიგნები, ბეჭდვითი მასალა, საოფისე ავეჯი და ინვენტარი, და სხვა.

საკონსულო მუშაკების უფლებები

საკონსულო დაწესებულების მუშაკებს უფლება აქვთ შეხვდნენ დაკავებულ საკუთარი ქვეყნის მოქალაქეს.

საკონსულო დაწესებულებას უფლება აქვს მიიღოს ინფორმაცია ადგილობრივი ხელისუფლებისგან, როდესაც საქმე ეხება საგზაო, საჰაერო, საზღვაო ინციდენტებს საკუთარი ქვეყნის სამგზავრო საშუალებებთან დაკავშირებით. საკონსულო დაწესებულებას უფლება აქვს, მიმართოს ადგილობრივ ხელისუფლებას ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე, სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელების დროს.

საპატიო საკონსულოს თანამშრომლები სარგებლობენ დაახლოებით იგივე შეღავათებითა და იმუნიტეტით, როგორც შტატიანი საკონსულოს თანამშრომლები, თუმცა საპატიო საკონსულოს თანამშრომლებისთვის იმუნიტეტისა და შეღავათების მინიჭებაზე, ქვეყნის ხელისუფლებამ, რომელიც ხსნის საპატიო საკონსულოს, შეუძლია მსგავსი რამ მათზე არ გაავრცელოს.

შეღავათებით, პრივილეგიებითა და იმუნიტეტით საკონსულოს მუშაკი უზრუნველყოფილია დღიდან მასპინძელ

ქვეყანაში ჩასვლისა და გარანტირებულია აღნიშნულით ღღიდან ქვეყნიდან გამგზავრებისა.

მიმღები ქვეყანა საკონსულოს მუშაკის დაკავებისთანავე ვალდებულია ამის შესახებ შეატყობინოს კონსულს ან დიპლომატიურ წარმომადგენლობას.

საპატიო საკონსულოს მუშაკი გათავისუფლებულია სასამართლოში ჩვენების მიცემისაგან, აგრეთვე საკონსულო საქმიანობასთან დაკავშირებით დოკუმენტაციის სასამართლოში წარდგენისაგან. მას შეუძლია უარი განაცხადოს ჩვენების მიცემაზე, როგორც მთავარი მოწმე იმ საბაბით, რომ ეს ეწინააღმდეგება იმ ქვეყნის კანონებს, რომელსაც ის წარმოადგენს.

იმ შემთხვევაში თუ საპატიო საკონსულოს თანამშრომლის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, ის უნდა წარსდგეს კომპეტენტური ორგანოების წინაშე. ამასთანავე ადგილობრივი კომპეტენტური ორგანოები ვალდებული არიან მოექცნენ მას პატივისცემით, გამომდინარე მისი თანამდებობიდან. საქმის გამოძიება-განხილვა სწრაფად უნდა მოხდეს.

საპატიო საკონსულოს მუშაკი გათავისუფლებულია მასპინძელი ქვეყნის ყოველგვარი მოსაკრებლის ან გადასახადისაგან წარმდგენი ქვეყნის მიერ მისთვის მიცემულ ხელფასზე ან ფულად პრემიაზე.

ის ასევე გათავისუფლებულია მასპინძელი ქვეყნის ყველა პირადი ან საზოგადოებრივი ვალდებულებისაგან და სამხედრო კონტრიბუციისაგან.

საპატიო კონსულისათვის ან საპატიო საკონსულოს მუშაკებისათვის გათვალისწინებული შეღავათები, იმუნიტეტი და პრივილეგიები არ ვრცელდება მისი ოჯახის წევრებზე.

საკონსულო სამსახური დიპლომატიის არა მარტო გამორჩეული დარგია, არამედ ურთულესიც. დიპლომატები ხშირად ამბობენ, რომ კარგი დიპლომატისაგან იოლი არ არის კარგ საკონსულო მუშაკად გადაქცევა, მაგრამ კარგი საკონსულო მუშაკი, უდავოდ გახდება კარგი დიპლომატი. დიპლომატიაში ნაკლებად მოიძებნება საკითხი, რომელიც არ ეხება საკონსულო სამსახურს.

როგორც დასაწყისში იყო აღნიშნული, საკონსულო წარმომადგენლობა გაცილებით ადრე ჩამოყალიბდა, ვიდრე მუდმივმოქმედი ელჩების ინსტიტუტი. ძველ საბერძნეთში, ქალაქებს შორის ურთიერთობა რეგულირდებოდა პროქსენის დახმარებით. პროქსენი იყო ერთი ქალაქის (პოლისის) მოქალაქე, რომელიც ეხმარებოდა მეორე ქალაქის მოქალაქეს, ქალაქის ხელისუფლებასთან ურთიერთობაში. პროქსენი თავის თავზე იღებდა მასთან ჩასული მეორე ქალაქის მცხოვრებთა მომსახურების საკითხებს. ხელს უწყობდა ერთი ქალაქის ხელმძღვანელობის მეორესთან დიპლომატიურ მოლაპარაკებას.

საკონსულო წარმომადგენლობა პოპულარული მე-12-13 საუკუნეებში გახდა, რაც განპირობებული იყო ქვეყნებს შორის ურთიერთობის გაფართოებით, ვაჭრობისა და ზღვაოსნობის განვითარებით.

სიტყვა "კონსული" ლათინურია და ნიშნავს "საბჭოს კაცს".

ისტორიულად, კონსულებს ხშირად უხდებოდათ ადგილობრივ ხელისუფლებასთან მოლაპარაკების წარმოება, ისინი ასრულებდნენ დიპლომატიურ ფუნქციებსაც.

ვაჭრობის განვითარებასთან ერთად განვითარდა საკონსულო ფუნქციებიც. კონსულების ხელში აღმოჩნდა საკუთარი თანამოქალაქეების სამოქალაქო და სისხლის სამართლის იურისდიქცია. მუდმივი დიპლომატიური წარმომადგენლობის გაჩენამდე, კონსულები იყვნენ სახელმწიფოს დიპლომატიური წარმომადგენლები სხვა სახელმწიფოში. ისინი სარგებლობდნენ პრივილეგიებითა და იმუნიტეტით, რაც გამოიხატებოდა შემდეგით: ხელშეუხებლობა, სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებიდან თავის დაზღვევა, ადგილობრივი გადასახადებისაგან განთავისუფლება.

მუდმივმოქმედი საელჩოების გაჩენის შემდეგ საკონსულო ინსტიტუტის წარმომადგენლობითი ფუნქციები მკვეთრად შემცირდა.

ზემოთ აღინიშნა, რომ დიპლომატიაში ცნობილია შტატიანი ანუ პროფესიონალი კონსულები და უშტატო ანუ საპატიო კონსულები.

შტატიანი კონსულები

არიან პირები, რომლებიც იმყოფებიან სახელმწიფო სამსახურში, არიან მოცემული სახელმწიფოს მოქალაქეები და ხელფასს იღებენ სახელმწიფოსაგან. კონსულებს ეკრძალებათ სხვა საქმის წარმოება, მათ შორის კერძო ბიზნესის.

უშტატო კონსულები

არიან პირები, რომლებიც არ არიან სახელმწიფო სამსახურში, მაგრამ სახელმწიფოს დავალებით ასრულებენ საკონსულო ფუნქციებს. როგორც წესი, საპატიო კონსულად ინიშნება ადგილსამყოფელი ქვეყნის მოქალაქე, აგრეთვე წარმდგენი ქვეყნის ის მოქალაქე, რომელიც ცხოვრობს სხვა ქვეყანაში. საპატიო კონსულად შეიძლება იყოს მესამე ქვეყნის მოქალაქე. საპატიო კონსულად ინიშნებიან ცნობილი ბიზნესმენები, ყოფილი სახელმწიფო მოღვაწეები, ყოფილი დიპლომატები.

როგორც წესი, საპატიო კონსულები წარმდგენი ქვეყნის ხელფასს არ იღებენ. მათი შემოსავალი არის საკონსულო შემოსავლები და მოსაკრებელი გაწეული საკონსულო დახმარებისათვის. თანხის გადახდა ხდება წარმდგენი ქვეყნის მიერ შემუშავებული ტარიფებიდან გამომდინარე.

საპატიო საკონსულოში შესული თანხის გარკვეული ნაწილი იგზავნება წარმდგენი ქვეყნის ბიუჯეტში. საპატიო კონსული საკუთარი შეხედულებისამებრ განკარგავს საკონსულო საქმიანობის დროს გაწეული მუშაობის ასანაზღაურებლად მიღებულ თანხებს ანუ ფაქტიურ დანახარჯს. შტატიანი კონსულისგან განსხვავებით უშტატო ანუ საპატიო კონსულს შეუძლია აწარმოოს ვაჭრობა, ჰქონდეს ბიზნესი და სხვა.

უშტატო კონსული ემორჩილება წარმდგენი სახელწიფოს საკონსულო დაწესებულებას თუკი ასეთი არსებობს იმ ქალაქში, სადაც მოქმედებს საკონსულო.

უშტატო კონსულის დანიშვნის საკითხი თანხმდება ადგილობრივ ხელისუფლებასთან.

საკონსულო დაწესებულების გახსნა

საკონსულო დაწესებულების გახსნა ეფუძნება ორ ქვეყანას შორის ხელმოწერილ ხელშეკრულებას და თანაფარდობას. საკონსულო დაწესებულება ცალმხრივად, მასპინძელთან შეუთანხმებლად არ იხსნება. ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ მხარეებს ეძლევათ საკონსულოს გახსნის შესაძლებლობა. ხელშეკრულებაში აღინიშნება, რომელ ქალაქში იხსნება საკონსულო და რა ტერიტორიაზე ვრცელდება მისი უფლებები. ამ ტერიტორიას "საკონსულო ოლქი" ჰქვია. იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა საკონსულო ოლქის საზღვრების გაზრდა, აუცილებელია აღნიშნულის შეთანხმება ადგილსამყოფელ ქვეყანასთან. შეთანხმების დროს, მოქმედების არეალის გაზრდასთან ერთად შესაძლებელია დაისვას ვიცე-საკონსულოს გახსნის საკითხიც. ვიცე-საკონსულო ემორჩილება ძირითად საკონსულო დაწესებულებას.

პრაქტიკაში მიღებულია, როდესაც კონსული თავის ფუნქციებს ახორციელებს საკუთარი საკონსულო ოლქის საზღვრებს გარეთ. ეს იმ შემთხვევაში ხდება, როდესაც ადგილი აქვს საზღვაო ან საჰაერო კატასტროფას, მემკვიდრეობის საკითხებს, საკუთარი ქვეყნის მოქალაქის სიკვდილს ან დაპატიმრებას. ყოველ ასეთ შემთხვევაში აუცილებელია ადგილობრივი ხელისუფლების თანხმობა. ასეთი ქმედების შესახებ ვენის 1963 წლის საკონსულო კონვენციაშიც არის აღნიშნული.

პატენტი

კონსულის დანიშვნასთან ერთად კონსულის სახელზე გაიცემა პატენტი. ამ დოკუმენტით მტკიცდება პირის საკონსულო დაწესებულების ხელმძღვანელად დანიშვნის ფაქტი. პატენტი დიპლომატიური არხებით გადაეცემა ადგილობრივ ხელისუფლებას. პატენტში აღნიშნულია კონსულის სახელი, გვარი, მოქალაქეობა, დიპლომატიური რანგი, საკონსულო ოლქი და საკონსულო დაწესებულების ადგილმდებარეობა.

საკონსულო პატენტი გაიცემა წარმდგენი სახელმწიფოს საგარეო უწყების მიერ. დანიშნული კონსული მაშინ შეუდგება თავის საქმიანობას, როდესაც ადგილსამყოფელი ქვეყანა პატენტის საპასუხოდ გასცემს თავის თანხმობას-ეგზეკვატურას. ეგზეკვატურა იწერება ცალკე ქაღალდზე ან პატენტზე კეთდება შესაბამისი წარწერა. ხშირად ადგილსამყოფელი ქვეყანა, ადგილობრივ გაზეთში გამოქვეყნებით, ადასტურებს თავის სურვილს კონსულის მიღებასთან დაკავშირებით.

საკონსულო პატენტი და ეგზეკვატურა ინახება კონსულთან.

დუაიენი და „უხუცესი" კონსული

ქვეყნის დედაქალაქში აკრედიტებული დიპლომატიური წარმომადგენლობის თანამშრომლების ნაკრებს, მათი ოჯახის წევრებს მთლიანობაში, დიპლომატიური კორპუსი ჰქვია. უცხო ქვეყნების დიპლომატიური წარმომადგენლობები ერთობლივი ღონისძიების (პროტესტი, მილოცვა) განხორციელებისათვის ირჩევს უხუცესს ანუ იმ ქვეყნის ელჩს, რომელმაც სხვებთან -შედარებით ყველაზე ადრე გადასცა რწმუნებათა სიგელი ადგილსამყოფელი ქვეყნის მეთაურს. სიტყვა "უხუცესი" მხოლოდ ამ თვალსაზრისით გამოიყენება და არა ელჩის ასაკიდან გამომდინარე.

მსგავსი "უხუცესი" არსებობს საკონსულო სამსახურშიც. უხუცეს კონსულად ის ითვლება, ვინც ამა თუ იმ ქვეყნის ქალაქში, სხვა კონსულებთან შედარებით, ყველაზე ადრე შეუდგა მუშაობას.

კონსულს ადგილსამყოფელი სახელმწიფოს საგარეო უწყება აძლევს პიროვნების დამადასტურებელ დოკუმენტს, რომელშიც აღნიშნულია, რომ ის სარგებლობს პრივილეგიებით და იმუნიტეტით.

ისე, როგორც დიპლომატიაში, საკონსულო სამსახურში არის საკონსულო კორპუსის ცნება. საკონსულო კორპუსში მოიაზრება ქალაქში არსებული საკონსულო დაწესებულებების მუშაკები და მათი ოჯახის წევრები. საკონსულო

კორპუსში საპატიო კონსულიც და საპატიო საკონსულოს მუშაკებიც შედიან. "უხუცესი კონსული" ძირითადად ასრულებს ცერემონიალურ ფუნქციას, წარმოადგენს საკონსულო კორპუსს ადგილობრივ ღონისძიებებში, ახლადჩასულ კონსულს აცნობს ადგილობრივ ტრადიციებს, წეს-ჩვეულებებს, იცავს საკონსულოს წევრების უფლებებს. დიპკორპუსისგან განსხვავებით, მასპინძელ ქვეყანაში შეიძლება იყოს რამდენიმე საკონსულო კორპუსი.

კონსულთა კატეგორიები

ვენის 1963 წლის კონვენცია საკონსულო დაწესებულებათა მეთაურს ოთხ კლასად ყოფს: გენერალურ კონსულებად, კონსულებად, ვიცე-კონსულებად და საკონსულოს აგენტებად.

გენერალური საკონსულო იხსნება ადგილსამყოფელი ქვეყნის მნიშვნელოვან ქალაქში, რომელსაც ინტენსიური კავშირები აქვს წარმდგენ ქვეყანასთან. შედარებით ნაკლები მნიშვნელობის ქალაქში იხსნება საკონსულო. ვიცე-საკონსულო იხსნება საკონსულო ზონაში და მისი ძირითადი მიზანია საკონსულოს მუშაობაში ხელის შეწყობა. ვიცე-საკონსულის ხელმძღვანელობს საკონსულოს ერთ-ერთი მუშაკი. ვიცე-საკონსულო, საკონსულოს ექვემდებარება. საკონსულოს სააგენტოები ჩვეულებრივი კანცელარიებია, რომლებიც საპორტო ქალაქებში იხსნება. მათ კომპეტენციაშია ეკგრობისა და ნაოსნობის საკითხები. სააგენტოს თანამშრომელს ნიშნავს კონსული, რომელიც ფარავს იმ ქალაქს ან რეგიონს, სადაც გახსნილია საკონსულო სააგენტო.

საკონსულო ფუნქციების შესრულება დიპლომატიური წარმომადგენლობის მიერ

იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილსამყოფელ ქვეყანაში არ არის წარმდგენი ქვეყნის მრავალრიცხოვანი დიასპორა

და არც ინტენსიური კავშირები არსებობს საპორტო ქალაქებთან მიმართებაში, საკონსულო ფუნქციებს ახორციელებს საელჩოში არსებული საკონსულო სამსახური. ამ შემთხვევაში საკონსულო იმ შენობაშია განთავსებული, სადაც საელჩო. საელჩო მიმართავს ადგილსამყოფელი სახელმწიფოს საგარეო უწყებას საკონსულო ფუნქციების შესრულებისთვის თანხმობის გაცემის თაობაზე.

დიპლომატიური კორპუსი

სიტყვა "დიპლომატიური კორპუსი", როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, არის ადგილსამყოფელ ქვეყანაში აკრედიტებული უცხოეთის დიპლომატიური წარმომადგენლობათა თანამშრომლების და მათი ოჯახის წევრების ნაერთი. დიპლომატიურ კორპუსს პოლიტიკური ორგანიზაციის სტატუსი არა აქვს. მას არც იურიდიული ძალა აქვს და არ შეუძლია გამოვიდეს, როგორც პოლიტიკური ძალა. დიპლომატიური კორპუსი არ ერევა ადგილსამყოფელი ქვეყნის საშინაო საქმეებში. ის ძირითადად ასრულებს პროტოკოლის და ცერემონიალის საკითხებს. კორპუსს სათავეში "უხუცესი ელჩი" – დუაიენი უდგას. ასეთად შეიძლება იყოს იმ ქვეყნის ელჩი, რომელმაც სხვა ელჩებთან შედარებით ყველაზე ადრე დაიწყო მუშაობა მასპინძელ ქვეყანაში. დუაიენად შეიძლება იყოს ელჩი ან ნუნციო. ზოგიერთ ქვეყანაში დუაიენად შეიძლება იყოს მხოლოდ ნუნციო, მიუხედავად იმისა თუ როდის შეუდგა ის თავის დიპლომატიურ საქმიანობას მასპინძელ ქვეყანაში. ასეთს ადგილი აქვს იმ ქვეყნებში, სადაც ძლიერია კათოლიკური ეკლესია.

დუაიენი საპატიო მოვალეობაა. დუაიენის მიერ მისი კოლეგა ელჩებისადმი გაცემული განკარგულება არ ექვემდებარება აუცილებელ შესრულებას. საერთო პოზიციების შესამუშავებლად, დუაიენს შეუძლია თავის კოლეგებთან საკონსულტაციო შეხვედრების მოწყობა. დუაიენი იწვევს თავის კოლეგას სადილზე ან ვახშამზე ადგილსამყოფელი ქვეყნიდან გამგზავრების წინ. ანალოგიურ წვეულებას აწყობს ქვეყანაში ახლად ჩასულ ელჩთან მიმართებაში. ელჩის

ქვეყნიდან გამგზავრების აღსანიშნავ წვეულებაზე დუაიენი დიპკორპუსის სახელით გადასცემს მას საჩუქარს. საჩუქრის შესაძენ თანხას გაიღებენ ელჩები.

დიპკორპუსის სახელით დუაიენი სიტყვით გამოდის ადგილსამყოფელი ქვეყნის სხვადასხვა სახის ღონისძიებებზე. ოფიციალური პირის გარდაცვალების დროს გამოხატავს სამძიმარს.

დუაიენი დანარჩენ კოლეგებთან შედარებით კარგად უნდა იყოს გათვითცნობიერებული მასპინძელი ქვეყნის წესჩვეულებებში, პროტოკოლურ პრაქტიკაში. აქედან გამომდინარე, ის სასარგებლო რჩევებს აძლევს ახლადჩასულ ელჩს თუ ვისთან და როდის უნდა განახორციელოს ახალმა ელჩმა პროტოკოლით გათვალისწინებული ვიზიტები.

ადგილსამყოფელი ქვეყნის საგარეო უწყება პერიოდულად გამოსცემს ქვეყანაში აკრედიტებული საელჩოების ცნობარს, სადაც აღნიშნულია საელჩოში მომუშავე დიპლომატთა სახელები და გვარები, დიპლომატიური თანამდებობები, რანგები, წარმომადგენლობების მისამართები, ტელეფონის ნომრები. ცნობარში აღნიშნულია ვაკანტური თანამდებობებიც. ცნობარში აღნიშნულია საელჩოს ქვეყნის ეროვნული დღესასწაულებიც. ცნობარი ანბანის მიხედვით არის დალაგებული. ცნობარი ეგზავნებათ დიპლომატიურ წარმომადგენლობებს.

დუაიენს მეორე სახელიც აქვს – დიპლომატიური კორპუსის დინი, Dean of Diplomatic Corps.

დიპკორპუსის დუაიენობა ელჩს საშუალებას აძლევს, იყოს უფრო პრიორიტეტულ მდგომარეობაში კოლეგა დიპლომატებთან შედარებით. მას უფრო მეტი შესაძლებლობა აქვს, შეხვდეს მასპინძელი ქვეყნის ხელისუფლების წარმომადგენლებს.

სიტყვები – დიპლომატიური კორპუსი და დუაიენი არ არის ნახსენები ვენის 1961 წლის კონვენციაში, ვინაიდან არ წარმოადგენს საერთაშორისო სამართალზე დაფუძნებულ ინსტიტუტს.

მოკლედ დიპლომატთა ერთმანეთთან ურთიერთობის შესახებ

დიპლომატების ერთმანეთთან ურთიერთობის საკითხები ყოველთვის იყო და არის ადგილსამყოფელი ქვეყნის გამოცანის საგანი. ეს ურთიერთობა განსხვავდება დიპკორპუსთან ადგილსამყოფელი ქვეყნის ურთიერთობისგან. დიპლომატები საუბრის დროს ერთმანეთს კარგად უგებენ. ისინი არიან დელიკატურები, ყურადღებიანები და ამაევეს მოითხოვენ მოსაუბრისგან. პროფესიას მათ'ზე დიდი გავლენა აქვს. ფრთხილი ფრაზები, კეთილგანწყობილი ღიმილი, მათი დამახასიათებელია.

ადგილსამყოფელ ქვეყანაში მუშაობის დროს ყველა ქვეყნის დიპლომატიური წარმომადგენლობა ფლობს გარკვეულ ინფორმაციას ადგილსამყოფელ ქვეყანა'ზე, თუმცა ერთს უკეთესი ინფორმაცია შეიძლება ჰქონდეს, ვიდრე მეორეს. დიპკორპუსში ინფორმაციის გაცვლა უცხო არ არის. შედარებით მეტი ინფორმაციის მფლობელია ის დიპლომატი, ვინც დიდი ხნით მუშაობს მასპინძელ ქვეყანაში. ინფორმაციის მიღებისათვის, დიპლომატიაში მიღებული წესია, ერთმანეთის ლანჩზე, სადილზე ან ვახშამ'ზე დაპატიჟება. დიპლომატიაში იმასაც აქვს ადგილი, როდესაც მესამე ქვეყანასთან დაკავშირებით, ინფორმაციის გაცვლისათვის, ერთმანეთს ხვდებიან დიპლომატები. დიპლომატის მიერ მეორე დიპლომატისადმი მიწოდებული ინფორმაცია ფასადაუდებელია მაშინ, როდესაც დიპლომატიურ წარმომადგნელობასა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის დაძაბული ურთიერთობებია. ასეთ დროს მასპინძელი სახელისუფლებო წრეების შესახებ ინფორმაცია ძნელი მოსაპოვებელია.

დიპლომატები დაკავშირებული არიან ინფორმაციის მოპოვების საერთო მიზნებით. ისინი ერთი სოციალური ფენის წარმომადგენლები არიან, დამთავრებული აქვთ პრესტიჟული სასწავლებლები, უხდებათ მუშაობა ერთ და იმავე რეგიონში, ჰყავთ საერთო მეგობრები დიპლომატიური ფენიდან, მათ საერთო პრობლემები აქვთ. ისინი სამუშაოდ, ადგილსამყოფელ ქვეყანას თვით არ ირჩევენ, როგორც წესი, დიპლომატს საკუთარი ხელისუფლება ურჩევს ხანგრძლივი

მიკლინების ადგილს. უმრავლესობას აქვს პრობლემები შვილების განათლების მიღების საკითხში, ვინაიდან მათ ხშირად ისეთ ქვეყნებში უხდებათ მუშაობა, სადაც განათლების საკითხები ცუდად არის ორგანიზებული. გარდა ამისა, ქვეყნის ცვლა ცუდად მოქმედებს შვილების განათლებაზე.

დიპლომატიური საზოგადოება თავისი დაუწერელი კანონებით მოქმედებს. მას საკუთარი ეტიკეტი აქვს, რომელიც განსხვავდება სამოქალაქოსაგან იმით, რომ არის დახვეწილი, მკაცრი, ერთი შეხედვით ხელოვნური. ამ კანონების დარღვევა უკმაყოფილებას იწვევს დიპკორპუსში.

დიპლომატთა ერთმანეთში საუბარი განსხვავდება დიპლომატთა საუბრისაგან სხვა პროფესიის ადამიანებთან. დიპლომატთა საუბრისას ორივემ იცის რაზე ლაპარაკობს და რა სურთ ერთმანეთისაგან. მათ გაცილებით უადვილდებათ ერთმანეთთან საუბარი, ვიდრე სხვასთან.

გარდა იმისა, რომ დიპლომატთა შორის ბევრი საერთოა, განსხვავებაც არის. ისინი წარმოადგენენ სხვადასხვა ქვეყანას შესაბამისი ადათ-წესებითა და ტრადიციებით, მიზნებითა და პოლიტიკური მრწამსით. აღნიშნულის გათვალისწინება აუცილებელია დიპლომატთა დიალოგის დროს.

დიპლომატიური რანგები
უფროს-უმცროსობა დიპლომატიურ კორპუსში

დიპლომატიაში არსებობს უფროს-უმცროსობის ოთხი გრადაცია, რომელიც ექვემდებარება წარმომადგენლობათა ხელმძღვანელების დიპლომატიურ რანგებს.

დიპლომატიურ წარმომადგენლობას მეთაურობს ელჩი, ნუნციო, საგანგებო დესპანი, ინტერნუნციო, საქმეთა მუდმივი ან დროებითი რწმუნებული. თუ რომელი მათგანი უხელმძღვანელებს საელჩოს, განისაზღვრება წარმდგენი ქვეყნის ხელისუფლების მიერ. დიპლომატიური წარმომადგენლობის დონე განისაზღვრება, მასპინძელ ქვეყანაში გახსნასთან ერთად. არის შემთხვევები, როდესაც წარმომადგენლობა იხსნება დესპანის ან მუდმივი რწმუნებულის და არა ელჩის

ლონეზე, რაც თავისთავად მეტყველებს წარმდგენი ქვეყნის დაბალ ინტერესზე მეორე ქვეყნის მიმართ.

იმ შემთხვევაში, როდესაც დიპლომატიური მისიების ხელმძღვანელებს ერთი და იგივე რანგი აქვთ, მაშინ ადგილსამყოფელ ქვეყანაში პირველობა იმ ელჩს ეკუთვნის, ვინც ადრე დაიწყო მუშაობა, ანუ რწმუნების სიგელი ადრე გადასცა ქვეყნის მეთაურს.

თუ ერთდროულად მოხდა რწმუნების სიგელის გადაცემა, პირველობა განისაზღვრება ქვეყნის სახელიდან გამომდინარე, ფრანგული ანბანის მიხედვით.

ბოლო დროს ხშირად აქვს ადგილი, როდესაც მასპინძელი ქვეყნის პირველი პირი ახალი ელჩების რწმუნებათა სიგელის ჩაბარებას ერთ დღეს ნიშნავს. ერთდორულად, რამდენიმე ქვეყნის ელჩის რწმუნებათა სიგელის ჩაბარება გამოწვეულია სახელმწიფოს მეთაურის სამუშაო განრიგის გადატვირთულობით. ცხადია, გაცილებით საპატიოა, როდესაც დიპლომატი მარტო გადასცემს რწმუნებათა სიგელს. ამ შემთხვევაში ხაზგასმულია მასპინძელი ქვეყნის თბილი დამოკიდებულება წარმდგენი ქვეყნისადმი. ზოგ ქვეყანაში ელჩებს შორის პრიორიტეტულობის საკითხი იოლად წყდება, ვინაიდან ვატიკანის წარმომადგენელს, წინ აყენებენ, ვიდრე ნებისმიერი ქვეყნის ელჩს.

თვით საელჩოში უფროს-უმცროსობა განისაზღვრება მინიჭებული რანგების მიხედვით. მაგალითად:

საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი

სრულუფლებიანი დესპანი

მრჩეველი (უფროსი მრჩეველი, მრჩეველი, უმცროსი მრჩეველი)

სამხედრო ატაშე

პირველი მდივანი

მეორე მდივანი

მესამე მდივანი

ატაშე

ატაშე ყველაზე დაბალი დიპლომატიური რანგია. საელჩოში არსებობს სხვადასხვა სახის ატაშეები. მაგალითად: კულტურის, პრესის, სოფლის მეურნეობის და სხვა, მაგრამ ყველა მათგანი გაცილებით დაბლა დგას სამხედრო ატა-

შესთან შედარებით. სამხედრო ატაშე პირველ მდივანზე მაღლაა. ელჩი ვალდებულია თავისი საელჩოს დიპლომატიურ თანამშრომელთა სია წარუდგინოს მასპინძელი ქვეყნის საგარეო უწყებას, რომელიც ღონისძიებების დროს ითვალისწინებს მიწვეულ დიპლომატთა უფროს-უმცროსობას.

ადგილსამყოფელ ქვეყანაში გამართული წვეულების დროს ადგილი აქვს შემდეგ პროტოკოლურ უმცროს-უფროსობას:

ვატიკანის ნუნციო
საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი
დესპანი
საქმეთა რწმუნებული
მრჩეველი
პირველი მდივანი
მეორე მდივანი
მესამე მდივანი
ატაშე

დიპლომატიური რანგი არის სამსახურებრივი წოდება. დიპლომატიური რანგის მინიჭება სტიმულს აძლევს დიპლომატს პროფესიონალურ ზრდაში. რანგი დიპლომატის გამოცდილების გამომხატველია. რანგი იძლევა ფინანსურ შეღავათებსაც ანუ ხელფასსე დანამატს.

უმაღლესი დიპლომატიური რანგი – საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, მიენიჭება სამუდამოდ. მას ანიჭებს ქვეყნის პირველი პირი. მაღალი და დაბალი რანგის მოქმედება წყდება მაშინ, როდესაც დიპლომატი ტოვებს დიპლომატიურ სამსახურს. რანგის აღდგენა ხდება დიპლომატიურ სამსახურში დაბრუნებისთანავე. შუა საუკუნეებში არ არსებობდა საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის სახელწოდება. იყო მხოლოდ ელჩი. საგანგებო გაჩნდა მაშინ, როდესაც ერთი სახელმწიფო მეორეში აგზავნიდა საგანგებო ელჩს, სასწრაფო დავალების შესასრულებლად. საგანგებო ელჩი იმ ქვეყანაშიც იგზავნებოდა, სადაც არსებობდა მუდმივმოქმედი ელჩი, რაც იწვევდა გარკვეულ დაპირისპირებასა და გაუგებრობას. გართულების თავიდან აცილების მიზნით, ვენის 1815 წლის რეგლამენტში დიპლომატიური სამსახურის შესახებ, შევიდა საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის

სახელწოდება. იქიდან მოყოლებული, მასპინძელ ქვეყანაში აკრედიტებული ელჩი ატარებს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის წოდებას.

სავიზიტო ბარათი

სავიზიტო ბარათი ფართოდ გამოიყენება თანამედროვე ცხოვრებაში, მაგრამ მას დიპლომატიაში განსაკუთრებული დატვირთვა აქვს. სავიზიტო ბარათი აიოლებს საქმეს. მისი მეშვეობით შესაძლებელია დაუსწრებლად გაცნობაც. სავიზიტო ბარათით შეიძლება ეროვნული დღესასწაულის, დაბადების დღის, სხვა მნიშვნელოვანი თარიღების მილოცვა. სავიზიტო ბარათი იგზავნება მადლობის გამოსახატავად. სავიზიტო ბარათს თან ურთავენ საჩუქარს, ყვავილების თაიგულს. სავიზიტო ბარათს, რომელსაც მარცხენა ქვედა კუთხეში ხელით მიწერილი აქვს ლათინური ასოები, სხვა დატვირთვა აქვს.

P.F მილოცვა (pour feliciter)

P.r მადლობის გადახდა (pour remercier)

P.c სამძიმრის გამოთქმა (pour condoleance)

P.F.N.A ახალი წლის მილოცვა (pour feliciter Nouvee An)

P.P დაუსწრებლად გაცნობა (pour presenter)

PPC გამოთხოვება გამგზავრების წინ, თუ პირისპირ გამოთხოვება არ ხერხდება (pour prendre conde)

თუ სავიზიტო ბარათს პატრონი თავად ტოვებს, მაშინ გადაიკეცება ბარათის მარჯვენა მხარე მთლიანად. ზოგ ქვეყანაში ბარათის მარჯვენა, ან მარცხენა კუთხე. ეტიკეტის დარღვევად ითვლება, როდესაც გადაკეცილ ბარათს შიკრიკის ან მძღოლის ხელით აგზავნიან. გაგზავნა მხოლოდ გადაუკეცავი ბარათის შეიძლება.

სავიზიტო ბარათ'ზე პასუხი, სავი'ზიტო ბარათით გაიცემა.

სავიზიტო ბარათი იბეჭდება კარგი ხარისხის მაგარ ქაღალდზე.

მისი ზომაა 100X60 მმ.

ქალის სავიზიტო ბარათი ოდნავ მცირე ზომისაა 80X40 მმ.

დიპლომატს რამდენიმე სახის სავიზიტო ბარათი აქვს:

ოფიციალური ბარათი, რომელზეც აღნიშნულია გვარი, სახელი, რანგი, მისამართი.

დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელს შეიძლება ჰქონდეს ორი სავიზიტო ბარათი. ერთზე აღნიშნულია, სახელი, გვარი და თანამდებობა, მეორეზე გარდა ამისა მისამართი და ტელეფონის ნომერი.

სავიზიტო ბარათი აქვს ელჩის მეუღლესაც. მასზე აღნიშნულია გვარი და სახელი. არის მეორე ბარათიც, რომელზეც ელჩის და მისი მეუღლის გვარები და მისამართია მითითებული.

სავიზიტო ბარათის მეორე მხარე ცარიელია და გამოიყენება მოკლე წერილისათვის.

არსებობს ისეთი სავიზიტო ბარათებიც, რომლებიც ორივე მხარეზეა დაბეჭდილი, მშობლიურ და უცხო ენაზე.

სავიზიტო ბარათის გაგზავნისათვის სპეციალური კონვერტია საჭირო, რომელიც ოდნავ დიდია სავიზიტო ბარათზე.

დიპლომატიაში მიღებულია თეთრი ფერის ბარათი. ხშირად სავიზიტო ბარათი ფერად ქაღალდზე იბეჭდება, მაგრამ სხვა ფერის ბარათის ტარება დიპლომატისთვის არ არის რეკომენდებული.

დიპლომატის მოქალაქეობის შესახებ

დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელი და დიპლომატიური თანამშრომლები წარმდგენი ქვეყნის მოქალაქეები უნდა იყვნენ. დიპლომატს მეუღლედ სხვა ქვეყნის მოქალაქე შეიძლება ჰყავდეს. ეს არ ეხება ზოგ არაბულ ქვეყანას, სადაც დიპლომატს არ აქვს უცხოელი მეუღლის ყოლის უფლება. ზოგ ქვეყანაში დიპლომატის მიერ უცხოელზე დაქორწინებისათვის საჭიროა სახელმწიფოს პირველი პირის თანხმობა. ასეთის მიღება მხოლოდ იმ შემთხვე-

ვაში შეიძლება, თუ მეუღლე არ შეუქმნის პრობლემას დიპ-
ლომატის ქვეყანას ან დიპლომატის კარიერას.

დიპლომატიურ წარმომადგენლობაში, გარდა დიპლომა-
ტებისა, მუშაობენ ადგილსამყოფელი ქვეყნის მოქალაქეები.
ისინი ასრულებენ ტექნიკურ საქმეს. გამონაკლის შემთხვე-
ვაში, მასპინძელ ქვეყანაში არსებულ სხვა ქვეყნის დიპლო-
მატიურ წარმომადგენლობაში, დიპლომატიურ თანამდებობა-
ზე, შეიძლება მუშაობდეს ადგილობრივი დიპლომატი. ასეთ
დროს, წარმდგენმა ქვეყანამ უნდა მიმართოს ადგილსამყო-
ფელ ქვეყანას ნებართვისათვის. საკითხის დადებითად გა-
დაწყვეტის შემთხვევაში, მასპინძელი ქვეყნის დიპლომატი
არ იქნება უზრუნველყოფილი ისეთივე პრივილეგიებითა და
იმუნიტეტით, როგორც წარმდგენის.

მიუხედავად აღნიშნულისა არაერთხელ ჰქონია ადგილი
მაღალ დიპლომატიურ თანამდებობაზე, სხვა ქვეყნის მოქა-
ლაქის მუშაობას. ამ მხრივ არც საქართველოა გამონაკლი-
სი, რომლის დიპლომატიურ სამსახურს სათავეში ედგა ქარ-
თული წარმოშობის საფრანგეთის მოქალაქე.

ახალგაზრდა, დამოუკიდებელი ქვეყნები, რომლებსაც
დიპლომატიურ საქმიანობაში ნაკლები გამოცდილება აქვთ,
არცთუ იშვიათად სარგებლობენ უცხოელი სპეციალისტე-
ბის დახმარებით, თუმცა მათი მუშაობა მეტი ნეგატიურო-
ბით გამოირჩევა, ვიდრე პოზიტიურობით.

დიპლომატისთვის, გარდა უცხო ენების ცოდნისა, აუ-
ცილებელია საკუთარი ენის კარგი ცოდნაც, ვინაიდან სა-
ერთაშორისო დოკუმენტაცია, გარდა მესამე ენისა, რომელ-
საც გაუგებრობის შემთხვევაში ტექსტის ნამდვილობის გან-
მსაზღვრელი ფუნქცია აქვს, მშობლიურ ენაზე დგება. საკუ-
თარი ენის დაბალ დონეზე ცოდნამ ან უცოდინრობამ, სე-
რიოზული გაუგებრობა შეიძლება გამოიწვიოს. საგარეო
უწყების ხელმძღვანელი სახელმწიფო მნიშვნელობის დოკუ-
მენტზე ხელის მოწერამდე, თვით უნდა კითხულობდეს
ტექსტს. სხვა ქვეყნის მოქალაქისათვის არც თუ იოლია
ენის კვალიფიციურ დონეზე ცოდნა.

საქართველოს სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულე-
ბაში, არაერთი უცხო ქვეყნის მოქალაქე მუშაობს, თუმცა

მათთვის, ქართული ენის არცოდნა ქვეყნის მენტალიტეტის გაგების სერიოზული ბარიერია.

რამდენიმე ქვეყანაში ელჩობა

დიპლომატიაში მიღებულია, როდესაც ერთ ქვეყანაში აკრედიტებული ელჩი სხვა ქვეყანაშიც ასრულებს ელჩის მოვალეობას. ასეთ შემთხვევაში ელჩს რეზიდენცია აქვს ერთ ქვეყანაში, ხოლო მეორე ქვეყანაში, მას ჰყავს წარმომადგენელი – ძირითადი დიპლომატიური მისიის დიპლომატი. ელჩი პერიოდულად ჩადის "დამატებით" ქვეყანაში და მართავს ოფიციალურ შეხვედრებს ადგილობრივ ხელისუფლებასთან. ელჩს შეიძლება სულაც არ ჰყავდეს თავისი წარმომადგენელი "დამატებით" ქვეყანაში.

საქართველოს დიპლომატიურ ცხოვრებაში უცხო არ არის შეთავსებით ელჩობა, მაგალითად, აშშ-ი საქართველს ელჩი, იმავდროულად არის საქართველოს ელჩი კანადასა და მექსიკაში. ეგვიპტეში მყოფი ელჩი იმავდროულად არის სირიაში საქართველოს ელჩი. კანადის ელჩი საქართველოში ძირითადად არის კანადის ელჩი თურქეთში. ის პერიოდულად ჩამოდის საქართველოში, საგარეო უწყების ხელმძღვანელებთან შესახვედრად.

ელჩის მიერ რამდენიმე ქვეყანაში ელჩობა, ძირითადად განპირობებულია წარმდგენი ქვეყნის ნაკლები ინტერესით მეორის მიმართ. იგულისხმება, როგორც პოლიტიკური ისე ეკონომიკური კავშირები, ამასთანავე საკუთარი სახელმწიფოს ბიუჯეტის დაზოგვა. კანადა ეკონომიურად განვითარებული ქვეყანაა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ის თავს იკავებს საქართველოში საელჩოს გახსნისაგან. ანალოგიურია იაპონიის მიდგომაც. მსოფლიოში ეკონომიური სიძლიერით მეორე ადგილზე მყოფი იაპონია (მისი განმარტებით) სახსრების უქონლობის გამო ვერ ხსნის საელჩოს თბილისში.

ძირითად ქვეყნებში მყოფი ელჩი, ნაკლებ ყურადღებას აქცევს მის მიერ "შეთავსებულ" ქვეყნებს. ასეთი დამოკიდებულება აღიზიანებს "შეთავსებულსაც".

ქვეყნის დე ფაქტოდ და დე იურედ აღიარება სულაც არ იწვევს საელჩოს გახსნის აუცილებლობას. ცხადია დიპლომატიური აღიარების დამაგვირგვინებელია საელჩოს გახსნა, მაგრამ თუ ამას არ აქვს ადგილი, ქვეყნებს შორის ურთიერთობის გაუარესება არ მოხდება. დიპლომატიური წარმომადგენლობის გახსნა დაკავშირებულია ქვეყნის ეკონომიკურ-პოლიტიკურ ინტერესებთან ან ქვეყანაში არსებული წარმდგენი ქვეყნის მოქალაქეთა დიდი დიასპორის არსებობასთან. არის სხვა პოლიტიკური მოტივებიც, მაგრამ როგორც წესი, უცხოეთში არ იხსნება საელჩო, მხოლოდ გახსნისათვის.

საქართველოში ჯერაც არ არის საელჩოს გახსნის წესი, გეგმა, დასაბუთება, თუ რა მიზნისათვის, იხსნება საელჩო. საელჩოს გახსნა უნდა უკავშირდებოდეს ობიექტურ და არა სუბიექტურ მოსაზრებას. ქვეყნის პირველი პირის ეოლუნტარისტული, სუბიექტური შეხედულებიდან გამომდინარე საქართველოს საელჩო ისეთ ქვეყნებშიც გაიხსნა, სადაც ამის არავითარი აუცილებლობა არ არსებობს. ეს საელჩოები არაფრით არ არიან დაკავებული, არც საგარეო უწყებაა მოწოდებული იმისთვის, რომ ყურადღება მიაქციოს მათ, მისცეს შესაბამისი დავალება და სხვა. სახელმწიფოს მეთაურის ზედაპირული გადაწყვეტილება ძვირად უჯდება საქართველოს ბიუჯეტს.

დიპლომატიაში არაერთი მაგალითია ე.წ. "მფრინავი ელჩების". ამ შემთხვევაში პირი ინიშნება ელჩად ერთ ან ორ ქვეყენაში, მაგრამ მას არც ერთში არ აქვს რეზიდეცია. ელჩი ტერიტორიულად საკუთარ საგარეო უწყებაშია და ეპიზოდურად ჩადის მასპინძელ ქვეყნებში.

დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტა

ქვეყნებს შორის დაძაბული პოლიტიკური ურთიერთობის შემთხვევაში ადგილი აქვს დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტას. დიპლომატიური ურთიერთობა მაშინაც წყდება, როდესაც ქვეყანა წყვეტს თავის არსებობას. გასული საუკუნის 80-იან წლებში გერმანიის დემოკრატიულმა

რესპუბლიკამ შეწყვიტა არსებობა და შეუერთდა დასავლეთ გერმანიას. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში არსებულმა უცხო ქვეყნების საელჩოებმა შეწყვიტეს ფუნქციონირება.

გარდა აღნიშნული შემთხვევებისა, დიპლომატიაში ადგილი აქვს, წარმდგენი მხარის მიერ ელჩის საკონსულტაციოდ გამოძახებას. კონსულტაციების პერიოდი შეიძლება მალე დასრულდეს. ის დამოკიდებულია ორ ქვეყანას შორის დაძაბული ურთიერთობის განეიტრალებაზე, რის შემდეგ ელჩი ბრუნდება მასპინძელ ქვეყანაში. ქართული დიპლომატიისათვის არც ეს დიპლომატიური ნაბიჯია უცხო. 2007 წელს, რუსეთის პოზიციით გაგულისებულმა საქართველს პრეზიდენტმა, უმალ გამოიძახა საქართველოს ელჩი რუსეთში, კონსულტაციებისათვის. ანალოგიურს ჰქონდა ადგილი რუსეთის ფედერაციის მხრიდან, რუსეთის საელჩოს მიმართ განხორციელებული სისტემატური გამოხტომების შედეგად. რუსეთის ხელისუფლებამ დროებით გაიწვია არა მარტო ელჩი, არამედ დიპლომატიური მისიის მრავალი თანამშრომელი, თავიანთი ოჯახებით.

დიპლომატიური მისიის მოქმედების შეწყვეტა მასპინძელ ქვეყანას არ აძლევს არავითარ უფლებას, შეიჭრას საელჩოს ან საკონსულოს ტერიტორიაზე, დაარბიოს ან გაანადგუროს შენობა ან დიპლომატიური არქივი. მასპინძელი ქვეყანა თვალისჩინივით უნდა გაუფრთხილდეს უპატრონოდ დარჩენილ შენობას.

ირანის რევოლუციის დროს ადგილი ჰქონდა ირანში აშშ-ს საელჩოში შეჭრას, რაც გამოწვეული იყო შაჰის რეჟიმთან ვაშინგტონის მჭიდრო თანამშრომლობით. რევოლუციონერები საელჩოს თანამშრომლებს ადანაშაულებდნენ ირანის წინააღმდეგ ჯაშუშობაში, სხვა ნეგატიურ ქმედებებში. აშშ-ა გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა ირანის ისლამურ რესპუბლიკასთან და დღემდე ვაშინგტონსა და თეირანს შორის არ არსებობს საელჩოთა დონეზე დიპლომატიური ურთიერთობები.

დიპლომატიური მისიის მოქმედების შეწყვეტის შემთხვევაში, წარმდგენ ქვეყანას შეუძლია სთხოვოს სხვა ქვეყანას, რათა მისმა დიპლომატიურმა წარმომადგენლობამ

დაიცვას მასპინძელ ქვეყანაში მისი ინტერესები. ეს საკითხი წინასწარ უნდა შეთანხმდეს ადგილსამყოფელი ქვეყნის ხელისუფლებასთან.

პუნქტუალობა

დიპლომატიაში პუნქტუალობას დიდი მნიშვნელობა აქვს. დათქმულ ადგილზე და დროზე ზუსტად მისვლა პატივისცემის მიმანიშნებელია. სამწუხაროდ, დიპლომატიაშიც აქვს ადგილი დაგვიანებას, რაც არათუ გარკვეულ დისკომფორტს უქმნის მეორე მხარეს, არამედ სერიოზულ გაელვენას ახდენს მის განწყობაზე. მოლოდინით გამოწვეულმა ვნებათაღელვამ იმდენად შეიძლება ააფორიაქოს პარტნიორი, რომ გაუჭირდეს შეხვედრისათვის საჭირო ატმოსფეროში თავის ჩაყენება. სიზუსტე განსაკუთრებით დასაცველია წვეულებაზე მისვლის დროს. სადილი, ვახშამი ან ლანჩი სუფრასთან სხდომას ნიშნავს. სუფრაზე ყველა ადგილი წინასწარ არის გათვლილი. გათვლილია ისიც, თუ ვინ სად უნდა იჯდეს. ასეთ შემთხვევაში წვეულებაზე დაგვიანება ან საერთოდ არ მისვლა, მასპინძლების უპატივცემულობაზე მეტყველებს და არამარტო მათ, არამედ მაგიდასთან სტუმრის მარცხნივ ან მარჯვნივ მჯდომ სხვა სტუმრებისაც, ვინაიდან ცარიელი სკამი თავისთავად მეტყველებს უტაქტობაზე.

პუნქტუალობაა საჭირო სამსახურში მისვლისას, დავალების შესრულებისას, სპექტაკლებსა და სხვა სახის ღონისძიებებზე დასწრებისას.

დიპლომატიური ენა

დიპლომატი თავისი სამუშაო დროის დიდ ნაწილს სამუშაო მაგიდასთან ატარებს. დიდი დრო ეთმობა წერილობითი დოკუმენტაციის შედგენას, დაშიფრული დეპეშების ცენტში გაგზავნას, სხვადასხვა სახის მიმოწერას. დიპლომატიური ტერმინოლოგია განსხვავდება სხვა პროფესიათა

ტერმინოლოგიისაგან. დიპლომატიური ენისათვის დამახასიათებელია ფაქტების ზუსტი აღწერა, ღრმა ანალიზი, ლაკონიურობა. დიპლომატის მთავარი იარაღია სიტყვა. თუ ძველ საბერძნეთში დიპლომატისათვის ზეპირსიტყვაობა იყო მთავარი, დღეს მას წერაც ემატება. თანამედროვე დიპლომატიაში ფეხი მოიკიდა კომპიუტერმა და ინტერნეტმა, თუმცა საიდუმლო საქმე ტრადიციული დიპლომატიური გზით კეთდება და არა ინტერნეტით.

დიპლომატის ხასიათი

დიპლომატისათვის არანაკლები მნიშვნელობა აქვს ხასიათს. დიპლომატმა ყველაფერი უნდა იღონოს იმისათვის, რომ დიპლომატიურ სამსახურს მიუსადაგოს საკუთარი ხასიათი. ეს არც თუ იოლი საქმეა, მაგრამ არჩეული პროფესია მოითხოვს ამას. დიპლომატი არ უნდა იყოს პირქუში, მიუკარებელი, ცივი, ცეტი ან მოუთმენელი. მას უნდა ჰქონდეს მოთმინებით მოსმენის უნარი. დიპლომატიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თავშეკავებას და საკუთარი თავის ფლობას. დიპლომატისათვის მიუღებელი უნდა იყოს საკუთარი თავისა და მიღწევების განდიდება. დიპლომატთა ტრაბახი იწვევს ირგვლივ მყოფთა გაღიზიანებას. დიპლომატი ყველა საქმეში ზომიერებით უნდა გამოირჩეოდეს. ხშირად, ყურადღების მიქცევის მიზნით, ადამინებს ახასიათებთ ზომაზე ხმამაღალი ლაპარაკი, რაც დიპლომატიაში ცუდ ტონად ითვლება. ხმამაღალი საუბარი, მით უმეტეს, ხმამაღალი სიცილი, კარგად არ ახასიათებს დიპლომატს.

შეთავსებით საერთაშორისო ორგანიზაციაში აკრედიტაცია

დიპლომატიაში უცხო არ არის ერთი ელჩის ორ და მეტ ქვეყანაში აკრედიტაცია, მაგრამ გარდა ამისა, ერთ ქვეყანაში მომუშავე ელჩი იმავდროულად შეიძლება იყოს საერთაშორისო ორგანიზაციაში აკრედიტებული. ასეთ შემ-

თხვევაში არ არის აუცილებელი ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ინფორმირება. მასპინძელს ამასთან დაკავშირებით არ შეუძლია რაიმე სახის საყვედურის გამოთქმა.

რამდენიმე ქვეყნის ინტერესის გამოხატვა

პრაქტიკაც ჩვეულებრივად ითვლება დიპლომატიაში. რამდენიმე ქვეყანა ასახელებს ერთ-ერთი ქვეყნის დიპლომატს წარმომადგენლად სხვა ქვეყანაში. ასეთ შემთხვევაში წარმდგენ ქვეყნად არა ერთი, არამედ რამდენიმეა. მრავალი ქვეყნის ელჩი იცავს იმ ქვეყნების ინტერესებს, რომლებსაც ის წარმოადგენს ადგილსამყოფელ ქვეყანაში.

დიპლომატიური მისიის განთავსების საკითხი

არასდროს იწვევდა დიპლომატიაში გაუგებრობას. ყველა ქვეყანა ცდილობს, გახსნას საელჩო ან ნებისმიერი დიპლომატიური წარმომადგენლობა იმ ქალაქში, სადაც ხელისუფლება მუშაობს. ადგილსამყოფელი ქვეყნების უმრავლესობაში სახელისუფლო სტრუქტურები ქვეყნის დედაქალაქშია განთავსებული. აქედან გამომდინარე საზღვარგარეთის დიპლომატიური მისიები სწორედ დედაქალაქში ყუძნდება. ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, ნიდერლანდებში, დიპლომატიურ ქალაქად ჰააგა ითვლება, მაშინ, როდესაც დედაქალაქი ამსტერდამია.

დიპლომატიური წარმომადგენლობის საშტატო რაოდენობა

დიპლომატიური წარმომადგენლობის საშტატო რაოდენობა წარმდგენი ქვეყნის გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული. ხშირ შემთხვევაში წარმდგენი და მიმღები მხარეები, პარიტეტული პრინციპიდან გამომდინარე, წინასწარ თანხმდებიან მათი დიპლომატიური მისიების თანამშრომელთა რაოდენობაზე. თუ ასეთ შეთანხმებას არ აქვს ადგილი, გა-

დაწყვეტილების მიღება წარმდგენი მხარის პრეროგატივაა, თუმცა მან მხედველობაში უნდა მიიღოს ის, რომ საკუთარი წარმომადგენლობის რაოდენობა არ უნდა აჭარბებდეს მასპინძელი ქვეყნის წარმომადგენლობას თავის ქვეყანაში. გარდა ამისა, წარმომადგენლობის საშტატო რაოდენობა პირდაპირ კავშირშია ქვეყნის ფინანსურ მდგომარეობასთან და ბიუჯეტთან. ამდენად, მომჭირნე ქვეყნები ცდილობენ, შეზღუდული რაოდენობის დიპლომატები იყოლიონ ადგილსამყოფელ სახელმწიფოში.

საგარეო საქმეთა სამინისტროს შესახებ

საზღვარგარეთის ქვეყნებში არსებულ წარმდგენი ქვეყნის დიპლომატიურ მისიებს ხელმძღვანელობს წარმდგენი ქვეყნის საგარეო უწყება, ხოლო თვით უწყებას საგარეო საქმეთა მინისტრი, აშშ-ი, სახელმწიფო მდივანი, დიდ ბრიტანეთში- საგარეო და თანამეგობრობის საკითხების სახელმწიფო მდივანი. საგარეო საქმეთა მინისტრის ვალდებულებაა საკუთარი ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსის გატარება და საგარეო საკითხების მართვა. თავის ფუნქციებს მინისტრი ახორციელებს სამინისტროს თანამშრომლებისა და საზღვარგარეთ აკრედიტებული საკუთარი ქვეყნის დიპლომატიური მისიების დახმარებით. გარდა ამისა მას მუშაობაში ეხმარება, ცხადია არა პირდაპირ, არამედ ირიბად – საკუთარ ქვეყანაში აკრედიტებული საზღვარგარეთის ქვეყნების დიპლომატიური მისიები.

საგარეო საქმეთა სამინისტროების სტრუქტურა დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. ის იყოფა ორ ნაწილად: ტერიტორიულ დეპარტამენტებად და ფუნქციურ სამსახურებად. ტერიტორიული დეპარტამენტები, თვით დასახელებიდან გამომდინარე, ის სამსახურებია, რომლებიც იხილავენ რამდენიმე ქვეყნის საგარეო ურთიერთობას, ტერიტორიული პრინციპიდან გამომდინარე. მაგალითად: ევროპის დეპარტამენტი იხილავს ევროპის სახელმწიფოებთან ურთიერთობას, ევროპის ქვეყნებში საკუთარი დიპლომატიური წარმომადგენლობების და საკუთარ ქვეყანაში არსებული ევროპის

ქვეყნების დიპლომატიური წარმომადგენლობების მეშვეობით. ხშირად ევროპის ქვეყნებს ჰყოფენ ზონებად და მათ არა ერთი, არამედ რამდენიმე დეპარტამენტი კურირებს.

ფუნქციონალური სამსახურების ჩამონათვალში შედიან: საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის, იურიდიულ-სამართლებრივი, საოქმო, სავაჭრო-ეკონომიკური, კულტურის, პრესის, კადრების, საკონსულო, ადმინისტრაციული და სხვა სახის დეპარტამენტები.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ძირითადი ფუნქცია გამოიხატება ქვეყნის საგარეო კურსის გატარებაში, რასაც ის ახორციელებს საკუთარი დეპარტამენტებისა და საზღვარგარეთ არსებული საკუთარი საელჩოების მეშვეობით. თანამედროვე კომუნიკაციები იძლევა მჭიდრო და სისტემატური კავშირების შესაძლებლობას. დეპარტამენტების და მთლიანობაში სამინისტროს მუშაობაზე ირიბად მოქმედებს საკუთარ ქვეყანაში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობებთან თანამშრომლობაც.

საგარეო უწყებასა და დიპლომატიურ მისიებში მომუშავე დიპლომატთა მუშაობის სპეციფიკა მოითხოვს სისტემატურ ცვლას ანუ დიპლომატიურ ენაზე – როტაციას. დიპლომატი, რომელიც მუშაობს საგარეო საქმეთა სამინისტროში, სამუშაოდ მიემგზავრება უცხოეთში, საკუთარი ქვეყნის დიპლომატიურ მისიაში, ხოლო იქ მომუშავე დიპლომატი ბრუნდება სამშობლოში, საგარეო უწყებაში მუშაობის გასაგრძელებლად. როტაციის ვადა სხვადასხვაა და დამოკიდებულია ქვეყნის საგარეო უწყების გადაწყვეტილებაზე, მაგრამ პრაქტიკა გვაჩვენებს, რომ როტაციის ვადა სამ წელს არ სცილდება. დიპლომატიაში არა სისტემატურად, მაგრამ მაინც, ადგილი აქვს ხოლმე ელჩის სამ წელზე მეტი – ხუთი ან ათი წლით ყოფნას ერთ ქვეყანაში.

უცხოეთში მრავალი წლის მუშაობის მომხრეები შემდეგ არგუმენტებს იშველიებენ: დიპლომატს ქვეყნის უკეთ გაცნობისათვის დრო ესაჭიროება. დრო არის საჭირო სასარგებლო კავშირების დასამყარებლად მასპინძელი ქვეყნის სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებთან. გარდა ამისა, იშვიათი როტაცია სახელმწიფო სახსრების დაზოგვას ემსახურება.

უცხოეთში დიპლომატის მრავალწლიანი მუშაობის მაგალითები საკმაოდ მრავლად არის, მათ შორის გამოირჩევა საბჭოთა ელჩი აშშ-ი ანატოლი დობრინინი, რომელიც 1961 წელს დაინიშნა ელჩად აშშ-ი და 25 წელი დაჰყო ამ თანამდებობაზე.

ხანგრძლივი პერიოდით მუშაობის მოწინააღმდეგენი ამტკიცებენ, რომ დიპლომატი, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში მუშაობს მასპინძელ ქვეყანაში, ისე უკავშირდება მას, რომ იშვიათად აღელვებს ქვეყანაში მიმდინარე პროცესები. დიპლომატი უშინაურდება მასპინძელ ქვეყანას და კარგავს ობიექტური აღქმის უნარს, რაც აუცილებელია დიპლომატისათვის. დიპლომატი ისეთ მჭიდრო კონტაქტში შედის ადგილობრივ პოლიტიკოსებთან და სხვა ფენებთან, რომ სათუო ხდება სამშობლოში გაგზავნილი ინფორმაციის ობიექტურობა.

დიპლომატიური როტაციის საკითხებზე საგარეო უწყების კადრების დეპარტამენტი მუშაობს, რომელსაც ზუსტი მონაცემები აქვს, როდის დაიწყო დიპლომატმა მუშაობა სამინისტროში და საელჩოში. როდესაც უცხოეთში მომუშავე დიპლომატს როტაციის ვადა უახლოვდება, სამინისტროში დაბრუნებამდე ხდება მისთვის, რანგიდან გამომდინარე, ადგილის გამოძებნა. მიუღებელია სამშობლოში დაბრუნებული დიპლომატის დაბალ თანამდებობაზე დანიშვნა. საგარეო უწყებაში დაბრუნებული დიპლომატი ორი ან სამი წლის მუშაობის შემდეგ კვლავ იგზავნება საზღვარგარეთ სამუშაოდ. როტაციასთან ერთად დიპლომატს დიპლომატიური რანგიც ეცვლება. ახალი რანგის მინიჭება განპირობებულია პროფესიონალური ზრდით, დამსახურებით და მუშაობის ხანგრძლივობით. საშუალოდ, ერთი რანგის, მეორით შეცვლა, საჭიროებს სამი წლის დიპლომატიურ მუშაობას. დიპლომატიურ რანგებს, მრჩეველის რანგის ჩათვლით, ანიჭებს საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობა, ხოლო დესპანისა და ელჩის რანგებს – ქვეყნის პირველი პირი. თუ დიპლომატი წყვეტს დიპლომატიურ დაწესებულებაში მუშაობას, მას ავტომატურად უწყდება დიპლომატიური რანგი. რანგის აღდგენა დიპლომატიაში დაბრუნებისთანავე ხდება.

საგარეო სამინისტრო ის უწყებაა, რომლის მეშვეობითაც უცხო ქვეყნის საელჩოები და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლობები აწარმოებენ საკუთარი საგარეო პოლიტიკის გატარებას.

ახლადდანიშნული საგარეო საქმეთა მინისტრი წერილობით ატყობინებს საზღვარგარეთის ქვეყნების დიპლომატიურ წარმომადგენლობებს და საერთაშორისო ორგანიზაციების ოფისებს იმის შესახებ, რომ ის დაინიშნა მინისტრად და შეუდგა მუშაობას. მინისტრი აწყობს სპეციალურ მიღებას, რომელზეც იწვევს მის ქვეყანაში აკრედიტებული დიპკორპუსის წარმომადგენლებს და საერთაშორისო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს.

ანალოგიურ ქმედებას აქვს ადგილი, როდესაც მინისტრი ტოვებს თანამდებობას.

იგივე პროცედურას აქვს ადგილი, როდესაც ელჩი მიემგზავრება ადგილსამყოფელი ქვეყნიდან დიპლომატიური მოღვაწეობის დასრულების შემდეგ.

საზღვარგარეთის სახელმწიფოების ხელისუფლებასთან კავშირების დამყარებისათვის, საგარეო საქმეთა მინისტრს შეუძლია გამოიყენოს, როგორც საკუთარი დიპლომატიური წარმომადგენლობა, ისე საკუთარ ქვეყანაში აკრედიტებული საზღვარგარეთის ქვეყნების დიპლომატიური წარმომადგენლობა.

დიპლომატიური წარმომადგენლობა

დიპლომატიურ წარმომადგენლობაში შედიან – წარმომადგენლობის მეთური, რომელსაც ნიშნავს წარმდგენი ქვეყნის მთავრობა ადგილსამყოფელ ქვეყანასთან შეთანხმებით. მიმღებ სახელმწიფოში მხოლოდ ერთ დიპლომატს, მისიის ხელმძღვანელს, ანუ ელჩს, აქვს უფლება, წარმოადგინოს საკუთარი ქვეყანა. ის არის პასუხისმგებელი მისიის ყველა ქმედებაზე. გარდა მისიის ხელმძღვანელისა, წარმომადგენლობაში მუშაობენ როგორც დიპლომატიური, ისე ადმინისტრაციულ-ტექნიკური მუშაკები. დიპლომატიური მისიის

პერსონალს არ აქვს პირდაპირი წარმომადგენლობითი ფუნქციები. ისინი ეხმარებიან მისიის ხელმძღვანელს.

ვენის 1961 წლის კონვენციის მიხედვით, დადგენილია შემდეგი დიპლომატიური თანამდებობები: წარმომადგენლობის ხელმძღვანელი (chef de mission).

მისიის თანამშრომლები (membres de la mission) — მასში შედის ყველა, ელჩიდან დაწყებული და დიპლომატიური თანამშრომლებით დამთავრებული.

მისის წევრები (membres du personnel de la mission) — მისიის დიპლომატიური პერსონალი, აგრეთვე ადმინისტრაციულ-ტექნიკური და მომსახურე პერსონალი.

დიპლომატიური მისიის წევრები (membres du personnel diplomatique) – მისიის მხოლოდ დიპლომატიური პერსონალი, რომლებსაც აქვთ დიპლომატიური რანგები და იკავებენ დიპლომატიურ თანამდებობებს.

დიპლომატიური (agent diplomatique) წარმომადგენლობის ხელმძღვანელი ან წარმომადგენლობის დიპლომატიური თანამშრომელი.

ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი (membres du personel administrat et teqnique)

მომსახურე პერსონალი (membres du personel du service) — დამლაგებლები, მებაღეები, მძღოლები, მსარეულები და სხვა.

პირადი მსახური (domestique prive) — პირადი მსახური არის არა ადგილსამყოფელი ქვეყნის მოქალაქე, არამედ წარმდგენი ქვეყნის მოქალაქე. საელჩოს ყველა სხვა მუშაკი, გარდა დიპლომატიურისა, შეიძლება იყოს მასპინძელი ქვეყნის მოქალაქე.

წარმომადგენლობის მეთაური პასუხისმგებელია წარმომადგენლობის ყველა მოქმედებაზე.

დიპლომატიური წარმომადგენლობის რიცხოვნობის მიუხედავად, მეთაურმა უნდა განახორციელოს შემდეგი ფუნქციები: დიპლომატიური პოლიტიკის შემუშავება, ორ ქვეყანას შორის მოკავშირის ფუნქციის შესრულება, მასპინძელი ქვეყნის ხელისუფლებისათვის საკუთარი ქვეყნის პოზიციის გაცნობა, საკუთარი ქვეყნისათვის ადგილსამყოფელ ქვეყა-

ნაში არსებული პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარების გაცნობა, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა ამ ინფორმაციას პირდაპირი მნიშვნელობა საკუთარი ქვეყნისათვის, მასპინძელი ქვეყნის ცნობილ, გავლენიან პირებთან ურთიერთობის ქონა, მასპინძელ ქვეყანაში, ოფიციალურ თუ არაოფიციალურ ვითარებაში, წარმდგენი ქვეყნის ღირსების შესაფერისი მოქცევა და სხვა.

დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელის უმთავრესი მოვალეობაა მისი დიპლომატიური პოლიტიკის განსაზღვრა. ამ საქმეში მისიის ხელმძღვანელს დახმარებას უწევენ მრჩევლები და მისიის დიპლომატიური თანამშრომლები. დიპლომატიურ წარმომადგენლობაში სხვადასხვა სამსახურებია, მაგალითად: კომერციულ-ეკონომიკური, რომლის მიზანია მასპინძელი ქვეყნის ეკონომიკურ-საფინანსო პოლიტიკაში გათვითცნობიერება, ანალიზი და შეფასება იმისა, თუ რამდენად მოქმედებს ის ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური კურსის განსაზღვრის დროს. ეკონომიკური ინფორმაციის საკუთარი ქვეყნისთვის მიწოდება. ეს სამსახური ვალდებულია გამოძებნოს და დაამყაროს კავშირები მასპინძელი ქვეყნის ბიზნეს-წრეებთან, ხელი შეუწყოს ორი სახელმწიფოს სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების დამყარება-გაფართოებას, ორი ქვეყნის სპეციალისტების გაცვლას, დელეგაციათა მიმოსვლისათვის ხელის შეწყობას.

სამდივნო და არქივი

აღნიშნული სამსახურების მუშაკები არიან წარმდგენი ქვეყნის მოქალაქეები, ვინაიდან სპეციფიკიდან გამომდინარე, ამ სამსახურში მხოლოდ წარმდგენი ქვეყნის მოქალაქეები უნდა მუშაობდნენ.

უსაფრთხოება

მისიის უსაფრთხოების მუშაკების ძირითადი მოვალეობაა, არ მოხდეს საელჩოს შენობაში უცხო პირთა უკანონო

შესვლა. უცხო პირებს, რომლებიც საელჩოს შენობაში არიან, არ უნდა ჰქონდეთ საკომუნიკაციო საშუალებების ოთახში შესვლის შესაძლებლობა. უსაფრთხოების მუშაკის ფუნქციაში კომუნიკაციების საშუალებების დაცვაც არის ნავარაუდევი.

კომუნიკაცია

დიპლომატიურ მისიას ესაჭიროება გამართული საიდუმლო საკომუნიკაციო სისტემა, რომელიც მას დააკავშირებს საკუთარი ქვეყნის საგარეო უწყებასთან. საიდუმლო საკომუნიკაციო სისტემის მომსახურებისათვის საჭიროა სპეციალისტი, რომელიც წარმდგენი ქვეყნის მოქალაქე უნდა იყოს. მან უნდა უსრუნველყოს კოდირება, დეკოდირება, დაშიფრვა, მართვა, სისტემის რემონტი.

ბუღალტერია

დიპლომატიურ მისიას, როგორც წესი, გააჩნია საფინანსო საქმიანობაც. ამ მხრივ გამოირჩევა საკონსულო სამსახური, რომელსაც აქვს შემოსავლები. იმ შემთხვევაში, თუ ორივე სამსახური ერთ შენობაშია განთავსებული, მას შეიძლება ერთი ბუღალტერი ემსახურებოდეს. საფინანსო საქმიანობა საფრთხილო საქმეა და მისი რომელიმე დიპლომატისთვის მინდობა არ არის რეკომენდებული. დილომატი დიპლომატია და მისი ძალით გაბუღალტრება უარყოფით შედეგს იძლევა.

პრესისა და ინფორმაციის სამსახური

ამ სამსახურის მუშაკი გარკვეული უნდა იყოს მასპინძელი ქვეყნის ინფორმაციის ფორმირების საქმეში, ვინ და როგორ აღგენს მას. ეს მას ხელს შეუწყობს საკუთარი ქვეყნის შესახებ ინფომაციის გავრცელებაში. აღნიშნული სამსახურის დიპლომატს კარგი ურთიერთობა უნდა ჰქონ-

ღეს მასპინძელი ქვეყნის პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკებთან. პერიოდულად ის უნდა ადგენდეს ბიულეტენს საკუთარი ქვეყნის სხვადასხვა დარგის შესახებ და უგზავნიდეს არა მარტო ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს, არამედ მას-მედიის მუშაკებსაც.

სამხედრო ატაშე

სამხედრო ატაშე არის სამხედრო მოსამსახურე, რომელიც წარდგენილია დიპლომატიურ მისიაში საკუთარი ქვეყნის თავდაცვის სამინისტროს მიერ და ასრულებს მეკავშირის ფუნქციას წარმდგენ და მიმღებ სამხედრო უწყებათა შორის. სამხედრო ატაშე, სამხედრო ინფორმაციას აწვდის საკუთარ უწყებას. სამხედრო ატაშე აქტიურად არის ჩართული იარაღის შესყიდვაშიც. გარდა ამისა, მას იწვევენ მასპინძელი ქვეყნის სამხედრო აღლუმებზე ან სამხედრო მანევრებზე დასასწრებად.

სხვადასხვა სახის ატაშეები

დილომატიურ მისიაში არიან სხვადასხვა დარგის: კულტურის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტურიზმის და სხვა ატაშეები.

ისინი სპეციალურ საქმეს ასრულებენ და ხელს უწყობენ ორ ქვეყნას შორის სხვადასხვა დარგებში ურთიერთობის განვითარებას.

დილომატიური მისიის დროებითი ხელმძღვანელი

დილომატიური მისიის ხელმღვანელის არყოფნის შემთხვევაში, მას ცვლის რანგით ყველაზე მაღალი დიპლომატი, რომელსაც საქმის დროებითი რწმუნებული ჰქვია. დროებითი რწმუნებული აღნიშნულის შესახებ ატყობინებს სხვა დიპლომატიურ წარმომადგენლობებს და მასპინძელი ქვეყნის საგარეო უწყებას. დროებით რწმუნებულს მისიის ხელ-

მძღვანელი ნიშნავს. იმ შემთხვევაში, თუ დროებითი რწმუნებული ვერ აგრძელებს უფლებამოსილებას, მას არ შეუძლია სხვა დროებითი რწმუნებულის დანიშვნა. ასეთ დროს, დროებით რწმუნებულს ნიშნავს წარმდგენი ქვეყნის საგარეო უწყება.

ჩაცმულობა

დიპლომატიაში ჩაცმულობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. დიპლომატიაში მიღებულია ევროპული ტანსაცმელი, ძირითადად, მუქი ფერის კოსტიუმი ზამთარში და ღია ფერის – ზაფხულში. წვეულებაზე ტანსაცმლის ფორმა მითითებულია მოსაწვევ ბარათში. დილომატის მეუღლის ტანსაცმელთან დაკავშირებით ბარათში აღნიშნულია სიტყვა – "შესაბამისად".

ფრაკი, თეთრი ჰალსტუხი და საღამოს კაბა საჭიროა ოფიციალური, საღამოს მიღებისათვის, ვახშამ'ზე ან ბალზე დასასწრებად. მსგავსი ჩაცმულობა მიღებულია რწმუნების სიგელის გადაცემის დროს. საღამოს ტანსაცმელი შედგება გრძელი ფრაკის, თეთრი ჟილეტის, თეთრი პერანგისაგან, რომელსაც მომრგვალებული საყელო აქვს. აგრეთვე თეთრი ბაფთის, ორი შავი აბრეშუმის ზოლიანი შავი შარვლის, შავი ცილინდრის და ლაიკის შავი ფეხსაცმელისაგან.

შავი ჰალსტუხი ანუ სმოკინგი.

ასეთი ტანსაცმელი საჭიროა არაოფიციალური საღამოს შეხვედრებისათვის. ეს ტანსაცმელი შეიცავს შავ პიჯაკს, შავ შარვალს შავი აბრეშუმის ერთი ზოლით, თეთრ პერანგს, შავ ბაფთას და შავ ფეხსაცმელს.

ოფიციალური გლოვა

ოფიციალური გლოვა ცხადდება წარმდგენი ქვეყნის ხელმძღვანელის მიერ. ასეთ დროს საგანგებო ვითარება ცხადდება დიპლომატიურ წარმომადგენლობაში. იმ შემთხვევაში, თუ გლოვა გამოცხადებულია სახელმწიფოს მე-

თაურის ან მთავრობის ხელმძღვანელის გარდაცვალების გამო, ან ეროვნულ კატასტროფასთან დაკავშირებით, წარმომადგენლობის ხელმძღვანელი იღებს საგარეო უწყებიდან ინსტრუქციას გლოვის ხანგრძლივობასთან, დროშის დაშვებასთან და სხვა ღონისძიებებთან დაკავშირებით. გლოვის დროს წარმომადგენლობის თანამშრომლებს შავი ფერის ჰალსტუხი უკეთიათ და მუქი ფერის ტანსაცმელი აცვიათ. წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა გლოვის დროს თავი უნდა შეიკავოს საზოგადო ადგილებში ვიზიტისაგან. წინასწარ დაგეგმილი ღონისძიებები უნდა გადაიდოს, მაგრამ მასპინძელი ქვეყნის მაღალ დონეზე მოწყობილ მიღებაზე უარი არ უნდა თქვას. მისიის ხელმძღვანელის მიერ მოწყობილი მიღება უნდა იყოს თავშეკავებული. წარმომადგენლობაში იხსნება სამძიმრის წიგნი. ზოგ შემთხვევაში, წიგნის სიახლოვეს ან კედელზე არის გარდაცვლილის პორტრეტი, რომელსაც შავი ბაფთა აქვს გაკეთებული. გლოვის დროს წარმომადგენლობის წერილები შავი მელნით იწერება.

იმ შემთხვევაში, თუ მასპინძელ ქვეყანაში ცხადდება გლოვა, დიპკორპუსი მოქმედებს დუაიენის ინსტრუქციებიდან გამომდინარე. სწორედ მას აქვს კავშირები მასპინძელი ქვეყნის საგარეო უწყების პროტოკოლის სამსახურთან. დიპკორპუსის წევრებს შესთვაზებენ დროშის სანახევროდ ჩამოწევას თავიანთ დიპლომატიურ შენობაზე. გარდა ამისა, დიპლომატიური მისიების ხელმძღვანელებმა პირადად უნდა გაუგზავნონ მასპინძელი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრს სამძიმრის წერილი. დიპლომატიური წარმომადგენლობის თითოეული თანამშრომელი უნდა მივიდეს ადგილსამყოფელი ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროში, იქ გახსნილ წიგნში შესაბამისი ჩანაწერის გასაკეთებლად. მათ უნდა დატოვონ საკუთარი სავიზიტო ბარათი წარწერით „p.c.'' (pour condoleance), რაც ნიშნავს – სამძიმარს. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე დიპლომატიური წარმომადგენლობის სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობის პირი კვდება, იგივე სახის ღონისძიებას აქვს ადგილი კოლეგა დიპლომატების მხრიდან. ნოტას, რომელსაც გლოვაში მყოფი წარმომადგენლობა უგზავნის მეორე ქვეყნის დიპლომატიურ წარმომადგენლობას, შემდეგი შინაარსისაა:

...საელჩო ადასტურებს თავის პატივისცემას ...საელჩოსადმი და მოვალეობად მიიჩნევს გამოხატოს უღრმესი სინანული ...გარდაცვალებასთან დაკავშირებით. ამაუდროულად საელჩო ატყობინებს.... საელჩოს, რომ სამძიმრის წიგნი გაიხსნება საელჩოში ... (მისამართი) ... ამა და ამ რიცხვში და ამა და ამ საათზე.

საელჩო გამოხატავს თავის ღრმა პატივისცემას ... მიმართ

უღრმესი პატივისცემით...

დიპლომატიის ნაირსახეობა

არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ მე-20 საუკუნის ბოლო წლებმა და 21-ე საუკუნის დასაწყისმა საგრძნობი სიახლე შესძინა ისეთ ტრადიციულ პროფესიას, როგორიც დიპლომატიაა. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების დიპლომატიაში შეჭრის შესახებ. სავაჭრო თანამშრომლობასთან დაკავშირებულმა საკითხებმა კლასიკური დიპლომატიის ნაწილობრივი გარდაქმნაც კი მოახერხა. რა გაეწყობა, თანამედროვეობა მოითხოვს არა მარტო ზედაპირულ, არამედ სიღრმისეულ ცვლილებებს. მიზნის მიღწევისათვის არაერთი ხერხი და გზა გამოიყენება, და თუ კლასიკური დიპლომატიის ახალი შეფერილობა წარმატების მოპოვების გარანტი შეიძლება გახდეს, მაშინ საკამათო არაფერია.

ტრადიციული დიპლომატიის მიერ, მიზნის მიღწევისათვის, სხვადასხვა პროფესიის ადამიანების გამოყენება უცხო არ იყო მრავალი საუკუნის წინათაც. ძველ საბერძნეთში დიპლომატებად ხშირად მსახიობებსაც იყენებდნენ. არაერთი მაგალითია დიპლომატიურ სამსახურში მღვდლების, მწერლების, პოეტების, ვაჭრებისა და სხვა პროფესიის ადამიანების გამოყენებისა.

პარლამენტარიზმის, მრავალპარტიული სისტემის განვითარების და კომუნიკაციების გაფართოების შედეგად, დიპლომატიაში საზოგადოების ფართო ფენებიც ჩაერთო. არასამთავრობო ორგანიზაციების მრავალფეროვნებამ, ახალმა

მუხტმა, სხვა ელფერი შესძინა ადამიანთა შორის ურთიერთობას.

არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიურობა არ შემოიფარგლება ერთი სახელმწიფოს საზღვრებით. ის დიდი ხანია გადაიქცა ქვეყნებს შორის კავშირების ჩამოყალიბება–გაფართოების წყაროდ. სახელმწიფოთაშორისი მრავალი გადაუჭრელი საკითხის არსებობის პირობებში, თითქმის წარმოუდგენელიც შეიძლება იყოს არასამთავრობო სფეროში მოპოვებული წარმატებები. არასამთავრობო სექტორის განვითარებამ გარკვეული გავლენა იქონია აშშ-ს პოლიტიკაზე. ამერიკის ადმინისტრაცია აქტიურად იყენებს არასამთავრობო, სამოქალაქო დიპლომატიას. ხშირად მიმართავს მას სხვადასხვა სახის ინფორმაციის და კვლევებისათვის.

არასამთავრობო ორგანიზაციები, განსაკუთრებით ამერიკული ორგანიზაციები, სერიოზული დაფინანსებითაც სარგებლობენ. ამით არის განპირობებული ყოფილი სახელმწიფო მოხელეების ცნობილ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა. მაღალი ხელფასების წყალობით, არასამთავრობო სექტორი არა მარტო ყოფილი მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეებს იზიდავს, არამედ პერსპექტიულ ახალგაზრდა მოხელეებსა და გამოცდილ ანალიტიკოსებს. საჯარო სექტორის წარმომადგენლებს არაერთხელ ხაზგასმით აღუნიშნავთ, რომ არასამთავრობო სექტორმა, მაღალი ანაზღაურების წყალობით, დიდი კონკურენცია გაუწია სახელმწიფო სექტორს, თავისკენ გადაიბირა არა მარტო ახალგაზრდები, არამედ ანალიტიკური აზროვნებით ცნობილი ექსპერტები, სხვადსხვა რანგის სპეციალისტები. სახელმწიფო დაწესებულებების ხშირმა მიმართვამ არასამთავრობო ორგანიზაციებისადმი, სერიოზულად გააფართოვა არასამთავრობო ორგანიზაციების პირდაპირი თუ ირიბი გავლენა სახელმწიფო პოლიტიკასა და დიპლომატიაზე. იზრდება არასამთავრობო ორგანიზაციების მოქმედების ჩარჩოებიც.

ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაციები კარგა ხანია აქტიურად მოღვაწეობენ აშშ-ს საზღვრებს გარეთაც, ამყარებენ ამა თუ იმ ქვეყნის მონათესავე არასამთავრობოებთან მჭიდრო კავშირებს. აღნიშნულ კავშირებში არა მარ-

ტო მსოფლმხედველობითი სიახლოვე შეიმჩნევა, არამედ გარკვეული ზემოქმედების მოპოვების სურვილიც, რისთვისაც დიდი თანხები გამოიყენება. ამერიკული არასამთავრობოები, საკუთარი გავლენის სფეროთა გაფართოების მიზნით, საზღვარგარეთის ქვეყნებში, შვილობილ არასამთავრობო ორგანიზაციებსაც აფუძნებენ, ცხადია, შესაბამისი ამერიკული იდეოლოგიით. აღნიშნული ორგანიზაციები აქტიურად შლიან ფრთებს მასპინძელ ქვეყანაში და ხშირ შემთხვევაში, გაცილებით ფართო ინფორმაციის მიმწოდებლად ითვლებიან თავიანთი სათაო ორგანიზაციებისათვის, ვიდრე ადგილსამყოფელ ქვეყანაში არსებული დიპლომატიური წარმომადგენლობა. ინფორმაცია კი, როგორც ზემოთ არაერთხელ აღვნიშნეთ, საგარეო ურთიერთობების ძირითადი ასპექტია.

ამერიკული არასამთავრობო სექტორის მოღვაწეობა ერთობ მიზანმიმართულია ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების სივრცეში. სწორედ არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიურობას უნდა მიეწეროს ადგილსამყოფელ ქვეყნებში გარკვეული პოლიტიკური აქტიურობა. ამერიკული ფულით დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციები ანტისახელისუფლო განცხადებისა და ქმედების წყაროდ გვევლინებიან, რითაც ადგილსამყოფელი ქვეყნის სახელისუფლო წრეების პერმანენტულ რისხვას იმსახურებენ. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ოკეანის გადაღმელთა მიერ, პოსტსაბჭოთა სივრცეში შექმნილი არასამთავრობო ორგანიზაციებში მომუშავე პერსონალი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მხოლოდ მასპინძელი ქვეყნის კადრებით არის დაკომპლექტებული. არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაკები ხშირად გადიან აშშ-ში ტრეინინგებს, სტაჟირებას, სხვადასხვა სახის კურსებს, რაც სერიოზულ ზეგავლენას ახდენს მათი მსოფლმხედველობის განსაზღვრა-ჩამოყალიბებაზე, ამერიკული ცხოვრების წესის შეთვისებაზე და ამერიკული იდეალების პატივისცემაზე. ამერიკული არასამთავრობო სექტორების ძირითადი დანიშნულება კი სწორედ ის არის, რომ ქვეყანას ე.ი. აშშ-ს მეტი გულშემატკივარი, მეტი მომხრე შესძინოს. ამ მხრივ, ამერიკული არასამთავრობო დიპლომატია არ ჩამოუვარდება სახელმწიფო დიპლომატიას.

საქართველოში არასამთავრებო სექტორის აქტიური მოღვაწეობა 1995 წლიდან იწყება. მანამდე საქართველოში ფეხი მოიკიდეს სოროსისა და ევრაზიის ცნობილმა ფონდებმა. სწორედ მათ აქტიურობასა და ფინანსების ფართო გამოყენებას მოჰყვა სხვადასხვა სახის ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების წარმოშობა. დღეს ქვეყანაში 5000-ზე მეტი არასამთავრობო ორგანიზაცია მოქმედებს, თუმცა ბევრი მათგანი უსახსრობის გამო მხოლოდ ქაღალდზე არსებობს. განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩევიან ის არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც მსუყედ ფინანსდებიან აშშ-დან. მათ შორის აღსანიშნავია თავისუფლების ინსტიტუტი, სხვა არასამთავრეები, რომლებიც სერიოზული გავლენით სარგებლობენ საქართველოს, როგორც პოლიტიკურ, ისე საზოგადო ცხოვრებაზე. არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ აშშ-ის მიერ დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციები ქართული პოლიტიკური ცხოვრების სამჯედლოდ არის გადაქცეული. პარლამენტსა და ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკოსების არც თუ უმნიშვნელო ნაწილი სწორედ არასამთავრობო ორგანიზაციებში არიან დაფრთიანებული და ამერიკაში სტაჟირებაგავლილი. ზოგი არასამთავრობო ორგანიზაციის უფლებამოსილება და მისდამი ხელისუფლების დამოკიდებულება მოჭარბებულად ფართო და პოზიტიურია. ხშირად აქვს ადგილი ფაქტს, როდესაც აღმასრულებელი ხელისუფლება არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ მომზადებული კანონპროექტით შედის საკანონმდებლო ორგანოში. საკანონმდებლო საქმიანობაში არასამთავრობოთა ჩართვა არცთუ ურიგო საქმეა, მაგრამ სამწუხაროდ, ამ პროცესში ხშირად იგრძნობა დასავლური, კერძოდ, ამერიკული გავლენა და საკითხისადმი ისეთი მიდგომა, რომელიც შორს არის ქართული მენტალიტეტისა და ცხოვრებისაგან. მიუხედავად ჩამოთვლილი დადებითი თუ უარყოფითი მომენტებისა, საქართველოში და არა მარტო აქ, არასამთავრობო მოღვაწეობა ფართოდ არის გაშლილი, რაც ანვითარებს არასამთავრობო დიპლომატიას.

ეკონომიკური დიპლომატია

თანამედროვე დიპლომატიის უმნიშვნელოვანესი სახეობაა ეკონომიკური დიპლომატია. არაერთი წიგნი და ბროშურაა მიძღვნილი ამ სახის დიპლომატიაზე, ვინაიდან ის მკვეთრად განსხვავდება ტრადიციული, კლასიკური დიპლომატიისაგან. როგორც კლასიკური, ისე ეკონომიკური დიპლომატია დიდ სიზუსტეს მოითხოვს, მაგრამ ეკონომიკურ დიპლომატიაში დაშვებული მცირე შეცდომაც კი, პირდაპირი მნიშვნელობით, ძვირი დაუჯდება წარმდგენ სახელმწიფოს. საბჭოთა კავშირის არსებობის დროს, როდესაც ეკონომიკური საკითხები მკაცრ ცენტრალიზაციას ექვემდებარებოდა და როდესაც სახელმწიფო აწარმოებდა სხვა ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკურ კავშირებს, მას ესაჭიროებოდა ამ საქმის წარმმართველი ორგანო. ასეთად ითვლებოდა საგარეო ვაჭრობის სამინისტრო, რომელსაც ისე, როგორც საგარეო უწყებას, საკუთარი წარმომადგენლობები ჰქონდა გახსნილი საზღვარგარეთის სახელმწიფოებში. სავაჭრო-ეკონომიკურ წარმომადგენლობებში ეკონომიკური განხრის დიპლომატები მუშაობდნენ. აღნიშნული დაწესებულების მნიშვნელობაზე ისიც მიანიშნებდა, რომ უცხოეთში არსებული სავაჭრო-ეკონომიკური წარმომადგენლობის თუნდაც გარეგნული იერსახე – შენობა, არაფრით ჩამოუვარდებოდა საელჩოს.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შედეგად, არათუ საგარეო ვაჭრობის სამინისტრო გაუქმდა, არამედ მისი უცხოეთში არსებული წარმომადგენლობებიც, თუმცა ამას არ მოჰყოლია ეკონომიკური დიპლომატიის გაუქმება, პირიქით, მან უფრო დახვეწილი, სხვაგვარი სახე შეიძინა. თანამედროვე პირობებში ეკონომიკური დიპლომატია საელჩოში მოქმედი ეკონომიკური განყოფილების, სექტორის ან დიპლომატის მიერ ხორციელდება. ეკონომიკური დიპლომატია კოორდინაციას უწევს ქვეყნებს შორის სავაჭრო-ეკონომიური კავშირების გაფართოებას, ხელს უწყობს მასპინძელი ქვეყნის ბიზნესს საკუთარ ქვეყანაში ინვესტიციების განხორციელებაში, საკუთარი ქვეყნის ბიზნესის ფეხის მოკიდებას მასპინძელ ქვეყანაში. ეხმარება

ბიზნესის ცალკეულ წარმომადგენლებს ადგილსამყოფელი ქვეყნის ბიზნესმენებთან კავშირების დამყარებაში და სხვა. ეკონომიკური დიპლომატია პერმანენტულად უნდა ფლობდეს ადგილსამყოფელი ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების ინფორმაციას და ასევე პერმანენტულად უნდა ატყობინებდეს საკუთარ ქვეყანას აღნიშნულის შესახებ.

რეგიონული დიპლომატია

დიპლომატიის ნაირსახეობას წარმოადგენს რეგიონული დიპლომატია. დიპლომატიის ეს დარგი განსაკუთრებით გასული საუკუნის 60—70-იან წლებში განვითარდა, რაც განპირობებული იყო მსოფლიოში რეგიონალიზმის განვითარებით. ბევრი სპეციალისტი, მათ შორის უცხოელიც, მიიჩნევს, რომ რეგიონალიზმის წარმოშობა, ეროვნულ სახელმწიფოებში მოხდა და ფართოდ უკავშირდება გლობალიზაციას, ეკონომიკური კავშირების გაღრმავებას, კულტურული ურთიერთობების ჩამოყალიბებას. თანამედროვე მსოფლიოში შეინიშნება როგორც საზღვრისპირა რეგიონული ურთიერთობები, ისე ქვეყანაში არსებული შტატების, ოლქების, ავტონომიების, სხვა ერთეულების ურთიერთობებიც. რეგიონები სულ უფრო დიდი გავლენით სარგებლობენ საკუთარი ქვეყნის პოლიტიურ ცხოვრებაზე. ისინი დაბეჯითებით ითხოვენ მეტ თავისუფლებას სხვა ქვეყნის რეგიონებთან ურთიერთობაში და მეტ დამოუკიდებლობას ცენტრისაგან. სისტემატიური სახე შეიძინა საზღვრებსშორისმა რეგიონულმა კავშირებმა, რაც გარკვეულ პრობლემებს უქმნის ცენტრალურ ხელისუფლებას. აშკარაა კონტროლს მოკლებული კაპიტალის მოძრაობა, შრომის რესურსების, საქონლის, კულტურული ფასეულობების მობილურობა და სხვა.

რეგიონალიზმმა გარკვეული დადებითი ტენდენციები შექმნა მთელი რიგი პრობლემების დაძლევის საქმეში, რაც არ არის გასაკვირი, ვინაიდან რეგიონული მმართველობა გაცილებით ახლოა რეგიონის მოსახლეობასთან, ვიდრე ცენტრალური ხელისუფლება. ჩვენი მიზანი არ არის რეგიონალიზმის დადებითი თუ უარყოფითი ასპექტების განხილ-

ვა, ვინაიდან ეს სხვა თემაა და სერიოზულ, სიღრმისეულ განსჯას საჭიროებს, რაც არ არის წინამდებარე ნაშრომის მიზანი. ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ რეგიონულმა პოლიტიკამ, რეგიონული ტენდენციების განვითარებამ გზა გაუხსნა რეგიონულ დიპლომატიას, რეგიონულ ურთიერთკავშირებს. დღეს არავის უკვირს ერთი რეგიონის წარმომადგენლობის არსებობა მეორე ქვეყნის რეგიონში, რეგიონული გაერთიანებები, კონფერენციები, თუ სხვადასხვა სახის ფორუმები და კავშირები.

საქართველოსთვისაც არ არის უცხო რეგიონული კავშირები, მაგალითად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა და იმერეთის რეგიონი ევროპის რეგიონთა ასაბლეის წევრები არიან, თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ისინი ნაკლები სიკეთეებით სარგებლობენ აღნიშნულ ორგანიზაციაში წევრობით, რაც არა მარტო ამ რეგიონების ხელისუფალთა სუსტი მოღვაწეობის ბრალია, არამედ ცენტრალური ხელისუფლების უცოდინარობის და იმავდროულად, გაუმართლებელი, უსაფუძვლო ეჭვისაც. საქართველოს ხელისუფლება მიიჩნევს, რომ უცხოეთთან ყოველგვარი საგარეო კავშირები მხოლოდ ცენტრის მეშვეობით უნდა ხორციელდებოდეს. ასეთ პირობებში თუ რაიმე პროტოკოლური სახის კავშირებს აქვს ადგილი საქართველოს რეგიონებთან მიმართებაში, ეს მხოლოდ საზღვარგარეთის ქვეყნების რეგიონთა აქტიურობით უფრო არის გამოწვეული, ვიდრე ჩვენი რეგიონების.

რეგიონული დიპლომატია სულ უფრო საინტერესო სახეს იძენს. დიპლომატები, რომლებიც ამ კუთხით მოღვაწეობენ, ზედმიწევნით კარგად უნდა იყვნენ გათვითცნობიერებულები არა მარტო საკუთარი რეგიონის, არამედ მთელი ქვეყნის კანონშემოქმედებაში. ქვეყნის კანონმდებლობის ცოდნა აუცილებელია იმისათვის, რომ დიპლომატმა ზუსტად იმოქმედოს იმ ჩარჩოებში, რაც მისი რეგიონისთვის არის განსაზღვრული ცენტრის კანონმდებლობით.

მას შემდეგ, რაც საქართველო საერთაშორისო სამართლის სუბიექტად გადაიქცა და ქვეყანა შეუდგა დამოუკიდებელ არსებობას, მრავალ სასიამოვნო თუ არასასიამოვნო, პოზიტიურ თუ ნეგატიურ მოვლენას ჰქონდა ადგილი. გულწრფელად უნდა ითქვას, რომ 1990 წლიდან დაწყებუ-

ლი, პოზიტიურ მოვლენებს ნეგატიური ჭარბობდა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ქვეყნის მოუწყობელი სახელმწიფო სისტემა, რეგიონალიზმის მიმართ გაურკვეველი დამოკიდებულება, ურთიერთგამომრიცხავი პოლიტიკა. საქართველოში ბევრია ისეთი ადამიანი, რომელსაც სახელმწიფოებრივ სისტემად მხოლოდ უნიტარიზმი მიაჩნია და გაგონებაც არ უნდა რეგიონალიზმის, ფედერალიზმის, კონფედერაციის შესახებ და საერთოდ რეგიონთა თვითმმართველობაზე, არადა, თუ თვალს გადავავლებთ საქართველოს მდიდარ ისტორიას, ნათლად დავინახავთ, რომ თვითმმართველობა საქართველოსთვის უცხო არ არის. მაგალითად, საქართველოს პირველმა მეფემ, ფარნავაზმა საერისთაოებს, მხარეებს, კუთხეებს, საათაბაგოებს შიდა საკითხების წარმართვაში სრული დამოუკიდებლობა მიანიჭა. მხოლოდ ზესახელწმიფოებრივი საკითხები იმართებოდა ცენტრალური ხელისუფლების მიერ.

დიდი ილიაც დადებითად ეკიდებოდა თვითმმართველობის საკითხებს. მისი აზრით, ამგვარი მმართველობა ხელს უმართავდა ქვეყნის კეთილდღეობას, აფხიზლებდა, ჭკუა-გონებას უხსნიდა ხალხს.

რეგიონალიზმი მრავალწახნაგოვანია. ის არა მარტო რეგიონთა შორის ეკონომიკური საკითხების მოგვარებას უწყობს ხელს, არამედ ეხმარება ქვეყნებს შორის მჭიდრო თანამშრომლობის ჩამოყალიბებას, კულტურის, მეცნიერების, სპორტის განვითარებას. რეგიონული დიპლომატია, თავისი ნიუანსებით საინტერესოა და ქვეყნისთვის არანაკლები სარგებლის მომტანი, ვიდრე კლასიკური დიპლომატია.

საპარლამენტო დიპლომატია

ზემოთ ჩამოთვლილი სხვადასახვა სახის დიპლომატიის გვერდით არსებობს საპარლამენტო დიპლომატია, რომელიც მრავალ დიპლომატიურ ნიუანსს შეიცავს. თანამედროვე მსოფლიოში, როდესაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება საკანონმდებლო ორგანოებს, როდესაც უცხო არ არის საერთაშორისო კონვენციებთან მიერთება, როდესაც ადგილი აქვს

სხვათა მიერ მიღებული კანონების საკუთარ ქვეყანაზე მორგებას, სხვისი საქმიანობის გამოცდილების შესწავლასა და გაზიარებას, ფასდაუდებელი სამსახურის გაწევა შეუძლია საპარლამენტო კავშირების ჩამოყალიბება-განმტკიცებას. აღნიშნული მიზნის მისაღწევად ხორციელდება დელეგაციების გაცვლა, ცალკეულ პარლამენტართა ურთიერთვიზიტები, მყარდება კავშირები. მთელი ეს საქმიანობა მიმდინარეობს პარლამენტის აპარატის საგარეო საკითხების სამსახურის მეშვეობით, რომელსაც პარლამენტის საგარეო სამინისტრო�з მოიხსენიებენ ხოლმე. საპარლამენტო დიპლომატია. ტერმინოლოგია დიდად არ განსხვავდება კლასიკურისაგან, მაგრამ შეუიარაღებელი თვალითაც შეიძლება სხვაობის აღმოჩენა, მასში ჭარბობს იურიდიული ტერმინოლოგია. საპარლამენტო დიპლომატია სერიოზულ აღმავლობას განიცდის და საპარლამენტო ცხოვრების განვითარებასთან ერთად, ისიც ვითარდება.

საერთაშორისო ორგანიზაციების დიპლომატია, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

საქართველო გაერის 179-ე წევრი სახელმწიფო, 1992 წლის 31 ივლისს გახდა, რამდენიმე თვით გვიან, ვიდრე ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები. გაეროში გაწევრიანების მთავარი დამაბრკოლებელი იყო 1991 წლის დეკემბრისა და 1992 წლის იანვრის თბილისის მოვლენები, ლეგიტიმური ხელისუფლების იარაღით დამხობა. გაეროს უშიშროების საბჭომ გაეროში საქართველოს გაწევრიანების რეკომენდაცია მას შემდეგ გასცა, რაც საქართველოს სახელმწიფო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება საყოველთაო არჩევნების ჩატარების თაობაზე.

საქართველოს გაეროში გაწევრიანებასთან დაკავშირებით გაეროს გენერალური ასამბლეის სხდომათა დარბაზში სიტყვა წარმოთქვა საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, საგარეო საქმეთა მინისტრმა, ალექსანდრე ჩიკვაიძემ. მან მოკლედ მიმოიხილა საქართველოს ისტორიული წარსული, მისი თანამედროვე გე-

ოპოლიტიკური მნიშვნელობა. ხაზი გაუსვა საქართველოს მოსახლეობისა და ხელისუფლების უდიდეს სურვილს შეუერთდეს მსოფლიოს ხალხთა უნიკალურ ოჯახს და შეასრულოს ყველა ის მოთხოვნა, რასაც ითვალისწინებს გაეროს წესდება. ჩიკვაიძემ აღნიშნა, რომ საქართველო მზად არის თავისი წვლილი შეიტანოს საერთაშორისო სტაბილურობაში, განიარაღების საქმეში, იბრძოლოს იმისათვის, რომ მხოლოდ მოლაპარაკების გზით გადაჭრას ნებისმიერი რეგიონული თუ სხვა კონფლიქტი, დაიცვას თავის ტერიტორიაზე მცხოვრები ეროვნული უმცირესობების უფლებები.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია საერთაშორისო ორგანიზაციების დიპლომატია. საერთაშორისო ორგანიზაციების ფართო განვითარებას მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აქვს ადგილი. მსოფლიოში არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომლის მუშაობაზე და ეფექტიან მოქმედებაზე, მსოფლიოს ყოფნა-არყოფნა არის დამოკიდებული. ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციების, როგორებიცაა გაეროს, ევროსაბჭოს, ევროკავშირის, სხვა რეგიონალური კავშირების, დიპლომატია მკვეთრად განსხვავდება ქვეყნებს შორის არსებული კლასიკური დიპლომატიისაგან. საერთაშორისო ორგანიზაციების დიპლომატია უფრო მრავალფეროვანია, ვიდრე ორ ქვეყანას შორის დიპლომატია. საერთაშორისო ორგანიზაციების დიპლომატები საჭიროებენ მრავალმხრივ ცოდნას. ერთდროულად, რამდენიმე სახელმწიფოს წარმომადგენელთან ურთიერთობის წარმართვის ხელოვნებას, ქვეყნების შესახებ გარკვეული ინფორმაციის ფლობას, მათი პრობლემების ცოდნას, სხვა მრავალი საკითხისათვის ყურადღების მიქცევას, რასაც ორმხრივი დიპლომატიის შემთხვევაში ნაკლებად აქვს ადგილი.

საერთაშორისო ურთიერთობების დარგში განსაკუთრებული ადგილი უკავია გაერთიანებული ერების ორგანიზაციას. ეს ის ორგანიზაციაა, რომელშიც თავმოყრილია განსხვავებული კულტურის, ტრადიციების, სოციალ-ეკონომიკური მოწყობის სახელმწიფოები. ორგანიზაციის უმთავრესი დანიშნულებაა მსოფლიო მშვიდობის განმტკიცება, ომისა და მშვიდობის საკითხების განხილვა, მსოფლიოს ხალხთა ეკონომიკურ-სოციალური პრობლემების შესწავლა და მათი

გაუმჯობესებისათვის ხელის შეწყობა. მსოფლიოში ძნელად თუ მოიძებნება ისეთი საერთაშორისო ორგანიზაცია, როგორიც გაეროა და რომელიც პროფესიონალურად იხილავს მსოფლიოში არსებულ ყველა საჭირბოროტო საკითხს.

გაეროსთან დაკავშირებით მოსწრებულად აღნიშნავს ჟოაო ფილესი: "გაერო ის ფორუმია, სადაც ჯუჯა პინჩერს ნებისმიერ დროს შეუძლია მიაშარდოს სპილოს".

გაეროს წარმოშობა დაკავშირებულია მეორე მსოფლიო ომთან, კაცობრიობის ფაშიზმზე გამარჯვებასთან. გაეროს შექმნაში დიდი წვლილი მიუძღვით მსოფლიოს ხალხებს, ანტიჰიტლერული კოალიციის წევრებს.

გაეროს წესდებაში ჩამოყალიბებულია გაეროს უმთავრესი მიზნები – გადაარჩინოს მსოფლიო ომის საშიშროებისაგან. ეს უსერიოზულესი საკითხი გაეროს უშიშროების საბჭოს პრეროგატივაა.

გაეროს ხშირად უწოდებენ მუდმივმოქმედ დიპლომატიურ კონფერენციას. გაეროს ფუნდამენტია წესდება, რომელიც 1945 წელს საფრანგეთში დამტკიცდა ანტიჰიტლერული კოალიციის სახელმწიფოთა წარმომადგენლების მიერ, ხოლო ძალაში შევიდა 1945 წლის 24 ოქტომბერს. სწორედ ეს დღე არის გაეროს დაბადების დღე.

გაეროს მიზნებია: საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის ხელის შეწყობა. ამისათვის ეფექტიანი კოლექტიური ღონისძიებების გატარება, მშვიდობის საწინააღმდეგო აგრესიული აქტების ჩახშობა. ხალხთა შორის მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბება და განვითარება. თანაფარდობისა და თვითგამორკვევის პრინციპების პატივისცემა. ეკონომიკური, კულტურული, ჰუმანიტარული, სოციალური საკითხების და პრობლემების მოგვარებისათვის ხელის შეწყობა და რაც მთავარია, ადამიანის უფლებების დაცვა.

თავის საქმიანობაში გაეროს სამდივნო და გაეროს წევრი თითქმის 200-მდე სახელმწიფო შემდეგი პრინციპებით ხელმძღვანელობენ: გაეროს წევრი ქვეყნების სუვერენული თანასწორობა, გაეროს წესდების პატიოსნად შესრულება, საერთაშორისო დაპირისპირების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტა, საფრთხის შესაჩერებლად ძალის გამოყენებისა-

გან თავის შეკავება, იმის უსრუნველყოფა, რომ არაწევრმა სახელმწიფოებმაც გაეროს წესდების შესაბამისად იმოქმედონ, საშინაო საქმეებში ჩაერევლობა და სხვა.

გაეროს ორგანოებია:

გენერალური ასამბლეა, უშიშროების საბჭო, ეკონომიკური და სოციალური საბჭო, სამეურვეო საბჭო, საერთაშორისო სამართალი და სამდივნო.

გაეროს პირველი წევრები:

არიან ის სახელმწიფოები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს სან-ფრანცისკოს დამფუძნებელ კონფერენციაში.

გაეროს დაფუძნებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა კავშირის, აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის და ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრების 1943 წლის მოსკოვის დეკლარაციას, აგრეთვე საბჭოთა კავშირის, აშშ-ს და დიდი ბრიტანეთის 1943 წლის თეირანის დეკლარაციას, დუმბარტონ-ოქსის 1944 წლის კონფერენციას, 1945 წლის ყირიმის კონფერენციის დადგენილებას და სან-ფრანცისკოს 1945 წლის გადაწყვეტილებას.

მოსკოვის 1943 წლის 30 ოქტომბრის დეკლარაციაში აღნიშნული იყო ისეთი ორგანოს შექმნის შესახებ, რომელიც ხელს შეუწყობდა საერთაშორისო მშვიდობის განმტკიცებას და რომელიც დაფუძნებული იქნებოდა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოების სუვერენული თანაფარდობის პრინციპებზე. გაეროს წესდების პროექტი შემუშავებული იქნა 1944 წლის აგვისტო-სექტემბრის დუმბარტონ-ოქსის (აშშ) კონფერენციაზე სსრკ, აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის და ჩინეთის მონაწილეობით. გაეროს წესდების საბოლოო ტექსტი შემუშავდა 1945 წლის 26 ივნისს ქ. სან-ფრანცისკოში. გაეროს წევრობა შეუძლია ყველა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს, რომელიც აღიარებს გაეროს წესდებას და შეეცდება მისი მოთხოვნების შესრულებას. ახალი წევრის მიღება ხდება უშიშროების საბჭოს რეკომენდაციითა და გენერალური ასამბლეის დადგენილებით.

გაეროდან გარიცხვა

გაეროს წევრი, რომელიც სისტემატურად არღვევს გაეროს წესდებას, გაეროს უშიშროების საბჭოს რეკომენდაციით, შეიძლება გაირიცხოს გაეროს წევრობიდან.

გაეროს ენები

გაეროს გენერალური ასამბლეის საპროცედურო წესდებიდან გამომდინარე, გენერალური ასამბლეის, მისი კომიტეტების და ქვეკომიტეტების სამუშაო ენებად მიჩნეულია ინგლისური, არაბული, ესპანური, ჩინური, რუსული და ფრანგული ენები.

ანალოგიური ვითარებაა უშიშროების საბჭოშიც.

გაეროს წესდებაში შესწორების შეტანა

გაეროს წესდებაში შესწორების შეტანა ხდება მაშინ, როდესაც გენერალური ასამბლეა მიიღებს ამას ხმათა 2/3-ით და უშიშროების საბჭოს ყველა მუდმივი წევრის მონაწილეობით.

გენერალური ასამბლეა

გენერალური ასამბლეა შედგება გაეროს ყველა წევრისაგან. წევრი სახელმწიფოს დელეგაცია შედგება არაუმეტეს 5 წევრისაგან, აგრეთვე 5 მოადგილის, მრჩევლის და ექსპერტისაგან.

გენერალური ასამბლეა უფლებამოსილია განიხილოს ნებისმიერი საკითხი და საქმე, რომელიც არ სცილდება გაეროს წესდების ჩარჩოებს ან შედის გაეროს ნებისმიერი ორგანოს უფლებამოსილებაში, გარდა იმ საკითხებისა, რომლებიც განიხილება უშიშროების საბჭოს მიერ.

ასამბლეა უფლებამოსილია განიხილოს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების საერთო პრინციპები, მათ

შორის ისეთი, რომლებიც არეგულირებს და განსაზღვრავენ შეიარაღების საკითხებს და რეკომენდაციებს იძლევიან აღნიშნულთან დაკავშირებით, გაეროს წევრთა და უშიშროების საბჭოსათვის.

გენერალური ასამბლეა იხილავს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის ხელის შემწყობ ნებისმიერ საკითხს, რომელიც იქნა დაყენებული გაეროს რომელიმე ორგანოს, უშიშროების საბჭოს ან გაეროს არაწევრი სახელმწიფოს მიერ. ყველა საკითხი, რომელიც საჭიროებს კონკრეტულ ქმედებას, გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ განსახილველად გადაეცემა უშიშროების საბჭოს.

ასამბლეა უფლებამოსილია, მიაპყროს გაეროს უშიშროების საბჭოს ყურადღება იმ ვითარებაზე, რომელიც ემუქრება საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებას.

გენერალური ასამბლეა რეკომენდაციებს იძლევა შემდეგი მიზნისათვის: პოლიტიკურ საკითხებში საერთაშორისო თანამშრომლობის ხელის შესაწყობად, საერთაშორისო სამართლის განვითარებისათვის დახმარების გასაწევად, აგრეთვე ეკონომიკური, სოციალური, კულტურის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში დახმარების გაწევის მიზნით. გამონაკლისს შეადგენს საკითხები, რომლებიც იხილება უშიშროების საბჭოში. გენერალური ასამბლეა იღებს და იხილავს უშიშროების საბჭოს ყოველწლიურ და სპეციალურ მოხსენებებს. გარდა ამისა, ასამბლეა იღებს და იხილავს გაეროს და სხვა ორგანოების მოხსენებებს.

გენერალური ასამბლეა იხილავს და ამტკიცებს ორგანიზაციის ბიუჯეტს, სპეციალიზებული ორგანიზაციების და დაწესებულებების საფინანსო და საბიუჯეტო ხელშეკრულებებს, აკონტროლებს და ამოწმებს სპეციალიზებული დაწესებულებების ადმინისტრაციულ ბიუჯეტს.

გენერალური ასამბლეა ირჩევს გაეროს უშიშროების საბჭოს არამუდმივ 10 წევრს, ეკონომიკური და სოციალური საბჭოს 54 წევრს. უშიშროების საბჭოსთან ერთად ირჩევს საერთაშორისო სასამართლოს მოსამართლეებს და უშიშროების საბჭოს რეკომენდაციით ნიშნავს გაეროს გენერალურ მდივანს. იღებს გაეროს ახალ წევრებს.

ასამბლეა აწესებს გაეროს სამდივნოს თანამშრომელთა დანიშვნის წესს.

ასამბლეა ამტკიცებს საერთაშორისო კონვენციებს ეკონომიკური და სოციალური, კულტურის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებში.

ქმელა ხელშეკრულება, რომელიც დადებულია სპეციალურ დაწესებულებებთან, საჭიროებს ასამბლეის თანხმობას.

გაეროს სესიები

გენერალური ასამბლეა არ არის მუდმივმოქმედი ორგანო. ის ყოველწლიურად იკრიბება მორიგ სესიაზე, რომელიც მუშაობას იწყებს ოქტომბრის მესამე სამშაბათს. გენერალური კომიტეტის რეკომენდაციით, გენერალური ასამბლეა, ყოველი წლის დასაწყისში, განსაზღვრავს სესიის დახურვის თარიღს. როგორც წესი, ყოველი მორიგი სესია სამ თვეს მუშაობს. გენერალურ ასამბლეას შეუძლია შეწყვიტოს ნებისმიერი სხდომა და გააგრძელოს ის მოგვიანებით. ასეთ დროს სესია 2-3 ნაწილისაგან შედგება.

სპეციალური სესია

გენერალურ ასამბლეას შეუძლია შეიკრიბოს სპეციალურ სესიაზე, თუ ასეთი მოთხოვნა არის უშიშროების საბჭოსგან. სპეციალური სესიის მოწვევის მოთხოვნა შეუძლია გაეროს წევრი სახელმწიფოების უმრავლესობას ერთი წევრის მოთხოვნის მხარის დაჭერის მიზნით. სპეციალური სესია მოიწვევა მას შემდეგ, რაც გაეროს გენერალური მდივანი ოფიციალურად მიიღებს სესიის მოწვევის მოთხოვნას. ასეთი სესია ინიშნება 15 დღის შემდეგ.

სპეციალური სესია შეიძლება მოწვეულ იქნას ნებისმიერ საკითხზე.

განსაკუთრებული საგანგებო სესიები

საგანგებო სესია მოიწვევა 24 საათის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც საგანგებო სესიის მოწვევის შესახებ მოთხოვნა წარედგინება გაეროს გენერალურ მდივანს. საგანგებო სესია მოიწვევა იმ შემთხვევაში, თუ მსოფლიო მშვიდობას საფრთხე ემუქრება ან რომელიმე რეგიონში განხორციელდა აგრესიის აქტი და უშიშროების საბჭო ვერ ახერხებს ქმედითი ზომების მიღებას, ვინაიდან მისი მუდმივი წევრი სახელმწიფოები ვეტოს უფლების გამოყენებით, აფერხებენ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებას.

სხდომათა გამართვის ადგილი

გენერალური ასამბლეა იმართება ნიუ-იორკში გაეროს შტაბ-ბინაში. გაეროს გენერალური ასამბლეა შეიძლება სხვაგანაც გაიმართოს, თუ ამის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულია წინა სესიაზე წევრი სახელმწიფოების უმრავლესობის მიერ.

სესიის სხვაგან გამართვის მოთხოვნა შეიძლება დააყენოს გაეროს ნებისმიერმა წევრმა, სესიის დაწესებული დღიდან 120 დღით ადრე. გენერალური მდივანი აღნიშნულ მოთხოვნას ატყობინებს გაეროს ყველა წევრს. მოთხოვნას თან ერთვის გენერალური მდივნის რეკომენდაცია. თუ მოთხოვნიდან 30 დღის განმავლობაში, გაეროს წევრი ქვეყნების უმრავლესობა მხარს დაუჭერს ამ წინადადებას, სესია გაიმართება სხვაგან.

თანამდებობის პირთა არჩევა

გენერალური ასამბლეის სესიის გახსნის დროს თავმჯდომარის ფუნქციას ასრულებს იმ დელეგაციის წევრი, რომლის შემადგენლობიდან იყო არჩეული ასამბლეის წინა თავმჯდომარე.

გენერალური ასამბლეა ირჩევს თავმჯდომარეს და თავმჯდომარის 21 მოადგილეს. ისინი ასრულებენ თავის მოვა-

ლეობას სესიის დასრულებამდე. თავმჯდომარის მოადგილეები აირჩევიან 7 მთავარი კომიტეტის თავმჯდომარის არჩევის შემდეგ. თავისი ფუნქციების შესრულებისას, თავმჯდომარე ემორჩილება გენერალურ ასამბლეას. თავმჯდომარე ან მისი შემცვლელი მოადგილე არ მონაწილეობს კენჭისყრაში, ისინი სთხოვენ საკუთარი დელეგაციის წევრს, მათ ნაცვლად უყარიოს კენჭი.

გაეროს 33-ე გენერალურმა ასამბლეამ დაადგინა, რომ გენერალური ასამბლეის თავმჯდომარის არჩევის დროს, მხედველობაში იყოს მიღებული გეოგრაფიული როტაციის პრინციპი. რაც შეეხება მოადგილეებს, ისინი აირჩევიან შემდეგი გეგმის მიხედვით: 6 წარმომადგენელი აფრიკიდან, 5 აზიიდან, 1 აღმოსავლეთ ევროპიდან, 3 ლათინური ამერიკიდან, 2 დასავლეთ ევროპიდან, 5 გაეროს მუდმივი წევრი სახელმწიფოდან. თუ თავმჯდომარე არის ერთ-ერთი რეგიონიდან, მაშინ ამ რეგიონიდან მოადგილეთა რიცხვი ერთით კლებულობს.

რეგიონული პრინციპით მოქმედებს მთავარი კომიტეტების არჩევნების პროცედურაც.

გაეროს გენერალურ მდივნად და მთავარი კომიტეტების თავმჯდომარეებად უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლები არ შეიძლება იქნან არჩეულები.

კენჭისყრა

გაეროს გენერალური ასამბლეის თითო წევრს აქვს 1 ხმა. გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილება მიიღება უმრავლესობით, როდესაც ასამბლეის სხდომას ესწრება წევრთა ორი მესამედი. ამ წესით მიიღება ისეთი საკითხები, როგორებიცაა: საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების განმტკიცებისათვის რეკომენდაციები, უშიშროების საბჭოს არამუდმივი წევრების არჩევა, სოციალურ-ეკონომიკური საბჭოს წევრების არჩევა, გაეროს ახალი წევრების მიღება, სამეურვეო საბჭოს წევრების არჩევა, ორგანიზაციის წევრების უფლებებისა და პრივილეგიების შეჩერება,

ორგანიზაციიდან მისი წევრების გარიცხვა, საბიუჯეტო და სამეურვეო საკითხების მიღება.

სხვა დანარჩენ საკითხებთან დაკავშირებით, გადაწყვეტილება მიიღება უბრალო უმრავლესობით იმათ მიერ, ვინც იღებს მონაწილეობას კენჭისყრაში. არჩევნები ტარდება ფარული კენჭისყით. არჩევნების გარდა, თუ სხვა საკითხებზე ხმები თანაბრად განაწილდა, მომდევნო სხდომაზე, რომელიც უნდა გაიმართოს პირველი კენჭისყრიდან 48 საათის განმავლობაში, ჩატარდება მეორე კენჭისყრა. განმეორებითი კენჭისყრის შესახებ აღინიშნება დღის წესრიგში. თუ მეორე კენჭისყრის დროს ხმები თანაბრად განაწილდა, მაშინ საკითხი არ იქნება მიღებული.

მუშაობის წესი

გაეროს გენერალური ასამბლეის მორიგ სესიას ოფიციალურად ხსნის იმ ქვეყნის დელეგაციის ხელმძღვანელი, ვისი დელეგაციის წევრიც წინა სესიაზე ასრულებდა თავმჯდომარის მოვალეობას. გენერალური ასამბლეის თავმჯდომარის წინადადებით, გენერალური ასამბლეა ნიშნავს უფლებამოსილების შემმოწმებელ კომიტეტს, ატარებს გენერალური ასამბლეის თავმჯდომარის და მოადგილეების, მთავარი კომიტეტებისა და სხვა თანამდებობების პირთა არჩევნებს.

დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ იწყება საერთო პოლიტიკური დისკუსიები, რომელიც 2-3 კვირას გრძელდება. საერთო კამათის დამთავრების შემდეგ, დღის წესრიგის პუნქტები ასამბლეის პლენარულ სხდომებზე ან მთავარ კომიტეტებში განიხილება.

გენერალური ასამბლეის სასესიო ორგანოები, მთავარი კომიტეტები

მთავარი კომიტეტისათვის საკითხის გადაცემა შესაბამისობიდან გამომდინარე ხდება. თვით კომიტეტს უფლება არ აქვს საკუთარი განხილვის საგნად აქციოს საკითხი.

გენერალური ასამბლეის მთავარი კომიტეტებია:

პირველი კომიტეტი – მას ეხება განიარაღება და მასთან დაკავშირებული საკითხები. სპეციალური პოლიტიკური კომიტეტი – იხილავს პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებს.

მეორე კომიტეტი – მას ეკონომიკური და საფინანსო საკითხები ეხება.

მესამე კომიტეტი – ეს კომიტეტი იხილავს სოციალურ, ჰუმანიტარულ და კულტურის საკითხებს.

მეოთხე კომიტეტი – დეკოლონიზაციის საკითხებს.

მეხუთე კომიტეტი – ადმინისტრაციულ და საბიუჯეტო საკითხებს.

მეექვსე კომიტეტი – იხილავს სამართლებრივ საკითხებს.

სესიის მუშაობის დასრულების ვადის გათვალისწინებით, თითოეული კომიტეტი ადგენს საკუთარი კომიტეტის მუშაობის გეგმას და აყალიბებს კომიტეტისათვის გადაცემული საკითხების განხილვის რიგითობას. საკითხის განხილვის შემდეგ, კომიტეტი შესაბამისი რეკომენდაციით და მოხსენებით 'შედის გენერალურ ასამბლეაში საკითხის დასამტკიცებლად.

თითოეული კომიტეტი ირჩევს თავმჯდომარეს, ორ მოადგილეს და მომხსენებელს გეოგრაფიული კუთვნილებიდან, აგრეთვე კანდიდატის გამოცდილებიდან და ცოდნიდან გამომდინარე.

გაეროს თითოეულ წევრს უფლება აქვს კომიტეტში წარადგინოს თავისი ერთი წარმომადგენელი.

საპროცედურო კომიტეტები

გენერალური ასამბლეის მუშაობის პერიოდში მოქმედებს 2 საპროცედურო კომიტეტი: გენერალური კომიტეტი და კომიტეტი, რომელიც აწარმოებს უფლებამოსილებათა შემოწმებას. ყოველი სესიის დასაწყისში საპროცედურო კომიტეტებს ირჩევს გენერალური ასამბლეა და მთავარი კომიტეტები.

გენერალური კომიტეტი

გენერალური კომიტეტი შედგება გენერალური ასამბლეის თავმჯდომარისაგან. ის თავმჯდომარეობს კომიტეტს. გარდა თავმჯდომარისა, მასში შედის მისი 21 მოადგილე და 7 მთავარი კომიტეტის თავმჯდომარე. გენერალურ კომიტეტში არ შეიძლება შედიოდეს თითო დელეგაციის ერთ წარმომადგენელზე მეტი. გენერალური კომიტეტის სხდომებს შეიძლება დაესწროონ სხვა კომიტეტების წარმომადგენლებიც, თუმცა მათ არა აქვთ ხმის უფლება.

ყოველი სესიის დასაწყისში გენერალური კომიტეტი წინასწარ განიხილავს ასამბლეის სესიის დღის წესრიგს, განსახილველ დამატებით პუნქტებს და გენერალურ ასამბლეას წარუდგენს განსახილველად და დასამტკიცებლად. დამატებით პუნქტებს თან აქვს დართული გენერალური კომიტეტის რეკომენდაციები: დამატებითი პუნქტების დღის წესრიგში შეტანა-არშეტანასთან, ან სხვა სესიის განსახილველი დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით.

გენერალური კომიტეტი გენერალურ ასამბლეაში წარადგენს წინადადებას სესიის დასრულების თარიღთან დაკავშირებით. გენერალური კომიტეტი ეხმარება გენერალური ასამბლეის თავმჯდომარეს თითოეული პლენარული სხდომის დღის წესრიგის შედგენაში, აგრეთვე განსახილველი საკითხების რიგითობის ჩამოყალიბებასა და ასამბლეის კომიტეტების მუშაობის კოორდინაციაში. კომიტეტი არ იღებს არავითარ გადაწყვეტილებას პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით.

უფლებამოსილებათა შემოწმების კომიტეტი – იქმნება ასამბლეის ყოველი სესიის დაწყების წინ. ის 9 წევრისაგან შედგება. მას ნიშნავს გენერალური ასამბლეა თავმჯდომარის წარდგინებით. კომიტეტი ირჩევს თავის თანამდებობის პირებს, ამოწმებს წარმომადგენლობის უფლება-მოვალეობას და უმალ წარადგენს მოხსენებას ასამბლეის განსახილველად. ნებისმიერი დელეგაციის წარმომადგენელი, რომლის მიმართ სხვა დელეგაციას აქვს ნეგატიური დამოკიდებულება, დროებით მონაწილეობს სხდომაში, ვიდრე კომიტეტი არ შეამოწმებს მის უფლებამოსილებას. მხოლოდ ამის შემდეგ განიხილავს გენერალური ასამბლეა მის საკითხს.

გენერალური ასამბლეის მუდმივი და დამხმარე ორგანოები

გენერალურ ასამბლეას დახმარებას უწევს ორი მუდმივმოქმედი კომიტეტი – ადმინისტრაციულ-საბიუჯეტო-საკონსულტაციო კომიტეტი და შენატანების კომიტეტი.

გაეროს წესდების 22-ე მუხლის შესაბამისად, გენერალურ ასამბლეას აქვს უფლება დააფუძნოს ისეთი დამხმარე ორგანოები, რომლებიც დახმარებას გაუწევს მას თავისი ფუნქციების შესრულებაში.

გაეროს მუდმივმოქმედი კომიტეტებია: ეკონომიკური და საფინანსო, სოციალური, ჰუმანიტარული და კულტურის, მეურვეობისა და არათვითმმართველი ტერიტორიების, ადმინისტრაციული და საბიუჯეტო, სამართლებრივი სპეციალური კომიტეტი, რომელიც შექმნილია პირველი კომიტეტის დასახმარებალად.

საწევრო გადასახადის შესახებ

გაეროს წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან, გადაიხადონ გაეროს საწევრო, რომლის მოცულობა განსხვავდება ქვეყნების მიხედვით. საწევროს გადაუხდელობის შემთხვევაში, წევრ სახელმწიფოს ხმის მიცემის უფლება ერ-

თმევა. გამონაკლისს შეადგენს შემთხვევა, როდესაც გენერალური ასამბლეა ჩათვლის, რომ გადაუხდელობა გამოწვეულია სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელი გარემოებით. საწევროს გადახდასთან დაკავშირებით, საქართველოს სერიოზული პრობლემები ჰქონდა შექმნილი დღიდან გაწევრიანებისა, მრავალი წლის განმავლობაში, რაც ნაკლებად შეიძლება მივაწეროთ "სახელმწიფოსგან დამოუკიდებელ გარემოებებს", უბრალოდ ეს გამოწვეული იყო, როგორც სამინისტროების – საგარეო და ფინანსთა, ისე, ქვეყნის ხელმძღვანელობის აღნიშნული საკითხისადმი არასერიოზული დამოკიდებულებით. მაღალჩინოსანთა განცხადებები "არა უშავს, გვაპატიებენ" მიუთითებდა საქმის არცოდნასა და საერთაშორისო საკითხებში გაუთვითცნობიერებლობას.

ნაშრომის მიზანი არ არის გაეროს ორგანოების დაწვრილებითი განხილვა. ყურადღებას შევაჩერებთ მხოლოდ რამდენიმეზე, რომელთა ფუნქციების ცოდნა ნებისმიერ შემთხვევაში აუცილებელია მომავალი დიპლომატებისათვის.

უშიშროების საბჭო

გაეროს უშიშროების საბჭო შედგება გაეროს 5 მუდმივი წევრისაგან, ესენია: აშშ, რუსეთი, ჩინეთი, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი. გენერალური ასამბლეა საკუთარი შემადგენლობიდან ორი წლის ვადით ირჩევს 10 არამუდმივ წევრს. არამუდმივი წევრის არჩევისას მხედველობაში მიიღება გეოგრაფიული პრინციპი და მშვიდობის განმტკიცების საქმეში შეტანილი წვლილი.

გენერალური ასამბლეის მე-19 სესიაზე, რომელიც 1963 წლის 17 დეკემბერს გაიმართა, 1991-ე რეზოლუციით გადაწყდა გაეროს არამუდმივი წევრების გაზრდა 6-დან 10-მდე. გადაწყდა არჩევის კვოტებიც, რომლის მიხედვით დაწესდა, თუ რამდენი წარმომადგენელი შეიძლება იყოს მსოფლიოს ამა თუ იმ რეგიონიდან.

გაეროს წესდების თანახმად, უშიშროების საბჭო არის მთავარი ორგანო მსოფლიო მშვიდობისა და უსაფრთხოების განმტკიცების საქმეში.

საერთაშორისო კონფლიქტის წამოჭრის შემთხვევაში, უშიშროების საბჭოს შეუძლია მოსთხოვოს მხარეებს მშვიდობიანი გზით საკითხის მოგვარება.

უშიშროების საბჭო უფლებამოსილია, გამოიძიოს ნებისმიერი საკამათო საკითხი, ან ნებისმიერი კონფლიქტური ვითარება, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს საერთაშორისო დაძაბულობა, კამათი, არასასურველი დაპირისპირება.

ორგანიზაციის ნებისმიერ წევრს უფლება აქვს ინფორმაცია მიაწოდოს უშიშროების საბჭოს ნებისმიერი საკამათო საკითხის შესახებ. უშიშროების საბჭოსათვის შეიძლება მსგავსი ინფორმაციის მიწოდება გაეროს არაწევრი ქვეყნების მიერაც.

უშიშროების საბჭოს შეიძლება მიმართოს გენერალურმა ასამბლეამ და გაეროს გენერალურმა მდივანმა, რათა მან ყურადღება მიაქციოს საკითხს, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს მსოფლიოს მშვიდობისა და უსაფრთხოების გაუარესება.

უშიშროების საბჭო განსაზღვრავს მსოფლიო მშვიდობისათვის ნებისმიერ საფრთხეს, მშვიდობის დარღვევის ფაქტებს, აგრესიის აქტს და იძლევა რეკომენდაციებს ან წყვეტს, რა ზომები შეიძლება იქნას მიღებული მსოფლიო მშვიდობის განმტკიცებისათვის. გაეროს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილება სავალდებულოა გაეროს წევრი სახელმწიფოებისათვის.

უშიშროების საბჭო უფლებამოსილია გადაწყვიტოს, რა ზომები შეიძლება იქნას გამოყენებული აგრესიის შესაჩერებლად, შეიარაღებული ძალების გამოყენების გარეშე.

ეს ზომები შეიძლება იყოს სრული ან ნაწილობრივი ეკონომიკური სანქციები, აგრეთვე კომუნიკაციების სრული ან ნაწილობრივი შეჩერება, გარდა ამისა, დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტა.

უშიშროების საბჭოს შეუძლია აგრესიის წინააღმდეგ გამოიყენოს შეიარაღებული ძალები, მაგრამ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება, თუ ზემოთ ჩამოთვლილ ზომებს არ მოჰყვება პოზიტიური შედეგი. გაეროს წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან, უშიშროების საბჭოს განკარგულებაში გადასცენ მშვიდობის განმტკიცებისათვის საჭირო შეიარაღებული ძალების კონტიგენტი, აგრეთვე გაუწიონ სხვა სახის დახმარება, მათ შორის მომსახურება, თავისუფალი გასასვლელის შექმნა და სხვა. შეთანხმების შედეგად განისაზღვრება ჯარის რაოდენობა, შეიარაღების ხარისხი, დამხმარე საშუალებები და სხვა. შეთანხმება მიიღება უშიშროების საბჭოსა და სახელმწიფოთა შორის. მას სახელმწიფო უკეთებს რატიფიკაციას.

უშიშროების საბჭო გაეროს გენერალურ ასამბლეას აძლევს რეკომენდაციას ახალი წევრის მიღებასთან დაკავშირებით, "სტრატეგიულ რაიონებში" ახორციელებს გაეროს ფუნქციებს მეურვეობასთან დაკავშირებით, გენერალურ ასამბლეას აძლევს რეკომენდაციებს გაეროს გენერალური მდივნის თანამდებობაზე, გენერალურ ასამბლეასთან ერთად ირჩევს საერთაშორისო სასამართლოს მოსამართლეებს, გენერალურ ასამბლეას უდგენს ყოველწლიურ და სპეციალურ მოხსენებებს.

კენჭისყრა და პროცედურები

უშიშროების საბჭოს თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმა. უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილება საპროცედურო საკითხებში მიღებულად ითვლება, როდესაც მას მხარს დაუჭერს საბჭოს 9 წევრი.

უშიშროების საბჭოს დანარჩენ საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, როდესაც საკითხს 9 წევრი უჭერს მხარს, მათ შორის ყველა მუდმივი წევრი, თუმცა ამ შემთხვევაში, კამათში მონაწილე მხარემ თავი უნდა შეიკავოს კენჭისყრისაგან.

უშიშროების საბჭო ისე არის შექმნილი, რომ მუდმივად იმუშაოს. საბჭოს შეუძლია პერიოდული სხდომების გამარ-

თვა, რომლის დროს თითოეულ მის წევრს, საკუთარი სურვილიდან გამომდინარე, შეუძლია საკუთარი ქვეყნის წარდგენა. ქვეყნის სახელით შეიძლება გამოვიდნენ ქვეყნის მეთაური, პრემიერ-მინისტრი, საგარეო საქმეთა მინისტრი. საბჭოს სხდომა შეიძლება გაიმართოს სხვაგან, თუ ის საბჭოს საჭირო მოთხოვნებს აკმაყოფილებს.

უშიშროების საბჭოს სხდომა მიმდინარეობს თავმჯდომარის ხელმძღვანელობით. თავმჯდომარეობა როტაციულია და იცვლება ქვეყნების დასახელებიდან გამომდინარე, ლათინური ანბანის მიხედვით. თითოეული თავმჯდომარე თანამდებობას ერთი კალენდარული თვის განმავლობაში იკავებს. სხდომები ტარდება ორჯერ საბჭოს მიერ დადგენილ დროს.

უშიშროების საბჭო თავად ადგენს საკუთარი პროცედურების წესებს. მას შეუძლია დამხმარე სამსახურის შექმნაც, საკუთარი მუშაობის გაადვილების მიზნით. ასეთად შეიძლება ჩაითვალოს მუდმივმოქმედი ან დროებითი სპეციალური კომიტეტები, რომლებიც ანგარიშვალდებული არიან უშიშროების საბჭოს წინაშე.

უშიშროების საბჭოს დამხმარე ორგანოებია: სამხედრო-საშტაბო კომიტეტი, ექსპერტების კომიტეტი, ახალი წევრების მიღების კომიტეტი, სოციალური კომიტეტი და სხვა.

საერთაშორისო სასამართლო

საერთაშორისო სასამართლო მდებარეობს ჰაგაში (ნიდერლანდები). ის არის გაეროს მთავარი სასამართლო ორგანო. შეიქმნა 1945 წელს. ანალოგიური ორგანო ფუნქციონირებდა ერთა ლიგაშიც. მას საერთაშორისო მართლმსაჯულების მუდმივმოქმედი პალატა ერქვა. საერთაშორისო სასამართლო მოქმედებს საკუთარი სტატუსის მიხედვით, რომელიც გაეროს წესდების განუყოფელი ნაწილია.

ფუნქციები

სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს ქვეყნებს შორის არსებული სამართლებრივი ხასიათის საკამათო საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საერთაშორისო ხელშეკრულების მოთხოვნების დარღვევასთან. ის იღებს გადაწყვეტილებას ყველა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომელსაც მას გადასცემს რომელიმე სახელმწიფო. გენერალური ასამბლეის, ან უშიშროების საბჭოს და გაეროს სხვა ორგანოების თხოვნაზე სასამართლო იძლევა საკონსულტაციო სახის განმარტებას, სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, რომელსაც არა აქვს სავალდებულო სახე.

შემადგენლობა და სტრუქტურა

საერთაშორისო სასამართლო 15 წევრისაგან შედგება, მის შემადგენლობაში არ შეიძლება იყოს ორი წარმომადგენელი ერთი ქვეყნიდან. წევრებს ირჩევს გენერალური ასამბლეა და უშიშროების საბჭო. კენჭისყრა ცალ-ცალკე ტარდება. მხედველობაში იღებენ პროფესიონალურ თვისებებს და არა მოქალაქეობას. არჩეულად ითვლება ის კანდიდატი, რომელმაც აბსოლუტური ხმების უმრავლესობა დააგროვა გენერალურ ასამბლეაზე და უშიშროების საბჭოში. სასამართლოს წევრს 9 წლით ირჩევენ. სასამართლოს წევრებს არ შეუძლიათ შეასრულონ პოლიტიკური ან ადმინისტრაციული დავალებები. მათ არც სხვა პროფესიონალური საქმიანობის შესრულების უფლება აქვთ. სასამართლოს წევრებს, თავიანთი უფლებამოსილების განმავლობაში, აქვთ დიპლომატიური პრივილეგიები და იმუნიტეტი.

სასამართლო სამი წლით ირჩევს თავმჯდომარეს და ვიცე - თავმჯდომარეს. მათი გადარჩევა შესაძლებელია. სასამართლო ნიშნავს თავის მდივანს.

სასამართლოს შემუშავებული აქვს რეგლამენტი, რომელიც განსაზღვრავს ფუნქციათა შესრულების წესს, ადგენს სასამართლო წარმოების წესს.

სასამართლოს, აუცილებლობიდან გამომდინარე, შეუძლია შექმნას ჯგუფი ერთი ან სამზე მეტი მოსამართლისაგან, გარკვეული კატეგორიის საქმეების განსახილველად, მაგალითად, შრომით საკითხებთან, ან კავშირგაბმულობა-ტრანზიტთან დაკავშირებით. ჯგუფებს შეუძლიათ არა მარტო საქმის განხილვა, არამედ გადაწყვეტილების მიღებაც, თუკი ამის შესახებ ითხოვენ მხარეები. ჯგუფებს შეუძლიათ ჰაეგის გარეთაც ჩაატარონ სხდომები.

სასამართლო განხილვის დროს, მხარეებად შეიძლება წარმოდგენილი იყოს მხოლოდ სახელმწიფო. სასამართლოს შეუძლია მიმართოს საერთაშორისო ორგანიზაციებს მის განხილვაში არსებულ საქმეზე ინფორმაციის მიწოდებისათვის. გარდა ამისა, მას უფლება აქვს მიიღოს ანალოგიური ინფორმაცია საერთაშორისო ორგანიზაციის ინიციატივით.

საერთაშორისო სასამართლოში საქმე აღიძვრება გარემოებებიდან გამომდინარე ან სასამართლოს მდივნისადმი გაგზავნილი წერილის საფუძველზე. ყველა შემთხვევაში გამოკვეთილი უნდა იყოს კამათის საგანი და მხარეები. სასამართლოს შეიძლება მიმართონ გაეროს წევრმა სახელმწიფოებმა, აგრეთვე არაწევრმა სახელმწიფოებმაც უშიშროების საბჭოს თანხმობით.

მხარეები სასამართლოში წარდგენილი არიან თავიანთი წარმომადგენლებით. მათ უფლება აქვთ ისარგებლონ ნდობით აღჭურვილ პირთა ან ვექილთა დახმარებით.

სასამართლო საქმის წარმოება შედგება ორი ნაწილისაგან — ზეპირი და წერილობითი. წერილობითი საქმიანობა შედგება სასამართლოსადმი და მხარეებისადმი წარდგენილი მემორანდუმების, კონტრმემორანდუმების, მათზე პასუხების და სხვა საბუთებისაგან. ზეპირი — სასამართლოს მიერ მოქმედების, ექსპერტების, ნდობით აღჭურვილი პირების და ვექილების გამოსვლებისაგან.

სასამართლოს სხდომა მიმდინარეობს დახურულ შენობაში და საიდუმლოდ. ყველა საკითხი წყდება დამსწრე მოსამართლეთა ხმების უმრავლესობით. გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

სასამართლოს ოფიციალური ენებია ფრანგული და ინგლისური. სასამართლო ვალდებულია, ნება დართოს მხა-

რეებს, გამოიყენონ ფრანგულისა და ინგლისურის გარდა, სხვა ენა, თუკი არის ასეთი თხოვნა. სასამართლოს გადაწყვეტილება შედგენილია ფრანგულ ან ინგლისურ ენებზე. სასამართლოს შეუძლია გასცეს საკონსულტაციო დასკვნა (განმარტება) ნებისმიერ იურიდიულ საკითხზე, გაეროს წესდებით განსაზღვრული ორგანოების მოთხოვნაზე. სასამართლო საკონსულტაციო დასკვნას ახმოვანებს ღია სხდომაზე.

ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო

აღნიშნული ორგანიზაცია არის სამთავრობათშორისი ორგანო. წესდების მიხედვით, სააგენტო მოწოდებულია იყოს ისეთი ორგანო, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ბირთვული ენერგიის სწრაფ და ფართო გამოყენებას მსოფლიო მშვიდობის განმტკიცების, ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის განვითარებისათვის მთელს მსოფლიოში. ორგანიზაცია მოწოდებულია იმისათვის, რომ არ მოხდეს ბირთვული იარაღის სამხედრო თვალსაზრისით გამოყენება. სააგენტოს წესდება ძალაში შევიდა 1957 წელს.

ორგანიზაცია ერთადერთია მსოფლიოში, რომელიც დაკავებულია ბირთვული ენერგიის გამოყენების მონიტორინგით. ორგანიზაციის წევრებად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებია, მათ შორის ისინიც, ვინც ახორციელებენ სამშვიდობო ბირთვულ ენერგიასთან დაკავშირებულ კვლევით სამუშაოებს.

ორგანიზაცია შედის გაეროს საერთო სისტემაში, მაგრამ ის არ წარმოადგენს სპეციალიზებულ დაწესებულებას. მას გაეროსთან სპეციალური ხელშეკრულება აკავშირებს. ხელშეკრულების მიხედვით, სააგენტო გენერალურ ასამბლეას წარუდგენს ყოველწლიური მუშაობის ანგარიშს. აუცილებლობის შემთხვევაში, მსგავსი ანგარიში შეიძლება წარედგინოს უშიშროების საბჭოსაც.

სააგენტო თავის საქმიანობას ახორციელებს გაეროს მიზნებისა და პრინციპების შესაბამისად, რომლებიც მიმართულია მსოფლიო მშვიდობისა და უსაფრთხოების განმტკი-

ცებისათვის. სააგენტოს მუშაობა პირდაპირ უკავშირდება მსოფლიო მშვიდობის განმტკიცებას და ამ საქმისადმი საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას. სააგენტოს უმთავრესი ამოცანაა სამშვიდობო საქმისათვის ბირთვული ენერგიის წარმოებაზე შესაბამისი კონტროლის განხორციელება. ბირთვული იარაღის გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებების შემუშავება. სააგენტო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იმ სახელმწიფოებს, რომლებიც აქტიურად არიან ჩართული ბირთვულ კვლევებში, რათა არ მოხდეს სამშვიდობოდან, ბირთვული იარაღის წარმოებაზე გადართვა.

სააგენტოს სტრუქტურა

სააგენტოს ხელმძღვანელი ორგანოებია — გენერალური კონფერენცია და მმართველთა საბჭო. გენერალური კონფერენციის სესიის მუშაობაში, რომელიც წელიწადში ერთხელ იმართება, მონაწილეობის მიღება შეუძლია სააგენტოს წევრ ქვეყნებს. მმართველთა საბჭოში, რომელიც ახორციელებს ოპერატიულ ხელმძღვანელობას, 35 ქვეყნის წამომადგენელი შედის. მათგან 22 აირჩევა გენერალურ კონფერენციაზე, ხოლო 13 ინიშნება ბირთვული ტექნოლოგიის საქმეში გამოცდილების მქონე ქვეყნებიდან. სააგენტოს სამდივნოში 600-ზე მეტი სპეციალისტი მუშაობს და 700-ზე მეტი დამხმარე პერსონალი. სამდივნოს მთავარი ადმინისტრაციული პირია გენერალური დირექტორი. ის არის ორგანიზაციის მუშაობის წარმმართველ-განმსაზღვრელი. მას მმართველთა საბჭო ნიშნავს და ამტკიცებს გენერალური კონფერენცია. მუშაობის ანგარიშს გენერალური დირექტორი მმართველთა საბჭოს წარუდგენს.

სააგენტოს შემადგენლობაში შედის სამეცნიერო-საკონსულტაციო კომიტეტი, რომელიც 15 ავტორიტეტული მეცნიერისგან შედგება. კომიტეტი შეიმუშავებს გენერალური დირექტორისათვის რეკომენდაციებს. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, კომიტეტი გარკვეულ როლს ასრულებს სააგენტოს სამეცნიერო-ტექნიკური საქმიანობის დარგში.

გაეროს სამდივნო ერთ-ერთი მთავარი ორგანოა. სწორედ ის არის მთავარი ძრავი გაეროს სხვა ორგანოების ნორმალური მუშაობის უზრუნველყოფის საქმეში, მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილების ცხოვრებაში გატარებაში, გაეროს პროგრამებისა და პოლიტიკური გადაწყვეტილებების განხორციელებაში.

სამდივნოს ქვედანაყოფები განთავსებულია გაეროს მთავარ შენობაში, ნიუ-იორკში, გარდა ამისა, სხვა ქვეყნებში, სადაც არსებობს გაეროს შტაბ-ბინები. ფილიალებიდან ყველაზე მსხვილია გაეროს განყოფილებები ჟენევაში და ვენაში. გაეროს თანამშრომელთა საერთო რაოდენობა 2000-ს აღწევს.

გაეროს სამდივნოს სათავეში უდგას გენერალური მდივანი, რომელიც არის მთავარი ადმინისტრაციული თანამდებობის პირი. გენერალური მდივანი ინიშნება გენერალური ასამბლეის მიერ უშიშროების საბჭოს რეკომენდაციით, 5 წლით. გენერალური ასამბლეა, დახურულ სხდომებზე, განიხილავს გენერალური მდივნის საკითხს და ფარული კენჭისყრით ირჩევს მას. გენერალური მდივნის უფლებამოსილების ვადა შეიძლება გაგრძელდეს. არჩევის შემდეგ გენერალური მდივანი დებს ფიცს, ან აკეთებს ზეპირ განცხადებას გენერალური ასამბლეის ღია სხდომაზე.

გენერალური მდივანი ახორციელებს საერთო დირექტორულ ხელმძღვანელობას სამდივნოს ყველა ძირითად ორგანიზაციებთან, აკონკრეტებს გაეროს მუშაობის პროგრამებს. გენერალური მდივანი თავისი პერსონალით უზრუნველყოფს გენერალური ასამბლეის სხდომის ჩატარებას, სხვა მთავარი და დამხმარე ორგანოების, აგრეთვე სპეციალური ორგანიზაციების მუშაობას. გენერალური მდივანი მონაწილეობას ღებულობს გენერალური ასამბლეის, კომიტეტებისა და ქვეკომიტეტების, აგრეთვე უშიშროების საბჭოს მუშაობაში, ეკონომიკური და სოციალური საბჭოს და სამეურვეო საბჭოს სხდომებში. მას შეუძლია დაავალოს სამდივნოს სხვა მუშაკს, შეცვალოს ის აღნიშნულ სხდომებზე. გარდა ადმინისტრაციული ფუნქციებისა, გენერალური მდივნის კომპე-

ტენციაშია პოლიტიკური სახის ფუნქციებიც. ის ეხმარება ქვეყნებს, მათ შორის წამოჭრილი კონფლიქტის დარეგულირებაში, გარდა ამისა, უფლება აქვს გაამახვილოს უშიშროების საბჭოს ყურადღება ყველა იმ საკითხზე, რომელიც ეხება საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფთხოებას. თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ის იღებს ფართო გადაწყვეტილებებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და ჰუმანიტარულ საკითხებში. ყოველწლიურად ის გენერალურ ასამბლეას წარუდგენს სამდივნოს მუშაობის ანგარიშს. გაეროს დავალებით, გენერალური მდივანი წარმომადგენლობით ფუნქციასაც ასრულებს.

გაეროს წესდების მიხედვით, სამდივნოს მუშაკებს, ნიშნავს გენერალური მდივანი. სამსახურში მიღების მთავარ კრიტერიუმად ითვლება კომპეტენტურობა, შრომისუნარიანობა, კეთილსინდისიერება. გარდა ამისა, მხედველობაში იღებენ ფართო გეოგრაფიულ სპექტრს, ანუ სამართლიან გეოგრაფიულ განაწილებას.

თანამშრომლების სამსახურში მიღება ხორციელდება მუდმივი კონტრაქტის საფუძველზე. კონტრაქტის გაფორმებისას თანამშრომელი ფიცს დებს გაეროს პრინციპებისა და იდეალებისადმი ერთგულებაში.

გენერალური მდივანი და სამდივნოს მუშაკები არ უნდა იღებდნენ თხოვნებს იმ ქვეყნების ხელისუფლებისგან, რომელთაც არა აქვთ კავშირი გაეროსთან. გაეროს წევრმა სახელმწიფოებმა პატივი უნდა სცენ გენერალური მდივნის საქმიანობას. ანალოგიური მიდგომა უნდა ჰქონდეთ სამდივნოს ნებისმიერი მუშაკისადმი. ისინი არ უნდა შეეცადონ, გავლენა იქონიონ მათზე, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს.

სამდივნოს სტრუქტურა

სამდივნოს სტრუქტურა შემდეგნაირია: გენერალური მდივნის ადმინისტრაციული კანცელარია, რომელიც ეხმარება გენერალურ მდივანს საერთო პოლიტიკის შემუშავებაში, სამდივნოს მუშაობისა და კოორდინაციის განხორციელება-

ში, სხვადასხვა ქვეყნის მთავრობასთან ურთიერთობაში, დელეგაციებთან, პრესასთან და საზოგადოებასთან კავშირების დამყარებაში. მონაწილეობას ღებულობს გენერალური ასამბლეის მომზადების საორგანიზაციო საქმეში, ახორციელებს დოკუმენტებზე კონტროლს, ადგენს მონაცემთა ნუსხას და თვალყურს ადევნებს სამდივნოს მუშაკთა შეებულების საქმეს. გარდა ამისა, ახორციელებს პროტოკოლისა და წარმომადგენლობით ფუნქციებს.

ადმინისტრაციულ კანცელარიას ხელმძღვანელობს კაბინეტის ხელმძღვანელი. ადმინისტაციულ კანცელარიაში ცალკე ქვედანაყოფად შედის პროტოკოლისა და კავშირების ჯგუფი, გენერალური დირექტორის კანცელარია განვითარების და საერთაშორისო-ეკონომიკურ საკითხებში. ეს სამსახური დაწესდა გენერალური ასამბლეის რეზოლუციის შესაბამისად 1977 წელს, გენერალური მდივნისათვის ქმედითი დახმარების გასაწევად.

გენერალური დირექტორი პასუხისმგებელია გაეროს ეკონომიკური დარგის დანაყოფების ხელმძღვანელობა-განვითარებისა და საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხებზე, აგრეთვე ეკონომიკისა და სოციალურ სფეროებში გამართული ყველა სახის ღონისძიების კოორდინაციაზე. გენერალური დირექტორი არის ეკონომიკურ-სოციალური საკითხებზე, გაეროს ცენტრალურ მექანიზმებსა და გაეროს შესაბამის ორგანოებს შორის მთავარი დამაკავშირებელი. ის უზრუნველყოფს გაეროს წარმომადგენლობას მნიშვნელოვან საერთაშორისო ფორუმებზე, რომლებიც უკავშირდება სახელმწიფოთაშორის ეკონომიკურ კავშირებს. გენერალური დირექტორი ხელმძღვანელობს და კოორდინაციას უწევს გაეროს კონფერენციის მომზადება-ჩატარების საკითხებს ყველა თემაზე, რაც შეეხება ეკონომიკასა და სოციალურ დარგებს.

ამ სამსახურს ხელმძღვანელობს სპეციალურ-პოლიტიკურ საკითხებში გაეროს გენერალური მდივნის მოადგილის კანცელარია, გენერალური მდივნის ორი მოადგილე. კანცელარია უწევს კონსულტაციებს გენერალურ მდივანს, ახორციელებს მონიტორინგს მსოფლიოს ცხელ წერტილებში მყოფ გაეროს შეიარაღებულ ძალებზე, მონიტორინგი ხორ-

ციელდება გაეროს უშიშროების საბჭოსა და გენერალური ასამბლეის მოთხოვნებიდან გამომდინარე.

კანცელარია დაკავებულია აგრეთვე ახლო აღმოსავლეთისა და კვიპროსის საკითხების მშვიდობიანი მოგვარების პრობლემებით.

სპეციალური საკითხების კანცელარიას ხელმძღვანელობს გენერალური მდივნის მოადგილე. ის კონსულტაციას უწევს გენერალურ მდივანს კონკრეტულ პოლიტიკურ საკითხებში, გარდა ამისა, გენერალური მდივნის დავალებით ახორციელებს დიპლომატიურ მისიებს და სხვა დავალებებს. მის შემადგენლობაში შედის ეკონომიკური დახმარების პროგრამების სპეციალური ჯგუფი, რომელსაც ევალება ეკონომიკური დახმარებისა და პროგრამების კოორდინაცია, გამომდინარე გაეროს მთავარი ორგანოების რეზოლუციებიდან, სხვადასხვა ქვეყნებში მისიების გაგზავნის ორგანიზება საგანგებო მდგომარეობის შესწავლისა და უპირველესი, აუცილებელი დახმარების გაწევის მიზნით. გარდა ამისა, დახმარების გასაწევად საერთაშორისო საზოგადოების მობილიზაცია.

გენერალური მდივნის მოადგილის კანცელარია პოლიტიკურ და გენერალურ ასამბლეის საკითხებში პასუხისმგებელია გენერალური ასამბლეის ორგანიზებასა და მართვაზე. ის ასრულებს გენერალური მდივნის პოლიტიკურ და სხვა სახის დავალებებს, კოორდინაციას უწევს გენერალური ასამბლეისთვის გენერალური მდივნის ანგარიშის მზადებას. კანცელარიას ექვემდებარება: გენერალური ასამბლეის განყოფილება, პალესტინელთა უფლებების განყოფილება და ადამიანის უფლებათა ცენტრი, რომელიც ტერიტორიულად ჟენევაშია.

პოლიტიკურ საკითხთა უშიშროების საბჭოს დეპარტამენტი

პოლიტიკურ საკითხთა უშიშროების საბჭოს დეპარტამენტი არის ის ორგანო, რომელიც დახმარებას უწევს გენერალურ მდივანს პოლიტიკურ საკითხებში, კოორდინაციას

უწევს ქვეგანყოფილების მუშაობას, რათა მან ნაყოფიერად შეუწყოს ხელი სხვა ორგანოების მუშაობას, განსაკუთრებით უშიშროების საბჭოს მოღვაწეობას.

დეპარტამენტში შედის: უშიშროების საბჭოს და პოლიტიკური კომიტეტების განყოფილება, კოსმოსური სივრცის განყოფილება და პოლიტიკური საკითხების განყოფილება.

დეპარტამენტს ხელმძღვანელობს გენერალური მდივნის მოადგილე პოლიტიკურ და უშიშროების საბჭოს საკითხებში.

განიარაღების საკითხების დეპარტამენტი

განიარაღების საკითხების დეპარტამენტი 1983 წელს შეიქმნა. მისი მთავარი მოვალეობაა განიარაღების საკითხებში კონფერენციის მომსახურება და ცენტრალიზებული ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა გაეროს ეგიდით გამართული განიარაღების კონფერენციებზე.

დეპარტამენტის შემადგენლობაში შედის: განიარაღების კამპანიის კოორდინაციის სექცია, კომიტეტებისა და კონფერენციების მომსახურების ქვეკომიტეტი, კვლევისა და ინფორმაციის ქვეგანყოფილება, ჟენევის ქვეგანყოფილება.

დეპარტამენტს ხელმძღვანელობს განიარაღების საკითხებში გენერალური მდივნის მოადგილე.

დიპლომატიური პროტოკოლი

საზოგადოებრივ ურთიერთობებში სავალდებულოა მხარეების მიერ გარკვეული წესების პატივისცემა, რის გარეშეც საერთაშორისო არენაზე ქაოსი და ანარქია გამეფდება. უხსოვარი დროიდან სახელმწიფოები ცდილობდნენ ერთმანეთთან ურთიერთობისათვის შეექმნათ წესების და კანონების კრებული, ქცევის წესები. ყველა ქვეყანას თავისი წესი აქვს. დროთა ვითარებაში, საერთაშორისო ურთიერთობების გააქტიურების შედეგად, საჭირო გახდა ისეთი წესებისა და კანონების შემოღება, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ აღ-

ნიშნული დამოკიდებულების გაფართოება-განმტკიცებას. საერთო წესრიგის დამყარების საქმეში უდიდესი წვლილი შეიტანა ვენის 1961 წლის კონვენციამ დიპლომატიურ საკითხებთან დაკავშირებით. მსოფლიოს ყველა ქვეყანა ასრულებს კონვენციაში დაფიქსირებულ ნორმებს. ვენის კონვენციიდან გამომდინარე ბევრმა ქვეყანამ მიიღო კანონები, რომლებიც კონვენციაში ასახულ პუნქტებს განამტკიცებენ.

ხშირად, დიპლომატიური პროტოკოლი, იქ, სადაც ამის მნიშვნელობა კარგად არ იციან, ზერელე განხილვის საგნად არის ქცეული. ამ მხრივ არც ჩვენთან არის კარგად საქმე. დამოუკიდებლად არსებობის არაერთწლიანი გამოცდილების მიუხედავად, მაინც არ მოხდა ტრადიციული სტერეოტიპების დამსხვრევა და ისეთი ცხოვრების წესის შემოღება, რომლის ყოველი წუთი, საათი, დღე, დაექვემდებაროს მკაცრ შინაგან და საზოგადოებრივ კონტროლს, საკუთარი თავის კონტროლს, დროის ყაირათიანად, ეფექტიანად გამოყენებისათვის, კონტროლს ქცევის, საუბრის, გამოსვლის, მოლაპარაკების ან თუნდაც დასვენების დროს. ერთი შეხედვით დასაელური, კონტროლს დაქვემდებარებული არა მარტო საზოგადო, არამედ პირადი ცხოვრება მომაბეზრებელია და პროზაულ ატმოსფეროს ქმნის, მაგრამ რა გაეწყობა, ასეთია თანამედროვე ადამიანის ხვედრი ეკონომიკურად და სოციალურად განვითარებულ აშშ-ი, იაპონიაში, ევროპის სახელმწიფოებში, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის "ვეფხვებად" წოდებულ ქვეყნებში, მაგრამ არა ჩვენში, სადაც ჯერაც სუსტია საბაზრო ეკონომიკა თავისი პრიმიტიული მიდგომით, ოპერატიულობით და სხვა ნიშან-თვისებებით. ეკონომიკურმა სტაგნაციამ, სოციალური პირობების ფაქტიურად არარსებობამ, უმუშევრობამ უკანა პლანზე გადაწია დროის რაციონალურად გამოყენების საკითხი. როდესაც ადამიანმა არ იცის, სად დახარჯოს ენერგია ან დრო, მისთვის ძნელია გეგმური მუშაობის წარმოდგენა. მიუხედავად ამისა სახელმწიფო დაწესებულებები, განსაკუთრებით ისინი ვინც საგარეო ურთიერთობის საკითხებს ემსახურება, მოწოდებულია ისეთი მუშაობისათვის, რომელიც საჭიროებს გეგმას, დროის ყადრის ცოდნას და შესაბამის დისციპლინას.

საერთაშორისო ურთიერთობებში პროტოკოლს განსაკუთრებული ადგილი აქვს. ყველა სახელმწიფოში დიპლომატიური ოქმი ქმნის შესაბამის პირობას, რათა მთავრობათა შორის მიღწეულ იქნას მეგობრული ვითარების შესაბამისი დამოკიდებულება. მსოფლიოში არსებული დიპლომატიური ოქმის საერთო წესები ხელს არ უშლის ქვეყნებს, საკუთარი ტრადიციებიდან და წეს-ჩვეულებებიდან გამომდინარე გაამდიდრონ პროტოკოლით გათვალისწინებული მოთხოვნები.

საერთაშორისო ურთიერთობებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოლაპარაკებებისა და ვიზიტების მომზადებას. ცუდად მომზადებულმა მოლაპარაკებამ ან ვიზიტმა შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს საერთო შედეგზე, ქვეყნებს შორის დამოკიდებულებაზე.

წარმატებული ცერემონიალი, ზომიერად ხელგაშლილი სტუმართმოყვარეობა, საჩუქრებისა და ჯილდოების გაცვლა კარგად აღიქმება სტუმრის მიერ და ხაზს უსვამს მისი ქვეყნისადმი პატივისცემას, ამტკიცებს ურთიერთგაგებასა და თანამშრომლობას.

საერთაშორისო სარბიელზე თითქმის 200 სახელმწიფო მოქმედებს. მათ განსხვავებული სოციალურ-ეკონომიკური სისტემები აქვთ. განსხვავებულია მათი კულტურა, ენა, წეს-ჩვეულებები, თუმცა მიუხედავად ამისა, ყველა ისინი პატივს სცემენ საერთაშორისო ნორმებს და საერთო პრინციპებს, რომლის უმთავრესი მოთხოვნებია: სუვერენიტეტის, თანაფარდობის, ერთმანეთის საქმეებში ჩაურევლობის, ტერიტორიული მთლიანობის საკითხებისადმი პატივისცემა. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ცალკე აღებული რომელიმე სახელმწიფოს ინტერესი მოცემულ პოლიტიკურ ვითარებაში ამ საერთაშორისო ნორმებსა და პრინციპებთან (ან მათ ნაწილთან) წინააღმდეგობაში მოდის, ეს სახელმწიფო, რაც არ უნდა ძლიერი იყოს იგი, იძულებულია, ფორმალურად, გარეგნულად მაინც აღიაროს მათი პრიორიტეტულობა და დიპლომატიური ეტიკეტი არ დაარღვიოს.

რა ფორმით უნდა გამოხატოს თავისი პატივისცემა ერთმა ქვეყანამ მეორის მიმართ? როგორ უნდა მოეპყრას ერთი სახელმწიფო მეორეს ისე, რომ არ შებღალოს საკუთა-

რი პრესტიჟი? აი, ის შეკითხვები, რომლებიც ხშირად ისმებოდა და მომავალშიც დაისმება.

სპეციალური წესების შემოღებამ გააიოლა ერთი შეხედვით არც თუ იოლი საქმე. დიპლომატიური პროტოკოლი ის მექანიზმია, რომელიც შეძლებისდაგვარად ახერხებს აღნიშნული საკითხების მოგვარებას.

საერთაშორისო ურთიერთობებში დიპლომატიური ოქმის დაცვის მნიშვნელობა აუცილებელია, ვინაიდან ოქმის დარღვევა გამოიწვევს სახელმწიფო პრესტიჟის, ღირსების შელახვას, მისი ოფიციალური წარმომადგენლის შეურაცხყოფას, რაც გარკვეულ დაძაბულობას შექმნის სახელმწიფოთა ურთიერთობაში.

დიპლომატიური ოქმი ქვეყნებს შორის ურთიერთობის ღონეს ასახავს. მაღალი რანგის სტუმრის ან დიპლომატის მიღების დონე წარმოაჩენს ქვეყნებს შორის ურთიერთობის ღონეს.

სიტყვა ეტიკეტი ფრანგულია და ნიშნავს იარლიყს, ცერემონიალს.

დიპლომატიურ ეტიკეტს, პროტოკოლს იცავენ სახელმწიფო დელეგაციების მიღების დროს, სხვადასხვა სახის სახელმწიფო და დიპლომატიური მოლაპარაკებების პროცესში, სხვადასხვა სახის დიპლომატიური თუ სახელმწიფო ცერემონიალების დროს და სხვა.

დიპლომატიური პროტოკოლის ცოდნა აუცილებელია ახალი სახელმწიფოს ცნობის, დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების, რწმუნების სიგელის გადაცემის, ხელშეკრულებებზე ხელის მოწერის და მრავალი წვრილმანი თუ მსხვილმანი პოლიტიკურ-დიპლომატიური საქმიანობის დროს.

დიპლომატიური ოქმის (პროტოკოლის) დაცვა აუცილებელია სახელმწიფოს მეთაურის, მთავრობის თავმჯდომარის, პარლამენტის სპიკერის, პარლამენტარების, დიპლომატების, მინისტრების, ელჩების, სხვა მაღალი თუ დაბალი რანგის სახელმწიფო მოხელის და დიპლომატის მიერ. დიპლომატიური პროტოკოლის გარეშე წარმოუდგენელია რაიმე საერთაშორისო აქციის მოწყობა.

დიპლომატიური პროტოკოლი განუყოფელი ნაწილია თავაზიანობის საყოველთაოდ აღიარებული წესების. ბევრს მიაჩნია, რომ დიპლომატიური წესები, თუ ისინი ბეჭდითა და ზემდგომის ხელის მოწერით არ არის განმტკიცებული, შესრულებას არ საჭიროებენ, ანუ სრულიად თავისუფლად შეიძლება მათთვის გვერდის აევლა. დიპლომატიური პროტოკოლის წესების გარკვეული ნაწილი სულაც არ არის მოქცეული ქაღალდისა და ბეჭდის ჩარჩოებში, მაგრამ მათი შესრულება ისევე აუცილებელია, როგორც მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების. ცნობილი ფრანგი დიპლომატი უიულ კამბონი წერდა: "პროტოკოლის წესები რამდენადმე მოძველებულად ჩანს, მაგრამ მათი შეუსრულებლობა ისეთი უმეცრებაა, როგორც ეკლესიაში ცილინდრით, ან მეჩეთში ფეხსაცმლით შესვლა."

დიპლომატიური პროტოკოლი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სახელმწიფო დროშასა და ჰიმნთან დაკავშირებული ეტიკეტის დაცვას.

პროტოკოლი არის საერთაშორისო სამართლის პრინციპების რეალიზაციის საშუალება. სახელმწიფო სუვერენიტეტის აღიარება გამოიხატება ისეთ ფორმებში, როგორიცაა სახელმწიფო დროშისათვის პატივის მიგება, სახელმწიფო ჰიმნის შესრულების დროს ფეხზე წამოდგომა. სახელმწიფო თანაფარდობის პრინციპი აისახება იმ თანამიმდევრობაში, რასაც ადგილი აქვს მასპინძელი ქვეყნის ხელმძღვანელთან დიპლომატების წარდგენის დროს, საერთაშორისო კონფერენციებზე, დიპლომატიურ მიღებებზე დელეგაციათა განთავსების დროს. უნებლიე შეცდომა შეიძლება შეურაცხყოფად იქნეს განხილული.

ბოლო წლებში შეინიშნება დიპლომატიური პროტოკოლის რაციონალიზაცია. ბევრ რიტუალზე ითქვა უარი, თუმცა ამას არ გამოუწვევია სუვერენული სახელმწიფოების თანაფარდობის პრინციპის დარღვევა. მაგალითად: რწმუნების სიგელის გადაცემისას ელჩი აღარ წარმოთქვამს გრძელ სიტყვას. მოკლე მისალმება სრულიად საკმარისია მსგავსი რიტუალისათვის. უფრო დემოკრატიული გახდა ელჩების ტანსაცმელი რწმუნების სიგელის გადაცემისას. ბევრი ქვეყნის ელჩი მსგავსი ღონისძიების დროს ნაკლებად

ცდილობს ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობას, მით უმეტეს, თუ მას ჩვეულებრივ ცხოვრებაში საერთოდ არ იყენებს. ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობა საზეიმო სახის ცერემონიალების დროს ხდება. ამ მხრივ განსაკუთრებით აფრიკის სახელმწიფოების ელჩები გამოირჩევიან, რომელთათვის ტრადიციულ ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობა სხვადასხვა სახის საზეიმო ღონისძიებაზე აუცილებელ საქმედ ითვლება. ერთი პერიოდი ქართული დიპლომატიასაც ჰქონდა ეროვნული ტანსაცმლით გატაცება. საგარეო უწყების ხელმძღვანელების დაჟინებული მოთხოვნით საქართველოს ელჩებს სასწრაფოდ შეუკერეს ჩოხა-ახალუხი და დაავალეს, რომ მათ ქართული ტანსაცმელი ეტარებინათ რწმუნების სიგელის გადაცემის და სხვადასხვა სახის ღონისძიებაში მონაწილეობის დროს. ფსევდოპატრიოტიზმი სერიოზული კურიოზით დასრულდა, როდესაც ჩოხაში გამოწყობილი და ხანჯალშებმული საქართველოს ელჩი კრემლში გამოცხადდა რუსეთის პრეზიდენტისათვის რწმუნების სიგელის გადასაცემად. ხანჯლიანი ელჩი არ შეუშვეს პრეზიდენტთან, რამაც გარკვეული უკმაყოფილება გამოიწვია. საბედნიეროდ, სამინისტროს ხელმძღვანელობის შეცვლის შემდეგ ჩოხა-ახალუხი აღარავის გახსენებია.

დღეს უკვე აღარ იმართება დიდი ცერემონიალები უცხო ქვეყნის ელჩის აღგილსამყოფელ ქვეყანაში ჩასვლის დროს, არც აღგილსამყოფელ ქვეყანაში არსებული უცხო ქვეყნების მისიების ხელმძღვანელები იღებენ მონაწილეობას ქვეყანაში ახალი ელჩის დახვედრის ცერემონიალში. ელჩები აღარც სხვა ქვეყნის მაღალი რანგის დელეგაციას ხვდებიან. იშვიათობას წარმოადგენს ქვეყნის მეთაურის მასპინძელ ქვეყანაში ჩასვლის დროს, სტუმრის თვითმფრინავის სამხედრო-საჰაერო ძალების ავიაგამანადგურებლებით ესკორტირება, საარტილერიო ზალპი, მთელი დელეგაციისათვის ოფიციალური სადილის მოწყობა, ვიზიტის განმავლობაში მოტოციკლისტთა სრული ესკორტით უზრუნველყოფა და სხვა ისეთი პროტოკოლური ცერემონიები, რომლებიც ვიზიტს ტვირთავს. თანამედროვეობა მოითხოვს მეტი აქცენტის კეთებას საქმიან მოლაპარაკებებსა და შეხვედრებზე. ვიზიტის ხანგრძლივობის სიმცირემ მნიშვნელოვნად იმოქმე-

და მსუყე პროტოკოლურ ცერემონიალზე, თუმცა მისი მინიმუმამდე დაყვანა სულაც არ გულისხმობს ერთი ქვეყნის მიერ, მეორისადმი პატივისცემის გამოვლინების შემცირებას. თანამედროვე პროტოკოლმა შეინარჩუნა მთელი რიგი ნიუანსები, ურომლისოდაც არამარტო წესრიგი და დისციპლინა მოაკლდებოდა დიპლომატიურ ღონისძიებებს, არამედ ნეგატიური გავლენით იმოქმედებდა ქვეყნებს შორის ურთიერთობაზე.

წარმოგიდგენთ ზოგიერთ მაგალითს თანამედროვე პროტოკოლიდან, რომლის უგულებელყოფა ცუდი ტონის გამოვლინება იქნება.

მაგიდასთან ადგილის განსაზღვრა

დიპლომატიური პროტოკოლი დიდ ყურადღებას უთმობს პატივისცემის გამოვლინებას არა მარტო კონფერენციების, მოლაპარაკებათა მაგიდასთან, საბანკეტო სუფრაზე ყოფნის დროს, არამედ ნებისმიერი ღონისძიების დროს. პატივისცემის მიგებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორია სტუმრის და ღონისძიებაში მონაწილე პირის რანგი, მისი მდგომარეობა პოლიტიკურ თუ საზოგადო ცხოვრებაში. მხედველობაში მიიღება ასაკისადმი პატივისცემაც. ხშირად თანამდებობრივ უფროსობასა და ასაკობრივ უფროსობას შორის გარკვეული უთანხმოება და უხერხულობა შეიძლება შეიქმნას. მისი მოწესრიგება შესაძლებელია მხოლოდ დროისა და ადგილის გათვალისწინებით, იმ მომენტისათვის შესაფერისი პროტოკოლური გამჭრიახობით და არა რაიმე წინასწარი რეცეპტით. თვით დიპლომატის მოხერხებულობაზეა დამოკიდებული მსგავსი უხერხული ვითარებიდან თავის წარმატებით დაღწევა, თუმცა ზოგ შემთხვევაში ქვემოთ ჩამოთვლილმა მაგალითებმა შეიძლება სარგებელი მოუტანოს მას:

იმ შემთხვევაში, თუ ღონისძიების მკაცრი ხასიათი არ იძლევა მოწვეული ასაკოვანი ადამიანისათვის ჯეროვანი პატივის მიგების საშუალებას, უმჯობესია თავი შევიკავოთ ასეთი - მოწვევისაგან; თათბირის და მოლაპარაკების დროს

მაგიდასთან ჯდომის თანამდებობრივი მდგომარეობის გათვალისწინების შემდეგ, საჭიროა ასაკობრივი მომენტის გათვალისწინება. სხდომის დასაწყისში არსებული პროტოკოლური არეულობა, შესვენების შემდეგ რეგულირდება. შორს მსხდომი ასაკოვანი ადამიანი შესაფერის ადგილს იკავებს.

ბევრ ქვეყანაში არსებობენ ისეთი პოლიტიკური თუ საზოგადო მოღვაწეები, რომლებიც სულაც არ არიან სახელმწიფო რანგის მატარებლები, მაგრამ საზოგადო თუ პოლიტიკური წრეების მათდამი დამოკიდებულება არანაკლებია, ვიდრე მაღალი თანამდებობის პირებისადმი. ასეთ დროს საჭიროა მათი რანგოსნებთან გათანაბრება. განსაკუთრებული პატივისცემის ღირსია სასულიერო პირი.

არაოფიციალური ხასიათის ღონისძიებების დროს თანამდებობის პირს არ აქვს უფროს-უმცროსობის პრეტენზიის გამოვლინების საბაბი. კერძო ღონისძიებაზე მეტი ყურადღება ექცევა ასაკობრივ უფროს-უმცროსობას და ოჯახურ ტრადიციებს.

მსოფლიოში არსებული წესებიდან და ტრადიციებიდან გამომდინარე ახალგაზრდები, ასაკით უფროსების შემდეგ მოდიან. ეს ძირითადი დაუწერელი კანონი იშვიათად ირღვევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მხედველობაში მიიღება საზოგადო მდგომარეობა, განსაკუთრებული ტიტული, მაგალითად: ჰერცოგი, მარკიზი, გრაფი, ვიკონტი, ბარონი. თანაბარი რანგის შემთხვევაში მხედველობაში იღებენ ტიტულის სიძველეს. ზოგიერთი დაბალი ტიტულის მატარებელი პირი შესაძლოა იყოს ძირძველი და გავლენიანი გვარის წარმომადგენელი და აქედან გამომდინარე, პრეტენზია ჰქონდეს უფრო საპატიო ადგილზე. გარდა აღნიშნულისა, ხშირად მხედველობაში მიიღება მაღალი ჯილდოს მატარებელი პირიც.

მოსაწვევი ბარათი

საღილზე, ვახშამზე, სხვა ღონისძიებაზე პირის მიწვევა ხდება მოსაწვევი ბარათით, რომელშიც აღინიშნება მიწვეულის სახელი და გვარი, ღონისძიების სახეობა, ღონისძიების

ჩატარების ადგილი და დრო, ღონისძიებისათვის შესაფერისი ტანსაცმელი, ტელეფონის ნომერი. მოსაწვევი ბარათი იგზავნება ზოგ შემთხვევაში არაუგვიანეს ორი კვირისა. მოსაწვევი ბარათის მიღების შემდეგ მიწვეულმა პირმა აუცილებლად უნდა შეატყობინოს მასპინძელს, დაესწრება თუ არა ღონისძიებას, ვინაიდან გაცდენის შემთხვევაში მაგიდასთან ცარიელი ადგილი დარჩება, რაც გამოიწვევს გარკვეულ დისკომფორტს, ვინაიდან სადილისა და ვახშმის დროს მაგიდასთან სხდომის წესი მოითხოვს მოწვეულ პირთა და მასპინძელთა პროტოკოლურ განაწილებას თანამდებობის და საზოგადოებაში მათი ადგილის გათვალისწინებით. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ შეძლებისდაგვარად მაგიდასთან მსხდომი ქალის შემდეგ მოდიოდეს მამაკაცი, შემდეგ ისევ ქალი და ა.შ.

მიწვეულმა პირმა უნდა ისარგებლოს მოსაწვევ ბარათში აღნიშნული ტელეფონით და მასპინძელს მადლობა გადაუხადოს მიწვევისათვის, ამასთანავე შეატყობინოს დაესწრება თუ არა მიღებას. უარის შემთხვევაში მიწვეულმა პირმა უნდა დაასაბუთოს, რატომ ვერ დაესწრება მიღებას და სინანული გამოთქვას ამასთან დაკავშირებით. მოსაწვევი ბარათი იდება კონვერტში. მოსაწვევ ბარათთან ერთად იდება პატარა ბარათი, მაგიდის მაკეტით და მინიშნებული ისრით – მიწვეულის ადგილი მაგიდასთან. პატარა ბარათი განსაკუთრებით სასარგებლოა დიდი წვეულების დროს. ის საშუალებას აძლევს მიწვეულს, ადვილად მიაგნოს მის ადგილს.

კერძო მიწვევის დროს მასპინძელმა წინასწარ უნდა განსაზღვროს ყველაზე პატივსაცემი სტუმარის ადგილი. მასპინძელმა წინასწარ უნდა შეადგინოს მიწვეულთა ორი სია, ქალების და მამაკაცების.

სადილზე, ვახშამზე მიწვეული პირი დაპატიჟებულია, როგორც პიროვნება, რომელსაც აქვს თანამდებობა, ან საზოგადოებაში გარკვეული ადგილი. წვეულებაზე ორგანიზაციას არ იწვევენ. მიწვევა პიროვნულია და ამდენად მიწვეულის ნაცვლად სხვა თანამშრომლის გაგზავნა მიუღებელია. სხვა შემთხვევაში, მაგალითად, ა ლა ფურშეტის დროს,

მსგავსი შეცვლა დასაშვებია, ვინაიდან ა ლა ფურშეტის პროტოკოლი ფეხზე დგომას ითვალისწინებს.

პროტოკოლის უხეშ დარღვევად ითვლება ისიც, როდესაც მიწვეული სტუმარი დიდხანს ყოყმანობს წავიდეს თუ არა წვეულებაზე და მხოლოდ წვეულების დღეს შეატყობინებს მასპინძელს, რომ ვერ შეძლებს ამას. დიპლომატიაში მიღებულია, როდესაც მოსაწვევზე პასუხს წერილობით ატყობინებენ. ამ შემთხვევაში სავიზიტო ბარათის გამოყენება უხერხულია. უმჯობესია სამადლობელი წერილის გაგზავნა.

საპატიო ადგილი

დიპლომატიურ მისიაში ან მისიის მიერ წვეულებისათვის სპეციალურად დაქირავებულ დარბაზში თუ სტუმრად მიწვეულია დედოფალი, მეფე, სამეფო კარის წარმომადგენლები, დიპლომატიური პროტოკოლის მიხედვით, ისინი იმყოფებიან არა სტუმრად, არამედ საკუთარ სახლში. ისინი მასპინძლებივით ხელმძღვანელობენ მაგიდას. ასეთ დროს მიღების წესებს ადგილობრივი პროტოკოლი აწესებს.

ანალოგიური ვითარებაა, როდესაც კონსული ღებულობს ანუ მასპინძლობს საკუთარი ქვეყნის დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელს.

როდესაც სადილზე ან საუზმეზე იმყოფება მასპინძლის მეუღლე, ყველაზე საპატიო ადგილად ითვლება ადგილი, ქალბატონის მარჯვნივ.

საუზმეზე, სადილზე ან ვახშამზე თუ იმყოფებიან მხოლოდ მამაკაცები, ყველაზე საპატიო ადგილად ითვლება ადგილი მასპინძლის მარჯვნივ. თუ მასპინძელს აქვს სურვილი განსაკუთრებული პატივით მიიღოს სტუმარი, მას სვამს მასპინძლის საპირისპირო ადგილზე, სუფრის მეორე თავში. მიუხედავად ამისა, პირველ საპატიო ადგილად ჩაითვლება ადგილი მასპინძლის მარჯვნივ.

იმ შემთხვევაში, თუ საუზმეს, სადილს და ვახშამს მასპინძლის მეუღლე დაესწრება, მაშინ ყველა მიწვეული სტუმარი მეუღლესთან ერთად უნდა იყოს წარმოდგენილი.

თუ მასპინძელი არ არის დაქორწინებული, ან თუ მისი მეუღლე არ ესწრება წვეულებას, მასპინძელს შეუძლია სტუმარ ქალთა რიგებიდან ერთ-ერთს მიაკუთვნოს მასპინძელი ქალბატონის საპატიო ფუნქცია.

სხვადასხვა სახის გართულებების თავიდან აცილების მიზნით, დიპლომატიურ პროტოკოლში ადგილი აქვს ორი სუფრის მოწყობასაც – ერთს ხელმძღვანელობს მასპინძელი მამაკაცი, მეორეს – მისი მეუღლე. ასეთ დროს მოწვეულ ცოლ-ქმარს სხვადასხვა მაგიდებთან მიუჩენენ ადგილს.

საპატიო ადგილად ითვლება ადგილი, შესასვლელი კარის პირდაპირ. იმ შემთხვევაში თუ კარი გვერდით არის, მაგიდის ის მხარე, რომელიც უყურებს ფანჯრებს.

უცხოელი დიპლომატის მიერ მოწყობილ წვეულებაზე მთავრობის მეთაურს, საგარეო საქმეთა მინისტრს, უფრო მეტი ყურადღება ექცევა, ვიდრე უცხოეთის ელჩებს, ხოლო მინისტრებს პრივილეგია აქვთ დესპანებთან შედარებით, მაგრამ მთავრობის მეთაურის ან საგარეო საქმეთა მინისტრის მიერ მოწყობილი წვეულების დროს პატივისცემის მიგება არის შებრუნებით.

უფროს-უმცროსობა პრემიერ-მინისტრის მასპინძლობით მოწყობილ წვეულებაზე:

დიპლომატიური კორპუსის დუაიენი, ელჩები, ეროვნული ასამბლეის თავმჯდომარე, დესპანები, მინისტრები, პოლიტიკური დეპარტამენტის დირექტორი და სხვა მიწვეული პირები.

უფროს-უმცროსობა საგარეო საქმეთა მინისტრის მასპინძლობით მოწყობილ წვეულებაზე:

დიპლომატიური კორპუსის დუაიენი, ელჩები, ეროვნული ასამბლეის თავმჯდომარე, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, დესპანები, მინისტრები, პოლიტიკური დეპარტამენტის დირექტორი და სხვა მოწვეული პირები.

უფროს-უმცროსობა ელჩის ან დესპანის მასპინძლობით მოწყობილ წვეულებაზე:

ეროვნული ასამბლეის თავმჯდომარე, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, საგარეო საქმეთა მინისტრი, დიპლომატიური კორპუსის დუაიენი, უცხოელი ელჩები, მინისტრები, ყოფილი პრემიერ-მინისტრები, ყოფილი მინისტრები, პოლიტიკური დეპარტამენტის დირექტორი, უცხოელი დესპანები, პარლამენტის წევრები.

საკუთარ ქვეყანაში, კერძო პირის მიერ მოწყობილ წვეულებაზე საგარეო საქმეთა მინისტრი მიდის უცხოელი ელჩების და დესპანების შემდეგ.

ყოფილი თანამდებობის პირები, რომლებსაც არ უკავიათ სხვა თანამდებობა, იკავებენ ადგილებს მათი შემცვლელების შემდეგ.

ადგილი მაგიდასთან

გთავაზობთ მაგიდასთან სხდომის რამდენიმე ვარიანტს, რომელიც ხშირად გამოიყენება დიპლომატიური პროტოკოლის მიერ.

სადილი ან საუზმე, რომელსაც მხოლოდ მამაკაცები ესწრებიან



ციფრებით აღნიშნულია საპატიო ადგილების განაწილება მაგიდაზე



საუზმე ან სადილი, რომელშიც მონაწილეობას ღებულობენ ორივე სქესის წარმომადგენლები



საუზმე ან სადილი, რომელსაც ორივე სქესის წარმომადგენლები ესწრებიან



მაგიდასთან წინამდებარე განლაგება გამოწვეულია იმით, რომ ხშირად მასპინძლიდან მოშორებით მჯდომი სტუმარი თვლის, რომ მას სუფრის ბოლოს მისცეს ადგილი, რაც მისთვის შეურაცხმყოფელია. გართულების თავიდან აცილების მიზნით, მასპინძელი და მისი მეუღლე სუფრის ორივე თავში იკავებენ ადგილს, რაც თავისთავად გამორიცხავს არაპრესტიჟულ ადგილს სუფრასთან.

ზოგიერთ შემთხვევაში მასპინძელი თავის ადგილს უთმობს საპატიო სტუმარს, რომელსაც სვამს საკუთარი მეუღლის საპირისპირო მხარეს, თვითონ კი ადგილს იკავებს პირველი ქალბატონის მარჯვნივ ან ყველაზე ბოლო ადგილს, რაც უდიდესი პატივისცემის გამოვლინებას ნიშნავს მოწვეული სტუმრების მიმართ.



თუ კონსული იღებს საკუთარი მისიის ხელმძღვანელს, ეს უკანასკნელი მეთაურობს სუფრას, იკავებს რა ადგილს კონსულის მეუღლის მოპირდაპირე მხარეს. თუ მისიის ხელმძღვანელი მეუღლით არის, ისინი ორივენი მეთაურობენ სუფრას. მასპინძელს ამ შემთხვევაში უკავია მესამე ან მეოთხე ადგილი.

საუზმე ან სადილი, რომელსაც ორივე სქესის წარმომადგენლები ესწრებიან:



საუზმე ან სადილი, რომელსაც ორივე სქესის წარმომადგენლები ესწრებიან



პრაქტიკული სახის რჩევები

უფრო მეტი კომფორტისა და მოხერხებულობისათვის კარგი იქნება, თუ მაგიდაზე დალაგდება ბარათები სტუმრების სახელებითა და გვარებით. დიდი წვეულების დროს ავან დარბაზში, სადაც სადილის ან ვახშმის დაწყების წინ ხდება სტუმრების აპერიტივით გამასპინძლება, განლაგებულია პატარა მაგიდა მთავარი სუფრის მაკეტით. სტუმრები ეცნობიან თავიანთ ადგილებს და როდესაც მასპინძლის მიწვევით შედიან მთავარ დარბაზში, სადაც გაშლილია სუფრა, მათთვის ადვილია საკუთარი ადგილის მიგნება.

როდესაც მეტრდოტელი შეატყობინებს ავან დარბაზში თავშეყრილ სტუმრებს, რომ მთავარი სუფრა მზად არის, მასპინძელი ხელს უწვდის პირველი სტუმრის ქალბატონს და ისინი სტუმრებს მიუძღვებიან დარბაზისაკენ სადაც გაშლილია სუფრა. საპატიო სტუმარი ხელს უწვდის მასპინძლის მეუღლეს. მასპინძლის მეუღლე სუფრასთან ადგილს ბოლოს იკავებს.

თუ სტუმრებში არის მეფე, სახელმწიფოს მეთაური ან კარდინალი, მასპინძლის მეუღლე საპატიო პირველ სტუმართან ერთად პირველი შედის დარბაზში, ხოლო მასპინძელი ბოლოს.

მეტრდოტელი, რომელიც სასადილო ოთახის კართან ელოდება სტუმრებს, წინ წაუძღვება მათ. საპატიო სტუმარსა და მასპინძელს მაგიდასთან განკუთვნილ ადგილამდე მიაცილებს და დასასხდომად სკამებს გამოუწევს.

სადილის დასასრულს მაგიდიდან პირველი მასპინძლის მეუღლე დგება და ტოვებს სუფრას.

საუსმესა და სადილს, რომელსაც არა აქვს ცერემონიალის სემოთ აღნიშნული სახე, მასპინძლის მეუღლისთვის ხელის გაწვდა არ არის მიღებული. მას შემდეგ, რაც მეტრდოტელი გამოაცხადებს, რომ სადილი მზად არის, მასპინძლის მეუღლე წაუძღვება წვეულებაზე მყოფ ქალბატონებს მაგიდისკენ, მასპინძელი კი მამაკაცებს.

სადილის, ვახშმის ან საუზმის დროს მოწევა ცუდ ტონად ითვლება. თამბაქოს სუნი და კვამლი აუტანელია ბევრისათვის, გარდა ამისა, ცუდად მოქმედებს კერძების გემოზე. სუფრასთან სიგარეტის მოწევა ნიშნავს მასპინძლის უპატივცემულობას. წვეულებისას სიგარეტის მოწევა უხერხულია მოწევის საწინააღმდეგო კამპანიის დროს, რასაც ადგილი აქვს აშშ-ში და ევროპის სახელმწიფოებში. ამ ქვეყნებში საზოგადო თავშეყრის ადგილებში, მათ შორის რესტორნებში, აკრძალულია სიგარეტის მოწევა.

სადილის ან ვახშმის დროს წარმოთქმული სიტყვების შესახებ

ოფიციალური სადილის ან ვახშმის დროს, რომელიც იმართება სახელმწიფოს მეთაურის და მისი თანმხლები პირების პატივსაცემად, ადგილი აქვს ოფიციალური სიტყვების წარმოთქმას. სიტყვა-სადღეგრძელო წარმოითქმება მასპინძლის მიერ სადილის დაწყებიდან 15-20 წუთში ან სადილის ბოლოს, ჩაით და ყავით გამასპინძლების წინ. სიტყვა–სადღეგრძელო წინასწარ არის მომზადებული და არ უნდა აღემატებოდეს ათ წუთს. სიტყვა წინასწარ უნდა გადაეცეს საპატიო მაღალ სტუმარს, რათა მან თავის მხრივ მოამზადოს საპასუხო სიტყვა. სტუმრის საპასუხო სიტყვა წარმოითქმება მასპინძლის სიტყვის შემდეგ. სტუმარ-მასპინძლის სიტყვები ურიგდებათ მაგიდასთან მსხდომ სტუმრებს.

სიტყვა-სადღეგრძელო შეიცავს საპატიო სტუმრის მისასალმებელ სიტყვებს, მისი ვიზიტის მნიშვნელობას ქვეყნებს შორის ურთიერთობის გაუმჯობესების საქმეში, სტუმრისათვის დიდხანს სიცოცხლის, მისი ქვეყნის წინსვლის სურვილის გამოხატვას.

სამადლობელი-სადღეგრძელო შედგება – მადლობისაგან, ვიზიტის წარმატებით განხორციელების ამსახველი სიტყვებისაგან, ორი ქვეყნის შემდგომი ურთიერთობის განმტკიცების საქმისათვის ვიზიტის მნიშვნელობისაგან, სახელმწიფოს მეთაურისათვის და მისი ქვეყნისათვის დიდხანს სიცოცხლისა და წარმატების სურვილის გამომხატველი სიტყვებისაგან.

წინათ წვეულებაზე წარმოთქმული სიტყვა-სადღეგრძელოები ხშირ შემთხვევაში შემოკლებით ან სრულად იბეჭდებოდა პრესაში. დღეს ქვეყნდება საგარეო უწყების ბიულეტენში.

სიტყვა-სადღეგრძელოები პოლიტიკური დატვირთვის მატარებელია და საჭიროებს სერიოზულ ყურადღებას. მოკლე სადღეგრძელო ყოვლისმომცველი უნდა იყოს არა მარტო პიროვნებასთან, ამ შემთხვევაში სახელმწიფოს მეთაურთან მიმართებაში, არამედ ქვეყნებს შორის ურთიერთობიდან გამომდინარეც.

ოფიციალური წვეულების დროს ერთი სიტყვა-სადღეგრძელოს მეტი არ წარმოითქმება.

ავტომანქანაში ადგილების განაწილების შესახებ

ავტომანქანას, რომელშიც სტუმარი ქვეყნის სახელმწიფოს მეთაური იმყოფება, წინა მარჯვენა მხარეს უკეთდება სტუმარი ქვეყნის სახელმწიფო დროშა, მარცხენა მხარეს მასპინძელი ქვეყნის სახელმწიფო დროშა. საპატიო სტუმარი იკავებს მანქანის უკან, მძღოლიდან მარჯვენა მხარეს, სტუმრის მარცხენა მხარეს, იკავებს მასპინძელი. მძღოლის გვერდით ადგილს იკავებს დაცვის მუშაკი, ხოლო თარჯიმანი ავტომანქანის უკანა ნაწილში გადმოსაწევ სკამს. ავტომანქანას ესკორტს უკეთებს მოტოციკლისტები. მაღალი სტუმრის მეუღლეს მასპინძლის მეუღლესთან ერთად მომდევნო ავტომანქანაში აქვს მინნეული ადგილი. ქალთა ავტომანქანას ისევე, როგორც დანარჩენ ავტომანქანებს სახელმწიფო დროშები არ უკეთდებათ. ავტომანქანებს წინა და უკანა მინებზე უკეთდებათ ნომრები. პირველ ავტომანქანას, რომელშიც სტუმარი იმყოფება, ასეთი ნომერი არ უკეთდება. ნომრები აქვთ მის მომდევნო ავტომანქანებს, ნომერი 2-დან იწყება. ავტომანქანების სპეციალური დანომვრა გამოწვეულია სტუმართა რანგებით, გარდა ამისა, აეროპორტში თვითმფრინავიდან გადმოსვლის შემდეგ სტუმრებს უადვილდებათ მათთვის განკუთვნილი ავტომანქანის მიგნება. თვითმფრინავთან ახლოს, ნომრების მიხედვით ჩაწყობილ ავტომანქანებში ადგილების დაკავება იმითაც იოლდება, რომ სამშობლოდან გამოფრენამდე დელეგაციის წევრებს, მასპინძელი ქვეყნის პროტოკოლის მუშაკი, ატყობინებს არა მარტო საცხოვრებელი რეზიდენციის ან სასტუმროს ნომრებს, არამედ იმ ავტომანქანის ნომერსაც, რომელშიც სტუმარი იკავებს ადგილს.

ნომრებში და ავტომანქანებში განაწილების გეგმა თანამდებობიდან გამომდინარე კეთდება და მასპინძელ-სტუმრის პროტოკოლის ერთობლივი შეთანხმების შედეგია. სტუმართა პროტოკოლის მუშაკი, ქვეყანაში ჩასვლამდე, დელე-

გაციის წევრებსა და თანმხლებ პირებს ურიგებს პატარა ბარათებს, სადაც აღნიშნულია სასტუმროსა და ავტომანქანის ნომრები.

დიპლომატიური ფორმის შესახებ

ზოგ ქვეყანას დიპლომატებისთვის აქვს გამორჩეული ფორმა – ტანსაცმელი, რომელიც ხშირად წააგავს სამხედრო ფორმას. დიპლომატიური ფორმა აქვს საქართველოს მეზობელ რუსეთის ფედერაციას, რომელმაც ის საბჭოთა კავშირიდან შთამომავლობით მიიღო. დიპლომატები ფორმას ყოველდღიური საქმიანობის დროს არ იცვამენ. ისინი ფორმაში ეროვნული დღესასწაულის დღეს ან სხვა ცერემონიალის დროს იმოსებიან.

საფრანგეთში დიპლომატიური ფორმა 1903 წლის დადგენილებით დაწესდა. დადგენილების მიხედვით გათვალისწინებულია ფორმის 4 სახეობა: საპარადო ფორმა თექისაგან, რომელიც მოქარგულია. საღამოს ფორმა, რომელსაც დიპლომატები იცვამენ ქვეყნებში, სადაც მიღებულია ფორმის ტარება. ჩვეულებრივი ფორმა, სპეციალური ფორმა, რომელიც შეესაბამება ცხელი კლიმატის ქვეყნებს.

დიპლომატმა ფორმა უნდა ჩაიცვას იმ შემთხვევაში, თუ ის მონაწილეობას იღებს ცერემონიალში, რომელსაც სახელმწიფოს მეთაური ესწრება, საკუთარი სახელმწიფოს ეროვნული დღესასწაულის აღსანიშნავ ცერემონიალზე ან წვეულებაზე. სხვა ქვეყნის ეროვნული დღესასწაულის აღსანიშნავ ცერემონიალსა და წვეულებაზე, რომელსაც მართავს იმ ქვეყნის ელჩი, აღგილსამყოფელი ქვეყნის ეროვნული დღესასწაულის აღსანიშნავ ღონისძიებაზე, რომელსაც ესწრებიან სხვა ქვეყნების ელჩები და სახელმწიფოს მეთაური. ყველა იმ ღონისძიებაზე, რომლის მოსაწვევ ბარათზე აღნიშნულია: საპარადო ფორმა. დიპლომატიური თანამშრომლები, რომლებსაც რანგიდან გამომდინარე არ ეკუთვნით ფორმის ტარება, წვეულებაზე გამოწყობილი უნდა იყვნენ ფრაკში ან სმოკინგში. წვეულების დროს დიპლომატს

შეუძლია გაიკეთოს სახელმწიფოს მიერ მინიჭებული ორდენები.

ქცევის წესები

ქცევის წესებზე ნაკლებად გავამახვილებდით ყურადღებას, რომ ყოველდღიურ ცხოვრებაში არ ვაწყდებოდეთ სერიოზულ კაზუსებს. ამ საქმეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ უცხოეთში. დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში, რუსეთში, იტალიაში სხვა ქვეყნებში პერიოდულად გამოიცემა მსგავსი ლიტერატურა, რაც ხელს უწყობს ახალგაზრდა თაობის აღზრდას.

ქცევის წესების ცოდნა აუცილებელია არა მარტო დიპლომატის, არამედ ნებისმიერი ადამიანისათვის.

ადამიანის ქცევა, ლაპარაკი, სიარული, სიხარულის თუ გლოვის გამომხატველი სახის გამომეტყველება, უმთავრესად განპირობებულია ადამიანის აღზრდით, ზრდილობით, მისი დამოკიდებულებით ირგვლივ არსებულ გარემოსთან. აქედან გამომდინარე, ადამიანი მოჭარბებული გრძნობით იხილავს მისი სამოქალაქო, პროფესიონალური, მამაკაცური თუ ქალური ღირსების შეფასებას. ის გულისტკივილით, ზოგჯერ გაღიზიანებით ეკიდება ღირსების შებღალვას, დამცირებას.

აღზრდილ, ზრდილობიან ადამიანს იმის უნარი შესწევს, რომ სათუთად მოეპყრას სხვას არა მარტო სამსახურში, ქუჩაში, სტუმრად, სახლში, ოჯახში, არამედ ყველგან, სადაც ამის შესაძლებლობაა.

თავაზიანობა გამოიხატება გულწრფელ კეთილმოსურნეობაში. ამიტომაც შეხვედრის დროს მიღებულია ერთმანეთისათვის კეთილი დღის სურვილი, ხოლო გამომშვიდობებისას მშვიდობიანი, კეთილი გზის დალოცვა. ყველას ესაჭიროება ემოციურად გამოხატული მხარდაჭერა, რაც შესაძლებელს ხდის ადამიანის სულიერი განწყობის გაუმჯობესებას.

დიდი რუსი რეჟისორი კ. სტანისლავსკი წერდა: "გარეთ გააცილეთ, მიაბრძანეთ შური, ეჭვი, შიში და ფართოდ გაუ-

ღეთ კარი სიხარულს". ასევე საინტერესო და ყურადსაღებია ფრანგი მფრინავისა და მწერლის სენტ-ეგზიუპერის სიტყვები: "ადამიანთა ურთიერთობაზე უფრო დიდი ფუფუნება არ არსებობს".

ცხოვრებისათვის საჭირო ენერგიას და ხალისს იწვევს ადამიანთა შეხვედრები, განსაკუთრებით მათთან კონტაქტი ვინც მზესავით ასხივებს სითბოსა და სიკეთეს, ვისთანაც სასიხარულოა შეხვედრა. მაგრამ ფიზიკურ ტკივილს არ ჩამოუვარდება იმ ადამიანთან შეხვედრა, რომელიც არასასიამოვნო გრძნობებს იწვევს.

ადამიანზე უდიდეს გავლენას ახდენს მის ირგვლივ არსებული, ყოველდღიური გარემო. მეზობელთან მისალმება, ქუჩის კონტაქტები, მაღაზიაში გამყიდველთან ურთიერთობა და სხვა, ერთი შეხედვით თითქოს უმნიშვნელო, წამიერი შეხვედრები. არც თუ იშვიათად, ქუჩაში შემთხვევითმა კავშირმა, თუნდაც უცნობ გამვლელთან, შესაძლოა მთელი დღის განმავლობაში გააფუჭოს ხასიათი.

თავაზიანი ადამიანი, თავაზიანი მოპყრობისას, მაქსიმალურად ცდილობს თავაზიანადვე უპასუხოს. თავაზიანი ადამიანი უმალვე დაუთმობს ადგილს საქალაქო ტრანსპორტში მოხუცებულს, განსაკუთრებით ქალს. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ იმ არასწორი აღზრდის შესახებაც, რასაც დღევანდელ სასწავლებლებში აქვს ადგილი. ამის მიხედვით ახალგაზრდამ მოხუცს არ უნდა დაუთმოს ადგილი, ვინაიდან ის ადგილი მას ეკუთვნის. ხანშიშესული ადამიანისადმი აგდებული დამოკიდებულება არა მარტო ოჯახში მიღებული ცუდი აღზრდის შედეგია, არამედ სასწავლო დაწესებულების ზერელე დამოკიდებულების ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხზე, როგორიც მომავალი თაობის აღზრდაა.

კორექტულობა

სამსახურში, საზოგადო ადგილებში, ოჯახში, ხშირად აქვს საყოფაცხოვრებო ნიადაგზე წარმოქმნილ კონფლიქტს ადგილი. მიუხედავად უთანხმოებისა ადამიანები ვალდებულები არიან დაიცვან ეტიკეტით განსაზღვრული წესები და

იმოქმედონ კორექტულად. ზრდილობიანი, კორექტული ადამიანი ურთულეს სიტუაციაშიც კი იქცევა თავდაჭერილად. თავხედობასაც შეიძლება კორექტულად გაეცეს პასუხი. გადმოცემისდა მიხედვით გაბრაზებულმა ნაპოლეონ ბონაპარტმა, სხვებთან თანდასწრებით, უშვერი სიტყვებით გალანძღა საფრანგეთის ნომერი პირველი დიპლომატი ტალეირანი. ტალეირანმა უდიდესი მოთმინებით აიტანა იმპერატორის შეურაცხმყოფელი სიტყვები, რის შემდეგ დარბაზი დატოვა, ხოლო გასვლისას განაცხადა: "დასანანია, რომ ეს ბუმბერაზი ადამიანი ცუდად არის აღზრდილი". კორექტულობის ფსიქოლოგიური საფუძველი არის თვითდისციპლინა, საკუთარი თავის ფლობა.

მოთმინება

ადამიანთა ერთმანეთთან ურთიერთობაში მთავარია სულიერი ფასეულობების გაცვლა, ცხოვრებისეული გამოცდილების, განცდების, შთაბეჭდილებების, ცოდნის, გაზიარება.

ვინმესთან საერთო ენის გამოძებნისათვის საჭიროა მოთმინება, მისი მანერების ატანა. თანამედროვე ცხოვრება, განსაკუთრებით დიდ ქალაქებში, მოითხოვს დიდ კავშირებს. ამ კავშირებში ადამიანები ჩართული არიან საკუთარი სურვილის მიუხედავად. ასეთ დროს მოთმინებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. საერთო თანაცხოვრება ავალდებულებს ადამიანს თვალი დახუჭოს მცირე გაუგებრობაზე, თავი აარიდოს კონფლიქტს არაფრის გამო. იდეალური ადამიანები არ არსებობენ. ყველას აქვს საკუთარი ხასიათი, ტემპერამენტი, თავისებური ქცევის წესები, თვისებები, გატაცება, გემოვნება, რაც ანგარიშგასაწევია.

განსაკუთრებულ მოთმინებას საჭიროებენ მოხუცები და ბავშვები. პირველები იმიტომ, რომ ასაკიდან გამომდინარე მოჭარბებულად მგრძნობიარენი არიან, მეორენი კი იმიტომ, რომ ასაკით პატარები არიან. ხანშიშესული ადამიანების ჯანმრთელობა განპირობებულია სულიერ სიმშვიდეზე. კრიტიკული შენიშვნები, სალანძღავი სიტყვები მძიმედ მოქმედებს მათზე. იმავე სახის მოქცევა ბავშვთა მიმართ, სოგი-

ერთი მშობლების აზრით დაუშვებელია, რაც მცდარი მოსაზრებაა, ვინაიდან ლანძღვა-გინება ანადგურებს მშობელსა და არასრულწლოვან შვილს შორის სულიერ კავშირებს.

ადამიანთა ურთიერთობაში გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ტაქტიანობას. ტაქტიანი ადამიანი ცდილობს გამოძებნოს ურთიერთობის გარკვეული გზა, რაც შესაძლებლობას მისცემს მას, დაამყაროს ნორმალური დამოკიდებულება. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ, თუ ურთიერთობაში არ იქნება დაცული ზომიერება, ზრდილობიანი მოქცევაც კი მომაბეზრებლად აღიქმება. ხშირად ხდება ხოლმე, როდესაც ერთი ადამიანი მეორეს სთავაზობს დახმარებას, მაგრამ შედეგი არ არის, ან გამოთქვამს წუხილს მეორის პრობლემასთან დაკავშირებით, მაგრამ ამით კიდევ უფრო ამძიმებს ვითარებას. ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს საჭირო ტაქტის სიმცირესთან ან საერთოდ არ არსებობასთან. არცთუ იშვიათად, მეგობრებშიც აქვს ადგილი ისეთ შემთხვევას, როდესაც ერთი მზად არის მოუყვეს მეორეს ახალი ამბავი, მეორე, საკუთარი პრობლემით არის დამძიმებული და ნაკლები ინტერესით უსმენს მეგობრის ნაამბობს. ასეთ დროს უმჯობესია თავის შეკავება და საინტერესო ამბის სხვა, უფრო შესაფერის დროს მოყოლა. ტაქტიანობა იმის ხელოვნებაც არის, რომ ისეთი სახე მიიღოთ, თითქოს ვერ შეამჩნიეთ, ის, რაც ადამიანში სირცხვილის გრძნობას იწვევს. ნაკლოვანებებზე ყურადღების გამახვილება ტკივილს აყენებს ადამიანს.

ყველა ადამიანს აქვს თავისი მტკივნეული წერტილები. ერთს მიაჩნია, რომ გამხდარია, მეორეს, რომ მსუქანი. ერთი თვლის, რომ დაბალია, ხოლო მეორე მოჭარბებულად მაღალი. წლებთან ერთად მტკივნეული წერტილების რაოდენობა იზრდება. ზოგი ვერ ახერხებს დროულად დაოჯახებას, ზოგიც სამსახურში წინსვლას. მსგავს მტკივნეულ საკითხებზე ყურადღების გამახვილება დისკომფორტს უქმნის ადამიანს. ამდენად ვითომდა "მზრუნველობით" გამოწვეული აქცენტირება გაღიზიანების მეტს არაფერს იწვევს.

მოწესრიგებული ადამიანის თვისებებია ვალდებულება და სიზუსტე. ვალდებულებას ის ადამიანები გრძნობენ, რომლებშიც განვითარებულია პასუხისმგებლობის გრძნობა

და დანაპირების შესრულების აუცილებლობა. ვალდებულების გრძნობა მჭიდროდ უკავშირდება ისეთ თვისებებს, როგორებიცაა სიზუსტე, მოწესრიგებულობა, პუნქტუალურობა. არც თუ იოლია ნებისმიერ ვითარებაში შეასრულო ვალდებულება, იყო წესიერი ადამიანი, მაგრამ, რაც უფრო ადრე შეუწყობს ხელს ადამიანი აღნიშნული თვისებების გამომუშავებას, მით უფრო სასარგებლოა მისთვის და საზოგადოებისათვის. მოვალეობა და სიზუსტე მთავარი პირობებია წარმატებული ურთიერთობებისათვის სამსახურში. ის აუცილებელია ოჯახში. მოვალეობის და სიზუსტის უგულებელყოფით ან მისდამი ზერელე მიდგომით ზიანდება საერთო საქმე, რაც საბოლოო ჯამში ყველას ცუდად უბრუნდება.

სიზუსტე – ეს არის შრომის ნაყოფიერება, ეს არის ნიეთები, ეს არის სიმდიდრე, ეს არის პატივისცემა საკუთარი თავისა და მეგობრებისადმი.

ადამიანი არ იბადება კეთილი, ბოროტი, უხეში ან ტაქტიანი. დაბადებიდან მასში შესისხლხორცებულია მხოლოდ ბიოლოგიური მოთხოვნილებები – თვითგადარჩენა, შთამომავლობის გაგრძელება და ა. შ. დანარჩენი თვისებები მასში გამომუშავდება ოჯახში, სკოლაში, უმაღლეს სასწავლებელში განათლების მიღების დროს.

იმისათვის, რომ ადამიანს ჰქონდეს უფლება საკუთარ თავს კულტურული უწოდოს, საჭიროა განათლების მიღება, ცოდნა. იშვიათობას არ წარმოადგენს ისიც, როდესაც ადამიანი საზრიანად გადმოსცემს სხვადასხვა სახის მოსაზრებას, ავლენს ერუდიციას, კითხულობს ლიტერატურას მორალთან დაკავშირებით, მაგრამ მარტივ ცხოვრებისეულ სიტუაციებში აჩენს სიხარბეს, ეგოისტურობას, უგულობას. ცხოვრებაში ადგილი აქვს იმასაც, როდესაც ადამიანი მოჭარბებულად იყენებს თავაზიან, ზრდილობიან სიტყვებს, რათა ამით გარკვეული სტილი, სახე შექმნას, მოატყუოს მეორე.

ყველა ადამიანი თავისებურად, ერთმანეთისაგან განსხვავებულად გამოხატავს საკუთარ ემოციებს. ამერიკელები კონცერტის ან სპექტაკლის მოწონების შემთხვევაში არა მარტო ტაშს უკრავენ, არამედ უსტვენენ კიდევაც. ჩინელები იმიტომ არ იცინიან, რომ გამოხატონ მხიარული განწყობა,

არამედ იმიტომაც, რომ საზოგადოებას, ირგვლივ მყოფთ, აჩვენონ თავიანთი კმაყოფილება.

მეცნიერები აცხადებენ, რომ ეტიკეტს, გაცილებით უმჯობესი იქნებოდა, რომ "ესთეტიკეტი" ერქვას. ადამიანის შინაგანი ჰარმონიულობა ლამაზად წარმოაჩენს მას, მის მიმიკას, ქცევის მანერებს, უესტს. კულტურული ადამიანი ცდილობს, მოიქცეს თავისუფლად. შეხვედრის დროს ის გულწრფელ სალამს იძლევა და თავსაც ხრის. ცხადია, არიან ისეთებიც, რომლებიც კარგი მანერებით ცდილობენ შენიღბონ შინაგანი სიცარიელე, ამორალურობა.

ხშირად ამბობენ, რომ ეტიკეტი ბოჭავს ადამიანს. წინასწარ იმის განცდა, თუ როგორ მოიქცეს ადამიანი ამა თუ იმ ღონისძიების დროს, იმაზე მეტყველებს, რომ მთლიანობაში არ არის შეთვისებული ეტიკეტის გაკვეთილები. ეტიკეტის შესწავლას, მის შეთვისებას ვარჯიში და რაც მთავარია, სურვილი ესაჭიროება. ერთხელ ინგლისის მეფეს იაკობ I – გამზრდელმა ქალმა მიმართა თხოვნით, მისი შვილი ჯენტლმენად ექცია. მეფემ ასე მიუგო მას: "თხოვნას ვერ შეგისრულებ. მე შემიძლია შენი შვილი გრაფად ვაქციო, ჯენტლმენად კი ის თვითონ უნდა იქცეს." არ შეიძლება გახდე კულტურული და გქონდეს დახვეწილი მანერები საკუთარი სურვილის გარეშე. ლტოლვა სრულყოფისაკენ არის აღზრდის გამომხატველი ნიშანი. ყოველი ადამიანი მეტ-ნაკლებად ცდილობს საკუთარი თავის დახვეწას, პირადი თვისებების მისადაგებას საზოგადოებრივ მოთხოვნებთან, თუმცა თვით აღზრდის წარმატებულობა მხოლოდ ადამიანზეა დამოკიდებული, მის თანამიმდევრულობაზე და იმაზე, რამდენად საქმის ცოდნით აკეთებს ამას. თვითაღზრდის ფუნდამენტს განათლება შეადგენს. ის უწყობს ხელს ადამიანს გაერკვეს თვითაღზრდის მიზნებში, მეთოდებში, შინაარსში, იმაში თუ როგორ ჩამოაყალიბოს თავი. თვითაღზრდა იწყება საკუთარი თავის სერიოზული შესწავლით, იმით, რომ გვერდიდან კრიტიკულად აკვირდებოდე საკუთარ ქცევას, მოქმედებას, ერთმანეთს ადარებდე და ობიექტურ შეფასებას აძლევდე საკუთარ თავს. საკუთარი მანკიერი თვისებების მოთმინებით ატანა უდავოდ გამოიწვევს მათ სამუდამო შეთვისებას, ცუდი ხასიათის ჩამოყალიბებას. უმნიშვნელო მომენტებ-

ზე გაბრაზებასთან ბრძოლა აუცილებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში სრული მოსალოდნელია კონფლიქტური ადამიანის იმიჯის შექმნა. საკუთარი თავისადმი თვითკრიტიკული განწყობა ადამიანს მთელი ცხოვრების მანძილზე უნდა გასდევდეს, განსაკუთრებით მის მეორე ნახევარში. წლებთან ერთად იცვლება ადამიანიც არა მარტო შინაგანად, არამედ გარეგნულადაც. თვითკონტროლის მოდუნების შემთხვევაში ქცევის სტილი ხშირად არ ემთხვევა ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ ცვლილებას, რასაც აქვს ადგილი. სასაცილოდ გამოიყურება ასაკოვანი ადამიანი, რომელიც პატარა ბიჭივით იქცევა. თვითაღსრდით ადამიანი ნებისმიერ ასაკში შეიძლება დაკავდეს, მაგრამ გაცილებით უმჯობესი იქნებოდა ახალგაზრდა ასაკში, როდესაც მგრძნობიარობაც და ნერვული სისტემაც გაცილებით მაღალია. ასაკოვანი ადამიანისთვის გარდაქმნა საკმაოდ რთულია.

ცხოვრებისეული პოზიციის შესახებ

„ნუ გეშინია მტრების - უარეს შემთხვევაში მათ შეუძლიათ შენი მოკვლა. ნუ შეგეშინდება მეგობრების – უარეს შემთხვევაში ისინი გაგყიდიან. გეშინოდეს ინდიფერენტულების – ისინი არც მოგკლავენ და არც გაგყიდიან. მათი უთქმელი თანხმობის შედეგად დედამიწაზე გამეფებულია გამყიდველობა და მკვლელობა" – რ. ებერჰარტის ამ სიტყვებს დღესაც არ დაუკარგავთ აქტუალობა.

აქტიური პოზიცია საჭიროა ადამიანისათვის, რათა დაიცვას თავი სხვა თავხედი ადამიანის შეტევისაგან. გარკვეული ძალაა საჭირო, რათა ადამიანმა დაიცვას საკუთარი თავისადმი პატივისცემა არა მარტო სამსახურში, არამედ თუნდაც საკუთარ ოჯახში. დელიკატური ადამიანი ფრთხილობს პატარა უხეშობაზე პასუხის გაცემას, თუმცა განიცდის ამას. უმჯობესია უხეშობის ავტორს მიენიშნოს ამის შესახებ, რაც დაზარალებულსაც გაანთავისუფლებს განცდებისაგან და უხეშსაც ჭკუას ასწავლის. მაღალი კულტურა განსაზღვრავს ადამიანის ქცევას საზოგადოებაში, მისი პოზიციის გამოხატვას, მის დამოკიდებულებას საზოგადოე-

ბის ინტერესებთან, საკუთარ შრომასთან, საკუთარ კოლექ-ტივში სამართლიანობისათვის ბრძოლას.

სიტყვა, საუბარი – ქცევის შემადგენელი ნაწილია

ადამიანის ზრდილობას მისი ქცევიდან გამომდინარე ვსაზღვრავთ. ვიღაცამ გაახარა ყვავილი, დარგო ხე, დაიცვა გოგონა ხულიგნის შეტევისაგან, მოხუცს ქუჩაზე გადასვლაში დაეხმარა ან დაუთმო მას ადგილი საქალაქო ტრანსპორტში და ა.შ. აღნიშნული მაგალითები კეთილი ქცევის გამოვლინებაა. არანაკლები მნიშვნელობისაა სიტყვები, რომლებსაც ადამიანები ერთმანეთს ეუბნებიან, ამდენად სრული შესაძლებელია მათი ქცევასთან გათანაბრება.

ადამიანის მიერ წარმოთქმული სიტყვები მოქმედებს მის მანერებზე, მოძრაობაზე. საზოგადოების მიერ ადამიანი აღიქმება მის მიერ წარმოთქმული სიტყვებით, საუბრით. მეტყველებაში იგრძნობა განათლება, ტემპერამენტი, გაწონასწორებულობა, ხასიათი, ირონიულობა, კეთილი განწყობა, გახსნილობა, ტაქტი, კორექტულობა, ესთეტიური აღზრდის დონე, ენამახვილობა. უშეცდომოდ ჩამოყალიბებული წინადადება დამახასიათებელია ასაკში მყოფი ადამიანებისათვის. ახალგაზრდები არ იყენებენ იმ ლექსიკას, რასაც საშუალო ან ასაკოვანი ადამიანები. ფსიქოლოგთა განმარტებით ადამიანის მომხიბვლელობას კარგი მოსაუბრეობაც განსაზღვრავს. ნებისმიერი დიალოგი, რომელშიც ადამიანი ერთვება, საჭიროებს გარკვეული წესების დაცვას. საერთო ენის გამოძებნა დიდი ხელოვნებაა. მეტყველების კულტურის დაუფლება ბავშვობაში ხდება. თუმცა აღზრდილი ადამიანი მთელი ცხოვრების განმავლობაში ხვეწავს მას.

ა. ჩეხოვი წერდა, რომ ინტელიგენტი ადამიანისათვის ცუდად ლაპარაკი ისეთივე მანკია, როგორც წერა-კითხვის უცოდინარობა. ლაპარაკის კულტურა იმაში გამოიხატება, რამდენად სწორად წარმოვთქვამთ სიტყვებს, ვაყალიბებთ წინადადებებს, რა ლექსიკური შესაძლებლობა გაგვაჩნია. როდესაც სიტყვის სილამაზეზე საუბრობენ, მხედველობაში აქვთ მელოდიურობა, სიტყვის ჟღერადობა, მკაფიოობა. კვა-

ლიფიციური ლექტორის სიტყვა ყოველთვის გასაგებია, თუნდაც ის რთულ საგნებზე ყვებოდეს. ენის სილამაზე, სიმდიდრე და გამომსატყველობა ძირითადად ეფუძნება იმას, თუ რა სიტყვებს ვხმარობთ და როგორ ვხმარობთ. რაც უფრო კულტურულია ადამიანი, მით უფრო მწვავედ გრძნობს ენობრივ კასუსებს.

ადამიანის ლექსიკა ასაკის მომატებასთან და ცხოვრებისეული გამოცდილების გაფართოებასთან ერთად მდიდრდება. სიტყვების არასუსტი, მცდარი გამოყენება, მოსაუბრის დაბალ კულტურაზე მეტყველებს. თუ დარწმუნებული არ ხართ სიტყვის მნიშვნელობაში, ნუ გამოიყენებთ მას, უმჯობესია ჩაიხედოთ განმარტებით ლექსიკონში.

საზოგადოებაში საკუთარი მოსაზრების გამოთქმა დაკავშირებულია ემოციურ დატვირთვასთან. ერთნი განიცდიან მეტად, მეორენი ნაკლებად. აღელვება ცუდად მოქმედებს გამომსვლელზე. მხოლოდ ის ადამიანი გრძნობს თავს დაჯერებულად, ვინც კარგად არის მომზადებული გამოსვლისათვის.

მსმენელზე არასასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს გამომსვლელის მიერ გაცვეთილი ფრაზების, სხვისი ხუმრობის გამოყენება. მდიდარი ლექსიკის უქონლობა იწვევს დამხმარე, არაფრისმთქმელი სიტყვების უხვად გამოყენებას, ისეთების, როგორიცაა: „ასე ვთქვათ", „მაშასადამე", „რაღა თქმა უნდა" და სხვა. მსგავსი სიტყვებით გაჯერებული გამოსვლის, ან საუბრის მოსმენა ძნელია. არანაკლებ ძნელი ასატანია უცხოური სიტყვების ჭარბი გამოყენებაც. სამწუხაროდ, ქართულ საზოგადოებაში, განსაკუთრებით ახალგაზრდებში, ფეხი მოიკიდა ინგლისური სიტყვების – "დეველოპერული", "ეტრექტიული", და სხვათა გამოყენებამ, მაშინაც, როდესაც მნიშვნელობიდან გამომდინარე მათი ხმარება სულაც არ არის გამართლებული. ასეთი ტერმინოლოგიით თავს იწონებენ ახალგაზრდა პოლიტიკოსები, რომლებიც უცხო სიტყვების გამოყენებით "არწმუნებენ" საზოგადოებას საკუთარ განსწავლულობაში. ადამიანები, განსაკუთრებით ახალგაზრდები, საუბრის დროს ხშირად მიმართავენ ჟარგონს. ჟარგონის ენაზე საუბარი შესაძლოა მოწიფულ ასაკშიც შემორჩეს მავანს, თუ არ მოხდა თვითშეფა-

სება, დამუხრუჭება და სერიოზული ძალისხმევით მათი შესაბამისი, მისაღები ტერმინოლოგიით ჩანაცვლება, წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ საშუალო ან მაღალი ასაკის ადამიანს, რომელიც მისი ასაკისათვის შეუფერებელ სიტყვებსა და გამოთქმებს იყენებს, რაც ამ ადამიანის დაბალ კულტურაზე მეტყველებს. მოწიფულ ადამიანს შეუძლია, უარგონი გაურიოს თავის გამოსვლაში, ოღონდ მხოლოდ ხუმრობით.

აქვე უნდა ითქვას ბილწსიტყვაობაზეც, რაც სამწუხაროდ, არა მარტო თავშეყრის ადგილებში, ქუჩაში, თუ სასწავლებლებში ისმის, არამედ ტელევიკრანებიდანაც. ახალგაზრდათა ერთმანეთში საუბრის დროს ჭარბად გამოიყენება ისეთი სიტყვები, როგორებიცაა რუსული „კაროჩე", სომხური „ტო", ქართული „ბოსის შვილი ვიყო" ან „ჩემი დედას შ.....ი" და სხვა. მკითხველს ბოდიშს ვუხდით ამ სიტყვებისათვის, მაგრამ ჩვენი ბოდიში არაფერს მოიტანს, თუ ტელევიკრანიდან უხვად გადმოიფრქვევა სიბინძურის მარგალიტები. ბილწსიტყვაობა არა მარტო ახალგაზრდა თაობისათვის არის დამახასიათებელი, არამედ საშუალო ასაკისათვისაც, რაც კიდევ უფრო ართულებს ვითარებას, ვინაიდან ის, ვინც ახალგაზრდებს უნდა ასწავლიდეს სწორ მეტყველებას, თვით არის აღსაზრდელი. ახალგაზრდებში, განსაკუთრებით თინეიჯერებში, ბილწსიტყვაობა ქუჩაში, მეგობრების წრეში, სკოლაში თვითდამკვიდრების მცდელობაა. მათ ჰგონიათ, რომ რაც უფრო ხშირად გამოიყენებენ უწმაწურ სიტყვებს, უფრო „მაგრები" იქნებიან. სამწუხაროა, როდესაც თინეიჯერ ბიჭებს ტოლს არც თინეიჯერი გოგონები უდებენ. ოჯახმა, სკოლამ, უმაღლესმა სასწავლებელმა უნდა შეაგნებინოს ყმაწვილ გოგო-ბიჭებს, რომ უწმაწური ლექსიკა მხოლოდ უაღრესად დაბალი დონის საზოგადოებაში გამოიყენება.

ინტონაცია

გამოსვლის, განცხადების, საუბრის დროს გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ინტონაციასაც. პოლიტიკოსი, დიპ-

ლომატი თავისი განცხადების იმ ნაწილს, რომელსაც მისი აზრით მსმენელმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს, უფრო შენელებულად, ხმამაღლა და გამოკვეთილად კითხულობს, ამბობს. სპეციალისტების შეფასებით, ადამიანი, ვიდრე სხვას დაელაპარაკება, საკუთარ თავს ამზადებს, რა ტონალობაში ილაპარაკოს. ქვეცნობიერად ხდება ცალკეული სიტყვის გამოთქმის განსაზღვრა. აქედან გამომდინარე, ვატარებთ საუბარს თავაზიანად ან ქედმაღლურად, სიფრთხილით ან ნდობით, გულთბილად ან ცივად. კბილებიდან გამოცრილი თავაზიანობა აუტანელია. ინტონაციას შეუძლია სიტყვის მნიშვნელობის განმტკიცება. ხშირად აქვს ადგილი პოპულარული სიტყვის „მიყვარხარ" ისე წარმოთქმას, რომ მისი არსი საწინააღმდეგოდ აღიქმება.

ინტონაცია ბევრი რამით არის განპირობებული, მაგალითად: ხასიათზე ყოფნით, უხასიათობით, განცდით, ასაკით, ცხოვრებისეული ტონუსით და სხვა, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც არის ვითარება, როდესაც ხდება საუბარი, გამოსვლა, განცხადება, მისი მიზნობრივი დანიშნულება. სასაუბრო ინტონაცია ინდივიდუალურია და განუმეორებელი, მაგრამ გარკვეული დახმარების გაწევა შეუძლია ქვემოთ მოყვანილ მაგალითებს:

მაღალი ტონალობა მიღებულია საიუბილეო შეკრებებზე.

ნეიტრალური – ერთმანეთთან საუბრის დროს, სამსახურში ურთიერთობისას.

ყოველდღიურ-ნეიტრალური-მაღაზიაში, საქალაქო ტრანსპორტში, თავშეყრის სხვა ადგილებში.

ფამილარული – ახლობლებთან ურთიერთობის დროს.

ვულგარული ტონალობა გამოიყენება დაბალი კულტურის ადამიანებში.

ადამიანი მგრძნობიარეა მოსაუბრის ლაპარაკის ტონალობის მიმართ. და თუ ტონალობა ცუდად არის შერჩეული, უეჭველად დაბადებს კითხვას - „რატომ მელაპარაკები ასე, მე ამას არ ვიმსახურებ."! ჩვენ გვაღიზიანებს ვულგარული წიკვინი, როგორც სახლში, ისე სამსახურში.

სიტყვის მელოდიურობა, მისი გამოთქმის ტემპითაც არის განპირობებული. გამოყოფენ რამდენიმეს: ძალიან შე-

ნელებულს, რომელსაც იყენებენ საზეიმო ვითარებაში. მას იყენებენ ფიცის დადების დროს, მოსამართლეები განაჩენის გამოცხადებისას და სხვა. საშუალო ტემპს, რომელიც დამახასიათებელია ყოველდღიურ ურთიერთობაში. ჩქარ ტემპს, რომელიც გაღიზიანებით, ნერვიულობით არის გამოწვეული და ასახავს არასასიამოვნო მოვლენებს. კულტურული ადამიანის საუბარი, მოხსენება, გამოსვლა ინტონაციური და რითმული თავშეკავებულობით გამოირჩევა. ადგილი არ აქვს ეულგარულობას, მოშვებულობას. ის პატივს სცემს მსმენელს, არ ღლის მას სისწრაფით ან შენელებით, სწრაფად ცვალებადი მაღალი თუ დაბალი ლაპარაკის ტემპით. საუბრის დროს დამღლელია არა მარტო მაღალი სასაუბრო ტემპი, არამედ დაბალიც. ხშირად აუტანელია ხანგრძლიეი პაუზებიც.

ლაპარაკის ტექნიკა

ენა მუსიკალური ინსტრუმენტია და საჭიროა მისი შესწავლა ისე, რომ თავისუფლად და ლამაზად ფლობდეთ. არსებობს გარკვეული პროფესიები, მაგალითად: მსახიობის, დიქტორის, მასწავლებლის, იურისტის, პოლიტიკოსის, რომელიც საჭიროებს ლაპარაკის ტექნიკის დახვეწილობას, გამომხატველობას, გადმოცემის სისადავეს, სიტყვის იოლად გაგებას. სამწუხაროდ, ამ თვალსაზრისით საქართველოს ზემოთ ჩამოთვლილი ყველა სპეციალობის ადამიანი ზედმიწევნით სცოდავს. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსი არიან ტელე- და რადიო ჟურნალისტები, დიქტორები. მათი მეტყველება, რბილად რომ ვთქვათ, სერიოზულ შეცვლას მოითხოვს. დაუმთავრებელი წინადადებები, სიტყვები, გაუმართლებლად სწრაფი ტემპით ლაპარაკი ატერორებს და ერთობ არაკომფორტულ გარემოში აყენებს ქართველ მაყურებელს. ახალი ამბების წამყვანი ჟურნალისტების სულმოუთქმელი სიტყვების ფრქვევა სულაც არ არის გამიზნული აზრის გადმოსაცემად, მისი მიზანია ტექსტის სწრაფად ჩაკითხვა. განსხვავებული თემების ერთმანეთ'ზე უპაუზოდ გა-

დაბმა გაუგებრობას იწვევს მაყურებელში, თუმცა ეს ნაკლებად ადარდებთ ტელეკომპანიების მეპატრონეებს.

ლაპარაკის ტექნიკის ცოდნა აუცილებელია ყოველი კულტურული ადამიანისათვის. თუ განვიხილავთ ლაპარაკის ტექნიკას, დავინახავთ, რომ ადამიანის სიტყვა აზრიდან არის გამომდინარე და არა შებრუნებით. შინაარსი, ის რაც ჩვენ გვსურს მსმენელამდე მივიტანოთ, განსაზღვრავს მიტანის ფორმას, ლექსიკას, ინტონაციას, რითმს, სხვა საშუალებებს. მაგალითად, თუ ინფორმაცია, რომლის მიწოდება სურს მომხსენებელს, უმნიშვნელო, უინტერესო, არააქტუალურია, მას ვერ უშველის ორატორის მოხერხებულობა, არც ხმის აწევ-დაწევა ან განსხვავებული ინტონაცია. პირველი წინადადების შემდეგ სრული შესაძლებელია, რომ მომხსენებელმა დაკარგოს მსმენელის ყურადღება. ასეთ შემთხვევაში იტყვიან – შეიძლება ისწავლო ლაპარაკის ტექნიკა, მაგრამ თუ ორატორს სათქმელი არაფერი აქვს, შედეგიც არაფერი იქნება.

ყველა ხმას თავისი დიაპაზონი აქვს. ჩვეულებრივი საუბრის დროს ის არ გადის 3-4 ნოტის ჩარჩოდან, თუმცა სპეციალური მუშაობის შედეგად, შესაძლებელი იქნება ლამაზად ჟღერადი ხმის ნოტების რეგისტრის გაფართოება, რაც შესაძლებლობას მისცემს ხმას მეტ მოქნილობას, ექსპრესიულობის გაფართოებას. მოსაწყენი, ერთ ტონალობაში წარმართული გამოსვლა ღლის მსმენელს. ადამიანი უნდა ცდილობდეს საკუთარი ხმის ჟღერადობის დახვეწას, მის გათავისუფლებას ხრინწისგან, ჩახლეჩისაგან, სხვა დეფექტისაგან.

გარკვეული დიქცია, გამოკვეთილი გამოთქმა, სწორი არტიკულაცია – კულტურული მეტყველების დამახასიათებელი თვისებებია. გაურკვევლად ნათქვამი სიტყვები ძაბავს მსმენელის ყურადღებას და აუარესებს აზრის მოსმენის შესაძლებლობას. ნათქვამის ზუსტად აღქმა დამოკიდებულია ლაპარაკის ტემპზე, რაც ადამიანის ტემპერამენტს უკავშირდება. ფლეგმატური ადამიანის სიტყვა აუჩქარებელია. ლაპარაკის ტექნიკის დაუფლება, გამოკვეთილი დიქციის თავისუფალი ინტონირება არც თუ იოლია, მაგრამ სურვილის შემთხვევაში – მიღწევადი. როდესაც ძველი სა-

ბერძნეთის ორატორმა დემოსთენემ გადაწყვიტა თავისი პირველი სიტყვით გამოსვლა, მიუხედავად დიდი სურვილისა, კარგი შთაბეჭდილება მოეხდინა მსმენელზე, მცდელობა უარყოფითად დასრულდა. ხალხმა შეაწყვეტინა ლაპარაკი. ლაპარაკის დროს ხმის სიძლიერის გასავითარებლად საჭიროა გამოკვეთილი დიქციის გამომუშავება. დემოსთენემ გადაწყვიტა სერიოზული ყურადღება დაეთმო ვარჯიშისათვის და იმისათვის, რომ დრო უქმად არ დაეხარჯა, თმის ნახევარი შეიკრიჭა. ნახევრად გაპარსულისათვის ქუჩაში გასვლა უხერხულობას ქმნიდა, ამდენად სახლში მყოფს მეტი დრო რჩებოდა ორატორული ხელოვნების დაუფლებისათვის. დაბეჯითებული შრომის შედეგად დემოსთენე მჭერმეტყველების ნამდვილი ოსტატი გახდა.

ურთიერთობის მთავარ საშუალებად სიტყვა ითვლება, მაგრამ არა მარტო ის. სიტყვასთან ერთად ლაპარაკობს სახეც, ხელებიც, მთლიანად ტანიც (გერმანულ ენაში ასეთი სიტყვებიც არსებობს: "სხეულის ენა" – Koerpersprache). ღიმილი, თავის დაკვრა, მხრების აჩეჩვა, სიტყვის თავისებური აკომპანიმენტია. ამ ხერხს ხშირად უწოდებენ არაევრბალურ ხერხს. ის რაც დაკავშირებულია სახის მოძრაობასთან, ანუ მიმიკასთან, ხელის მოძრაობასთან, ანუ ჟესტიკულაციასთან, ტანის მოძრაობასთან, ანუ პანტომიმიკასთან, ერთიანდება ერთი გაგებით – ჟესტით. მისი მთავარი მიზანია სიტყვის ზემოქმედების გაძლიერება. ჟესტი თან ახლავს სიტყვას, აზუსტებს, ავსებს მას, ზოგ შემთხვევაში ცვლის კიდეეაც.

სიტყვიერ ჟესტს მრავალმხრივი ინფორმაციის გადმოცემა შეუძლია. მისი დახმარებით ხდება აღწერა, მითითება, გრძნობების გამოხატვა, სიხარულის, კმაყოფილების, შიშის, უხერხულობის გადმოცემა, გარდა ამისა წარმოებს ეთიკური ქმედება – მისალმება, დამშვიდობება, მოწვევა და სხვა.

არსებობს დახვეწილი, უხეში, ეთიკური ნორმების დამრღვევი ჟესტები. კულტურული ადამიანი არ იმუქრება მუშტით, ხელს არ ურტყამს მაგიდას, საკუთარი სიტყვების სიმართლეში დასარწმუნებლად მჯიღს არ იცემს მკერდზე, ენას არ უყოფს ვინმეს, გაბრაზებული არ იფურთხება და სხვა.

ფურთხებასთან დაკავშირებით, სიტყვამ მოიტანა და უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ საქართველოში უაღრესად არაესთეტური ვითარებაა შექმნილი. იფურთხება ყველა ასაკის ადამიანი, დიდი თუ პატარა – მოურიდებლად ქუჩაში, ავტომანქანიდან, სახლის ფანჯრიდან. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს გადაფურთხებით უდიდეს კმაყოფილებას გრძნობდნენ. ახალგაზრდების ფურთხებაში „მაგარი" ბიჭობის გამომხატველობის მოტივებიც იგრძნობა. იფურთხებიან სხვადასხვანაირად, ზოგ შემთხვევაში ფიგურალურადაც, გადაწიტებით. ნაფურთხით, ამონახველით სავსეა არა მარტო საქალაქო ტრანსპორტის გაჩერებები, არამედ ფეხბურთის სტადიონი, თავშეყრის სხვა ადგილები. საბჭოთა კავშირის არსებობის დროს გაზეთმა „კომუნისტმა", სხვა გაზეთებმა არაერთი გამკიცხავი სტატია მიუძღვნეს ამ გულისამრევ მანკიერებას, მაგრამ, როგორც ჩანს, უშედეგოდ–ფურთხით მორწყული რუსთაველის პროსპექტი ამის დამადასტურებელია. მხოლოდ აღზრდა, ოჯახისა და სკოლის სერიოზული დამოკიდებულება ყოფითი კულტურისადმი თუ იხსნის საზოგადოებას უზრდელური ქცევისაგან. სამწუხაროდ, არც ოჯახი და მითუმეტეს სკოლა, არასათანადო ყურადღებას აქცევს ელემენტარული ყოფითი კულტურის საკითხებს, ბავშვთა ესთეტიკურ აღზრდას. უზრდელი ადამიანის ატანა გაცილებით ძნელია, ვიდრე უცხო ენათა ან კომპიუტერის უცოდინარის.

დაუბრუნდეთ ჩვენს თემას. ჟესტებთან დაკავშირებით სხვადასხვა დამოკიდებულება აქვთ მსოფლიო ხალხებს. ზოგიერთთან ჟესტები სიტყვის დამატებისათვის კი არ გამოიყენება, არამედ იხმარება დამოუკიდებლად. თუ ევროპელთათვის თითით მინიშნება მიუღებელია, ლათინურ ამერიკაში ასეთი რამ ჩვეულებრივად ითვლება. გარეგნულად, ევროპელების ნაწილი თავშეკავებულები არიან. მოჭარბებული ჟესტიკულაციით გამოირჩევიან ინდოელები, კუბელები, მექსიკელები. ინგლისელმა ფსიქოლოგმა მაიკლ არჩილმა, მსოფლიო მოგზაურობის დროს დაადგინა, რომ ერთსაათიანი საუბრისას ფინელი იყენებს ერთ ჟესტს, იტალიელი – 80-ს, ფრანგი – 120-ს, ხოლო მექსიკელი – 180-ს.

აფრიკის ქვეყნებში „ჩემთან მოდი" ჟესტი გამოიხატება ხელების საწინააღმდეგო მიმართულებით მოძრაობით. ეს გამორჩეული მოძრაობა მეცნიერთა აზრით იმით არის გამოწვეული, რომ შაეკანიანებს ხელის გული ღია ფერის აქვთ, ამდენად ადრესატისთვის ხელების ასეთი ჟესტი უფრო შესამჩნევია.

არაფერი ისე არ ფასობს, როგორც სისადავე და ბუნებრივი ქცევა. მოჭარბებული თეატრალიზებულობა, ხელებისა და ტანის მოჭარბებული ჟესტიკულაცია, იწვევს ანტიპატიას, უნდობლობას, დაცინვას.

ზოგი, იმისათვის, რომ საზოგადოების ყურადღების ცენტრში აღმოჩნდეს, ხმამაღლა იწყებს ლაპარაკს, სიცილს და ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს წვეულებაზე მისული ადამიანები მხოლოდ მას ელოდებიან, მასთან შეხვედრაზე ოცნებობენ.

კულტურა იმაშიც გამოიხატება, რას ლაპარაკობენ ან როგორ ლაპარაკობენ. ჟესტი ხშირად ასახავს აღზრდილობას, შინაგანი თუ გარეგანი სულის ერთიანობას.

როდესაც საუბრობენ ადამიანზე, მის მომხიბვლელობაზე, უმალ ახსენებენ მის გულახდილობას, ურთიერთობაში თავისუფალ ქცევას. ბევრ ხალხს ღიმილი აქვს, როგორც მეგობრული ურთიერთობის მთავარი ატრიბუტი. ცხადია, ღიმილშიც არის განსხვავება. ამერიკელთა დიდი ნაწილი ღიმილს იყენებს ფასადისათვის, არაგულწრფელად, ჩასმული კბილების დემონსტრირებით. ასე იქცევიან ტელეჟურნალისტები, ტელეწამყვანები, მაღაზიის გამყიდველები, მომსახურე სფეროს მუშაკები. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შემდეგ, ღიმილი, საქართველოს მომსახურების სფეროს მუშაკებისთვისაც აუცილებელი ატრიბუტი გახდა. თუმცა აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ღიმილს მოკლე, უხეში პასუხი აგვირგვინებს. მხოლოდ გულწრფელ, გახსნილ, კეთილ ღიმილს შეუძლია გამოიწვიოს დადებითი ემოციები და არა ეშმაკურს, ბრაზიანს, ცრუს. იაპონელთა სახიდან არასდროს ქრება ღიმილი. იაპონური ღიმილი მრავალფეროვანია – ის ფარავს შინაგან წუხილს. იაპონელი თვლის, რომ საზოგადოებას არ უნდა მოახვიოს საკუთარი პრობლემები. ღიმილი აუცილებელია იაპონელი ექიმისათვის, აგრეთვე

ოფიციალურ ურთიერთობებში. იაპონელის ღიმილი არა მარტო ტრადიციული თავაზიანობის გამოვლინებაა – არამედ გულითადი სიხარულის გამომხატველია.

ჟესტი, ისე, როგორც ლექსიკა ან ლაპარაკის მანერა შეიძლება იყოს ცვალებადი. მასზე გარკვეული გაკლენით სარგებლობს კინო, ტელევიზია, საერთაშორისო შეხვედრები და სხვა. ავიღოთ თუნდაც მარტივი მაგალითი – წინათ გამომშვიდობების დროს ხელის მტევანს ზემოდან ქვემოთ ვაქნევდით, ღღეს მარჯვნიდან - მარცხნივ ან შებრუნებით, ისე როგორც ევროპაში. გარეგნული ექსპრესიის გამომხატველი ჟესტები დედის მუცლიდან არ მოჰყვება ადამიანს, ისინი ცხოვრებისეული ზეგავლენის შედეგია, უპირველეს ყოვლისა ახლობლებისადმი მიბაძვის.

დაკვირვებული ადამიანი ადვილად გამოიცნობს ღიმილის გულწრფელობას. ამისათვის საჭიროა თვალებში ჩახედოთ მოსაუბრეს. ფსიქოლოგების მიხედვით თვალები ზუსტად გამოხატავენ ადამიანის სულიერ განწყობას. წესის მიხედვით, თუ ადამიანს საუბრის დროს მუქი ფერის სათვალე უკეთია, მან აუცილებლად უნდა მოიხსნას ის. სამწუხაროდ ამ წესს ყველა არ მიმართავს. არათუ ერთმანეთთან საუბრის, არამედ სატელევიზიო გამოსვლის დროსაც არ იხსნიან მუქი ფერის სათვალეებს, რაც მაყურებლის შეურაცხყოფაა.

ეთნოგრაფების ერთი კატეგორია ადამიანებში, უფრო სწორად, ხალხებში გამოარჩევენ კონტაქტურ და არაკონტაქტურ ცივილიზაციებს. კონტაქტურს ისინი განეკუთვნებიან, რომლებიც მოსაუბრესთან ძალიან ახლოს მიდიან და თვალებში აშტერდებიან. მეორე კატეგორია მიიჩნევს რომ ასეთი მანერა თავხედობის მომასწავებელია. არაკონტაქტურებს მიაკუთვნებენ: ინდოელებს, პალესტინელებს, ჩრდილო ამერიკელებს, იაპონელებს. იაპონელები თავს არიდებენ სახეზე ყურებას, უმეტესად ისინი კისრის ზედა ნაწილს უყურებენ.

ისიც ჩიშანდობლივია, რომ აღმოსავლეთის ხალხებში, მაგალითად, ჩინელებსა და იაპონელებში, არ არის მიღებული ხელის ხშირად ჩამორთმევა ან, მით უმეტეს, მეგობრული დამოკიდებულების გამოსახატავად, ხელის დატყაპუნება

მოსაუბრის მხარზე, ხოლო არაბი მოსაუბრისათვის შეურაცხმყოფელი იქნება, თუკი თქვენ, საკარძელში მჯდომი, — ფეხს ფეხზე ისე გადაიდებთ, რომ მას თქვენი ფეხსაცმლის ძირს შეახედებთ. საერთოდ, ევროპელებმა უფრო მჭიდრო, "მაგარი" ხელის ჩამორთმევა იციან, აზიელებმა კი — სუსტად, თითქმის გაშლილი თითებით.

დიალოგის დროს ღიმილი ყურადღების ნიშანია, ამის მიხედვით შეიძლება იმის დადგენა, ეთანხმება თუ არა მსმენელი თქვენს ნათქვამს. საუბრის დროს თვალებში ყურება მოსაუბრის სოციალური სტატუსითაც არის გამოწვეული. მაშინ, როდესაც ასაკოვან ადამიანს ვესაუბრებით, თვალს არ ვაშორებთ მას, რითაც გამოვხატავთ მისდამი ყურადღებას და პატივისცემას.

დისკომფორტის, ხშირ შემთხვევაში შოკის მომგვრელია შემფასებლური, უცერემონიო მზერა. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ადამიანს ღლის დაჟინებითი და ხანგრძლივი მზერა, განსაკუთრებით მას, ვინც ნაკლებად არის დარწმუნებული საკუთარ თავში. გარკვეული უხერხულება იქმნება საზოგადო ტრანსპორტში, როდესაც დიდი ხნის განმავლობაში ადამიანებს ერთმანეთის პირისპირ სხდომა უხდებათ. ზოგი მათგანი მზერის არიდების მიზნით გაზეთის ან წიგნის კითხვას იწყებს.

მჭევრმეტყველება, კარგი გამოსვლა

თანამედროვე საზოგადოებაში გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება სხვადასხვა სახის შეკრებებზე, კონფერენციებზე, ღონისძიებებზე სიტყვით გამოსვლას. გამოსვლისთვის მზადების დროს, ორატორმა უნდა გაითვალისწინოს გამოსვლის (მოხსენების) სპეციფიკა. დიდი მნიშვნელობა აქვს თეზისების, ზოგ შემთხვევაში კონსპექტის მომზადებას, თუმცა ხშირად დაწერილი ტექსტი არ იკითხება, მას უბრალოდ ჩახედავენ ხოლმე. გამოუცდელი მომხსენებელი ცდილობს შეუცდომლად, შეუფერხებლად ილაპარაკოს, თავი აარიდოს პაუზებს, მოსაზრების ზუსტი გადმოცემისათვის სიტყვების ძებნას. ორატორს არ უნდა ეშინოდეს ამგვარი „შეცდომე-

ბის", ვინაიდან ზეპირი გამოსვლის დროს ტექსტი ლაპარაკისას ყალიბდება, ამდენად გამეორება, პაუსა, წინადადებათა მარტივი ფორმულირება სრულიად დასაშვებია. უფრო მეტიც – ორატორის მიერ წარმოთქმული სიტყვა „უკეთესად როგორ უნდა ითქვას"?, არა თუ ხელს უშლის აღქმას, არამედ ააქტიურებს აუდიტორიას.

საანგარიშო მოხსენება – ის სიტყვაა, რომელშიც ოფიციალური პირი აცნობს დამსწრეებს გაწეული მუშაობის შესახებ, კრიტიკულად აფასებს შედეგებს, როგორც წარმატებებს, მიღწევებს, ისე – ნაკლოვანებებს, სახავს შემდგომ პერსპექტივებს. ასეთი მოხსენება არის არა მარტო ინდივიდუალური, არამედ კოლექტიური შემოქმედების ნაყოფი, რადგან მოხსენება წინასწარ განიხილება და სწორდება კოლექტივის მიერ. გამოსვლის დროს ორატორის სიტყვები მოწოდებული უნდა იყოს იმისათვის, რომ მსმენელში გამოიწვიოს შეკითხვის სურვილი.

სააგიტაციო სიტყვა – მოკლედ და გამომხატველად აღწერს საკითხს იმისათვის, რომ მობილიზება გაუკეთოს დამსწრეებს დასმული ამოცანების გადასაწყვეტად. ეს შეიძლება იყოს მოწოდება გასაკეთებელი საქმის მნიშვნელობიდან გამომდინარე.

მიტინგისათვის განკუთვნილი სიტყვა უკავშირდება მნიშვნელოვან საზოგადო ან პოლიტიკურ პრობლემას და გამოირჩევა ლაკონიურობით, ემოციურობით, დაძაბული ინტონაციით, მაღალი პათოსით. ორატორი მოწოდებულია გამოხატოს კოლექტივის აზრი რომელიმე პოლიტიკურ საკითხთან დაკავშირებით.

პოლიტიკურ ინფორმაციას მიმართავენ პოლიტსემინარების მონაწილენი. მისი მთავარი დანიშნულებაა არა მარტო ინფორმაციის მიწოდება, არამედ მასზე კომენტარის მოსმენა და იდეოლოგიური ზეგავლენის მოხდენა. ასეთი გამოსვლის დროს, თემიდან გამომდინარე, შერჩეულ უნდა იქნას დამაჯერებელი მასალები. გარკვეულ შემთხვევაში შეიძლება ხედვითი მასალის გამოყენებაც.

ლექცია გამოირჩევა თემის საფუძვლიანი გაშუქებით, დახვეწილი ლოგიკით, თეზისების ღრმა არგუმენტაციით,

კვლევებთან და ექსპერიმენტებთან შედარებით, ავტორიტეტების ციტირებით, სალაპარაკო სტილის სიმკაცრით.

თუ სამეცნიერო – პოპულარული ლექციის დროს ორატორი მავნედ იყენებს სპეციალურ ტერმინოლოგიას, არ იძლევა განმარტებებსა და კომენტარებს, აუდიტორიამ ეს შეიძლება უპატივცემულობად აღიქვას.

სამეცნიერო მოხსენება ჰგავს ლექციას. მისი მიზანია სამეცნიერო მონაცემების არა იმდენად პოპულარიზაცია, არამედ ჩატარებული ექსპერიმენტის განხილვა. როგორც წესი, გამომსვლელი მომართულია განხილვისათვის, კრიტიკული შეფასებისათვის.

სამეცნიერო ინფორმაცია გამოირჩევა ლაკონიურობით, ზედმიწევნითი კონკრეტულობით, აკადემიურობით.

საიუბილეო სიტყვა – არის სოციალური და ყოფითი მჭერმეტყველების ნაირსახეობა. ის ატარებს საზეიმო ხასიათს და ეძღვნება ცნობილ, სახელოვან ადამიანს და კოლექტივს. ასეთი სიტყვა უნდა იყოს მოკლე, გულწრფელი, ადრესატისადმი გულთბილობით აღსავსე. ის უნდა შეიცავდეს ადრესატისადმი პატივისცემას, უნდა უსურვებდეს მას ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს, ბედნიერებას. საიუბილეო სიტყვას ამკობს იუმორი, რომელიც უკავშირდება იუბილარს, ერთად მუშაობის რაიმე თავგადასავალს და სხვა. ასეთ შემთხვევაში მეტად ფასობს ორიგინალურობა, იმპროვიზაცია, სიმღერა და სხვა.

სუფრაზე სიტყვა, სადღეგრძელო წარმოითქმება ოფიციალური მიღების დროს, აგრეთვე ოჯახურ დღესასწაულებზე. პირველ შემთხვევაში სიტყვა-სადღეგრძელოს პოლიტიკური დატვირთვა აქვს, მეორეში – ტრადიციულ-ეროვნული.

თავაზიანობის ფორმულა

თავაზიანობის ფორმულა არის ის სიტყვები, რომლებიც თან ახლავს ყოველდღიურ სტერეოტიპულ კონტაქტებს, მაგალითად: „დილა მშვიდობისა", „გამარჯობა", "ბოდიშს მოგიხდით", „მაპატიეთ" და სხვა. ყველა ისინი უკავშირდება ჩვენში არსებულ ტრადიციებს, წეს-ჩვეულებებს. ყველა ქვე-

ყანას აქვს თავაზიანობის გამომხატველი სიტყვები. დღევანდელი ვერბალური ეტიკეტი გაცილებით გამარტივებულია წინა საუკუნეებთან შედარებით. ადამიანთა ლექსიკიდან გაქრა მეფის კარზე მიღებული შაბლონური სიტყვები. დღეს თავში იშვიათად მოუვა ვინმეს თქვას - „უმორჩილესად გიხრით თავს" ან „თქვენი მონა-მორჩილი", „თქვენი მსახური" და სხვა. თავაზიანობის ფორმულამ იკლო, მაგრამ ის, რაც დარჩა, უფრო მრავალისმოქმედია, მაგალითად, „მაპატიეთ" ერთის შეხედვით გამოხატავს პატიებას, თუმცა ამასთანავე მიმართვასაც - „მაპატიეთ, რომელი საათია?"

ბევრი თვლის, რომ თავაზიანობის ფორმულის გამოყენება მხოლოდ სამსახურში ან საზოგადო ადგილებში გამოიყენება და არა სახლში, რაც არამართებულია, ვინაიდან ის ადამიანისადმი პატივისცემას გამოხატავს. ადამიანი პატივით უნდა ეპყრობოდეს, როგორც შინაურებს ისე გარეთ მყოფებს. ძალიან ახლობელიც კი შეიძლება გაანაწყენოს სიტყვებმა - „წადი", „მომიტანე", „გააკეთე" და სხვა. სულ სხვაა, როდესაც მათ ემატება სიტყვა - „გთხოვ(თ)".

ცხოვრების ყველა სფეროს გააჩნია თავაზიანობის გამომხატავი სტერეოტიპები. მათი გამოუყენებლობა ცუდად აისახება კონტაქტებზე, იწვევს გარშემო მყოფთა გაუცხოებას.

ფსიქოლოგების აზრით, ურთიერთობის წარმატების საწინდარია სამი რამ – პირველი, როგორ ვიწყებთ მას, მეორე, რა პირობებს ვქმნით მისი წარმატებით გაგრძელებისათვის და მესამე, როგორ ვასრულებთ.

მიმართვა

ქართულ ენაში მიმართვის ორი ფორმაა – „შენ" და „თქვენ". „თქვენობით" მიმართავენ უცნობს ან ნაკლებად ნაცნობ ადამიანს, ასაკოვანს, თანამდებობის პირს. „შენობით" – ახლობელს, ოჯახის წევრს, მეგობარს, სკოლის და უმაღლესი სასწავლებლის ამხანაგს, მშობლებს, თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ არც თუ დიდი ხნის წინ, უდიდესი პატივისცემის გამოსახატავად საქართველოში მშობლებს მი-

მართავდნენ „თქვენობით". სამწუხაროდ, თანამედროეობამ არა მარტო გაამარტივა თავაზიანობის გამომხატველი ლექსიკა, არამედ ფაქტიურად ზღვარი წაშალა დიდისა და პატარის ვერბალურ, თავაზიან ურთიერთობაში. გაოცებას იწვევენ გონებამახვილობით გამორჩეული გურულები, განსაკუთრებით პატარა ასაკის, რომლებიც შენობით მიმართავენ მამის და ბაბუის ტოლ ხალხს. მსგავსი რამ უფრო „ფამილარობის" ამსახველია და ნაკლებად შეესაბამება ქართველთა ღრმა ტრადიციებს.

დაწესებულებაში ხელმძღვანელი ვალდებულია თავის თანამშრომლებს მიმართოს „თქვენობით". უპირველესად იმიტომ, რომ არ შეიბღალოს თანამშრომლის „მე", გარდა ამისა, დაიცვას ის დისტანცია, რაც უნდა არსებობდეს ხელმძღვანელსა და ხელქვეითს შორის.

ხელმძღვანელის თანამშრომლებისადმი „შენობით" მიმართვა მაშინ არის გამართლებული, როდესაც ხელმძღვანელი გამოჩენილი პიროვნებაა და მის მიერ „შენობით" მიმართვა არის დიდი ნდობის გამომხატველი.

საყვარელი პედაგოგის მხრიდან „შენობით" მიმართვას, როგორც სასიამოვნო ნორმას, ისე აღიქვამენ მოსწავლეები და სტუდენტები.

არის შემთხვევები, როდესაც „შენობით" ერთმანეთთან მყოფი ადამიანები „თქვენობაზე" გადადიან, რაც მათ შორის ურთიერთობის დაძაბვის გამომხატველია.

უზრდელობად ჩაითვლება მიმართვა - „ეი შენ" ან „ეი თქვენ". მიუღებელია ისიც, როდესაც მოლაპარაკე ერთ-ერთ დამსწრეს მესამე პირში მოიხსენიებს.

საქალაქო ტრანსპორტში, ქუჩაში, მაღაზიაში და სხვაგან უმჯობესია უცნობს მიმართოთ სიტყვებით „გეთაყვათ", „გთხოვთ" და სხვა.

ახალგაზრდას მიმართავენ - „ახალგაზრდავ", „გოგონა", „ყმაწვილო" და სხვა.

სტუდენტები უცნობ ლექტორს უნდა მიმართავდნენ სიტყვებით - „ბატონო ლექტორო", პაციენტები ექიმს - „ბატონო ექიმო".

პროფესიონალი ექიმები, იურისტები, მასწავლებლები ერთმანეთს მიმართავენ - „პატიუცემულო კოლეგავ", „ძვირფასო კოლეგავ".

ნაკლებად მისაღებია უცნობს მიმართოთ „ბიძია", „ბიცოლა", "დეიდა", „ბებია" და სხვა. ვინაიდან ბევრ ხანშიშესულს არ მოსწონს, როდესაც მის ასაკს ხაზს უსვამენ.

ოჯახში, ვიწრო წრეში, მიღებულია ერთმანეთისადმი მოსიყვარულებით ან კნინობითი ფორმით მიმართვა, რაც დაუშვებელია საზოგადო ადგილებში, განსაკუთრებით ტელევიზიაში. სამწუხაროდ, ამ მხრივ ბევრს სცოდავენ ქართველი ტელე- და რადიო ჟურნალისტები, საჯარო მოხელეები, პოლიტიკოსები. ტელეკომპანიების ეკრანებიდან სისტემატურად იფრქვევა მეტსახელები, სასიყვარულო სახელები, ზედმეტსახელები – ისეთები, როგორიცაა: პალიკო (პავლეს ნაცვლად), ნანიკო (ნანას ნაცვლად) და სხვა.

მისალმება და დამშვიდობება

მიმართვის შემდგომი ნაბიჯია მისალმება. ეს, როგორც ზოგიერთს ჰგონია, არცთუ ჩვეულებრივი ფორმალობის გამომხატველია. ყველა ჩვენგანს – დიდსა თუ პატარას, დაბალი თუ მაღალი თანამდებობის პირს, ახარებს გულწრფელი „გამარჯობა". კალიფორნიელი ფსიქოლოგი ე. ბერნიე თვლის, რომ მისალმება, თუ ის გულწრფელია, მოფერების ტოლფასია და ადამიანებს განაწყობს ერთმანეთისაკენ, მაგრამ ყველა მისალმება იწვევს ასეთ განცდას? ხშირად აქვს ადგილი, როდესაც ზერელე მისალმებას ადამიანში გამოუწვევია შემდეგი კითხვა - „რატომ მომესალმა ასე?" ისეთი მისალმება, რომელიც ადამიანს გაამხნევებს და ხასიათს არ გაუფუჭებს, ყველას არ ეხერხება. უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია მისალმებისათვის საჭირო სიტყვის შერჩევა. იმ შემთხვევაში, თუ ადამიანი ასაკოვანია გამოიყენება - „გამარჯობათ ბატონო". ნაკლები ოფიციალობაა ისეთ მისალმებაში, როგორიცაა „დილა მშვიდობისა" ან „საღამო მშვიდობისა".

ბავშვები პირველები ესალმებიან დიდებს, ასაკით უმცროსები - უფროსებს, მამაკაცი – ქალს, მომსვლელი – დამხვდურებს. ქალი პირველი უწვდის ხელს. გამონაკლისს შეადგენს შემთხვევა, როდესაც ის ხვდება ხელმძღვანელს. ამ შემთხვევაში ხელმძღვანელი უწვდის ხელს. ოფიციალურ ურთიერთობაში ხელის ჩამორთმევა არის ხელმძღვანელის თანამშრომლებისადმი დამოკიდებულების გამომხატველი. რაც შეეხება თავის დაკვრას, ეს საერთოა ორივე სქესისათვის. ასაკის და სქესის მიუხედავად, მოსული პირველი ესალმება დამხვედრებს. იმ შემთხვევაში, თუ დღის განმავლობაში ადამიანები ერთმანეთს რამდენჯერმე ხვდებიან, ისინი ერთმანეთს ესალმებიან თუნდაც ღიმილით და თავის დაკვრით. მამაკაცი გამვლელ ქალს მიესალმება ცილინდრის ან ქუდის აწევით, მაგრამ თუ მას ბეწვის ქუდი ან ბერეტი ახურავს, ამის გაკეთება საჭირო არ არის. ხელის ჩამორთმევის დროს მამაკაცმა ხელთათმანი უნდა მოიხსნას. იგივეს აკეთებს ქალი, თუ მას სქელი ხელთათმანები უკეთია, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ხელთათმანი ძალიან თხელია, ამის გაკეთება არ არის საჭირო. სტუმრად მისვლისას პირველად ესალმებიან მასპინძლის მეუღლესა და მასპინძელს, ხოლო შემდეგ სხვა მოწვეულებს. თუ მოწვეულები პატარა ოთახში იმყოფებიან, შესაძლებელია ყველასათვის ხელის ჩამორთმევა. მისალმების, ხელის ჩამორთმევის დროს იღიმებიან და ერთმანეთს თვალებში უყურებენ. მეორე ხელი ჯიბეში არ უნდა გქონდეთ და სხვას არ უნდა ელაპარაკებოდეთ. მისალმების წარმოთქმის დროს მამაკაცი, რომელიც ‘ხის –უნდა წამოიწიოს. ასევე უნდა მოიქცეს ახალგაზრდა ქალი, გოგონა. ქუჩაში მისალმება შესაძლებელია ერთმანეთთან გასწორებამდე. თუ ქუჩის მეორე მხარეს შენიშნეთ ნაცნობი, საკმარისია ხელის დაქნევა. შორიდან მისასალმებელი სიტყვების ტყორცნა არაეთიკურია.

დიდი ხნის განშორების შემდეგ ახლობლები ერთმანეთს ეხვევიან და კოცნიან. სტუმართმოყვარეობის წესები თავისთავად ითხოვს შეხვედრის დროს სიხარულის გამოხატვას. ასეთ დროს ხშირად იხმარება სიტყვები - „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება", „მიხარია თქვენი ნახვა", „რა კარგია რომ მოხვედით" და სხვა. დამშვიდობების დროს გა-

მოიყენება შემდეგი სიტყვები: „ღამე მშვიდობისა", „ნახვამდის", „მომავალ შეხვედრამდე", "ნება მიბოძეთ დაგემშვიდობოთ" და სხვა.

წასვლის დროს ადგილი არ უნდა ჰქონდეს საუბრის მკვეთრად გაწყვეტას, რათა არ ვაწყენინოთ თანამოსაუბრეს. კარგი იქნება, თუ ვიტყვით, რომ გვიან არის და მასპინძლები, რომ არ დაიღალონ დავემშვიდობებით მათ, გადაეუხდით რა მადლობას სტუმარმოყვარეობისათვის. გამოსამშვიდობებელი სიტყვების წარმოთქმის შემდეგ მიღებულია შემდეგი სიტყვების გამოყენება - „დარეკეთ", „გამოიარეთ", „შეგვატყობინეთ თქვენი ამბავი", „კარგად ბრძანდებოდეთ" და სხვა.

სანდომიანი საუბარი

თითოეული ადამიანი, მიუხედავად ასაკისა, სქესისა, სოციალური სტატუსისა, საჭიროებს სანდომიან, გულითად ურთიერთობას, რომელიც მას მოუხსნის ემოციურ დაძაბულობას. ფსიქოლოგები აცხადებენ მსგავსი სახის საუბრების დეფიციტის შესახებ. გულთბილი საუბრის წარმოება არც თუ იოლი საქმეა. ის მოითხოვს გონების დაძაბვას, სულიერ განწყობას. ასეთი საუბრის მიზანია მოსაუბრისათვის გულითადი განწყობის გამოვლინება, ყურადღებით მოსმენა, საუბრის არგაწყვეტა. საუბრის ინიციატორის მიერ ყურადღების თქვენზე შეჩერება ნიშნავს თქვენს მიმართ გარკვეულ ნდობას, რასაც გამართლება სჭირდება. საუბარი კონფიდენციალურია და მის შესახებ არავინ უნდა იცოდეს.

ასეთი საუბრის ძირითადი მიზანი უნდა იყოს მოსაუბრისათვის დროის გარკვეული მონაკვეთის დათმობა, რათა მან ბოლომდე გადმოსცეს გულში ნადები პრობლემა. ხმამაღლა გამოთქმული საკუთარი მოსაზრება მასვე ეხმარება გაერკვეს ვითარებაში, სხვაგვარად შეაფასოს ის. მსმენელის უპირველესი მოვალეობაა, ნაკლებად გადატვირთოს აღმსარებელი სხვადასხვა სახის რჩევებით, ჭკუის დარიგებით. მისი დახმარება ისაა, ხელი შეუწყოს ადამიანს პრობლემის ობიექტურ შეფასებაში, აწიოს მისი ცხოვრებისეული

ტინუსი, დაარწმუნოს საკუთარ სიძლიერეში. გარკვეული კატეგორიის ადამიანები ასეთ შემთხვევაში ეროობ დიდი პირდაპირობით მოქმედებენ. დასახმარებლად მისულს პირში მიახლიან ძნელად მოსასმენ სიმართლეს, კატეგორიულად შეაფასებენ ვითარებას. ასეთი რჩევა უტაქტობის ტოლფასია და გაღიზიანებას იწვევს. არის შემთხვევები, როდესაც სიმართლის თქმა სულაც არ არის გამართლებული, ვინაიდან მან შეიძლება დიდი სულიერი ტრავმა მიაყენოს ადამიანს. თავშეკავებაა საჭირო იმ ადამიანზე გარკვეული ნეგატიური დასკვნების გაკეთებისაგან, რომელიც საუბარს არ ესწრება. ასეთ შემთხვევაში წმინდა სიმართლეც კი შეიძლება ჭორად იქცეს.

კამათის კულტურა

კამათის გარეშე ჭეშმარიტების დადგენა ჭირს. სწორედ კამათი იძლევა ახალი იდეების დამკვიდრების და ძველი სტერეოტიპების ნგრევის საშუალებას, მაგრამ არცთუ იშვიათად პრინციპული კამათი ჩხუბში გადაიზრდება. ასეთი მაგალითების მომსწრე ბევრი ჩვენგანი ხდება, როდესაც მსოფლიოში ცნობილი ტელეკომპანიები გადასცემენ სენსაციურობით აღსავსე ჩხუბს სხვადასხვა ქვეყნების პარლამენტარებს შორის. მსგავსი ემოციების ფართო გამოვლინებას ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკების პარლამენტებშიც აქვს ადგილი. ამ მხრივ გამოირჩევა უკრაინის რადა. არც საქართველოს პარლამენტი ჩამორჩება მას.

კამათი არა მარტო პარლამენტში ხდება, არამედ ოჯახში, სამსახურში, მეგობრებში. ნებისმიერი ურთიერთობა, შესაძლოა აღსავსე იყოს აზრთა მკვეთრი სხვაობით, ინტერესთა დაპირისპირებით, რაც ადამიანებისაგან მოითხოვს გარკვეულ თავშეკავებას. ასაკს, სქესს, აღზრდას, განათლებას, პროფესიას, ცხოვრებისეულ გამოცდილებას დიდი მნიშვნელობა აქვს კამათის მისაღებ ჩარჩოებში წარმართვისათვის, მიუხედავად იმისა, რომ შეხედულებები შესაძლოა იყოს მოძველებული და თანამედროვე, მეცნიერულად დასაბუთე-

ბული თუ ზედაპირული, სწორი გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო თუ საზიანო.

ხშირ შემთხვევაში ბევრი მტკივნეული მომენტიდან გამომდინარე საერთო ენის გამოძებნა ძალიან ძნელია. კამათი, სანდო გზაა სერიოზული, პრინციპული აზრთა სხვადასხვაობის გადასალახავად, როგორც სამეცნიერო სფეროში, ისე საქმიან, ყოველდღიურ ცხოვრებაში. ცხოვრებისეული გამოცდილება გვკარნახობს, რომ პირდაპირ, არასასიამოვნო საუბარს უფრო დიდი შედეგი მოაქვს, ვიდრე დათმობას. გარკვეულ შემთხვევაში სირბილე და დელიკატურობა შეიძლება სისუსტედ იყოს აღქმული. თუ ადამიანი არ შეებრძოლება უწესობას, უსამართლობას, უმეცრებას, მაშინ სწორედ ისინი დაისადგურებენ ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ხანდახან ზრდილობას უკონფლიქტობაში ურევენ. კონფლიქტები დაკავშირებულია მწვავე ემოციურ განცდებთან და აღელვებასთან, მაგრამ მათ არა მარტო უარყოფითი შედეგი მოაქვთ, არამედ დადებითიც. მეცნიერები კონფლიქტებს ორად ყოფენ – დესტრუქციულად და კონსტრუქციულად. დესტრუქციული არის ის, რომელიც ანგრევს ურთიერთობებს. კონსტრუქციული – რომელიც ხელს უწყობს მსოფლმხედველობითი ერთიანობის ჩამოყალიბებას, ურთიერთგაგებას. ხშირად აქვს ადგილი, როდესაც გუშინდელი მტრები, დღევანდელ პარტნიორებად გვევლინებიან. მათ უკეთ გაუგეს ერთმანეთს სწორედ კამათის დროს და გახდნენ თანამოაზრეები.

იმის შიშით, რომ საკუთარმა მოსაზრებამ არ გამოიწვიოს აზრთა პოლარიზაცია, არცთუ იშვიათად მავანი თავს არიდებს განცხადებას, რაც სრულდება არასწორი გადაწყვეტილების მიღებით. კამათის ნაყოფიერებისათვის აუცილებელია, რომ მოწინააღმდეგეებს ჰქონდეთ საერთო ენა. აზრი არ აქვს იმ კამათში ჩაბმას, რომელშიც ჩართული არიან საკითხის უცოდინარი ადამიანები. დემაგოგს ვერანაირი მეცნიერული მტკიცებულება ვერ შეაცვლევინებს აზრს. ასეთ ადამიანთან კამათის დროს უმჯობესია თავის შეკავება, სერიოზული საუბრისაგან გვერდის აცლა. კამათის კულტურა იწყება ოპონენტის პოზიციის გაგების გულწრფელი სურვილით, მის მოსაზრებებში დეტალური გარკვევით.

ძლიერი ემოციური აღგზნება ხელს უშლის ვითარების ობიექტურ ანალიზს. ამიტომ საჭიროა დამშვიდება, საკუთარი თავის ხელში აყვანა, ოპონენტის სიტყვებზე ნაადრევი პასუხის გაცემისაგან თავის შეკავება, ყურადღებით აღქმა არა მარტო იმისა, თუ როგორ ლაპარაკობს, არამედ რას ლაპარაკობს.

იმ შემთხვევაში, როდესაც მოკამათენი არ იზიარებენ ერთმანეთის პრინციპულ პოზიციებს, დიალოგი გადადის უსაგნო ლაპარაკში, ერთმანეთის სისუსტეების წამოძახებაში, რაც იწვევს გაუგებრობას, გადაულახავი კედლის აღმართვას. სამწუხაროდ ანალოგიურ შემთხვევებს ხშირად ჰქონდა ადგილი ქართველი და აფხაზი საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეთა შეხვედრებზე ე.წ. "შლაინინგის პროცესის" დროს. დისკუსიის დასაწყისშივე ქართული მხარის წარმომადგენელი უეცრად გაიხსენებდა, თუ როგორ თამაშობდნენ აფხაზები დახოცილი ქართველი მეომრების თავებით ფეხბურთს, რასაც უმალ მოჰყვებოდა აფხაზთა ადეკვატური პასუხი... შედეგი – დღემდე გაურკვეველი ვითარება. იგებს ის, ვინც მტკიცე არგუმენტებით იცავს თავის პოზიციას.

ოპონენტის პირადი შეურაცხყოფა მიუღებელია. კამათის დროს ძალაუნებურად ხდება ოპონენტის მოსაზრების კრიტიკა. კულტურული ადამიანები ცდილობენ ტაქტიანად გააკრიტიკონ ოპონენტები, დაიცვან გარკვეული ჩარჩოები, რომ არ შეიბღალოს მათი ღირსება. ოპონენტის პოზიციებზე კრიტიკული მოსაზრებების გამოთქმამდე მიზანშეწონილია პოზიციების ზოგიერთი ასპექტის დადებითი მოხსენიება. ასეთი დამოკიდებულება აიძულებს ოპონენტს, გაღიზიანების გარეშე გადახედოს თავის მოსაზრებებს.

არანაკლები მნიშვნელობა აქვს მოჭარბებულად მკაცრი ტონის გვერდზე გადადებას და იმ ტერმინების გამოყენებას, რომელიც დააახლოებს პოზიციებს. ასეთ შემთხვევაში ხშირად იხმარება ფრაზა – "საჭიროა კიდევ ერთხელ ვიფიქროთ ამ საკითხთან დაკავშირებით" და სხვა.

პატივისცემა ოპონენტს უფრო თვითკრიტიკულად განაწყობს, ვიდრე უაპელაციო კრიტიკა. ხანდახან შეიძლება ისე ჩანდეს, რომ კამათში მოგება ოპონენტს მთლიანი კაპი-

ტულაციისაკენ უბიძგებს. ასეთი რამ იშვიათად ხდება. მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება წარმატებაზე ფიქრი, თუ პოლემიკამ ოპონენტის აზროვნებაში გარკვეული კვალი დატოვა.

წერილობითი ურთიერთობის შესახებ

ზემოთ აღვნიშნეთ, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება წერილობით ურთიერთობას. ამჯერად შევეცდებით სხვა კუთხით მოგაწოდოთ ინფორმაცია. წერილობით ურთიერთობას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ამის დამადასტურებელია არქეოლოგიური გათხრები. წერილის კონვერტით გაგზავნის ტრადიცია საუკუნეზე მეტს ითვლის. გასული საუკუნის 90-იან წლებამდე, ვიდრე კომუნიკაციების სხვა, უფრო სწრაფი საშუალებები გაჩნდებოდა, ახლობლებთან, მეგობრებთან, ოჯახის წევრებთან, სხვადასხვა უწყებებთან წერილობით კავშირებს მთავარი ადგილი ეკავა. წერილობით ურთიერთობებს არც დღეს დაუკარგავს მნიშვნელობა. არის ორი სახის წერილობითი ურთიერთობა: პირადი და საქმიანი.

პირადი წერილი – ასახავს ადრესატთან მენტალურ დიალოგს. მას ახასიათებს მისალმება და დამშვიდობება, სალაპარაკო ფორმა. აქ ადგილი არა აქვს სტანდარტულობას. მიმართვის და მისალმების ფორმის შერჩევა ჩვენზეა დამოკიდებული, ჩვენს გრძნობებზე, კავშირების ხასიათზე – მაგალითად ნათესაური, სასიყვარულო, მეგობრული. სასიყვარულო ხასიათის წერილში დასაწყისიდანვე არის ჩადებული ინტიმურობა და გულითადობა. აქ გამოიყენება ისეთი სიტყვები, როგორებიცაა – "საყვარელო", "სანატრელო" და სხვა. წერილის ბოლოს არის გამომშვიდობების სიტყვები და სახელი. აქაც შეიძლება რამდენიმე ვარიანტის გამოყენება: "მშვიდობით", "შეხვედრამდე", "გკოცნი" და სხვა. სახელი, რომელიც არის წერილის ბოლოს, ადრესატს ბევრს ეუბნება – "შენი გიორგი" ან "გიორგი". "შენი" ან "თქვენი" გამოხატავს ურთიერთობის სიახლოვეს და ხაზს უსვამს პატივისცემას, სიყვარულს.

ნაკლებად მიღებულია ფამილარული დამოკიდებულება პირთან, რომელთანაც შორს ხართ. ასეთ შემთხვევაში გამოიყენება სიტყვა – "პატივცემულო (ბატონო) ნოდარ". იმ შემთხვევაში, როდესაც ადრესატს მაღალი სოციალური სტატუსი აქვს, გამოიყენება სიტყვა – „ღრმად პატივცემულო". ისე, როგორც ჩვეულებრივ დიალოგში, წერილშიც შეიძლება არაერთხელ მიმართოთ ადრესატს. ხშირად აქვს ადგილი შემთხვევას, როდესაც წერილი დაასრულეთ, ხელიც მოაწერეთ და ამ დროს გაგახსენდათ რაღაც, რის შესახებაც გინდათ გააგებინოთ ადრესატს. ამ შემთხვევაში შეგიძლიათ გამოიყენოთ ლათინური ასოები p.s. (პოსტ სკრიპტუმი) და დაუმატოთ ის, რისი მოთხრობაც გსურდათ.

პირადი წერილი შეიძლება დაიბეჭდოს, თუმცა ბეჭდვა მიღებულია ოფიციალური მიმოწერის დროს. იმ შემთხვევაში, თუ წერილი დაბეჭდილია, ურიგო არ არის, ბოლოს, საკუთარი ხელით, რამდენიმე წინადადების მიწერა.

განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ვითარების შემთხვევაში (მილოცვა, სამძიმრის გამოცხადება) წერილი იწერება ხელით, რაც ყურადღების და პატივისცემის დადასტურებაა.

მისალოცი წერილები და ბარათები იგზავნება მაშინ, როდესაც ადამიანს სურს ადრესატს მიულოცოს იუბილე, ქორწინება, დაბადების დღე, ახალი წელი და სხვა. ისინი გამოირჩევიან ოპტიმიზმით, გულწრფელობით, ორიგინალურობით, იუმორით. ამ შემთხვევაში არა მარტო შინაარსია მნიშვნელოვანი, არამედ გემოვნებით შერჩეული ბარათი და კონვერტი.

განსაკუთრებული სახის მილოცვის წერილი ან ბარათი კონვერტში უნდა იყოს ჩადებული. სამადლობელი სახის წერილი იგზავნება მაშინ, როდესაც გსურთ მადლობა გადაუხადოთ მასპინძლებს სტუმართმოყვარეობისათვის, ოჯახურ ზეიმზე მიწვევისათვის, მასპინძლობისათვის, გამოგზავნილი საჩუქრისათვის და სხვა.

გარდაცვალების შემთხვევაში თუ ვერ ახერხებთ პირად მისამძიმრებას, აუცილებელია სამძიმრის წერილის ან დეპეშის გაგზავნა და საკუთარი გრძნობების გამოხატვა.

წერილის მნიშვნელობა მარტო შინაარსით არ გამოიხატება. ყურადღება ექცევა ქაღალდის ხარისხს, რომელზეც წერილი იწერება, კონვერტს. ეს დეტალები გამოხატავს ადრესატისადმი თქვენს დამოკიდებულებას.

ტექსტის მარჯვენა, ზედა ნაწილში იწერება წერილის დაწერის ადგილი და თარიღი. ანალოგიური რამ შეიძლება გაკეთდეს წერილის დასასრულს, მარცხენა ქვედა ნაწილში.

საქმიანი წერილები იბეჭდება ერთნახევარი, ორი ინტერვალით, კარგ ქაღალდზე. მარცხნივ, ორი სანტიმეტრით დაცული უნდა იყოს მინდორი. ყურადღება მახვილდება ყველა დეტალზე, სათაურზე, თარიღზე, ადრესატის დასახელებაზე, პატივისცემის ამსახველი წერილის შესავალზე და დასასრულზე. წერილის დასაწყისში თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ შემდეგი სახის მიმართვა: "პატივცემულო" ან „ღრმად პატივცემულო"– მათ შემდეგ – "გულითადად გთხოვთ" და სხვა. საქმიანი წერილები თავდება სიტყვებით – "წინასწარ გიხდით მადლობას", „დიდ მადლობას გიხდით", "მადლობელი დავრჩები თუ მიპასუხებთ" და სხვა.

საქმიან წერილებს ხელი ეწერება, გარდა ამისა აღინიშნება თანამდებობა, სოციალური მდგომარეობა, ან სამეცნიერო ხარისხი.

ყველაზე გავრცელებულ საქმიან ქაღალდად განცხადება ითვლება. ის იწერება შემდეგი ფორმის მიხედვით. ქაღალდის მარჯვენა მხარეს იწერება ადრესატი. მის ქვევით იწერება ავტორის გვარი და სახელი, თანამდებობა, მისამართი. შემდეგ, ქაღალდის შუა ნაწილში, დიდი ასოებით იწერება სიტყვა "განცხადება". განცხადების ბოლოს, მარცხენა მხარეს, იწერება თარიღი და ადგილი, ხოლო მარჯვენა მხარეს კეთდება ხელმოწერა.

წერილებზე პასუხის გაცემა უმალ ხდება, განსაკუთრებით მილოცვის წერილებზე. იმ შემთხვევაში, თუ პასუხი დაგიგვიანდათ, ბოდიში უნდა მოიხადოთ და აღნიშნოთ "იმედია მაპატიებთ".

აღზრდილი ადამიანები არ კითხულობენ სხვის წერილებს, ისევე, როგორც არ უსმენენ სხვის საუბარს.

იმ შემთხვევაში, თუ წერილს ვინმეს ატანთ, კონვერტი არ წებდება, რაც პირის მიმართ ნდობის გამომხატველია.

წერილობითი ურთიერთობის კონკურენტად ითვლება სატელეფონო, ინტერნეტული კავშირები. სატელეფონო კავშირები იმდენად გამჯდარია ჩვენს ყოველდღიურობაში, რომ წარმოუდგენელიც არის მის გარეშე არსებობა. მობილური კავშირების განვითარებამ ერთმანეთთან დააახლოვა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ადამიანები, ყველასათვის ხელმისაწვდომი გახადა ინფორმაცია.

ვიდეო-მობილური კავშირები მალე შემოვა ყოველდღიურ ცხოვრებაში. მანამდე კონტაქტის დამყარება პირისპირ საუბართან შედარებით არცთუ იოლი საქმეა. პირადი საუბრის დროს ლაპარაკთან ერთად მოსაუბრის სახის ნაკვთები, თვალების გამომეტყველება, ხელებიც მოქმედებს.

სატელეფონო დიალოგის კულტურა პარტნიორებისაგან მოითხოვს იყვნენ უფრო მკაფიონი სიტყვის წარმოთქმის დროს, ისაუბრონ ისე, რომ ადვილი იყოს მოსმენა. დასაწყისში, თუ მოსაუბრეები არ იცნობენ ერთმანეთს, საჭიროა ერთმანეთის წარდგენა. მიზანშეწონილია არა მარტო სახელის, არამედ გვარის დასახელებაც. ერთობ მიუღებელია, როდესაც დასაწყისიდანვე ჩნდება კითხვა: „ვინ ბრძანდებით"? უმჯობესი იქნებოდა: – "ბოდიში, ვისთან ვლაპარაკობ"?

დაწესებულებაში დარეკვის დროს უნდა გვახსოვდეს, რომ აბონენტს შესაძლოა არ ჰქონდეს ვრცელი საუბრის საშუალება. უმჯობესია დასაწყისიდანვე ჰკითხოთ აქვს თუ არა მას საუბრის დრო და შესაძლებლობა. მიუღებელია საუბრის გარკვეული დროით შეწყვეტა და მოსაუბრის ტელეფონის ყურმილთან მიტოვება. უხერხულია სხვისი აპარატის სისტემატური გამოყენება ნაცნობ-მეგობრებთან ხანგრძლივი საუბრებისათვის. სხვისი ტელეფონით უმჯობესია მხოლოდ მოკლე და აუცილებელი საუბრის გამართვა, ტაქსის ან სასწრაფო დახმარების გამოძახება.

ეტიკეტის მიხედვით, მასპინძელი ტელეფონზე მოსაუბრეს მარტოს სტოვებს, რათა მას არ შეექმნას დისკომფორტი საუბრის დროს.

ურიგო არ იქნება, თუ ტელეფონით სარგებლობის დროს გამოვიყენებთ კარლ ჩაპეკის რჩევებს:

1. ნუ დარეკავთ უსაქმოდ

2. თუ დარეკავთ, იმის მოთმინება იქონიეთ, რომ აბონენტი მივიდეს ტელეფონთან

3. ტელეფონი დროის ეკონომიისათვის არის შექმნილი. საუბარი უნდა იყოს მოკლე, საქმიანი, დეპეშის მაგვარი. ასეთ დროს ყური არ გაგიოფლიანდებათ ტელეფონის ყურმილით, ვიღაცა არ დაიღლება თქვენი ნომრის აკრეფით.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ სახელმწიფო დაწესებულებაში ჩვეულებრივად ითვლება ტელეფონის სისტემატიური გამოყენება ნაცნობ-მეგობრებთან ხანგრძლივი საუბრებისათვის. ხშირ შემთხვევაში მოსაუბრე ყურადღებას არ აქცევს გვერდით მჯდომ კოლეგას, არ უწევს მას ანგარიშს.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მობილური ტელეფონით სარგებლობის თემა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, საზოგადო ტრანსპორტში, სხვადასხვა სახის ღონისძიებაზე. სამწუხაროდ ხშირია შემთხვევა, როდესაც კონცერტის ან სპექტაკლის დროს უხერხულად წკრიალებს მობილური ტელეფონის ზარი, რითაც ერთობ არასასიამოვნო განწყობა ექმნება დარბაზში მყოფ საზოგადოებას. არანაკლები უხერხულობის გრძნობა უნდა ჰქონდეს ტელეფონის მფლობელსაც, თუმცა ცუდი აღზრდა მას ამის უფლებას არ აძლევს. მავანმა კარგად უნდა იცოდეს, რომ სხვადასხვა სახის საჯარო ღონისძიებებზე დასწრების დროს ტელეფონი ან ავტომანქანაში უნდა დატოვოს ან გამორთოს.

არც ის არის მიზანშეწონილი, როდესაც საქალაქო ტრანსპორტში მყოფი მგზავრი მობილური ტელეფონის ზარს ხმამაღლა პასუხობს და ასევე ხმამაღლა აგრძელებს საუბარს. მგზავრები მათი სურვილისდა მიუხედავად ისმენენ საუბარს, რომელიც ხშირად ისეთ საყოფაცხოვრებო თემებს ეხება, რომელთა საქვეყნოდ გაცხადება არ არის აუცილებელი. არც ქუჩაში მობილურით ხმამაღლა მოლაპარაკე ტოვებს ტაქტიანი ადამიანის შთაბეჭდილებას, მით უმეტეს, როდესაც საუბარი ლანძღვა-გინებაში გადადის, ხოლო ა'სარტში შესული მოსაუბრე აინუნშიც არ აგდებს გამვლელ-გამომვლელს ან ტრანსპორტში მყოფს. მობილური ტელეფონი უცხოეთიდან შემოვიდა, სწორედ იმ უცხო ქვეყნებიდან, სადაც ღღენიადაგ ხდება თანამედროვე ტექნიკისა

და ტექნოლოგიის დახვეწა-განვითარება, მაგრამ მობილური ტელეფონებით ყველგან და ყოველთვის საუბარი სამწუხაროდ მხოლოდ ჩვენთვის არის დამახასიათებელი. ყაირათიანი უცხოელები არ აძლევენ თავს უფლებას, ისაუბრონ უსაგნოდ, სატელეფონო კავშირის სიძვირის გამო, გარდა ამისა, უცხოეთის ბევრ ქვეყანაში საკუთარი სამუშაო დღის განრიგისადმი რაციონალური დამოკიდებულებიდან გამომდინარე ნაკლებად იცლიან უაზრო სატელეფონო საუბრებისათვის.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყოველდღიურ ურთიერთობაში საუბარს, ლაპარაკს ძირითადი მნიშვნელობა ენიჭება, მაგრამ მასთან ერთად ადამიანის მოქმედების აღსრულება არა მარტო სიტყვით შეიძლება, არამედ სხვა გ'ხითაც, რომლებ'ხეც ასევე ვრცელდება ეტიკეტის მოთხოვნები, მაგალითად, ძნელად ჩაითვლება ადამიანი აღზრდილად, რომელმაც სუფრასთან ყოფნის დროს არ იცის ხელსახოცის გამოყენების წესები ან თეატრში რიგთა შორის გავლას ზურგშებრუნებული ცდილობს. საყოველთაოდ მიღებული ქცევის ნორმების ცოდნა ათავისუფლებს ადამიანს იმ ნერვიული დაძაბულობისაგან, რომელსაც შესაძლოა ადგილი ჰქონდეს სუფრა'ხე პურის აღების დროს. ბევრი მიიჩნევს, რომ მხოლოდ ჩანგლით უნდა აიღოს პური, რაც, ცხადია, შეცდომაა. პურს ხელით იღებენ. ან მაგალითად, ქუჩაში სიარულის დროს მამაკაცი ქალის მარცხნივ თუ მარჯვნივ უნდა მიდიოდეს. კულტურული ადამიანები ამას ავტომატურად აკეთებენ, ვინაიდან მათ ეს ბავშვობიდან შეითვისეს. არსებობს გარკვეული ქცევის წესები, რომლის ცოდნა აუცილებელია. ზოგიერთ მათგან'ხე ქვემოთ გავამახვილებთ ყურადღებას.

გაცნობა

წინათ, გაცნობა მესამე პირის დახმარებით ხდებოდა, ვინაიდან ქუჩაში, საჯარო თავშეყრის ადგილებში გაცნობა არ ითვლებოდა სერიოზულ საქმედ. ეტიკეტით, ახალგაზრდა ქალთან გაცნობა მამაკაცს მხოლოდ მესამე პირის

დახმარებით შეეძლო. ქალს წარუდგენდნენ მამაკაცს. დღეს სხვა ვითარებაა. ერთმანეთის გაცნობისათვის მრავალი შესაძლებლობა არსებობს, მათ შორის არც ქუჩაა გამორიცხული. გაცნობის საშუალებას კიდევ ერთი სახე დაემატა – ინტერნეტით გაცნობა.

გაცნობისათვის საჭირო პირველი ნაბიჯი არის – წარდგენა, რომელიც გვავალდებულებს წარმოვთქვათ ჩვენი სახელი და გვარი. მოსახერხებელია, როდესაც ვიღაც წარგადგენთ საზოგადოების წინაშე, ვიდრე თქვენ წარადგენთ საკუთარ თავს. სხვის მიერ წარდგენის დროს თქვენ თავს უკრავთ დამსწრე საზოგადოებას. გაცნობის დროს მიღებულია ღიმილის გაცვლა და ხელის ჩამორთმევა. ასეთ დროს ქალბატონი ან ასაკოვანი მამაკაცი ამბობს – "ძალიან სასიამოვნოა", "მოხარული ვარ რომ გაგიცანით". ხელს პირველად გამოიწვდის ის, ვისაც აცნობენ თქვენს თავს. თუ ის ამას არ აკეთებს, შეიძლება თავის დაკერა. როგორც წესი, ადამიანები ერთმანეთს მარჯვენა ხელს უწვდიან, მაგრამ თუ ის დაკავებული გაქვთ შეგიძლიათ მოიბოდიშოთ და მარცხენა გაუწოდოთ. ქალს აქვს გარკვეული პრივილეგია. მას შეუძლია გაცნობა მჯდომარე მდგომარეობაში. გოგონა უნდა წამოდგეს, ხოლო მამაკაცი უნდა ადგეს. ქალებთან და ასაკოვან მამაკაცებთან გაცნობის განსამტკიცებლად საჭიროა მოკლე დიალოგის გამართვა.

ხშირად იბადება კითხვა – არის თუ არა საჭირო ნებისმიერი კონტაქტის დროს წარდგენა? პასუხი – არა. გაცნობა უმთავრესად მაშინ ხდება, როდესაც მოსალოდნელია შემდგომი ურთიერთობები, ამიტომ მაღაზიაში, რესტორანში, კაფეში, თვითმფრინავსა თუ მატარებელში ადამიანისაგან მოითხოვება კორექტულობა, მაგრამ არა მეტი. გამონაკლისები ყველგან შეიძლება იყოს, მაგრამ მხოლოდ გამონაკლისები. არც ქუჩაშია მიღებული გაცნობა, თუმცა აქაც შეიძლება იყოს გამონაკლისი.

წარდგენა აუცილებელია საჯარო სამსახურში, სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით მისვლის დროს.

იშვიათობას წარმოადგენს დაწესებულება, რომელსაც, სამუშაოდან გამომდინარე, არ აქვს სხვასთან ურთიერთობა. ყველა პროფესიის ადამიანი მეტ-ნაკლებად ურთიერთობის

ობიექტია, ზოგჯერ ხანმოკლე ან ხანგრძლივი. ასეთ დროს მეორე მხარის მიერ ინდიფერენტული, გულგრილი გამომეტყველება არ აღიქმება დადებითად და სრულიად მოსალოდნელია, გუნება-განწყობილების გაუარესების საწინდარიც გახდეს. განსაკუთრებით ცუდად, გამაღიზიანებლად მოქმედებს ადამიანზე მომსახურე პერსონალის მოუამული სახეები, უსრდელური პასუხები. კავშირების დამყარებას ხელს უწყობს ღიმილი, გახსნილი სახე. ღიმილი საჭიროა ყველგან, მაგრამ განსაკუთრებით კაფეში, ბარში, რესტორანში, სადალაქოში, სხვა ადგილებში, სადაც ადამიანი არა მარტო ვარცხნილობის გასაკეთებლად ან საჭმელად მიდის, არამედ დროის გასატარებლადაც. პროფესიონალი გამყიდველი, ბარმენი, მიმტანი, მეეზოვე სხვა პროფესიის ადამიანი არასდროს გაანაწყენებს კლიენტს და არ დაანთხევს მას თავის სიბრაზეს.

ფსიქოლოგები რეკომენდაციას აძლევენ გამყიდველს მყიდველს არ უპასუხოს მოკლე "დიახ" ან "არა"-თი, არ გამოსცრას სიტყვები, ყურადღება მიაქციოს მყიდველს და არ დაუწყოს ლაპარაკი გამყიდველ კოლეგას, როდესაც მყიდველი ყურადღებას ითხოვს, მოთმინებით მოისმინოს მყიდველის ნათქვამი და მისთვის მიუღებელი განცხადება, არ უპასუხოს შეკითხვაზე შეკითხვით, მოთმინებით ადევნოს თვალი, როდესაც მყიდველი არჩევს საქონელს, თუ მყიდველმა არ იყიდა საქონელი ნუ დაადევნებს მას სალანძღავ სიტყვებს.

ყველა სამსახურში ყალიბდება ურთიერთობათა ორი სახე – საქმიანი და პირადული, ცხადია, ყოველთვის მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ ყველა თანამშრომლისგან მოითხოვება დისციპლინა, დაკისრებული მოვალეობის ხარისხიანად შესრულება, კეთილსინდისიერება. მხოლოდ საქმეში ნაკლებად ჩახედულს შეიძლება დაებადოს აზრი, რომ სამსახურში არსებული ურთიერთობები არ მოქმედებენ ორგანიზაციის წარმატებულ მუშაობაზე, მუშაობის ხარისხზე. დაწესებულებაში აუცილებელია შესაბამისი ფსიქოლოგიური ატმოსფეროს არსებობა. სწორედ მასზეა დამოკიდებული ისეთი გუნება-განწყობილების შექმნა, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს წარმატებულ შრომას. მძიმე ატმოსფერო, ნერ-

ვიული ვითარება იწვევს ნაადრევ გადაღლილობას, პროვოცირებას უკეთებს შეცდომებს. რა კარგი ან სიმპატიური განწყობა არ უნდა სუფევდეს თანამშრომლებს შორის, სამუშაო ურთიერთობები არ უნდა გადაიზარდოს პირად ურთიერთობებში. ასეთს, ხშირად მოჰყვება სამუშაო ინტერესების უგულებელყოფა, შეცდომებზე თვალის დახუჭვა, ხელის დაფარება, რითაც ფუჭდება საერთო საქმე.

მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ სამუშაო კოლექტივს ერთმანეთთან აახლოებს არა მარტო შრომა, არამედ არასამუშაო საათებში ერთად გატარებული დასვენება.

ცხადია, კოლექტივი სხვადასხვა ასაკის ადამიანებისაგან შედგება. ყველა მათგანს თავისი საკუთარი ცხოვრება, საკუთარი პრობლემები, საკუთარი ხასიათი, საკუთარი აზრი გააჩნია. ასეთ დროს აუცილებელია სერიოზული დაკვირვება, ტაქტი, სხვათა აზრის გაზიარება, რათა არ მოხდეს ადამიანის პატივმოყვარეობის შებღალვა.

ყველა დაწესებულებაში, გარდა ოფიციალური ხელმძღვანელისა, არის არაოფიციალური ლიდერი, რომელიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. ასეთს, არა მარტო მაღალი პროფესიული თვისებები გააჩნია, არამედ სხვა დადებითი პირადი თვისებებიც. სწორედ ამიტომ იზიდავს ის ხალხს. ასეთ ადამიანთან კონტაქტი ყოველთვის სარგებელის მომტანია.

ურთიერთობის დემოკრატიულობა სტიმულს აძლევს მუშაკთა აქტიურობას. დაწესებულების განვითარება – ჩამოყალიბება მთელ კოლექტივზეა დამოკიდებული, მის მუყაითობაზე, საქმისადმი მიდგომაზე. ყველა დაწესებულების წინაშე შეიძლება წამოიჭრას პრობლემები, სიძნელეები, უპირველეს ყოვლისა, საწარმო ხასიათისა. აზრთა სხვადასხვაობის, კამათის გარეშე შეუძლებელი გახდება მათი დაძლევა. მხოლოდ სხვადასხვა აზრის შეჯერება იძლევა წინსვლის საშუალებას. თანამშრომლების შეტაკება, ცხადია საქმიდან გამომდინარე, თავისი განსაკუთრებულობით გამოირჩევა. უპირველეს ყოვლისა, ნებისმიერი საკითხის განხილვის დროს საჭიროა გახსნილობა, გამჭვირვალობა, პირად საკითხებზე მაღლა საზოგადო საქმის დაყენება. სიჩუმე, ნაკლოვანებებზე თვალის დახუჭვა იმ საბაბით, რომ

ხელმძღვანელს არ ეწყინოს, დათვური სამსახურია და ორგანიზაციის საწინააღმდეგო ქმედებაა. დიდი მნიშვნელობა აქვს ყოველი თანამშრომლის მიერ სამართლიანი კრიტიკის ჯეროვნად მოსმენას, კოლეგების შენიშვნების გათვალისწინებას, საკუთარი შეცდომების აღიარებას.

დაძაბულ ვითარებას უმალ განმუხტავს მოსწრებული ხუმრობა, თუნდაც საკუთარ თავზე გახუმრებაც. იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს გაუგებრობას და ადმინისტრაციასთან არასასიამოვნო საუბარს, საჭიროა ეტიკეტის ნორმების მკაცრი დაცვა. კულტურული ადამიანი უმალ არ გამოიჯახუნებს კარს, არ მიმართავს შეურაცხმყოფელ ტერმინოლოგიას, ბოიკოტს. შესაფერის დროს შეარჩევს ადმინისტრაციასთან სასაუბროდ. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ სამსახურებრივი კონფლიქტების დაძლევა არცთუ იოლი საქმეა. საბჭოთა პერიოდში ნებისმიერი მუშა-მოსამსახურის სამსახურიდან დათხოვნის საკითხი არა მარტო ორგანიზაციის პროფესიული კავშირის მსჯელობის საგანი შეიძლება ყოფილიყო, არამედ პარტიული ორგანიზაციის. იშვიათობას არ წარმოადგენდა ზემდგომი ორგანოების მიერ საკითხის განხილვა. დამოუკიდებლობამ და თავისუფლებამ, შრომის კანონმდებლობის არაჯეროვან დონეზე არსებობამ, მისმა უგულებელყოფამ ხელი შეუწყო სახელმწიფო დაწესებულებებიდან ძველი, პროფესიონალი კადრების ვოლუნტარისტულ გათავისუფლებას. აღნიშნულმა, მოჭარბებულად იჩინა თავი "ვარდების რევოლუციის" შემდეგ, როდესაც ყოველი ახალი მინისტრი, ახალი ხელმძღვანელი, თავს უფლებამოსილად თვლიდა, ძირფესვიანად შეეცვალა ძველი კოლექტივი, მათ ნაცვლად საკუთარი პროტეჟეები მოეყვანა. ასეთმა განუკითხაობამ უდიდესი ზიანი მიაყენა ქვეყანას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ახალი მინისტრი ან ხელმძღვანელი, რამდენიმე თვის შემდეგ სხვა სამსახურში გადაჰყავდათ, ხოლო მისი შემცვლელი ისევ ახალი ძალით ცვლიდა თავისი წინამორბედის მიერ შეცვლილ კადრებს.

სამსახურებრივი ურთიერთობები, კოლექტივთან შერწყმა და მასში შესაბამისი ადგილის დაკავება დამოკიდებულია როგორც პიროვნებაზე, ისე კოლექტივზე. იმ შემთხვე-

ვაში, როდესაც ორივეს დამოკიდებულება გულწრფელია, ინტეგრაციის პროცესიც იოლად განვითარდება.

საზოგადოებრივი ურთიერთობები ფაქიზ დამოკიდებულებას ითხოვს, სამართლიანობის პრინციპების გათვალისწინებით.

საჩუქრის შესახებ

საჩუქარი არის ერთი ადამიანის მხრიდან მეორისადმი გულითადი დამოკიდებულების გამოცხადება, სურვილი იმისა, რომ სიამოვნება მიანიჭოს იმას, ვისაც უძღვნის საჩუქარს. განსაკუთრებით სასიამოვნოა საჩუქარი, თუ ის ორივე მხარეს მოსწონს. საჩუქარი ადამიანთან ურთიერთობის გამომხატველი სიმბოლოა. აქედან გამომდინარე, სულაც არ არის აუცილებელი, რომ საჩუქარი მიუძღვნათ მხოლოდ დაბადების დღეს ან სხვა მნიშვნელოვან თარიღზე.

საჩუქრის მიცემის დროს მხედველობაში მიიღება ადამიანთან კავშირის დონე, ნათესაობა, სქესი, ასაკი, საბაბი და სხვა მრავალი გასათვალისწინებელი ფაქტორი. დედ-მამას, ბებია-ბაბუას, და-ძმას, სხვა ნათესავებს დაბადების დღეზე, საიუბილეო თარიღზე, სხვა შემთხვევის დროს, ისეთი საჩუქარი უნდა გადაეცეს, რაც პასუხობს მათ ინტერესებს. ყოველთვის ფასდება იმპროვიზაცია, გამომგონებლობა, მოულოდნელი არაორდინარული გადაწყვეტა. ნათესავებს შეუძლიათ ერთმანეთს უძღვნან ფასიანი საჩუქრები.

საჩუქრით შეიძლება გაანაწყენოთ ადამიანი – ერთ შემთხვევაში, როდესაც უგემოვნოდ იაფფასიანია, ხოლო მეორეში, როდესაც ძვირადღირებულია. ხშირად, როდესაც ადამიანს არა აქვს საჩუქრის ფული, მან სიმბოლურად შეიძლება მიართვას ერთი ვარდი ან მინდვრის ყვავილების პატარა თაიგული. მთავარია არა საჩუქარი, არამედ ყურადღება. შეუფერებლად ძვირფასი საჩუქრის მიცემა გარკვეულ უხერხულობას უქმნის იმას, ვისაც ასეთს აძლევენ. მან ან მსგავსი საჩუქრით უნდა უპასუხოს, ან თავი ჩათვალოს მოვალედ.

იმ შემთხვევაში, თუ საჩუქარი მიიღენილია საიუბილეო თარიღისადმი, მასთან ერთად უნდა იყოს მისალოცი ბარათი კეთილი სურვილებით. თუ საჩუქარი მესამე პირის მიერ გადაიცემა, მისალოცი ბარათი აუცილებელია. მიღებული არ არის საჩუქრის გადაცემა, რომელსაც ფასი აწერია. უმჯობესია ფასის საჩუქრიდან აძრობა. ყვავილების გადაცემისას საჭიროა·შესახვევი ქაღალდის მოხსნა. ყვავილებს მარცხენა ხელით მიართმევენ, მარჯვენათი კი ხელს ართმევენ. საჩუქარს მიღებისთანავე ხსნიან და გულწრფელ კმაყოფილების გამოხატვასთან ერთად მადლობას იხდიან. თაიგულს უმალ დებენ ვაზაში, ხოლო ვაზას – გამოსაჩენ ადგილას. ტკბილეულის, შოკოლადის მიღების შემთხვევაში, საჩუქარი იხსნება და სადილის ბოლოს მიერთმევათ სტუმრებს. ადგილი აქვს ისეთ შემთხვევასაც, როდესაც მიღებულ საჩუქარს მაღაზიაში აგზავნიან გასაყიდად. საქართველოს თანამედროვე ისტორიაში ჰქონდა მსგავს შემთხვევას ადგილი, როდესაც საქართველოს პრეზიდენტის მიერ ნაჩუქარი ნივთი, მაგალითად ნაბადი, მაღაზიაში გააგზავნა ერთ-ერთი ქვეყნის მაღალი თანამდებობის პირმა. მსგავსი რამ იშვიათობას არ წარმოადგენს, მაგრამ ამ შემთხვევაში იშვიათობა ის იყო, როდესაც საქართველოს ელჩმა ნაბადი იყიდა და ისევ დაუბრუნა დასაჩუქრებულს. საქვეყნოდ გახდა ცნობილი უაკლინ კენედის მოქმედება, როდესაც მან მეუღლის, ჯონ კენედის მიერ ნაჩუქარი სვიტერი, რამდენიმე წლის შემდეგ დააბრუნა მაღაზიაში წერილით – აენაზღაურებინათ მისთვის სვიტერის ღირებულება – 17 დოლარი. ამ შემთხვევაში წერილი უფრო ძვირადღირებული გამოდგა, ვიდრე სვიტერი. ნიუ-იორკის აუქციონზე ის 200 დოლარად გაიყიდა.

სახელმწიფო მოხელეების მხრიდან, საჩუქრების მიღება-გაცემას ბევრ ქვეყანაში აქვს გარკვეული წესი. იმ შემთხვევაში თუ საჩუქრის ფასი სცილდება ზღვარს, ის ბარდება სამსახურს, სადაც მუშაობს ოფიციალური პირი. საჩუქრის მიღების საკითხი მკაცრად რეგულირდება აშშ-ს სახელმწიფო დაწესებულებებში. თეთრ სახლში არსებობს პრეზიდენტების მიერ მიღებული საჩუქრების ფონდი. საქართველოს პარლამენტშიც არის მიღებული საჩუქრების საგა-

მოფენო კარადები. ეს ტრადიცია შემოიღო გასული საუკუნის 70-იან წლებში საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პავლე გილაშვილმა. მისი თავმჯდომარეობის დროს, სხვადასხვა ქვეყნის პარლამენტის თავმჯდომარეებისაგან და პრეზიდენტებისაგან მორთმეული საჩუქრებით შეივსო კარადები. სამწუხაროდ, თბილისის ომის დროს – 1991-92 წლებში დაინგრა, დაიწვა, გაიძარცვა უმაღლესი საბჭოს შენობა. ქურდებმა სხვა ნივთებთან ერთად ხელს გააყოლეს უცხოელთა მიერ მორთმეული საჩუქრები.

მაგიდასთან ძცევის წესები

უძველეს დროში თვლიდნენ, რომ ადამიანის ბუნება სუფრასთან ჭამა-სმის დროს ელინდება. დღემდე შემორჩა ისტორია ერთ რომაელ მხედარმთავართან დაკავშირებით, რომელიც გადამწყვეტი ბრძოლისათვის იმ მეომრებს არ ჩევდა, რომლებიც ხანგრძლივი სიარულის შემდეგ წყლის დასალევად, წყაროსთან თავშეკავებით იქცეოდნენ და არა იმათ, ვინც ცხოველივით ოთხზე დგებოდა და პირს უშვერდა წყაროს წყალს.

ყველა ისტორიულ ეპოქას ახასიათებდა სუფრასთან ქცევის წესები. ანტიკურ პერიოდში ელინები და რომაელები ქეიფობდნენ ნახევრად წამოწოლილ პოზაში. შუა საუკუნეების ციხე-სიმაგრეებში გამართული წვეულებების დროს სტუმარ-მასპინძლები მირთმეული ფრინველისა და საქონლის ხორციდან დარჩენილ ძვლებს იქვე უყრიდნენ ძაღლებს.

რუსეთში მაგიდა, როგორც ყოფის ატრიბუტი, X-XI საკუნეებში გაჩნდა. კერპთაყვანისმცემლები მიწაზე მსხდომნი ქეიფობდნენ. მაგიდის პროტოტიპად ფიცარი გამოიყენებოდა. პოლონეთსა და სლოვაკეთში დაბალი მაგიდებიდან მიირთმევდნენ. უკრაინასა და ბელორუსიაში თიხის მაგიდები გამოიყენებოდა. გლეხები მოწიწებით ეპყრობოდნენ პურის ჭამის პროცესს. ჭამის წინ იბანდნენ ხელებს. ვინც ამას არ აკეთებდა ვალდებული იყო, სამი პორცია ეჭამა, ვინაიდან

ჭუჭყიანი ხელებით ჭამა უწმინდური ძალების გამოკვებას ნიშნავდა.

ევროპაში მხოლოდ მე-15-ე საუკუნიდან იწყება ჰიგიენისადმი ყურადღების მიქცევა. კარგი ქცევის ამსახველ პირველ წიგნებში რეკომენდებული იყო არ გაეზარდათ ფჩხილები, ნაჭამი იქვე არ დაეყარათ, არ ეფხანათ სხეული, დანით კბილები არ ეჩიჩქნათ, არ გაელოკათ თითები, არ დაელრღნათ ძვლები და სხვა.

1530 წელს გამოიცა წიგნი სუფრის კულტურის შესახებ, რომლის ავტორი იყო ცნობილი მოაზროვნე ერაზმ როტერდამელი. აი, ზოგიერთი მისი შეგონება: სმის დროს ფინჯანს ნუ მიიტანთ ტუჩებთან, ვიდრე წინასწარ არ გაიწმენდთ მას. დალიეთ აუჩქარებლად, თანაბრად გადაყლაპეთ, ნუ დალევთ ხმაურით, ისე როგორც ცხენი. გაუზრდელობის შედეგია, თუ თითებს ჩაყოფთ წვნიან კერძში, ხოლო შემდეგ გაილოკავთ. მიუღებელია საერთო თეფშიდან კერძის ისე გადაღება, რომ მისი კარგი ნაწილი მხოლოდ თქვენ შეგხვდეთ.

ჩვენი წინაპრები სერიოზულ ყურადღებას აქცევდნენ სტუმრების მაგიდასთან განთავსებას. ეს კეთდებოდა რანგისა და ასაკის მკაცრი გათვალისწინებით. სუფრის ცენტრში საპატიო ასაკის ადამიანებს სვამდნენ.

ძველად, მაგიდაზე ელაგა დანები და კოვზები. კოვზები ხისგან იყო დამზადებული. პირველად, სუფრაზე ერთი საერთო კოვზი იდო. მოგვიანებით, წესად შემოვიდა სტუმრების მიერ საკუთარი კოვზებით მოსვლა. შუა საუკუნეებში ჩანგლით ხდებოდა კერძის დანაწევრება. მხოლოდ მე-16 საუკუნიდან იწყება კერძების მირთმევა თიხის, ხის, ცინკის თეფშებით. ცოლ-ქმარი ერთი თეფშიდან მიირთმევდა. ზოგ ქვეყანაში ეს ტრადიცია დღემდე შემორჩა. ახალდაქორწინებულები ზოგან დღესაც ერთი ჭიქიდან სვამენ.

შუა საუკუნეების ეტიკეტი მოითხოვდა კბილების გამოწმენდის, შემდეგ ღვინის გამოვლებას. კბილების საწმენდად ხის ჩხირები გამოიყენებოდა. კბილის საჩიჩქნი ჩხირები მოჰქონდათ დესერტთან ერთად.

ხელსახოცები გაჩნდა XVIII-XIX საუკუნეებში. სუფრაზე მას მოუძებნეს ნაპოლეონის სამკუთხედი ქუდის ფორმა,

მანამდე ქონიან თითებს მაგიდის ქვეშ მყოფ ძაღლებს აწმენდნენ, ხოლო შემდეგ მაგიდის გადასაფარებელს.

ღღევანდელი სუფრა ადრინდელთან შედარებით სხვადასხვა ატრიბუტისაგან შედგება. თეფშთან ლაგდება სხვადასხვა დანიშნულების და ზომის კოვზები, დანები, ჩანგლები, ჭიქები. სუფრასთან დაკავშირებით დაწვრილებით ქვემოთ ვისაუბრებთ, ამჯერად კი შეგახსენებთ, რომ მაგიდასთან ყოფნის დროს ყველაზე დიდ სირთულეს წარმოადგენს თეფშების, ჭიქების, დანა-ჩანგლის, კოვზების თავისუფლად გამოყენება. ამისათვის საჭიროა ცოდნა. მარჯვენა ხელით დანას ხმარობენ, ხოლო მარცხენით ჩანგალს. დანა კერძის დასრულებამდე გიკავიათ ხელში. მიუღებელია, როდესაც ხორცის ნაჭერს მთლიანად ჭრიან, შემდეგ მარჯვენა ხელში გადმოაქვთ ჩანგალი და იწყებენ ჭამას. მიუღებელია ნახმარი წვნიანის კოვზის სუფრაზე დადება. თუ დანა-ჩანგალი საჭირო არ არის, მაშინ შეგიძლიათ მათი თეფშზე ჯვარედინად დაწყობა, ჩანგალი იდება ამობურცული ზურგით ზევით. მაგიდაზე ორნაირი ხელსახოცი იდება ნაჭრის და ქაღალდის. პირველი თეფშზე, ხოლო მეორე, სპეციალურ ჩასადებში. მაგიდასთან ჯდომის დროს ნაჭრის ხელსახოცი მუხლებზე იდება, ტანსაცმლის დაცვის მიზნით. ხელისა და ტუჩების საწმენდად გამოიყენება ქაღალდის ხელსახოცი, რომელიც გამოყენების შემდეგ თეფშის გვერდით თავსდება. ნაჭრის ხელსახოცი სადილის შემდეგ თეფშის გვერდით იდება ყოველგვარი დაკეცვის გარეშე.

სუფრაზე ხელით იღებენ დაჭრილ პურს და დებენ სპეციალურ თეფშზე. ჭამის დროს პურს ატეხენ ნატეხს და ისე ჭამენ და არა მთლიანად. ხელით იღებენ ბუტერბროდს, სენდვიჩს. თუ საშაქრეს არა აქვს შაქრის სპეციალური ასაღები, ისიც ხელით შეგიძლიათ აიღოთ. მაკარონი, ბულიონში არსებული ბოსტნეული, კოვზით ნაწევრდება, ხოლო ხორცის ნაჭერი, თეფშზე დანითა და ჩანგლით იჭრება. ისეთი კერძები, როგორიცაა კატლეტი, ბეფსტროგანი, გულიაში და სხვა რბილი ხორცისაგან დამზადებული კერძები, მხოლოდ ჩანგლით მიირთმევა.

ქათამს, წიწილს დანა-ჩანგლით მიირთმევენ. თუ ვინმეს სურს წიწილის ხელით ჭამა, მას ეს შეეძლება სახლში.

თევზი სპეციალური დანა-ჩანგლით იჭმევა, ხანდახან ორი ჩანგლით. ერთით ხდება ლუკმის აღება, ხოლო მეორით რბილი ნაწილის ძვლებისაგან გამოცალკევება.

მირთმევის დროს ითვალისწინებენ კერძის სახეობას, მაგალითად: მარცხენა მხრიდან ხდება ციცი და ცხელი კერძების მირთმევა, მარჯვნიდან – წვნიანის, ჩაის, ყავის. მარჯვენა მხრიდან ხდება თეფშების და ნახმარი დანა-ჩანგლის გამოცვლა.

საჭმლის მიღების პროცესში სისწრაფე უნდა გამოირიცხოს. ჭამის დროს დაუშვებელია პირის საჭმლით გამოტენა და გახსნილი პირით ლუკმის ღეჭვა, წვნიანის ხვრეპა, ჩაისა და ყავის ხმაურით სმა. მიღებულია ძვლის ან კურკის პირიდან ჩანგალზე გადატანა და შემდეგ თეფშის კიდეზე დადება. იატაკზე დაყარდნილ დანას ან ჩანგალს აღარ იყენებენ, ოფიციანტს სთხოვენ ახლის მოტანას. ჭიქის ან თეფშის გატეხვის შემთხვევაში მასპინძელს ბოდიშს არ უხდიან. ეტიკეტი ავალდებულებს მასპინძლებს, იყენენ მომთმენნი, წინააღმდეგ შემთხვევაში არ იყო საჭირო სტუმრების მოწვევა.

იმ შემთხვევაში, თუ არ იცით როდის რა გამოიყენოთ, გაიხსენეთ ფრანგული ეტიკეტის რჩევა, ისეთი სახე მიიღეთ, თითქოს მეზობელთან საუბრით ხართ გართული და ჯერ არ დაგიწყიათ ჭამა. ეს პაუსა იმისათვის უნდა გამოიყენოთ, რომ შეხედოთ, თუ როგორ იყენებენ დანა-ჩანგალს.

მასპინძელი ყოველ ღონეს ხმარობს სტუმრების გამხიარულების მიზნით, ისეთი ატმოსფერო შექმნას, რომელიც ყველა სტუმრისათვის მისაღები იქნება. ოფიციალური მიღების დროს ხშირად იწვევენ მომღერლებს, მუსიკოსებს, რომლებიც თავიანთ ხელოვნებას აცნობენ წვეულების მონაწილეებს. კონცერტი შეიძლება გაიმართოს დარბაზში, სადაც მიმდინარეობს სადილი ან მეორე დარბაზში, სადაც სადილის შემდეგ, ხდება ყავით, ხილით, ლიქიორით, ტკბილეულით გამასპინძლება. ამ დროს შესაძლებელია კამერული მოკლე კონცერტის გამართვა. საბჭოთა კავშირის დროს საქართველოში ჩამოსული მეფეების, პრეზიდენტების, პრემიერ-მინისტრების და მათი თანმხლები პირების პატივსაცემი ოფიციალური მიღება მთაწმინდის რესტორანში იმართებო-

და. სადილის დროს მოწვეული ქართული ხალხური სიმღერებისა და ცეკვების, საოპერო ხელოვნებისა და ესტრადის ოსტატები დამსწრე საზოგადოებას თავიანთ ხელოვნებას აცნობდნენ.

მიღება

მიღება ჰქვია ოფიციალურ ღონისძიებას, რომელიც იმართება ეროვნულ დღესასწაულთან, საიუბილეო თარიღთან, საზღვარგარეთის მაღალი რანგის დელეგაციის ვიზიტთან დაკავშირებით. მიღებას მართავენ სახელმწიფო ორგანოები, ასევე ცალკეული ოფიციალური პირები – ელჩები, კონსულები, მინისტრები, გემის კაპიტნები და სხვა.

მიღება სხვადასხვა სახისაა. თითოეულ მათგანს აქვს თავისი წესი და მოითხოვს ქცევის გარკვეულ ნორმებს, როგორც სტუმრების, ისე მასპინძლების მხრიდან.

კოქტეილი და ფურშეტი თითქმის ორ საათამდე გრძელდება 17-00 დან 20-00 საათამდე. მოწვეულებს სთავაზობენ ცივ კერძებს, ბუტერბროდებს, სენდვიჩებს. ბოლო დროს ასეთ მიღებაზე ცხელი კერძებიც აქვთ. „ა ლა ფურშეტი" ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს – "ჩანგლიდან". ჭიქებში ჩამოსხმული უალკოჰოლო სასმელები ცალკე მაგიდაზე ლაგდება, კერძები – ცალკე. ასეთი მიღების დროს ადგილი აქვს ოფიციანტების მიერ სასმელებისა და ბუტერბროდების ლანგრით ჩამოტარებას. ფურშეტის დროს შესაძლებელია 10-15 წუთით დაგვიანება, თუმცა ოფიციალური პირების დაგვიანება ან დროსე ადრე წასვლა მასპინძლის მიერ ნეგატიურად აღიქმება, ვინაიდან მან ეს შეიძლება უპატივცემულობად ჩათვალოს.

საუზმე

საუზმე იმართება 12-00-დან – 15-00 საათის შუალედში. ხშირად ასეთ მიღებას მხოლოდ მამაკაცები ესწრებიან. სტუმრებს უმასპინძლდებიან თევზისა და ხორცის ცხელი

კერძებით, დესერტით, სასმელებით, მაგიდასთან დასხდომამდე სტუმრებს სთავაზობენ აპერიტივს – კოქტეილს, ხილის წვენს. საუზმე 1 საათსა და 30 წუთს გრძელდება. აქედან 15-20 წუთი ყავით და ჩაით გამასპინძლებას სჭირდება. მასპინძლებს პირველად მთავარი სტუმარი ემშვიდობება.

სადილი

სადილი იმართება 17-00-დან 21-00 საათამდე. მენიუ შეიცავს ცივ კერძებს, წვნიანს, თევზისა და ხორცისაგან დამზადებულ ცხელ კერძებს, დესერტს, ყავას და ჩაის. მამაკაცებს მეუღლეებთან ერთად პატიჟებენ. სადილი 2,30 საათს გრძელდება. აქედან ნახევარი დრო იხარჯება მაგიდასთან სადილობაზე, ხოლო დანარჩენი ნახევარი, წინა ოთახში, სადილობის წინ, აპერიტივით გამასპინძლებაზე. აპერიტივით გამასპინძლება ფეხზე დგომით ხდება, რაც შესაძლებლობას აძლევს სტუმრებს დაელაპარაკონ ერთმანეთს, ეს კი შეზღუდულია მაგიდასთან. შეგახსენებთ, რომ მაგიდასთან საუბარი მიღებულია გვერდით მყოფებთან და არა მაგიდის ერთი თავიდან მეორეში.

ვახშამი

ვახშამი იწყება არა უადრეს 21-00 საათისა. მისი მენიუ ემთხვევა სადილისას, თუმცა წვნიანის გარეშე.

მოკლედ ჩაცმის შესახებ

ადამიანის სავიზიტო ბარათს წარმოადგენს კოსტიუმი, ქუდი, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, აქსესუარები – ყოველივე აღნიშნული ასახავს ადამიანის საერთო კულტურას, აღზრდილობას, მიდრეკილებას, ასაკს. ჩაცმის მანერა არა მარტო ადამიანის დამოკიდებულებას გამოხატავს საკუთარი თავისადმი, არამედ საზოგადოებისადმი. უგემოვნება თვალს

ჭრის ადამიანებს, უარყოფითად მოქმედებს პირად და სამსახურებრივ ურთიერთობებზე.

ადამიანები, ხშირად, ვითარებისათვის შეუფერებლად იფორმებენ თავს მაგალითად, სამუშაო საათებში თეატრალურ, საღამოს კაბაში ან ფრაკში გამოწყობილი კოლეგა გაკვირვებას იწვევს თანამშრომლებში. ისევე, როგორც სპორტული ტანსაცმლით ოპერაში მისვლა. გემოვნებიანი ადამიანი ყოველთვის გამოიყურება ღონისძიებისათვის შესაფერისად გამოწყობილი. მისი ჩაცმულობა, კოსტიუმის ფერი, ფუნქციონალური დანიშნულება, ასაკთან შეხამება, ინდივიდუალურობა, იზიდავს საზოგადოებას.

კულტურული ადამიანისათვის მიღებულია მოდისადმი გონიერული მიდგომა. სიტყვა მოდა, თანამედროვე გაგებით, 300 წელი არსებობს. ტანსაცმელი, დროიდან გამომდინარე, ყოველთვის ექვემდებარებოდა ცვლას, თუმცა მე-17 საუკუნემდე ცვლილება ნელა მიმდინარეობდა. ადგილი ჰქონდა იმასაც, როდესაც ტანსაცმელი თაობიდან თაობაზე გადადიოდა. ვითარება კარდინალურად შეიცვალა გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან. თანამედროვე პირობებში ჩაცმულობა ყოველ 5-10 წელში იცვლება. მოდა ორგანულად უკავშირდება ადამიანის სულიერ ცხოვრებას, გამოხატავს მის ხასიათს, გუნება-განწყობას. ქალის მიერ შარვლისა და პიჯაკის ტარება ემანსიპაციის დამახასიათებელი თვისებაა. ამასთანავე იმ პროფესიების ათვისება, რასაც ადრე მამაკაცები ასრულებდნენ. მოდის განვითარება გარკვეულ კანონებს ექვემდებარება. დიზაინერები წინასწარ თვლიან და ქმნიან ახალი ტანსაცმლის კოლექციებს. მათი აზრით მოდა ქუჩიდან იწყება და ქუჩას უბრუნდება. აქედან გამომდინარე ყველა ჩვენთაგანი იღებს მონაწილეობას მოდის შექმნაში.

გარეგნული იერსახე, ტანსაცმელი, მისი შერჩევა ადამიანისაგან გარკვეული წესების დაცვას მოითხოვს. იცხოვრო საზოგადოებაში და არ მიიღო მის მიერ შექმნილი მოთხოვნები, შეუძლებელია.

პირველი საბჭოთა ქალი დიპლომატი, ელჩი ა. კოლონტაი ამბობდა: არის თვისებები, რომლებიც მეზიზღება და თვისებები, რომლებსაც ვაფასებ. პირველს მიეკუთვნება: ადამიანის შეურაცხყოფა, უსამართლობა, საკუთარ თავზე

დიდი წარმოდგენის ქონა, სისასტიკე, მლიქვნელობა, აღვირახსნილობა. მეორეს: ადამიანებისადმი კეთილი განწყობა, დისციპლინა, საკუთარი თავის ფლობა, ცხოვრებისადმი სიყვარული, სიყვარული ბუნების, ცხოველების მიმართ, მუშაობაში მოწესრიგებულობა, გეგმურობა, ყოველთვის სწავლის სურვილი.

კულტურული, მოწესრიგებული ადამიანი არა მარტო საკუთარ ჩაცმას აქცევს ყურადღებას, არამედ საკუთარი ჯანმრთელობის საკითხებსაც. გარეგნული იერსახე ბევრად არის დამოკიდებული არა მარტო სულიერ, არამედ ფიზიკურ მდგომარეობაზეც. მისასალმებელია, როდესაც ადამიანი, განსაკუთრებით ახალგაზრდა გარკვეულ დროს უთმობს ფიზიკურ ვარჯიშს. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ფიზიკური ვარჯიში ყველა ასაკში დადებითად მოქმედებს ადამიანზე, აძლევს მას გარკვეულ რწმენას, თავდაჯერებულობას. ჯანმრთელი ადამიანი დადებით ემოციებს იწვევს საზოგადოებაში, სამსახურში. ჭარბწონიანი, დონდლო ადამიანი, განსაკუთრებით ახალგაზრდა, უპირველესად საკუთარი თავის მტერია.

როგორ მოვიქცეთ მაგიდასთან?

ხშირად იბადება კითხვა, როგორ მოვიქცეთ მაგიდასთან, რომ ლამაზად გამოვიყურებოდეთ, როგორ ვიხმაროთ დანა-ჩანგალი, რომელი ჭიქა გამოვიყენოთ, რომელი თეფში ავიღოთ, როგორ ვჭამოთ და დავლიოთ. შესაძლოა ზოგს ჩვენს მიერ შემოთავაზებული და საყოველთაოდ მიღებული წესები ზედმეტად მოეჩვენოს ან შეურაცხყოფადაც ჩათვალოს, მაგრამ გვერწმუნეთ, ამ წესების გაცნობის შემდეგ, მკითხველის მდიდარ გამოცდილებას ცოტა რამ მაინც შეემატება. მსოფლიოს ცივილიზებულ ქვეყნებში მაგიდასთან ქცევის წესების სწავლას არა ერთი გაკვეთილი და ლექცია ეძღვნება. განსაკუთრებით იმ დარგის ადამიანებისათვის, როგორიცაა დიპლომატია. ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი დიპლომატიური მიღების, წვეულების შესახებ, იმ პროტოკოლური ღონისძიებების აუცილებლობაზე, ურომლისოდაც

შეუძლებელია დიპლომატიური წვეულების ნორმალურად ჩატარება. დიპლომატიური მიღება და ოჯახში მასპინძლობა განსხვავდება ერთმანეთისაგან, ვინაიდან პირველი განეკუთვნება მკაცრი პროტოკოლური წესების საგანს, მეორე კი შედარებით თავისუფალ გარემოს, თუმცა ორივე შემთხვევისათვის მაგიდასთან ქცევის და ჭამის წესები ერთია.

წვეულებაზე დაპატიჟებული სტუმარი უმალ იგრძნობს დისკომფორტს, თუ მან არ იცის მაგიდაზე, მის წინ დალაგებული ჭურჭელის დანიშნულება. ამ საქმეში გაუთვითცნობიერებელი ადამიანისათვის თავსატეხარია, რომელ ჭიქაში დაასხას ალკოჰოლური სასმელი, მინერალური წყალი, ლიმონათი, რომელი ჩანგალი და დანა აიღოს, როდესაც ასეთი სამ-სამია. ყოველივე ამან ადამიანს შეიძლება შეუქმნას გარკვეული უხერხულება, რაც გაუფუჭებს განწყობას. წვეულებაში მარტო ამ გამოთქმაზე დაყრდნობა - "ჭამის დროს ყრუ და მუნჯი ვარ", არ გამოდგება, ვინაიდან სწორედ წვეულებაა ის ადგილი, სადაც აუცილებელია ურთიერთობა, აზრთა გაზიარება.

მაგიდასთან თავისუფალი ქცევისათვის უპირველეს ყოვლისა საჭიროა მაგიდის ჭურჭლის ცოდნა. ჭამისათვის სხვადასხვა ზომის ფაიფურის ჭურჭელი გამოიყენება. ცივი და ზოგიერთი ცხელი კერძისათვის გამოიყენება თეფშები დიამეტრით 200 მმ-ი. სუფრის თეფშები ორი სახისაა-დიდი ღრმა 240 მმ-ის დიამეტრით და ნაკლებად ღრმა, დიამეტრით 200 მმ-ი, ბულიონისათვის გამოიყენება პატარა ჯამი. 240 მმ-ის დიამეტრის მქონე თეფშები გამოიყენება ყველა სახის მეორე კერძისათვის. პურეულისათვის იხმარება პატარა თეფშები ისეთი, როგორიც დესერტისათვის, 200 მმ-ის დიამეტრით.

ყველა დანას თავისი შესატყვისი ჩანგალი აქვს. დანა–ჩანგალი ზომით ერთია.

თევზისათვის განკუთვნილი დანა-ჩანგალი განსხვავდება ჩვეულებრივი დანა-ჩანგლისგან. თევზის დანა-ჩანგლის ნაცვლად შეიძლება ორი ჩანგლის გამოყენება, თევზის დანა-ჩანგალი ზომით ოდნავ მოკლეა სუფრის დანა-ჩანგალთან შედარებით. თევზის დანა ნაკლებად ბასრია, ის გარეგნულად განსხვავდება ჩვეულებრივი დანისაგან და უფრო

ნიჩაბს ჰგავს, ვიდრე დანას, ჩანგალს კი 4 მოკლე და ბრტყელი წვერი (კბილი) აქვს.

ცივ კერძებს, მათ შორის ხორცს მიირთმევენ ფოტოზე ასახული დანა-ჩანგლით. დესერტისათვის განკუთვნილი დანა-ჩანგალი გამოიყენება ტკბილეულის, ნამცხვრის, ტორტის, ხილის, საზამთროს, ნესვის ჭამის დროს.

არსებობს სხვადასხვა ზომის კოვზები: სუფრის, რომლითაც წვნიანი კერძის მიღება არის შესაძლებელი.

დესერტის - ტკბილეულის ან ჯამით მორთმეული ბულიონის მისაღებად.

ჩაის – ჩაის, ყავის, კაკაოს მისართმევად. მისი გამოყენება შეიძლება დესერტისთვისაც.

ყავის – გამოიყენება შავი ყავის დასალევად.

თეფშები და დანა-ჩანგალი სუფრასთან მყოფის წინ ლაგდება.







სუფრაზე სხვადასხვა კერძით გამასპინძლების გარდა სასმელებითაც უმასპინძლდებიან. სასმელისათვის გამოიყენება მინის ჭიქები: პატარა ჭიქები, ფუუერები, ბოკალი, ჭიქები სხვადასხვა სახის წვენისათვის. პატარა ჭიქა განკუთვნილია არყისათვის, მას სთავაზობენ ცივ საჭმელებთან. მადერის ჭიქა არის მაგარი (ალკოჰოლიანი) ღვინოების, პორტვეინის, მადერისათვის. რეინვეინის ჭიქა ფერადი მინისაგან არის დამზადებული, მაღალ ფეხზე და გამოიყენება თეთრი, ნატურალური ღვინისათვის, რომლითაც უმასპინძლდებიან თევზის ცხელი კერძის ან ცივი კერძების მირთმევის დროს. დესერტის დროს შამპანიურის მორთმევა შამპანიურის ბოკალით ხდება. ფუუერი გამოიყენება უალკოჰოლო სასმელებისათვის. ყავის სმის დროს კონიაკის პატარა ჭიქით ხდება კონიაკითა და რომით გამასპინძლება. იმ შემთხვევაში, თუ მაგიდაზე მხოლოდ კონიაკია, მას არყის ჭიქაში ასხამენ. ცილინდრული ფორმის ჭიქა გამოიყენება ლუდისთვის.

ჭიქის მოცულობა სასმელის სიმაგრის უკუპროპორციულია, რაც უფრო მაგარია სასმელი, მით უფრო მცირეა ჭიქა. სტუმარს შეუძლია უარი თქვას მირთმეულ სასმელზე. შემოთავაზება სულაც არ ნიშნავს დალევას. თუ ალკოჰოლური სასმელების დალევა არ არის გათვალისწინებული, სუფრაზე, გარდა ფუუერის ჭიქისა, სხვა ჭიქები არ ლაგდება.



სუფრის თეთრეული

სუფრის თეთრეულს შეადგენს გადასაფარებელი და ხელსახოცი. თეთრი, კარგად გაუთოებული გადასაფარებელი საზეიმო განწყობას ქმნის. გადასაფარებელი 30 სმ-ით უნდა იყოს მაგიდის კიდიდან ქვემოთ დაშვებული. სუფრის

გადასაფარებელი ფერადიც შეიძლება იყოს, თუმცა, სადღესასწაულო განწყობისა და ოფიციალურობის გამოსახატად გამოიყენება თეთრი ფერის გადასაფარებელი. ჩაით, ყავით, ტკბილეულით და ხილით გამასპინძლების შემთხვევაში, გამოიყენება ფერადი გადასაფარებელი. არსებობს ხელსახოცების ორი კატეგორია. ერთი გამოიყენება სადილობის დროს, ხოლო მეორე დესერტისათვის. სუფრის ხელსახოცის ზომა 46X46 სმ-ია, ხოლო ჩაის, ანუ დესერტის – 35X35სმ. ფერადი ხელსახოცები ნაჭრისაა. ხელსახოცი სამკუთხედად იკეცება და სტუმრის წინ თეფშის მარცხენა მხარეს იდება. ქაღალდის ხელსახოცი ერთჯერადი ხმარებისაა და გამოყენების შემდეგ თეფშის კიდის ქვეშ, ჭამის შემდეგ კი – ნახმარ დანა-ჩანგალთან ერთად, თეფშზე იდება.

სუფრა უნდა შეესატყვისებოდეს ღონისძიებას – საუზმეს, სადილს, ვახშამს, ჩაის, ბანკეტს, ფურშეტს და სხვა, აგრეთვე მენიუთ გათვალისწინებულ კერძებს, სასმელებს, გარდა ამისა, სუფრა ჰარმონიაში უნდა იყოს მაგიდის ფორმასთან, ინტერიერთან, ის უნდა ასახავდეს თემატიკას – ახალი წლის ზეიმი, დაბადების დღე და სხვა.

სუფრის ლამაზად გაწყობა ღონისძიების წარმატების საწინდარია და დიდად არის დამოკიდებული მასპინძლის გემოვნებაზე, სუფრის გაწყობის ტექნიკის ცოდნაზე.

უპირველესად, მაგიდა იფარება გადასაფარებლით, შემდეგ მაგიდაზე ლაგდება თეფშები, ჭიქები, დანა-ჩანგალი, ხელსახოცები, სამარილე და ყვავილის ლარნაკები.

მაგიდის ჭურჭელი ბზინვარე და პრიალა უნდა იყოს, განსაკუთრებით ჭიქები.

დანა-ჩანგლის, კოვზების რაოდენობა დამოკიდებულია მენიუზე. თეფშების მარჯვნივ ლაგდება დანები შემდეგი თანმიმდევრობით – სუფრის, შემდეგ თევზის და ცივი კერძების. დანების მჭრელი მხარე თეფშისაკენ უნდა იყოს მიმართული. იმ შემთხვევაში, თუ [illegible]ნიანი კერძით ხდება გამასპინძლება, მაშინ ცივი კერძებ[illegible] დანასა და თევზის დანის შუაში იდება სუფრის კოვზი, ჩაღრმავებული ზურგით მაგიდაზე. იმ შემთხვევაში თუ მენიუ თევზეულს არ ითვალისწინებს, კოვზი იდება სუფ[illegible] და ცივი კერძების და-

ნებს შორის. თეფშის მარცხნივ ლაგდება ჩანგლები – კბილებით ზევით – სადილის, თევზის, ცივი კერძის.







დანები და ჩანგლები მაგიდაზე იდება ერთმანეთის პარალელურად, მაგიდის კიდის პერპენდიკულარულად. თეფშები და დანა-ჩანგალი მაგიდის კიდიდან 2 სმ-ით უნდა იყოს დაშორებული. თუ მენიუთი გათვალისწინებულია ცივი კერძები, წვნიანი, ორი ცხელი კერძი, თევზისა და ხორცის, მაშინ მაგიდაზე ლაგდება ცივი კერძებისათვის დანა-ჩანგალი, კოვზი, თევზისათვის დანა-ჩანგალი და სუფრის დანა–ჩანგალი. დესერტისათვის მოწყობილობა ლაგდება თეფშის წინ, თეფშიდან მაგიდის ცენტრისაკენ შემდეგი რიგითობით: დანა, ჩანგალი, კოვზი. დანისა და კოვზის სახელური უნდა იყოს მარჯვნივ, ხოლო ჩანგლის მარცხნივ.

სუფრის ერთ-ერთ ატრიბუტს შეადგენს სასმელები. მისთვის გამოიყენება მინის, ბროლის ჭიქები. მაგიდაზე ჭიქების რაოდენობა შეესაბამება მენიუს. თუ მხოლოდ უალკოჰოლო სასმელია გათვალისწინებული, მაშინ თეფშის წინ იდება ჭიქა. თუ სხვა სასმელებია გათვალისწინებული, მაშინ ჭიქის გვერდით მარჯვნივ ლაგდება დანარჩენი ჭიქები. ბანკეტის დროს, როდესაც სხვადასხვა სასმელით ხდება გამასპინძლება, ჭიქები ლაგდება ორ რიგად. წინა გვერდზე სურათი ასახავს სრულად გაწყობილ სუფრას, რასაც ადგილი აქვს ოფიციალური მიღების დროს.

სუფრის შემადგენელი ნაწილია ხელსახოცი. ქათქათა, კარგად გატკეცილი ხელსახოცი საზეიმო ელფერს მატებს სუფრას. ნაჭრის ხელსახოცი იდება თეფშზე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, წვეულებაზე ან საუზმეზე, სადილზე ან ვახშამზე დაპატიჟება ხდება ტელეფონით და მოსაწვევი ბარათის გაგზავნით. მოწვეულთან შეთანხმება რამდენიმე დღით ადრე ხდება. სტუმარი უნდა შეეცადოს, რომ დათქმულ დროს მივიდეს ან 5 წუთით ადრე. დაგვიანება ცუდ ტონად ითვლება. განსაკუთრებით ცუდია, როდესაც თვით მასპინძელი აგვიანებს. მასპინძელი ელოდება სტუმრებს 15-20 წუთის განმავლობაში, ხოლო შემდეგ ის სთხოვს მისულ სტუმრებს, სუფრას მიუსხდნენ. დაგვიანების შემთხვევაში, სტუმარი უნდა მივიდეს მასპინძელთან და ბოდიში მოიხადოს დაგვიანებისათვის. მასპინძელი ასეთ დროს არ დგება მაგიდიდან. ის დაგვიანებულ სტუმარს მიანიშნებს სუფრაზე ადგილს.

სასიამოვნო განწყობის შესაქმენლად მნიშვნელობა აქვს სტუმრების დახვედრასაც. სტუმრებს ხვდებიან მასპინძლები ან მასპინძელი. იმ შემთხვევაში, თუ სტუმრად ცოლქმარი მოდის, მასპინძლებს პირველი ესალმება ცოლი, ჯერ ქმარს, შემდეგ ცოლს, ხოლო შემდეგ, მისი ქმარი ჯერ მასპინძლის ცოლს, ხოლო შემდეგ ქმარს. თუ წვეულებას ბევრი სტუმარი ესწრება, არ არის აუცილებელი ყველას ყველასთან გაცნობა. საკმარისია მასპინძლის მხრიდან მისალმების შემდეგ სტუმრის დანარჩენებისთვის ზეპირი გაცნობა – წარდგენა ანუ სტუმრის სახელისა და გვარის გამოცხადება. ამ შემთხვევაში არც სტუმრისათვის არის აუცილებელი ყველა შეკრებილისთვის ხელის ჩამორთმევა, საკმარისია საერთო თავის დაკვრა.

გაცნობის დროს, ქალი პირველი უწვდის ხელს, და თუ ის ამას არ აკეთებს, არ არის აუცილებელი, აიძულოთ მას ხელის ჩამორთმევა. მასპინძლის მეუღლე პირველი მიუჯდება მაგიდას და სთხოვს სტუმრებს დაიკავონ თავიანთი ადგილები. ქალები პირველები სხდებიან, შემდეგ მამაკაცები. ქალი მიდის მაგიდასთან და ელოდება, ვიდრე მამაკაცი გამოუწევს სკამს. მამაკაცი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს მარჯვნივ მჯდომი ქალისადმი. ის აწვდის მას მაგი-

დაზე დადებულ კერძებს. უსხამს სასმელებს, ესაუბრება. მაგიდასთან ყოფნა 1-1,5 საათს გრძელდება და რომ მომქანცველი არ იყოს ეს არცთუ ხანმოკლე პერიოდი, თავიდანვე კარგი იქნება მოსახერხებელი პოზის შერჩევა. ეტიკეტის მიხედვით, შეძლებისდაგვარად სრულად უნდა დაიკავოთ სკამი, მისი ზურგის ოდნავი შეხებით. უნდა იჯდეთ გამართული, მაგრამ თვისუფლად, ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე, მაგიდიდან ოდნავი დაშორებით. ფეხები მოხრილი უნდა გქონდეთ და პარალელურად. ხელები ჭამის დაწყებამდე ან კერძების მიღების შორის პაუზების დროს, მუხლებზე უნდა გეწყოთ ან სკამის სახელურზე. ჭამის დროს ხელები ტანთან უნდა გქონდეთ მიკრული და ისე უნდა ამოძრაოთ, მეზობელს არ შეეხოთ. ცხადია ასეთ პოზაში საჭმლის მიღება იოლი არ არის, მაგრამ ვარჯიშის შედეგად ამის მიღწევა შესაძლებელია. ეტიკეტის მიხედვით, იდაყვებით მაგიდაზე დაყრდნობა არ არის მიღებული. ასეთი პოზა, განსაკუთრებით თუ თავი ხელებზე გაქვთ დაყრდნობილი, დამსწრე საზოგადოებისადმი აგდებულ, უპატივცემულო დამოკიდებულების გამოვლინებაა. არც ის არის მიღებული, როდესაც ფეხი-ფეხზე გადადებული სხედან ან წინ გაშვერილი ფეხებით. მიღებული არ არის სკამის კიდეზე ჯდომა და ქანაობა ან ხელის გადადება მეზობელი სკამის საზურგეზე.

მაგიდასთან დაჯდომისას თვალი შეავლეთ ჭურჭელს. თქვენს წინ არის თეფშები, მარცხნივ ან ხელსახოცი დევს (ხშირად ხელსახოცი თეფშზე დევს) ან პატარა თეფში პურისათვის, მარჯვნივ დანები და კოვზები, მარცხნივ ჩანგლები. თეფშების წინ განთავსებულია დესერტისათვის საჭირო დანა-ჩანგალი, კოვზი, შემდეგ ჭიქები. თეფშზე დევს ხელსახოცი. გახსოვდეთ, თეფშიდან მარჯვნივ დადებული დანები და კოვზი მარჯვენა ხელით უნდა აიღოთ, ხოლო თეფშის მარცხნივ ჩანგლები – მარცხენა ხელით. დესერტის დანა-ჩანგალი და კოვზი, რომელსაც სახელური მარჯვნივ აქვს – მარჯვენა ხელით, ხოლო მარცხენა ხელით, რომელსაც სახელური მარცხნივ აქვს. ზოგიერთი კერძი, რომლის დანაწევრებაც ჩანგლით არის შესაძლებელი, ჩანგალი მარჯვენა ხელით უჭირავთ.

თეფშზე პირამიდის მსგავსად დადებული ქათქათა ხელსაწმენდის დანახვისას არ შეგექმნათ უხერხულობა და აქედან გამომდინარე, ნაზად გვერდზე არ გადადოთ. ხელსაწმენდი, მიუხედავად იმისა, რომ ალამაზებს სუფრას და საზეიმო განწყობას ქმნის, თქვენი კომფორტისათვის არის გათვალსიწინებული. მისი მთავარი დანიშნულებაა თქვენი ტანსაცმლის დაცვა შემთხვევითი შხეფებისგან. გარდა ამისა, ხელსაწმენდით ხდება თითებისა და ტუნების გაწმენდა ჭამის დასრულების შემდეგ. ხელსახოცი უნდა გახსნათ და მუხლზე დაიდოთ. ხელსახოცის პერანგის საყელოში ჩადება და მკერდის დაფარვა, მისაღები არ არის. ყოველად დაუშვებელია ხელსახოცის ცხვირსახოცად გამოყენება.

მიუღებელია ჭურჭლის დაშტერებით ყურება და ხელსახოცით დანა-ჩანგლის გაწმენდა. ამით თქვენ შეურაცხყოფას მიაყენებთ მასპინძლებს. ჭამის დასრულების შემდეგ, არ არის მიღებული ხელსახოცის დაკეცვა. ის უბრალოდ უნდა დადოთ თეფშის მარჯვნივ. მიუღებელია ხელსახოცის სკამზე დადება ან სკამის ზურგზე გადაკიდება. თუ ხელსახოცი იატაკზე დავარდა, მოითხოვეთ ახალი, ვინაიდან იატაკზე დავარდნილი ხელსახოცის გამოყენება არაჰიგიენურია.

მაგიდასთან ყოფნის მთავარი მიზანია საჭმლის მიღება, მაგრამ არანაკლები მნიშვნელობა აქვს საუბარსაც. არც ერთი ტრაპეზა არ მიმდინარეობს საუბრის გარეშე. აუჩქარებელი გულითადი საუბარი აახლოებს სტუმრებს.

მაგიდასთან საუბარი უმეტესად საერთო ხასიათს ატარებს და ისეთ თემებს ეხება, რომელიც ახლოა ყველასათვის, მაგრამ საუბარი შესაძლოა იყოს პროფესიონალური ან პირადი ხასიათის. უმჯობესია ასეთ დროს ადგილი არ ჰქონდეს სერიოზულ საკითხებთან შეხებას, რაც თავისთავად იწვევს მსმენელის ყურადღებას, გონების დაძაბვას და ჭამის პროცესიდან დროებით მოწყვეტას.

ეტიკეტიდან გამომდინარე, მიუღებელია საუბარი ცხელი კერძის მირთმევისა და ჭამის დროს, მარტივი მიზეზის გამო, რომ არ გაცივდეს ცხელი კერძი. ძირითადად საუბარს ცივი კერძების ჭამის დროს აქვს ადგილი, აგრეთვე დესერტის, ჩაის და ყავის სმის დროს.

საუბრის თემა ისე უნდა შეირჩეს, რომ მან მადა არ გაუფუჭოს სტუმრებს. სუფრასე არ საუბრობენ საკუთარი ავადმყოფობის, მირთმეული კერძის უგემურობისა და სხვა არასასიამოვნო თემების შესახებ. მიუღებელია რომელიმე დამსწრე პირის მიმართ, განსაკუთრებით ქალის, ქილიკი, დაცინვა, ჩაცმულობის ან თმის ვარცხნილობის კრიტიკა.

ბევრს უყვარს სუფრაზე სამსახურის საქმეზე საუბარი. გაცილებით უმჯობესი და საქმისთვის სასარგებლო იქნებოდა ამ საკითხების სამსახურში განხილვა და არა სუფრაზე.

უმჯობესია სუფრასთან ყოფნის დროს თავი შეიკავოთ კამათისაგან და თუ ეს არ ხდება, მასპინძლებმა ყველაფერი უნდა იღონონ საუბრის სხვა თემაზე გადასატანად. ცნობისათვის, სუფრასთან სასაუბრო თემებს მასპინძლები უნდა არჩევდნენ. მათ წინასწარ უნდა მოიფიქრონ საკითხები, რომლებიც სტუმრებს დააინტერესებთ. არ ღირს უწესო ანეკდოტების ან ჭორების მოყოლა. უწესობად ითვლება, როდესაც მეგობარი ქალები არ აქცევენ ყურადღებას დამსწრე საზოგადოებას და გამუდმებით ჩურჩულებენ. უწესობაა ასევე, როდესაც ერთი სტუმარი მეორის მიმართ ზურგშექცევით ზის ან მთელი კორპუსით შებრუნდება. საუბარი უნდა მიმდინარეობდეს დაბალ ხმაზე და არა ჩურჩულით.

თითოეულ მოსაუბრეს უნდა ახსოვდეს, რომ ის არ გამოდის მონოლოგით, მან სხვებსაც უნდა მისცეს საუბრის შესაძლებლობა. სხვისი ყურადღებით მოსმენა ისეთი თვისებაა, რომელიც ამკობს ადამიანს. ხმამაღლა საუბარი ან ენაწყლიანობა მიუღებელია. ოფიციალური წვეულების დროს მიღებულია სიტყვა-სადღეგრძელოს თქმა. არაოფიციალური სადილის ან ვახშმის დროს ადგილი აქვს რამდენიმე სადღეგრძელოს წარმოთქმას. სადღეგრძელოები უნდა იყოს მოკლე და არამომაბეზრებელი, რასაც ხშირად აქვს ადგილი ქართულ სუფრაზე. სადღეგრძელოების წარმოთქმის დროს მამაკაცები ფეხზე დგებიან, ქალები – არა. თუ თამადას სადღეგრძელოს თქმის დროს ხელში ჭიქა უჭირავს, ასევე უნდა მოიქცნენ ფეხზე მდგომი მამაკაცები. თუ თამადა სადღეგრძელოს წარმოთქვამს ჭიქის გარეშე, დამსწრე მამაკაცები ჭიქის გარეშე ფეხზე მდგომი უსმენენ მას.

წვეულების დამთავრების შემდეგ უმჯობესია ცოტა ხნით შენერება, მასპინძლებთან გამომშვიდობება და კარგი სტუმართმოყვარეობისათვის მადლობის გადახდა.

სუფრასთან ყოფნის დროს ყურადღება ექცევა არა მარტო საუბრის ფორმას, ჯდომის მანერას, ყველაფერ იმას, რაზეც უკვე გექონდა საუბარი, არამედ ჭამის კულტურას. ერთობ უსიამოვნო შთაბეჭდილებას ქმნის ადამიანი, რომელიც ჭამის დროს ხმაურით ღეჭავს ლუკმას. საჭმლის ღეჭვის დროს პირი აქვს ღია, ხმაურით მიირთმევს წვნიანს, წრუპავს მას, საუსე პირით საუბრობს, ჩქარა ჭამს.

ეტიკეტის მიხედვით სხვადასხვა კერძს სხვადასხვანაირად ჭამენ. ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. მხოლოდ რამდენიმე მათგანზე გავამახვილებთ ყურადღებას.

უპირველეს ყოვლისა აუცილებელია იმის ცოდნა, თუ როგორ გადაიღოთ მაგიდაზე დადებული საერთო ჯამიდან საჭმელი თქვენს თეფშზე. ადამიანი შეავლებს რა თვალს სუფრას უმალ არჩევს რომელი კერძის გადაღებას ისურვებდა. ყნოსვა ხელს უწყობს მას კერძის შერჩევაში. თვალს იტაცებს კარგად გაფორმებული კერძი. სწორედ აქედან გამომდინარე ყველა კულინარი ცდილობს ისე გააფორმოს კერძი, რომ ადამიანმა უმალ მიაქციოს ყურადღება. უნდა შეეცადოთ ისე გაანაწილოთ ჭამის დროს თქვენი შესაძლებლობები, რომ მადით მიირთვათ შემოთავაზებული კერძები. გირჩევთ ძალიან ნუ გაერთობით ცივი კერძების ჭამით, ვინაიდან მენიუ და თქვენი თეფშის მარჯვნივ და მარცხნივ დალაგებული დანა-ჩანგლები გკარნახობენ რამდენიმე თავ კერძს. საკვების მიღების თანამიმდევრობა ასეთია: უპირველესად ცივი კერძები, შემდეგ ცხელი პირველი კერძი, შემდეგ წვნიანი, რასაც მოჰყვება მეორე ცხელი კერძი. პირველი ცხელი კერძი თევზისაა, ხოლო მეორე ხორცის. მეორე ცხელ კერძს მოჰყვება დესერტი – ტკბილეული, ხილი.

ხორცის კერძის ჭამის დროს ხორცის ნაჭერი უნდა ჩამოჭრათ და ისე მიირთვათ. მიუღებულია ხორცის ნაჭრებად დაჭრა და შემდეგ მირთმევა. ხორცის მდოგვთან ერთად მიღების დროს, მდოგვი უნდა გადმოიღოთ თეფშზე მდოგვის კოვზით და არა თქვენი დანის წვერით. დანის წვერით

მდგოვი უნდა წაუსვათ ხორცის დაჭრილ ნაჭერს. თუ ხორცის ნაჭერი სოუსით არის, სოუსისათვის შეგიძლიათ მოტეხოთ პურის პატარა ნატეხი და სოუსში ჩაალბოთ, ხოლო შემდეგ, ჩანგლით მიირთვათ. მიუღებელია, ჯერ გარნირის მირთმევა, შემდეგ ხორცის ან პირიქით. იმ შემთხვევაში, თუ ხორცი ძვლიანია, ხორცი უნდა ჩამოჭრათ დანით, ხოლო ძვალი, დანის დახმარებით, დადოთ ჩანგალზე, ჩანგლით თეფშის კიდეზე. მიუღებელია, როდესაც პურის ნატეხებს ღებენ სოუსში და შემდეგ ერთად მიირთმევენ.

დაკეპილი ხორცის კერძები, როგორებიცაა: კატლეტი, შნიცელი და სხვა, იჭმევა ჩანგლით. ჩანგალი გიჭირავთ მარჯვენა ხელში. წვეულებაზე ან ჩვეულებრივ სადილზე ხშირია ფრინველის ხორცით გამასპინძლება, რაც ყოველთვის იწვევდა და იწვევს ერთ და იმავე შეკითხვას, ხელით შეიძლება ჭამა თუ დანა-ჩანგლით, ეტიკეტი ორ ვარიანტს ითვალისწინებს. პირველ შემთხვევაში, თუ არ მოგართვეს თითების ჩასაბანი ჯამი, ეს იმას ნიშნავს, რომ ფრინველის ხორცი დანა-ჩანგლით უნდა მიირთვათ ანუ დანა-ჩანგლის მეშვეობით ძვალს უნდა მოაცალოთ ხორცი. მეორე შემთხვევაში, თქვენი თეფშის მარჯვნივ იდება ჯამი ცხელი წყლით, მასში ჩაწურული ლიმნით. დანითა და ჩანგლით ძვალს აცილებთ ხორცს, ხოლო შემდეგ, ის რაც დარჩა ძვალზე ხელით მიირთმევთ. ძვლიდან ხორცის მოცილების შემდეგ, ძვალი თეფშის კიდეზე იდება. თითებს ყოფთ სითხეში და ხელსაწმენდით იწმენდთ. შემწვარი წიწილა-ტაბაკა იჭმევა დანა-ჩანგლით, ძვლიანი ნაწილი, ხელით. კერძის დამთავრების შემდეგ, შეგიძლიათ თითების ჯამში ჩაბანა.

აქვე აღვნიშნავთ, რომ საუკეთესო ხარისხის რესტორანში ფრინველის ხორცისგან დამზადებული კერძი გათავისუფლებულია ძვლისგან. ასე, რომ ამ შემთხვევაში ნაკლები პრობლემები შეგექმნებათ ფრინველის ხორცის მირთმევისას.

იშვიათია, როდესაც მინერალური წყლის ან ლიმონათის გარდა სუფრაზე არ ხდებოდეს ალკოჰოლური სასმელებით გამასპინძლება. ტრადიციულად, წვეულების დროს ადგილი აქვს სხვადასხვა სახის ალკოჰოლური სასმელით გამასპინძლებას. ყველა კერძს შესატყვისი ალკოჰოლური

სასმელით გამასპინძლება მოჰყვება, მაგალითად: ციცი კერძებით გამასპინძლებისას, მიღებ'ელია არაყი. წვნიანთან მოაქვთ მადერა, პორტვეინი. თევზის ცხელ კერძთან, თეთრი ნატ'ურალ'ური ღვინო. ხორცის კერძთან, ნატ'ურალ'ური წითელი ღვინო. ტკბილ დესერტთან შამპან'ური, ჩაისთან — ლიქიორი, ყავასთან —კონიაკი. ყველა სასმელისათვის არის სპეციალ'ური ჭიქა და რაც უფრო მაგარია სასმელი მისთვის უფრო პატარა ჭიქა გამოიყენება. სუფრაზე ჭიქები მენი'უთი გათვალისწინებ'ული კერძების მიწოდების თანმიმდევრობით ლაგდება. პირველ რიგში, მარჯვნიდან მარცხნივ, არყის ჭიქაა, შემდეგ სხვა ჭიქები.

არანაკლები მნიშვნელობა აქვს ღვინის ტემპერატ'ურასაც. მისი გემოს უკეთესი შეგრძნებისათვის სუფრის თეთრი და ნახევრად ტკბილი ღვინო ოდნავ გაციებ'ულ მდგომარეობაში მოაქვთ — ზაფხ'ულში 12-14 გრად'უსამდე, ზამთარში — 8 გრად'უსამდე. წითელი ღვინოები პირიქით, მოაქვთ შემთბარი. ზამთარში 20 გრად'უსამდე, ხოლო ზაფხ'ულში 18 გრად'უსამდე. ჰერესიც და მადერაც ოთახის ტემპერატ'ურამდე შემთბარი მოაქვთ.

თბილია აგრეთვე დესერტის ლიქიორი და ღვინოები, ხოლო შამპან'ური — ჩაციებ'ული. შამპან'ურს მიირთმევენ გაზის გასვლის შემდეგ.

ღვინოს სვამენ პატარა ყლუპებით, ატანენ რა მას საჭმელს. რაც შეეხება არაყს, მწარე გემოს გამო, მისი ყლუპით დალევა მიუღებელია. არაყს ციცი კერძების წინ სვამენ უფრო სწორედ, გადაჭკრავენ მადის აღსაძრავად, აგრეთვე დაძაბ'ულობის მოსახსნელად. მას პატარა არყის ჭიქით სვამენ, ერთ-ორ ჭიქას. წვეულების დროს, სტუმრის წინ მრავალი ჭიქა დევს. თ'უ ყველა მათგანს გამოიყენებთ, ან'უ დალევთ მასში ჩამოსხმ'ულ ყველა ალკოჰოლურ სასმელს, თავს შეზარხოშებ'ულად იგრძნობთ, რაც არცთ'უ სახარბიელოა წვეულების დროს. სუფრაზე დასხდომისთანავე სტუმარმა თვალი უნდა შეავლოს მის წინ ჩამწკრივებ'ულ ჭიქებს, განსაზღვროს, რას დალევს და რას არა. როდესაც ოფიციანტი დააპირებს არყის ან ღვინის ჩამოსხმას, თ'უ არ გინდათ უნდა უთხრათ "გმადლობთ, არ მინდა", რაც საკმარისი იქნება მისთვის, რომ არ ჩამოგისხათ. თ'უ ვინიცობაა,

მან მაინც დაგისხათ, ნუ მიაქცევთ ამას ყურადღებას. ხშირად, როდესაც არ უნდათ სასმელი, ჭიქას ზემოდან ადებენ გაშლილი ხელის მტევანს, რაც მიღებული არ არის.

ალკოჰოლური სასმელების მიღებისას ყველამ უნდა იცოდეს ზომა, საკუთარი შესაძლებლობები. მიუღებელია, როდესაც ალკოჰოლური სასმელით გათამამებული სტუმარი საკუთარი აზრების ხმაურით გამოთქმის უფლებს აძლევს თავს. გახსოვდეთ, რომ სულაც არ არის საჭირო ჭიქის ბოლომდე დაცლა. დალევის დროს თავის ბოლომდე გადაწევა. ჭიქის შევსებასაც თავისი წესი აქვს. არც ერთი ჭიქა ბოლომდე არ ივსება მარტივი მიზეზის – დაღვრის გამო.

სუფრაზე მიღებულია ჭიქის მიჭახუნებაც. ასეთ დროს სტუმრები ერთმანეთს თვალებში უყურებენ და ისე უჭახუნებენ ჭიქებს. პატივისცემის გამოხატვის მიზნით, ასაკით პატარა ისე უჭახუნებს, რომ თავისი ჭიქა ოდნავ ქვევით იყოს ასაკით დიდის ან ქალის ჭიქაზე. ჭიქების მიჭახუნების ტრადიცია დიდი ხანია არსებობს, თუმცა ოფიციალური წვეულების დროს ამას იშვიათად მიმართავენ.

პროტოკოლი საუბრის დროს

საუბარი მოლაპარაკებათა პროცესის მნიშვნელოვანი ატრიბუტია. დიდია საუბრის მნიშვნელობა, როგორც პარტნიორებს, ისე მოწინააღმდეგეებს შორის. ამჯერად არ შეეხებით საუბრის მნიშვნელობას და მის ასპექტებს, ვინაიდან ამაზე დასაწყისში აღვნიშნეთ, არამედ იმ პროტოკოლურ ნიუანსებს, რომლის დაცვა აუცილებელია სასაუბროდ მიღების დროს. წინასწარ განისაზღვრება, სად უნდა გაიმართოს ეს ღონისძიება. სტუმრებს იღებენ აღნიშნული საქმისათვის გამოყოფილ ოთახში ან დარბაზში, რომელსაც აქვს წინა ოთახი ან შეხვედრის ორგანიზატორის კაბინეტში. კაბინეტში მიღების დროს, დაუშვებელია სტუმრის საწერ მაგიდასთან მიღება. თუ სტუმარი ერთია, მასპინძელი და სტუმარი სხდებიან საწერი მაგიდის წინ მოკლე მისადგმელ მაგიდასთან ან გრძელ სათათბირო მაგიდასთან. სტუმრები იკავებენ სათათბირო მაგიდის ერთ მხარეს, ხო-

ლო საწინააღმდეგო მხარეს სხდებიან მასპინძლები. მთავარი მასპინძელი და მთავარი სტუმარი ადგილებს იკავებენ მაგიდის შუაში. მიუღებელია, როდესაც მასპინძელი მაგიდის თავში იკავებს ადგილს.

სტუმრებს შენობაში შესასვლელ კართან ხვდება მთავარი მასპინძლის სამსახურის წარმომადგენელი, რომელიც მისალმების შემდეგ სტუმრებს მიუძღვება გასახდელისკენ, ქალებს ეხმარება გახდაში და შემდეგ, წინ მიუძღვის მთავარი მასპინძლის კაბინეტისაკენ ან სასტუმრო ოთახისაკენ. მთავარი სტუმარი ელოდება სტუმრებს კარებთან და ყველა მათგანს ხელს ართმევს. მთავარი სტუმარი მასპინძელს აცნობს დელეგაციის წევრებს.

მას შემდეგ, რაც სტუმარ-მასპინძელი დაიკავებს ადგილებს სათათბირო მაგიდასთან, მაპინძელი სტუმრებს წარუდგენს საუბარში მონაწილე თანამშრომლებს.

სათათბირო მაგიდაზე დალაგებულია ფანქრები, ქაღალდები და ბლოკნოტები მოლაპარაკებაში მონაწილე ყველა პირისათვის, გარდა ამისა, მინერალური წყალი და ლიმონათი, გასახსნელები. წინათ მაგიდაზე სიგარეტებიც და საფერფლეებიც იდო. ამჯერად ამას ადგილი არ აქვს, ვინაიდან სიგარეტის მოწევა აკრძალულია ბევრ ქვეყანაში, თუმცა უკიდურეს შემთხვევაში, ამას შეიძლება ჰქონდეს ადგილი. მაგიდასთან მსხდომებს შეიძლება ჩაით ან ყავით გაუმასპინძლდნენ. ჩაი და ყავა შემოაქვთ მთავარი სტუმრის მინიშნების შემდეგ.

როგორც წესი, საქმიანი მიღება არ გრძელდება ერთ საათზე მეტს. იმ შემთხვევაში, თუ სტუმართა რიცხვი დიდი არ არის, სტუმრები შესაძლოა განთავსდნენ დივანზე მთავარი მასპინძლის საკარძლიდან მარჯვნივ.

საუბრის დამთავრების შემდეგ, სტუმარ-მასპინძელი ემშვიდობება ერთმანეთს, ხოლო პირი, რომელიც დახვდა სტუმრებს, მიაცილებს მათ შენობის გასასვლელამდე.

ზემოთ მოყვანილი მაგალითები ეტიკეტის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია, რომლის ცოდნა მიზანშეწონილია უპირველეს ყოვლისა იმათთვის, ვისაც დიდი სურვილი აქვს საკუთარი შესაძლებლობები მოსინჯოს დიპლომატიურ სარბიელზე, იმათთვისაც, ვინც პოლიტიკით ან ბიზნესით არის

დაკავებული, ყველა კულტურული ადამიანისათვის, ვინც თავს ასეთად მიიჩნევს. ჩვენ შეგნებულად თავი ავარიდეთ ეტიკეტის დაწვრილებით განხილვის საქმეს, ვინაიდან ჩავთვალეთ, რომ თუნდაც იმის შეთვისება, რასაც გთავაზობთ, საშუალებას მოგცემთ ინდივიდუალურად დაეუფლოთ ეტიკეტის მდიდარ ნიუანსებს.

ეტიკეტის შესახებ სხვადასხვა ქვეყნების მიერ, სხვადასხვა საუკუნეში არაერთი წიგნი და ბროშურა არის გამოცემული. დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში, რუსეთში, თუ სხვა ქვეყნებში საუკუნეთა წინ გამოცემულ ეტიკეტის წიგნებში შეტანილი ქცევები ზოგ შემთხვევაში დღესაც შესახსენებელია ფართო საზოგადოებისათვის. აქედან გამომდინარე, ახალ თაობას დროდადრო მიეწოდება მსგავსი ხასიათის ლიტერატურა. მისი მიზანი კეთილშობილურია — შეასწავლოს ის, რაც საშუალებას აძლევს ადამიანს თავისუფლად იგრძნოს თავი კულტურულ საზოგადოებაში.

21-ე საუკუნემდე ეტიკეტის მოსვლა არც თუ იოლი იყო. მან ბევრი ადამიანური ბარიერი გადალახა და მიუხედავად წინააღმდეგობისა, შეძლო ჩვენამდე მოღწევა. ისტორიულად ეტიკეტის ახალი ვარიანტის შემოღება ძალისმიერ პოლიტიკას უკავშირდებოდა, ვინაიდან საზოგადოების დიდი ნაწილის დამოკიდებულება მისდამი აშკარად ნეგატიური იყო. გავიხსენოთ პეტრე პირველის ბრძანებები, სადაც მითითებულია მაღალი წოდების ადამიანის ქცევის წესები, რომელთა დარღვევას მათრახით ცემა მოჰყვებოდა. ბევრი ბოიარინი ეწინააღმდეგებოდა ახალ მოდას, არ უნდოდა პარიკის ტარება, წვერის გაპარსვა, ეხამუშებოდა პირტიტველობა. წვერის გაუპარსაობისათვის იმპერატორმა გადასახადიც შემოიღო. პეტრე პირველის დაჟინებული მოთხოვნით რუსეთში სამჯერ გამოიცა ევროპაში დაბეჭდილი წიგნები ეტიკეტის შესახებ, სადაც ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ მიუღებელია ცხვირის ხმაურით მოწმენდა, ჭამის წინ აუცილებელია ხელის დაბანა, რომ სავსე პირით ლაპარაკი არ შეიძლება, ისევე, როგორც ჭამის შემდეგ თითების გალოკვა.

ეტიკეტს ყველა დროს აქცევდნენ ყურადღებას, განსაკუთრებით დიპლომატიაში. ძველ საბერძნეთსა და რომში ელჩების მიღებისას ეტიკეტის დაცვას უდიდესი მნიშვნელო-

ბა ენიჭებოდა. ელჩები არა მარტო საკუთარი ქვეყნის ეტიკეტში იყვნენ გათვითცნობიერებული, არამედ მასპინძელი ქვეყნის ეტიკეტშიც, რაც თავისთავად ხელს უწყობდა ვიზიტის წარმატებით განხორციელებას. ძველ რომში უცხო სახელმწიფოს ელჩების მიღება პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხად იყო ქცეული, რომელშიც დიდი ადგილი ეკავა მათ პატივსაცემად ზეიმების გამართვას, ხოლო დამშვიდობებისას სარეკლამო მირთმევას.

შუა საუკუნეები მდიდარია ყოველისმომცველი ტრაქტატებით, რომლებიც უხვად იძლეოდნენ სხვადასხვა სახის რჩევებს, რეკომენდაციებს ცხოვრების სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით. მათში გარკვეული ადგილი ჰქონდა დათმობილი ქცევის წესებსაც, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო კულტურული ადამიანი საზოგადოებაში.

დასაწყისში ეტიკეტი მხოლოდ მაღალი საზოგადოების ადამიანებისათვის იყო განკუთვნილი. 1204 წელს გამოდა ქცევის წესების წიგნი, რომლის ავტორი ესპანელი პეტრიუს ალფონსი იყო. ეს არის ნაშრომი ეტიკეტთან დაკავშირებით. აღნიშნულმა წიგნმა საფუძველი დაუდო სხვა წიგნების გამოცემას. თუ დასაწყისში ისინი აღწერდნენ სამეფო კარის ეტიკეტს, მოგვიანებით მათ მოიცვეს ფართო საზოგადოება. წიგნები ასწავლიდნენ მაგიდასთან სწორ ჯდომას, საუბრის სწორ წარმართვას, სტუმრების კარგ მიღებას და სხვა. ადრეულ შუა საუკუნეებში ეტიკეტის კანონმდებლად ეკლესია გვევლინება. მოგვიანებით ეს ფუნქცია საერო საზოგადოებამ ითავა.

საერო საზოგადოების ეტიკეტის ფუძემდებლად იტალია ითვლება. ამ ქვეყანაში მე-14 საუკუნიდან დაწყებული ქცევის წესები მკაცრ რეგლამენტს ექვემდებარებოდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს გამოწვეული იყო აღორძინების ეპოქით და მასთან დაკავშირებული მეცნიერებისა და ხელოვნების გაფურჩქვნით. სწორედ იტალიიდან დაიწყო ეტიკეტმა გავრცელება საფრანგეთში, გერმანიაში, ინგლისში, სხვა ქვეყნებში. აღნიშნული ქვეყნები, თითქმის 2 საუკუნის განმავლობაში უყოყმანოდ ასრულებდნენ იტალიაში შემუშავებული ეტიკეტის მოთხოვნებს. მე-16 საუკუნიდან კი საკუთარი

ქვეყნების წეს-ჩვეულებიდან გამომდინარე, მათ მნიშვნელოვანი დამატება შეიტანეს იტალიურ ეტიკეტში. მე-16 საუკუნის მე-2 ნახევრიდან მოდისა და ეტიკეტის კანონმდებლად საფრანგეთი გადაიქცა. ლუი მე-14 გამეფების შემდეგ ეტიკეტის განვითარებამ უმაღლეს მწვერვალებს მიაღწია. მეფე ყველაფერს აკეთებდა საკუთარი კარის ბრწყინვალებისათვის. შემუშავებულ იქნა ქცევის მკაცრი წესები, მაგალითად, მიღების დროს არავის ჰქონდა უფლება ლაპარაკი დაეწყო მეფესთან, თუ ამის შესახებ მას არ ანიშნებდნენ. სხვა ქვეყნის მბრძანებელიც ვალდებული იყო დაეცვა ეს წესი. ყველაფერი ჩამოწერილი იყო – ფეხსაცმელზე ბაფთიდან დაწყებული, თმის ვარცხნილობითა და ცერემონიის მოწყობით დამთავრებული. მეფესთან მიღების დროს სტუმრებს ურიგდებოდათ სპეციალური ბარათები, რომელსაც "ეტიკეტკას" უწოდებდნენ და რომელშიც ჩაწერილი იყო ქცევის წესები. ეტიკეტი მიღებული იყო, როგორც აუცილებელი რიტუალი. ეტიკეტის მოთხოვნების შესრულება არცთუ იოლი იყო, ამიტომ შემოიღეს თანამდებობა – ცერემონმეისტეროობა. პირი, რომელიც ამ თანამდებობას იკავებდა ზედმიწევნით გარკვეული უნდა ყოფილიყო ეტიკეტში, ვინაიდან სტუმრები მასზე იყვნენ ორიენტირებულები.

თანამედროვე ცხოვრებაში, განსაკუთრებით დიპლომატიაში, ამ საქმიანობას პროტოკოლის სამსახური ასრულებს. ეტიკეტის მიხედვით მამაკაცები მაგიდასთან ადგილს თანამდებობიდან და ტიტულიდან გამომდინარე იკავებდნენ. ისინი სხდებოდნენ მაგიდის ერთ მხარეს. ყველაზე ტიტულოვანი, მაგიდის ბოლოს. მის მარჯვნივ არავინ არ უნდა მჯდარიყო. მარცხნივ, მის შემდეგ ყველაზე მაღალი ტიტულის მატარებელი იჯდა. მასპინძელი იმ ადგილს იკავებდა, რაც მის თანამდებობას ან ტიტულს შეესაბამებოდა. სუფრაზე მიღებული იყო სადღეგრძელოების წარმოთქმა. სუფრის წევრები სადღეგრძელოს წარმოთქმის დროს ფეხზე დგებოდნენ, ცილინდრს იხდიდნენ და მუხლზე იჩოქებოდნენ. სასმელის დალევის შემდეგ ფეხზე დგებოდნენ, იხურავდნენ ცილინდრს და მაგიდას მიუსხდებოდნენ. ერთმანეთს მიმართავდნენ "თქვენობით". "შენობით" მიმართავდნენ მოსამსახურეებს.

ეტიკეტი ყალიბდებოდა სხვადასხვა ფაქტორების გავლენის შედეგად. ეტიკეტის ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა ჰქონდა პოლიტიკური სისტემის, ხელოვნებისა და კულტურის განვითარებას. საფრანგეთის რევოლუციის შედეგად ეტიკეტმა სერიოზული ცვლილება განიცადა. შეიცვალა მიმართვაც "თქვენიდან" "შენზე".

მე-16 საუკუნის დასაწყისში გერმანიაში ერაზმ როტერდამელმა დაწერა ქცევის წესები ბავშვებისათვის სახლში, სკოლაში, ეკლესიაში, სტუმრად, მაგიდასთან და სხვა. წესებში აღნიშნულია შემდეგი: "როგორ უნდა მოიქცეთ სტუმრად? უპირველეს ყოვლისა არ უნდა დააგვიანოთ და უნდა მიხვიდეთ დათქმულ დროს. სტუმრად არ უნდა მიხვიდეთ ძაღლით ან ამხანაგით, რომელიც არ არის დაპატიჟებული. თქვენი წუხილი და პრობლემები სახლში დატოვეთ. დაიკავეთ ის ადგილი, რომელსაც მასპინძელი გთავაზობთ. მაგიდასთან დასხდომის წინ დაიბანეთ ხელი. მაგიდასთან ყოფნის დროს ნუ აქნევთ ხელებს და ნუ ამოძრავებთ ფეხებს. დანით არ დაიწყოთ თეფშის კაწვრა. თუ რაიმე დაგივარდათ იატაკზე, არ აიღოთ და პირში არ ჩაიდოთ. საჭმლის დიდი ლუკმა არ ჩაიდოთ პირში, უმჯობესია დაჭრათ".

აღნიშნული წესების დაწერიდან არაერთი საუკუნე გავიდა, მაგრამ ბევრი რამ დღესაც აქტუალურია, დღესაც ესაჭიროებათ ადამიანებს სისტემატური შეხსენება წვეულებაზე დროულად მისვლის ან თუნდაც ხელის დაბანის თაობაზე.

სპეციალისტების დაკვირვებით, არსებობს ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული ეტიკეტი, ევროპული და აღმოსავლური. ევროპული ორიენტირებულია გარეგნულობაზე. აღმოსავლური ეფუძნება რიტუალს, საეროო წესებს. ჩვენი მეზობელი რუსეთი საკმაო ხნის განმავლობაში კარჩაკეტილად ცხოვრობდა. მას არ ჰქონდა მჭიდრო კავშირები არც აღმოსავლეთთან და არც დასავლეთთან. ამან გარკვეული დაღი დაასვა ქვეყნის კულტურულ ცხოვრებას. მე-16 საუკუნის პირველ ნახევარში რუსეთში შეიქმნა ეტიკეტის პირველი წიგნი, რომელიც ასწავლიდა ადამიანს, როგორ მოქცეულიყო ეკლესიასთან მიმართებაში, ოჯახში, საზოგადოებაში, როგორ მიეღო სტუმრები და სხვა. მე-17 საუკუნეში პეტ-

რე I-ის განკარგულებით გამოვიდა წიგნი ქცევის წესების შესახებ. მოგვიანებით ადგილი ჰქონდა წიგნის რამდენჯერმე გამოცემას.

მსოფლიოს მრავალი ქვეყანა აქცევდა ყურადღებას ქცევის წესებს, ვინაიდან ეტიკეტი კარგი მანერებისა და ქცევის თავისებური კოდექსი, იყო როგორც შინ, ისე გარეთ.

ეტიკეტის ცნება განუყრელად არის დაკავშირებული ეთიკასთან. ეთიკა გულისხმობს ადამიანის მორალის მეცნიერებას, მის სულიერ და ყოფით პრინციპებს. ბევრს მიაჩნია, რომ ეტიკეტმა დრო მოჭამა, რომ ის ანაქრონიზმი და ჩამორჩენილობაა, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს. კულტურულ ადამიანს, რომელიც იცავს საყოველთაოდ აღიარებულ წესებს, გაცილებით უადვილდება ნებისმიერ საზოგადოებაში ყოფნა, ვიდრე იმას, ვინც შორს არის ეტიკეტის ნორმებისაგან.

ადამიანების ერთმანეთთან ურთიერთობის დროს ვლინდება მათი შინაგანი სამყარო. ადამიანის მდიდარ და ლამაზ შინაგან ცხოვრებას, როგორც წესი, შეესატყვისება ქცევის მაღალი კულტურა. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ არც თუ ხშირად გარეგნული სილამაზე, ქცევის მანერა ჰარმონიაშია, ადამიანის სულიერებასთან. ეტიკეტმა ადამიანის სულიერებისა და სილამაზის ჰარმონიულობა უნდა წარმოაჩინოს და არა რაღაც ფასადური სილამაზე, რომლის უკან ბოროტება იმალება. ეტიკეტი, ეთიკის გარეშე ფარისევლობაა.

უხსოვარი დროიდან ადამიანები იძულებულები იყვნენ დაეცვათ გარკვეული ქცევის წესები, რათა გაეიოლებინათ საკუთარი ცხოვრება. თუნდაც პირველყოფილ საზოგადოებაში საერთო ქცევის წესების უცოდინარობა გაუსაძლისს გახდიდა იმ საზოგადოების წევრთა არსებობას. თავისთავად, ნებისმიერ საზოგადოებაში ადამიანთა თანაცხოვრება მოითხოვდა გარკვეული წესების ცოდნას და დაცვას. აქედან გამომდინარე, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ეტიკეტი, როგორც ქცევის წესების კრებული, პირველყოფილ ადამიანთან ერთად გაჩნდა.

ვსაუბრობთ რა ეტიკეტზე, არ უნდა დაგვავიწყდეს ადამიანი, მისი ინდივიდუალურობა, ხასიათი, შინაგანი ცხოვრე-

ბა. ეტიკეტი არ არის დოგმატური წესების ნაკრები, რის ცოდნაც ადამიანებს ერთმანეთის მსგავსად გადააქცევს. ეტიკეტის წესები სულ სხვა მიზნებს ემსახურება. მისი ამოცანა შორს არის ადამიანის ინდივიდუალური თავისებურებების გაქრობისაგან, პირიქით, მან ხელი უნდა შეუწყოს მათ განვითარებას.

სხვადასხვა ქვეყნის ეტიკეტის შესახებ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის 2004 წელს მოსკოვში გამოცემული "ეტიკეტის ენციკლოპედია". მასში აღწერილია სხვადასხვა ქვეყნის მცხოვრებთა ქცევის წესები, წეს-ჩვეულებები და თვისებები. მკითხველს შესაძლოა არასრულად ან გადაჭარბებულად მოეჩვენოს ფრანგის, გერმანელის, ინგლისელის ან სხვათა "ეტიკეტური პორტრეტი", მაგრამ ენციკლოპედიის ავტორთა ყურადღება მახვილდება სხვადასხვა ერის საერთო სტერეოტიპზე, საერთო სახეზე და არა რომელიმე ერის წარმომადგენლების თვისებებზე ან განსხვავებაზე. მაგალითად, გერმანიის ჩრდილოეთში მცხოვრები გერმანელი განსხვავდება გერმანიის სამხრეთში მცხოვრებისაგან საუბრის მანერით, ქცევით, ტემპერამენტით და სხვა. ქვემოთ მოგვყავს ზოგიერთი მაგალითი აღნიშნული წიგნიდან.

როგორც აღვნიშნეთ, სხვადასხვა ქვეყანაში ქცევის სხვადასხვა წესები არსებობს, მაგალითად: ჰოლანდიაში მხოლოდ ახლობლები მიმართავენ ერთმანეთს "შენობით", ბავშვებიც კი მშობლებს "თქვენობით" მიმართავენ. საფრანგეთში სკოლის ბავშვებიც ერთმანეთს "თქვენობით" მიმართავენ. იაპონიაში ფეხი-ფეხზე გადადებული ჯდომა არ არის მიღებული. იმ შემთხვევაში თუ ამას აქვს ადგილი, იაპონელები თვლიან, რომ არ გაინტერესებთ მოსაუბრის აზრი. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში ქუჩაში, საზოგადოებაში ხმაურიანი ქცევა მიუღებულია, და ირგვლივ მყოფთა უპატივცემულობად ითვლება. ამ რეგიონში დაპირების შეუსრულებლობაც ცუდი ტონის მომასწავებელია, სიტყვის უკან წაღება ნეგატიურად არის შეფასებული. ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში ქალებზე ჭორაობა და აუგის თქმა დაუშვებელია. ქალს, დედას, მეუღლეს განსაკუთრებული პატივით ეპყრობიან, მიუხედავად იმისა, რომ მათ სტუმრებთან ერთად მაგიდასთან არ სვამენ.

მუსლიმანებსა და ებრაელებს არ სთავაზობენ ღორის ხორცს, მუსლიმანებს არც ალკოჰოლურ სასმელს სთავაზობენ. ბულგარელები ჩვენგან განსხვავებით თანხმობის ნიშნად თავს აქნევენ, ხოლო უარყოფის შემთხვევაში თავს გიკრავენ. ბევრ ქვეყანაში დაგვიანება მიუღებელია. 5 წუთი დაგვიანება, საკმარისია, რომ არ შეგიშვან თეატრში, სპექტაკლზე და სხვა.

ფრანგები ამაყობენ თავიანთი ეროვნული ტრადიციებით, პატივს სცემენ საკუთარ სახელმწიფოს და მის ისტორიას. ხასიათით ისინი ანგარიშიანები არიან, ხელმომჭირნეენი, სალმიანები, ოდნავ მსუბუქი ხასიათის, ბევრი ლაპარაკის მოყვარულები, ადვილად გასანაწყენებლები, ადვილად ფეოქებადნი, უყურადღებო დამოკიდებულებისადმი ავადმყოფურად განწყობილები. ზოგიერთი მათგანი მოჭარბებულად ძუნწია და სკეპტიკოსი. მათ არც თუ ძალიან უყვართ მუშაობა, მაგრამ მუშაობის დროს აუცილებლად შეაქვთ შემოქმედება და ფანტაზია სამუშაოში.

ფრანგის საუბარი ექსპრესიულია და ჟესტიკულაცია ახლავს თან. მას უყვარს კამათი. კამათის დროს დაუფარავად ემოციურია. მისი ტემპერამენტი არა მარტო ლაპარაკით გადმოიცემა, არამედ მიმიკით, ჟესტიკულაციით. მას უყვარს სხვების განსჯა, ხოლო კრიტიკას ვერ იტანს.

ფრანგები დიდ ყურადღებას აქცევენ თავაზიანობას. სახელით ისინი მხოლოდ იმ შემთხვევაში მიმართავენ, როდესაც მხარე ამის ნებას რთავს. ფრანგის მიერ ვახშამზე დაპატიჟება უდიდეს პატივად ითვლება. თვით ფრანგები, როგორც წესი წვეულებაზე 15 წუთის დაგვიანებით მიდიან და თან მიაქვთ საჩუქრები: ბოთლი შამპანური, ყვავილები, შოკოლადი. ფრანგები განსაკუთრებით აფასებენ ხელოვნების ცოდნას, ფერწერას, პოეზიას. მოსწონთ, როდესაც სტუმარმა იცის ფრანგული კულტურა.

ინგლისელთა ცხოვრების სტილი ფორმალობების დაცვაა. ისინი ყურადღებას აქცევენ დეტალებსაც. წერის დროსაც იცავენ ეპისტოლარული ჟანრის წესებს. არავის მიმართავენ სახელით, თუ ამის შესახებ მათ მეორე მხარიდან არა აქვთ თანხმობა. შოტლანდიელებს და ირლანდიელებს უწოდებენ ბრიტანელებს, მაგრამ არა ინგლისელებს. ინ-

გლისელი არასდროს მიმართავს უცნობს. ისინი არ კოცნიან ქალებს ხელზე. საჯაროდ, არც ისეთ კომპლიმენტს ამბობენ როგორიცაა – "ლამაზი კოსტუმი გაცვიათ" და სხვა. ინგლისელის მიერ წვეულებაზე მიწვევის შემთხვევაში არასდროს განაცხადოთ უარი, ამასთანავე გახსოვდეთ, რომ ინგლისელთან დაგვიანება მიზანშეწონილი არ არის. წვეულებაზე დაპატიჟებული სტუმარი სმოკინგში უნდა გამოეწყოს.

გერმანელები ცნობილები არიან შრომისმოყვარეობით, მუყაითობით, რაციონალურობით. ისინი პედანტები, სკეპტიკურები, სერიოზულები არიან, ნაკლებად ენაწყლიანები, თავშეკავებულები, წესრიგის მოყვარულები. მათთვის დამახასიათებელია თავისუფალი აზროვნება, სამოქალაქო მამაცობა. მათ თავი მოაქვთ ეროვნული ტრადიციებით, პატივს სცემენ საკუთარ ქვეყანას და მის ისტორიას. ისინი იცვამენ თავშეკავებულად. გერმანიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პუნქტუალობას. გერმანელი მიმართვის დროს ყოველთვის იყენებს ტიტულს. გაცნობის დროს მოიხსენიებენ სოციალურ მდგომარეობას. გერმანელთან საუბრისას ხელები არ უნდა გქონდეთ ჯიბეში, ვინაიდან ეს უკიდურეს უპატივცემულობად აღიქმება.

იტალიელები ტემპერამენტიანი და ამაყი ხალხია. პატივისცემით ეპყრობიან სხვას. იტალიელი პატივს სცემს იმათაც, ვინც ფულს აქეთ-იქით არ ფანტავს. აეროპორტში ყოფნის დროს არ არის მიღებული ჩემოდნის ტარება. იტალიელი ამას სხვაგვარად აფასებს და საკუთარ დასკვნას აკეთებს საზოგადოებაში თქვენი მდგომარეობის შესახებ. თავმოყვარე იტალიელი ცდილობს, თვითონ არ გააჩეროს ტაქსი. ის ამის შესახებ თხოვს სასტუმროს პორტიეს ან თუ ქუჩაშია შედის კაფეში და მის მუშაკს სთხოვს ამას. ტაქსში ისინი უკანა ადგილს იკავებენ. იტალიაში მიღებული არ არის მძღოლის გვერდით ჯდომა. იტალიელ მამაკაცებს უყვართ ქალის ხელზე კოცნა. ნაცნობებს უპირველესად ჰკითხავენ ბავშვების ჯანმრთელობის შესახებ, შემდეგ კი მოსაუბრის.

ამერიკელები აფასებენ შრომისმოყვარეობას, მომჭირნეობას, საღ აზროვნებას, პრაგმატიზმს. ამერიკელები აფასე-

ბენ ინდივიდუალურ თავისუფლებას. მათ მოსწონთ ხელშეუხებლობა. ისინი დაბეჯითებით იცავენ საკუთარ უფლებებს სასამართლოში და არავის დააჩაგვრინებენ თავს.

იაპონიაში სასურველია ზედმიწევნით თავაზიანი მოქცევა. გახსოვდეთ, რომ მათთან ურთიერთობის დროს გაცხარებას არ უნდა ჰქონდეს ადგილი. იაპონელის სახლში შესვლის დროს ფეხზე უნდა გაიხადოთ. ხელის ჩამორთმევის ნაცვლად იაპონელები თავს გიკრავენ. იაპონელები დიდ ყურადღებას აქცევენ ცერემონიალს. გაცნობის დროს ისინი სრულად ამბობენ თავის სახელსა და გვარს, შემდეგ გაწვდიან სავიზიტო ბარათს, და ამასვე ითხოვენ თქვენგან. სავიზიტო ბარათით ხდება სოციალური მდგომარეობის დადგენა. სწორედ ამის შემდეგ იაპონელი განსაზღვრავს ურთიერთობის წესს. იაპონიაში სავიზიტო ბარათს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. შეიძლება ითქვას, რომ ის არის მეორე „მე". ამდენად, სავიზიტო ბარათი შეულანძღავი უნდა იყოს. დაჭმუჭნული ან დალაქავებული სავიზიტო ბარათი იაპონელს ცუდ შთაბეჭდილებას შეუქმნის თქვენზე. იაპონიაში მუშაობის შემთხვევაში სავიზიტო ბარათის ტექსტი ორენოვანი უნდა იყოს – ერთ მხარეს იაპონური, მეორეზე ინგლისური. იმ შემთხვევაში, თუ მოსაუბრეთა შორის სოციალურ მდგომარეობაში განსხვავებაა, დაბალი თანამდებობის იაპონელი ორი ხელით ართმევს- სავიზიტო ბარათს, ხოლო მაღალი ერთი ხელით. სავიზიტო ბარათს ყურადღებით კითხულობენ, ზერელე თვალის გადავლება უპატივცემულობის ნიშანია. იაპონელი შესაძლოა შეურაცხყოფილი დარჩეს, თუ გამოწვდილ ბარათს არ შეაგებებთ თქვენს ბარათს. მაღალი თანამდებობის იაპონელს საჩუქარს ორი ხელით გადასცემენ, რაც მისადმი დიდი პატივისცემის გამომხატველია.

მუსლიმანურ ქვეყნებში მისალმებისას მიღებულია ხელის ჩამორთმევა. სტუმრად მისვლის დროს კი მიღებულია ორივე ლოყაზე კოცნა. ეს ეროვნული ტრადიციაა. ჩვეულებრივი საუბრის დროს არ ეხებიან პოლიტიკასა და რელიგიას.

სამხრეთ კორეაში დიდ ყურადღებას აქცევენ ეტიკეტს. აქ წარმატებით მოქმედებს საყოველთაოდ მიღებული ქცე-

ვის წესები. თანამდებობის პირი, როგორც ქალი, ისე მამაკაცი, კოსტუმს ატარებს. კორეელი არ ეწევა ასაკით უფროსთან, ან თანამდებობით მაღლა მდგომთან.

"ჩაისათვის" თანხის შესახებ

უცხოეთში მიღებულია ოფიციანტის, პორტიესა და მომსახურე პერსონალის მომსახურებისათვის ფულის მიცემა. ბევრ ქვეყანაში ეს აუცილებელიც არის. ევროპაში, ამერიკასა და კანადაში ე.წ. "ჩაისათვის" მისაცემი თანხის რაოდენობა განსაზღვრულია, მაგალითად ტაქსის მძღოლებისათვის მგზავრობის ღირებულების 5-10%.

ზოგ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, ტაქსის მძღოლებს ზედმეტი თანხით არ აჯილდოვებენ, ვინაიდან ტაქსები უმეტეს შემთხვევაში მძღოლის საკუთრებაა. თითქმის ყველა ქვეყანაში, სასტუმროში ჩემოდნის წაღებისათვის 1 დოლარს იხდიან. ოფიციანტს უხდიან საერთო ანგარიშის 5-10%. "ჩაის" თანხა გადაიხდება რესტორანში, კაფეში, ბარში. ოფიციანტს თეფშზე დადებული ან სპეციალურ ტყავის ყდიან ჩასადებში მოაქვს ანგარიში. იმ შემთხვევაში, თუ ანგარიშის ბოლოს არის აღნიშნული სიტყვა „tip" (ინგლისურენოვან ქვეყნებში) ან "სერვისე compris~ (ფრანგულენოვან ქვეყნებში) ეს იმის მიმანიშნებელია, რომ "ჩაის" თანხა შედის ანგარიშში. დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში, ჰოლანდიაში, საბერძნეთში, იაპონიაში და დანიაში "ჩაისათვის" გადასახდელი შედის საერთო ანგარიშში. სხვა ქვეყნებში პროცედურა ასეთია: თქვენ იხდით მთლიან გადასახადს და "ჩაისთვის" უმატებთ 5-10%. თუ ოფიციანტმა ხურდა უნდა დაგიბრუნოთ, თქვენ დაბრუნებული თანხიდან აძლევთ მას "ჩაისათვის" განკუთვნილ თანხას. ცუდი მომსახურების შემთხვევაში ოფიციანტს მაინც აძლევთ "ჩაის" თანხას, მაგრამ ნაკლებს.

ბევრ ქვეყანაში რელიგია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადამიანების ქცევაზე და საზოგადო ცხოვრებაზე.

ყველასათვის ცნობილია, რომ ქრისტიანობა სამი ძირითადი მიმართულებისაგან შედგება: მართლმადიდებლობის, კათოლიციზმის და პროტესტანტიზმისაგან. წირვა-ლოცვა მართლმადიდებლურ ეკლესიაში ფეხზე დგომით მიმდინარეობს. განსაკუთრებულ შემთხვევაში ადგილი აქვს დაჩოქებას. წირვის დროს გალობს მღვდელი, დიაკვანი, გუნდი და მორწმუნენი. პირჯვრის გადასახვა ხდება მარჯვენა ხელით მარჯვნიდან მარცხნივ. ნათლობის დროს პატარებს სამჯერ განბანენ წყალში, მოზრდილს წყალს ავლებენ.

კათოლიციზმი არ მოითხოვს წირვის დროს ფეხზე დგომას. ფეხზე დგებიან მხოლოდ მაშინ, როდესაც გალობით სრულდება ლოცვა. გალობა ორღანის თანხლებით მიმდინარეობს. რელიგიური დღესასწაულების დროს, რომლებსაც ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებიან, საყდარში ადგილებს განსაზღვრავს სამღვდელოების წარმომადგენლები. თანამდებობის პირებს სვამენ მთავარი გასასვლელიდან მარცხნივ. უცხოელ სტუმრებსაც მარცხნივ მიუჩენენ ადგილს. რაც შეეხება დიპლომატებს, მისიის ხელმძღვანელებს და კონსულებს, გასასვლელიდან მარჯვნივ.

პროტესტანტიზმს რამდენიმე მიმართულება აქვს – ლუთერანიზმი ანუ ევანგელისტური ეკლესია, რომელიც გავრცელებულია გერმანიაში, შვეიცარიაში, დანიაში, ნორვეგიაში, ფინეთში, აშშ-ში და ა.შ.; ანგლიკანური, რომელიც გავრცელებულია ინგლისში, შოტლანდიაში, აშშ-ში, ინდოეთში, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, პაკისტანში, კანადასა და ავსტრალიაში; კალვინისტური, რომელიც გავრცელებულია საფრანგეთში, ნიდერლანდებში, უნგრეთში, ჩეხეთში, ინგლისში, შოტლანდიაში, აშშ-ში, კანადაში, ავსტრალიაში; ბაპტიზმი – აშშ-ში, ბალტიისპირეთში, უკრაინაში; გარდა ამისა, პროტესტანტიზმის წიაღში წარმოიშვა მრავალი სექტა, რომლებიც აშშ-შია გავრცელებული, მაგალითად, ადვენტიზმი და ორმოცდაათიანელობა.

ისლამი ქრისტიანობის შემდეგ ყველაზე გავრცელებული რელიგიაა. საზოგადო და პირადი ცხოვრება მუსლიმანურ სამყაროში შარიათით რეგულირდება, რომელიც ყურანს ეფუძნება. შარიათი ორი საუკუნის განმავლობაში ყალიბდებოდა. შარიათი შეიცავს 5 კატეგორიას: 1) მოქმედება, რომლის შესრულება აუცილებელია; 2) სასურველი მოქმედება; 3) ნებაყოფლობითი მოქმედება; 4) არასასურველი მოქმედება; 5) მოქმედების მკაცრად აკრძალული სახეობები. ყველა მუსლიმანი ვალდებულია დღეში ხუთჯერ შეასრულოს ნამაზი – ხუთჯერადი ლოცვა – პირველი გამთენიისას სრულდება, აისიდან დაწყებული მზის ამოსვლამდე, მეორე – დღის პირველ ნახევარში, მესამე – დღის მეორე ნახევარში, მზის ჩასვლამდე, მეოთხე – მზის ჩასვლის პერიოდში, მეხუთე დაღამებამდე. ლოცვის თითოეული რიტუალი დაწვრილებით არის ჩამოწერილი – წელში მოხრიდან დაწყებული, შუბლით, იატაკზე შეხებით დამთავრებული. ლოცვის წინ, მუსლიმანი ასრულებს განწმენდის რიტუალს.

პარასკევი მუსლიმანისთვის კოლექტიური ლოცვის დღეა, რომელსაც ის მეჩეთში ატარებს. პარასკევი მუსლიმანთათვის დასვენების დღეა. პარასკევობით საზეიმო წირვას აქვს ადგილი. მუსლიმანის ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია რამადანის დროს მარხვას. ამ პერიოდში მორწმუნე მუსლიმანი აისიდან დაწყებული დაბნელებამდე არ სვამს, არ ჭამს, არ ეწევა. მარხვისგან გათავისუფლებული არიან ავადმყოფები, მოხუცები, ორსული ქალები და ქალები, რომლებსაც ჰყავთ ჩვილი შვილი.

მუსლიმანური კალენდრის მეთორმეტე თვეს ნამდვილი მუსლიმანი მიმართავს აუცილებელ რიტუალს, საუდის არაბეთში გამგზავრებას – ხაჯის შესასრულებლად. ამ დროს მუსლიმანები მოინახულებენ მექას, კაბის მთავარ საყდარს, მედინაში ქედს იხრიან მუჰამედის საფლავთან, ხიჯაზის სხვა წმინდა ადგილების წინაშე. ამ რიტუალის შესრულება არ არის აუცილებელი, ის ნებაყოფლობითია.

მოკლედ ბიზნეს-ურთიერთობებთან დაკავშირებით

თანამედროვე ცხოვრებაში საქმიან ანუ ბიზნეს-კავშირებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ბიზნეს-ურთიერთობებს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დიპლომატიაშიც. ნებისმიერი ქვეყნის ფირმის შემდგომი განვითარებისათვის საჭიროა საერთაშორისო სარბიელზე გასვლა, საქმიანი კონტაქტების დამყარება უცხოელ პარტნიორებთან. საქმიანი შეხვედრის ორგანიზებაში დიდი წვლილი შეაქვს დიპლომატიურ მისიას, რომელიც საკუთარი ქვეყნის ბიზნესმენს, ფირმას, ორგანიზაციას აწვდის შესაბამის ინფორმაციას მომავალ პარტნიორებთან დაკავშირებით, გარდა ამისა, თვით ფირმაც უნდა ასრულებდეს წინასწარ მოსამზადებელ სამუშაოებს, რაც აუცილებელია პარტნიორთან შეხვედრისათვის. საზღვარგარეთ გამგზავრებამდე აუცილებელია უცხოელი ბიზნესმენის ქცევის გარკვეული წესის ცოდნა. ის, რაც მრავალი ქვეყნის ბიზნესმენს აერთიანებს, არის პუნქტუალობა. რა ეროვნებისაც არ უნდა იყოს პარტნიორი, არავის მოეწონება საქმიან შეხვედრაზე დაგვიანება. უმჯობესია შეხვედრაზე 5-10 წუთით ადრე მისვლა, ვიდრე დაგვიანება.

აშშ-ში საქმიან ეტიკეტს დიდ ყურადღებას აქცევენ. რაც შეეხება ტრადიციებს, ამერიკელებისათვის ჩვეულია მათი უგულებელყოფა. ურთიერთობის დროს ისინი თავისუფალ დამოკიდებულებას ემხრობიან, თუმცა წვრილმანსაც დიდ ყურადღებას აქცევენ. ამერიკულ საქმიან წრეებში ადგილის დამკვიდრებისათვის აუცილებელია გარკვეული წესების ცოდნა, საქმიანი საუბრის წარმართვის წესების დაცვა, ამერიკული ბიზნესის ნიუანსების გაგება. ამერიკელი ბიზნესმენები დარწმუნებული არიან, რომ კარგად ერკვევიან ნებისმიერი ქვეყნის ბიზნესში. მოლაპარაკებათა დროს ისინი პარტნიორისგან მოითხოვენ ბიზნესის ამერიკულად წარმართვას. ამერიკელი ბოლომდე გულახდილი არ იქნება. მათ არ უყვართ საკუთარი ინფორმაციის სხვისთვის განდობა. საქმიანი წერილის შედგენის ან მოლაპარაკების დროს საჭიროა იმ ორგანიზაციის ან იურიდიული პირის დასახელება, რომელმაც გაგიწიათ რეკომენდაცია მათთან.

როგორც წესი, ამერიკელი ბიზნესმენები კარგად არიან ინ-ფორმირებული და ერკვევიან იმ საკითხებში, რომლებიც მოლაპარაკებას ეხება. ამერიკელები გამოირჩევიან დამოუ-კიდებლობით, საკუთარ თავზე დაყრდნობით, ამიტომაც ისი-ნი სწრაფად და იოლად იღებენ გადაწყვეტილებებს.

იმისათვის, რომ ამერიკელმა ითანამშრომლოს თქვენს ფირმასთან აუცილებელია მას მიაწოდოთ სრული ინფორმა-ცია თქვენი ფირმის შესახებ, ჩამოაყალიბოთ ყველა არგუ-მენტი, რომელიც ორივე მხარეს მოუტანს სარგებელს. თუ ისინი ვერ მიიღებენ მსგავს ცნობებს, მოსალოდნელია, რომ მოლაპარაკება არ გაიმართოს. მიზეზი, არაპროდუქტულობა იქნება. მოლაპარაკებათა დროს ან დასაწყისში, მხედველო-ბაში უნდა გქონდეთ ამერიკული მხარის მიზნები. თქვენი ამერიკელი კოლეგები ძალიან დაინტერესდებიან თუ არ და-ზოგავთ საკუთარ ძალებს მათი მიზნების შესრულებისათ-ვის. გახსოვდეთ, რომ თქვენი წინადადებები უნდა იყოს მკა-ფიო და რეალური. აბსტრაქტული წინადადებების შემთხვე-ვაში ამერიკელები უარს იტყვიან ნებისმიერ პროექტზე.

გახსოვდეთ, რომ კონტრაქტის გაფორმების დროს ამე-რიკელები ავლენენ მიზანმიმართულობასა და აგრესიულო-ბასაც. მათთვის ჩვეულებრივია თავდაჯერება და იმის გან-ცდა, რომ მათი პოზიცია უფრო მტკიცეა. ამერიკელი პარ-ტნიორის შერჩევამდე უმჯობესი იქნება 10-15 ამერიკული ფირმის შესახებ ინფორმაციის მოპოვება, ღრმად გაანალი-ზება და მხოლოდ ამის შემდეგ, რომელიმე ფირმასთან კავ-შირის დამყარება.

დიდ ბრიტანეთში ფირმის ხელმძღვანელსა და თანამ-შრომელს შორის არსებობს გარკვეული დისტანცია, რომე-ლიც არასდროს იშლება. ინგლისელები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ჩაცმულობას, ჰალსტუხს. ჰალსტუხის მიხედვით მათ შეუძლიათ განსაზღვრონ სოციალური მდგომარეობა და პარტნიორის წარმატებულობა.

ინგლისის საქმიანი წრეების ტანსაცმელი მკაცრია. ქა-ლები ატარებენ კაბას ან კოსტიუმს. მამაკაცები კოსტიუმსა და ჰალსტუხს. ხელთათმანები ტანსაცმლის განუყოფელი ატრიბუტია, როგორც ქალის, ისე კაცისათვის. ინგლისის ბიზნესწრეებში გარკვეული რიტუალი არსებობს, რაც უკავ-

შირდება კასტურობას. ახალგაზრდები, რომლებიც ბიზნესში მიდიან, ხშირად იმ ოჯახიდან არიან, რომელიც დიდი ხანია ბიზნესშია. მსოფლიო ბიზნეს-სამყაროში ინგლისური ბიზნესი ყველაზე კვალიფიცირებულად ითვლება.

ინგლისელი ბიზნესმენი ერუდირებული ადამიანია. მისი ინტერესთა წრე საკმაოდ ფართოა: სპორტი, ლიტერატურა, ხელოვნება. ის კარგი ფსიქოლოგიც არის. სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ, ინგლისელთან საქმეზე საუბარი ცუდი ტონის ამსახველია. ინგლისელისათვის სამსახურზე საუბარი სამუშაოს დამთავრებისთანავე თავდება. საქმეზე საუბარი არც საქმიან ვახშამზეც მიმდინარეობს.

ინგლისში საქმეთა დიდი ნაწილი ჩაის სმის დროს წყდება, რასაც შუადღის შემდეგ აქვს ადგილი. ჩაის, ჯერ სტუმარს სთავაზობენ. ინგლისელები დიდ ყურადღებას აქცევენ და აანალიზებენ ბაზარზე არსებულ მდგომარეობას. ისინი ადგენენ მოკლეევადიან და გრძელვადიან გეგმებს. ისინი ისეთ კონტრაქტს დაუჭერენ მხარს, რომელიც უახლოეს მომავალში მოიტანს მოგებას. მოლაპარაკება პირდაპირ საქმეზე საუბრით არ იწყება. დასაწყისში საუბარია ამინდზე, სპორტზე და სხვა. სუფრასთან ყოფნის დროს საქმეზე საუბარი იწყება მხოლოდ სადილის შეკვეთის შემდეგ. სუფრაზე მიღებული არ არის ცალკე საუბარი, ყველანი უსმენენ იმას, ვინც ლაპარაკობს. ლაპარაკი იმ ტონალობაში მიმდინარეობს, რომ ყველასთვის იოლი იყოს მოსმენა.

ინგლისელ ბიზნესმენს ჩუქნიან კალენდარს, ბლოკნოტს, სანთებელას, კარგი ფირმის კალმისტარს, შობაზე – ალკოჰოლურ სასმელებს. სხვა საჩუქრები პარტნიორზე ზეწოლაში ჩაითვლება და გააუარესებს ნდობის ხარისხს.

ფრანგ ბიზნესმენებთან ურთიერთობის დროს უნდა გახსოვდეთ, რომ მათ უყვართ იუმორი და აფასებენ, ვისაც ეს გრძნობა კარგად აქვს განვითარებული. ფრანგებს უყვართ ხუმრობა. აქ მიუღებელია პირდაპირი განცხადება, რომ თანახმა არ ხართ. წარმატების მიღწევისათვის საჭიროა მთელი თქვენი მომხიბვლელობის ამოქმედება, დიპლომატიური ცოდნის გამოყენება.

გაცნობის წინ უნდა გადასცეთ თქვენი სავიზიტო ბარათი. საფრანგეთში დიდ ყურადღებას აქცევენ განათლებას.

ამდენად, უმჯობესია თუ ბარათზე აღნიშნული იქნება, რომელი სასწავლებელი დაამთავრეთ. იმ შემთხვევაში, თუ ფრანგული მხრიდან მოლაპარაკებაში რამდენიმე ადამიანი იღებს მონაწილეობას, სავიზიტო ბარათი გადაეცემა მთავარ პარტნიორს. ფრანგები ყურადღებას აქცევენ საქმიან გამომეტყველებას, სოლიდურობას, ჩაცმულობას. მათ არ მოსწონთ სინთეტიკური ნაჭრისგან დამზადებული ტანსაცმელი. ამდენად, თქვენი ტანსაცმელი ნატურალური ნაჭრისგან უნდა იყოს შეკერილი. საქმიანი საუბარი შეიძლება გაიმართოს სადილის სუფრაზე. ასეთ ვითარებაშიც შეიძლება მრავალი სერიოზული საკითხის გადაჭრაც. მხოლოდ ერთი უნდა გახსოვდეთ, რომ საქმეზე საუბარი მაშინ უნდა დაიწყოთ, როდესაც ყავას მოგართმევენ. საუბარი შორიდან უნდა დაიწყოთ. ფრანგებს უყვართ სხვადასხვა თემებზე საუბარი, ვიდრე გადავიდოდნენ მთავარ თემაზე.

გერმანიაში არ უყვართ ბიზნესში რაიმე სიურპრიზი ან მოულოდნელობა. იქ ყველაფერი წინასწარ იგეგმება. ამიტომაც უმჯობესია შეხვედრების გეგმის წინასწარ მომზადება. გერმანიაში საქმიანი კავშირები ერთობ თავშეკავებულია. ბიზნესმენის გეგმები წინასწარ არის ჩამოწერილი საათებსა და წუთებში. ამდენად, წინასწარი შეთანხმების გარეშე ნუ შეეცდებით მასთან შეხვედრას. ისიც გახსოვდეთ, რომ არც ერთ ფირმასა და კომპანიაში მარტო ხელმძღვანელი არ მიგიღებთ. მასთან ერთად აუცილებლად იქნებიან მისი კოლეგებიც. პროტოკოლის უხეშ დარღვევად ითვლება გერმანელ ბიზნესმენთან პიჯაკის გარეშე მისვლა. ამან შეიძლება ცუდი გავლენა იქონიოს თქვენს სამომავლო ურთიერთობებზე. გერმანიაში არცთუ იოლი საქმეა პირადი კავშირების დამყარება, ვინაიდან გერმანელი ბიზნესმენები პრაქტიკულები არიან, ამასთანავე ჩაკეტილები თავიანთ თავში და არ უყვართ ეინმეს დაპატიჟება, მაგრამ არის ერთი გამოსავალი — ჩოგბურთი ან გოლფი. თუ თქვენი მომავალი პარტნიორი გატაცებულია სპორტის ამ სახეობით, შეგიძლიათ მას შეხვდეთ სპორტულ მოედანზე. ისიც უნდა გახსოვდეთ, რომ გერმანელს უყვარს, როდესაც მას ტიტულით მიმართავენ. საქმიანი ურთიერთობის დროს მიღებული არ არის საჩუქრების მირთმევა. გერმანელის ცხოვრება და ხარჯები მკაც-

რად არის რეგლამენტირებული. რესტორანში ან კაფეში ყოფნის დროს საჭირო არ არის "ჩაისათვის" ფულის დატოვება, ვინაიდან ეს გათვალისწინებულია საერთო ანგარიშში.

საქმიანი ურთიერთობის დროს გერმანელები უაღრესად ოფიციალურები არიან. ამავდროულად თავშეკავებულები. ისინი მკაცრად იცავენ ეტიკეტს. საქმიანი ურთიერთობის დროს, ნებისმიერი სახის აჩქარება მათში იწვევს გაღიზიანებას. არ ღირს გერმანელისათვის საქმის სწრაფად გაკეთების წინადადებით მიმართვა. ამან მათში უარყოფითი რეაქცია შეიძლება გამოიწვიოს. გარდა ამისა, ისინი ჩათვლიან, რომ თქვენ ყოველგვარი გეგმის გარეშე მოქმედებთ. გერმანელები საკუთარი შვებულების გეგმასაც ნახევარი ან ერთი წლით ადრე გეგმავენ. საქმიანი საუბარი უმეტესად სადილობის დროს იმართება.

იტალიელი ბიზნესმენები გამოირჩევიან განსაკუთრებული თავშეკავებულობით. ამ ქვეყნის საქმიანი წრეები ერთობ კონსერვატიულია. ასეთივეა მათი ჩაცმის მანერა. მათთან ვიზიტის დროს, უპირველეს ყოვლისა უნდა წარმოთქვათ თქვენი გვარი, შემდეგ გაუწოდოთ ხელი ჩამოსართმევად. იმ შემთხვევაში, თუ მომლაპარაკებლებს შორის ქალიც არის, მასაც უნდა გაუწოდოთ ხელი. საქმიან ვითარებაში ხელზე კოცნა არ არის მიღებული. იტალიელ ბიზნესმენებს, სტუმრის გართობის მიზნით, მიზანშეწონილად მიაჩნიათ მისი რესტორანში დაპატიჟება. შუადღეს საქმიანობა კარგა ხნით წყდება. სამუშაო საათები საღამოს 7 საათზე მთავრდება.

ესპანეთშიც საქმიანი საუბარი სადილობის დროს მიმდინარეობს. საუბარს იწყებს ის, ვინც არის შეხვედრის ინიციატორი. ირლანდიაში უმალ "არას" თქმა მიუღებელია. ირლანდიელები გამოირჩევიან იუმორის გრძნობით. ისინი გაცილებით გახსნილები არიან, ვიდრე მეზობელი ინგლისელები. ისიც უნდა გახსოვდეთ, რომ ირლანდიელები არ გამოირჩევიან დანაპირების სრული შესრულებით. ისინი ნაკლებად პუნქტუალურები არიან და შეუძლიათ საქმიან შეხვედრაზე დაგვიანებაც. ირლანდიაში საქმიანი შეხვედრა იმართება ბარშიც.

პორტუგალიაში დიდ ყურადღებას აქცევენ სტუმრის ტანსაცმელსა და მანერებს, გარეგნულ იერსახეს. პორტუგალიელ ბიზნესმენთან მიმართვის დროს უმჯობესია გამოიყენოთ სიტყვა "დოქტორ", რაც მათ მიმართ პატივისცემის ამსახველია. კლიმატური პირობებიდან გამომდინარე (სიცხე) საქმიანი შეხვდრები საღამოს საათებში იგეგმება.

ჰოლანდიაში მიღებული არ არის საკუთარი სიმდიდრის ან ფირმის პრესტიჟულობის დემონსტრირება. ეტიკეტით აქ დაშვებულია ჰოლანდიურ ფირმაში პიჯაკის გარეშე მისვლა. ამით თქვენ არ გამოხატავთ ფირმის ხელმძღვანელის მიმართ უპატივცემულობას. ჰოლანდიელებს შეუძლიათ ხანგრძლივი მოლაპარაკების წარმოება, ვინაიდან მათი მიზანია ხელშეკრულების დადება.

საბერძნეთის ბიზნეს-წრეებში პოლიტიკაზე არ საუბრობენ. ბერძენ ბიზნესმენებთან მიმოწერის დროს თავი უნდა აარიდოთ გრძელ წერილებს. ბერძნულ ფირმებთან ხელშეკრულების დადების დროს, ტექსტი უნდა იყოს მოკლე და კონკრეტული.

დანიაში ფირმის ხელმძღვანელობასა და თანამშრომლებს შორის ურთიერთობა ერთობ დემოკრატიულია. იშვიათობას არ წარმოადგენს, როდესაც ხელმძღვანელები და თანამშრომლები ერთად სადილობენ. დანიელ ბიზნესმენებს უყვართ არაფორმალური ურთიერთობა.

ფინელი ბიზნესმენები გამოირჩევიან პედანტურობით, პატიოსნებით, პუნქტუალურობით, მათი ნდობის ხარისხი მაღალია. ფინელები საქმიან მოლაპარაკებას აწარმოებენ რესტორანში და საუნაში.

შვეიცარიაში, მიუხედავად იმისა, რომ თანამშრომლები ერთმანეთს "შენობით" მიმართავენ და გაცილებით გახსნილები არიან, ვიდრე სხვები, არ გაქვთ იმის უფლება, რომ თქვენც ასე მოიქცეთ. ერთადეროი, რის დაშვება შეგიძლიათ არის ის, რომ ფირმაში პიჯაკის გარეშე მიხვიდეთ.

ბელგიაში დიდ ყურადღებას აქცევენ გარეგნობას, ავტომანქანის მარკას. იმ შემთხვევაში, თუ ბელგიელი ბიზნესმენი გესტუმრათ ოფისში, ის აუცილებლად მიაქცევს ყურადღებას, თუ სად და რა პირობებშია განთავსებული

ოქვენი ოფისი. აქედან გამომდინარე, ის გააკეთებს სათანადო დასკვნებს.

ჩინეთში ყურადღებას აქცევენ არაფორმალურ ურთიერთობებს. დიალოგის დაწყების წინ ჩინელი კოლეგა მოიკითხავს თქვენს ჯანმრთელობას, გკითხავთ ოჯახის შესახებ, მოლაპარაკების შემდეგ დაგპატიჟებთ რესტორანში. ჩინეთში გამგზავრებამდე 3-4 კვირით ადრე თქვენს პარტნიორებს უნდა გაუგზავნოთ წერილი, რომელშიც დეტალურად უნდა აღწეროთ თქვენი მიზნები და ბიზნეს-გეგმა. ჩინელები სერიოზულად უდგებიან საქმიან შეხვედრებს და სამომავლო გეგმებს. აქედან გამომდინარე, თქვენს ჩასვლამდე, ისინი კარგად მოემზადებიან შეხვედრისათვის. მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას ჩინელები ერთობლივად იღებენ კენჭისყრით. სავიზიტო ბარათი უმჯობესია ჩინურ ენაზეც დაბეჭდოთ. მისალმების დროს ხელს თანამდებობით უფროსს ართმევენ.

ტანსაცმელთან დამოკიდებულებაში ჩინელები დემოკრატიულები არიან, მაგრამ ოფიციალური მიღების დროს მათ აცვიათ კოსტიუმი და უკეთიათ ჰალსტუხი. რაც შეეხება სუვენირებს, მათი გადაცემა შეიძლება ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ. ჩინეთში არ არის მიღებული პირადი საჩუქარი. ამდენად, საჩუქარი უნდა შეარჩიოთ მთელი ორგანიზაციისათვის. საქმიანი საუბრის დროს ჩინელები პირველები ამბობენ თავიანთ მოსაზრებას ხელშეკრულების დადების თაობაზე.

იაპონიაში არასამუშაო საათებშიც ჩვეულებრივად ითვლება საქმეზე საუბარი. იაპონელ ბიზნესმენებს არ უყვართ საკუთარ ბიზნესზე ტელეფონში საუბარი ან მიმოწერა. ყველა საქმეს ისინი წყვეტენ შუამავლის მეშვეობით. შუამავალს ორივე მხარე კარგად უნდა იცნობდეს. თუ შუამავალი კარგად წარმართავს საქმეს, მასაც ეძლევა გარკვეული თანხა. იაპონელები დიდ ყურადღებას აქცევენ სოციალურ მდგომარეობას. მათი აზრით მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ურთიერთობა, თუ მხარეებს თანაბარი სოციალური მდგომარეობა აქვთ. აქედან გამომდინარე, იაპონელი მეწარმე საქმეს არ დაიკავებს იმასთან, ვინც მასზე დაბალ საფეხურზეა. წინააღმდეგ შემთხვევაში ის დაკარგავს პატი-

ვისცემას საკუთარ პარტნიორებში. საქმიანი შეხვედრის წინ უმჯობესია დაადგინოთ, მოლაპარაკებაში ვინ მიიღებს მონაწილეობას და აქედან გამომდინარე, მოსალაპარაკებლად შესაბამისი თანამდებობის პირი მიავლინოთ.

იაპონელები დაინტერესებას გამოხატავენ მომავალი პარტნიორის თანამდებობით, რამდენად წარმატებული ბიზნესი აქვს მის ფირმას. თუ თქვენ მაღალი თანამდებობა გიკავიათ და მონაწილეობას იღებთ იმ მოლაპარაკებაში, რომელშიც დაბალი თანამდებობის პირები იღებენ მონაწილეობას, ეს გამოიწვევს მათში ეჭვს, რომ თქვენს ფირმაში ყველაფერი კარგად არ მიდის. იაპონელები პუნქტუალურები არიან და იცავენ პროტოკოლით გათვალისწინებულ ყველა მოთხოვნას. იაპონელთან შეხვედრაზე არ უნდა დააგვიანოთ, ვინაიდან ეს ჩაითვლება უპატივცემულობად. იმ შემთხვევაში თუ თქვენ აგვიანებთ შეხვედრაზე მისვლას, აუცილებლად უნდა შეატყობინოთ მასპინძლებს ამის შესახებ. თვით იაპონელები საქმიან შეხვედრაზე ორი წუთით ადრე მიდიან. მოლაპარაკების დროს თუ თქვენი იაპონელი პარტნიორი თავს გიქნევთ, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ის გეთანხმებათ. ეს უესტი ნიშნავს იმას, რომ მან გაიგო თქვენი ნათქვამი. მოლაპარაკების დროს იაპონელები გულისყურით უსმენენ მოსაუბრეს. ისინი არასოდეს აწყვეტინებენ საუბარს და არც შემჩნევას იძლევიან.

კორეაში ბიზნესმენები მეტად სტუმართმოყვარენი არიან და თავიანთ სტუმრებს უწყობენ უაღრესად თბილ მიღებას. მათთან მიმართვის დროს აუცილებელია პარტნიორის თანამდებობის ან გვარის დასახელება. აქაც ისე, როგორც იაპონიაში, ბიზნესთან დაკავშირება ხდება შუამავლის მეშვეობით. შეხვედრის დროს აუცილებელია სავიზიტო ბარათის გადაცემა. კორეაში სავიზიტო ბარათზე, როგორც წესი, ჯერ გვარი იწერება, შემდეგ სახელი, მაგრამ იშვიათ შემთხვევაში შებრუნებითაც ხდება. გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, შეგიძლიათ შეეკითხოთ ამის შესახებ თქვენს პარტნიორებს.

მუსლიმანურ ქვეყნებში მოსამსახურეები დღის განმავლობაში რამდენჯერმე წყვეტენ მუშაობას, რათა შეასრულონ ლოცვა (ნამაზი). თქვენთვის, თუ მუსლიმანი არ ხართ,

სულაც არ არის საჭირო ლოცვა, მაგრამ პატივისცემით უნდა განეწყოთ იმ ქვეყნის წეს-ჩვეულებებისადმი, სადაც იმყოფებით და არ უნდა დაუნიშნოთ თქვენს პარტნიორს შეხვედრა იმ დროს, როდესაც არის ლოცვა. თუ თქვენი ვიზიტი დაემთხვა წმინდა დღესასწაულს, რამადანს, რომელიც არის ისლამური კალენდრის მიხედვით მეცხრე თვეს, პროგრამის შედგენის დროს უნდა გაითვალისწინოთ, რომ ამ დროს მუშაობა წყდება შუადღეს. მუსლიმანების დასვენების დღეებია – ხუთშაბათი და პარასკევი. საქმიან შეხვედრაზე დროზე უნდა მიხვიდეთ. თქვენ მუსლიმან პარტნიორს კი უფლება აქვს ოდნავ დაგვიანებით მოვიდეს.

თურქეთში ძალიან უყვართ საჩუქრების მირთმევაც და მიღებაც. საჩუქრების გადაცემა საქმიანი შეხვედრის დასაწყისში ხდება. საქმიანი საუბრის დაწყებამდე თურქი მასპინძელი საერთო თემებზე ესაუბრება სტუმარს ჩაითა და ტკბილი ნამცხვრებით (სოხბეტი) გამასპინძლებით. შემდეგ ხდება ძირითად თემაზე გადასვლა. თუ საუბარი წარმატებით დამთავრდა, სოხბეტი სადილში გადადის.

მიმართვის ფორმა

დიპლომატიურ პროტოკოლში ნათლად არის ჩამოყალიბებული ყველა მიმართვა, რასაც შეიძლება ჰქონდეს ადგილი – სახელმწიფოს მეთაურის, მინისტრების, ელჩების შემთხვევაში. ასეთ დროს არ სახელდება პირის სახელი ან გვარი, მაგალითად, თქვენო უდიდებულესობავ (Your Majesty), თქვენო სამეფო უმაღლესობავ (Your Highness), თქვენო უმაღლესობავ (Your Highness), საგანგებო და სრულუფლებიან ელჩებს მიმართავენ - თქვენო აღმატებულებავ (Your Excellency), კათოლიკე კარდინალს ან პაპის ნუნციოს - თქვენო უწმინდესობავ.

ჩვეულებრივი მიმართვის დროს, სახელისა და გვარის წინ სახელდება, წოდება ან თანამდებობა: გენერალი ჯონსი, პროფესორი გამყრელიძე და სხვა. ზოგ შემთხვევაში მიღებულია სახელისა და გვარის გარეშე მიმართვაც. მაგალითად: ბატონო მერო. ინგლისსა და საფრანგეთში გავრცელე-

ბულია მიმართვა მისტერ და მესიე. პრემიერ-მინისტრსაც შეიძლება მიმართოთ: მისტერ ბრაუნ. პროტოკოლის მიხედვით პრეზიდენტსა და მის მეუღლეს ასე მიმართავენ: ბატონო პრეზიდენტო და ქალბატონო (გვარი). იმ შემთხვევაში, როდესაც წვეულებაზე მარტო პრეზიდენტის მეუღლე ესწრება მას უბრალოდ მიმართავენ – ქალბატონო.

არისტოკრატიულ წრეებში მიღებულია მიმართვის დროს ტიტულის დასახელებაც: ბარონო ან გრაფო და შემდეგ გვარი. ჰერცოგო და შემდეგ სახელი. სერ და სახელი და გვარი. რუსეთში მიმართვის დროს იყენებენ სახელს და მამის სახელს. ამ დროს გვარს არ ასახელებენ.

ევროპის კონტინენტის ქვეყნებში არსებობს შემდეგი ტიტულები: პრინცი (უფლისწული), ჰერცოგი, მარკიზი, გრაფი, ვიკონტი, ბარონი. ეს ტიტულები შთამომავლობით გადაეცემათ, ოჯახის უფროსისაგან, კაცის მხრიდან. ოჯახის ტიტული გადადის უფროს შვილზე. დანარჩენი შვილები ატარებენ უფროსი ძმის ტიტულის ქვევით არსებულ ტიტულს. რაინდის ტიტული მიეკუთვნება განსაკუთრებული დამსახურებისათვის. ეს ტიტული შთამომავლობით არ გადაიცემა.

პრინცის (უფლისწულის) ტიტული, რომელიც არ მიეკუთვნება სამეფო ოჯახს, საფრანგეთში არ ითვლება ძალიან მნიშვნელოვნად. ამიტომ ფრანგი ჰერცოგები თავიანთ თავს უფრო მაღლა აყენებენ, ვიდრე ნებისმიერი ქვეყნის უფლისწულს, რომელიც არ არის სუვერენი ან სისხლით უფლისწული. ჰერცოგს ან ჰერცოგის მეუღლეს მიმართავენ – ბატონო ჰერცოგო, ქალბატონო ჰერცოგო.

დიდი ბრიტანეთის არისტოკრატიული ტიტულები 5 კატეგორიად იყოფა: ჰერცოგი, მარკიზი, გრაფი, ვიკონტი, ბარონი. ეს ტიტულები გადაეცემათ შთამომავლობით, მამაკაცის მხრიდან. სიცოცხლის ბოლომდე პერის (ლორდის) წოდება შთამომავლობით არ გადაიცემა. უმაღლესი ტიტულების მატარებლები ქალებიც არიან – პერები. და თუ ისინი მიეკუთვნებიან დაბალ კატეგორიას, მათთან მიმართვის დროს გამოიყენება სიტყვა – "ბარონესა". ყველა პერი, გარდა ზოგიერთი შოტლანდიელი და ირლანდიელი პერისა და ქალბატონებისა, რომლებმაც შთამომავლობით მიიღეს ეს

წოდება, არიან ლორდთა პალატის წევრები. დიდგვაროვანთა უმაღლეს კატეგორიასთან ძალიან ახლოს არიან, მაგრამ უმაღლეს კატეგორიას არ წარმოადგენენ ბარონები, რომელთა ტიტული შთამომავლობით გადადის და რაინდი, რომელიც შთამომავლობით არ გადადის. დიდ ბრიტანეთში ტიტულები, განსხვავებით კონტინენტური ევროპისაგან, გადადის მხოლოდ ოჯახის უფროსზე. უფროსი შვილი ან უფროსი შვილის შვილი შეიძლება ტიტულირებულ იყვნენ არა წესის, არამედ თავაზიანობიდან გამომდინარე. ოჯახის დანარჩენი წევრები ატარებენ ოჯახის გვარს. თავაზიანობიდან გამომდინარე ჰერცოგების, მარკიზებისა და გრაფების უფროს ვაჟიშვილებს შეუძლიათ ატარონ მამის მეორე ტიტული. ეს ტიტული ერთი ან რამდენიმე რანგით ქვემოთ არის მამის ტიტულისაგან. თუ შვილი ატარებს მარკიზის ან გრაფის ტიტულს, მაშინ მის შვილს ექნება ტიტული თავაზიანობიდან გამომდინარე.

ლორდის ტიტულს ატარებენ ჰერცოგებისა და მარკიზების უმცროსი შვილები. ტიტული იწერება მათი სახელისა და გვარის წინ. გრაფის უმცროსი შვილები და ვიკონტის და ბარონის ვაჟიშვილები ატარებენ ტიტულს - Honourable, შემოკლებით - The Hon. "ლედის" ტიტული აქვთ ჰერცოგის, მარკიზის და გრაფის ქალიშვილებს, ხოლო ვიკონტების და ბარონების ქალიშვილებს – ფრიად პატივცემული. ეს ტიტულები სახელდება სახელისა და გვარის წინ. მხოლოდ ჰერცოგი და ჰერცოგინია ყოველთვის სახელდება სრული ტიტულით. მარკიზები, გრაფები და ვიკონტები მხოლოდ ოფიციალურ შემთხვევაში სახელდებიან სრულად, სხვა შემთხვევაში მათ მიმართავენ „ლორდ" და "ლედი". ბარონებისა და ბარონესების მიმართაც გამოიყენება მიმართვა „ლორდ" და "ლედი". მამაკაცი-პერის ტიტულის მატარებლის სახელი არასდროს მოიხსენიება. პერი ხელს აწერს თავის ტიტულს სახელის გარეშე. ქალი-პერი თავისი ტიტულის წინ საკუთარ სახელს წერს. შთამომავლობით გადაეცემათ ბარონეტის ტიტულიც, თუმცა ბარონეტი არ მიეკუთვნება დიდგვაროვნებს. ბარონეტი იყენებს "სერის" (Sir) ტიტულს სახელის წინ. იმ ადამიანისათვის მიმართვა, რომელიც ატარებს რაინდის ტიტულს გამოიყენება სიტყვა

„სერ“. იმ შემთხვევაში თუ რაინდი დაჯილდოებულია ორდენით, სახელის შემდეგ ადგილი აქვს ორდენის შემოკლებით დასახელებას.

მთელს მსოფლიოში მიღებულია პოლიტიკური თანამდებობის პირების, სახელმწიფო მოხელეებისა და სამხედროებისათვის ტიტულების მინიჭება. ანალოგიური წესი მოქმედებს დიპლომატებისათვის.

ოფიციალური ტიტულები

ოფიციალური წარდგენის დროს ყოველთვის ასახელებენ მთავრობის წევრების, პარლამენტის თავმჯდომარის, პალატათა თავმჯდომარეთა და მოადგილეების ტიტულს. ზოგ ქვეყანაში სამსახურებრივი ტიტულები აქვთ სახელმწიფო აპარატის მოხელეებსაც. ეს ტიტულები მათ მეუღლეებზეც ვრცელდება. ადგილი აქვს იმასაც, როდესაც ყოფილი მინისტრები, ან პალატების თავმჯდომარეები და მაღალი რანგის მოხელეები შრომითი საქმიანობის დასრულების შემდეგ ინარჩუნებენ ტიტულებს.

გერმანიასა და დიდ ბრიტანეთში დოქტორის ტიტული აქვს ყველას, ვინც დაამთავრა უნივერსიტეტი ან სამედიცინო სასწავლებელი. საფრანგეთში ეს ტიტული იმათ ეხებათ, ვისაც მიღებული აქვს სამედიცინო განათლება. საფრანგეთში, ინგლისსა და გერმანიაში უნივერსიტეტის პროფესორს ასე მიმართავენ: Monsieur le Professeur, Mr. professor Jones, Herr Doktor Marx. აშშ-ში პროფესორთან მიმართვის დროს ტიტული არ გამოიყენება. სამხედრო სამსახურში მომუშავე ამერიკელებს აქვთ გენერლის, პოლკოვნიკის, კაპიტნის და სხვა ტიტულები. ყველა ეს ტიტული გამოიყენება ოფიციალურ ვითარებაში. სამხედროთა ცოლებზე მეუღლეების ტიტულები არ გადადის. ინგლისელ სამხედრო მოსამსახურეს, რომელსაც კაპიტნის წოდება და სხვა მაღალი წოდებები აქვს, მიმართვისას გამოიყენება წოდების დასახელება და შემდეგ გვარი, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ის მოქმედ სამხედრო სამსახურში. საფრანგეთში მარშალს მიმართავენ ასე: “ბატონო მარშალო (Mosieur le Marcchal), ხოლო მის მე-

ულლეს - "ქალბატონო მარშალის მეუღლევ" (Madame la Marcchale). გერმანიაში მეუღლეებს მიმართავენ ქმრის ტიტულით.

დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელებს კლასის მიხედვით მიმართავენ: "ბატონო ელჩო", "ბატონო მინისტრო". ამ ტიტულს ისინი პენსიაზე გასვლის შემდეგაც ატარებენ. ელჩის ცოლს მიმართავენ: "ქალბატონო ელჩის მეუღლევ". დიპლომატიური მისიის სხვა თანამშრომლების მიმართ ტიტულები არ გამოიყენება. ოფიციალურ ვითარებაში ელჩს მიმართავენ: "თქვენო აღმატებულებავ". მსგავსი მიმართვა გამოიყენება მისიის ხელმძღვანელის, სრულუფლებიანი მინისტრისადმი მიმართვის დროს.

საეკლესიო ტიტულები

კათოლიკური ეკლესია:

პაპს მიმართავენ შემდეგნაირად – "წმინდა მამავ", ან "თქვენო უწმინდესობავ".

კარდინალს – "თქვენო მაღალუსამღვდელოესობავ".

არქიეპისკოპოსებს და ეპისკოპოსებს – "თქვენო უსამღვდელოესობავ".

პროტესტანტულ ეკლესიაში:

არქიეპისკოპოსებს – "თქვენო მოწყალებავ".

ეპისკოპოსებს – „ლორდ".

მართლმადიდებლურ ეკლესიაში:

კონსტანტინოპოლის პატრიარქს, ისევე როგორც აღმოსავლეთის დანარჩენ პატრიარქებს – "თქვენო უწმინდესობავ".

არქიეპისკოპოსებს და ეპისკოპოსებს – "თქვენო მაღალუსამღვდელოესობავ",

"თქვენო უსამღვდელოესობავ".

სიტყვის მნიშვნელობის შესახებ

განათლება, კულტურა, ქცევის წესები, საუბრის მანერა, ჩაცმულობა, ყველა წვრილმანი თუ მსხვილმანი, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი, საშუალებას აძლევს ადამიანს, გახდეს კარგი პროფესიონალი. ალბათ არც ერთ პროფესიას ისე არ ესაჭიროება ყოველივე აღნიშნულის ცოდნა, როგორც დიპლომატიას. სახის მიმიკას, ხელის მოძრაობას, ლაპარაკის კულტურას და რაც მთავარია, დროულად და საზრიანად ნათქვამ სიტყვას დიდი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკასა და დიპლომატიაში. სიტყვა არის დიპლომატის მთავარი ინსტრუმენტი, მთავარი იარაღი. სიტყვა აშენებს და სიცოცხლეს ახანგრძლივებს, სიტყვა კლავს და ანგრევს, სიტყვა აახლოვებს და ანაოესავებს, სიტყვა აშორებს და მტრად გადაჰკიდებს. კეთილი, გონიერი სიტყვა, არა მარტო ადამიანებს იზიდავს ერთმანეთისკენ, არამედ ქვეყნებს. ისტორიაში ბევრი მაგალითია იმისა, როდესაც სიტყვამ დააშორა სახელმწიფოები, მრავალი წლით გააუარესა ქვეყნებს შორის ურთიერთობა. ერთ მაგალითს მოგიყვანთ, რომელმაც გასული საუკუნის სამოციან წლებში ერთობ ნეგატიური კვალი დატოვა ორი ქვეყნის ურთიერთობაში. 1967 წლის ზაფხულს კანადაში საფრანგეთის პრეზიდენტის შარლ დე გოლის ოფიციალური ვიზიტი აღსავსე იყო ტრიუმფითა და წარუმატებლობით. ტრიუმფს ადგილი ჰქონდა კანადის ერთ-ერთ პროვინცია კვებეკში სტუმრობის დროს. დე გოლმა თავისი ოფიციალური ვიზიტი სწორედ ამ პროვინციიდან დაიწყო. იმუამად კვებეკის მოსახლეობის (6 მილიონი) 90 პროცენტს ფრანგული წარმოშობის ადამიანები შეადგენდნენ. კვებეკი ის პროვინციაა, სადაც მაშინ და დღეს კანადიდან გამოყოფისა და დამოუკიდებლად ცხოვრების დიდი სურვილი იყო და არის. ფრანგული წარმოშობის კვებეკელებმა გულითადი მიღება მოუწყვეს ლეგენდარულ დე გოლს. იმდენად დიდი იყო ემოციები, რომ ქალაქ მონრეალის რატუშის აივანზე გადმომდგარმა პრეზიდენტმა მრავალათასიან მონრეალელებს შემდეგი სიტყვებით მიმართა: "გრძნობით მაქვს სავსე გული. გაუმარჯოს მონრეალს! გაუმარჯოს კვებეკს... თავისუფალ კვებეკს". მონრეალელთა

გულმხურვალე დახვედრამ დე გოლს ომის შემდეგ, აღ-ფრთოვანებულ პარიზელებთან შეხვედრა გაახსენა. სწორედ მოჭარბებულმა ემოციებმა, შინაგანმა აღტაცებამ ათქმევინა მას სიტყვა - "თავისუფალი კვებეკი", რამაც უდიდესი ვნებათაღელვა გამოიწვია აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, კანადასა და სხვა ქვეყნებში. კანადის პრემიერ-მინისტრმა თავის სპეციალურ სატელევიზიო გამოსვლაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ "კანადას გათავისუფლება" არ ესაჭიროება და რომ სტუმრის განცხადებაში იყო "მიუღებელი" სიტყვებიც. დე გოლმა შეწყვიტა ოფიციალური ვიზიტი და სამშობლოში ისე დაბრუნდა, რომ კანადის დედაქალაქ ოტავაში არ ჩასულა და არც კანადის პრემიერ-მინისტრს ლესტერ პირსონსაც არ შეხვედრია. იბადება კითხვა – საფრანგეთის პრეზიდენტს კანადის პრემიერ-მინისტრთან შეხვედრის დროს თავისი სიტყვები, რომ უკან წაეღო რა მოხდებოდა? საქმეში ჩაუხედავთათვის ალბათ არაფერი, მაგრამ საკუთარი სიტყვების უკან წაღება არა მარტო პოლიტიკოსის, არამედ იმ ქვეყნის პრესტიჟის დაცემასაც იწვევს, რომელსაც პრეზიდენტი წარმოადგენს. ასეთ დროს ეჭვქვეშ დგება საერთაშორისო ნდობის საკითხი, რაც მძიმედ დააწვება ქვეყანას. სახელმწიფო მეთაურის მიერ წარმოთქმული სიტყვა არა მარტო ავტორისეული აზრის გამოხატულებაა, არამედ ქვეყნის განწყობაც, მისი დამოკიდებულება სხვა ქვეყნის მიმართ. სამწუხაროდ ამ მხრივ საქართველოში ჯერ-ჯერობით საქმე საკმაოდ რთულად არის. 2004 წელს ქვეყნის სათავეში მოსული პოლიტიკოსები, საერთაშორისო ცხოვრებასა და დიპლომატიურ ეტიკეტში გაუთვითცნობიერების გამო, თავს უფლებას აძლევენ სხვა ქვეყნის და მისი პოლიტიკოსების მიმართ გააკეთონ შეურაცხმყოფელი განცხადებები. ასეთს განსაკუთრებით ადგილი ჰქონდა და აქვს მეზობელი რუსეთის მიმართ. უტაქტობამ, დიპლომატიისათვის შეუფერებელმა ნაბიჯებმა და რიტორიკამ სავალალო შედეგებამდე მიიყვანა ორი ქვეყნის ურთიერთობა. ნებისმიერი დონის პოლიტიკოსსა და დიპლომატს კარგად უნდა ახსოვდეს, რომ კედლებსაც "ყურები" აქვთ და სულაც არ აქვს მნიშვნელობა, სად გალანძღავთ ოპონენტს – შინ თუ გარეთ, ვინაიდან პოლიტიკოსის სიტყვას ფრთები აქვს. ის უმალ ხვდება სა-

ქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური მისიების ყურადღების არეალ'ში. თითოეულ სიტყვას დაფიქრება სჭირდება, რამეთუ ბაგეთაგან გამოსულს, გაფრენილს, უკან ვერ მოაბრუნებთ.

საფრანგეთის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი გ. ჟობერი ერთ-ერთი გამოსვლის დროს ამბობდა: "საგარეო პოლიტიკაში სიტყვებს არანაკლები მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მოქმედებას, შესაძლოა უფრო მეტიც, ვიდრე მოქმედებას". ვითარებიდან გამომდინარე, მნიშვნელობა აქვს სიტყვის წარმოთქმის ტონსაც. არის შემთხვევები, როდესაც ტონი ძველებურად მეგობრულია, მაგრამ სიტყვა მთლიანობაში კატეგორიული. ინგლისელი დიპლომატი გ. ნიკოლსონი თავის წიგნში "დიპლომატია" აღნიშნავს: "დიპლომატია არის წერილობითი და არა ზეპირი ხელოვნება და რომ ისტორიის ხანგრძლივი და გრძელი გზა სავსეა მშვიდობის დაუმთავრებელი ან დანგრეული ძეგლებით, მხოლოდ იმის წყალობით, რომ მათ ფუნდამენტში ჩადებული იყო ზეპირი გაუგებრობა". ნიკოლსონის აზრით, დამოუკიდებლობამოპოვებული ახალი ქვეყნები ერომანეთთან ან სხვასთან ურთიერთობის დროს ხშირად ივიწყებენ დიპლომატიის უმთავრეს ფორმულას, გონებისა და ტაქტის შეხამებას. სწორედ ტაქტის უგულებელყოფამ აიძულა დიპლომატია წკრიალა მონეტის ნაცვლად ხმარებაში ქაღალდის ფული შემოეტანა. მართალია ქაღალდის ფულს ისეთი ხმა არ აქვს, როგორც მონეტას, მაგრამ გამაფრთხილებლის ფუნქციას ასრულებს. რა გამაფრთხილებელ სიტყვებზე ან უფრო სწორად ტერმინოლოგიაზეა საუბარი? – იმ შემთხვევაში, თუ მაღალი რანგის პოლიტიკოსი ან დიპლომატი მეორე სახელმწიფოს წარმომადგენელს ეუბნება, რომ "მისი სახელმწიფო ვერ იქნება გულგრილი" რაიმე საკითხისადმი, ეს იმას ნიშნავს, რომ მისი სახელმწიფო გადადგამს შესაბამის ნაბიჯებს. თუ სახელმწიფოს მიერ გაგზავნილ ნოტაში აღნიშნულია, რომ სახელმწიფო "შეწუხებულია" ან "ძალიან წუხს" რაიმე ფაქტთან დაკავშირებით, ნიშნავს იმას, რომ ნოტის გამგზავნი მზადაა გადადგას მკაცრი, პრაქტიკული ნაბიჯები. თუ არც ამგვარმა ქმედებამ არ გამოიღო ნაყოფი, მაშინ მიუხედავად თავაზიანი ტონისა, გამოყენებულ იქნება უფრო კონკრეტუ-

ლი წინადადება – "ასეთ შემთხვევაში ხელისუფლება იძულებული იქნება გადახედოს საკუთარ პოზიციას". ამ სიტყვების წამკითხავი უნდა მიხვდეს, რომ მეორე სახელმწიფო, მიუხედავად ადრე არსებული მეგობრობისა, მტრად შეიძლება გადაიქცეს: თუ ნოტაში აღნიშნულია, რომ "სახელმწიფო იტოვებს უფლებას მოქმედებისათვის", მეორე მხარემ ასე უნდა გაიგოს – "სახელმწიფო არ მისცემს მეორე მხარეს ამის გაკეთების უფლებას". შემდეგი გამოთქმა: "ასეთ შემთხვევაში ჩვენი მთავრობა იძულებულია იზრუნოს საკუთარი ინტერესების დაცვაზე" ან "მთავრობა იტოვებს უფლებას მოქმედებისათვის", დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტის ნიშნის მაუწყებელია. თუ ერთი მხარე მეორეს ატყობინებს, რომ მისი მოქმედება შეფასდება, როგორც "არამეგობრული ნაბიჯი" - მიანიშნებს იმაზე, რომ შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ომის დაწყებასაც. თუ ნოტაში ან განცხადებაში არის აღნიშნული, რომ: "ხელისუფლება პასუხს არ აგებს შედეგებზე" - ეს იმას ნიშნავს, რომ მხარე მზად არის პროვოცირება გაუკეთოს ინციდენტს, რომელსაც მოჰყვება ომი. თუ მხარე აღნიშნავს, რომ ის ელის პასუხს „2008 წლის 5 აგვისტოს 18:00 საათისათვის" – ეს გაგებულ უნდა იქნას, როგორც ულტიმატუმი.

გ.ნიკოლსონის განმარტებით, აღნიშნულ პირობით ფორმებს ის უპირატესობა აქვს, რომ ინარჩუნებს სიმშვიდის ატმოსფეროს, რომლის დროს ორი სახელმწიფოს პოლიტიკოსებს ეძლევათ საშუალება, ერთმანეთს მისცენ სერიოზული გაფრთხილება. პირობითი ფორმის ნაკლი ის არის, რომ ბევრი ქვეყნის პოლიტიკოსმა და დიპლომატმა, მათ 'შორის საქართველოს, არ იცის მისი მნიშვნელობა. სრულიად მოსალოდნელია, რომ უცოდინარობის შედეგად, უმნიშვნელო საკითხთან დაკავშირებით, გამოყენებულ იქნას ისეთი ფორმა, რომელმაც უნებლიედ შეიძლება ომი გამოიწვიოს.

დიპლომატიური მიმოწერის დროს მიღებულია ტაქტისა და თავაზიანობის დაცვა, მკვეთრი გამონათქვამებისგან თავის შეკავება, რამაც შესაძლოა გაანაწყენოს მეორე მხარე. არ არის მიღებული ისეთი აზრობრივი ან რიტორიკული წინადადებების გამოყენება, რომლებიც შეიძლება წყენად იქ-

ნან აღქმული. დიპლომატიური დოკუმენტის გამგზავნი, რომელიც მეორე მხარის მიმართ გამოხდომების გზას ირჩევს, განსაკუთრებით პერსონიფიცირებულის, თვით იგდებს უხერხულობაში საკუთარ თავს. ისიც უნდა იქნას მხედველობაში მიღებული, რომ ნოტა ან ნებისმიერი დიპლომატიური დოკუმენტი, რომელიც ეგზავნება მეორე მხარეს და რომელშიც არის გამოყენებული შეურაცხმყოფელი სიტყვები, სრული შესაძლებელია, რომ არ იქნას მიღებული ან დაუბრუნდეს გამგზავნს, რაც გაცილებით შეურაცხმყოფელია, ვიდრე გაგზავნილი ნოტის ტექსტი.

დიპლომატიურ პრაქტიკაში იმასაც აქვს ადგილი, როდესაც ადრესატს ჯერ გადაეცემა სახელმწიფოს მეთაურის წერილის ასლი, ხოლო შემდეგ დედანი. ეს იმით არის გამოწვეული, რომ წერილში გარდა მსხვილი საკითხებისა, შესაძლოა მოყვანილი იყოს ყოველდღიური საკითხები, რომლებიც სწრაფ რეაგირებას საჭიროებს, ხოლო ერთი ქვეყნიდან მეორეში წერილის გაგზავნას დრო სჭირდება. მასპინძელი სახელმწიფოს ხელმძღვანელისათვის, საელჩოს მიერ, საკუთარი ქვეყნის მეთაურის წერილის ასლის გადაცემის შემდეგ, სამშობლოდან ორიგინალის მიღებისთანავე ხდება ორიგინალის მასპინძლებისათვის გადაცემა.

დასაწყისში აღვნიშნეთ, რომ დიპლომატიური დოკუმენტისათვის პროტოკოლური ფორმის მიცემას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, თუმცა ის არ ატარებს კონკრეტულ პოლიტიკურ შინაარსს, მაგრამ მთლიანობაში პოლიტიკურ ტექსტთან ერთად სრულყოფილ სახეს აძლევს დიპლომატიურ დოკუმენტს. ის უზრუნველყოფს აუცილებელი თავაზიანობის ფორმის გამოვლინებას, რომელიც მიღებულია მსოფლიო დიპლომატიაში. სწორედ თავაზიანობის ფორმით დაწყებული და დამთავრებული ნოტის შუაშია მოქცეული პოლიტიკური შინაარსი.

ნაპოლეონის დიპლომატიის (1804-1807) აუცილებელ მოთხოვნას შეადგენდა ბონაპარტის იმპერატორის ტიტულის დიპლომატიური აღიარება. ეს მოთხოვნა არა მარტო დინასტიური მოსაზრებიდან გამომდინარეობდა, არამედ პრაქტიკულიდანაც – განემტკიცებინა საფრანგეთის პოზიციები ახალ დაპყრობილ ტერიტორიებზე, რამეთუ ნაპოლე-

ონის ოფიციალური ტიტული მოიცავდა არა მარტო საფრანგეთს - "საფრანგეთის იმპერატორი", არამედ სხვა ტერიტორიებსაც - "იტალიის მეფე", გერმანიის ქალაქების რეინის კავშირის "პროტექტორი" და სხვა.

ტიტულების მიმართ სერიოზულ დამოკიდებულებას მოითხოვდნენ რუსეთშიც. ისტორიას შემორჩა გრიგოლ კოტოშიხინის სახელი, რომელიც ოფიციალურად გაილახა მეფის ტიტულის დამახინჯებისათვის. დასჯილი 1660 წელს "პოსოლსკი პრიკაზში" - მაშინდელ საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობდა მდივნის თანამდებობაზე.

დიპლომატიურ დოკუმენტს პროტოკოლური ფორმულები განსაკუთრებულ სახეს, პეწს აძლევს. თვალშისაცემია, როდესაც გადახრას აქვს ადგილი საყოველთაოდ მიღებული ფორმისგან, რა მიმართულებითაც არ უნდა იყოს ის – სითბოს თუ სიცივისაკენ. დიპლომატიური დოკუმენტის აზრობრივი ბირთვი შუა ნაწილია. ზოგს შესაძლოა სხვასთან შედარებით ეს ნაწილი ძალიან ცოტად მოეჩვენოს, მაგრამ სწორედ მის სიმცირეშია კონცენტრირებული სახელმწიფოს მოსაზრება. დოკუმენტიდან მთავარი აზრის გამოტანისათვის, მკითხველიც არის საჭირო. დოკუმენტში დაფიქსირებული აზრის ზუსტი ამოხსნისათვის ხშირად რამდენიმე პროფესიონალს იწვევენ.

დიპლომატიურ პრაქტიკაში არცთუ იშვიათად გამოიყენება საპროტესტო ნოტაც. პროტესტის გამოცხადება შეიძლება ერთი ან რამდენიმე ქვეყნის მიმართ იმ კანონსაწინააღმდეგო ქმედებიდან გამომდინარე, რაც ფეხქვეშ თელავს საერთაშორისო სამართლის ნორმებს, არღვევს ქვეყნებს შორის საყოველთაოდ აღიარებული ურთიერთობის მოთხოვნებს, შეიცავს პროვოკაციის ელემენტებს, იწვევს საერთაშორისო უსაფრთხოებისა და მშვიდობის გაუარესებას. ტექსტში უნდა იყოს მოყვანილი კონკრეტული მაგალითი, რამაც საფუძველი დაუდო პროტესტს. პროტესტის გამოხატვისათვის ყოველთვის არ არის საჭირო შესაბამის საერთაშორისო შეთანხმებაზე ან საერთაშორისო სამართლის მუხლზე მითითება. მაგალითად, საჰაერო საზღვრის დარღვევის შემთხვევაში სულაც არ არის აუცილებელი, საერთაშორი-

სო სამართლის თავის ან პუნქტის მოხსენიება, ვინაიდან თვით დარღვევის ფაქტი ამას არ საჭიროებს.

პროტესტი სახელმწიფოს უქმნის საფუძველს მეორე მხარისგან მოითხოვოს ზარალის ანაზღაურება, თუ ამას აქვს ადგილი. ამასთანავე გააფრთხილოს იმის თაობაზე, რომ გამოყენებულ იქნება კონტრზომები, საკუთარი უფლებებისა და ინტერესების დაცვის მიზნით. პროტესტის გამოცხადებით ხდება ჩადენილზე პასუხისმგებლობის დაკისრება და აქედან გამომდინარე შედეგებზეც. ზარალის ანაზღაურება გულისხმობს არა მარტო მატერიალურის, არამედ მორალური ზარალის ანაზღაურებასაც, ზოგ შემთხვევაში ორივეს ერთად. გარდა ამისა, მხარეებს უტოვებს საპასუხო მოქმედების შესაძლებლობას.

პროტესტის ფორმა, რომელსაც ქვეყნები მიმართავენ, შეიძლება იყოს შემდეგი: "აცხადებს პროტესტს"; "აცხადებს კატეგორიულ პროტესტს"; "აცხადებს გადამწყვეტ პროტესტს"; "უკიდურეს პროტესტს". პროტესტს მაშინ ეძლევა უფრო მეტი მნიშვნელობა, თუ მას მოჰყვება პრაქტიკული ნაბიჯები ან საპასუხო ქმედება, რომელთა მიზანია მოსალოდნელი ახალი აგრესიის შეჩერება. რაც არ უნდა მტკიცე იყოს განცხადება, თუ ის ხშირად მეორდება და მას არ მოჰყვება პრაქტიკული საპასუხო ქმედება, არასერიოზულად მიიჩნევა.

პოლიტიკურ ცხოვრებაში, დიპლომატიურ პრაქტიკაში, ხშირ შემთხვევაში, პროტესტის გამოსახატავად გამოიყენება ვერბალური ნოტა, ხანდახან მთავრობის განცხადება, საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება, მაგალითად: "საქართველოს ხელისუფლება აცხადებს პროტესტს მეზობელი ქვეყნის მიერ განხორციელებული ახალი სამხედრო-საჰაერო პროვოკაციის შესახებ და ხაზს უსვამს, რომ მთელი პასუხისმგებლობა აღნიშნულ ინციდენტთან და აქედან გამომდინარე შედეგებთან დაკავშირებით მას ეკისრება. საქართველოს მთავრობა სინანულს გამოთქვამს, რომ მის მიერ გამოიყენება ქმედება, რომელიც აშკარად ხელს უშლის ორ ქვეყანას შორის ნორმალური ურთიერთობის განვითარებას. საქართველოს ხელისუფლება იმედს გამოთქვამს, რომ

მეზობელი ქვეყანა მიიღებს საჭირო ზომებს საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებისათვის“.

კატეგორიული პროტესტის ერთ მაგალითს მოგიყვანთ, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1958 წელს სირიასა და ერაყთან მიმართებაში. აშშ-მა განახორციელეს სამხედრო ინტერვენცია ლიბანში, დიდმა ბრიტანეთმა – იორდანიაში. საბჭოთა კავშირმა, იმისათვის, რომ ადგილი არ ჰქონოდა ფართო საომარ მოქმედებას, სასწრაფოდ მოითხოვა რამდენიმე სახელმწიფოს საგანგებო თათბირის მოწვევა. ამასთანავე გააკეთა გამაფრთხილებელი განცხადება. აშშ-სადმი გაგზავნილ მიმართვაში აღნიშნული იყო შემდეგი: “საბჭოთა კავშირი, რომელიც განუხრელად გამოდის მშვიდობის დასაცავად მთელს მსოფლიოში, იბრძვის ომის წინააღმდეგ და მშვიდობიანი თანაარსებობისათვის, ვერ დარჩება გულგრილი იმის მიმართ, რასაც ადგილი აქვს ახლო აღმოსავლეთში, საბჭოთა კავშირის საზღვრებთან ახლოს. საბჭოთა კავშირი ვერ გადგება გვერდზე, როდესაც წყდება ომისა და მშვიდობის საკითხი“. საბჭოთა კავშირის მტკიცე პოზიციამ, რომელსაც მხარი სხვა ქვეყნებმაც დაუჭირეს, მათ შორის არაბულმა ქვეყნებმაც, შეაჩერა სამხედრო კონფლიქტის გაჩაღება. ამერიკელმა და ინგლისელმა სამხედროებმა დატოვეს იორდანია-ლიბანი.

მეორე მაგალითი ისრაელის აგრესიას ეხება, რასაც ადგილი ჰქონდა მეზობელი ქვეყნების მიმართ 1967 წელს. საბჭოთა მთავრობის 1967 წლის 7 ივნისის განცხადებაში აღნიშნული იყო: „თუ ისრაელი დაუყოვნებლივ არ გაიზიარებს ქვეყნების მოთხოვნას ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე, რომელიც ასახულია უშიშროების საბჭოს რეზოლუციაში, საბჭოთა კავშირი გადახედავს თავის დამოკიდებულებას ისრაელთან და მიიღებს გადაწყვეტილებას მასთან დიპლომატიური ურთიერთობის სამომავლო ქონის თაობაზე. თავისთავად საბჭოთა კავშირის მთავრობა განიხილავს და განახორციელებს სხვა აუცილებელ ღონისძიებებს გამომდინარე ისრაელის აგრესიული პოლიტიკიდან“.

დიპლომატიაში ადგილი აქვს აგრეთვე დიპლომატიური დოკუმენტის სხვაგვარ ინტერპრეტაციას. მეორე მხარისათვის კონკრეტული წინადადების წარდგენა, მოითხოვს დოკუ-

მენტის პოლიტიკური ნაწილის საზრიან ჩამოყალიბებას, შესაბამისი სიტყვების გამოყენებას მიზნის სწრაფი მიღწევისათვის, მაგრამ არის მეორე ვარიანტიც, გამაფრთხილებელი სახის დოკუმენტებში, რომლებშიც საუბარია საპასუხო ნაბიჯებზე, ტექსტის დედააზრი შეგნებულად ისეა გადმოცემული, რომ გაჭირდეს აზრის გამოტანა, შექმნას გაურკვევლობა.

მსგავსი გამიზნული დეზინფორმაციის შესახებ აღწერილია ცნობილი ფრანგი დიპლომატის ტალეირანის მემუარებში. ნაპოლეონის, რუსეთის მეფესთან ალექსანდრე პირველთან, 1808 წლის ერფურტის მოლაპარაკების წინ, ნაპოლეონმა გამოიძახა ტალეირანი და დაავალა შეედგინა ხელშეკრულების პროექტი ალექსანდრე პირველისათვის შესათავაზებლად. ნაპოლეონმა განმარტა, რომ ერფურტში მას სურდა სრული მოქმედების თავისუფლება ჰქონოდა ესპანეთთან მიმართებაში, ამასთანავე მას უნდოდა დარწმუნებული ყოფილიყო, რომ ავსტრია თავშეკავებით მოიქცეოდა. "მომიმზადეთ ისეთი ტექსტი, რომელიც დააკმაყოფილებს ალექსანდრეს, ამასთანავე მიმართული იქნება ინგლისის წინააღმდეგ და თანაც ყველა შემთხვევაში მომცემს თავისუფალი მოქმედების შესაძლებლობას" - უთხრა მან ტალეირანს. ორი დღის შემდეგ ტალეირანმა ნაპოლეონს წარუდგინა პროექტი. ტალეირანმა დაიწყო ტექსტის კითხვა:

"მისმა უდიდებულესობამ საფრანგეთის იმპერატორმა...

და მისმა უდიდებულესობამ სრულიად რუსეთის იმპერატორმა. . .

უდიდესი სურვილიდან გამომდინარე, რომ მათ კავშირს ჰქონდეს უფრო მჭიდრო და საუკუნეთა განმავლობაში ურყევი სახე, გადაწყვიტეს დაიტოვონ უფლება აუცილებლობის შემთხვევაში დადონ ერთმანეთთან ხელშეკრულება, მაოი და ევროპის კონტინენტის საერთო მტრის, ინგლისის წინააღმდეგ. გადაწყვიტეს საგანგებო კონვენციაში აღნიშნონ დასაწყისი, რომელსაც ისინი განუხრელად გაითვალისწინებენ. . . სწორედ ამ დროს, წერს ტალეირანი, იმპერატორმა შეაწყვეტინა კითხვა შემდეგი ფრაზებით - "დასაწყისი" კარგია, ის არავის ავალდებულებს დროსთან მიმართებაში". რაც არ უნდა კონკრეტულად მოსჩანდეს ხელშეკრუ-

ლების მომდევნო ვალდებულებები, პრეამპულაში ჩადებულმა სიტყვამ "დასაწყისი" იმდენად გახანგრძლივებულად და გაწელილად წარმოაჩინა მთელი ტექსტი, რომ მან ფაქტიურად დაკარგა ფასი.

ფართო გაგებით დიპლომატიური დოკუმენტი ის დოკუმენტია, რომელიც გამოხატავს სახელმწიფოს საერთაშორისო-პოლიტიკურ პოზიციას. წინადადების შეთავაზება, პროტესტის გამოცხადება, საპასუხო ქმედების განხორციელების გამაფრთხილებელი განცხადება, ხელშეკრულების გაფორმება ან პოზიციების დაახლოება ის დიპლომატიური ნაბიჯებია, რომლითაც გადმოცემულია სახელმწიფოს პოზიცია. უფრო ვიწრო გაგებით, დიპლომატიური დოკუმენტი, რომელიც აფიქსირებს პოზიციას, იმით განსხვავდება სხვა სახის დიპლომატიური დოკუმენტებისაგან, რომ მისი შინაარსი და დანიშნულება სახელმწიფოს კონკრეტული პოზიციის გამოხატვით არის შეზღუდული ანუ მასში არ არის ელემენტები სხვა სახის დიპლომატიური მოქმედებისა, მაგალითად, წინადადებების წარდგენა და სხვა.

სხვა ქვეყნის აქციასთან მიმართებაში დიპლომატიური დოკუმენტები, რომლებიც აფიქსირებენ ქვეყნის პოლიტიკურ თუ საერთაშორისო-სამართლებრივ პოზიციებს, შინაარსით განსხვავდება ერთმანეთისაგან. მათ შეიძლება გამოხატონ თანხმობა ან გაკიცხვა, დაადასტურონ ადრეული წინადადებები და პოზიციები რაიმე საკითხთან დაკავშირებით, მოითხოვონ თავის შეკავება გარკვეული ქმედებისაგან და სხვა. ყველა ამ შემთხვევაში დიპლომატიური დოკუმენტის მიზანია სახელმწიფოს პოზიციის გამოხატვა და მისი შეტყობინება მეორე მხარისათვის. ხშირ შემთხვევაში საუბარია ისეთ აქციასთან დაკავშირებით, რომელიც ჯერ არ მოითხოვს გაფრთხილების აუცილებლობას, მაგრამ საფუძველს იძლევა გარკვეული ყურადღების მიქცევისათვის, ვინაიდან მოვლენების განვითარებას, შესაძლოა, მძიმე შედეგები მოჰყვეს. პოლიტიკური თუ საერთაშორისო სამართლებრივი პოზიციის ფიქსაცია ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფოსათვის სულ ერთი არ არის მეორე სახელმწიფოს მოქმედება, და რომ ამით (მეორე სახელმწიფოს მოქმედებით) ხდება სახელმწიფოს ინტერესების ხელყოფა.

არც თუ ხშირად არის შესაძლებლობა იმისა, რომ სახელმწიფოთა შორის ისე დაახლოვდეს ურთიერთობები, რომ შესაძლებელი გახდეს საერთაშორისო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა. გარდა ამისა, ისიც აღსანიშნავია, რომ ყველა საკითხი ვერ გახდება ხელშეკრულების ან შეთანხმების საგანი. ასეთ შემთხვევაში გამოიყენება პირადი გზავნილი, ვერბალური ნოტა, სამახსოვრო ჩანაწერი. სწორედ დიპლომატიური მიმოწერის ასეთი ფორმა ედება საფუძვლად მიღწეულ შეთანხმებას. ამის მაგალითად გამოდგება ხელშეკრულება საბჭოთა კავშირის მთავრობასა და ირანს შორის, რასაც ადგილი ჰქონდა 1962 წელს. ირანის მთავრობამ გამოუგზავნა საბჭოთა კავშირის მთავრობას შემდეგი შინაარსის ნოტა: "ირანის შაჰინშაჰის საგარეო საქმეთა სამინისტრო გამოხატავს თავის პატივისცემას საბჭოთა კავშირის საელჩოს მიმართ და წინა მოლაპარაკებიდან გამომდინარე მიიჩნევს აუცილებლად, საელჩოს ყურადღების საგნად გახადოს ის, რომ შაჰინშაჰის მთავრობას, საკუთარი კეთილი სურვილების გამოხატვის მიზნით და ორი ქვეყნის მეგობრობის შემდგომი განმტკიცებისათვის, აღნიშნული ნოტით სურს დაარწმუნოს საბჭოთა კავშირის მთავრობა, რომ ის არ მისცემს არც ერთ სახელმწიფოს უფლებას, იქონიოს ნებისმიერი სახის სარაკეტო ბაზა ირანის ტერიტორიაზე". ირანის ნოტის პასუხად თეირანში, საბჭოთა კავშირის საელჩომ შემდეგი სახის ნოტა გაუგზავნა ირანის საგარეო უწყებას: "საბჭოთა კავშირის საელჩო ირანში გამოხატავს თავის პატივისცემას ირანის შაჰინშაჰის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიმართ და აქვს პატივი განაცხადოს, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობა კმაყოფილებით იღებს მხედველობაში ირანის შაჰინშაჰის მთავრობის 1962 წლის 15 სექტემბრის ნოტას, რომელშიც მითითებულია, რომ შაჰინშაჰის მთავრობა თავისი კეთილი ნების გამოხატვის მიზნით და ორი ქვეყნის ურთიერთობების შემდგომი განმტკიცებისათვის არწმუნებს საბჭოთა კავშირის მთავრობას, რომ საკუთარი ქვეყნის ტერიტორიაზე არ განალაგებს არც ერთი ქვეყნის, არც ერთი სახის რაკეტას."

ნოტების გაცვლის შემდეგ, ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა: "ოფიციალურად ვაცხადებ, რომ რო-

გორც მისი უდიდებულესობა, ირანის შაჰინშაჰის მთავრობა აცხადებდა, ის არ მისცემს არც ერთ ქვეყანას უფლებას, განალაგოს თავისი რაკეტები ირანის ტერიტორიაზე, რომლებიც მიმართული იქნება საბჭოთა კავშირის ტერიტორიის წინააღმდეგ".

თავის საპასუხო განცხადებაში საბჭოთა კავშირის ელჩმა აღნიშნა: "საბჭოთა კავშირის მთავრობა მხედველობაში იღებს ირანის შაჰინშაჰის მთავრობისა და მისი უდიდებულესობის ირანის შაჰინშაჰის განცხადებას, რომ ირანის მთავრობა არ დაუშვებს, ირანის ტერიტორია გადაიქცეს საბჭოთა კავშირის მიმართ აგრესიის საშუალებად". მოცემული დოკუმენტები, აგრეთვე მათი გაცვლის დროს ირანის საგარეო საქმეთა მინისტრისა და საბჭოთა კავშირის ელჩის მიერ გაკეთებული განცხადებები არის დიპლომატიური დოკუმენტების მაგალითი, რომელიც ოფიციალურად აფორმებს შეთანხმებას ან მოლაპარაკებას.

დოკუმენტის აზრობრივი ნაწილის უკან დგას სახელმწიფო, რომელიც განახორციელებს იმას, რაც დოკუმენტშია აღბეჭდილი, ამდენად თითოეულ სიტყვას, სასვენ ნიშანს, ესაჭიროება გულისყურით წაკითხვა, გაანალიზება, გააზრება, აწონ-დაწონა და აქედან გამომდინარე მოსალოდნელი შედეგების გათვლა არა მარტო საერთაშორისო არენაზე, არამედ ქვეყნის შიდა პოლიტიკურ პროცესებზე, ეკონომიკაზე, ფინანსებზე, საგზაო საქმეზე და სხვა. ასეთ ტექსტზე მუშაობის დროს, საჭიროა არა მარტო სიზუსტე, არამედ ფილიგრანული აზროვნება შინაარსის გამართული ჩამოყალიბებისათვის.

მოკლედ კიდევ ერთხელ დიპლომატიაში ენის შესახებ

ენა, ტერმინოლოგია, რომელიც გამოიყენება დიპლომატიაში, ისეთივე სპეციფიურია, როგორც სამედიცინო, საფინანსო, საბანკო ენა, მოჭადრაკის ენა და სხვა. ხშირად უცხო ენის არმცოდნე მოჭადრაკეები შესანიშნავად უგებენ ერთმანეთს მათი პროფესიონალური ენის ცოდნის წყალობით. მსგავსი მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება, რო-

დესაც ვსაუბრობთ სხვადასხვა დარგის სპეციალისტებზე, მათ ენაზე, მათ ტერმინოლოგიაზე.

დიპლომატიასაც გააჩნია თავისი ენა და ტერმინოლოგია, რომელიც გამოიყენება სახელმწიფოთა შორის ურთიერთობათა და დიპლომატიური დოკუმენტების შედგენის დროს. დღეს დიპლომატიურ არენაზე არ შეინიშნება რომელიმე ენისათვის განსაკუთრებული პრიორიტეტულობის მინიჭების მცდელობა, თუმცა ამ შემთხვევაში გაცილებით კომფორტულ პირობებშია ინგლისური ენა, მაგრამ მას არ აქვს ისეთი გავლენა, როგორც თავის დროზე ფრანგულს. ინგლისურს ტოლს არ უდებენ ფრანგული, ესპანური, ჩინური, რუსული, გერმანული ენები. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ გაეროს სამუშაო ენებში ინგლისურის გარდა რუსული, ჩინური, ესპანური, ფრანგული და არაბული ენებიცაა მოხსენიებული. ყველა სახელმწიფო საერთაშორისო მიმოწერას ახორციელებს საკუთარ სახელმწიფო ენაზე, რომელსაც თანდართული აქვს თარგმანი რომელიმე უცხო ენაზე.

რაც შეეხება თვით დიპლომატიურ ენას და დიპლომატიურ ტერმინოლოგიას, მათი რაოდენობა თითქოს არც თუ მრავალრიცხოვანია, მაგრამ ეს ერთი შეხედვით. უცხოეთში, მათ შორის რუსეთში გამოცემული დიპლომატიური ლექსიკონები, არა მარტო ისტორიულ-დიპლომატიური თარიღების აღმნუსხველია, არამედ დიპლომატიური სიტყვებისა და ტერმინების განმარტებასაც იძლევა.

დიპლომატიურ დოკუმენტებში დიპლომატიური ენის, დიპლომატიური სტილის გამოყენებასთან დაკავშირებით აღწერილია ჰ.ვილდნერის წიგნში "დიპლომატიის ტექნიკა". ავტორი წერს, რომ დიპლომატიური სტილი უნდა გამოირჩეოდეს უპირველეს ყოვლისა სიმარტივით. ამით აზრის სიმარტივე კი არ იგულისხმება, არამედ შინაარსის გასაგებად, მარტივად გადმოცემა, ანუ კლასიკური სიმარტივე, რომელიც ყოველ შემთხვევას გადმოსცემს მისთვის მისადაგებული შესაფერისი სიტყვებით და წინადადებებით. ასეთ დროს სულაც არ არის აუცილებელი მაღალფარდოვანი სიტყვების გამოყენება. ასეთი, ერთი შეხედვით მარტივი, უბრალო, მაგრამ დამსახურებული სტილით გადმოიცემა დო-

კუმენტზე მომუშავე დიპლომატის ინდივიდუალობა, რომელიც არ ცდილობს გამოედევნოს ორიგინალურობას, იმისათვის, რომ პოზაში ჩადგეს. გამოთქმებში მოჭარბებული ზიზილ-პიპილოების გამოყენება, პრანჭიაობა, უდავოდ გამოიწვევს სიმარტივის აუცილებლობას. საუკეთესო სტილისტი ვერ გახდება საუკეთესო დიპლომატიური სტილისტი. ამას მხოლოდ ის დიპლომატი მიაღწევს, ვინც წერის დროს თავს პროფესიის ნამდვილ მცოდნედ ავლენს.

აქვე უნდა გაკეთდეს შემდეგი განმარტება, რომელიც საარგუმენტო ნაწილის სპეციფიკას ეხება. ენობრივი სიმკაცრე ხაზს უსვამს დიპლომატიური დოკუმენტის საქმიან ხასიათს, ხოლო აწონილ-დაწონილი – "გადმოცემის სიმშრალე" - აძლიერებს ემოციურ ზემოქმედებას.

დიპლომატიური დოკუმენტის ენა ის ენაა, რომელზეც მოცემული სახელმწიფო ლაპარაკობს გარე სამყაროსთან. ისე, როგორც ადამიანის ლაპარაკიდან გამომდინარე იქმნება მასზე გარკვეული წარმოდგენა, დიპლომატიური დოკუმენტიდან გამომდინარე იქმნება სახელმწიფოს შესახებ წარმოდგენა. დიპლომატიის ენას არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე პუბლიცისტიკას, ლიტერატურულ ნაწარმოებს.

დიპლომატიური დოკუმენტი – ოფიციალური დოკუმენტია, "სახელმწიფო ქაღალდი". დიპლომატიური დოკუმენტის ენისათვის უმთავრესია, როგორც სტილისტური დახვეწილობა, ფრაზების მუსიკალურობა, ისე სტილის, მუსიკალურობის, შინაარსის აბსოლუტური თანხვედრა, პოზიციის ზუსტი გამოხატვა. დიპლომატიური დოკუმენტის შინაარსი, დოკუმენტზე მუშაობის დაწყებამდე ისაზღვრება იმ ინსტანციის მიერ, ვინც განსაზღვრავს პოლიტიკას. ამიტომ ამოცანა არის ის, თუ როგორ ნათლად, სრულად, დამაჯერებლად იქნება ყოველივე ასახული დოკუმენტში, როგორ იქნება გამოყენებული დიპლომატიური ენა – სიტყვა. თითოეულ სიტყვაზე მუშაობა შრომატევადი საქმეა. ახალი, შესაფერისი სიტყვის მიგნება და გამოყენება იოლი საქმე არ არის. ეს დაახლოებით ემსგავსება სიტყვის ოსტატის ჭიდილს სიტყვასთან. სიტყვასთან ჭიდილი ისეთივე სახიფათოა, როგორც მომთვინიერებლის მუშაობა ვეფხვთან ან ლომთან.

ერთი არასწორი მოძრაობა და შედეგი შეიძლება სავალალო აღმოჩნდეს. ენისადმი უყურადღებო დამოკიდებულება იწვევს დაბალი ხარისხის ტექსტს, დიპლომატიური დოკუმენტის უხარისხობას.

დიპლომატიურ დოკუმენტში გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება სტილსაც, თუმცა მისი სრულყოფილად დაცვა არცთუ იოლი საქმეა. ფლობერი და მოპასანი მიიჩნევდნენ, რომ ტექსტში ერთი და იმავე სიტყვის გამოყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, თუ ისინი 200 სიტყვით იქნებოდნენ ერთმანეთისაგან დაშორებული. მსგავსი რეგლამენტი დიპლომატიური დოკუმენტისათვის შეუძლებელია, მაგრამ სწრაფვა მისკენ საჭირო და აუცილებელია.

თუ დიპლომატიურ დოკუმენტს განვიხილავთ ენობრივი თვალსაზრისით, ის უახლოვდება პოლიტიკურ პუბლიცისტიკას. ისე, როგორც პუბლიცისტიკაში, დიპლომატიურ დოკუმენტებში ფართოდ გამოიყენება მხატვრული ლიტერატურისათვის დამახასიათებელი საშუალებები. პოეზია, მხატვრული პროზა ამდიდრებს დიპლომატიურ დოკუმენტს, მის ენას, ეხმარება მას შთამბეჭდაობაში. ცხადია, აქ საუბარი არ არის პირდაპირ გადმოღებაზე, არამედ მოხერხებულ ტრანსფორმაციაზე. მაგალითად: "ირანის ბირთვული პროგრამა გადაიქცა თავისებურ მაგნიტად აშშ-ს მოსალოდნელი წერტილოვანი თავდასხმისათვის". დიპლომატიურ დოკუმენტში ენობრივი შესაძლებლობების მოხერხებული გამოყენება მკითხველს ეხმარება იოლად ჩასწვდეს ლოგიკას, აზრის კონსტრუქციას.

დიპლომატიური დოკუმენტი ადვილი გასაგები ხდება, თუ ის დაწერილია ცოცხალი ენით, ტექსტში შეტანილია ზეპირი სიტყვის დამახასიათებელი ნიშნები.

დიპლომატიურ დოკუმენტში, მათ შორის განცხადებაში, რომელსაც ადგილი აქვს საერთაშორისო კონფერენციაზე, გაეროს გენერალურ ასამბლეაზე, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში, ხშირად ჭირს იმის გაგება, თუ რას მოითხოვს მხარე. წინადადებები გაფანტულია პროექტის სხვადასხვა პარაგრაფებში. ასეთ დროს არასპეციალისტებს უძნელდებათ მხარის რეალური მიზნების და სურვილების გაგება.

სწორედ ამიტომ პრაქტიკაში მიღებულია განმარტების გაკეთება, რაც ტექსტს უფრო ხელმისაწვდომს ხდის.

იყო დრო, როდესაც დიპლომატია ლაპარაკობდა ელეგანტური, პრიალა ენით, მაგრამ თანამედროვე მსოფლიოში ათეულობით ახალი, დამოუკიდებელი სახელმწიფოს გამოჩენამ დიდი გავლენა იქონია დიპლომატიურ ენაზე. დღეს ელეგანტურობა, დავარცხნილობა, სიპრიალე სისუსტის ნიშანია და ქმნის დაუმთავრებელი, ნაკლები შინაარსის მქონე დოკუმენტის სახეს. ბილიარდის ბურთივით გლუვი, მრგვალი ფრაზები, არ ტოვებს რაიმე კვალს მკითხველში. ადრე გაბატონებული იყო მოსაზრება, რომ ნოტებში ეპითეტების გამოყენება არ იყო მიზანშეწონილი. დღეს, ეპითეტებს არც თუ იშვიათად იყენებენ. თუ ისინი ზომიერად არის ნახმარი, ამით ტექსტი გაცილებით საინტერესო ხდება. ერთფეროვნება, ერთი და იგივე ფრაზები, ღლის მკითხველს.

დიპლომატიური დოკუმენტის დაავადებად ითვლება "სიტყვების ინფლაცია", "დევალვაცია", ანუ ზოგიერთი სიტყვის უადგილო ადგილას ხშირი ხმარის შედეგად სიტყვის გაუფასურება. ამას განსაკუთრებით მაშინ აქვს ადგილი, როდესაც ქვეყნის სიტყვა და საქმე დაშორებულია ერთმანეთისაგან. ამიტომ ქვეყნები კატეგორიულ საპროტესტო ფორმას მაშინ მიმართავენ, როდესაც გააჩნიათ ძალა, სიტყვა საქმედ აქციონ. თავისთავად დიპლომატიური ტექსტის არც სიგრძე და არც სიმოკლე არ არის სრულყოფილების ან ნაკლოვანების ამსახველი. მთავარია, მასში არ იყოს "მკვდარი", "უმოქმედო" სიტყვა, რომელიც ანაგვიანებს ტექსტს. შინაარსი უნდა იყოს შეკუმშული და თანაც ბევრის მთქმელი. მთავარია, რამდენად გასაგებად არის გადმოცემული ავტორისეული ჩანაფიქრი.

პოლიტიკური სიტყვა

დიპლომატიური დოკუმენტის ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენს პოლიტიკური სიტყვა, მოხსენება, რომელსაც წარმოთქვამს სახელმწიფოს მეთაური, პარლამენტის თავ-

მჯდომარე, მთავრობის მეთაური, საგარეო საქმეთა მინისტრი. სიტყვას ამზადებენ თანაშემწეები, ექსპერტთა სპეციალური ჯგუფი. არსებობს სიტყვის დამწერი კატეგორიაც, რომელსაც "სიტყვის დამწერები", „სპიჩ რაიტერები" ჰქვიათ. თუ როგორ იწერება სიტყვა, კარგად აქვს გადმოცემული არტურ შლესინჯერს, აშშ-ს პრეზიდენტის ჯონ კენედის სპეციალურ თანაშემწეს თავის მოგონებებში, რომელიც დაიბეჭდა ამერიკულ ჟურნალ "ჰარპერს მეგეზინში". სიტყვა მომზადდა ამერიკის უნივერსიტეტში წარმოსათქმელად. პრეზიდენტ კენედის სიტყვამ დიდი ეფექტი მოახდინა არა მარტო დასავლეთის სახელმწიფოებზე, არამედ აშშ-ს მოწინააღმდეგე, საბჭოთა კავშირზე. სიტყვა აღსავსე იყო პოლიტიკური რეალიზმით, საერთაშორისო თანამშრომლობის სულისკვეთებით.

შლესინჯერი წერს, რომ სიტყვაზე, რომელიც პრეზიდენტმა კენედიმ წარმოთქვა 1963 წლის 10 ივნისს, მუშაობა ადრე გაზაფხულზე დაიწყო, მაშინ, როდესაც პრეზიდენტი მიხვდა, რომ გაჩნდა საბჭოთა კავშირთან დაძაბული ურთიერთობის გამოსწორების შესაძლებლობა. შლესინჯერმა დაიწყო ფიქრი "სამშვიდობო სიტყვის" მომზადებაზე. სიტყვის შესახებ არავის უნდა სცოდნოდა. სიტყვის თეზისები თვით პრეზიდენტს ეკუთვნოდა. გარდა შლესინჯერისა, სიტყვაზე მუშაობდნენ პრეზიდენტის თანაშემწეები მ.ბანდი და ტ.სორენსენი. ამ უკანასკნელს ამერიკული პრესა პრეზიდენტის კალმად მოიხსენიებდა. სიტყვის წერის პროცესში პრეზიდენტი ესაუბრებოდა თანაშემწეებს, აცნობდა მათ საკუთარ იდეებს, პოზიციებს, რომელთა შეტანა სიტყვაში პრეზიდენტის აზრით სასარგებლო იქნებოდა. სიტყვის წარმოთქმამდე ორი დღით ადრე ტექსტი გასაანალიზებლად გადაეცა სახელმწიფო დეპარტამენტს და თავდაცვის სამინისტროს. მათი მხრიდან გამოთქმული მოსაზრებების შემდეგ, თვით პრეზიდენტი ჩაერთო სიტყვის საბოლოო ტექსტის მომზადებაში, როდესაც ის ჰავაის კუნძულებიდან ვაშინგტონში ბრუნდებოდა. კენედი ცდილობდა გვერდი აევლო "ცივი ომის" დამახასიათებელი ფრაზეოლოგიისათვის. ამიტომ იმის ნაცვლად, რომ კომუნისტურ სამყაროზე, როგორც მტერზე ელაპარაკა, მან გამოიყენა ასეთი წინადადება: „ის

ქვეყნები, რომლებიც გადაიქცეოდნენ ჩვენს მოწინააღმდეგეებად". მიუხედავად იმისა, რომ სიტყვა გამიზნული იყო შიდა მოხმარებისათვის, მან დიდი ინტერესი გამოიწვია აშშ-ს საზღვრებს გარეთ. აღნიშნული მაგალითი კიდევ ერთხელ ადასტურებს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს დიპლომატიურ დოკუმენტს, სიტყვას, ნებისმიერი სახის მოხსენებას, ვინაიდან ის ასახავს სახელმწიფოს აზრს, სახელმწიფოს სახეს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დიპლომატიური დოკუმენტის შედგენისას ხშირად გამოიყენება მაგალითები მხატვრული ლიტერატურიდან, პუბლიცისტიკიდან, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ დიპლომატიური დოკუმენტი დაემსგავსოს მხატვრულ ლიტერატურას ან პუბლიცისტიკას. დიპლომატიური დოკუმენტი "სახელწიფო ქაღალდია". მის შედგენაში არა ერთი სპეციალისტი იღებს მონაწილეობას. მას პიესის, რომანის, მოთხრობის და ლექსისაგან განსხვავებით რამდენიმე ავტორი ჰყავს, იშვიათი გამონაკლისის გარდა. დიპლომატიური დოკუმენტი კოლექტიური შრომის ნაყოფია. დიპლომატიურ დოკუმენტზე მუშაობის პროცესი მრავალსაფეხურიანია და დასაწყისიდანვე მასში არაერთი ადამიანი იღებს მონაწილეობას. მხატვრულ ლიტერატურაში, ჟურნალისტიკაში ხშირად ამბობენ ინდივიდუალური წერის მანერის შესახებ, რაც არ ითქმის – კოლექტიური შრომის ნაყოფზე, დიპლომატიურ დოკუმენტზე. დიპლომატიური დოკუმენტის მომზადება ყოველთვის განისაზღვრება დროით, რაც განპირობებულია საერთაშორისო არენაზე მიმდინარე პროცესების სისწრაფით. დრო არის დიპლომატიის მოკავშირე, მაგრამ იმავდროულად მაკონტროლებელიც. დიპლომატიური დოკუმენტი თავისუფალი შემოქმედება კი არა, არამედ დროის ჩარჩოებით შეზღუდული კოლექტიური შემოქმედების ნაყოფია. დიპლომატიური დოკუმენტის ხარისხი პირდაპირპროპორციულია მასში ჩადებული კვალიფიციური შრომისა. შეცდომა ცუდ გავლენას ახდენს სახელმწიფოს იმიჯზე, მის ავტორიტეტზე.

დიპლომატიური დოკუმენტის მომზადებაში საგარეო უწყების ყველა რგოლის მუშაკს უწევს მონაწილეობის მიღება, ცხადია აქ არ შედის ადმინისტრაციულ-ტექნიკური

პერსონალი. ამიტომ, საგარეო საქმეთა სამინისტროს ყველა თანამშრომელს უნდა შეეძლოს დოკუმენტზე მუშაობა. მათთვის პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს ნოტის, მემორანდუმის, სამახსოვროს და სხვა სახის დოკუმენტის შედგენა. დიპლომატისთვის აღნიშნულის ცოდნა ისეთი რამ არის, როგორც ჩვეულებრივი ადამიანისთვის წერა-კითხვის ცოდნა. სამწუხაროდ საქართველოს ახალგაზრდა დიპლომატია ნაკლებად არის ამ საკითხში გაწაფული. ევროპა-ამერიკის სასწავლებლებში ზედაპირულმა, მოკლევადიანმა კურსებმა არ მოიტანა რაიმე მნიშვნელოვანი და სასარგებლო შედეგი, გარდა იოლად მისაღები სერტიფიკატებისა, რომელთა დახმარებით, დაბალი დიპლომატიური და საერთო განათლების მქონე ახალგაზრდები იოლად იპყრობენ დიპლომატიური საფეხურების მწვერვალებს. დიპლომატიური საფეხურების თანდათანობითი გავლა ისეთ აუცილებლობას წარმოადგენს, როგორც საშუალო სკოლის კლასიდან კლასში გადასვლა. ქართულ დიპლომატიას საშუალო სკოლას თუ შევადარებთ, დაახლოებით ასეთ სურათს მივიღებთ – მეორე-მესამე კლასელის განათლებითა და ცოდნით მეათე კლასში ყოფნას.

დიპლომატისათვის აუცილებელია არა მარტო დიპლომატიური დოკუმენტის კითხვა, არამედ შედგენაც, თუმცა აქვე აღვნიშნავთ, რომ დიპლომატიური დოკუმენტის შედგენაში გაუწაფავი დიპლომატი, ვერც დიპლომატიური დოკუმენტის წაკითხვას შეძლებს. ტექსტის შედგენიდან იწყება დიპლომატის მსოფლმხედველობის ზრდა, გამოცდილების შეძენა და იმ შესაძლებლობების გამოვლენა, რომელიც აუცილებელია ამ საინტერესო და საპასუხისმგებლო პროფესიაში.

განათლებული ადამიანი დაწყობილად გადმოსცემს საკუთარ თუ სხვათა მოსაზრებას, მაგრამ დიპლომატიურ დაწესებულებაში მომუშავე ყველა დიპლომატს არ შესწევს უნარი, ისეთ დონეზე შეადგინოს დიპლომატიური დოკუმენტი, რომ მას არ დასჭირდეს ჩასწორება, გადასწორება, ზოგი აბზაცის შეცვლა და სხვა. ე.წ. "მწერლებიც" კი, რომელთათვის არაფერს წარმოადგენს საგაზეთო სტატიის უმალ მომზადება, რაიმე სახის წერილის შეთხზვა, ხშირად

თავს არიდებენ დიპლომატიურ დოკუმენტზე მუშაობას. ხელმძღვანელი, რომელიც დიდ იმედს ამყარებს საკუთარი სამსახურის დიპლომატთა შესაძლებლობებზე, დიპლომატიურ ტექსტზე მუშაობიდან გამომდინარე, არც თუ ი'შვიათად, იმედგაცრუებული რჩება.

ტექსტის მომზადების ტექნოლოგიაზე თუ ვიმსჯელებთ, არსებობს სხვადასხვა რეცეპტი. ერთნი აგროვებენ მასალებს და მათი გაცნობის შემდეგ ხელით ან კომპიუტერის გამოყენებით იწყებენ წერას, მეორენი ცდილობენ დაწერონ "ზეპირად". ბოლო მეთოდს მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტები იყენებენ, თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ დამხმარე მასალების გამოყენება ორივე შემთხვევაში აუცილებელია.

გადმოცემის მიხედვით პიუპიტრთან მდგომი ლოიდ ჯორჯი ინგლისელი დიპლომატი და სახელმწიფო მოხელე თვით წერდა თავის სიტყვას. მის ირგვლივ მიმოფენილი იყო სხვადასხვა სახის მასალებიდან ამონაჭრები, დოსიე, რომელშიც ის ხშირად იყურებოდა.

ჩვენს მიერ მოყვანილი მაგალითები სულაც არ ნიშნავს ამ დარგში "საბოლოო ჭეშმარიტების ცოდნაზე პრეტენზიის ქონას", პირიქით, ეს არის მარტივი მაგალითი იმისა, თუ რას ნიშნავს დიპლომატიური დოკუმენტი, როგორ უნდა მიუდგეს მას ახალბედა დიპლომატი, რომ სიღრმისეულად ჩაწვდეს დიპლომატიის არსს.

დიპლომატიური დოკუმენტის შედგენისათვის რაიმე სახის კანონი არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში შემუშავებული რაღაც წესი ყოველთვის შექმნიდა პრობლემებს, ხელს შეუშლიდა ფართო აზროვნებას, ტექსტისადმი თავისუფალ მიდგომას. დიპლომატიურ პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენება ადრე შედგენილი ტექსტებით სარგებლობა.

დასრულდა დიპლომატიურ დოკუმენტზე მუშაობა, თავისი ადგილი დაიკავეს წინადადებებმა: „მაქვს პატივი გაცნობოთ", "გამოხატავს თავის პატივისცემას" და სხვა ტექსტი მზად არის. ასეთ დროს რა უფრო მიზანშეწონილია – უმალ გადაეცეს ის "შემკვეთს" თუ ხელუხლებლად დაიდოს "დასაღვინებლად". ჩვენი აზრით, მიღებული დიპლომატიური

გამოცდილებიდან გამომდინარე, უმჯობესია ტექსტის "დასაღვინებლად", თუნდაც ერთი დღით გაჩერება. ხოლო შემდეგ დასვენებული თვალით კიდევ ეროხელ გადაკითხვა. სრულიად მოსალოდნელია, ახალი კითხვის დროს გაჩნდეს ახალი მოსაზრება, ახალი სიტყვები და წინადადებათა ახალი, სხვაგვარი წყობა.

ცნობილი რუსი მწერალი კ. პაუსტოვსკი თავის მოთხრობაში "ოქროს ვარდი" ერთ ამბავს აღწერდა. სამოქალაქო ომის დროს ოდესის გაზეთ "მეზღვაურის" რედაქციაში ცნობილი მწერალი მივიდა, რომელმაც გამოსაქვეყნებლად მიიტანა მოთხრობის ხელნაწერი ტექსტი. გაზეთის თანამშრომლებმა, რომლებიც გაეცნენ ხელნაწერს, თავიანთი აღშფოთება ვერ დამალეს ტექსტის გაუმართაობის გამო. მაშინ იქვე მყოფმა ხანშიშესულმა და გამოცდილმა კორექტორმა გამოართვა მათ ტექსტი და თქვა, რომ დილით მოიტანდა. დილით გაზეთის თანამშრომლები, რომლებმაც ხელმეორედ წაიკითხეს მოთხრობა, მოწონებისგან აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ. ისინი კორექტორს ეკითხებოდნენ თუ, როგორ შესძლო მან ტექსტის ასე გვარიანად გასწორება. კორექტორმა მიუგო: "სულაც არ გამისწორებია, ერთი სიტყვაც კი არ შემიცვლია, უბრალოდ სასვენი ნიშნები დავსვი და აბზაცებით გამოვყავიო".

დიპლომატიური ტექსტის საბოლოო პოლირების დროს დიდი მნიშვნელობა აქვს სასვენი ნიშნების დასმას, აბზაცებს, ნუმერაციას და სხვა.

სახელმწიფოთაშორისი დოკუმენტი

ის, რის შესახებაც ზემოთ იყო აღნიშნული, შეეხებოდა ერთი ქვეყნის მიერ დიპლომატიური დოკუმენტების მომზადების საკითხს. ნოტები, განცხადებები, მემორანდუმები, სხვა მასალები – ითვლება ცალმხრივ დიპლომატიურ დოკუმენტებად. ყველა ეს დოკუმენტი გამოხატავს ერთი ქვეყნის აზრს, ერთი ქვეყნის სურვილს, ერთი ქვეყნის ნებას, რომელმაც არ იცის რაიმე შემაფერხებელი, გარდა საკუთა-

რი ინტერესებისა, მათი დაცვისა და საერთაშორისო არენაზე საკუთარი პოზიციის განმტკიცებისა.

სხვაგვარია სახელმწიფოთაშორისი დოკუმენტი, რომელიც ხანგრძლივი მოლაპარაკების საგანია. კომუნიკე, ერთობლივი განცხადება, ხელმოწერილი თუ ხელმოუწერელი დეკლარაცია ის დოკუმენტებია, რომლებიც თითოეული სიტყვის, აბზაცის, ფრაზის, წინადადების ერთმანეთში შეთანხმების შემდეგ თუ ელირსება დღის სინათლეს. ამ შემთხვევაში ჩვენ არიასთან კი არა, დუეტთან გვაქვს საქმე, ხანდახან გუნდთანაც, როდესაც მოლაპარაკებაში რამდენიმე სახელმწიფო იღებს მონაწილეობას. ასეთ დროს მხარეთა ინდივიდუალური ბალანსირების გარეშე შედეგის მიღწევა შეუძლებელია. არის მხოლოდ ერთი კამერტონი, რომელიც იძლევა შესაძლებლობას მხარეთა შეხედულებებში და პოზიციებში მოძებნილ იქნას უღერადობის მიმცემი ჰარმონია. ანუ დასკვნით დოკუმენტში ურთიერთმისაღები ფორმულირების ასახავა.

კომუნიკე – არის საერთაშორისო მოლაპარაკებათა მსვლელობის ოფიციალური განცხადება. კომუნიკე შეიძლება იყოს მოკლე, გარკვეული ფაქტის მომცველი. ზოგჯერ, ვრცელი, მოულენებისა და ფაქტების დაწვრილებით ამსახველი, მოლაპარაკების მსვლელობის ზუსტი დამაფიქსირებელი, მიღწეული შეთანხმების პუნქტების განმარტების მიმცემი. კომუნიკე არის ბანალურად უღერადი შეტყობინება, რომელიც მიუხედავად ამისა, ატარებს მნიშვნელოვანი აქტის სახეს. დიდ სიძნელეს წარმოადგენს, მოკლედ, ყოველგვარი გაუგებრობის გარეშე გადმოიცეს ის, რაც გადმოსაცემია. თანამედროვე საერთაშორისო ცხოვრებაში აღარ აქვს ადგილი არც ერთი მაღალი დონის შეხვედრის გაუშუქებლობას, შესაბამისი დოკუმენტების გაუფორმებლობას. "საიდუმლო დიპლომატიის" ნგრევის პროცესი კარგა ხანია ძალაშია. დღესაც აქვს ადგილი შემთხვევებს, როდესაც ორი სახელმწიფოს მეთაური ერთმანეთს ხვდება, მაგრამ თუ რაზე ისაუბრეს, რა გადაწყვიტეს ან საერთოდ გადაწყვიტეს თუ არა რაიმე, უცნობია, თუმცა შესაბამისი უწყებები ცდილობენ, მწირი ინფორმაცია მაინც მიაწოდონ საზოგადოებას.

მართალია, ის არ არის სრული, მაგრამ სულ არაფერს, მაინც სჯობს.

გავიხსენოთ კიდევ ერთი ისტორიული მაგალითი, რომელმაც გაუგებრობის ბურუსით შემოსა ორი იმპერატორის – ნაპოლეონისა და რუსეთის ალექსანდრე პირველის შეხვედრა ტილზიტში, 1807 წელს. დღემდე უცნობია, რაზე ისაუბრეს იმპერატორებმა. არ გაკეთებულა საუბრის ჩანაწერი, არ გამოქვეყნებულა კომუნიკე. დღეს მსგავსი, რამ წარმოუდგენელია. ოფიციალური მოლაპარაკებები მთავრდება დასკვნითი დოკუმენტის გაფორმებით. იმ შემთხვევაში თუ ამას ადგილი არ აქვს, მაშინ მხარეები შესაბამისი გზით აცნობენ საზოგადოებას მოლაპარაკების შესახებ.

"ასეთი თავის მოჭრა რომს არასოდეს განუცდია" – მისი ფრაზა ისეთი ექსპრესიულობით იქნა წარმოთქმული, რომ უმალ მიიპყრო დარბაზის ყურადღება. ფრაზის ავტორი, საზოგადოებისათვის საკმაოდ ცნობილი იტალიელი პარლამენტარი იყო, რომლის სიტყვას ყურს უგდებდნენ საერთაშორისო არენაზე. რა ამბავი არ დატრიალებულა "სამარადისო ქალაქის" თავზე და უცბად ასეთი "თავის მომჭრელი ამბავი, მსგავსი რომ არ განუცდია რომს". კოლეგების შეკითხვაზე – რით არის გამოწვეული ეს ემოციური ხმამაღალი განცხადება, მან უპასუხა – უცხო დელეგაციის ვიზიტი დასასრულს უახლოვდება, ხოლო კომუნიკე ჯერაც არ არისო. განცხადებას პრაქტიკული ქმედება მოჰყვა. ორ მხარეს შორის შეთანხმებული ფორმულირება მიღწეულ იქნა და მეორე დღეს კომუნიკე გამოქვეყნდა.

კომუნიკე, ერთობლივი განცხადება და დეკლარაცია თავისი დანიშნულებით დაახლოებით ერთნაირი ხასიათისაა, მაგრამ არის განსხვავებაც. კომუნიკე, ჩვეულებრივი, ტრაფარეტული დოკუმენტია. მისი მიზანია მედიის მეშვეობით შეატყობინოს საზოგადოებას მოლაპარაკების შედეგების შესახებ და იმ ატმოსფეროს თაობაზე, რასაც ადგილი ჰქონდა მოლაპარაკების დროს.

ერთობლივი განცხადება ორივე მხარისთვის დამაკალდებულებელია. თვით დოკუმენტის ფორმის შერჩევა მანიშნებელია ორ ქვეყანას შორის არსებულ შეთანხმებაზე ან კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით შეხედულებაზე.

დეკლარაცია თავისი მნიშვნელობით უფრო მაღალი პასუხისმგებლობის დოკუმენტია, რომელიც მასში მონაწილე მხარეებს უფრო მეტ პასუხისმგებლობისკენ მოუწოდებს. განსხავებულია სამივე ფორმის ენა. კომუნიკე გამოირჩევა საქმინობით და სიმშვიდით, მაშინ, როდესაც ერთობლივი განცხადებისა და დეკლარაციის ენა არის უფრო ამაღლებული და საზეიმო.

თემატური შინაარსიდან გამომდინარე დასკვნითი დოკუმენტი ორ ნაწილად იყოფა – საერთაშორისო ურთიერთობად და ორმხრივ ურთიერთობად.

კომუნიკეში, ერთობლივ განცხადებასა და დეკლარაციაში მხარეები ცდილობენ, ასახონ თავიანთი პოზიცია მწვავე საერთაშორისო საკითხებთან დაკავშირებით, როგორც რეგიონული ისე გლობალური კუთხით. თუ ზემოთ აღნიშნულ დოკუმენტებში მხარეები არ გამოხატავენ თავიანთ პოზიციას საერათაშორისო ვითარებასთან დაკავშირებით, ეს იმის მანიშნებელია, რომ მათ არ აქვთ საერთო შეხების წერტილები ამ დარგში.

მხარეები ცდილობენ ერთმანეთის მხარდაჭერით შეფასება მისცენ მსოფლიოს ამა თუ იმ საკითხს და ეს შეფასება აღბეჭდონ ერთობლივ განცხადებაში. აქედან გამომდინარე ასეთი დოკუმენტის შინაარსში შესაძლოა იყოს ახალი წინადადების დაყენების შესაძლებლობა, საერთო პოზიციების წარმოჩენა, საერთო პოლიტიკური პრინციპების გამოცხადება. მაგალითად, საერთო განცხადება სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის შესახებ უმალ პოულობს ადრესატს ანუ სახელმწიფოებს, რომლებსაც სხვა ქვეყნის ხარჯზე მითვისებული აქვთ ტერიტორია. ამ მხრივ თვალსაჩინო მაგალითია ისრაელი და მისი მეზობელი არაბული ქვეყნები.

სამივე ფორმის დანიშნულება ის არის, რომ ყოველგვარი გაზვიადებისა და ბრტყელი ფრაზების გარეშე გადმოსცეს მოლაპარაკების სულისკვეთება. მცდელობა იმისა, რომ უკეთ წარმოჩნდეს მოლაპარაკება და ამისათვის გამოყენებულ იქნას გარეგნულად ეფექტიანი, მაგრამ რეალობისგან შორს მყოფი ტერმინოლოგია, დათვური სამსახურია, ვინაიდან გადაჭარბება, სიტყვებისა და საქმის დაშორება უმალ

იჩენს თავს და სერიოზულ ზიანს მიაყენებს სახელმწიფოთა პრესტიჟს. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ შეთანხმდნენ მთელ რიგ საკითხებში, მაშინ ტექსტში აღინიშნება, რომ მხარეებმა გამოხატეს თავიანთი პოზიცია საკითხებთან დაკავშირებით, თუმცა ერთობლივი პოზიციის შემუშავება ვერ მოახერხეს.

რაც შეეხება ორი ქვეყნის ურთიერთობის ნაწილს – აქ გაცილებით ფართო ასპარეზია, ვიდრე პირველ, საერთაშორისო ნაწილში, რამეთუ თვით ცხოვრება წამოჭრის საკითხების ისეთ ჩამონათვალს, როგორებიცაა ორი ქვეყნისათვის სასარგებლო პროექტები, თანამშრომლობა სხვადასხვა დარგებში, ბრძოლა დაავადებებთან, ეკოლოგიური საკითხები, ერთობლივი სამრეწველო ობიექტების შექმნა და სხვა. მეორე ნაწილი ეხება პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სავაჭრო, სამეცნიერო-ტექნიკურ, კულტურის საკითხებს.

კომუნიკეში, ერთობლივ განცხადებასა და დეკლარაციაში არის პროტოკოლური ნაწილიც, რომელიც გულისხმობს სტუმარი მხარის მიერ მასპინძელი ქვეყნის სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო ობიექტების, კულტურულ-საგანმანათლებლო და სხვა სახის დაწესებულებების დათვალიერების დოკუმენტში აღბეჭდვას. დოკუმენტში იწერება მოლაპარაკებაში მონაწილე პირთა სახელები, გვარები, თანამდებობები. სახელები და გვარები პროტოკოლური სიზუსტით აღინიშნება – ერთმანეთის მიყოლებით, თანამდებობიდან გამომდინარე. ზუსტ ჩამონათვალს მოლაპარაკებაში მონაწილე თითოეული მხარე აკეთებს.

პროტოკოლურ ნაწილში ყურადღება ექცევა მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეთა დონეს. იმ შემთხვევაში, თუ დელეგაციას ხელმძღვანელობს მინისტრი, მაშინ მისი მოლაპარაკება ქვეყნის მეთაურთან სხვაგვარად ფიქსირდება – მინისტრი მიიღო ქვეყნის მეთაურმა და არა – გაიმართა მოლაპარაკება ქვეყნის მეთაურსა და მინისტრს შორის.

დიპლომატიაში მიღებულია სიტყვა, რომელიც განსაზღვრავს მოლაპარაკების ხასიათს, მაგალითად: ღრმა, ფართო, საქმიანი, კონსტრუქციული, სასარგებლო, ნაყოფიერი, ყოვლისმომცველი. ადგილი აქვს იმასაც, როდესაც ორ სიტყვას

ერთად იყენებენ, მაგალითად: "გაიმართა ღრმა და სასარგებლო აზრთა ურთიერთგაზიარება".

დოკუმენტში ასევე აღინიშნება ის ატმოსფერო, რომელიც სუფევდა მოლაპარაკების დროს.

მაგალითად: "მოლაპარაკება მიმდინარეობდა თანხმობის სულისკვეთებით, ურთიერთგაგებით, გულახდილ ვითარებაში". იმ შემოხვევაში თუ გულახდილობას არ მოსდევს "ნაყოფიერი" – ეს შეიძლება აღიქმებოდეს, როგორც აზრთა სხვაობის ნიშანი.

კომუნიკეს, ერთობლივი განცხადების და დეკლარაციის საერთო სქემა ასე გამოიყურება: დასაწყისში აღინიშნება მოლაპარაკების, ვიზიტის ფაქტი, შემდეგ მისი ხანგრძლივობა, შემდეგ მითითებულია შეხვედრების რაოდენობა და მასში მონაწილე პირები, შემდეგ საუბრისა და მოლაპარაკების საერთო დახასიათება, მოსალაპარაკებელი საკითხები, საერთაშორისო საკითხების განხილვის შედეგები, ორმხრივი ურთიერთობის განხილვის შედეგები. თითოეულ აღნიშნულ ჯგუფში საკითხები ლაგდება მნიშვნელობიდან გამომდინარე. დოკუმენტის ბოლოს აღინიშნება მოლაპარაკების საერთო შედეგების შესახებ.

თუ ქვეყნებს შორის არ არსებობს სხვა სახის სახელშეკრულებო ურთიერთობა, მიღებული კომუნიკე, ერთობლივი განცხადება და დეკლარაცია ხელშეკრულების დონის პოლიტიკური დოკუმენტია. ეს დოკუმენტები განსაზღვრავენ ორი ქვეყნის შემდგომ ურთიერთობებს. დოკუმენტში დაფიქსირებული საკითხებიდან გამომდინარე, დიპლომატიური არხებით, მიმდინარეობს კონტაქტები, პოლიტიკური კონსულტაციები, მზადდება ხელშეკრულებები, შეისწავლება სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობის შესაძლებლობა და სხვა. ახალი დიპლომატიური დოკუმენტის მომზადების დროს ადგილი აქვს ზემოთ აღნიშნული დოკუმენტის მოხსენიებას. მაგალითად: "როგორც კომუნიკეში იყო აღნიშნული,..."

ერთობლივი დასკვნითი დოკუმენტის პოლიტიკური მნიშვნელობა უპირველეს ყოვლისა განისაზღვრება მისი კონკრეტული შინაარსით, ამდენად, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კომუნიკეს ტონს, სიტყვებს, დასკვნითი

დოკუმენტის ემოციურ და ფსიქოლოგიურ შეფერილობას. დოკუმენტის პოლიტიკური შინაარსის ზუსტი ამსახველია ტექსტის ტონალობა. ქვემოთ მოვიყვანთ ერთ მაგალითს, რომლის შესახებ აღნიშნულია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ყოფილი კანცლერის კონრად ადენაუერის მოგონებებში. კანცლერი აღწერს იმ ვითარებას, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1949 წლის ნოემბერში პეტერსბერგის მოლაპარაკების დროს, აშშ-ს, ინგლისისა და საფრანგეთის უმაღლეს კომისრებს შორის. დასკვნითი დოკუმენტის თითოეულ სიტყვას და წინადადებას გერმანიისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, უპირველეს ყოვლისა ფსიქოლოგიური თვალსაზრისით.

1949 წლის 22 ნოემბრის მოლაპარაკება თერთმეტი საათის განმავლობაში გრძელდებოდა. ხელშეკრულების და კომუნიკეს ტექსტები ხანგრძლივი და ბეჯითი მუშაობის შედეგად იბადებოდა. თითოეულ სიტყვაზე და წინადადებაზე მიმდინარეობდა დებატები. ტექსტში ვერ მოხვდა დასავლეთ გერმანიის მთელი რიგი წინადადებები და მოსაზრებები, მაგრამ, როგორც ადენაუერი აღნიშნავს, კომუნიკეში ჩაიწერა მთავარი: "მოლაპარაკების დროს მხარეები აღსავსე არიან სურვილით, განავითარონ დამოკიდებულება ურთიერთნდობის მზარდი ვითარების და თანამშრომლობის საფუძველზე". სიტყვები "ურთიერთნდობა" და "თანამშრომლობა" არაერთხელ იყო მოხსენიებული ტექსტში. ადენაუერის აზრით, დასავლეთის ქვეყნებთან თანამშრომლობის და ურთიერთნდობის ატმოსფეროს შექმნა, დამარცხებული გერმანიისათვის, მეტად მნიშვნელოვანი რამ იყო ამ ქვეყნის ფეხზე დადგომისათვის. ადენაუერი წერს: "სრულიად შესაძლებელი იყო გერმანიისადმი ინსტიქტური უნდობლობის ბარიერის გადალახვა. საკუთარი თავის დარწმუნება იმაში, რომ დღეს სხვა ვითარებაა, მაგრამ შიში, ისე, როგორც სიყვარული და სიძულვილი, უფრო ძლიერია გონიერებაზე და ამიტომ მე იმთავითვე ნაკლებ საიმედოდ ვთვლიდი ჩვენს მცდელობას, გადაგვერწმუნებინა ჩვენი მეზობლები იმ გადაულახავი ბარიერის დაძლევის აუცილებლობაში, რასაც ჰქვია საკუთარი უსაფრთხოების განმტკიცება. ლოგიკური არგუმენტებით ამის გაკეთება შეუძლებელი იყო. ეს სა-

კითხი საჭიროებდა განსაკუთრებულ მოთმინებას, სიფრთხილეს. ამდენად, კომუნიკეში "თანამშრომლობის" და "ურთიერთნდობის" სიტყვების მოხსენიებასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. სამომავლოდ ამ სიტყვებს უნდა "ემუშავა" და ასეც მოხდა."

ყოფილი კანცლერის მოგონებებში ორი მომენტია საინტერესო: პირველი – პეტერსბერგის ერთ-ერთი მონაწილის დამოკიდებულება მოლაპარაკების თემასთან და მისი მეცადინეობა ზემოთ აღნიშნული ორი სიტყვის კომუნიკეში შეტანასთან. ადენაუერისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ სიტყვების კომუნიკეში შეტანას საკუთარი პოლიტიკური კურსის ქვეყნის შიგნით, უპირველეს ყოვლისა ბუნდესტანგში განმტკიცებისათვის და მეზობელ ქვეყნებთან სამომავლო პოლიტიკური "ვაჭრობისათვის". მეორე – ადენაუერის მოგონება ნათლად ასახავს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება სიტყვას, ოითოეული სიტყვის მნიშვნელობას. დიპლომატიურ დოკუმენტში შეტანილი სიტყვა სხვაგვარი წონისაა, მას სამომავლო, შესაძლოა შორეული დატვირთვაც ჰქონდეს.

კომუნიკეს, ერთობლივი განცხადების, დეკლარაციის ფორმულირება შეზღუდულია დროში. დოკუმენტი მოლაპარაკების დასასრულისათვის უნდა იყოს გამზადებული. დოკუმენტის შედგენაში მონაწილეობას ღებულობენ ექსპერტები, რომლებიც მონაწილეობენ მოლაპარაკებაში. ამდენად, დოკუმენტის ჩამოყალიბებისათვის ერთობ შეზღუდული დრო რჩება. დოკუმენტზე მუშაობისათვის მხოლოდ შესვენებების დრო და ის დრო გამოიყენება, როდესაც დელეგაცია იმყოფება პროტოკოლურ ღონისძიებაზე. ცაიტნოტური ვითარებიდან გამომდინარე ტექსტზე, მუშაობა მოძრაობის, მგზავრობის დროსაც მიმდინარეობს. ტექსტზე მომუშავე დიპლომატი ზედმიწევნით კარგად უნდა იყოს გათვიცნობიერებული მოლაპარაკების საკითხებში, იმავდროულად უნდა იცოდეს საკუთარი ქვეყნის ხელისუფლების პოლიტიკური მოსაზრება მოლაპარაკების თითოეულ თემასთან დაკავშირებით. მაღალი ერუდიცია და აღნიშნული საკითხების ცოდნა დიდად ეხმარება დიპლომატს ტექსტზე მუშაობაში. გარდა ამისა, არანაკლები მნიშვნელობა აქვს იმის ცოდნა-

საც, თუ რით სუნთქავს მეორე მხარე, რა იქნება მისთვის მისაღები და რა არა, რაზე შეიძლება მისი დაყოლიება და რაზე არა. ამდენად, მოსამზადებელი მუშაობის დასაწყისშივე მხარეებს უნდა ჰქონდეთ ერთმანეთზე იმის ინფორმაცია, თუ რამდენად შეუძლია ერთ მხარეს, გაიზიაროს მეორის მოსაზრება. მნიშვნელოვანია ნდობის ფაქტორიც.

რა ნდობაზეა საუბარი? უპირველეს ყოვლისა, იმაზე, თუ რამდენად კომპეტენტურია დელეგაცია, შეუძლია თუ არა მას, მიიღოს გადაწყვეტილება, რომელიც შეესატყვისება საკუთარი ქვეყნის პოლიტიკურ კურსს. თუ ასეთს არ ექნება ადგილი, ჩატარებული სამუშაო ტყუილი, ფუჭი დროის ხარჯვა იქნება. დელეგაციის შესაძლებლობების გამოვლინება წინასწარი მოლაპარაკებების დროს ხდება და გრძელდება მოლაპარაკებათა პროცესშიც. ამ პერიოდს "გაურკვევლობის პერიოდიც" შეიძლება ეწოდოს. ამდენად, გასაკვირი არ არის დიპლომატის ნათქვამი – "ჩემი აზრით", რაც ნაკლები თავდაჯერებულობის და საკუთარ თავში დაურწმუნებლობის კი არა, არამედ დიდი პასუხისმგებლობის ბრალია. ვიდრე მიმდინარეობს ზონდირება, ერთმანეთის შესაძლებლობების გარკვევა, რიხიან, თავდაჯერებულ განცხადებს ადგილი არ უნდა ჰქონდეს. ამასთანავე, პარტნიორმაც უნდა იცოდეს, რომ მოცემული ფორმულირება არ არის საბოლოო და ის შეიძლება შეიცვალოს მოლაპარაკების მსვლელობის დროს.

დიპლომატიისათვის ცუდია, როდესაც ერთი მხარე ცდილობს ისეთი ფორმულირება შეაპაროს დიპლომატიურ დოკუმენტში, რომელიც მიუღებელი იქნება მეორე მხარისათვის, იმის იმედით, რომ პარტნიორი ვერ გაიგებს ამას. საბოლოო ჯამში მხარე, რომელმაც ყურადღება არ მიაქცია მისთვის წამგებიან ფორმულირებას, არ განახორციელებს დოკუმენტში დაფიქსირებული ფორმულირების მოთხოვნებს და ურთიერთობები პარტნიორებს შორის ამის გამო შეიძლება გაფუჭდეს კიდეც. ამიტომ მხოლოდ პატიოსანი მოლაპარაკებით მიღწეული შედეგი არის მტკიცე წარმატების გარანტია.

თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ დიპლომატიური დოკუმენტი – სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულება ან შეთანხმება – სავალდებულო ხასიათის დოკუმენტია, რომლის ნებისმიერი პუნქტის უგულებელყოფა ერთი მხარის მიერ, რადგან ეს პუნქტი მას მეორე მხარემ შემოაპარა, ამ პუნქტის დამრღვევ მხარეს დიპლომატიურ ინიციატივას აცლის, ამიტომ რიგ ვითარებებში, შეპარებული ფორმულირება ამის განმახორციელებელ მხარეს სერიოზულ უპირატესობას აძლევს. ამის ნათელი მაგალითია შეთანხმებები კონფლიქტების მოგვარების თაობაზე ქართული მხარის უვიცობის გამო, არსებულ შეთანხმებებში საქართველოსათვის საზიანო ბევრი ფორმულირებაა "შემოპარებული".

დიპლომატიური დოკუმენტის მნიშვნელობაზე ნაშრომის დასაწყისშიც გვქონდა ლაპარაკი, მაგრამ ამ უაღრესად საჭირო ასპექტს კიდევ ერთხელ დავუბრუნდით, რათა შეგვეხსენებინა მომავალი დიპლომატებისათვის, რომ მხოლოდ დიპლომატიურ დოკუმენტებზე მუშაობა იძლევა იმ აუცილებელი დიპლომატიური ცოდნისა და გამოცდილების დაგროვებას, რაც ესოდენ საჭიროა ხანგრძლივი დიპლომატიური კარიერის განმაავლობაში. სახელმწიფო დაწესებულებებში, პოლიტიკასა და დიპლომატიურ სამსახურში არიან ისეთი მოხელეები, რომლებიც "შენობით" არიან კალამთან. მათი ნიჭი და შესაძლებლობა, ქაღალდზე გადაიტანონ აზრი, ღვთის მიერ ნაბოძები რამ არის. არის კატეგორია ადამიანებისა, ვისაც ეხერხება წერა, მაგრამ არის მეორე კატეგორია, ვისაც ძალიან კარგად ეხერხება ეს საქმე. ისე, როგორც მხატვრულ ლიტერატურაში, მწერალთა რიცხვი ცოტა არ არის, თუმცა კარგი მწერალი თითზე ჩამოსათვლელია. მწერალთან და ჟურნალისტთან დიპლომატიურ დოკუმენტზე მომუშავე სპეციალისტის შედარება ძნელი საქმეა, ვინაიდან დიდი განსხვავებაა თავისუფალ და მკაცრ ჩარჩოებში მოქცეულ აზროვნებას შორის. თუმცა, კარგი სპეციალისტი, ისე როგორც კარგი მწერალი, უმალ ხდება თვალშისაცემი, უმალ იპყრობს ყურადღებას. ისე, როგორც მხატვრულ ლიტერატურაში, დიპლომატიურ დოკუმენტზე მომუშავისათვისაც აუცილებელია ისტორიული ფაქტების, მოვლენების, პოლიტიკური ცხოვრების ზედმიწევნითი ღრმა

ცოდნა. დიპლომატიაში მარტო ნიჭი წერისა, დიდი შედეგის მომტანი ვერ იქნება. ღმერთით ნაბოძები ნიჭი, თეორიულ ცოდნასთან ერთად, დიდ და ნაყოფიერ შედეგებს იძლევა.

დასასრულს, კიდევ ერთხელ შეეცდებით დიპლომატის ჩვენებური პორტრეტის დახატვას, დიპლომატიის არსისა და მნიშვნელობის ჩვენებურ და სხვათა მიერ დაწერილი მოსაზრებების თქვენამდე მოტანას, რათა კიდევ ერთხელ შეგახსენოთ უძველესი და უაღრესად საინტერესო პროფესიის მნიშვნელობა თანამედროვე მსოფლიოსთვის.

საუკუნეთა განმავლობაში დიპლომატის პროფესიის, დიპლომატების თაობაზე, ქვეყნებისა და ხალხების ცხოვრებაში მათი როლის და დამსახურების შესახებ, სხვადასხვა მოსაზრება შეიქმნა. არის ქება და არის კრიტიკა, არის მათი შემოქმედებით აღტაცება და არის უკმაყოფილება, ერთიმეორის საწინააღმდეგო მოსაზრება, რაც განპირობებულია უპირველეს ყოვლისა იმით, რომ დიპლომატის პროფესიისადმი მიდგომა დღესაც და გუშინაც, 21-ე საუკუნის დასაწყისში და ჩვენს წელთაღრიცხვამდე მრავალი ათეული წლის წინ იყო და არის სხვაგვარი, არა შემნდობი, არამედ პრინციპული, მომთხოვნი. თვალი გადავავლოთ ძველი აღმოსავლეთის დიპლომატიისა და საერთაშორისო სამართლის საინტერესო და უნიკალურ ძეგლს – მანუს კანონებს, რომელიც კლასიკურ სანსკრიტზე დაიწერა ჩვენს წელთაღრიცხვამდე პირველ ათასწლეულში. ინდური ლეგენდების მიხედვით, მანუს კანონები ღვთაებრივი წამოშობისაა და განეკუთვნება ლეგენდარული მანუს ეპოქას. მანუს არიელთა შთამომავლობის დამფუძნებლად მიიჩნევდნენ. მისი კანონები არის ძველ ინდურ დადგენილებათა კრებული, რომელიც ეხება პოლიტიკას, საერთაშორისო სამართალს, ეჭვრობას, სამხედრო საქმეს. ძველი ინდური ფილოსოფია ბრძენი ადამიანის აღზრდის საფუძველია. აქედან გამომდინარე განიხილება დიპლომატიაც. ყურადღება გამახვილებულია დიპლომატის პირად თვისებებზე. სწორედ დიპლომატზეა დამოკიდებული დიპლომატიური მისიის წარმატება. მანუს მოძღვრების მიხედვით, დიპლომატის ხელოვნება იმაში გამოიხატება, თუ როგორ შეძლებს ის ომის აღკვეთას და მშვიდობის განმტკიცებას: "მშვიდობა და მისი

საწინააღმდეგო – ომი, დამოკიდებულია ელჩების მოღვაწეობაზე, ვინაიდან ისინი ქმნიან მოკავშირეებსაც და მოწინააღმდეგეებსაც. მათ ხელშია საქმეები, რომელთა მეშვეობითაც მეფეებს შორის შეიძლება მშვიდობის დამყარება და ომის დაწყებაც. დიპლომატი აცნობს თავის სახელმწიფოს საზღვარგარეთელი მმართველის გეგმებსა და მიზნებს, იცავს სახელმწიფოს საფრთხისაგან. დიპლომატი უნდა იყოს ყოველმხრივ განვითარებული, გამჭრიახი გონების პატრონი. მას უნდა ჰქონდეს იმის უნარი, თავის მიმართ განაწყოს ადამიანები, უნდა შეეძლოს საზღვარგარეთის ქვეყნების მმართველთა გეგმების ამოცნობა-განსაზღვრა, არა მარტო მოქმედების ან სიტყვების მიხედვით, არამედ სახის გამომეტყველებისა და ჟესტების მიხედვითაც. სახელმწიფოს მეთაურს ეძლევა რეკომენდაცია, ფრთხილად და გულისყურით შეარჩიოს დიპლომატი. იგი უნდა იყოს პატივსაცემი ასაკის, საქმისადმი თავდადებული, პატიოსანი, წარმოსადეგი, მჭევრმეტყველი, უშიშარი. მან უნდა იცოდეს, რა დროს, როგორ იმოქმედოს."

საერთოდ, ამ კანონების მიხედვით, საერთაშორისო ცხოვრების ყველაზე რთული საკითხები უნდა გადაიჭრას დიპლომატიური გზით. ძალის პოლიტიკა მეორე პლანზეა.

აი, ასე განმარტავს მანუს მოძღვრება დიპლომატის როლს და დიპლომატიის მნიშვნელობას.

დიპლომატიის ანბანი ანბანთა ნაკრებია, რომელსაც ეფუძნება სახელმწიფოთა ურთიერთობა. დიპლომატიის ანბანი არ არის მზა ფორმულათა ნაკრები, რომლიდანაც დიპლომატიური დოკუმენტები წარმოიშობა, არამედ ამ დოკუმენტების შინაარსისა და ფორმების ურთიერთქმედების, ურთიერთკავშირის რთული დიალექტიკური კანონზომიერების ნაყოფია. დიპლომატიური მიმოწერა, მიუხედავად იმისა, რომ მისი მნიშვნელობა და საზღვრები ფართოა, დიპლომატიის მხოლოდ ერთი ფუნქციაა. დიპლომატიის წარმატებაზე საუბარი მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც ამოქმედებულია დიპლომატიის ყველა სახეობა. აქედან გამომდინარე იზომება დიპლომატიური მუშაკის არა მარტო დოკუმენტზე მომუშავის შესაძლებლობა, არამედ მისი უნარი, წარმართოს საუბრები და მოლაპარაკებები, გააანალიზოს საშინაო

და საგარეო პოლიტიკური ვითარება. დიპლომატის პროფესიონალიზმი იმაშიც გამოიხატება, თუ რამდენად მზად არის ის საკუთარ საგარეო უწყებას, მთავრობას მიაწოდოს მოსაზრებები და წინადადებები, რომლებიც ხელს შეუწყობენ საერთაშორისო მშვიდობის განმტკიცებას, საერთაშორისო არენაზე საკუთარი ქვეყნის პოზიციების გამაგრებას.

დიპლომატის პირადი თვისებები, მისი გონიერება, აგრეთვე სხვასთან ურთიერთობის სტილი ემატება დიპლომატის პირად, საქმიან თვისებებს.

ზემოთ მოყვანილ უნიკალურ მაგალითში – მანუს კანონებში, აღწერილია, როგორი უნდა იყოს დიპლომატი, გარდა ამისა, არაერთი წიგნია მიძღვნილი სასურველი დიპლომატიური სახის შექმნისათვის, გამახვილებულია ყურადღება იმაზეც, თუ რომელი თვისებები უფრო მეტად უნდა ჰქონდეს ადამიანს განვითარებული, რომელიც ცდილობს გახდეს დიპლომატი, რა არასასურველი თვისებები უნდა დაივიწყოს მან, რომ არ ავნოს დიპლომატის პროფესიას.

დიპლომატის პორტრეტის შექმნაზე არაერთმა მწერალმა, არაერთი საათი დახარჯა. ზოგი სანაქებო დიპლომატიურ პერსონაჟს გვთავაზობს, ზოგი სასაცილო, სარკასტულ პორტრეტს ქმნის. დაბეჯითებით უნდა ითქვას, რომ დიპლომატი გარკვეული სოციალური წყობის, საზოგადოების წარმომადგენელია. ის ვერ იქნება ცალკე, განყენებული ფიგურა. დიპლომატია და დიპლომატი სწორედ მოცემული სოციალური წრის, წყობის თუ საზოგადოების სურვილის შეკვეთის, აზრის გამომხატველია.

დიდი ფრანგი მწერალი ბალზაკი დიპლომატიას იმათ მეცნიერებას უწოდებს, რომლებიც არცერთ მეცნიერებაში არ არიან გარკვეულნი და რომელთა სიცარიელე მოჩვენებითი ღრმა აზროვნებით არის გადაფარული. ბალზაკი აღნიშნავს, რომ ეს მეცნიერება უაღრესად მოხერხებულია, ვინაიდან ავალდებულებს პირებს, იყვნენ ჩაკეტილები თავიანთ თავში, უფლებას აძლევს უეიცებს, შეინარჩუნონ სიჩუმე, შემოიფარგლონ ხაიდუმლოებით მოსილი თავის ქნევით. ბალზაკის აზრით, ამ მეცნიერებაში ძლიერად ის გამოიყურება, ვინც ცურვის დროს თავს იჭერს დინების ზევით ანუ

მოვლენათა დინების ზევით და თანაც ისეთი სახით, თითქოს ის არის ამ მოვლენათა შემოქმედი, მაშინ, როდესაც ის არარაობაა.

მე-17 საუკუნის ფრანგი ფილოსოფოსი ლაბრუიერი თავის ერთ-ერთ ნაშრომში აღნიშნავდა, რომ მინისტრი ან ელჩი ქამელეონია. მოქნილი მოთამაშესავით ის მალავს თავის ნამდვილ სახეს და ხასიათს, იმისთვის, რომ გაექცეს სხვათა მცდელობას, გამოარკვიოს მისი გეგმები, აგრეთვე იმისთვის, რომ გატაცების ან სისუსტის გამოვლინებით არ გაყიდოს თავისი თავი. ის ყოველთვის ცდილობს, იყოს მიუწვდომელი და შეუღწევადი. ხშირად, სინამდვილის დასამალად ავრცელებს ჭორს. ხანდახან ის გამოთქვამს თავის მოსაზრებას ნათლად და კატეგორიულად, მაგრამ უფრო მეტად – ის ცდილობს გვერდი აუაროს საკითხს და ილაპარაკოს მხოლოდ მინიშნებით, გამოიყენოს ორაზროვანი გამონათქვამები, მისცეს მას ესა თუ ის მნიშვნელობა, იმისდა მიხედვით, თუ რა ვითარებაში, რა აწყობს. ის ხმამაღლა ლაპარაკობს მშვიდობაზე, თანხმობაზე, საყოველთაო უსაფრთხოებაზე, კეთილდღეობაზე, მაგრამ სინამდვილეში ფიქრობს მხოლოდ თავის ინტერესებზე, ანუ თავისი სახელმწიფოს სარგებელზე. ის არის ცივი გონების და მოთმინების მქონე, არ იცის დაღლა და სხვასაც ამუშავებს გამოფიტვამდე. მას არ ეშინია ეჭვის, უნდობლობის, სიძნელის, წინააღმდეგობის, ვინაიდან დარწმუნებულია, რომ მხოლოდ დროს და გარემოებას ძალუძს შეცვალოს ვითარება მის სასარგებლოდ. ის ითვალისწინებს ყველაფერს: დროს, ადგილს, საკუთარ შესაძლებლობებს, სიძლიერეს და სისუსტეს, იმ ერების განსაკუთრებულობას, რომელთანაც აწარმოებს მოლაპარაკებას და იმ ადამიანების ხასიათს, რომელთანაც მას აქვს ურთიერთობა.

დიპლომატის მიმართ არც ლ. ტოლსტოი გამოხატავს განსაკუთრებულ აღფრთოვანებას და სიმპატიას თავის სახელგანთქმულ რომანში "ომი და მშვიდობა". რომანის ერთ-ერთი პერსონაჟი, დიპლომატი ბილიბინი, ავტორის აზრით, არ არის იმ დიპლომატების მსგავსი, რომლებიც ვალდებულები არიან, ჰქონდეთ მხოლოდ უარყოფითი თვისებები და რომლებიც არ ასრულებენ იმას, რაც უნდა შეასრულონ.

ლაპარაკობენ ფრანგულად მხოლოდ იმიტომ, რომ ჩაითვალონ კარგ დიპლომატებად. ბილიბინი ერთ-ერთი იმ დიპლომატთაგანი იყო, რომელსაც უყვარს და შეუძლია მუშობა და მიუხედავად სიზარმაცისა, ღამესაც ატარებს საწერ მაგიდასთან. ის სამუშაოს ყოველთვის ერთნაირად ასრულებდა. მისთვის სულ ერთი იყო, რისგან შედგებოდა საქმე, მაგრამ ზუსტად, ფილიგრანულად, ოსტატურად, ცირკულარის, მემორანდუმის ან ცნობის შედგენა – მას დიდ კმაყოფილებას ანიჭებდა.

სალონური დიპლომატია და მისი წარმომადგენლები, რომლებიც არისტოკრატიის წიაღიდან წამოვიდნენ, მოგვიანებით კი ფულის ტომრების კორპორაციიდან, საფუძველს უდებენ ისეთი დიპლომატის სახეს, რომელიც ნაკლებად მომხიბლავია ფართო საზოგადოებისათვის. სწორედ დიპლომატის ამგვარმა, არცთუ სახარბიელო პორტრეტმა გაიელვა არაერთი ცნობილი მწერლის რომანსა და მოთხრობაში. გარეგნული "სიპრიალე", რომლის მიღმა იმალება მწირი ცოდნა და სულიერი მოთხოვნილება, ცერემონიალისა და პროტოკოლის ვითომდა "მეცნიერული" სირთულეების ცოდნა, სიმულაცია უმნიშვნელოვანეს საქმეებში ჩაფლულობისა, საკუთარი მოქმედებისათვის მოჩვენებითი მრავალმხრივობის მინიჭება და სხვა მრავალი. ერთობ არასასიამოვნო თვისებებით არის შემკული დიპლომატთა პლეადა, რომლებიც მოხვდნენ მსოფლიოს ცნობილი მწერლების შემოქმედებაში.

დიდი სურვილი იმისა, გამოჩნდე მეტი, ვიდრე ხარ და ვიდრე ნამდვილად რამეს წარმოადგენ, თუნდაც პირად ცხოვრებაში –. არის ადამიანის ყველაზე გულის ამრევი თვისება. სამწუხაროდ, დიპლომატიაშიც არიან მსგავსი სახის უსახო პერსონაჟები. სწორედ მათი წყალობით, საზოგადოების არცთუ მცირე ნაწილს, ნეგატიური დამოკიდებულება გაუჩნდა დიპლომატისადმი.

ინგლისის მთავრობის მიერ 1943 წელს გამოცემულ „თეთრ წიგნში" აღიარებული იყო, რომ დიპლომატიური სამსახური განიცდის კრიტიკას თავისი კადრების უაღრესად ვიწრო წრიდან მოპოვებისათვის, რომ ის ცდილობს მხოლოდ ერის გარკვეული ფენის და არა მთელი ქვეყნის

ინტერესი გამოხატოს, რომ აღნიშნული სამსახურის წარმომადგენლები უაღრესად დახურული ცხოვრების წესით ცხოვრობენ, რომ ისინი არასაკმარისად არიან გათვითცნობიერებულები ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებში, რომ მათ არ ყოფნით გამოცდილება სწორად გაიგონ პრობლემები, რომლის წინაშეც ისინი არიან, რომ მათი კონტაქტები უცხოეთში შეზღუდულია, რაც არ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ჩაწვდნენ სხვა სახელმწიფოების ხალხთა ცხოვრებას, სწორედ იმათ ცხოვრებას, ვისთანაც მათ არაერთი წელი უხდებათ ყოფნა.

არანაკლებ კრიტიკულია ჯ. ე. ხარას წიგნი "პროფესიონალი დიპლომატი", რომელიც კარგა ხნის წინათ დაისტამბა აშშ-ში. ავტორი თვლის, რომ აღნიშნული სამსახურის ხარისხი არ მიესადაგება თანამედროვე მოთხოვნებს. ამერიკული გაზეთი "ნიუ-იორკ ტაიმსი" 1973 წლის თებერვალში წერდა, რომ ამერიკელები, რომლებმაც საკმაო რაოდენობის თანხა შესწირეს საპრეზიდენტო კანდიდატების წინასაარჩევნო კამპანიის ყულაბას, საჩუქრად იღებენ ელჩის თანამდებობას რომელიმე ქვეყანაში. "მალე ალბათ არც სახელმწიფოები ეყოფათ ამ ბრბოს დასაკმაყოფილებლად" — წერდა გაზეთი. იგივე გაზეთი აღნიშნავდა, რომ ამ კატეგორიის არაერთმა ელჩმა არ იცის, რა არის ნატო და სად არის ის ან ვინ არის მთავრობის თავმჯდომარე ქვეყანაში, სადაც მას ელჩად აგზავნიან.

ლიტერატურაში თუ პუბლიცისტიკაში აღწერილი დიპლომატიური მანკიერებანი თითქმის ერთი და იმავე ხასიათისაა, მაგალითად: ლანჩსა და კოქტეილ-წვეულებაზე თავის წარმოჩენა, ისეთი იმიჯის შექმნა, თითქოს მავანმა დიპლომატმა ყველაფერი იცის, გათვითცნობიერებულია ყველაფერში, თუმცა თანამდებობა არ აძლევს მას საშუალებას, ისაუბროს ამაზე.

დიპლომატიური სამსახურის შეფასება მას შემდეგ ხდება შესაძლებელი, როდესაც ადამიანი ახლოს გაეცნობა მას ან დაიწყებს ამ სამსახურში მუშაობას. საქართველოში დიპლომატიისადმი და დიპლომატისადმი დამოკიდებულება ორგვარია და ორივე შორს არის დიპლომატის პროფესიის სწორი, მართებული აღქმისაგან, ისეთი შეფასებისაგან, რაც

ფართო საზოგადოებაში უძველესი პროფესიისა და მისი მატარებელი ადამიანების მიმართ ნამდვილ სახეს შექმნის. არ შევცდებით, თუ ვიტყვით: ერთნი ისე ზედაპირულად, ფუქსავატურად უდგებიან დარგს და მის წარმომადგენლებს, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული. მათი აზრით, დიპლომატი — ეს არის ადამიანი, რომელსაც მთელი თავისი ცხოვრება წვეულებებსა და დროსტარებაში გაჰყავს, იცის ენა და ბანალურ თემებზე ესაუბრება უცხოელებს, თავის კოლეგებს და სხვა. მეორენი თვლიან, რომ დიპლომატი ის ადამიანია, რომელიც 24 საათი მარტო იმაზე ფიქრობს, როგორ მოატყუოს მეორე დიპლომატი, როგორ გააკეთოს ისე, რომ ყოველთვის იყოს გამარჯვებული, ხოლო მოწინააღმდეგე დამარცხებული. ორივე შეფასება გადაჭარბებულია და ნაკლებად გამოდგება დიპლომატის ნამდვილი პორტრეტისათვის. არც ის მოარული აზრია სინამდვილესთან ახლოს, რომ დიპლომატიის სფერო იმდენად ღრმა წიაღსვლების შემცველია, რომ მისი ათვისება ჩვეულებრივი მოკვდავისათვის ისეთივე მიუწვდომელია, როგორც თოვლიანი ჯომოლუგმა.

რაც შეეხება ქართულ პოლიტიკურ ელიტას, რომელიც ფაქტიურად საქართველოს დამოუკიდებლობის პირველ წლებში წარმოიქმნა და ჯერაც შორს არის დაღვინება-ჩამოყალიბებისაგან, დიპლომატიას, ჩეხი მწერლის მილან კუნდერას სახელგანთქმული რომანის "ყოფიერების სიმსუბუქე" სათაურისა არ იყოს, ერთობ მსუბუქად უყურებს, იმდენად მსუბუქად, რომ თავს უფლებას აძლევს, ელჩად დაასაქმოს ადამიანები, რომელთა ნორჩი ასაკი სერიოზულ წინააღმდეგობაში მოდის მანუს კანონების მოთხოვნებთან მაღალი რანგის დიპლომატის ასაკთან დაკავშირებით და ამავე კანონების კანონიერ შეგონებასთან დიპლომატის განათლებასთან მიმართებაში. ამ პროფესიისადმი ქართული პოლიტელიტის დამოკიდებულება არა მარტო მანუს კანონებს, არამედ ძველ ბერძნულ მოთხოვნებს, შუა საუკუნეების და თანამედროვე დიპლომატიის პროფესიონალურ აღქმასაც ეწინააღმდეგება. ქართული დიპლომატიის ზოგიერთი (არცთუ მცირე რაოდენობის) წარმომადგენლის "დიპლომატობა" სრულ საფუძველს იძლევა, არ გიყვარდეს და არ

მოგწონდეს ეს ერთ-ერთი უძველესი და უაღრესად საინტერესო პროფესია.

ქართველი პოლიტიკოსები იმდენად შორს დგანან ამ უაღრესად ფაქიზი დარგისგან, რომ ჩვეულებრივად მიაჩნიათ დიპლომატიური საქმიანობის წვრილ თუ მსხვილ ბიზნესთან შეხამება. საქართველოს მესამე პრეზიდენტის მოწოდება, რომ დიპლომატმა ხელი უნდა შეუწყოს ქვეყნის ბიზნესის განვითარებას, ქართულმა დიპლომატიამ თავისებურად გაიგო და თავით გადაეშვა ვენის 1961 წლის კონვენციის (დიპლომატიური სამსახურის შესახებ) მოთხოვნების საწინააღმდეგო პირად ბიზნეს - საქმიანობაში. როგორც ჩანს, დიპლომატიისა და დიპლომატის პროფესიის სერიოზული აღქმისათვის დამოუკიდებლობის თითზე ჩამოსათვლელი წლები საკმარისი არ არის.

მკითხველისათვის საინტერესო უნდა იყოს ჩვენი მეზობელი თურქეთის მოქალაქის დამოკიდებულება დიპლომატიისადმი. ქვეყნის, რომელიც მრავალი საუკუნე, არა მარტო ცეცხლითა და მახვილით აღწევდა წარმატებებს, არამედ მოხერხებული დიპლომატიით და საქმის მცოდნე დიპლომატებით. თურქების მამად აღიარებული ქემალ ათათურქის ერთ-ერთი თანამებრძოლი, მწერალი, იაკუბ კადრი კარა ოსმანოღლუ დიპლომატიურ სამსახურში მუშაობის დაწყებისას გულახდილად წერდა იმის თაობაზე, რომ ვიდრე დაიწყებდა მუშაობას, მას ყველა დიპლომატი იმ უნიკალური უნარის მატარებელ ადამიანად მიაჩნდა, რომელსაც შეეძლო ამოუცნობი ისტორიული მოვლენები ამოეცნო, ბრწყინვალე გამარჯვებაში დამარცხება დაენახა, ხოლო დამარცხებაში გამარჯვება. "დიდი დრო არ დამჭირვებია, რათა დამედგინა ჭეშმარიტება", წერს მწერალი კარა ოსმანოღლუ, რომელმაც 20 წელი იმუშავა დიპლომატიაში და ამ ხნის განმავლობაში მრავალ ქვეყანაში იყო ელჩად. "დიპლომატია ანაქრონულია, შებოჭილია წინა საუკუნეების ტრადიციებით. მას ნაკლებად ახასიათებს მე-20 საუკუნის დინამიკა. მისთვის უცნობია საზოგადოების მამოძრავებელი ახალი ძალები, რომლებიც განსაზღვრავენ სხვადასხვა ხალხებისა და სახელმწიფოების ბედს."

კარა ოსმანოღლუს ასეთი განცხადების შემდგომ პერიოდში მსოფლიოში ფართო გასაქანი მიეცა – ეროვნულ განმანთავისუფლებელ მოძრაობას. კოლონიალიზმის მძიმე უღლისაგან განთავისუფლდნენ აზიისა და აფრიკის ქვეყნები. საზოგადოებრივი დულილი მე-20 საუკუნის 90-იან წლებშიც გაგრძელდა და მსოფლიოს მრავალი ახალი სახელმწიფო შეემატა განსაკუთრებით, საბჭოთა კავშირის და იუგოსლავიის დაშლის შედეგად. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოების რაოდენობამ ლამის 200-ს მიაღწია. საერთაშორისო სარბიელზე გამოჩნდა მრავალი ახალი სახელმწიფოს ახალი, დაუხვეწავი დიპლომატია, თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით, შეუპოვრობით და მოჭარბებული მიზანსწრაფულობით. ახალგაზრდა ქვეყნების ლიდერებს საკუთარი ხალხისა და თუნდაც საკუთარი თავის დასარწმუნებლად ესაჭიროებათ საერთაშორისო თუ საშინაო ცხოვრების ისეთი პრობლემების უმალ მოგვარება, რომელთა გადაჭრა, ხალხის მიერ მათთვის მიცემული მართვის მანდატის შეზღუდულ პერიოდში შეუძლებელია. ბევრი თანამედროვე ლიდერისათვის უპირველესი ამოცანაა დროის მოკლე პერიოდში შეუსრულებლის შესრულება და, როდესაც ამას დიპლომატიური გზით ვერ ახერხებს, იწყებს საუკუნეთა განმავლობაში ნაცადი, მაგრამ 21-ე საუკუნისათვის სახიფათო გზის გამოყენებას – სამხედრო მუქარას, იარაღის საშუალებით პრობლემების მოგვარებას. თურქი დიპლომატისა არ იყოს, დღევანდელი დიპლომატიაც შებოჭილია პოლიტიკური ჩარჩოებით. მას მეტის კეთება უწევს უპირველესად საკუთარი თავის დასაცავად, რადგან არცთუ იშვიათია საუბარი დიპლომატიის ყოფნა-არყოფნასთან დაკავშირებით. დიპლომატიის, განსაკუთრებით ქართულის მიერ, ურთულესი პერიოდის დასაძლევად ზედაპირული, მოჩვენებითი ცოდნა მიუღებელია. მხოლოდ მუყაითი შრომა, საქმის ღრმა ცოდნა შეიძლება გახდეს წარმატების საწინდარი. სხვა შემთხვევაში დიპლომატია ყოველთვის იქნება ისეთი დაცინვის საგანი, როგორიც აღწერილია კარა ოსმანოღლუს წიგნში "უნებლიე დიპლომატი". "ბატონი ელჩის საქმიანობა მხოლოდ ის არის, ყველაფერს უყუროს ზევიდან. არ შეამჩნიოს

ის, რაც ხდება. ისე გაიაროს სამყარო, რომ არ დაიმტვეროს მისი ლაკის ფეხსაცმელები, ვინაიდან ის არის "პერსონა გრატა". პირი გამორჩეული, ხელშეუხებელი, რომლის მოქმედების განსჯის უფლება არავის აქვს. ჩვენ ვთქვით პირის? გვაპატიეთ, ჩვენი სიტყვა უკან მიგვაქვს. დიპლომატი ზეადამიანია, ის არის სიმბოლო, წმინდა ადამიანი და ეს არ არის სახუმარო საქმე, იმიტომ, რომ ის წარმოადგენს სახელმწიფოს. ის არის მეფის, იმპერატორის ან პრეზიდენტის ლანდი, რომელიც სხვა ქვეყანაშია გაგრძელებული. იქ, სადაც ის არის აკრედიტებული, მისთვის არ არის არც საზღვარი და არც საბაჟო. ის თავს არ ხრის ადგილობრივი წესებისა და კანონების წინაშე. პირიქით, ისინი, ვინც უნდა იცავდნენ წესრიგსა და კანონიერებას, თითქოს მის განკარგულებაში, მის სამსახურში არიან. ისინი მიმართავენ მას "თქვენო უმაღლესობავ" და როდესაც ის ჩაუვლის მათ, ისინი წელში სწორდებიან. ღმერთმა დაიფაროს ის, ვინც მას უპატივცემულოდ მოეკიდება, მაშინ ეს ბიუროკრატი, რომელიც მორჩილებით იტანს საკუთარი ხელისულფლების ნებისმიერ უხეშობას, უეცრად იქცევა პატივმოყვარე ადამიანად. ხელშეუხებლობისა და დიპლომატიური პრივილეგიების დასაცავი იარაღის ეღარუნით, ის მოითხოვს ყურადღებას და თუ ამას ვერ იღებს, უმალ გადადის ისტერიკაში, ისეთში, რასაც გაბრაზებული ქალბატონი უმართავს თავის მოახლეს."– წერს მწერალი და ყოფილი დიპლომატი.

ალბანეთში, ჰოლანდიაში, ჩეხოსლოვაკიაში, შვეიცარიაში დესპანად და ელჩად მომუშავე კარა ოსმანოღლუს დაკვირვებამ კოლეგებსა და საკუთარ თავზე, მისი თხრობის იუმორისტულმა სტილმა, კიდევ ერთხელ დაგვანახა ზოგიერთი დიპლომატის ნამდვილი სახე, რომელიც საზოგადოების ფართო ფენებისაგან აშკარად იმსახურებს არა მარტო გაკიცხვას, არამედ დაცინვასაც. დიპლომატიას არ აკლია ფილიპიკები, მაგრამ კარა ოსმანოღლუს მიერ აღწერილი დიპლომატის პორტრეტი, თავისი იუმორისტულ-სატირული შტრიხებით, არაფრით ჩამოუვარდება მსოფლიოში სახელგანთქმული თურქი იუმორისტის აზიზ ნესინის შემოქმედებას.

შემოგთავაზებთ კიდევ ერთ ნაწყვეტს კარა ოსმანოღლუს წიგნიდან "უნებლიე დიპლომატი". "დიპლომატისათვის სადილის სუფრა თავისებური პრობლემაა. ამ დროს გამოჩნდება ხოლმე ადამიანის კარგი და ცუდი თვისებები. ამ დროს შეიძლება წარმატებისა და პატივისცემის მიღწევა—დამსახურება. ნებისმიერი პატივმოყვარე დიპლომატი, ვალდებულია გაიფუჭოს მადა და საჭმლის გადამუშავების პროცესი, სხვადასხვა სახის კერძის მიღების დროს, გონებისა და ჭკუის ჭყლეტვის გამო. სხვა გამოსავალი მას არ აქვს. ის ვალდებულია საზოგადოებას თავი მოანებინოს ყოვლისმცოდნე ადამიანად. მაგიდასთან ყოფნის დროს ის ჭამს და ლაპარაკობს, ლაპარაკობს და ჭამს. თავის მარჯვნივ მყოფ, შეუხედავ ქალბატონს, ის უმტკიცებს, თუ რა ლამაზია, ხოლო მარცხნივ მყოფ, უგემოვნოდ ჩაცმულ ქალს არწმუნებს, რომ ზედმიწევნით გემოვნებით არის ჩაცმული და თუ მასპინძელი ქალბატონის სიახლოვეს აღმოჩნდა, უმალ ეტყვის მას, რომ ასეთი გემრიელი კერძები არსად და არასდროს უჭამია. ის ყოველთვის ყურადღებით არის და მზად არის გასცეს ყველა კითხვას პასუხი და თანაც ისე გასცეს, რომ მსმენელმა არ მიიღოს, უარყოფითად ან დადებითად".

მიუხედავად მოყვანილი ანეკდოტური მაგალითებისა, საერთაშორისო ურთიერთობათა ისტორია და დიპლომატია არც თუ მწირია ისეთი დიპლომატების წყალობით, რომლებმაც შორს გაუთქვეს სახელი თავიანთ ქვეყნებს და საკუთარ თავსაც. ანტიკური მსოფლიოდან დაწყებული, გასული საუკუნით დამთავრებული, ისტორიაში მრავლად შეხვდებით დიპლომატიურ პერსონაჟებს, რომლებსაც მოჭარბებულად ჰქონდათ განვითარებული პოლიტიკური ხედვა, საერთაშორისო საკითხების ფუნდამენტური ცოდნა, ეკონომიკის, კულტურის სხვა დარგების ცოდნა, რაც ყოველთვის პატივისცემასა და მოკრძალებას იწვევდა საზოგადოებაში.

რა პროფესიონალური თვისებებით უნდა იყოს დაჯილდოებული დიპლომატი? რა განათლების და გონების მატარებელი უნდა იყოს ის? რა თვისებები უნდა ჰქონდეს მას, რომ წარმატებით შეასრულოს დაკისრებული მოვალეობა? ყოველივე ამის შესახებ შევეცადეთ მოკლედ გვეთქვა ზემოთმოყვანილ თავებში, მაგრამ ურიგო არ იქნებოდა, თუ

თვალს შევაელებდით კიდევ ერთ ისტორიულ ძეგლს, სპარსული მრავალსაუკუნოვანი დიპლომატიის ნიმუშს, რომლის შეგონებანი დღესაც ისეთივე აქტუალურია, როგორც ლეგენდარული მანუს კანონები. უძველესი სპარსული ხელნაწერი "დასტურ ალ მულუკი" – არაბუსტი თარგამანით, "მეფეთათვის რჩევა" VI თავში აღწერს ელჩისა და ელჩობის სახეს და მის მნიშვნელობას სახელმწიფოსათვის.

"ჩემო ძვირფასო, ელჩს უნდა შეეძლოს ისე მოხერხებულად და სხარტად ატრიალოს ენა, როგორც ალაპლაპებული ხმალი. მისი სიტყვების წვერში უნდა იყოს მარგალიტების სირბილე. თუ მისი სიტყვის დასაწყისი აღინიშნება სიმკაცრით, შემდეგ, სიმკაცრე რბილი მაკრატლით უნდა მოჭრას. თუ თავისი სიტყვის დასაწყისში ის მუქარას გამოთქვამს, სიტყვის დასასრულს მან კეთილი სიტყვები უნდა გამოიყენოს, იმისათვის, რომ სასიამოვნო სიტყვებმა გაათავისუფლოს გული სიბრაზისაგან, რათა ტკბილმა გამოსვლამ მოწინააღმდეგის შუბლზე გაასწოროს ნაოჭები. ჩემო ძვირფასო, გამოცდილებით არის დამტკიცებული, რომ ელჩად არ შეიძლება გაიგზავნოს შემდეგი სახის ადამიანები: პირველი, რომელიც იტანდა შეურაცხყოფას მეფისაგან. მეორე, რომლის ქონება და პატივი მეფის გაცხარების ქარიშხალმა შთანთქა. მესამე, რომელიც დათხოვილია სამსახურიდან. მეოთხე, რომელიც საკუთარი ბედნიერებისათვის ფიქრობს, რითაც ენებს საკუთარ ქვეყანას. ასეთი ადამიანების გული ეკლებით არის დახვრეტილი. თუ ასეთი ადამიანი ჩათვლის, რომ მტერს გამარჯვებისათვის მეტი ძალა გააჩნია, ვიდრე საკუთარ ქვეყანას, ხელსაყრელ მომენტში ის აუცილებლად იფიქრებს მეფის ღალატზე. ჩემო ძვირფასო, ელჩი ყოველთვის ყურადღებით უნდა იყოს ორ საკითხთან დაკავშირებით: პირველი – საკუთარი ხელმწიფის მიმართ, რათა დაიცვას სახელმწიფოს ღირსება, ხელისუფლების სიდიადე. მეორე, მტრების ინტრიგების მიმართ. სრულყოფილი აზროვნების ადამიანი სიტყვებით აწესრიგებს ვითარებას, რომელსაც ხშირად მრავალრიცხოვანი ჯარიც ვერ უშველის. ჩემო ძვირფასო, ყურადღებით მოიქეცი გასაგზავნი ელჩის შერჩევის დროს, ვინაიდან ელჩი არის მეფის ენა. საჭიროა, რომ ელჩი იყოს ჭკვიანი და გამოცდილი ადამიანების წრი-

დან, მხატვრულად მოლაპარაკე. ელჩი უნდა იყოს მცოდნე, გაბედულად მოლაპარაკე. რაც არ უნდა ჰკითხონ, მან ყველაფერზე უნდა გასცეს პასუხი. ისე გამოთქვას თავისი სათქმელი, როგორც ამას მოითხოვს შეკრებილი საზოგადოება. ბევრი იყო ისეთი, რომელიც უხეში სიტყვებით აპირისპირებდა სახელმწიფოებს, ღუპავდა ხალხს. მეორენი, სასიამოვნო სიტყვებით ხალხს მეგობრობისთვის განაწყობდა."

ჩვენამდე მოსული სპარსული რჩევა დღესაც კარგად აღიქმება. მას დღესაც არ დაუკარგავს ის მნიშვნელობა, რის გათვალისწინება ესოდენ აუცილებელია თანამედროვე დიპლომატიაში.

ტალეირანის მიხედვით, წარმატებული საქმიანობისათვის საჭიროა სულის და რწმენის მაღალი ხარისხი. ტალეირანი ორ კატეგორიად ყოფს დიპლომატისათვის აუცილებელ თვისებებს. პირველი – დაკვირვებულობა, მოკრძალება, სულის სიდიადე, რომელიც ადამიანს უქმნის ამაღლებულ შეგრძნებას წარმოადგინოს ქვეყანა საზღვრებს გარეთ. მეორე – სულიერი მიდრეკილება, შეისწავლოს პოლიტიკური ურთიერთობები. უნარი, კარგად და სწრაფად ჩაწვდეს შეკითხვის არსს, ვინაიდან არც ერთი სხვა სამსახური არ მოითხოვს სასწრაფოდ და ხშირად წამებში რეაგირებას, როგორც დიპლომატია. აზროვნების მასშტაბურობა, ვინაიდან ყველა დეტალი ერთ მთლიანობაში უნდა იყოს თავმოყრილი.

გარდაცვალებამდე თვენახევრით ადრე, 1838 წლის მარტში, ტალეირანი სიტყვით გამოვიდა პარიზის აკადემიის წინაშე და ილაპარაკა სანიმუშო დიპლომატის თვისებების შესახებ. მისი აზრით, საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური განყოფილების ხელმძღვანელის მოქმედება და ქცევა უნდა იყოს მარტივი, უბრალო, სწორი, თავმდაბლური; მას არ უნდა ახასიათებდეს უაზრო ფუსფუსი. მან თავი უნდა მიუძღვნას საქმეს. რასაც აკეთებს, უნდა იქონიოს საიდუმლოებაში. ის ყოველთვის მზად უნდა იყოს მოვლენებისა და ადამიანთა დასახასიათებელი ცნობარის მოსამზადებლად. მან უნდა იცოდეს ყველა ხელშეკრულება, მათი ქრონოლოგია და თარიღები. ის ზუსტად უნდა აფასებდეს ხელშეკრულების ძლიერ და სუსტ მხარეებს. მან უნდა იცო-

დეს მოლაპარაკებაში მონაწილე მთავარი პირები და მათი ოჯახური კავშირები. საგარეო საქმეთა მინისტრთან დაკავშირებით ტალეირანი ამბობდა, რომ მინისტრს აუცილებელია ჰქონდეს თავისებური ინსტინქტი, რომელიც სწრაფად უკარნახებს, როგორ მოიქცეს, რათა მოლაპარაკებათა დასაწყისში არ აღმოჩნდეს კომპრომენტირებული. მას უნდა ჰქონდეს ისეთი თვისება, თავი წარმოაჩინოს გულწრფელად, იმავდროულად შეინარჩუნოს შეუღწევადობა. იყოს თავშეკავებული და იმავდროულად ფრთხილი, თუნდაც საკუთარი თავის გაროობის შერჩევის დროს. ის ყოველთვის უნდა იყოს ბუნებრივი და გულუბრყვილო, როდესაც სვამს მოულოდნელ შეკითხვებს. ერთი სიტყვით, 24 საათის განმავლობაში ის ყოველთვის უნდა იყოს მინისტრი.

ჟ. კამბონი, ფრანგი დიპლომატი, გადაუჭარბებლად აღნიშნავს, რომ მან არ იცის სხვა ისეთი მრავალმხრივი საქმიანობა და პროფესია, როგორიც დიპლომატიაა. კამბონი ამტკიცებს, რომ არ არის ისეთი პროფესია, სადაც ასე ცოტაა მყარი წესები და ასე ბევრია ტრადიციებზე დაფუძნებული მოქმედება, სადაც წარმატების მისაღწევად საჭიროა მიზანსწრაფულობა, სადაც მიღწევა დამოკიდებულია შემთხვევითობაზე, სადაც ასე საჭიროა დისციპლინა და სადაც ადამიანს უნდა ჰქონდეს მტკიცე ხასიათი და დამოუკიდებელი აზროვნება.

ის თვისებები, რომელიც უნდა ჰქონდეს ელჩს და რომელიც ელჩს შეეფერება, განსხვავებული უნდა იყოს მინისტრის თვისებებისაგან. ეს უკანასკნელი აგროვებს თავისი ელჩების მიერ მოწოდებულ ინფორმაციებს მსოფლიოს ქვეყნებიდან, აწონ-დაწონის მათ, ხელს უწყობს საკუთარი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის განხორციელებას, უნარჩუნებს რა მას ერთიანობასა და წარმატებას. ელჩი ექვემდებარება საკუთარი მთავრობის ინსტრუქციებს, ინფორმაციას აწვდის მას. აწვდის განმარტებებს, აფრთხილებს, ზოგჯერ ამუხრუჭებს მის მოქმედებას. აზროვნების დამოუკიდებლობამ ის არ უნდა მიიყვანოს დისციპლინის დარღვევამდე. მეორეს მხრივ, თუ ელჩი ვერ ახერხებს იმაზე მეტი იყოს, ვიდრე საფოსტო ყუთი, ის სახიფათოა საკუთარი ხელისუფლებისათვის. კამბონი მიიჩნევს, რომ ყველაზე აუცილებელი თვისება,

რაც დიპლომატს უნდა ჰქონდეს, არის მორალური ავტორიტეტი. მისმა ლოიალურობამ ისეთი რწმენა უნდა ჩაუნერგოს მთავრობას, რომელსაც ის წარმოადგენს, რომ მისი სიტყვები არ აჩენდეს უნდობლობას.

დიპლომატიური წარმომადგენლები იცნობენ ერთმანეთს, ურთიერთობენ ერთმანეთთან მრავალი წლის განმავლობაში. მათი სახელები ცნობილია ხელისუფლებისათვის, დიპლომატიური სამსახურებისათვის. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც დიპლომატი პირადად ხვდება მეორე ქვეყნის უცნობ წარმომადგენელს, ეს მხოლოდ მოჩვენებითი "უცნობია". ორივენი ერთმანეთზე წინასწარ არიან გათვითცნობიერებულები. შეიძლება ასე ითქვას, რომ არსებობს დიპლომატიური რეპუტაციის საერთაშორისო "ბირჟა" და რაც უფრო მაღალია დიპლომატის რეპუტაცია, მისი "მორალური ავტორიტეტი", ის ცნობილია, როგორც თავისი სიტყვის შემსრულებელ კეთილსინდისიერ პიროვნებად. ასეთს უფრო მეტი სარგებლის მოტანა შეუძლია საკუთარი ქვეყნისათვის, როგორც მოლაპარაკების, ისე ცენტრალურ აპარატში მუშაობის, ან საელჩოში მოღვაწეობის დროს.

კამბონის აზრით, თუ ელჩს სურს ჰქონდეს წარმატება, მან თავი უნდა მოაწონოს იმას, ვისთანაც არის აკრედიტებული. იმისათვის, რომ მან კარგად შეასრულოს თავისი დავალება, საკუთარ თავს უნდა შეუქმნას გარკვეული მდგომარეობა მასპინძელი ქვეყნის საზოგადოებაში. მან თავი უნდა აარიდოს ზედმეტ ხმაურს და გაცხარებას.

რაც შეეხება მორალურ ავტორიტეტსა და დიპლომატის ლოიალურობას, უნდა ითქვას, რომ საკუთარი ქვეყნის მიმართ ლოიალურობის დარღვევის ფაქტებს იშვიათად აქვს ადგილი და თუ ეს ხდება, მაშინ დიპლომატი აღარ არის დიპლომატი. ის კარგავს იმ მთავარ თვისებას, რაც მას დიპლომატად ხდის ანუ სახელმწიფოს წარმომადგენლობა, საკუთარი ქვეყნის ინტერესების დაცვა. ფაქტიურად ის მოღალატე ხდება. სხვაგვარია ელჩის ლოიალურობა მასპინძელი ქვეყნის მთავრობასთან მიმართებაში. ამ შემთხვევაში ლოიალურობა შესაძლოა იყოს ისეთ მოქმედებაში, როგორიცაა მასპინძელი ქვეყნის მთავრობისა და პოლიტიკური ცხოვრების შესახებ შეულამაზებელი, ზუსტი ინფორმაციის

მიწოდება საკუთარი მთავრობისათვის. ინფორმაცია ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან საუბრების შესახებ არ უნდა შეიცავდეს გამოგონილ დრამატიზმს, რამაც შეიძლება დაძაბოს ორი ქვეყნის ურთიერთობა. ელჩის ვალია ადგილობრივ თანამდებობის პირებთან ნორმალური დამოკიდებულების ჩამოყალიბება, ადგილობრივი წესების, ჩვეულების, კულტურისადმი პატივისცემის გამოხატვა. ყოველივე აღნიშნული გაზრდის დიპლომატიური წარმომადგენლის მორალურ ავტორიტეტს ადგილსამყოფელ ქვეყანაში – ასეთია კამბონისეული შეფასება.

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, ჰაროლდ ნიკოლსონი თავის წიგნში "დიპლომატია", შეეცადა დაეხატა იდეალური დიპლომატის პორტრეტი. მან ჩამოთვალა დიპლომატისათვის აუცილებელი შვიდი თვისება: სიმართლე, სიზუსტე, სიმშვიდე, თანაბარი ხასიათი, მოთმინება, თავმდაბლობა, ლოიალურობა და განმარტა თითოეულის მნიშვნელობა. სიმართლეში – არა მარტო ტყუილისაგან თავშეკავება იგულისხმება, არამედ ზრუნვა იმისათვის, რომ არ იქნას დაშვებული ოდნავი შეცდომა, გადახრა ტყუილისაკენ ან სიმართლის დამალვა. თუ დიპლომატმა თავისდა უნებურად შეცდომაში შეიყვანა პირი, რომელთანაც ის აწარმოებს მოლაპარაკებას, ან თუ მის მიერ მიწოდებული გვიანი ცნობები ეწინააღმდეგება ადრინდელს, უმალ უნდა გამოასწოროს შექმნილი გაუგებრობა.

"არასდროს არ უარყო კატეგორიულად მართალი განცხადებები და არ ამტკიცო ცრუ და ტყუილი" – ასე მოუწოდებს ნიკოლსონი დიპლომატებს.

სიზუსტეში – ნიკოლსონი გულისხმობს არა მარტო აზროვნების სიზუსტეს, არამედ მორალურ სიზუსტესაც. ზემოთ უკვე ვისაუბრეთ წერილობით დიპლომატიაში ფორმულირებათა სიზუსტის მნიშვნელობაზე, სიტყვებისა და შინაარსის ადეკვატურობის თაობაზე. ამ შემთხვევაში ყურადღებას გავამახვილებთ შემდეგზე: პროფესიონალი დიპლომატი იშვიათად დანაშაულდება ინტელექტუალური უზუსტობისათვის, მაგრამ მორალური უზუსტობის მხრივ ის ყოველთვის განსჯის საგანი შეიძლება გახდეს, მაგალითად, თავის შეკავება მოვლენათა განვითარების პროგნოზირებისა

და გაბედული აზრის გამოთქმისაგან. ნიკოლსონი განმარტავს, რომ დიპლომატმა არ უნდა იყოყმანოს და მასპინძელ ქვეყანაში მიმდინარე პროცესები დროულად შეატყობინოს თავის ხელისუფლებას. ორაზროვანი დოსიე და პროგნოზი ელჩს მისცემს საშუალებას თავისი მოსაზრება სხვადასხვაგვარად ასახოს, მაგრამ ის დიდ სარგებელს არ მოუტანს საკუთარ ხელისუფლებას და აქედან გამომდინარე, არაფერს შემატებს ელჩის რეპუტაციას. მორალური უზუსტობა იმაში გამოიხატება, რომ ელჩი, ცდილობს რა, იქონიოს მასპინძელი ქვეყნის ხელისუფლებასთან კარგი ურთიერთობები, ალამაზებს ვითარებას, ან უფრო ზუსტად, საკუთარ სახელმწიფოს აწვდის შელამაზებულ ინფორმაციას. მეორე – იღებს რა საკუთარი ხელისუფლებისაგან ადგილსამყოფელი ხელისუფლებისათვის გამიზნულ მკაცრ ინსტრუქციებს, დიპლომატი ცდილობს შეარბილოს ის, რათა გაღიზიანება არ გამოიწვიოს მასპინძლებში, რაც მოლიანობაში ენებს საერთო საქმეს. საკუთარი ქვეყნისადმი ლოიალურობის დარღვევად ითვლება ის, როდესაც დიპლომატი მასპინძელი ქვეყნის ხელისუფლებას გადასცემს საკუთარი მთავრობის განცხადებას და თან, იმავდროულად, სახის მიმიკით, ჟესტებით, აგრძნობინებს მასპინძლებს, რომ ის არაფერ შუაშია. რა ქნას, როდესაც მისი მთავრობა მოითხოვს ამას.

წინდახედულობა დიპლომატიაში მნიშვნელოვანი თვისებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ადგილი არ ჰქონდეს აჩქარებას, მასპიძელ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლეინის შეფასებისას, არ მოხდეს მხოლოდ ადგილობრივი სახელმწიფო მოღვაწეების გამონათქვამებიდან დასკვნების გაკეთება, არ მოხდეს გადაუმოწმებელი ფაქტების გამოყენება. ფაქტი უნდა ეფუძნებოდეს ფაქტს და არა გაზვიადებულ დეზინფორმაციას.

შიშში არ გადასული, განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო დიქტატორულ მთავრობათა წარმომადგენლებთან კავშირების დამყარების დროს.

მორალური სისუსტე, ალკოჰოლური სასმელებისადმი მიდრეკილება, ენაწყლიანობა, ლაქლაქი და სხვა მანკიერე-

ბანი შეუთავსებელია დიპლომატიური საქმიანობისათვის. დიპლომატმა თავი არ უნდა გაჰყოს საეჭვო საქმეში.

ნდობას ის დიპლომატი იმსახურებს, რომლის სიტყვა ავტორიტეტულია, რომლის მოქმედების სტილი თავისთავად აისახება ორი სახელმწიფოს ურთიერთობის კონტურებში. რაც უფრო მაღალი თანამდებობა უკავია ოფიციალურ პირს ან რაც უფრო ახლოა ის ხელისუფლებასთან, მით უფრო ავტორიტეტულია მისი გამონათქვამები, შეფასებები, პროგნოზები.

ნიკოლსონის მიხედვით, ელჩისათვის უპირველესი შესასრულებელი წესია – არც ერთ შემთხვევაში არ მოადუნოს ყურადღება თავის მიერ გაკეთებულ განცხადებებთან და ქცევასთან დაკავშირებით. საკუთარი ქვეყნის პოზიციების გამოსახატავად იცოდეს მისი ქვეყნის პოლიტიკა. თუ ელჩმა არ იცის რომელიმე საკითხი, უმჯობესია გაჩუმდეს ან თქვას, რომ არ იცის, ვიდრე დაიწყოს იმპროვიზაცია. საქმის, საკითხის ცოდნა დიპლომატს აძლევს სრულ შესაძლებლობას, იყოს თავისუფალი და დაჯერებული მოლაპარაკების მსვლელობის დროს.

გამოუცდელი დიპლომატები ხშირად უხერხულ მდგომარეობაში იგდებენ თავს, როდესაც ოპონენტთან საუბრის დროს ცდილობენ, ზედმიწევნით ინფორმირებულად მოაჩვენონ მას თავი. დიპლომატიის ოქროს კანონია – ნუ შეეცდები თავის მოჩვენებას იმაზე მეტად, ვიდრე ხარ. მხოლოდ ორი მოსაუბრის პასუხისმგებლობა, თანამდებობიდან გამომდინარე განცხადებათა სერიოზულობა, გადააქცევს დიპლომატთა ლაპარაკს დიპლომატიისათვის შესაფერისად.

თავის ქება დიპლომატის ყველაზე მანკიერი თვისებაა. ნიკოლსონის აზრით, დიპლომატის ნეგატიური თვისებებიდან თავის ქება ყველაზე მეტად მიუღებელია. მაგალითად, შეიძლება მოვიყვანოთ საუბრის ჩანაწერი. საელჩოში დაბრუნებული დიპლომატი წერს ყოველივეს, რასაც ადგილი ჰქონდა კოლეგა დიპლომატთან შეხვედრის დროს და ჩანაწერს ასე ამთავრებს: "საუბრის დასასრულს, მეორე მხარემ გამოთქვა სურვილი შევხვდეთ ერთმანეთს, ვინაიდან მას სიამოვნებს ჭკვიან ადამიანთან საუბარი".

როდესაც ელჩს ან მაღალი რანგის დიპლომატს იწვევენ ადგილსამყოფელი ქვეყნის საგარეო უწყებაში, მან წინასწარ არ იცის რა მოელის. შესაძლოა ეს იყოს დაკავშირებული ჩვეულებრივ ტექნიკურ საკითხთან. მაგალითად, საელჩოს შენობის მშენებლობასთან, ან ისეთ საკითხებთან, როგორებიცაა დიპლომატის პერსონა ნონ გრატად გამოცხადება, საკუთარი ქვეყნის პოლიტიკური განცხადებიდან გამომდინარე პროტესტის გამოხატვა, დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტა, ომის გამოცხადება და სხვა. ასეთ შემთხვევაში დიპლომატის ყველაზე სასარგებლო მრჩეველი თავშეკავება, ხასიათის სიმტკიცე და აუღელვებლობაა.

ზემოთ მოყვანილი მაგალითები, თუ როგორი უნდა იყოს დიპლომატი, უფრო სურვილია, ვიდრე რეალობა. იმას, რასაც ისტორიულად სახელგანთქმული დიპლომატები მოითხოვენ დიპლომატიისა და დიპლომატისაგან, საყურადღებოა და სახელმძღვანელოდ მისაღები. და თუ იმ უამრავი მოთხოვნიდან, რაზეც გვქონდა ლაპარაკი, ნახევარი მაინც გათვალისწინებული იქნება, წარმატებული დიპლომატიისა და დიპლომატის სრულყოფილი პორტრეტის შექმნას წინ აღარაფერი დაუდგება.

სწორი და მართებულია დიპლომატის ხარისხიანი მუშაობისა და ღირსების შესახებ საკითხის დასმა, თუმცა ეს მარტო დიპლომატს არ უნდა ეხებოდეს, ეს მთლიანად საგარეო უწყების საქმიანობის დამახასიათებელი უნდა იყოს. დიპლომატის ღირსების ერთ-ერთი მთავარი მიმანიშნებელი საკუთარი შესაძლებლობების ობიექტური შეფასების უნარი უნდა იყოს. თუ დიპლომატს შეუძლია დაინახოს, რა არის მისი, როგორც დიპლომატის სუსტი მხარე, მაშინ მას შეეძლება თავის გაკონტროლება, კოლეგების ხელშეწყობით სისუსტის კომპენსირება. თუ ელჩი, დეპარტამენტის დირექტორი, სხვა მაღალი რანგის დიპლომატი ხედავს, რომ უჭირს კონტაქტების დამყარება, უმჯობესია ეს საქმე იმას მიანდოს, ვისაც ეს ეხერხება. თუ მაღალი თანამდებობის დიპლომატს არ შეუძლია დიპლომატიურ დოკუმენტებზე მუშაობა, მან ისეთი თანამშრომლები უნდა შემოიკრიბოს, რომლებიც გაწაფულნი არიან ამ საქმეში. ერთი სიტყვით, კარგი ელჩი ნიშნავს კარგ საელჩოს. ეს არა მარტო საელ-

ჩოს ეხება, არამედ საგარეო საქმეთა სამინისტროს სამსახურებსაც.

"დიპლომატია" – წერს ცნობილი ამერიკელი თეორეტიკოსი, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი თომას შელინგი – "ვაჭრობაა. ის მიისწრაფის შედეგისაკენ, რომელიც შესაძლოა, არც ერთი მხარისათვის არ იყოს იდეალური, მაგრამ იყოს უკეთესი ორივესათვის. დიპლომატიაში თითოეული მხარე, გარკვეული ხარისხით, აკონტროლებს მეორე მხარის სურვილს. რისი მიღება შეუძლია მეორე მხარეს კომპრომისის შემთხვევაში? ან თანამშრომლობით? რა სჯობს – ყველაფრის საკუთარ ხელში მოქცევა და მეორე მხარის სურვილების იგნორირება? ვაჭრობა შესაძლოა იყოს თავაზიანი და უხეში, მუქარის შემცველი, ისევე, როგორც სტატუს-კვოს დამშვები ან უფლებათა, პრივილეგიათა უგულებელმყოფელი, უფრო მეტად დაფუძნებული უნდობლობაზე, ვიდრე ნდობაზე. მიუხედავად იმისა, თავაზიანია თუ არა, კონსტრუქციულია თუ აგრესიული, პატივისმცემელია თუ შეურაცხმყოფელი ოპონენტების ერთმანეთთან დამოკიდებულება, მიუხედავად იმისა, ვაჭრობა მეგობრებს თუ ანტაგონისტურად განწყობილთა შორის მიმდინარეობს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა საკმარისი ნდობის ატმოსფერო, აუცილებლად უნდა არსებობდეს საერთო ინტერესები, თუნდაც იმაში, რომ მხარეებმა გვერდი აუარონ ისეთ მომენტებს, რომლებიც ზიანს მოუტანენ მათ. მხარეებს უნდა ჰქონდეთ შეგნებული, რომ არსებობს ისეთი რამ, რასაც ორივემ პატივი უნდა სცეს – ეს არის ორივე მხარისათვის მისაღები შედეგი".

შელინგი იმასაც წერს, რომ "თანამიმდევრულობა დიპლომატიაში, ყოველთვის არ არის მოქმედების არჩევანის საუკეთესო გზა. შესაძლოა იყოს ისეთი ვითარება, როდესაც მხარე შეეცდება დაარღვიოს წესები, უარი განაცხადოს მის მიერ ადრე გამოთქმულ მოსაზრებებზე, შოკი მოჰგვაროს ოპონენტს, გამოიყვანოს ის მდგომარეობიდან, გამოავლინოს არასანდოობა, გამოიწვიოს მოწინააღმდეგე ასეთივე ქმედებისათვის, გამოავლინოს მტრული განწყობა, გააუკულმართოს დიპლომატიური კონტაქტების არსი და ისე წარმოაჩინოს საკუთარი ნეგატიური ქცევა, თითქოს ეს იყოს წინა

მოვლენებიდან გამომდინარე ლოგიკური ნაბიჯი. ეს ყველაფერი დიპლომატიაა. არის მომენტები, რომლებიც გვკარნახობენ, იყო უხეში, წესებისა და კანონების დამრღვევი, მოქმედებდე მოულოდნელად, შოკის მომგვრელად, ეშმაკურად, ავლენდე აგრესიული, შემტევი ადამიანის სახეს. მაგრამ არის მომენტები, და ასეთები მეტია, როდესაც საჭიროა, იყო ტრადიციებისა განუხრელი მიმდევარი, გარკვეულ რისკზე წამსვლელი."

შელინგი მიიჩნევს, რომ ვაჭრობის მთავარი პირობაა – ძალის გამოყენებით დაშინება. მეცნიერი გვირჩევს მხარის მიერ ისეთი იმიჯის შექმნას მოწინააღმდეგის აზროვნებაში, რომლისგანაც კარგს არასოდეს უნდა მოელოდეს, რომ მისი ნაბიჯი უფრო ახლოა გაუთვალისწინებლობასთან, ვიდრე გონიერებასთან. ასეთ დროს მხარე ცდილობს დაარწმუნოს მოწინააღმდეგე მუქარის რეალობად ქცევაში, რათა გარკვეული ზემოქმედება მოახდინოს ოპონენტში. მუქარის განხორციელების რეალურობა ანუ მუქარით მოწინააღმდეგის ნამდვილი დაშინება მაშინ მიაღწევს მიზანს, თუ მხარეს აქვს უნარი, სიტყვა საქმედ აქციოს. შელინგის მიხედვით თანამშრომლობაც კი სხვაგვარად აღიქმება. ეს ისეთი "თანამშრომლობაა", რომელიც მოწინააღმდეგეს თავს უნდა მოახვიო".

ავტორის მიხედვით და არა მარტო მისი, არამედ სხვათა აზრითაც, დიპლომატიის მთავარი კოზირი – ძალაა. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც არ გინდა ამ კოზირის გამოყენება, მოიტყუე. დაე, პარტნიორი ყოველთვის იყოს შიშის ქვეშ, რომ ეს კარტი გამოყენებული იქნება.

"მოლაპარაკება – ვაჭრობაა. რას წარმოადგენს დიპლომატია? თქვენ სთავაზობთ რაღაცას და თქვენ გთავაზობენ რაღაცას. საქმე მთავრდება იმით, რომ მოილაპარაკებთ. აი, ეს არის ყველა სიბრძნე". ეს სიტყვები ლავალმა 1935 წელს წარმოთქვა მუსოლინისთან მოლაპარაკების დროს. ლავალმა სიცოცხლე სახრჩობელაზე დაასრულა.

ლავალი ერთ რამეში მართალი იყო – „თქვენ სთავაზობთ რაღაცას და თქვენ გთავაზობენ რაღაცას. საქმე მთავრდება მოლაპარაკებით." დიპლომატიის მიზანიც სწო-

რედ ის არის, რომ მოლაპარაკებით გადაწყვიტოს საკამათო საკითხები.

XX საუკუნის 70-იანი წლების უმნიშვნელოვანესი დიპლომატიური წარმატება იყო კოლექტიური შეთანხმება, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჰელსინკიში. დასკვნით აქტზე მუშაობა 1972 წლის 22 ნოემბრიდან 1973 წლის 8 ივნისამდე გრძელდებოდა. მასში მონაწილეობას ღებულობდა 35 ქვეყნის წარმომადგენელი. დოკუმენტზე მუშაობა ელჩების და ექსპერტების დონეზე დაიწყო – გაგრძელდა მინისტრების დონეზე, ხოლო დასრულდა 35 ქვეყნის მეთაურის ხელის მოწერით. მუშაობა სამ ეტაპად მიმდინარეობდა. ბოლო, მესამე ეტაპი გაიმართა ჰელსინკიში 1975 წლის 30 ივლისს და პირველ აგვისტოს. ევროპის 33 სახელმწიფოს, აშშ-ს და კანადის უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს დიპლომატიურ დოკუმენტს, რომელიც არ იყო საერთაშორისო ხელშეკრულება, მაგრამ ხელის მოწერამ მას მიანიჭა გარკვეული პოლიტიკური მნიშვნელობა და მორალური ძალა. მანამდე კი იყო მრავალთვიანი დიპლომატიური ჭიდილი, აზრთა სხვადასხვაობა, მათი შეჯერება. იმისათვის, რომ ფრაზა, წინადადება ასახულიყო დოკუმენტში, საჭირო იყო მისი 35 ქვეყნის ექსპერტების მიერ განხილვა. თითოეულ მათგანს უნდა გამოეთქვა თავისი მოსაზრება, უნდა ჩაეთვალა, რომ "სიტყვა" მისაღებია. ეს არ არის გასაკვირი, ვინაიდან ჰელსინკის დასკვნითი აქტი 35 კალმისტრით იწერებოდა სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკური სისტემის წარმომადგენელთა ხელით. პრობლემათა დაძლევისათვის კულმინაციურ დროს ცხადდებოდა "კოფე ბრეიკი" – შესვენება ყავის დასალევად, მაგრამ ყავისთვის არავის ცხელოდა. შესვენების დროს მიმდინარეობდა საკამათო სიტყვების, ფორმულირებების ერთმანეთთან შეჯერება. სამუშაო უაღრესად შრომატევადი იყო. ტექსტი დგებოდა ინგლისურად, რუსულად, ფრანგულად, გერმანულად, ესპანურად, იტალიურად. ყველა მათგანი იდენტური აზრის მატარებელი უნდა ყოფილიყო. დელეგაციების ხელმძღვანელთა პირისპირ შეხვედრების დროს ადგილი ჰქონდა ერთმანეთის ზონდირებას. დოკუმენტზე ხელის მოწერამდე, რამდენიმე თვის განმავლობაში დიდი სიფრთხილით, თანდათან, მრავა-

ლეტაპობრივად, მიმდინარეობდა პოზიციათა შეჯერება. მხარეებმა გამოავლინეს საათის ხელოსნის მოთმინება და იუველირის ფილიგრანულობა.

საქმეში ჩაუხედავი ადამიანისათვის, ახალბედა დიპლომატისათვის, ძნელია დიპლომატიაში არსებული ნიუანსების უსწრაფესად ჩაწვდომა, ოპონენტის მისწრაფებების და მიზნების უმალ გაგება, საკუთარი გონების რენტგენში გატარება. ამისათვის დრო არის საჭირო, არა ერთი და ორი წელი, თეორიისა და პრაქტიკის ერთმანეთთან შეხამება, ნამდვილი დიპლომატისათვის საჭირო ცოდნა-გამოცდილების შეძენა და რაც მთავარია, შეძენილი ცოდნის სისტემაში მოყვანა, მისი ეფექტიანი გამოყენება პრაქტიკაში.

ზემოთ იყო აღნიშნული რანგიდან რანგზე გადასვლის თაობაზე. ერთი რანგიდან მეორეზე გადასვლას დრო ესაჭიროება — მინიმუმ სამი წელი. ეს წესი მარტო ახალგაზრდა ქართულ დიპლომატიაში არ არის შემოღებული — ის ყველგან, ყველა ქვეყანაში არსებობს. მის წიაღში მექანიკური აზრი არ არის ჩადებული. რანგიდან რანგზე გადასასვლელი სამი წელი დიპლომატის ჩამოყალიბება-დახვეწისათვის არის შემოღებული. წესის დარღვევა, ანუ ახალბედა დიპლომატის, დიპლომატიური საქმიანობის დასაწყისშივე, მაღალი დიპლომატიური რანგით დასაჩუქრება, კანონით არ ისჯება, მაგრამ მსგავსი ზერელეობა, ფუქსავატური დამოკიდებულება, არა მარტო დიპლომატიას აზიანებს, არამედ სახელმწიფოსა და მის პოლიტიკას. მხოლოდ უმწიფარ ქართულ დიპლომატიას, მის მერკანტილურობას და სახელმწიფოს პირველი პირის ზერელეობას, საქმეში გაუთვითცნობიერებლობას (ელჩისა და დესპანის რანგებს ქვეყნის პრეზიდენტი ანიჭებს) უნდა მიეწეროს 1998–1999 წლებში, საგარეო საქმეთა სამინისტროში, ქუჩიდან მისული და დეპარტამენტის დირექტორად დანიშნულ პირთათვის პირველის და ისიც უმაღლესის — საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის რანგის მინიჭება.

დიპლომატის საქმიანობა სხვაგვარი საზომით იზომება. საზომის ოდნავი გადაცდომა მეტობის ან ნაკლებობისაკენ არაობიექტურობის კლასიკურ ბარომეტრად იქცევა და ფართო დიპლომატიურ გზას ხსნის უნიჭოდ შესრულებული

ხელშეკრულების შედგენისაკენ, უშედეგო მოლაპარაკებისაკენ, ქვეყნებს შორის პოლიტიკური ურთიერთობის დაძაბვისაკენ, საომარი ვითარების შექმნისაკენ და სხვა.

თუ მკითხველი, თუნდაც წამიერად საკუთარ თავს წარმოიდგინს დიპლომატის ადგილას პასუხსაგები დოკუმენტის შედგენის დროს ან მოლაპარაკების მსვლელობისას, დაინახავს უდიდეს ფსიქოლოგიურ დატვირთვას, რომელსაც აქვს ადგილი. დიპლომატი სერიოზული განცდების ქვეშ იმყოფება. მას, მეორე მხარე, მინიშნებით აგრძნობინებს, ოდნავ მაინც შეცვალოს ადრინდელი პოზიცია. ერთი შეხედვით, უმნიშვნელო შეცვლა დიდად არ დააზიანებს მისი ქვეყნის მდგომარეობას, ხელს შეუწყობს ჩიხიდან გამოსვლას, მაგრამ დიპლომატმა იცის, რომ მისი ოპონენტი საკუთარი ხელისუფლების წნეხის ქვეშ იმყოფება. სწორედ წნეხი აიძულებს მას მეორე მხარის "შეცდენას". დიპლომატმა იცის, რომ მისმა ოპონენტმაც იცის ამის შესახებ. რა გამოდის? მან იცის ის, რაც თქვენ იცით. ამ შემთხვევაში სად არის გამოსავალი?

მხოლოდ გამოცდილება, დიპლომატიური ცოდნა და ინტუიცია, დროის ზუსტი შერჩევა იძლევა იმის საშუალებას, რომ ორივე მხარე და არა ერთი, ღირსეულად გამოვიდეს მდგომარეობიდან. ასეთ დროს, ერთი მხარე იღებს ინიციატივას. შესატყვისი ტერმინოლოგიით, პარტნიორის ღირსების სრული პატივისცემით ცდილობს პოზიციის ჩამოყალიბებას და თუ მეორე მხარე ჩათვლის, რომ ინტერესთა ბალანსი დაცულია, შეთანხმებას, წინ არაფერი დაუდგება.

მსხვილი საერთაშორისო საკითხები სწრაფად არ წყდება, მით უმეტეს არ წყდება თავისთავად. როგორც წესი, საჭიროა დრო, აქტიური, იმავდროულად მოთმინებითი ძალისხმევა, ამოცანის ამოხსნის გზების ძიება. მოვლენათა მიმდინარეობა გვაკარნახობს, რომ 21-ე საუკუნეში, დედამიწაზე მშვიდობის შენარჩუნება ნაკლებად შესაძლებელი იქნება ტექნიკური საშუალებებით. მხოლოდ პოლიტიკური ნება, გონიერი საგარეო პოლიტიკა არის გზა მშვიდობისაკენ, ტაძრისაკენ.

ადამიანის ცხოვრება აღსავსეა ნეგატიური და პოზიტიური განცდებით, სიხარულითა და სევდით. მისი გონება საინფორმაციო საშუალებათა შემოტევას განიცდის. ყოველი ახალი დღე ახალი ინფორმაციით, ახალი სასიამოვნო თუ უსიამოვნო ამბებით იწყება. გლობალიზაციის გრძელმა საცეცებმა საქართველომდეც მოაღწია. საქართველოს მოქალაქისათვის ტელევიზიის არხებით მოტანილი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ცუნამი და აფრიკის სახელმწიფოთა გვალვა, სამხრეთ ამერიკაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები, აშშ-სა და მეზობელი რუსეთის ურთიერთობა, ერაყისა და ავღანეთის თავსატკივარი, ახლო აღმოსავლეთის დაპირსპირება და სხვა მრავალი, ისეთივე განცდით აღიქმება, როგორც იმ ქვეყნებში. მეცნიერების განვითარებამ, სამეცნიერო-ტექნიკურმა პროგრესმა გუშინდელი შორებელი მეზობლად აქცია.

დედამიწის რომელ კუთხე-კუნჭულში – ევროპის ცენტრში თუ აფრიკის ჯუნგლებსა და საავანებში, აზიასა თუ ამერიკაში, არ უნდა იფეთქოს საომარმა მოქმედებამ, ტერორისტულმა აქტმა, რომ მან უმალ არ გამოიწვიოს დედამიწის მილიარდობით ადამიანში შეშფოთებისა და საფრთხის სიგნალი, გულისწყრომა იმათ მიმართ, ვინც ჩაიდინა დანაშაული.

რას მოიტანს დამდეგი ახალი დღე? რაში გადაიზრდება ჩვენს სიახლოვეს თუ ცხრა მთას იქით გაჩენილი საომარი ხანძარი? შეიძლება გულდამშვიდებით ველოდოთ ჟენევის ტბის სანაპიროსთან მიმდინარე მოლაპარაკებას ან გაეროს ცათამბჯენში გამართულ სხდომას? რა სიახლეს მოგვიტანს სახელმწიფოს მეთაურთა შეხვედრა?

აღნიშნულ კითხვებზე პასუხი მექანიკურად უკავშირდება საერთაშორისო ურთიერთობებს, დიპლომატიას, მის წარმატებებსა და ჩავარდნებს, მის გონიერებასა და უგუნურებას, მის მოხერხებულობას და გამჭრიახობას, სულიერ სიდიადეს და სამშობლოს სიყვარულს.

NOTE SAMPLE

No.

The Embassy of the Republic of ... in ... presents its compliments to the Ministry of Foreign [Extekral] Affairs of the Republic of... and with reference to the Ministry's Note No. ... dated 8 July 2002 has the honor to inform [to bring to the attention of] the Ministry that

_____

_____

_____

The Embassy of the Republic of ... seizes [avails itself of] this opportunity to renew to the Ministry of Foreign [Extemal] Affairs of the Republic of ... the assurances of its highest consideration.

10 August 2002
Ministry of Foreign [Extemal] Affairs,
Republic of...

ACKNOWLEDGEMENT OF RECEIPT OF NOTE

No.....

The Embassy of _____ present its compliments to the..... and has the honor to acknowledge receipt of note No ..... dated
..... the contents of which have been noted.

The _____ Embassy avails itself of this opportunity to renew to ... the assurances of its highest consideration.

Date.....

.....

.....

REQUEST FOR V.I.P. FACILITIES AT THE AIRPORT

The Embassy of the Republic of ... presents its compliments to the Ministry of Foreign Affairs of the Republic of ... and has the honor to inform the Ministry that His Excellency Mr. ... , the Ambassador, will arrive at ... (name of host capital) on flight ... coming from ... and arriving at ... (capital airport) at 1025 hrs. on Tuesday 15 June 2001.

The Embassy would appreciate it if the Ministry would transmit this information to the competent airport authorities so as to accord him the usual facilities and secure the opening of the VIP room.

While thanking the Ministry for its cooperation, the Embassy of the Republic of ... avails itself of this opportunity to renew to the Ministry' of Foreign Affairs the assurances of its highest consideration.

NOTIFICATION OF ABSENCE OF AMBASSADOR

The _____ Embassy presents its compliments to the Ministry of Foreign Affairs of Turkey and has the honor to inform them that H.E. Mr. ... , Ambassador of _____, will be absent from Ankara from ... to .....

During his absence Mr.....Counselor of the Embassy, will assume the direction of the Embassy in the capacity of Charge d'Affaires, a.i.

The _____ Embassy avails itself of this opportunity to renew to the Ministry of Foreign Affairs the assurance of its highest consideration.

Date.....

The Ministry of Foreign Affairs of Turkey

.....

.....

REQUEST FOR AN IDENTIFICATION CARD

The Embassy of ... presents its compliments to the Ministry of Foreign Affairs of the Republic of ... and has the honor to inform them that Mr. ... arrived in ... (host country) and assumed his duties as Viee-Consul at the Consulate General of... in ... on 20 February 2000.

The Embassy would highly appreciate it if a diplomatic identification card could be issued to both Mr. ... and his wife. The appropriate forms duly filled m, the required number of photos, as well as their two diplomatic passports Nos..... issued in ... on 12 January 2002 are enclosed.

The Embassy of ... avails itself of this opportunity to renew to the Ministry of Foreign Affairs the assurances of its highest consideration.

RECALL OF AMBASSADOR BY HEAD OF STATE

Her Majesty
Queen of the United Kingdom of Great Britain
and Northern Ireland

Dear and Good Sister,

The recall of His Excellency ... , Our Ambassador extraordinary and plenipotentiary in Your Majesty's Court, has been deemed necessary for another assignment, and We have therefore terminated his mission in the United Kingdom.

We are confident that during his mission he has not been sparing in his endeavors to strengthen and develop to Your Majesty's satisfaction the friendly relations happily existing between the two countries.

We avail Ourselves of this opportunity to renew the assurances of Our highest esteem and sincere friendship and to pray to the Almighty for Your Majesty's prosperity and good health.

Your Good Brother,
(Signature)

....(Palace)
Year of Our Reign

REQUEST FOR APPROVAL OF THE NOMINATION OF A NEW AMBASSADOR

The Embassy of ... presents its compliments to the Ministry of Foreign Affairs of the Republic of ... and has the honor to state that H.E. Mr. ... (name of Ambassador), the present Ambassador of the Republic of ... (name of your country) to the Republic of ... (name of host country), has completed his tour of assignment in ... (host country). He is expected to leave ... (host capital) on 4 August 2001 to assume his new post in the Ministry of Foreign Affairs in ... (capital of your country).

The Government of ... has nominated H.E. Mr. ... as its Ambassador to the Republic of... (host country).

The curriculum vitae of H.E. Mr, ... , the new Ambassador, is enclosed.

The Embassy of ... avails itself of this opportunity to renew to the Ministry of Foreign Affairs the assurances of its highest consideration.

EXT OF RESOLUTION

A

The General Assembly,

Recalling its resolution 1252 B (XJ.I1) of November 1958 and 402 (XIV) of 21 November 1959,

Considering the importance and urgency of an agreement on the prohibition of nuclear and thermo-nuclear weapons tests, with effective international control,

Noting with satisfaction that further progress with regard to such an agreement has been achieved at the negotiations in Geneva since the fourteenth session of the General Assembly and that the States concerned have voluntarily suspended such tests since the autumn of 1958,

1. *Urges* the States concerned to seek a solution for the few remaining questions, so that the conclusion of the agreement will be achieved at an early date;

2. *Urges* the States concerned in these negotiations to continue their present voluntary suspension of the testing of nuclear weapons;

3. *Requests* the parties concerned to report to the Disarmament Commission and to the General Assembly the results of their negotiations.

B

The General Assembly,

Recalling its resolutions 1379 (XIV) of 20 November 1959 and 1402 (XIV) of 21 "

November 1959,

Continuing to bear in mind the profound concern evinced by the peoples of all countries regarding the testing of nuclear and thermo-nuclear weapons and the consequences thereof,

Recognizing that, as a result of the endeavors at Geneva of the parties concerned, substantial progress had been made towards reaching agreement on the cessation of the testing of nuclear and thermo-nuclear weapons under appropriate international control,

Recognizing further that agreement on the cessation of tests of nuclear and thermo-nuclear weapons is not only imperative but urgent,

1. *Urges* the States concerned to make every effort to reach agreement as soon as possible on the cessation of tests of nuclear and thermonuclear weapons under appropriate international control;

2. *Urges* the States concerned in the Geneva negotiations to continue their present voluntary suspension oft he testing of nuclear and thermo-nuclear weapons, and requests other States to refrain from undertaking such tests;

3. *Requests* the States concerned in the Geneva negotiations:

(a) To keep the Disarmament Commission periodically informed of the progress of their negotiations;

(b) To report the results of their negotiations to the Disarmament Commission and the General Assembly.

2. SUBJECT OF RESOLUTION: ***Provision of food surpluses to food-deficient peoples through the United Nations system***

DATE ADOPTED: 27 October
1960 VOTE: Unanimous

DOCUMENT NUMBERS:

COMMITTEE REPORT TO ASSEMBLY:
Second Committee Report A / 4551

RESOLUTION AS ADOPTED BY
ASSEMBLY: A /RES/1496 (XV)

TEXT OF RESOLUTION

The General Assembly,

Considering that the peoples in many of the less developed countries suffer from serious shortages of food,

Noting with approval that the Food and Agriculture Organization of the United Nations in cooperation with the United Nations, appropriate specialized agencies, Governments of Member States and non-governmental organizations, has launched a Freedom from Hunger Campaign designed as a concerted attack on the problem of providing adequate food for food-deficient peoples,.

Recalling General Assembly resolutions 827 (IX) of 14 December 1954 and 1025 (XI) of 20 February 1957 and Economic and Social Council resolutions 621 (XXII) of 6 August 1956 and 685 (XXVI) of 18 July 1958 concerning international co-operation in the establishment of national food reserves,

Bearing in mind the existing opportunities for consultation and exchange of information provided by the Food and Agriculture Organization through its Consultative Sub-Committee on Surplus Disposal,

Recognizing that the principles of Surplus Disposal[1] And Guiding Lines[2] of the Food and Agriculture Organization are a valuable instrument for guidance to Governments in transactions, programs, policies, and consultations relating to the disposal and utilization of agricultural surpluses,

Recognizing further that the ultimate solution to the problem of hunger lies in an effective acceleration of economic development allowing the underdeveloped countries to increase their food production and enabling them to purchase more food through normal channels of international trade,

Convinced of the impelling need to solve the problem of hunger a nd malnutrition among many peoples and of the role which the United

---

[1] Food and Agriculture Organization of the United Nations, Commodity Policy, Policy Studies, No. 10, *Functions of a Work! Food Reserve -■ Scope and Limitations* (Rome, 1956), appendix III.

[2] *Ibid.*, para. 300

Nations system can play in actions designed to help solve this critical problem,

Further convinced that assistance to food-deficient peoples will help raise productivity and thus contribute to the improvement of their standard of living,

1. *Endorses* the Freedom from Hunger Campaign launched by the Food and Agriculture Organization of the United Nations and urges all States Members of the United Nations and members of the specialized agencies to support this campaign in every appropriate way;

2. *Appeals* to States Members of the United Nations and members of the specialized agencies to take suitable measures to relieve the suffering of food-deficient people in other nations and assist them in their economic development and in their efforts towards a better life;

3. *Expresses the belief that* international assistance in the establishment of national food reserves in food-deficient countries is one effective transitional means of assisting accelerated economic development in the less developed countries;

4. *Invites* the Food and Agriculture Organization, after consulting Governments of member States, the Secretary-General and appropriate specialized agencies, to establish without delay procedures - in particular for consultation and the dissemination of information - by which, with the assistance of the United Nations system, the largest practicable quantities of surplus food may be made available on mutually agreeable terms as a transitional measure against hunger, such procedures to be compatible with desirable agricultural development as a contribution to economic development in the less developed countries and without prejudice to bilateral arrangements for this purpose and compatible with the principles of the Food and Agriculture Organization;

5. *Further invites* the Food and Agriculture Organization, in consultation with Governments of Member States, the Secretary-General, appropriate specialized agencies and other international bodies (such as the International Wheat Council, the Wheat Utilization Committee, etc.), to undertake a study of the feasibility and acceptability of additional arrangements, including multilateral arrangements under the auspices of the Food and

Agriculture Organization, having as their objective the mobilization of available surplus foodstuffs and their distribution in areas of greatest need, particularly in the economically less developed countries;

6. *Requests* the Director-General o f the Food and Agriculture Organization to report on action taken to the Economic and Social Council at its thirty-second session;

7. *Requests* the Secretary-General, in consultation with the Director-General of the Food and Agriculture Organization and after such other consultations as he may deem necessary, to report to the Economic and Social Council at its thirty-second session on the role which the United Nations and the appropriate specialized agencies could play in order to facilitate the best possible use of food surpluses for the economic development of the less developed countries;

8. *Recommends* that the Secretary-General, in preparing, in consultation with the Director-General of the Food and Agriculture Organization, the provisional program for the joint session of the Commission on International Commodity Trade and the Committee on Commodity Problems of the Food and Agriculture Organization which will examine a report on the prospects of the production of, and demand for, primary commodities, include the question of the production of, and demand for, food in relation to the problem of hunger;

9. *Stresses* that any action taken or contemplated under the present resolution proceed in accordance with the Principles of Surplus Disposal and Guiding Lines of the Food and Agriculture Organization, and, specifically, with adequate safeguards and appropriate measures against the dumping of agricultural surpluses on the international markets and against adverse effects upon the economic and financial position of those countries which depend for their foreign exchange earnings primarily on the export of food commodities, and in the recognition that the avoidance of damage to normal trading in foodstuffs will best be assured by the multilateral trading practices.

UNITED NATIONS SECURITY COUNCIL RESOLUTION 598

20 July 1988 Adopted Unanimously

The Security Council Reaffirming its Resolution 582 (1986),

Deeply concerned that, despite its calls for a cease-fire, the conflict between Iran and Iraq continues unabated, with further heavy loss of human life and material destruction.

Deploring the initiation and continuation of the conflict,

Deploring also the bombing of purely civilian population centers, attacks on neutral shipping or civilian aircraft, the violation of international humanitarian law and other laws of armed conflict, and in particular, the use of chemical weapons contrary to obligations under the 1925 Geneva Protocol,

Deeply concerned that further escalation and widening of the conflict may take place,

Determined to bring to an end all military actions between Iran and Iraq,

Convinced that a comprehensive, just, honorable and durable settlement should be achieved between Iran and Iraq,

Recalling the provisions of the Charter of the United Nations, and in particular the obligation of all member states to settle their international disputes by peaceful means in such a manner that international peace and security and justice are not endangered,

Determining that there exists a breach of the peace as regards the conflict between Iran and Iraq,

Acting under Articles 39 and 40 of the Charter of the United Nations,

1. *Demands* that, as a first step towards a negotiated settlement, Iran and Iraq observe an immediate cease-fire, discontinue all military actions on land, at sea and in the air, and withdraw all forces to the internationally recognized boundaries without delay;

2. *Requests* the Secretary-General to dispatch a team of United Nations observers to verify, confirm and supervise the cease-fire and withdrawal and further requests the Secretary-

General to make the necessary arrangements in consultation with parties and to submit a report thereon to the Security Council;

3. *Urges* that prisoners of war be released and repatriated without delay after the cessation of active hostilities in accordance with the Third Geneva Convention of 12 August 1949;

4. *Calls upon* Iran and Iraq to cooperate with the Secretary-General in implementing this resolution and in mediation efforts to achieve a comprehensive, just and honorable settlement, acceptable to both sides, of all outstanding issues, in accordance with the principles contained in the Charter of the United Nations;

5. *Calls* upon all other states to exercise the utmost restraint and to refrain from any act which may lead to further escalation and widening of the conflict and thus to facilitate the implementation of the present resolution;

6. *Requests* the Secretary-General to explore, in consultation with Iran and Iraq, the question of entrusting an impartial body with inquiring into responsibility for the conflict and to report to the Security Council as soon as possible; *Recognizes* the magnitude of the damage inflicted during the conflict and the need for reconstruction efforts, with appropriate international assistance, once the conflict is ended and, in this regard, requests the Secretary-General to assign a team of experts to study the question of reconstruction and to report to the Security Council;

7. *Further requests* the Secretary-General to examine, in consultation with Iran and Iraq and with other states of the region, measures to enhance the security and stability of the region;

8. *Requests* the Secretary-General to keep the Security Council informed on the implementation of this resolution;

9. *Decides* to meet again as necessary to consider further steps to ensure compliance with this resolution.

სარჩევი

ევინის კონვენცია დიპლომატიურ ურთიერთობათა შესახებ 3
წინათქმა 32
შესავალი 32
დიპლომატიის მნიშვნელობა და საქმიანობა 34
დიპლომატიის წარმოშობის მოკლე ისტორია 36
ახალი დიპლომატიის დასაწყისი 39
დიპლომატიური კადრების მომზადების შესახებ 42
დიპლომატიური საქმიანობის საჭირო ცოდნისა და
თვისებების თაობაზე 43
დიპლომატიური პრაქტიკა და ქცევა 46
ელჩი 46
ელჩის ჩასვლა მასპინძელ ქვეყანაში 48
ელჩის ძირითადი ფუნქციები 49
წარმატებული ელჩის აუცილებელი თვისებები 51
ელჩის საცხოვრებელი რეზიდენციის წესები 52
მისიის დიპლომატის მოქმედება სამუშაოდ გამგზავრებამდე 52
უსაფრთხოების დაცვა 53
დიპლომატიური კავშირები 54
სახელმწიფოთა შორის ურთიერთობაში 54
უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხები 54
დიპლომატია დიქტატორული რეჟიმების ქვეყნებში 57
საელჩოს გასხნისათვის საჭირო ტექნიკური საკითხები 58
ელჩისა და სხვა დიპლომატების მიმართ მიმართვების
შესახებ 59
დიპლომატის ქცევის შესახებ 61
შეზღუდვები, რომლებიც დიპლომატმა უნდა იცოდეს 62
ადგილსამყოფელი ქვეყნის შესწავლის აუცილებლობა 63
დიპლომატის მოვალეობა 64
განსხვავება დიპლომატიურ მოხსენებასა და პრესაში
გამოქვეყნებულ მასალას შორის 66
დიპლომატიური წვეულების შესახებ 67
შეხვედრები და საუბრები 70
საინფორმაციო სამსახური 71
საჩუქრების მნიშვნელობა 73

იმუნიტეტი და მისი მნიშვნელობა 74
შენობის ხელშეუსებლობა 77
თავშესაფრის ძიება 78
თავშესაფრის მოთხოვნა 78
დამსმარე პერსონალის სამსახურში აყვანის შესახებ 78
დიპლომატიური კომუნიკაციები 79
კოლექტიური ნოტა 81
საპროტესტო ნოტა 81
წერილები 82
მემორანდუმი 83
Aide-memoire 83
Boust de papier 83
მოლაპარაკება 84
სიფრთხილის დირექტივები იმათთვის, ვინც უცხოეთში
აწარმოებს მოლაპარაკებას 86
კონფერენციები 95
ოფიციალური დელეგაციის შეხვედრისათვის მზადება 97
ხელშეკრულება 98
ხელშეკრულების მზადების პროცესი 99
ხელშეკრულების გამოქვეყნება 100
რატიფიკაცია 100
ხელშეკრულების მთავარი კომპონენტები 102
საუბარი 103
მოწინააღმდეგე მხარესთან სასაუბრო შეხვედრის
ორგანიზება 114
დიპლომატია და მასმედია 117
დიპლომატთა ურთიერთობა მასპინძელი ქვეყნის
პოლიტიკურ პარტიებთან 123
დიპლომატთა ურთიერთობა პარლამენტთან 125
დიპლომატიის ურთიერთობა ბიზნესთან 126
დიპლომატთა მეუღლეები 130
კავშირები კულტურის, მეცნიერების, განათლებისა
და სხვა დარგებში 132
საკონსულო სამსახური 135
პრივილეგიებისა და იმუნიტეტის შესახებ 139
სოციალური უზრუნველყოფის საკითხები 140

საპატიო საკონსულო დაწესებულებები 141
საკონსულო მუშაკების უფლებები 142
შტატიანი კონსულები 145
უშტატო კონსულები 145
საკონსულო დაწესებულების გასსნა 146
პატენტი 146
ღუაიენი და „უხუცესი" კონსული 147
კონსულთა კატეგორიები 148
საკონსულო ფუნქციების შესრულება დიპლომატიური
წარმომადგენლობის მიერ 148
დიპლომატიური კორპუსი 149
მოკლედ დიპლომატთა ერთმანეთთან ურთიერთობის
შესახებ 151
დიპლომატიური რანგები უფროს-უმცროსობა დიპლომატიურ
კორპუსში 152
სავიზიტო ბარათი 155
დიპლომატის მოქალაქეობის შესახებ 156
რამდენიმე ქვეყნის ელჩობა 158
დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტა 159
პუნქტუალობა 161
დიპლომატიური ენა 161
დიპლომატის ხასიათი 162
შეთავსებით საერთაშორისო ორგანიზაციაში აკრედიტაცია .. 162
რამდენიმე ქვეყნის ინტერესის გამოხატვა 163
დიპლომატიური მისიის განთავსების საკითხი 163
დიპლომატიური წარმომადგენლობის საშტატო რაოდენობა .. 163
საგარეო საქმეთა სამინისტროს შესახებ 164
დიპლომატიური წარმომადგენლობა 167
სამდიენო და არქივი 169
უსაფრთხოება 169
კომუნიკაცია 170
ბუღალტერია 170
პრესისა და ინფორმაციის სამსახური 170
სამხედრო ატაშე 171
სხვადასხვა სახის ატაშეები 171
დილომატიური მისიის დროებითი ხელმძღვანელი 171

ჩაცმულობა 172
ოფიციალური გლოვა 172
დიპლომატიის ნაირსახეობა 174
ეკონომიკური დიპლომატია 178
რეგიონული დიპლომატია 179
საპარლამენტო დიპლომატია 181
საერთაშორისო ორგანიზაციების დიპლომატია,
გაერთიანებული ერების ორგანიზაცია 182
გაეროდან გარიცხვა 186
გაეროს ენები 186
გაეროს წესდებაში შესწორების შეტანა 186
გენერალური ასამბლეა 186
გაეროს სესიები 188
სპეციალური სესია 188
განსაკუთრებული საგანგებო სესიები 189
სსდმათა გამართვის აღგილი 189
თანამდებობის პირთა არჩევა 189
კენჭისყრა 190
მუშაობის წესი 191
გენერალური ასამბლეის სასესიო ორგანოები, მთავარი
კომიტეტები 192
საპროცედურო კომიტეტები 193
გენერალური კომიტეტი 193
გენერალური ასამბლეის მუდმივი და დამხმარე ორგანოები 194
საწევრო გადასახადის შესახებ 194
უშიშროების საბჭო 195
ფუნქციები და უფლებამოსილება 196
კენჭისყრა და პროცედურები 197
საერთაშორისო სასამართლო 198
ფუნქციები 199
შემადგენლობა და სტრუქტურა 199
ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო 201
სააგენტოს სტრუქტურა 202
გაეროს სამდივნო 203
სამდივნოს სტრუქტურა 204
პოლიტიკურ საკითხთა უშიშროების საბჭოს დეპარტამენტი ..206

განიარაღების საკითხების დეპარტამენტი 207
დიპლომატიური პროტოკოლი 207
მაგიდასთან ადგილის განსაზღვრა 213
მოსაწვევი ბარათი 214
საპატიო ადგილი 216
უფროს-უმცროსობა პრემიერ-მინისტრის მასპინძლობით მოწყობილ წვეულებაზე: 217
უფროს-უმცროსობა საგარეო საქმეთა მინისტრის მასპინძლობით მოწყობილ წვეულებაზე: 217
უფროს-უმცროსობა ელჩის ან დესპანის მასპინძლობით მოწყობილ წვეულებაზე: 218
ადგილი მაგიდასთან 218
პრაქტიკული სახის რჩევები 221
სადილის ან ვახშმის დროს წარმოთქმული სიტყვების შესახებ 223
ავტომანქანაში ადგილების განაწილების შესახებ 224
დიპლომატიური ფორმის შესახებ 225
ქცევის წესები 226
კორექტულობა 227
მოთმინება 228
ცხოვრებისეული პოზიციის შესახებ 232
სიტყვა, საუბარი – ქცევის შემადგენელი ნაწილია 233
ინტონაცია 235
ლაპარაკის ტექნიკა 237
მჭევრმეტყველება, კარგი გამოსვლა 243
თავაზიანობის ფორმულა 245
მიმართვა 246
მისალმება და დამშვიდობება 248
სახლომიანი საუბარი 250
კამათის კულტურა 251
წერილობითი ურთიერთობის შესახებ 254
გაცნობა 259
საჩუქრის შესახებ 264
მაგიდასთან ქცევის წესები 266
მიღება 270
საუზმე 270

საღილი 271
ვახშამი 271
მოკლედ ჩაცმის შესახებ 271
როგორ მოვიქცეთ მაგიდასთან? 273
სუფრის თეთრეული 276
პროტოკოლი საუბრის დროს 286
"ჩაისათვის" თანხის შესახებ 297
რელიგიასთან დაკავშირებული ეტიკეტი 298
მოკლედ ბიზნეს-ურთიერთობებთან დაკავშირებით 300
მიმართვის ფორმა 308
ოფიციალური ტიტულები 311
საეკლესიო ტიტულები 312
სიტყვის მნიშვნელობის შესახებ 313
მოკლედ კიდევ ერთხელ დიპლომატიაში ენის შესახებ 324
პოლიტიკური სიტყვა 328
სასელმწიფოთაშორისო დოკუმენტი 333
სარჩევი 379